

644 /
1972/3

Ташкент
300-0101000

Маъна

10

1972



სესეტი

184

გამოცემის მეთექვსმეტე წელი

10

თეგობეკი

1972


თბილისი

საქ. კვ. ცკ-ის გამოცემა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საპარტვილოს ალკა ცენტრალური კომიტეტი და მხარელთა კავშირის ორგანო

12/188



შინაარსი

— 50 —

თავისუფალ ერთად მძლე კავშირი ქმური

3. სავლე უარიჰამო. ამიერკავკასიის ფედერაციულ ბაქთინაეზა და მისი შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში

პროზა, პოეზია კატარა მოთხრობები

11. მანანა ავალიშვილი. ღია ღოგთაჰო. თამარ ანარევილი. ირაკლი ბერიუშვილი. რუსლან ღონეჰო. ჯუჰალ მხსრუშვილი

29. ემსარ კვიტიუშვილი. ბადარჩინილი ხალაჰოჰო პოეზი

44. ბადრი შოხონელიჰო. პატიჰბა. მოთხრობა

52. ლაჰა თაგუჰაჰვილი. სიყვარული ჩუმათილეთში. მოთხრობა

56. თამაგ ბიგილური. ყველაწმინდა. მოთხრობა

79. გურამ ღოგანაჰვილი. ჩემი გუჰუჰა, ჩვენი ბიგეჰა. მოთხრობა. დასასრული

ჩვენი კალენდარი

101. ნოღარ გურაბანიჰო. დღი ხელღვანი

წერილები

112. გურამ გვერდუთელი. ახალი კორიუნიტი, თიკველი?

130. ნოღარ გავრინდაჰვილი. ბერძენული „ბალავანინის“ ერთი მოსკოვური ხელნაწირის გამო

133. ლიანა შიჰაჰო. უფრო ხმაგაღლა

136. თამაგ შილაჰო. კენჭი

მეცნიერება

138. თამაგ კიანაჰო. ლმერთიგთან ბრძოლა

კოლემიკა

145. ოთარ ლორთქიჰანიჰო. ღია წერილი „ცისარის“ რედაქციას

ხელოვნება

157. გურამ ბათიაჰვილი. „ქართული რეჰისორები“

159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ახთიანი,
- აბაჰი ბაქრაჰო,
- გივი გეგეჭკორი,
- გურამ გვერდუთელი,
- მერაბ ელიოჰიშვილი,
- ქარლო კლაჰო,
- კონსტანტინე
- ლორთქიჰანიჰო,
- ოტინა პაჰკორია,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ ფოფხაჰო,
- ნოღარ წულიჰისკირი,
- ბარიელ ჰანტუკია,
- ხეგნი შილაჰი,
- თამაგ შილაჰო,
- ლაჰა ჯანაჰია.

17



თავისუფალ ერთს ეკლუე ქავშირი ქეური

საპდე შაკიქაქი

აგიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანება და მისი უსვლს სსრ კავშირის უამადგანლოგაში

1920-21 წლებში აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში მშრომელი მასებისა და წითელი არმიის გაერთიანებული ძალებით გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. ამით დაიწყო ახალი ერა ამიერკავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში. ამიერკავკასიის ხალხები გამოვიდნენ ნამდვილი ეროვნული აღორძინების ყოველმხრივი სოციალისტური განვითარების ფართო გზაზე.

ამიერკავკასიაში გერმანელ-თურქთა, ინგლისელ-ფრანგ, ამერიკელ იმპერიალისტთა და მუსაფატების, დაშნაკებისა და მენშევიკების მთავრობათა ბატონობის წლებში სახალხო მეურნეობა სრულ განადგურებამდე მივიდა. ნაციონალისტური მთავრობები ასრულებდნენ უცხოელი იმპერიალისტების დირექტივებს, განაგრძობდნენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ხალხებს შორის აღვივებდნენ ეროვნულ შეუღლასა და უნდობლობას.

საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების, სახალხო მეურნეობის უმოკლეს დროში აღდგენისა და შემდგომი განვითარების, ხალხთა შორის შეუღლისა და უნდობლობის აღმოფხვრის, ეროვნული მშვიდობისა და ძმური თანამშრომლობის უზრუნველყოფის ამოცანები დაუფიქრებელი მოითხოვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებათა გაერთიანებას.

ამიერკავკასიის ხალხების მისწრაფებამ ღონისძიებათა გაერთიანებისა და თანამშრომლობისადმი, თავისი პრაქტიკული ხორცშესხმა პოვა

იმით, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და ხალხთა ფართო მასების ერთსულლვანი მხარდაჭერით 1922 წლის დეკემბერში შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე და ამიერკავკასიის ფედერაცია შევიდა მრავალეროვან სახელმწიფოში — სსრ კავშირში.

ვ. ი. ლენინი კომინტერნის მეორე კონგრესისათვის გამზადებულ თეზისებში საბჭოთა ფედერაციის უმთავრეს ამოცანად საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებას მიიჩნევდა «...აუცილებლად უნდა ვისწრაფოდეთ უფრო და უფრო მკიდრო ფედერაციული კავშირისაკენ და მხედველობაში გვექონდეს, — ...ის, რომ შეუძლებელია შევიწარმოოთ არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომელნიც გარშემორტყმული არიან სამხედრო მხრივ შეუდარებლად უფრო მძლავრი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოებით, თუ უმკიდროესი კავშირი არ იქნა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის» (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 167). აქედან მკაფიოდ ჩანს, რომ ვ. ი. ლენინს რესპუბლიკების გაერთიანების საუკეთესო ფორმად საბჭოთა ფედერაცია მიაჩნდა. ბოლშევიკური პარტია ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მტკიცედ დგება სახელმწიფოს ფედერაციული წყობილების შესაძლებლობის თვალსაზრისზე და აყენებს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის გეგმას გარდამავალი პე-



როდისათვის. პარტიის ამ თვალსაზრისში თავისი გამოხატულება პოვა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ, სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობის მიერ მიღებულ მშრომელი და ექსპლუატირებადი ხალხის უფლებათა დეკლარაციაში და რეზოლუციაში „რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ“. დეკლარაციაში ვკითხულობთ: „რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა მყარდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ნაციონალური რესპუბლიკების ფედერაცია“ (ვ. ი. ლენინი თხზ., ტ 26 გვ. 495). ოფიციალურად ეს თვალსაზრისი ფიქსირებულია VIII ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში: „პარტია აყენებს როგორც ერთ-ერთ ვარდამავალ ფორმას სრული ერთიანობის გზაზე, საბჭოთა ტიპის მიხედვით მოწყობილი სახელმწიფოების ფედერაციულ გაერთიანებას“ (რეზოლუციები, ნაწ. 1, გვ. 530).

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანების იდეა ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. სტატიაში „ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ“, რომელიც 1921 წლის თებერვალში დაწერა, ვ. ი. ლენინმა გაეღროს გეგმით ელექტროსადგურების განლაგების საქიების თაობაზე მიუთითა, რომ კავკასია ამ გეგმაში აღებულია მთლიანად, „სხვადასხვა რესპუბლიკის ეკონომიური შეთანხმების ვარაუდით“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ 32 გვ. 163). შემდეგ ლენინმა განაეითარა ეს იდეა, შეიმუშავა ამიერკავკასიის ერთიანი ეკონომიური ორგანოს შექმნის კონკრეტული გეგმა და მოითხოვა აღგროვებული კომუნისტური შექმნათ „სოლოქო-სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ 35 გვ. 510). „აუცილებელია სოლოქო-სამეურნეო ცენტრი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, წერილში „ზანჯანის თავმჯდომარისადმი 1921 წლის 2 აპრილს, — რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბაქო-ბათუმისათვის და სხვ. საქმეს გაუძღვება დამოუკიდებლად, სწრაფად, გაუჭიანურებლად“. (В. И. Ленин. Полн. собр. соч. т. 32, стр. 124) 1921 წელს 9 აპრილს დეპუტატი ს. ორგონიკიძისადმი ვ. ი. ლენინი მოითხოვდა შექმნათ, „სოლოქო-სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის“) ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 163), ხოლო 18 აპრილს დეპუტატი კვლავ ზანი გაუსვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანების საკითხს“. (В. И. Ленин. Полн. собр. соч. т. 52, стр. 154). სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს კომუნისტური ფრაქციის 11 აპრილის სხდომაზე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: ახალი საქართველო საბჭოთა ვახდა. საქმე ეხება ამიერკავკასიის რესპუბლიკების; საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების ერთ სამეურნეო ცენტრად გაერთიანებას. ნათობს აწარმოებს ზერბაიჯანი. იგი გატანილი უნდა იქნეს ბათუ-

მით, საქართველოს ტერიტორიით, ასე რომ ერთიანი სამეურნეო ცენტრი გვექმნება (В. И. Ленин. Полн. собр. соч. т. 45, стр. 186, 187). კავკასიის კომუნისტებისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი (1921 წ. 14 აპრილი) მიუთითებდა საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ძალადონის გაერთიანების დიდ მნიშვნელობაზე, „რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს კავკასიის ეროვნებათა შერწყმას და გლეხურ შორის ეროვნულ მშვიდობიანობას, კიდევ უფრო შეუდარებლად მნიშვნელოვანია შევიწარმონო და განვეითაროთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 397).

ი. ბ. სტალინმა პირველი საბჭოთა კონსტიტუციის შემუშავებულ კომისიის მუშაობის პროცესში კრიტიკის ქარცეცხლი გაატარა ესე რებისა და მაქსიმალისტების მიერ შედგენილი პროექტი, რომელიც საბჭოთა ფედერაციულ წყობას აიგვივებდა ამერიკისა და შვეიცარიის ფედერაციულ წყობასთან. ი. ბ. სტალინი იძლევა ბურჟუაზიულ და საბჭოთა ფედერაციულ წყობილებას შორის დიამეტრიულად განმასხვავებულ ნიშნების სწორ მარკსისტულ გაგებას. მან დაასაბუთა, რომ ბურჟუაზიული ფედერაციული სახელმწიფო აგებულია ძალმომრეობის, ცალკეულ ეროვნებათა ფეხქვეშ გათვლის საფუძველზე, მაშინ, როდესაც, საბჭოთა ფედერაცია იქმნება სრული ნებაყოფლობის პრინციპზე. ხალხები თავისუფლდებიან ძველი, იმპერიალისტური ჩაგვრის ყოველგვარი საშრობებისაგან, რომ რუსეთის სახელმწიფოს მშენებლობას ხელშეშლავს პროლეტარიატი და უზრუნველყოფს ფედერაციულ წყობილებას ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის საფუძველზე. ბოლშევიკური პარტიის შეხედულებათა ევოლუციის სახელმწიფოს ფედერაციული წყობილების საკითხში, მისი მეცნიერული ახსნა მოცემულია ი. ბ. სტალინის სტატიაში — „ფედერალიზმის წინააღმდეგ“ (ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4 გვ. 72). მასთანადავე, ამიერკავკასიის კომუნისტები საკმაოდ იყენენ შეიარაღებული საბჭოთა ფედერაციის შესახებ ლენინის იდეით, საბჭოთა რუსეთის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით და შეუთხოვრად იბრძოდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის. მათ მტკიცად ჰქონდათ შეგნებულო, რომ იგი უზრუნველყოფდა ცალკეული რესპუბლიკებისა და მთლიანად ფედერაციის ყოველმხრივ განვითარებას, ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სამეურნეო, კულტურული და საყოფაცხოვრებო თავისებურებათა გათვალისწინებას, ფედერაციაში შემავალ ერთა და ეროვნებათა მეგობრულ თანამშრომლობას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცხოველყოფელი პრინციპების დამკვიდრებას.



ამიერკავკასიის კომუნისტებმა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა შეიმუშავეს უფრო ადრე, ვიდრე გაიმარჯვებდა საბჭოთა ხელისუფლება. რკპმ (კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ 1920 წლის 20 იანვარს გამოცემულ პროკლამაციაში — „საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შრომელთა გამარჯვების შემდეგ შეიქმნება, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შრომელთა ძმური კავშირი — კავკასიის ხალხთა საბჭოთა ფედერაცია (Борьба за победу Советской власти в Грузии. Доклады и материалы, Тб., 1958, стр. 533). ასევე საინტერესოა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის წევრების შ. ცხაკაიასა და სულთან-ხადეს მიერ სომხეთის რევკომისათვის გაგზავნილი მისალმება (1920 წ. 5 დეკემბერი), სადაც გამოთქმულია რწმენა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით შეიქმნებოდა საფუძველი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანებისათვის. (Газ. „Правда“, 1920, № 274).

ს. ორჯონიძემ და ს. კიროვმა თავიანთ მოხსენებებში ბაქოს საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე (1921 წ. 11 აპრილს) დაახასიათეს წარსულისაგან ამიერკავკასიის ხალხების მიერ მიღებული მძიმე მემკვიდრეობა, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო ომის მძიმე შედეგებითა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა სანოყლე მაგრამ მეტად მძიმე „მოღეფიობით“ საქმარისა იქვეას, რომ საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში სახალხო მეურნეობა კატასტროფიულ მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდა. ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქცია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში (1921-22 წწ) ძლივს შეადგენდა 1913 წლის დონის 20 პროცენტს, ხათის ამოღება 1913 წელთან შედარებით დაცემული იყო თითქმის სამჯერ. მარგანეცის ამოღება 1922 წელს უღრბიდა ომამდელ ამოღების მხოლოდ 8,4 პროცენტს. ასევე საეალალო მდგომარეობაში იყო სოფლის მეურნეობაც. სარწყავი სისტემის მოშლის გამო მიწის უდიდესი მასივები გამოუყენებელი რჩებოდა. საქართველოში პურეული კულტურებით ნათესი ფართობები 1913 წელს 710,8 ათას ღესეტინადაც 1921 წლისათვის შემცირდა 479,3 ათას ღესეტინამდე. მეთამბაქომა ოთხჯერ და უფრო მეტად შემცირდა. ანალოგიურ მდგომარეობაში იყო სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც (ე. ი. კაპარავა; საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა აღდგენის პერიოდში (1921-1926 წწ), თბილისი, 1958, გვ. 79, 80).

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის რთული მდგომარეობა შეიქმნა. სასურსათო და სფინანსო კრიზისი აფერხებდა წარმოების გან-

ვითარებას. ამ მძიმე წლებში სწორედ რუსმა ხალხმა გაუწოდა საქართველოს და ამიერკავკასიის ყველა შრომელებს დახმარების ძმური ხელი. ვ. ი. ლენინი პირადად მუშაობდა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკებისათვის ეკონომიური დახმარების საკითხებზე. საქმარისა აღინიშნოს, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭომ ვ. ი. ლენინის მითითებით 1921 წ. 6 მაისს მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის სტს რესპუბლიკის საგარეო-ვატრობის სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლობისათვის 1 მილიონი ოქროს მანეთის ასიგნებაზე ვაჭრობისა და სავალუტო ოპერაციებისათვის (საქართველოს კ ისტორიის ნარკვევები, 1971, გვ. 492). ვ. ი. ლენინი პირადად ამოწმებდა, როგორ სრულდებოდა დირექტივები ამიერკავკასიის შრომელთა სურსათით მომარაგების შესახებ. დახმარება უაღრესად დიდი იყო იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც საბჭოთა რუსეთს გააჩნდა; მაგრამ ვერც საბჭოთა რუსეთი კისრულბოდა მთლიანად თავის თავზე აეღო ამიერკავკასიის რესპუბლიკების უზრუნველყოფის საქმე. მანასადაც, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკის შესაძლებლობას აღემატებოდა.

მხანავების ს. ორჯონიძისა და ს. კიროვის მოხსენებების გამო მიღებულ საბჭოს რეზოლუციაში (ბაქოს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე 1921 წლის 11 აპრილს) მითითებულია, რომ „საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებისათვის ამიერკავკასიაში აუცილებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო გაერთიანება. თვითეულ მათგანში ნაციონალურ დამოუკიდებლობის, თვითმმართველების, ენისა და კულტურის შენარჩუნებით... ბაქოს საბჭო დარწმუნებულია, რომ ამიერკავკასიის შრომელი მასები ამ მოწოდებას გამოეხმარებიან და... აქემადაც ისე, როგორც ყოველთვის... გამარჯვებას მოიპოვებენ (Газ. „Правда“, 1921, № 41). ბაქოს საბჭოს რეზოლუციას ერთსულოვანი მხარდაჭერით გამოეხმარნენ საქართველოსა და სომხეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებ. 16 აპრილს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთის შორის დაიდო ხელშეკრულება რკინიგზის გაერთიანების შესახებ. ეს ფაქტორება იყო დასაწყისი სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების დიდებულ გზაზე. ს. ორჯონიძემ ამბობდა, რომ „კედელი გარღვეულია. ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება მომხდარი ფაქტია, ეს

საპლე შარიძემ

ამირკავკასიის ფედერაციული გაერთიანება და მისი მოსვლა სსრ კავშირის შემადგენლოვანი

პირველი ნაბიჯი კავკასიის ეკონომიური გაერთიანების გზაზე (გ. კ. ორჯონიძე, სტატიები და სიტყვები, თბილისი, 1957, გვ. 232).

1921 წლის 2 ივლისს ი. ბ. სტალინისა და ს. ორჯონიძის მონაწილეობით შედგა რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს გაფართოებული პლენუმი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია „კომუნისტების შორეგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში“. რეზოლუციაში აღნიშნულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის — დამოუკიდებლობის აუცილებლობა და მიზანშეწონილად და ცნობილი რსფსრ და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სამხედრო, სავაჭრო და სამეურნეო-საფინანსო კონვენციის დადება ნებაყოფლობის საფუძველზე. პლენუმმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პროფსაბჭოებს, პროფკავშირთა საჯარო კომიტეტებს წინადადება მისცა შეექმნათ კომისია სამეურნეო საქმიანობის გაერთიანებისათვის, პრინციპული ბრძოლა ეწიარმოებინათ ნაციონალიზმისაგან გადაპარის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

კავკასიის ბიუროს ივლისის (1921 წ) პლენუმის გადაწყვეტილებანი გახდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების საქმიანობის საბრძოლო პროგრამა. მისი განხორციელების შედეგად დამყარდა ნაციონალური მშვიდობიანობა ამიერკავკასიის ხალხთა შორის, დიარაზმა ხალხი სახალხო მეურნეობის აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საკადრისი პასუხი გაეცა კონტრერევოლუციურ ელემენტებს.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობისა და რკინიგზების გაერთიანებამ ცხადყო თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ გაერთიანებას და უკვე 1921 წლის ბოლოს პრაქტიკულად დღის წესრიგში დადგა საკითხი გაერთიანების უფრო მაღალ ფორმაზე — ფედერაციაზე გადასვლის შესახებ. მასთანადავე, ცხოვრებამ დაბეჭივებით მოითხოვა ამ რესპუბლიკების, მათი სახელმწიფო კავშირის კიდევ უფრო მჭიდრო პოლიტიკური გაერთიანება. ვ. ი. ლენინმა გამოთქვა რწმენა, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი „შექმნის ბურჟუაზიის დროს არანახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 397).

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 1921 წლის 3 ნოემბრის პლენუმს, რომელსაც ესწრებოდნენ სამივე რესპუბლიკის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების წევრები. პლენუმმა დაადგინა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მჭიდრო პოლი-

ტიკური კავშირი „მტკიცე ვარანტია იქნება იმისა, რომ იგი ვერ ხელჰყოფს კონტრერევოლუციონერთა ძალებმა და განამტკიცებს ჩინებულ ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის საზღვრებზე“. (История советской конституции в документах (1917—1959), М., 1957, стр. 308, 309).

დადგენილებაში კონკრეტულად არის მითითებული, რომ პოლიტიკური გაერთიანებით მჭიდრო ეკონომიური კავშირი დამყარდება რესპუბლიკებს შორის, რომ კალკულ რესპუბლიკებში მრავალი სახალხო კომისარიატისა და დაწესებულების არსებობა იწვევს ზედმეტ, გაუმართლებელ ხარჯებს და პარალელიზმს მუშაობაში. გაუკეთა რა საფუძვლიანი ანალიზი არსებულ მდგომარეობას, კავკასიის ბიურომ გადაუღებელ ამოცანად მიიჩნია ფედერაციული კავშირის შექმნა, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო, სამეურნეო-საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დადგენა. ასევე აუცილებლად ჩათვალა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა აღმინისტრაციული-ეკონომიური ცენტრის („საკავშირო სამსახურს“) შექმნა.

ამიერკავკასიის მშრომლებმა მოიწონეს და ერთხელგონად დაუპირეს მხარი ფედერაციის იდეას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრისა (1921 წ.) და პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმებმა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილება ცნეს მომწიფებულად და დროულად. აზერბაიჯანისა და სომხეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა ფართო მასებმა მხარი დაუჭირეს ამიერკავკასიის შექმნის იდეას და გააჩაღეს პროპაგანდა მისი განხორციელებისათვის. რესპუბლიკებში იმართებოდა კრებები და მიტინგები, სადაც მოითხოვდნენ ფედერაციის შექმნას. ამ პოლიტიკურ კომპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროფკავშირები, კომკავშირი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და იგი სულ უფრო საყოველთაო-სახალხო ხასიათს იღებდა. საქმარისია აღინიშნოს, რომ მართო თბილისში მოეწყო 30-ზე მეტი ხალხმრავალი მიტინგი. მშრომელთა წინაშე მოხსენებებით გამოდიოდნენ თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

ვ. ი. ლენინი თავს ადევნებდა მშრომელთა გამართიანებულ მომარაბს და როდესაც დარწმუნდა, რომ ფედერაციული გაერთიანების იდეამ ამიერკავკასიის ფართო მასებში სრულად გამარჯვება მოიპოვა, შეადგინა პროექტი (1921 წ. 28 ნოემბერი) რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დადგენილებისა, სადაც მითითებული იყო: 1. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებული იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად და სწორად.



რე უმჯობესად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დედასთან ერთად პრაქტიკული განხორციელების მიზანს — ნაღრვეად, ე. ი. მისი განხორციელება ნათესავს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვეყნიდან გატარებისათვის: 2. წინადადება მიეცეს (კავშირის მეშვეობით) საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენოს უფრო ფართო ფორმის მიხედვით პარტიისა და მუშათა და გლეხთა მასების წინაშე, ენერგიულ პროპაგანდას დაიწყო ფედერაციის სასარგებლოდ და გაიყენონ იგი თითოეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებზე; დიდი ოპოზიციის შემთხვევაში ზუსტად და დროულად ეცნობოს ეს რაზმ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს (ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33 გვ. 139). ეს სიტუატი მერე დღესვე (29 ნოემბერი) დამტკიცდა რაზმ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. მასში განსაზღვრულია პარტიის სიტუატი ეროვნული პოლიტიკის სწორად გადაწყვეტაში, თუ რაოდენ ფრთხილად ევიდებოდა ზღაღი ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას.

ე. ი. ლენინის აღნიშნული მითითებანი წარმოადგენს საბრძოლო პროგრამას ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომუნისტებისათვის. ამიტომ უფრო ფედერაციის შექმნის იდეა სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ხალხთა ფართო მასებში.

ამიერკავკასიის შექმნისათვის ბრძოლა, რა თქმა უნდა, არ ყოფილა უმტკივნეულო, გარკვეულ და თანაც, მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა დაძლევის გარეშე. ფედერაციულ საწყისებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების წინააღმდეგ გაილაშქრეს ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფებმა, რომლებიც აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიის რიგებში მყოფმა ნაციონალისტებმა შექმნეს. ქართული ნაციონალისტები ბ. მდივანი, მ. ოქუჯაძე, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე და სხვ. პირველად უარყოფდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო გაერთიანებას, შემდეგ აშკარად იბრძოდნენ ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ. მათი აზრით, გაერთიანება ამიერკავკასიის ხალხებს სუერენ უფლებებს ართმევდა. უკლონისტთა მოქმედებაში აშკარად ჩანდა, რომ ისინი ყურს არ უდებდნენ მასების ერთსულოვან მისწრაფებას ფედერაციის შექმნისათვის. კიდევ მეტი, მათ დეპეშა ვაუტუავენს რაზმ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს იმის შესახებ, რომ შეცდომად მიანდნათ ამიერკავკასიის ეკონომიური ბიუროს შექმნა, რომ იგი ახშობს ცალკეულ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას და ა. შ. მაგრამ რაზმ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის 26 აგვისტოს ს. ორჯონიძისადმი გაგზავნილ დეპეშაში ერთხელ კიდევ დაადასტურა

კავკასიის ბიუროს დადგენილების სისწორე ამიერკავკასიის ეკონომიური ბიუროს შექმნის შესახებ. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ საკადრისი პასუხი გასცა უკლონისტებს თავის პირველსავე ყრილობაზე.

ნაციონალ-უკლონისტების გაჩენა საქართველოს კომპარტიაში გამოიწვია იმან, რომ საქართველოს კომპარტია თავისი შემადგენლობით იყო არა ერთგვაროვანი; მის რიგებში მერე ნაწილი იყო არა პროლეტარული ფენებიდან და ლენინის თქმით, ასეთი მდგომარეობა აუცილებლად იწვევს მერყევობას. საქართველოს კომპარტიაში ოპორტუნისტული ელემენტების გაჩენას ხელი იმანაც შეუწყო, რომ საქართველოს და მთელ ამიერკავკასიაში წარსულმა დატოვა შოვინიზმისა და ნაციონალიზმის მძიმე ვადმონაშთები.

ქართველ უკლონისტებს ორი დიდი ნაკლოვანი მხარე ჰქონდათ ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში. ჭერ ერთი, ისინი გააფთრებენ ევინააღმდეგობდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, ხოლო მეორე მხრივ, არ იყვნენ მომხრენი აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიური უფლებების მინიჭებისა, რითაც იდგნენ დამპყრობლურ შოვინიზმის პროტივებზე. ნაციონალ-უკლონისტებს ზვერი სხვა მომავლებზე შეცდომა ჰქონდათ. კერძოდ, ისინი მოითხოვდნენ საქართველოში უცხოეთის ბანაკების გახსნას. ეს კი საქართველოს უცხოეთისადმი დამოკიდებულ ქვეყნად აქცევდა. ნაციონალ-უკლონისტების რესპუბლიკის ხელმძღვანელთა რიგებში ყოფნის დროს, მიუხედავად იმისა, რომ დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ 1921 წლის აპრილში გამოიცა, მიწის ბრძოლვაში ფაქტობრივად გადაწყვეტილი დარჩა. უკლონისტები არც ერთიანი ფულის წარმის შემოღების მომხრენი იყვნენ ამიერკავკასიაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ ლენინური ეროვნული პოლიტიკის მტკიცედ გატარება, საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მშორი თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარება, რაც იმ დროისათვის შესაძლებელი იყო მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციის პირობებში, შეუძლებელი გახდა ნაციონალურ-უკლონისტთა საბოლოო განადგურების გარეშე.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა პირველ (1922 წ. თებერვალი) ყრილობას, სადაც კავშირის მუშაობის შესახებ მოხსენებით ვაჟოედა ს. ორჯონიძემ. ყრილობაზე ახლად არჩეულ სამ-

სავე შარიჰაძე

ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანება და მისი შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში

ხარყო კომიტეტს დაევალა შეუზოგარი ბრძოლა ეწარმოებინა ნაციონალ-უკლონისზმთან, დაერქვარებინა ამიერკავკასიის საერთო-პოლიტიკური გამაერთიანებელი ცენტრის შექმნა, ურომლი-სოდაც შეუძლებელი იყო მისი ეკონომიური-გაძლიერება. 1921 წლის დამლევსა და 1922 წლის დამდგენსათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკაში დამთავრდა საბჭოების არჩევნებუ და ჩატარდა ყრილობები, რომლებმაც იმსჯელეს ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირის შექმნის თაობაზე და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი. ოგიეთელმა რესპუბლიკამ აირჩია წარმომადგენლობა 31 კაცის შემადგენლობით (აქედან 25 წევრი და 6 კანდიდატი). 11 მარტს გაიხსნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის აღმსარებლებელი კომიტეტების სრულ-უფლებიანი წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც დაიღო ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ.

ფედერაციული კავშირის გამგებლობაში გადავიდა საგარეო პოლიტიკის, შვიარალებული ძალების, იმის გამოცხადებისა და ზავის დადების, საგარეო ვაჭრობის, საფინანსო, კავშირ-გამმულობის, გზათა მომოსვლის, კონტრრევოლუციისთან ბრძოლისა და ეკონომიური პოლიტიკისადმი ხელმძღვანელობა. ფედერაციული კავშირის შექმნა დიდი მოვლენა იყო ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ქართველი უკლონისტები კვლავ განაგრძობდნენ შეტევას პარტიის სწორი ხაზის წინააღმდეგ. რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიმართეს პროტესტით ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის 5 აპრილს ერთხელ კიდევ დაადასტურა ფედერაციის შექმნის აუცილებლობა და დაავალა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყოთ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა. (10 лет Заключений. Тб., 1932, стр. 14, 15). ამასთან ერთად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოთხოვა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ჭგუფობრივი ბრძოლა პარტიაში და საკადრისი პასუხი გაეცა ნაციონალ-უკლონისტებისათვის. სკკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მიმართვაში ხზვასმული იყო, რომ პარტიის ერთიანობის შენარჩუნება მიმდინარე მომენტში ძირითად უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, ამ პერიოდში საქართველოს კ (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის წამოიჭრა უთანხმოებანი, რომლებიც სულ უფრო ღრმავდებოდა. კიდევ მეტი, უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობის უმრავლესობას ნაციონალ-უკლონისტები წარმოადგენდნენ ან მთლიანად

უგულუბელყოფდნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და ფედერაციული ანგებითა და შესწორებით ასრულდნენ მისი აღსანიშნავი ისიც, რომ ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს მხარს უჭერდნენ ტროცკი, ზეზრანი და კამენევი. მათი იმედით ნაციონალ-უკლონისტებმა 19 ოქტომბერს პარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე კვლავ გილაშქრეს ამიერკავკასიის შექმნის წინააღმდეგ მაგრამ ქართველმა ბოლშევიკებმა ს. ორჯონიძის ხელმძღვანელობით კონკრეტული ფაქტების საფუძველზე ამხილეს მათი მოთხოვნის უსაფუძვლობა, უკლონისტთა გადახრის წარმოშობის სოციალური ფესვები და მშრომელთა ფართო მასებს მოუწოდეს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. უკლონისტების მთელმა შემადგენლობამ ვანიცადა სრულ მარცხი, როგორც პარტიაში, ასევე მშრომელ მასებში. 22 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის უკლონისტურმა ჭგუფმა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში შეიტანა განცხადება გადადგომის თაობაზე. ამის შემდეგ ნაციონალ-უკლონისტების ერთი ნაწილი — ბ. მიღვანი, კ. ენციანი, მ. ოკუჯავა და სხვ. — დაადგა აშუარა სობუტაციის გზას, მეორე ნაწილმა კი აღიარა თავისი შეცდომა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის ფედერაციის მშენებლობაში.

1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში გაიხსნა ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, დაამტკიცა ამიერკავკასიის სესსრ კონსტიტუცია, აქვე გადაწყდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შესვლა სსსრ კავშირის შემადგენლობაში, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა. ამით დიდი ისტორიული მნიშვნელობის საქმემ ბრწყინვალედ გაიმართვა და დავიკვირვინდა ფედერაციულ სახელმწიფოს შექმნისა და სათანადო კონსტიტუციის მიღებით. ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის საფუძველად დადგო საბჭოთა რუსეთის პირველი, 1918 წლის კონსტიტუცია, რომელიც შემუშავებული იყო ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. ამიერკავკასიის სესსრ შექმნა უდიდეს მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ცხოვრებაში, თანდათანობით მტკიცდებოდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა, ქრებოდა ნაციონალიზმის ნაშთები, რამაც ხელი შეუწყო ამიერკავკასიის სამხარეო რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის აღდგენითი საშუაოების წარმატებით ჩატარებას, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის წარმატებით განხორციელებას.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნისათვის



სპოლის პერიოდში ფართოდ განიხილავდნენ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი სახელმწიფო კავშირის შექმნის საკითხს.

სოციალიზმის გზაზე დამდგარ თანასწორულ-ლებიანი მძლავრი კავშირის შექმნა-განმტკიცებასა და განვითარებაში თავისი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, უწინარეს ყოვლისა კი, დიდმა რუსმა ხალხმა.

ვ. ი. ლენინმა, კომუნისტურმა პარტიამ იფიქრნენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი სახელმწიფო კავშირად შექმნა ერთბაშად უკრ ვადამუდებოდა, იგი დაეკავშირებულა იყო მანქანების გადალახვასთან, პირველ ყოვლისა, ნეკოლონისტური შოვინიზმისა და ადგილობრივი ევკონანოლიზმის მავნე შეხედულებების დასწევასთან. ვ. ი. ლენინმა რკ (ბ) VIII ყრილობაზე აწილა და გააცემტვერა პარტიის ზტრები, მათი შოვინისტური შეხედულებანი და რასსახეთა ერთა თეთრგამორკვევის პრინციპის განხრებულად გატარების აუცილებლობა.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გადაწყვეტაში უაღრესად დიდ მოვლენას წარმოადგენდა პარტიის X ყრილობის ისტორიული გადაწყვეტლებანი, რომლებიც მიღებულ იქნა ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო. ეს დადგენილება საფუძვლად დაედო წინათ ჩაგრული ერებისა და ხალხების სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის, ეროვნებათაშორის ფაქტურული სამეურნეო და კულტურული უთანასწორობის ლიკვიაციის ღონისძიებებს.

დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო გაერთიანების იდეა სულ უფრო ფართო ხასიათის ღებულობდა და გაერთიანებისათვის გასული საყოველთაო მომართა იმის მთქვეებით იყო, რომ მომწიფდა ობიექტური პირობები მისი განხორციელებისათვის. იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც განსაზღვრეს გაერთიანებული მომართობის გაძლიერება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის შინაგან სამეურნეო მდგომარეობას — მკირე სამეურნეო რესურსების გაერთიანებისა და მათი რაციონალური გამოყენების საჭიროებას, ისტორიულად ჩამოყალიბებული შრომის ზუნებრივსა და სამეურნეო დანაწილებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეთა შორის, მიმოსვლის სშუალებათა ერთიანობის საჭიროებას. რესპუბლიკების საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობას — ახალი ინტერვენციის საშიშროებას, ეკონომიურ იზოლაციასთან საბრძოლველად საბჭოთა ხალხის ერთიანი ეკონომიური ფრონტის საჭიროებას, ერთიანი დიპლომატიური ფრონტის მიზანშეწონილობას და სხვ; გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, რკ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის აგვისტოში გამოყო სპეციალური კომისია ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა შემეფიქრებინა

ღონისძიებანი რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო-ეროვნული ურთიერთობის საკითხებზე. პირველი დოკუმენტი, რომელიც კომისიამ განიხილა, იყო ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილი პროექტი. იგი ითვალისწინებდა რსუსრ-ს შემადგენლობაში დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკის შესვლას ავტონომიური უფლებით. კომისიამ მოიწონა ეს პროექტი და განსაზღვრულად გადასცა ეროვნულ რესპუბლიკების პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს. „ავტონომიზაციის“ გეგმას მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტმა. ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკას შორის სახელმწიფო ურთიერთობათა შენარჩუნება. უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამ საკითხზე, საერთოდ, არ უმსჯელია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ცნობილი მიზეზების გამო (ამ დროს მასში რაოდენობრივად ჰარბობდნენ ნაციონალ-უკლონისტები) ნაადრევად მიიჩნია დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტონომიზაციის ფორმით გაერთიანება. ფაქტურად ეს იყო უარის თქმა.

ვ. ი. ლენინი გაეცნო აღნიშნულ პროექტსა და ეროვნულ რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტების აზრს ამ საკითხზე და 1922 წლის 26 სექტემბერს წერილი გაუგზავნა პოლიტბიუროს წევრებს, სადაც გააკრიტიკა „ავტონომიზაციის“ გეგმა და წინადადება წამოაყენა შეექმნათ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკის სრული თანასწორუფლებიანობის და ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების საფუძველზე. ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ ვცნობთ, რომ თანასწორუფლებიანი ვართ უკრაინის სს რესპუბლიკასთან და სხვა. და მათთან ერთად და მათ თანაბრად შევადივართ ახალ კავშირში, ახალ ფედერაციაში „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“. (B. H. Ленин. Полн. собр. соч. т. 45, стр. 211).

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე ი. ბ. სტალინმა გადაამუშავა თავისი პროექტი და დაუგზავნა ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს. სსრ კავშირის შექმნის ლენინური გეგმა ერთსულოვნად მოიწონა რკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 ოქტომბრის პლენუმმა. პლენუმმა უარყო ბ. მდივნის წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველო სსრ კავშირის შემადგენლობაში შესულიყო არა ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობით, არამედ უშუალოდ. ქართველი უკლონისტები ამის

საშუა შარბიამაძე

ამირაპაპასკინის ფედერაციული გაერთიანება და მისი შიხვალა სსრ კავშირის შემადგენლობაში

შემდეგაც განაგრძობდნენ ბრძოლას ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ, ისინი ხშირად გზავნიდნენ დეკლარაციებს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, უჩიოდნენ ამიერკავკასიის სამხარეთო კომიტეტს. ვ. ი. ლენინი სასტიკად გამოხდამათს გამოხდომებს. ნაციონალ-უკლონისტები, როდესაც მოესპოთ მხარდაჭერის ყოველგვარი იმედი, იძულებული გახდნენ, გადამდგარიყვნენ. 1922 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა საქართულოს კპ (ბ) ახალი შემადგენლობის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აკრძალა ყოველგვარი დისკუსია პარტიაში და მოუწოდა რესპუბლიკის კომუნისტებს დარაზმულიყვნენ პარტიის წინაშე ლენინური იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ ბრძოლა პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ, მაგრამ მათი გავლენა დღითიდღე სუსტდებოდა, ხალხთა მასები სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ უკლონისტთა მტრულ მოქმედებაში. ასევე თანდათანობით იზრდებოდა და ახალ მწვერვალებს აღწევდა მშრომელთა გამეერთიანებელი მოძრაობა სსრკავშირის შექმნისათვის. მუშების, გლეხების, წითელარმიელების მრავალრიცხოვან კრებებზე, მშრომელთა დებუტატების საბჭოების კონფერენციებზე, პარტიულ კრებებზე იღებდნენ რეზოლუციებს ნებაყოფლობის პრინციპზე დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების ერთსახელმწიფოში გაერთიანების ლენინური იდეის რაც შეიძლება სწრაფად განხორციელებისთვის.

1922 წლის ბოლოსათვის ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებმა დაადასტურეს გაერთიანების მიზანშეწონილობა. მათი აზრები და მისწრაფებანი შედუღებულნი იყო მეგობრობისა და ძმობის იდეებით, უკეთესი მომავლისათვის მისწრაფების ინტერესებით.

1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, სადაც მოსმენილ იქნა ვ. ი. ლენინის მოხსენება. ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო

დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრკავშირის შექმნის შესახებ. რასაც საფუძვლად უდევდა ხალხთა თანასწორობისა და ძმობის მთლიანი პრინციპების ლენინური იდეა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცხოველყოფილი პრინციპები. სკკპ პროგრამაში ვითხულობთ: „ნებაყოფლობით საწყისებზე ერთიან მრავალრიცხოვან სახელმწიფოში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში — თანასწორდუღობიან ხალხთა გაერთიანება და შეკავშირება, მათი მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფოთაშორის და კულტურულ მშენებლობაში, ძმური მეგობრობა, მათი ეკონომიკისა და კულტურის აყვავება ლენინური ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შედეგია“ (სკკპ პროგრამა, თბილისი, 1961 წ. გვ. 18).

სსრკავშირის შექმნა იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის ჭეშმარიტი გამარჯვება, მისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებით მსოფლიოს ხალხებმა დაინახეს ეროვნული საკითხის რეალური გადაწყვეტის უტყუარი გზა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიდი პრინციპები, სწავლა და ეროვნული ინტერესების პარმონიულად შეხამების ნათელი სურათი.

სსრკავშირის შექმნას თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით და სოციალურ-ეკონომიურ შედეგებით დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში.

ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება მოწმობს, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია უზრუნველყოფს ხალხის მთელი ძალების მჭიდრო გაერთიანებას მუშათა კლასის მეთაურობით კაპიტალისტური ექსპლოატაციის სისტემისა და ამასთანავე ეროვნული და საერთოდ, ყოველგვარი ჩაგვრის სისტემის ლიკვიაციის მიზნით.

სსრკავშირის შექმნა იყო პარტიის, ვ. ი. ლენინის თეორიული და პოლიტიკური მუშაობის შედეგი.





მანანა აპალიშვილი

კვალაბნელი

ამ დროს, როცა ხეთა კენწეროებს ზე წაეციდა და წვეროვინები დაისის-ფრად ააბრიალა, როცა მიწას დადარი-ეთ თბილი ჰაერი თაფლივით გაეკრა, ამ დროს გელას დედა რიყრაქისფერი კბით გათხოვდა.

მარტობამისჯილ სახლში გელა და ქლებით დაკონკილი ბებია დარჩნენ. გელა ხუთიოდე წლის ბიჭი იყო და ელა-მა თვალებით უცქერდა გაბედნიერე-ბულ დედას. მკიდროდ დაგმანულ ფან-ტრასთან იჯდა და უნიათოდ ილიმებო-და აყვავებული ალუჩები წვიმის წვე-ლებივით აწყდებოდნენ ფანჯარას. გამ-წყდარი მძივებივით დაპნეული ფურც-ლები ქარს ნამქერივით მიჰქონდა.

როცა ტკბილმა დაპირებებმა და ტყუილებმა ვერ დააშოშმინეს გელა, მამინ დედის მიტოვების ამბავი ამცნეს და საეგებიოდ დამშვიდება დაუწყეს.

ერთბამად შეიჭრა ბიჭის სხეულში ცივი ჰაერი და სუსხი მოედო გულზე. შეშინდა და ბებიას ახლადგამომცხვარ სერივით თბილ კალთაში ჩაეკრო. ვი-ღაცამ იხუმრა — „ბიჭო, ბებიაც რომ გაგიხოვდესო?“ გელა ერთხანს გაბე-ჯებული იდგა, მერე რაღაც არაბუნებ-რივად გაიცინა და ავმა ზნემ დაუგეს-ლა თვალები. მერე თქვეს: „საწყალი მამამისიც ბოლო დროს ურევდაო“ და ახალი ამბის საუწყებლად მოედგნენ სოფლის ორღობებს მეჭორე ქალები.

შუკა-შუკა დაიარებოდა პირმცინარე

გელა და მხარზე სახრეგადებული, დამ-ფრთხალ თვალებს აცეცებდა. მეზობ-ლისას ხარივით ქედწახრილი აბრუნებ-და მიწას და მზენასავამი სხეული პუ-რისფრად უკრიალებდა.

მოცილობისას ურმის ბორბალს აგორიალებდა და საწყალობლად იცი-ნოდა. გააყოლებდა თვალს, გაედევნე-ბოდა და ხელახალი აღტაცებით დააგო-რებდა. შებინდებისას ბებია ღვთის-მშობლის ხატს გელას სალი გონების დაბრუნებას ევედრებოდა და ცხელი ცრემლები ლეღვის ჩირივით დამჰქნარ ღაწვებზე ეცემოდა.

მეზობლის გოგო — თალიკო, დილ-დილობით შეეყრებოდა ხოლმე სოფ-ლის ორღობეში და უტყვი სევდით გავ-სილ თვალებს შეაგებებდა. მამინ გელას დაბინდული გონება ხედებოდა, რომ ხისგან გამოჩორკნილ კაცუნასავით სა-საცილო იყო და სიბრალული გაქლენ-თილი ღრუბელივით აწევებოდა გულზე.

უღედამამ თალიკოს ექვეს წერილ-შვილის პატრონი ძმა ეგულებოდა ამ ქვეყნად. ძმების სამოსახლო ერთმანეთ-თან ახლოს იყო. მზრუნველობისა და წყრომის გაბმული ჟიჟივი ისმოდა მათ კარმიდამოში. გეგონებოდათ ათასი ჭრიჭინობელა ერთხმად ზუზუნებდა. ყოველწლიურად ახალი სიცოცხლე უმტვრევდათ კარებს მათ ოჯახებს და ოთახში კანდამსკდარი ბროწეულივით აყვესებდა თვალებს ბედნიერება. ყვე-



ლას თალიკოს ხელი სჭირდებოდა, ყველას მისი სახელი გადმოდინდებოდა ბაგიდან, ყველა თალიკოს უჩიოდა და მას რამდენიმე აწმინით ჰქონდა ალაგი შემოაკავებულნი ამ ხალხმრავალ სახლში. დამლამობით ბალიშიში თავჩარგულს ცრემლები ენასკვებოდა და გადარჩენაზე ფიქრობდა. ესიზმრებოდა, თითქოს ჩანჭქერივით ქაფქაფა კაბა ეცვა, ჰერივით გამჭვირვალე თავსაფარი ეხურა და მზის გულზე დაცემულ მინდორში სათიბი ღელავდა. თალიკო და ვილაკ ახალგაზრდა კაცი თავდავიწყებამდე იცანოდნენ და გვირილების წვიმა მოსულიყო.

თებერვლის ერთ ქარიან დღეს გელას ბებიას თოვლისფანტელივით მიატე სხეული მიიბარა მიწამ. ჰვარტლისფერი, ცარიელი კედლები მუსხსავი გულგრილობით შემოსცქეროდნენ გელას და ჭრელფარდაგდაგებულ ტახტზე ბებიას დაუმთავრებელი საქსოვი იდო. დაურთავ ძაფებს მოხუცი ქალის რბილი თათების სითბო შერჩენოდა. მთვარესავით ცივ ოთახში ეს სითბო გაწეწილი მატყლივით დაფარფატებდა. იცდა გელა ბებიას ნამზითვ ფარდაგზე და სიციცხლემილეული თვლებით იმზირებოდა. კუნჭულში თავკვი გამალეებით ფხაკურობდა და უმოწყალოდ კაწრავდა ავბედით სიჩუმეს.

ერთხელ შინმობრუნებულ გელას ტახტზე თავმოდრეკით მჯდარი თალიკო დახვდა. ქალი ანკარა თვლებით შესცქეროდა და ეუბნებოდა, რომ აწი ერთად იცხოვრებდნენ, მშვიდად გალევდნენ წუთისოფლის ღორღიან ბილიკს და სამშვიდობოს სახენათელები გავიდოდნენ. გელა წაბორძიკდა და მოუხეშავი მოძრაობით დაეშვა სამფეხაზე, მერე გაყინულ ბუხარს ხელები

მიუშვირა. თალიკო ადგა და შემა შემოიტანა.

სოფლის ორლობეებში ცეცხლის მორიალე ენასავით დაიარებოდა მიტქმა-მოტქმა და ჰქუანაკლულ გელას ყასიდად გაბედნიერებას ულოცავდნენ. გაზიდული ბაგეები ჭირქილობდნენ, ხელების ცეცებით ანიშნებდნენ ერთმანეთს სევდაშებურული თალიკოს გამოჩენას.

დრო გადიოდა და თალიკოს მოწყენილობა ექალებოდა. დრო გადიოდა და გელა ურმის ბორბლებს აღარ აგორიანლებდა. იცდა ბუხართან და დანაცრებულ შემას დაღონებული აცქერდებოდა. თალიკო თითო-ოროლა სიტყვას თუ ვაიმეტებდა, ისე რომ, სახეში არ შეხედავდა გელას. კაცი თუ მოახელთებდა, ჩუმი მოსიყვარულე თვლებით გახედავდა ქალს და ტკივილისაგან სახე ერღვეოდა.

გელას ცნობიერება უბრუნდებოდა. ხედავდა როგორ დაიარებოდნენ მეზობლის კაცები აღმასკომში, როგორი რიდიითა და ლიქნით უტრიალებდნენ სოფლის თავკაცებს და ჩინამაღლებულები როგორი ამპარტაენობით დაბიჯებდნენ კარდაკარ. მერე ქალაქად მიდიოდნენ, ხანდახან მოაკითხავდნენ აქაურობას ახლებურად ჩაცმული. უცნაურ ამბებს ყვებოდნენ და ყველას თვლებს აწყეტინებდნენ.

იცდა გელა სახლში გაუქმებული ნივთივით და აღარ იცოდა როგორ ეცხოვრა. თალიკოს ღამე ისევ ჩანჭქერივით ქაფქაფა კაბა ეხატებოდა. გელა კი შიშნარევი ბრძოლით ელოდა პაწია ადამიანის გამოჩენას ქვეყანაზე და ღმერთს მისთვის სისაღესა და ჩანმრთელობას შეთხოვდა.

ქალაქში დაკარგული კასი

ღედაბერს გარჯით დამამვრალი, წენგოსფერი ხელები მორჩილად დაეწყო გატრეცილი კაბის კალთაზე და ნამიანი

თვლებით იცქირებოდა. გარეთ დაკონკილი ქარი დაწანწალებდა და კაბაშემოგლეჯილ კახველის ტოტებს არწევ-



და. დედაბერი ქალაქში დაკარგულ შვილს, ილოს ნატრობდა და მუშტად შეკრული დარდი ლოკოკინასავით დაღარღავდა სხეულში. ფიქრები ჯარად აკითხავდნენ დაბინდულ გონებას და ქალიც მოგონებთა ბადეს ართავდა.

მაშინ ბიჭს გაუკაწრავი გული და დაყურსული მხერა ჰქონდა. კაბის კალთაზე ებოტინებოდა დედას და გამსკდარ კვირტს მიუგავდა გახსნილი ბაგეები. საღამოობით ბუხარში ჰინკებივით დავლურს უვლიდნენ მორიალევ ცეცხლის ენები და შებოლილ კედლებს ლოკავდნენ. გვერდებატყეცილი სიმინდი ცეცხლზე სკდებოდა და ირგვლივ სინოყვირის სუნი ტრიალებდა. ძარღვებდაგრეხილი მამა დევების ჩამჩისოდენა ხელებით ჭრიდა სახლის აივნისა და სვეტების ჩუქურთმებს და დავდული ხმით ღიღინებდა. ილო ცქმუტავდა და მოცინცილე თვალებით უთვალთვალებდა მამას. ბიჭს ესმოდა როგორ გულიანად ლოკავდნენ მამამისის მარჯვენას და სოფლის ორობებში როგორ გალობდნენ ჩუქურთმაჩაწნული ნახლის აივნები და თლილი სალუქი სვეტები სიმაღლისა და სიწმინდის ნიშნად. მერე ამ ჩუქურთმებმა და თვალბედადამებულმა დედამ ერთად იგლოვეს სიღამაზის შემკონავი კაცი, რომელსაც ვაუტქმებული ვეება ხელები მოწყენით ელაგა მკერდზე. გარეთ კი აივნის სვეტებს სიმაღლე ამჩივებდათ და შთამომავლობის დაკარგვას იღუმალი შიშით ელოდნენ.

საღამოობით ხბორები სველი, სევდაჩაწოლილი თვალებით მოკუნტრუმობდნენ შარაზე. ორობებების ძირას ყვაილებს მიწა გაეპოთ და თვალებს ნაბავდნენ გაცრეცილ ბინდზე: თალხები მდორედ ეპარებოდნენ ვაზის შაბიამნისფერ ფოთლებს და გაფითრებული მთვარე ციებაშეყრილივით კანკალებდა ცაზე.

ილო აივანზე იჯდა გარინდებული და ჩუქურთმებში შემოჭრილ ღამეს შესცქეროდა. თვალთ ხატავდა გრძნეულ ხვეულებს და თითქოს მაჭრის დული-

ლი, ლექსად მოდენილი სამადლობელი და ტაძრების მაღალ გუმბათებიდან წყნარ მოსული გალობა ესმოდა. სოფელში თითრად შეფეთილი შუშაბანდიანი სახლები მომრავლებულიყვნენ და ახლადწვერშედერილი ბიჭები ილოზე ამბობდნენ:

„ეგვეც მამასავით რაღაცეებს აკვარაჩქინებს, ნეტავ ვის რაში სჭირდება ეგ ზიზილ-პიპილებიო“.

ილო შედერილი ბიჭი იყო და გალობასავით ლამაზ სიყვარულზე ფიქრობდა. წყალში გაელეებულ ლანდად ესაზებოდა გაღმუზნელი გოგო და საესე მუჭით სიყვარული მიჰქონდა მასთან. დედას ზამთარ-ზაფხულ შავი, გრძელსახელოიანი კაბა ეცვა და მაჯის სიმსხო ნაწნავები შემოეგრავნა კეფაზე.

ერთხელ ილო მეზობლის ბიჭს გაპყვა ქალაქში. ღვართქავად მომწყდარმა ხმაურმა, კირსა და ქვიშაში არეულმა ხელებმა, მაღალმა ამწეებმა დააბნია ბიჭი. დიდხანს იდგა ხარაჩოებშეყენებულ შენობასთან და სურვილი იპყრობდა ახლავე დაუფლებოდა ამ ახერზაურს. რამდენიქე დღის მერე ილომ დედას გრძელი წერილი გაუგზავნა. უამბო სად იყო, რას აკეთებდა, რა ბედნიერი იყო და რომ მალე ინახულებდა. მაშინ დედამ ერთხელ კიდევ გამოიგლოვა ჩუქურთმების მჭრელი კაცი და აივნის მაღალ სვეტს შემოხვია ხელები.

შემოდგომის ბადაგდამცხრალ დღეებში, როცა საღამოს მწუხრი ჩამოიფლითებოდა ციდან, წვიმა სამკაულემაგაკრფეილ ბაღს ერთიანად გაწუწავდა და ტოტებზე ცრემლებად დაეკიდებოდა. მაშინ ქალს დაბურული მარტოობა ეძალებოდა. წინ გამრავლებული ფოტოსურათებივით ერთნაირი დღეები ელაგა და მას ეგონა, თითქოს მთელი ცხოვრება ერთი გრძელი დღე იყო. ქალის გრძნობები ფსკერისკენ დაშვებულ ღრმა ძილს მოეცვა. მუიფე ყინულივით გაუხსლტა ხელიდან სიხარულისა და განცვიფრების ნიჭი, მხოლოდ ტკივილი დაბოგინებდა მკერდში და მის ფერწასულ ყოფას აჩქამებდა. ხან-

დახან გული ამოუჯდებოდა და ვინ იცის მერამდენედ გამოიტირებდა საკუთარ თავს. მშვიდად, უწყალებლად დააცილებდა წუთისოფელს.

მცირე ხნით სიცოცხლის ნიადაგმდრღნელი დაღლილობა ჩამოეხსნებოდა და ასე გრძელდებოდა შემოდგომის თავაუღებელი წვიმებით.

ილომ ქალაქში დიდი სახლების მშენებლობა დაიწყო, გამალებით ლესავდა კედლებს, აწყობდა ავტურებს და მალდებოდა ხარაჩოდან ხარაჩომდე, აქვე ხარხიებებზე შემდგარ გოგოს ჰყიდა თვალი და იმავე საღამოს კინოში დააბატია: გოგოს ქერა, ხეუღლი თმა ჰჭონდა და დაშენკას ეძახდნენ, ქალი მშენებლობაზე ყურმოკრული ქართულით ესაუბრებოდა ილოს. ღონიერ ხელებს ისე იქნევდა, თითქოს ყვაფი დაფრინავდა ნადავლის მოსახვეჭად. დაშენკა მოწყალე თვალებით შეჰყურებდა ილოს და მისი გუნება-განწყობის მერინახედ ქცეულიყო. იგი უყვებოდა რუსეთის უკიდევანო ტრამალებზე, ქვაღქცეულ ყინვაზე, ილოსთვის უცნობ ოღქში დარჩენილ

და საღამოს იქაურ პარკში გამართულ ცეკვებზე. ამ დროს სევდა აღობოდა ილოს გულს და ახსენდებოდა დედის ცოშში არეული ხელები, აივანზე გაფენილი სიმინდი და ბაღში შემოდგომის მზედაფერილი გზნება.

სოფელში სვეტების თაღებქვეშ ხვე-

ულები ჩამოიქცა და ეზოს სახადღვით მოედო ქინკარი. დედა მშვიდობის დღენიდაც კეშავდა და იჭდა მარტობით გათოშლილი. მერე რაღაც უხილავმა ავადმყოფობამ დარია ხელი და ლოგინად ჩავარდა. როცა ილო სოფელში დაბრუნდა, დედა ჩამწყდარი ხმით სდევნიდა ოთახიდან ლანდებს და ვახევებულები ბაგეებით შველას ითხოვდა. სამდურავი აბლაბუდეებით ეღებოდა დაღვრემილ კედლებს.

ქალაქში ისევ ცას უწევდა მშენებლობის გრვეინვა და ზათქი. ილო ხარაჩოზე შემდგარიყო და უკანასკნელ ავტუს აბჯენდა სოლივით სწორ კედელს, როცა ზევიდან გადმოიხედა და უამრავ მოძრავ სიცოცხლეს მოკრა თვალი. შერცხვა თვალმუელგამ სიმაღლეზე დგომა და ფართხა-ფურთხით დაეშვა ძირს.

იმავე საღამოს ილომ სოფელში თვალბამოღამებულ სახლს მიაკითხა და ნაპოვნი ნივთივით დაუწყო სინჯვა. ბიქი ფიქრობდა, რომ მისი გაუხეშებული ხელები და ჩაკირული, უსინათლო სული ველარ შეიძლებდა ჩუქურთმების ქრას. აღარც გალობასავით ლამაზი სიყვარული შეეძლო. ხელის კანკალით გააღო კარი და დედამისის დანატოვარი მარტობა შეეყარა სახეში. ფეხდაბორკილივით შეაბჯა ოთახში და იგრძნო, რომ მცველად მაინც გამოადგებოდა აქაურობას.

ღია ღოშთაქა

ა ლ ზ ე ვ ე ბ ე

დაძრულ ტროლეიბუსში ქოთქოთით აცივდნენ ბიჭები; ხუთივენი ერთი ყალიბისანი — შავი, მაღალხათიანი ხავერდის კოსტუმებით და მოკლედშეკრებილი უხეში ქოჩრებით. ნახევრადცარიელ მანქანაში მყუდრო კუთხეს

შეეხიზნენ და ხმამაღალი კამათი განაგრძეს.

გელამ რომელიღაც ანეგლოტი მოათავხელა და ბიჭებს გაუხანაპირდა. უცებ რაღაცნაირმა სევდამ დაიპყრო, საოცრად მძიმემ და არაფრისმთქმელმა. ჭი-



ბებები ამოიტრიალა, იმგვარად ერთი ღერი სიგარეტიც კი ვერსად მოიძია. ახორხოცებული ბიჭებისკენ მიტრიალებდაც დაეზარა, ხელი ჩაიჭინა და ღია მინიდან ქალაქს გახედა.

უნივერსიტეტთან მხოლოდ ერთი გოგო ამოვიდა, შავი სვიტრის მაღალ საყელოსა და თვალბეჭეტი ჩამოფხატულ „ჩოლკას“ შეფარულს არც უცდია წინ გასვლა, იქვე, კონდუქტორის. სკამთან შეჩერდა, იდგა ისე, თავისთვის და მყუდროდ.

მოპირდაპირე სკამიდან ვიღაც ქალი ვიწვევით წამოდგა, მინა ბოლომდე ჩაკეტა და ცნობისმოყვარეობად ქვეულ მუხობლებს შეწყვეტილი ჭორი გაუგრძელა.

გელას ჩაეცინა, ქალს ცერად გახედა და მინაში საკუთარ ორეულს დაუწყვით თვალიერება. „ე-ეჰ! საკმაოდ უგემური შაბათი იყო... მაგიდა ვერ აეწყო რაღაც ისე, პეწიანად... ამიტომაც აღრიანად აიშალა ხუთეული“...

სასტუმრო „საქართველოსთან“ მამუკა ჩამოვიდა. მგობარს საღლაც ყურთან აკოცა და „ხვალაც შენთანა ვარო“ — ნუგეშად დაუტოვა. გელამაც თავი გამოიღო — „აბა შენ იციო“ და ჩასასვლელამდე მიაცილა. მერე წინ აღარ წასულა. იქვე გოგოსთან შეჩერდა და რეზოს თვალი ჩაუკრა. რეზოს წარბიც არ შეუტოკებია, იდგა და ღია თვალბეჭით თვლემდა. ნუკრისა და გიას რომელიღაც ფრიადმნიშვნელოვანი საკითხისთვის თავი ველარ გაერთვით და გელასათვის აბა სადა სცხელოდათ.

გელამ გოგო შეათვალიერა. უცებ ძალიან, ძალიან მოუუნდა აბურდულ თმებს მოფერებოდა. ისე ძალიან მოუუნდა, რომ დაიბნა კიდევ. რა იქნა, ქვეყანა ხომ არ დაიჭკოდა, მხოლოდ ერთი წამით იგრძნობდა უხეშ თმებს და მეტი არაფერი... მთვრალი მინც იყოს... გემო ვერაფრით ვერ ჩაატანა კონიაკს, ალბათ, გაბეზრების ბრალიცაა... ის გაწრიბული კახა რა დღეში იყო?! ჰოი, ბიჭო, რას ცისკისებდა დალი, პაპუნამ რომ უთხრა, ნაღდი მთვრალი ღლავი

ხარო. თანაც რომ გაიკვირვა კიდევ, განა ღლავები სვამენო?!.. ნათია?...
 ღლა უცებ შეკრთა, რატომღაც ეგრესიონად წარბებამდე ჩამოფხატულ ჩოლკას შეფარულმა, საოცრად მშვიდმა თვალებმა კაკლის წენვოსფერი პომადის ზიგზაგებში ააკვესეს მის ყელზე და გული შეუქანდა ბიჭს.

სული რომ მოითქვა, ირიბად გახედა გოგოს, იგი ისევე ისე, მოჭორავე ქალბისა და მთვლემარე ბიჭების დაჯგუფებებს გარიდებული და სკამის სახურავს ჩაფრენილი რაღაც მყუდრო კონცხივით იდგა მონანავე ტროლეიბუსში და ფანჯრის მიღმა ნეონ-არგონით გადაფითრებულ, მოცახცახე ქალაქს გასცქეროდა. მხოლოდ ტუჩებს, კაპრიზულად მოკუმულ ტუჩებს აღისფრად წამკიდებოდა ოქტომბრის მიწურულის სუსხი და მკრთალი შუქით გამისტიურებულ, ფაქიზად აქნილ პროფილზე. მხოლოდ ისინი მეტყველებდნენ პატრონის მიწიერებაზე.

„შენ ზიხარ ბებერი წაბლის კორძიან ფესვზე, ვარდობისთვის მოპირთავებული ნიავი ფიფქთა ხატულა ქაბორბალას ატრიალებს. ტევრში მირაულები რაცრაცებენ, საღლაც გრჩება მიწიერების შეგრძნება და მთრთოლვარე ბაგეებით აშლილი თმების ულრანში მოცახცახე ნესტოები ახლად ამოწყვერილი ბალახის სურნელით ბრუედებიან...“

ტროლეიბუსი უსიამოდ შექანდა და ზმანებებს გარიდებულ ბიჭს მანქანის შეგრძნებაზე გული ჩაწყდა. გვერდით მოიხედა, გოგო იქ აღარ იდგა, მინის მიღმა კი მალაზიის რეკლამა „ბროლი“ იმანჭებოდა. ბიჭებს ხელი აუწია, გამოეთხოვა და მანქანის გაჩერებამდე ჩახტა. სიგარეტისთვის კიდევ ერთხელ ამოდ მოიქექა ჯიბეები, მერე ცხვირი წითელი როლინგსტონის საყელოში წაპყო და ჩიტაძის დამრეც ქუჩას წელათრეული აპყვა.

მინც როდის ჩავიდა ასე შეუმჩნეველად, სახელი მინც ეკითხა... ეგებ შეხვედრაზეც დათანხმებოდა... რაიმე კი-



ნოს წახადუნენ, მერე იმ კინოზე წაისა-
უბრებდნენ, სახლამდე მიაცილებდა და
მერე?! სამერისოც გამოჩნდებოდა ალ-
ბათ, მერე... ეგებ როგორ უყვარს ხე-
ტიალი, ბევრს, ძალიან ბევრს ატარებ-
და, ნარიყალაზეც აიყვანდა... თუ დაიღ-
ლებოდა, იქვე შურის ციხის ნანგრე-
ვებზე ჩამოსვამდა, უღვთოდ ლამაზი
ღვინობისთვის სულისშემძრავ თბილისს
აჩვენებდა და ყველაზე ლამაზი ფოთ-
ლებით აუვსებდა კალთას... გვირგვი-
ნებს კი ხმელი ფოთლებით ვერ მოწ-
ნავ... რაც არ უნდა ლამაზი ფოთლები
შეარჩიო, მაინც ვერ მოწნავ... ხმელია
ეგ ფოთლები... დღედაღუენი... გვირ-
გვინებს მერე მოუწნავდა, აი, მისი უდი-
დებულესობა ვარდფურცლობა რომ
იქუხებდა ქალაქში..."

ნატავი რა მოუვიდა დღეს?... ის ვი-
ლაც გოგო მაინც რას აიკვიატა, ა?... ნა-
თიას, ალბათ, როგორ ეწყინა, რომ წა-
მოვიდნენ. პაპუნა გააცილებს ალბათ,
ან კახა... ვასვასა მწვანე კაბა, მწვანე
ფანქარებით მოხატული ქუთუთოები
და ვნებიანი ჰაობონდრიით აყმუეღე-

ბული თვალები... მაინც რა ფერი ეტყ-
მოდა მისი თმების ფერს?! ~~მწვანე~~
ნათიას ტუჩები... და უცებ კიდევ უფ-
რო ძალიან მოუნდა აქმალა თვალებში
ჩამოფხატული ჩოლკა და მთელი არსე-
ბა აელზევებინა ახლადმოწვერილი ბა-
ლახის სუნით... ენახა მაინც, როდის ჩა-
ვიდა... ბოლოსდაბოლოს ჩუმად ადევ-
ნებოდა სახლამდე... ის ტუჩები, ოქ-
ტომბრის მიწურულის სუსხი რომ აღის-
ფრად წააკიდებოდა, ალბათ არასდროს
არ დატოვებდნენ მრავალგზის ნათელი
ჩვრის შეგრძნებას...

გვირგვინებს? ხმელი ფოთლებით ვერ
მოწნავ გვირგვინებს... რაც არ უნდა
ლამაზი ფოთლები შეარჩიო, მაინც ვერ
მოწნავ... ხმელია ეგ ფოთლები, ხანმო-
თავებული... უცებ დაიმსხვრევიან და
მტკრით აგვისებენ მუქს... მერედა რამ-
დენი ხანმოთავებული ფოთოლია ქუჩა-
ში ახლა, თავიანთი ვარდფურცლობისას
ყვავილწულში მოხვედრა რომ ვერ
იღირსეს — აი ისეთები, ჭორფლიანნი
და შლეგ ქართან უაზროდ მოცერყე-
ტენი...

თამარ ყაპრიშვილი

ჭრელი პეპელა

ის ახლა ჭრელი პეპელა იყო. ჭრელი
პეპელა, დიდი ფრთებით და მრგვალი,
შავ-შავი თვალებით. მერე ვილაც მეც-
ნიერმა დაიჭირა, რკინის ჩაქუჩით ხის
ფირფიტას მიაკუედა და თავისთვის ჩაი-
ლაპარაკა: „როცა გახმები, გამომად-
გები“.

ცაში კაფობდა მზე, ირხეოდნენ ყვა-
ვილები, იცინოდა პატარა მდინარე.

— იცი, გოგი, ძალიან დავილაღე, მომ-
ბებრდა შენი უცნაური ქცევა...

- მოგწონს ეს ღამე?
- წამოდი ჩემთან, — თქვა ვაჟმა. —
გათბები.
- არ მინდა...
- აბა რა გინდა? შეგეხვეწო? არ
შეგეხვეწები.
- ნუ შემეხვეწები.
- აბა რა გინდა?
- შემეყვარე... ძალიან შემეყვარე და
გამიშვი ზელი, მე თვითონ მოვალ.
- ჩემთან მოხვალ?
- უცებ თოვლი წამოვიდა. დიდი, თეთ-
რი ფანტელები ქვაფენილზე დაეფინა

და ხელად დადნა. ვაჟმა ქალს წელზე მოხვია ხელი.

— შენც ეს თოვლი ხარ. მოდიხარ და დნები.

— აბა რა გინდა?

— შენი თვალები მინდა, შენი ხელე-ბი მინდა, შენი სული მინდა.

— მეფისტოფელი... მეც მინდა შენი სული.

— შენ ვინა ხარ?

— არ მიცნობ, არა?

— არ გიცნობ.

— მე კი გიცნობ?

— შენ შეგიძლია მენდო, მე კაცი ვარ.

— შენც შეგიძლია მენდო, მე ქალი ვარ.

ქალი ვაჟს მოეხვია და თავისკენ მიიზიდა.

— მაკოცე. კიდევ ბევრჯერ მაკოცე. ძალიან, ძალიან ბევრჯერ.

ვაჟი დაიხარა. უცებ გამოიდარა. საღამოთი მიწა გაშრა და დათბა. ცაში ვარსკვლავები აციმციმდნენ.

* * *

ის ახლა ყვავილი იყო. პატარა ყვავილი, ყვითელგულა, თეთრი ფოთლებით, მზეს უცინოდა, ნიავს თავს უხრიდა.

— ჰეი, ჰეი...

ყვავილი ვარ, და სიმღერა შემიძლია, ყვავილი ვარ, და ფრენა შემიძლია, ყვავილი ვარ, და ლექსის თქმა შემიძლია!

„წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკი-ლია!“

— ვოგი, ნუ მიყურებ ასეთი თვალე-ბით

— თუ მინდა ტუჩები შენი:

— ნუ გინდა.

— თუ მინდა ხელები შენი?

— ნუ გინდა.

— თუ მინდა თვალები შენი?

— ნუ გინდა.

— მოდი გაკოცებ.

— არა.

— დღეს არ შეიძლება?

— არა.

— არც ხვალ შეიძლება?

— არა.

— არც ზეგ შეიძლება?

— არა.

— რატომ არ შეიძლება?

— სად იყავი აქამდე?

— ვეღარ მოვედი, საქმეები მქონ-და...

— აღარ გათავდა ეგ საქმეები?

— აღარ გათავდა.

— სულ ნულარ მოხვალ. — თქვა ქალმა.

— სინათლეზე გავიდეთ, იქ ჯობია, იქ ბევრი ხალხია. — უპასუხა ვაჟმა.

ნათვარ ქუჩაზე ფუსფუსი იყო. აქეთ-იქით დარბოდნენ ავტობუსები და მანქანები. დადიოდნენ ადამიანები, ანათებდა ვიტრინები. ირგვლივ იყო სი-ცოცხლე! სიციცხლე!

სიციცხლე, ისეთივე გარდაუვალი, როგორც სიკვდილი, სიყვარული ისე-თივე ძლიერი, როგორც სიტოცხლე, სიკვდილი, ისეთივე ღამაში, როგორც სიყვარული.

* * *

— მომეცი სული შენი!!!

* * *

თინას შინდისფერი კაბა ემოსა. ბრჭყვიალა ბურთი ეჭირა ხელში. ბურთი ცოცხალი იყო. ოქროსფრად ბზინავდა და ცეცხლში ბანაობდა. სიმღერას მღეროდნენ წითელი ენები.

— აბა აიღე, ოღონდ არ გაუშვა ხელი. ვაჟმა ქალისკენ გაიწია.


— ზომეცი.

— ოღონდ არ გაუშვა ხელი.

— ჩქარა მომეცი.

ვაჟმა ბურთი აიტაცა, ათასფრად ათამაშებდნენ ცეცხლის ენები. ცეცხლი ცხელი იყო და მშველი. ვაჟს ეშვარა, მაგრამ ხელი არ გაუშვა, გულში ჩაიკრა, კრძალვით ეამბორა. ბურთი ღამა-ში იყო, ვაჟი მუხლებზე დაეცა.

18/188



* * *

ის ახლა ზანტი ავაზა იყო. თეთრი ლაქებით, ბასრი ბრჭყალებით, ძლიერი და ნელი. ის დადიოდა ტროპიკულ ტყეში, ნადირს სოკავდა, სვამდა წყალს და ხმამაღლა მღეროდა თავის სიმღერას — „უსასრულოა ჩემი სამეფო, ნეტარებაა სიცოცხლე ჩემი“.

სიმღერას ისმენდნენ დიდი ხეები, მდინარე და ცა. შორს მიფრინავდნენ ჭუნგლებში ჩიტები, იმალებოდნენ მხეცები. ტყეში დადიოდა შავი ავაზა, ბედნიერი და სიყვარულით სავსე.

* * *

ბრჭყვიალა ნამსხვრევები იატაკზე ეყარა. გარეთ ცხელოდა, მიწას ბული ასდიოდა და უსაშველოდ აცხუნებდა მზე.

— როგორ მოგივიდა?

— ერთი წუთით დავდე მაგიდაზე, რას ვიფიქრებდი?

— როგორ მოგივიდა?

— მეც დავიღალე, ხომ უნდა დამესვენა? რას ვიფიქრებდი?

— როგორ მოგივიდა?

ვაეი გაბრაზდა და თავი გააქნია.

ერთხანს ჩუმად იყო, მერე საწერ მაგიდას მიუბრუნდა. ქალი დაიხარა, ნამსხვრევები აკრიფა და ფანჯრიდან გადაყარა.

— რატომ გადაყარე?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— რატომ გადაყარე, შევაწებებდი.

ქალმა არ უპასუხა. მიტრიალდა და წავიდა.

* * *

ის ახლა რუხი მგელი იყო. ფერდებჩაცვენილი, მშვიერი და განწირული. მარტოდმარტო იდგა სოფლის ბოლოში და საზარელი ხმით შეეძლოდა მთვარეს. შეშინებული ბავშვების ტირილი ისმოდა სახლებიდან. მთვარე კი წარბშეუხრებლად იდგა ერთ ადგილზე და ვერცხლისფერ სხივებს უგზავნიდა სო-

ფელს. ყეფდნენ ძაღლები. უფრო და უფრო ტირილდნენ ბავშვები. ყუმულოდ არუხი მგელი.

საქონლის
განაწილების
შედეგად

* * *

ცხელი მტვერი ჰაერში ტრიალებდა, სახლებს ედებოდა, მანქანებს ედებოდა, ხალხს ედებოდა. პატარა ბაღში მწვანე ხეები გადაათეთრა. თინა ბაღში შევიდა, იქ ხალხი იყო. მრგვალ აუზში შადრევანი სცემდა. წყლის გრილი მარგალიტები მზეში ბრჭყვიალებდნენ, თინა აუზთან დაიხარა და ცხელ სახეზე წყალი მიისხურა. მერე აუზში შევიდა. გარშემო ხალხმა მოიყარა თავი.

— გაგყვებულა!

— ქალი ბანაობს!

— კაბა გაიხადე, გახდილი ჯობია! — ყვიროდა ერთი.

თინამ გასცურა და გულადმა ამოტრიალდა აუზში. ძალიან ესიამოვნა ანკარა წყალი. გაშმაგებული, აღტაცებული, გამხეცებული ბრბო ხმამაღლა უყვიროდა რალაცას. დმუოდა, ხელებს იქნევდა. თინა ხედავდა მათ, მაგრამ არაფერი ესმოდა.

პატარა ბაღთან ტროლეიბუსები უხვევდნენ მალიმალ. შედიოდა და გამოდიოდა დასიცხული ხალხი. მერე ისევ უხვევდნენ ტროლეიბუსები. გარშემო ყველაფერი ტრიალებდა და მტვერთან ერთად ცაში ადიოდა.

მსუქანმა კაცმა ატმის კურკა ესროლა თავში. ამას მოყვა ნაფოტები, ქუდები, ქვები. აიმღვრა წყალი. თინამ ნაპირთან მისცურა და აუზიდან ამოვიდა. ხალხი გაჩუმდა. გაიწვა-გამოიწვის. თინა ტროლეიბუსისკენ წავიდა. ნელი ნაბიჯით მიდიოდა. ჩალურჯებული თვალები მშრალი ჰქონდა, მაგრამ არაფერს ამჩნევდა ირგვლივ. ბრბომ ისევ დილმუვლა. თინა ფანჯარასთან დაჯდა და ბილეთი იყიდა. ხალხი დაიშალა. აღარაფერი იყო საინტერესო. ტროლეიბუსმა თავისი ჩვეული გზით გაუხვია.

ყვირთელი მტვერი ტრიალით ავიდა ხევით.

როცა პეპელა კარგად გახმა, მოვიდა მეცნიერი, ფრთხილად ამოაცალა ჩაქანებული ლურსმნები და შინ წაიღო. ხის ფირფიტაზე ქუჭყიანი ლაქა დარჩა. „აი, ახლა კი გამომადგები“, თქვა მეცნიერმა თავისთვის და საქმეს შეუდგა. ჯერ მტვერი ჩამორეცხა სტერი-

ლური სითხით. შეასწორა, შეალამაზა. მერე აიღო მინისსახურავიანი მუჯანყი და ჭრელი პეპელა საბნევის ჩაბრუნებად მოამზადა.

მეცნიერმა ყუთი მინის კარადაში შეინახა. „ეს ექსპონატი ჩემი კოლექციის ნამდვილი სიამაყე იქნება“, გაიფიქრა და გაიღიმა.

ზ ლ ა კ ა რ ი

სოფელში პატარა ვირი ცხოვრობდა. დაჰქონდა ტვირთი და შავ თვალებს ნაღვლიანად ატრიალებდა. ნაშუადღევს სიმღერა იცოდა.

„მე პატარა ვირი ვარ,
ვირი ვარ და ვყვირივარ!“

— გულს ნუ გაიტეხავ, — ეუბნებოდა ციცარი, — ხომ გაგიგონია: „ბედღურნი დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანი“. — ვინ იცის ცხოვრებაში რა მოგელის? —

* * *

მოვიდა კაცი და თქვა.

— შენს სახელს აუგად ახსენებენო, დედოფალო. —

დედოფალი ჩაბნელებულ დარბაზში იჯდა.

მოკიქულ აუზში წყალი მირაკრაკებდა.

— შემოიყვანეთო. — ბრძანა.

— ძნელი ყოფილა შენთან მოხვედრა. — თქვა მოხუცმა.

— რას მეტყვიო.

— მითხარი სილამაზის ქალღმერთს რატომ გეძახიანო.

დედოფალს გაეღიმა.

— კარგად დამაკვირდი და გაიგებო. მოხუცი ტახტს მიუახლოვდა. დიდხანს აკვირდებოდა ქალღმერთს. ბოლოს თქვა:

— შენ ლამაზი არა ხარო.

— რას მიბედავ, უტიფარო! — შეკვივლა დედოფალმა.

— სრულ სიმართლეს მოგახსენებო.

გათენდა. ლურჯი ბურუსი თანდათან გაიფანტა და აფეთქდნენ ბროწეულები. მდინარეში მზე აცეკვდა. სოფლის შარავნაზე ვაჟი გამოჩნდა. ვაჟი სწრაფად მიაბიჯებდა.

— მერაბ! მერაბ! — გაისმა ყვირილი.

მერაბი შეჩერდა. შორიდან ქალი გამოიქცა და ვაჟს კისერზე ჩამოეკიდა.

— ხვალ დილით მატარებლით ჩამოდი, კარგი? ხვალამდე ძალიან მომენატრები.

მერაბმა ღრმად ამოიოხრა.

* * *

სკაში ბებერი ფუტკარი ცხოვრობდა. ზოლებიანი პერანგი ეცვა და გამკვირვალე ფრთებს აფარფატებდა. თან მთელი დღე ბზუოდა, ბზუოდა, ბზუოდა.

* * *

ვაჟი დაზვასთან იღვა. დაზვასზე ხალიჩა ეკიდა. მერაბი ქსოვდა. ისე იყო გატაცებული მუშაობით, ქამთა სვლას ვერ გრძნობდა. ვერც დაღლილობას გრძნობდა, ვერც შიმშილს. ასე გავიდა ერთი კვირა, მერე ერთი თვე. მერაბი ქსოვდა, არაეინ ახსოვდა, არაფერი უნდოდა.

მერაბის ნამუშევარი ქალღმერთმა ნახა. მოეწონა და გადაწყვიტა ვაჟს ქსოვაში გაეხიზნებოდა. დედოფალი თვითონ იყო ცნობილი ფეიქარი, მხოლოდ მერაბის გარეგნობა ვერ აიტანა და ვა-

ვი ობობად აქცია. იჯდნენ ერთ ოთახში ქალღმერთი და ობობა და ქსოვდნენ. ხანდახან მერაბი ღრმად ოხრავდა. დე-ფოფალი ბრაზობდა.

— ვერ ვიტან, როცა ობობა ახვე-ლებს!

მერაბი ცდილობდა ხმა არ ამოეღო.

* * *

გავიდა დრო. ქალღმერთმა ხალიჩები ქალაქის მოედანზე გამოიტანა. ხალხს მერაბის ნამუშევარი მოეწონა. აღშფო-თებულმა დედოფალმა ვაჟის დაბრმა-ვება ბრძანა. მერაბი პატარა, ქასავით მრგვალ ეზოში გაიყვანეს და თვალები დასთხარეს.

* * *

მიდიოდა თვალეზდათხრილი ვაჟი სოფლის გზაზე და ნაღვლიან სიმღერას მღეროდა. ღამე იყო. ყვავდნენ ვარსკე-ლავეები. გზა იმ სოფელზე გადიოდა, სადაც მზია ცხოვრობდა. გაიგო მზიამ მერაბის სიმღერა და გარეთ გამოვიდა.

— ხედავ, დამაბრმავეს, — თქვა ვაჟმა.

— კიდევ კარგი ცოცხალი დამიბ-რუნდიო — უპასუხა მზიამ.

— მე თუ ჩემი საქმე არ ვაკეთე, სი-ცოცხლეც არ მინდა, — თქვა ვაჟმა.

— კიდევ კარგი ცოცხალი დამიბრუნ-დი, — უპასუხა მზიამ.

— სიცოცხლეც არ მინდა. — თქვა ვაჟმა.

— იმ ქალს ხომ შენი მოკვლაც შეეძ-ლო. — უპასუხა მზიამ.

— სიცოცხლეც არ მინდა. — თქვა ვაჟმა.

— გემუდარები იცოცხლე, ცოტა ხანს მაინც იცოცხლე, — თხოვა მზიამ.

მერაბმა არაფერი უპასუხა. მზიამ ვაჟი სახლში შეიყვანა და კარები მიიხურა.

* * *

სოფლის მოედანი საესე იყო ხალხით. ბექობზე ბრმა მეფანდურე იდგა და სიმღერას ამბობდა: „ბაღში დაჭრილი ბუღბუღი ევლო. ვარდი დაიხარა და ჩიტს სურნელოვანი ფოთლები გადაა-ყარა. გამოფხიზლდა ბუღბუღი, ფრთა-ფრთას შემოკრა და ლაქვარდ ცაში შეკრა კამარა“.

ხალხი აღელდა. გაიწ-გამოიწია.

* * *

— მე ვირი აღარა ვარ. აქლემი და-მიძახე, — თხოვა ციცარს პატარა ვირმა.

— რატომ? — იკითხა ციცარმა.

— ვირის ტვირთი მეტად მიძიმეა. — თქვა პატარა ვირმა.

— შენისთანა აქლემი ვის რაში უნ-და? — გაეცინა ციცარს — განა არ გა-გიგონია? „აქლემი ისე არ დავარდებო, ვირის საპალნე ვერ ასწიოსო“.

პატარა ვირმა ყურები ჩამოყარა.

იკავლი ბაკიაშვილი

თოფის სროლა

ეზოდან ხმაური მოისმა. წინსაფარ-აფარებულმა ქალმა ქურაზე შემოდგ-მული ამომზინებული ტათა მიატოვა და ფანჯრიდან გადაიხედა.

— გიო! გიო! შე სასიკვდილე შენა! მოიცა მე შენ გიჩვენებ სეირს!

— რა იყო, ქალო, რა წიოკობა ატე-ბე. — ტახტზე მიწოლილმა მამაკაცმა გაზეთი გვერდზე გადადო.

— რა იყო და შენმა სათაყვანებელმა ვაჟკაცმა ისევე ჩხუბი ატეხა. მოიცა, მე მაგას ვაჩვენებ!



უკანასკნელი სიტყვები უკვე კიბიდან მოისმა. წინსაფრიალი ქალი აქოთქოთებული კრუხივით მიიქანებოდა ძირს.

ეზო მიყურდა.
ოჯახის წევრები ერთი-მეორის მიყოლებით შემოვიდნენ ოთახში. პროცესიას ალიაქოთის ამტენი მოუძლოდა. წინსაფრიალს ერთ ხელში დამნაშავეს ყური ჩაებლუჯა, მეორეთი კი თვალბჩალურჯებულ უფროს შვილს მოათრევდა. ძმებს შორის ერთი წელი თუ იქნებოდა განსხვავება.

— რა გაჩხუბებს, შე სასიკვდილე. რატომ არ მოეშვები ამ ბიჭს? გიო იატაკს ჩამოტრებოდა. მხოლოდ სიტყვები აღწევდა მის ცნობიერებამდე. ეტყობოდა ფიქრებით სულ სხვაგან იყო... შვიდი, რვა, ცხრა... არა, ის სრულებით არ არის დამნაშავე... თერთმეტი, თორმეტი... სულაც არაა დამნაშავე, მაგრამ ალბად ისევ მას დასჯიან... კარგად კი მიდიოდა ყველაფერი: ერთი სული ჰქონდათ როდის დაირეკებოდა ზარი. სასწავლო წლის დამთავრების აღსანიშნავად სახლში მამის მიერ ნაყიდი პნევმატური თოფი ელოდებოდათ. დედის თხოვნას — ისადილეთო — ყურიც არ ათხოვეს და თოფიანად გარეთ გამოვარდნენ. ეზოს ბიჭები ალტაცებით შესცქეროდნენ თვითეული მათგანის ოცნებების საგანს. ახალთახალი თოფი შავად ბზინავდა. სასწრაფოდ მოაწყვეს სამიზნე და დაიწყო დავა საუკეთესო მსროლელის სახელისათვის. ეს საპატიო წოდება ცხარე ბრძოლის შემდეგ უფროს ძმას მიენიჭა. შემდეგ, შემდეგ ყოველ გასროლაზე გული ეკუმშებოდა. პირველმა მსროლელმა ნადირობა ისურვა და ეზოს შემოჩვეული ბელურები ერთი-მეორის მიყოლებით ცვიოდნენ ძირს. უფროსი ძმა თოფს ხელიდან არ უშვებდა. ნანადირევს კი მთელი ეზოს ბიჭები — მისი ამაღა — აგროვებდა. ესეც მოყირჭდათ და პირველმა მსროლელმა ნანადირევს დათვალა ბრძანა... თვალბზე ცრემლები მოადგა, როცა თავგახვრეტილი, დასისხლიანებული ჩიტები ერთად შეაგროვეს და

თვლა დაიწყეს... ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი... აქ კი ველარ მოითმინა. ცეცხლებული ეცა უფროს ძმას და მუშტები დააყარა.

— რით შეგიძლია იმართლო თავი? „თავი იმართლოს? რატომ?“

— ჩიტების გულისთვის საკუთარი ძმა ასე უნდა გაიმეტო?

დედის ხმაში საყვედური იგრძნო. ცოტაც და ინანებდა თავის საქციელს.

— დღეს სახლში დარჩები, კინოში არ წახეალ! — დედა მაგიდის გაწყობას შეუდგა.

ტახტზე მიწოლილი მამაკაცი ისევ გაზნეთს კითხულობდა.

გიოს ხმა არ ამოუღია. ან კი რა უნდა ეთქვა? იქნებ და მართლაც დამნაშავე იყო?

ვიღაც დაქინებით იმეორებდა ჩემს სახელს. როგორც იქნა, გამოვეგე და თვლი გვაეხილე. ბნელოდა. ცოლი პერანგისამარა წამომდგომოდა თავზე და მთელი ძალით მანჯღრევდა.

— კარგი, კარგი, ავდგები, — ჩავიბურტყუნე და ისევ დავხტე თვალები.

— ადექი, ახლავე ადექი, ვახტანგი უკვე მზადაა.

— ვახტანგი? ხო, ხო, ახლავე, ახლავე.

სწრაფად წამოვდექი და ჩაცმას შევუდექი. მხარზე თოფგადაკიდებული ჩემი ძმა იეჟანზე მელოდებოდა. მთის ცივმა ჰაერმა ჰინჯარით დამსუსხა. შემაერთოლა. ფრთხილად გამოვიხურეთ ეზოს კარი და ტყისკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს ავუყევით.

ხეობას სქელი ნისლი დასწოლოდა. ხეების მუქ კონტურებს ძლივკლივობით ვარჩევდით. სწრაფი სიკრულისაგან დაგვცხა. ნესტიანი, დამძიმებული ჰაერი სუნთქვას გვიშლიდა. წინ მე მივდიოდი. გზის დაკარგვის არ გვეშინოდა, რადგან რიყის ქვებით მოფენილი ხეობის ვიწრო ძირი კარგ მეგზურობას გვიწყევდა.

საათნახევრის სიარულის შემდეგ სამი მხრიდან კლდეებში მოქცეულ ჩანჩ-



ქერს მივადექით. იქ სადღაც მარცხნივ უნდა ავსულიყავით, კარგად დავმალულიყავით და განთიადისთვის გველოდნა. აქაურების თქმით, გარეული მტრედები საცაა უნდა მოფრენილიყვნენ წყალზე.

შეუმჩნევლად წამოგვეპარა სინათლე. ბუჩქს უკან მოკალათებული გარინდებული ვესმენდი ტყის ჩურჩულს. ტყე იღვიძებდა. ეს უფრო შევიგრძენი, ვიდრე გავიგონე. სინათლე მატულობდა და კლდეზე გადმოკიდებული პატარა ნაკადულიც სულ უფრო მხიარულად ჩხრიალებდა. ნისლი თანდათან გამჭვირვალე გახდა. მყუდროდ მოკალათებული იმაზე ვფიქრობდი, რომ ვერასოდეს ვერ შევიკლებდი იმის გადმოცემას, რასაც ამ წუთში განვიცდიდი. ხეების მუქი, ზღაპრული სილუეტები, შემდეგ უფრო მუქი გაურკვეველი აჩრდილები და ბოლოს რძისფერ ნისლში ჩაძირული გამოუცნობი იღუმალეზა...

ტყიდან ღუღუნე მოისმა. გამოვერკვიე. ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა. ასე სკოდნია პირველ ნადირობას. ყველაფერს სულ სხვანაირად აღიქვამ. მტაცებლური ინსტინქტი, საუკუნეების წყალობით ასე მოხერხებულად რომ არის ჩვენში შენიღბული, ერთბაშად იღვიძებს და ცხოველებთან გვათანაბრებს.

არის კიდევ ერთი რამ, რისი ახსნაც უფრო ძნელია. ცოცხალ არსებათა სამყაროს ზედა საფეხურზე მდგარ ჩვენს მოდგმას ყოველგვარი საჭიროების გარეშე და, რაც მთავარია, დიდი სიამოვნებით შეუძლია ხოცოს და ხოცოს სანამ ამის სურვილი ექნება.

თოფი მუხლებზე დავიდე და გავიბუსე. ღუღუნე სულ უფრო მკაფიოდ ისმოდა. ამასობაში ინათა კიდევ. ჩემს უკან თოფმა იგრილა. ზემოთ ავიხედე.

გარეულმა მტრედმა უმწეოდ დაეხრებოდა ფრთები და მოწყვეტილიყვნენ ზედ ჩანჩქერის ძირას. წამოვხტი და ძირს ჩასვლა დავაპირე, მაგრამ ძმის ხმამ შემაჩერა:

— არ გაინძრე!

კლდის თავზე თოფის ხმით დამფრთხალი მტრედების გუნდი წამოიშალა. ერთდროულად ვისროლეთ. ორი მტრედი გუნდს მოსწყდა და ძირს დაეშვა. დანარჩენები ჩანჩქერს თავს გადაეკლნენ და გაფრინდნენ.

— უკან აღარ დაბრუნდებიან, ძირს ჩავიდეთ.

ორი მტრედი იქვე ჩანჩქერის ძირში ფართხალბედა. გარშემო მიმოვიხედე ფრთამოტეხილი, დასისხლიანებული ფრინველი ტყისკენ მიხტოდა.

სანამ რაიმეს მოვიფიქრებდი, სროლის ხმა გაისმა და მტრედი ადგილზე გაქვავდა.

— ერთი ამას უყურე, გაქცევა არ მომინდომა? — ძმის შემწყნარებლურმა კილომ გამაღიზიანა.

მტრედს მოტეხილი ფრთა გაჩაჩხული დარჩენოდა. ნისკარტი ბალახებში ჩაერგო. რატომღაც ათიოდე წლის წინანდელი სცენა — ერთად შეგროვილი, დასისხლიანებული ჩიტები დამიდგა თვალწინ. მოჩვენება იმდენად ცხადი იყო, რომ დანაშაულზე წასწრებულივით გავჩერდი.

— გიო, რა დაგემართა?

— არაფერი, ისე.

ქედნები შევაგროვეთ და უკან გამოვბრუნდით.

ნისლი თანდათან აიყარა. მალე ყველაფერმა ჩვეულებრივი სახე მიიღო. ათიოდე წლის წინანდელი ზმანებაც ნელ-ნელა უკან იწვედა და ადგილს დღის სინათლეს უთმობდა.

ნ ი ს ლ ი

...ამ ზაფხულს იყო. მთელი კვირა ნისლი იდგა მთაში. რძისფერი, სქელი ნისლი. დამით ძირს ეშვებოდა, გაწვე-

ბოდა სოფელზე და ბნელში ჩაბუზნიდა. დილით ისევ აეხსნებოდა, მოათერთ-მონაცრისფრო ზოლად მალლა-მალ-



ლა მიიწევდა და ტყეებით აკინძულ მთის ფერდებს აშიშვლებდა.

ავედევნებოდი ყოველ დილით და მივდევდი. მინდოდა წამოვეწოდი, ხელი შემეხო, მეგრძნო. ის კი ვარბოდა. ნარნარით, ჩუმი, იღუმალი სიცილით და მეძახდა — ახლო კი არ მიკარებდა... ხელმოცართული ვბრუნდებოდი უკან.

და ერთხელ... არ ვიცი როგორ მოხდა, ან რატომ... წამოვეწიე. შევებრალებ ალბათ, იქნებ მცდიდა კიდეც. ეს კი იყო—წამოვეწიე. ის ჩემს ირგვლივ იყო, ჩემს გვერდით. შემექლო ხელით შევებობოდი. ის სულ ახლოს იყო, ჩემში იყო და ამან შემაკრთო. გაქრებოდა, ვიცოდი, უძველად გაქრებოდა, ლამაზ სიზმარივით. მე კი, მის სილამაზეს ზიარებული აღარასოდეს ავედევნებოდი იღუმალი ყინით აღვსილი. ჰო, ამან შემაშინა. ნისლი უთვალავი წყლის ნაწილაკი ვახდებოდა ჩემთვის და ველარაფერს მეტყოდა. და ყოველ დილას, ჩემს დილას, ლამაზი, ძალზე ლამაზი ფერი მოაქვდებოდა.

სველ ხავსზე ჩამოვჯექი. თითქო ზღაპარში მოვხვდი, ძველისძველ ნისლიან ზღაპარში. საკვირველი და უცნაური იყო ხეები, მიწაც, ბალახიც. და გრძნობა — რაღაც სახელდახელო ნარევი — შიშის, მოკრძალების და ტკივილისაც კი.

ნისლი იცრიცებოდა. სულ უფრო მკვეთრდებოდა ხეთა კონტურები, სულ უფრო მატულობდა სინათლე, შიში და

ყრუ, ჭერ კიდეც გაურკვეველი ტკივილი. ფიჭვის ტანს მივეკარ და თვალზე დავხუჭე. ველარაფერს ვხედავდი. ის კი აქვე იყო. მსუბუქად დაცურავდა ჩემს გარშემო. ფრთხილად—ძალზე ფრთხილად ველებოდა გარს ხის ტოტებს, ეფერებოდა. მერე მიწას მიუაღერსებდა და ისევ ჩემს გარშემო ირწოდა. ველარაფერს ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი ნაზ სუნთქვას და ვიცოდი, რომ ის ისევ აქ იყო, ჩემთან.

საღღაც კოდალამ მიუთაკუნა ხეს. სულ ახლოს გირჩი დაეცა — ციყვმა თუ გაირბინა ტოტზე. ჭიანჭველები ამოძრავდნენ ხავსში. ტყე იღვიძებდა. მე კი სულ ტყუილად ვემალებოდი რაღაცას, თავს ვიტყუებდი.

ტყე იღვიძებდა, თავის ცხოვრებას იწყებდა, ჩვეულებრივს, ყოველდღიურს.

„წავიდა. გაქრა.“ — კიდეც დიდხანს ვეწინააღმდეგებოდი ამ აზრს. ტყეში კი სულ უფრო მატულობდა ხმაური, სულ უფრო დაყინებით უთაკუნებდა ხეს კოდალა, სულ უფრო ცხადად ვგრძნობდი ჭიანჭველების პაწაწა ფეხებს.

წამოვდექი. საღღაც ჩხავილით წამოიშალა ჩხიკვების გუნდი. გათენდა.

სოფლისკენ დავეშვი. უკანმიხედვის მეშინოდა, მაინც შევბრუნდი.

მალლა, მთებს ნისლი დასწოლოდა. რძისფერი, სქელი ნისლი — მიუწვდომელი, იღუმალი და ლამაზი.

რუსიან ლონლაქი

მ ე ზ ო ბ ე ლ ი

იყო ერთი კაცი. ორი მეზობელი ყავდა. ერთი — ერთი მხრიდან, მეორე — მეორე მხრიდან. ზამთარი იდგა, თოვდა. ერთ სუსხიან საღამოს კაცმა ახალი

კოსტუმი ჩაიცვა, ფეხსაცმელები გაიბრიალა, სუფთა ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიღო და ცოლს უთხრა, სტუმრად მივდივარო მეზობელთან. ცოლმა უთხრა—

ასე რომ გამოეწყვე კარის მეზობელ-
თან ზომ შინაურულადაც მიხვიდოდით.
კაცმა უთხრა, მე ასე მინდოა და წა-
ვიდა.

მეზობელიც გამოწყობილი დახვდა.
მასაც ახალთახალი ფეხსაცმელები ეც-
ვა, ახალი ყელსახვევი ეკეთა. ორივემ
კმაყოფილების გრძობით შეხედეს
ერთმანეთს და ახლადგაწყობილ- სუფ-
რას მიუსხდნენ. მეზობელმა ცოლს ვას-
ძახა — ბუხარში ცეცხლი დაანთო.
ცოლმა ცეცხლი დაანთო, ცხელი ხაჭა-
პურები მოარბენინა და მეორე ოთახში
გავიდა. მეზობელმა შავი ღვინით პა-
ტარა ჭიქები შეავსო, სადღეგრძელო
დალია. სტუმარმაც შესვა სადღეგრძე-
ლო, ცხელი ხაჭაპური დააყოლა, მერე
ბუხრისაკენ გაიხედა, რა კარგად ანთიაო,
თქვა და მიჩოჩდა. მეზობელმაც ბუხრი-
საკენ გადაიწია, კიდევ ჩამოსახა. მოყვ-
ნენ ამ მთის და იმ მთის, თან ჭიქას-ჭი-
ქაზე უქაბუნებდნენ, ნიორწყალში ჩა-
დებულ წიწილას შეეჭყეოდნენ, დრო-
დადრო ბუხარში ცეცხლს უკეთებდნენ.

კარგად შეთვრნენ. უცებ მეზობელმა
ცერად შეხედა სტუმარს და უთხრა —
ყველაფერი-ყველაფერიო, შენ ჩემი
მეგობარი და ახლობელი ხარო; უნდა
გამოგიტყდე — შენ უკეთესი ცოლი
გეკადრებო. სტუმარმაც აღმაცერად
შეხედა მასპინძელს. მერე მეზობელი
მოყვა თუ რა იცოდა სტუმრის ცოლზე,
ბოლოს თქვა — შენ უფრო კარგი გე-
კუთვნოდაო და ჭიქა დაცალა, შემდეგ
კიდევ შეყვნენ, ბუხარში ცეცხლი ჩაქ-
რა, სტუმარმაც ბოლო სადღეგრძელო
დალია და წასვლა დააპირა. რა გეჩქა-
რებო, დააკავა მასპინძელმა, — ერ-
თიც დაველიაო. ერთიც დალიეს. მერე
მასპინძელმა სტუმარი ჭიშკრამდე მია-
ცილა, გამომშვიდობებისას აკოცა და
უთხრა, შემოიარე ხოლმეო.

კაცი თავის ჭიშკართან მივიდა და გა-
ჩერდა. სიგარეტი ამოიღო, ასანთიც მო-
ნახა, გააბოლა. მერე იფიქრა, ცოტას

გავისეირნებო და ნელი ნაბიჯით გაუქ-
ვა ზხას. ზხაზე რამდენიმე მანქანა უქ-
უროლა. კაცი მანქანებს თვალს აყო-
ლებდა. ზოგიერთ მანქანაში კაცი და
ქალი იჯდა... კიდევ გააბოლა და როცა
კარგა შესცივდა, სახლისაკენ მოტრიალ-
და. ჭიშკარი შეაღო. წინ თავისი ძაღლი
შეეფეთა. ფეხი მოუქნია, ყბაში მო-
არტყა. ძაღლი აწკმუტუნდა. კაცმა გა-
საღები ამოიღო, სახლას კარი გააღო.
ხმაურით შევიდა, ზედა სამოსი გაიძრო
და შუქი აანთო. ცოლს უკვე ეძინა. სა-
წოლთან მივიდა, მძინარეს დააკეცა.
მერე გაიხადა და მეორე საწოლზე დაწ-
ვა. ცოლს გამოეღვია, დაუძახა აქ მო-
დიო. ქმარმა ხვრინვა ამოუშვა. ცოლმა
კიდევ დაუძახა, მერე იფიქრა, ალბათ
სძინავსო, ადგა, სინათლე ჩააქრო და
ძილი გააგრძელა. კაცმა ლოჯინში იტ-
რიალა-იწრიალა, ვერაფრით ვერ დაი-
ძინა. მერე თვალეზი მოხუჭა, იქნება
დამეძინოსო. მაინც არ დაეძინა. გამოე-
ნის ადგა, ჩაიცვა, მძინარე ცოლს და-
ხედა და გარეთ გამოვიდა. მერე იფიქ-
რა, აქედან ფეხით რომ წავიდე, ჩემს
სამსახურამდე, გაათენდებო და წავიდა.

ერთი კვირა გავიდა. კაცი თავის
ცოლს თითქმის აღარ ელაპარაკებოდა.
ცოლმა ხან რა იფიქრა, ხან რა. კაცი
პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა და
არაფერს ჭამდა, სამსახურში ადრე მი-
დიოდა, იქიდან გვიან, ხან მთერალი
ბრუნდებოდა, ხან დადგრემილი. გავი-
და კიდევ ერთი კვირა და მას მეორე
მეზობელი შეხედა. მეორე მეზობელმა
ხან რა ჰკითხა, ხან რა. მერე უთხრა —
თუ გეცლება ხვალ საღამოს გამომი-
არეო. კაცმა თავი დაუქნია, მოვლო და
სახლში შევიდა: მეორე დღეს სამსახუ-
რიდან ფეხით წამოვიდა, მეზობლის
ჭიშკართან რომ მივიდა, კარგა დაღამე-
ბული იყო. თოვლი უკვე დნებოდა, ქუ-
ჩებიც ატალახიანდა. მან ფეხი გაიწმინ-
და შესასვლელთან, ზარის ღილაკს თი-
თი დააჭირა. კარი გაიღო, მეზობლის



ცოლმა მიიპატივა. მერე თვითონ მეზობელი გამოვიდა, ღიმილით შეეგება, მეგონა აღარ მოხვიდოდით და გაშლილ სუფრასზე მიუთითა, კიდევ კარგი არ ავალაგებინეთ. სუფრასზე მქადები, რამდენიმე თავი კერძი და წითელი ღვინით სავსე ბოთლები ელაგა. ორივენი სუფრას მიუხსდნენ. მეზობელმა ღვინო გათლილ ჭიქებში ჩამოასხა, სადღეგრძელო დალია. სტუმარმაც შესვა. ცხელ მქადს ყველი მიიჭამა. მეზობელმა მეორეც ჩამოასხა... მოყვენენ სადღეგრძელოებს, ჭიქას ჭიქაზე კლიდნენ და კარგად შეზარხოშდნენ. მერე მეზობელმა ჭიქა ასწია, ამ ჭიქით ჩვენ ცოლებს გაუმარჯოსო. სტუმარმაც არ დააყოვნა. მასპინძელმა კიდევ შეავსო სასმისი, სტუმარს ირიბად შეხედა. ცოტა არ იყოსო და ეგ რა სათქმელიაო, მაგრამ შენი მეზობლის ცოლი არ მეპიტნავენბაო, ისე კარგი ხორცშესხმული ქალიაო, მაგრამ მაგაზე ცუდი ხმები დადისო. მერე მოყვა, რაც გაეგონა. კიდევ დალიეს წითელი ღვინო, ზედ მწვადებიც დააყოლეს და როცა სტუმარმა ადგომა დააპირა, მეზობელმა უთხრა, რა გეჩქარებაო, შენ ხომ ჩემი მეგობარი და მოყვარე ხარო, ერთი ბოთლიც დაგველიაო. ისიც დალიეს, ცივი მქადი და ყველი დაატანეს. მეზობელმა სტუმარი გადაკოცნა, შენთან ლაპარაკი კარგიაო, კიდევ მოდიო უთხრა და დაემშვიდობა.

კაცი გარეთ გამოვიდა. ღობესთან გაჩერდა. სიგარეტი ამოიღო გააბოლა, მერე ნელა შეაღო ჭიქარი, შევიდა. წინ ძალი დახვდა, კისერში ფეხით მოუთათუნა, ძალი აწკმუტუნდა. სიგარეტი ჩააქრო, გასაღები ამოიღო და კარები ფრთხილად შეაღო. სახლში სინათლე ენთო, ცოლი საწოლზე იჯდა და

ჩუმად ტიროდა. მან ზედა სამოსი გავიწმინდი, ცოლს მიუხსლოვდა. ცრემლიანი თვალებით შეხედა ქმარს. კაცმა თავზე ხელი გადაუსვა. ცოლმა კიდევ შეხედა. კაცმა ისევ გადაუსვა ხელი და აკოცა.

გავიდა ერთი კვირა. კაცი სამსახურიდან დროზე მოდიოდა, ცოლსაც ეფერებოდა, მაგრამ ხასიათზე არ იყო, ზამთარი გავიდა, მზემ ძალა მოიკა, ბალახმაც ამოყო წვერი. კაცი შინც უგუნებოდ იყო. ერთ საღამოს, როდესაც სამსახურიდან დაბრუნდა, ცოლს უთხრა: მოემზადე, ხვალ სხვა ქალაქში გადავდივართ საცხოვრებლადო. რატომო, გაიკვირვა ქალმა. ის ქალაქი უფრო მოშწონსო, თქვა კაცმა. ცოლი დაფაცურდა, ბარგის მზადება დაიწყო.

მეორე დღეს კაცი სამსახურში მივიდა, განთავისუფლებაზე განცხადება დაწერა, დირექტორს მიუტანა. დირექტორმა განცხადება წაიკითხა და ძალიან გაუკვირდა: თუ განთავისუფლება გინდოდაო, ორი კვირით ადრე უნდა მოგეტანაო. მერე გაუღიმა, თქვენისთანა კაცისათვის ყველაფერს გავაკეთებო და განცხადებას დააწერა — განთავისუფლეთო.

კაცი თავისი ოჯახით სხვა ქალაქში გადავიდა. გაზაფხულმა ფეხი მოიკიდა. მთა-ბარმა ტრელი სამოსი ჩაიკვა. დათბა. კაცი ხასიათზე მოვიდა.

ერთ მშვენიერ დილას სამსახურში მიდიოდა. წინ მეზობელი შეხვდა, ერთი გზა გვექონიაო — გაეხარდა მეზობელს. გზაზე რა არ ჰკითხა, ხან იმ ქალაქისა, საიდანაც კაცი ჩამოვიდა, ხან სამსახურისა, ხან ცოლისა და ხან ძაღლისა. ბოლოს უთხრა, თუ გეცლება, ამ საღამოს ჩემთან გადმოდიო...

დ ე ლ ა

ორი დღეა, რაც გამოვიდა ტამშუში-დან. ყინვა მატულობდა. ტუბოლანგის ტალღებმა ღია ნაცრისფერი გადაიკრეს. მის თვალწინ ჩამოთოვა ჰისარიის მწვერვლები. გუშინწინ კი ყიშლაყამდევ ჩამოაღწია და ნახევარ მტკაველზე მოჰკიდა. ჯერ აქ ეგრე ადრე თოვლი არ მოსულაო, ირწმუნებოდნენ ტულუბის სახელოებში ხელბშეყოფილი უზბეკი მწყემსები და მოელმო თვალებით ტყვიისფერ ცას შესცქეროდნენ.

თოვლი ფეხდაფეხ მოსდევდა. ამ ორსამ დღეში თუ არ ჩააღწევდა დუშანბეში, შეიძლება დიდი თოვლები და ქარბუქები დაეჭირა და მერე უფრო გაუძნელდებოდა სიარული.

დღე-ღამეში ხუთ საათს ეძინა. დანარჩენ დროს გზაში ატარებდა. სუნთქვა ქირდა. ტვირთი დღითი დღე მძიმდებოდა. ქანცი გაუწყდა. დილას აქეთ ნებისყოფის დაძაბვითა მოდიოდა. მერე ისე დაიღალა, ყველაფერმა დაკარგა აზრი: მოგზაურობამაც, ნებისყოფის ქონამაც და ზვავების საშაშრობებამაც.

ჰაერის გაიშვიათებისა და დაქანცულობისაგან მოთენთილი გული საწყალობლად ფეთქავდა. ფეხები ლოდებივით დაუძმძმდა. რიუქჯაკის ღვედები საცაა კისრის ძარღვებს დაუწყვეტდნენ. სხეულიცა და გონებაც ერთ რასმე ითხოვდა — დასვენება!

კოწოლაზე შეჩერდა, ოღროჩოღრო, ზურმიანსა და გრაკლიან ფერდობს გვერდულად ჩაჰყვა და ქარისაგან მოფარებული ადგილი მოძებნა. ღამის ათი საათი გამხდრიყო. გვარიანად ჰყინავდა. სიბნელეში ხორხოშელა ცვიოდა. დაშაშრულ ხელებზე წვა იგრძნო. საძილე ტომარაზე წამოსკუბდა და ჩაის ხვრება დაიწყო. მწვანე, არომატული ჩაი იყო, ყიშლაყამი დაუყენეს დედაკაცებმა. შილა-ფლავი და ყალიც უსაგზლეს, მაგრამ არა ჰმიოდა. ჩაის რომ მორჩა,

თერმოსი შეინახა და ბარგს მიუბრუნდა. საძილე ტომარა ისე გაშალა, რომ დაღლილი ფეხები ლოდზე შეეწყო. მალევიძარა ხუთ საათზე დააყენა და თავით, რიუქჯაკის ჯიბეში ჩადო, მერე გაიხანდა ყელიანი ტუფლები და საქამრემდე შეძვრა ტომარაში. მარცხნივ ჩინური ფარანი მოიღო, მარჯვნივ შიშველი ხანჯალი (რაც პამირზე მძინარე მეგობარი ირბისმა დაუსახიჩრა, მთებში უხანჯლოდ აღარ გაუვლია). სიბნელეში ერთი-ორჯერ მოსინჯა ფარანი და ხანჯალი. მერე შეიკრა დუგმები და ჩაითბუნა. კმაყოფილების ღიმღს ვერ იკაევბდა: მთელ თავის მოგზაურობას გადაგებულ ამხანაგებში ამნაირი საძილე ტომარა არავის ჰქონდა: შიგნიდან ჰვედილის ტყავი გამოაკვრევიანა, გარედან — ორმაგი კაპრონი. მართალია, წონაში მოიმატა, მაგრამ, სამაგიეროდ, საყინულეც ვერაფერს დააკლებდა და ზედ წარღვნას რომ გადაეკლო, ძაფიც არ დაუსველდებოდა.

ხორხოშელამ უმატა. ჯაგებში ქარი ზუოდა.

დედა გაახსენდა. ეს ამ ბოლო ხანებში დასჩემდა: როცა უტებო მხარეში მოგზაურობისას სადმე უადგილო ადგილას მიეგდებოდა ღამის გასათევად, დედა დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ. ცდილობდა მეგობრებზე ან საცოლეზე ეფიქრა იმ დროს, მაგრამ ვერ ახერხებდა: სულ მძინარე, დაღლილი დედა ელანდებოდა.

ბიჭს უამურ გრძნობებს უშლიდა მძინარეთა სახეების გახსენება, მაგრამ დედამ განსაკუთრებული ძილი იცოდა: დაღლილი სახე რაღაცნაირად უნახდებოდა, ნაოკები უდნებოდა, უსისხლო ტუჩებზე ისეთი უმანკოება ეფინებოდა, თითქო ლოცულობსო. ფშვინვა და ხვრინვა რას ერქვა? ისეთი წყნარი სუნ-



თქვა იცოდა, შიშისაგან ხან სისხლი გაპყინებია.

გამოღვიძებას არ იკითხავთ ახლა? დედამიწის ზურგზე დედასავით ლამაზი გამოღვიძება არავენ იცოდა. უღროოდ გამოღვიძებისას ზოგსავით ტუჩების წკლაპუნს, თვალების ფშვინეტას და აბღუბდა ტუტუნს კი არ მოჰყვებოდა! საოცარია, სულ მცირეოდენი ხმაურიც კი არ იყო საჭირო, რომ ნამძინარეგს შვილის დაბრუნება ეგრძნო. რაღაც სასწაულებრივი ალღოთი გრძნობდა ბიჭის მოსვლას. როგორც კი გაახელდა თვალს, სულაც არ იბნეოდა. — უცებ ეჩვენებოდა მდგომარეობაში და საჩუხის კუთხიდან მოისმოდა აკანკალებული, ალერსიანი ხმა:

— მოხვედი, შვილო?

ის კი, მეორე ოთახისკენ ფეხის წვერებზე რომ მიიპარებოდა, შეკრთებოდა, მერე დედასთან მიდიოდა და შუბლზე ჰკოცნიდა.

დედა წამოიწვედა ლოგინიდან და ჩართავდა ელექტრონს. საოცარი სახე უხდებოდა იმ წუთში: ძილის კვალი უცბად უქრებოდა, დარდიან, ნაჭაფვე სახეს ცინცხალი ედებოდა და თვალები, ახლადგაღვიძებული ადამიანისგან განსხვავებით, ჰკვიანურად და დავიკრვებით იმზირებოდნენ. კაცს ეგონებოდა, კი არ ეძინა, თავს იმძინარებდა და შვილის გამოჩენას ელოდაო.

ასეთ მომენტში ბიჭს ტირილი უნდებოდა, მაგრამ თავს იკავებდა.

დედა ჩამომჰკნარ მხრებზე შალს მოიგდებდა, ფლოსტებში ფაციფუციტ გაჰყოფდა ფეხებს და ელექტროქურაზე წყალს შემოსდგამდა. მერე ნამზითვარი სპილენძის ტაშტით მოუტანდა ცხელ წყალს და ფეხებს ჰბანდა. ბიჭმა იცოდა, ფეხების ბანვისას როგორ ეალერსებოდა, იცოდა, დედისათვის ამაზე დიდი ბედნიერება აღარაფერი იყო და არასოდეს უძალიანდებოდა, ყოველთვის აბანინებდა.

მერე იძინებდნენ.

მეორე დღეს კი, ნასაუზმევს, ბიჭი აღუღალავად უამბობდა შორეულ მხა-

რეებზე, უდაბნოებსა და ჰიდროელექტროსადგურებზე, გაუვალ კაობებსა და ტაიგებზე, მყინვარებსა და ქიმიურ ქარხნებზე, სხვადასხვა ხალხის ზნეჩვეულებებსა და ადათებზე.

და ეს გაუნათლებელი გლეხის ქალი, რომელიც რაიონს არ გასცილებოდა, საოცარი ცნობისწადილით ისმენდა ყოველ სიტყვას. ხან ბავშვივით იცინოდა, ხან კი შიშისაგან თვალები უფართოვდებოდა.

ხელი გაინთავისუფლა, პირბადე გადაიწია და ფარანი აანთო. ზეავრიელად ბარდნიდა. მოზუზუნე ქარი წადმა-უკუდმა ატრიალებდა თოვლის ფანტელებს.

„რომ დამინახოს, სადა ვგვივარ, ტირილით მოკვდება. ამას არც მოვუყვები, — გაიფიქრა და ისევ გაისწორა პირბადე, — უნდა მიმეწერა კი... თუმცა მიწერა რად უნდა, რაკი საშვიდნოემბროდ ვერ ჩავედი, ისეც მიხვდება. იცის, რომ ვერ მოვისვენებ, იცის“...

დედამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ არ ერეოდა შვილის საქმეებში. თავის დღეში სასაყვედურო სიტყვა არ დასცდენია, თუმცა სანამ ბიჭი მოგზაურობიდან საღ-სალამათი დაბრუნდებოდა, მანამ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკოდა და სულ ელდსა და ავის მოლოდინში ათენა-ალამებდა. და მანც გზათუჟან ამდენ ხეტიალზე არც ერთი საყვედურო, არც ერთი ნართაული სიტყვა, არც მუღარა. არც ჩაციება, არც წუწუნი.

ბიჭს ეს როდი ახარებდა: ასე არანორმალურებს ექცევიან. (გიყი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებას!).

დედა გუჟანით ხვდებოდა, რომ შვილს რაღაც განეზრახა და შიშობდა ხელი არაფერში შეეშალა, მიზეზი არ გამხდარიყო. მხოლოდ ხვდებოდა და მეტი არაფერი! ბიჭი კი არაფერს უმხელდა, ანდა რას გაუმხელდა, როცა საკუთარ თავსაც კანკალით უტყდებოდა...

ქარბობოლამ ზუზუნით გადაუქროლა ფერღობს.

„არა, მანც უნდა მიმეწერა, ერთიც ვნახოთ“...

თვალწინ დაუდგა ნათხოვარი მაგი-
დებით და სკამებით გავსილი დერეფანი.
ეზოს ჩაქში გრძელ ზედადგარზე გამწ-
კრივებული აოხშივრებული ქვაბები და
კედელზე აყუდებული კუბო. ოთახი,
სადაც დედა ასვენია, ჭირისუფლებითაა
სავსე. სამზარეულოში კი ნათესავეები
შეყრილან და მას თათხავენ: სად არის?
რას დაეთრევა? როგორ გავაგებინოთ?
შვილმა მიწა ვერ მიაყაროს?

რამდენიმე კაცს თბილისში გაგზავ-
ნიან. სტუდენტალაქში კითხვა-კითხვით გა-
იგებენ ჩემს ადგილსამყოფელს. არ შე-
იძლება არ გაიგონ, მიახლოებით მინც.
ბიჭებმა იცოდნენ, საით ვაპირებდი. ვინ
იცის, იქნებ ისევე ყრია ქაღალდის ნაგ-
ლეჯები, რაზედაც მარშრუტს ვაზუს-
ტებდი და პუნქტებისა და მდინარეების
სახელებს ვკლავნიდი.

ისინიც დუქინობით გამოაგზავნიან

ელვადებეშებს. მაგრამ ვინ იცის, რომ
აქა ვარ, ან გინდაც იცოდნენ, რომელი
ფოსტალიონი ჩამიდგება კვალში.

და ეს ტელეგრამები დიდხანს ეყრება
სადმე კოკანდოს, კრასნოვარდისკის,
შირაბადის, ბაისუნის, დეჰკანაბადის
ფოსტებში. ეყრება მანამდე, ვიდრე არ
წაიკითხავენ და არ გაიგებენ, რომ დიდი
ხნის ვადავასულებია და მათ არავითარი
მნიშვნელობა აღარა აქვთ. მერე დამშ-
ვიდებული სინდისით დაჰმუჭნიან და
მავთულის საქალაქში გადალუქავენ.

რა თქმა უნდა, ასე იზამენ, რა თქმა
უნდა... რა... თქმა... უნდა...

თვალეზა ცრემლებულს მიეძინა.

ცამ გადაიკარა. თოვა შეწყდა. ყინვამ
უფრო მოუჭირა. გაღმა, კოწახურიან
ფერდაზე ტურები აღნავლდნენ.

ბიჭს დედა და ირბისები ესიზმ-
რებოდა.



მეზარა კვირეული სალაშქრო

პოეზია

ამ მცხეთელი ბიჭის სამარხი ბებრის ციხის მახლობლად აღმოჩნდა. სიგრძეზე გაღრმავებული ხარის თავ-ფეხის გვერდით 15-16 წლის ყმაწვილის ჩონჩხი მოკუნტულიყო. პატარა მწყემსისთვის მრავალი ნივთი ჩაეტანებინათ. ძვირფას მძივებთან ერთად ნახეს გარეული ტახის ეშვი და იშვიათი ოსტატობით ნაკეთები მცირე ზომის (12 სმ) ძვლის სალამური.

ყმაწვილობიდან არ მასვენებდა ამ გაუხარელი მესალამურე ბიჭის ბედი, თან მდევდა მისი უთქმელი სიმღერა, გულში დაუტყვევლი მწუხარება.

მწამს — მიწაზე მოსიარულე — ის იქნებოდა არნახული სილამაზის, უფრო ფერსავსე და დიდებული, ვიდრე ქართლის ტრამალეები აღრიან შემოდგომაზე, როცა ნაპურალში ჩაბუდებული მწყურის ჭკითქვითი ჩაგვისის.

ალბათ არ იწყენდა, რომ მისი უცოდველი სამარე ჩვენმა დიდმა დრომ შეაწუხა — უეცრად დაურღვია ოცდათხუთმეტი საუკუნის ძილი. სინათლეს დანატრებულმა, ახალი მზე, ახალი მცხეთის ცა დაინახა, ისევ მოეფინა მისი შეწყვეტილი სუნთქვა დღევანდელ საქართველოს.

დღეს, როცა მანქანების ნიაღვარში ქუჩის გადაკვეთა კირს, ასფალტზე დაბჯენილი ელექტრობურდი ფლეთს ზურგზე დატოტილ ნერვებს, მიწოდდა მისი ხმა გამეგონა, დროის ოკეანეში ჩაქარგული.

ზაფხულის ცაზე, „დიდი დათვის“ ფეხრთით ჩამოსვენებულ „მენახირეს“ როცა შევხედავ, ყოველთვის ის ბიჭი მახსენდება; ალბათ მახარე ერქმეოდა — უძველესი ქართული სახელი მეჭოგის, მწყემსის. თვეებიდან ყველაზე მეტად მაისი ეყვარებოდა, გაბნეულ ნახირს რომ მოუხმობდა შავი ბუკით გადმომდგარი.

მისი უმშვენებრესი ნივთი, თეთრ-ყავისფრად დაქორფლილი სალამური, დღეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. „გედის ძვლისაა, ამ სალამურზე დაკვრა ახლაც შეიძლება“, ასე ეუბნება ცნობისმოყვარეთ მუზეუმის თანამშრომელი გოგონა.

თითო ნაწილს შუშის კედლებში მოქცეული ღვთაებრივი საკრავისას თითო ქება ერგო — თორმეტი ბუდე მზის, თორმეტი სიმღერა; ებრძვის სამარეს, დაეიწყებას.

დალუპული მწყემსი ალაგ-ალაგ გაიგივებულია მცენარეთა უძველეს ღვთაებასთან; ზოგიერთ თავში ადვილად შეიცნობა ველური ტახისაგან დაფლეთილი ადონასი. მითოლოგიურ ელემენტებს ჩვენი ხალხური პოეზიის მოტივები ენაცვლება. ამ ბიჭის სა-

ხეში ვხედავ დედამიწის სინორჩეს, ბუნების მარადიულ განახლებას.

ეს სიმღერები არის წუხილი ყველა უდროოდ განწირულ უსაზღვრო სურვილი მათი ამ ქვეყნად დაბრუნებისა. ესაა სურვილი — აღამიანთა, ძლიერი მოდგმა ცხელი სისხლითა და სავსე გულით ბრუნავდეს დიდი სიცოცხლის დაუსრულებელ წრეში.

1. კვირა დღე მუზეუმში

„შეცირეს ვიყავ მე ძმათა შორის ჩემთა და უმრწემეს სახლსა შინა მამისა ჩემისა, და ვმწესიდი საცხოვართა მამისა ჩემისათა, ხელთა ჩემთა ქმნეს საგალობელი, და თითთა ჩემთა განაგეს საქებულო“.

მყუდროა ჭერი შენი პალატის, ისევ გჭირდება მოვლა და დაცვა; უნდა გავიგო, რასაც მალავდი, — შენი ლანდი ვარ და შენი ხმაც ვარ.

ჩვენ შორის მკვდარი ქვების ყორეა, დანომრილია ცივი სტენდები... ის დღე, ის წამი ისე შორია, ჩემს გარდა არვის გაახსენდები.

ნიჟარასავით დაცლილს და მჩატეს შევეკურებ, მნუსხავს წმინდა საკრავი... დრო გარე უვლის და ქვესკანელს ჩადის, ყოვლის მომრევი და დაშწაგრავი.

მონუსხულია დარბაზი გრილი. სვეტები გრძნობენ მთვარის ავსებას და სალამურის სამივე ჭრილი სამად გადახსნილ ცას ეთავსება.

აცეკვებული ღვთაებრივ ჭინით, შენი თითები წარმოვიდგინე, მერე თვალები წარმოვიდგინე, ასჯერ მოკლული გული ვიტკინე.

აქ საზღვარია. ქვეყნის კიდეა... გაწევა ჩარჩო და სუნთქვას გიშლის. აქ შენი ხარის თავი ჰკიდება, ბრინჯაოს შუბლზე სამკუთხა ნიშნით.

მტვენებასხმული, აღარსად ჩანან ურცხვი მხლებლები დიონისესი; დავიწყებით ვენახი, ყანა... გამქრალან, ალბათ იყო მიზეზი.

თითონ აქ არი. მძლავრი სხეული ითხოვს შენდობას და გამთვლებას... იცდის სურვილი გვამს გაღწეული, რომ დაიბრუნოს ძველი ცხელება.

აქ, ამ მიწაზე, ამ სამფეხაზე იხარშებოდა მსხვერპლი ღმერთების, ცაში ავლებდა ცეცხლი წრეხაზებს, ახლა ნახშირთან თუ შეჩერდები.

დამხობილია ძველი ჩამური, შუშის გაღაღმა დევს საცეხველი. თავდება შენი გზა უამური, — გაუჭრელ ბინდში მარტო შეხველი.

არ გავექცევი იმავე ტკივილს, რითაც გულ-ღვიძლი ამოგდაგვია... ეცემა სარკმელს იგივე სხივი და საძოვრებზე შენი აჭევა.

ერთი სიცოცხლის განახვერებას მოვესწარ. ტყვიის გამოჩნდა ზღურბლი... ბერავენ ნეკნებს დევის ქვევრები, — კიბეზე ვხვდები ძველისძველ ურბნისს.

დაქანებული ნამგალი, ცელი... ძველი ურემი, ძველი აკვანი. ასი ათასი დამდნარი წელი. ძველი სოხანე და ფილაქვანი.

ძველი მძივები. ქვის სიმღერები. ჩაშავებული და გაფოთლილი



სპილენძის თუნგი... შუბის წვერები...
ნაღვტი რკინა, რკინით მოთლილი.

ძლივს ვისხენებ... აქ მელო ბინა;
დაბადებიდან ამ ტყეს ვებარე, —
ამ ვერცხლის თასზე, მქრალად რომ
ბზინავს,
ამაოდ მისდევს შველს მეძებარი...

მე ვმარხულობდი. უნდა მეხილა
სული ჯურღმულში გამოკეტილი.
უნდა მენახა, მხარმოტეხილი,
ვესპასიანეს თეთრი კედელი.

და მაინც მისკენ გამირბის თვალი, —
უცხოდ ნათალი და ნაკეთები
დევს სალამური. შენ გიცდის. მალე
აიშლებიან თეთრი გედები.

2. გაჯაფხულის მოხმოვა.
წადილი შინი ბაცოცხლავის

აღვის ტოტიდან გაშვებულ ხელზე,
სხივზე, რომელიც არასდროს მოვა,
იმ დამდნარ გულზე,
იმ გამჭრალ ყელზე
დამწუხრებული მე ვიწყებ გლოვას.

მეჩვენე. უნდა გნახო მღვიძარი.
შევთხოვ ცის უბეს, ღამით მოწველილს.
სული უღრუბლო, თქვი, ვისიც არი,
ვიწყებ ვედრებას,
ვარ შემლოცველი.

ამ წყაროს ფსკერზე შენი სახეა.
რას ნიშნავს ღერო — წითლად აქნილი
ან ეს ბალახი რა ბალახია,
მიწას გაკრული და დაკლაკნილი.

ემდური გამჩენს და როგორც ნავზე,
გაწოლილი ხარ საკუთარ მკლავზე,
არ გეკითხება ხმაური ქვეყნის,
არ გეკარება მტვერი და ხავსი.

ვის დაუტოვე იმედი მცირე...
რა მიგიღია სამარის გარდა.
დიდხანს გეძინა წაქცეულ ხართან,
დალეწილ ხართან,
შენს ნისლა ხართან.

მაგრამ დღეიდან შენ აღარ გძინავს,
გიცდის ქვეყანა. ბედი ეძიე,
გაუხარელი დასტოვე ბინა,
გადაქანებულ მზეს დაეწიე.

დღეიდან ირბენ, გორიგორ ირბენ;
ბადე მოქსოვე,
ჩელტი დაწანი.
შენი იქნება ნოსტე და დირბი,
დაგძირავს ფრონე და ალასანი.

მოსკდა ლანქერი. იფიქრებ-ყვესო.
გადაგიდგება, გამოსულს კენტად,
აცოცებული ჟანგისფერ მთებზე,
ის გაჯაფხული, თვალებს რომ გტკენდა.

მიწა მფარველი შენ გადახანი,
ამოარღვეე შავი ბელტები.
შენს თმას გაუდის ველად ლღანი,
ახლა მღერისარ,
ახლა სველდები.

ჩაპბერე,
ყველა ყვავილი ქართლის,
მაგ წინდის ყელზე აცოცებულა.
ბუხარში თბილი ტრიალებს ჭვარტლი,
შენი ხარ-ძროხაც გაცოცხლებულა.

გაცოცხლებულა, გეძებს და ბლავის,
გიცნეს,
თვალებმა ცეცხლი გაყარა...
მზეზე გაბრწყინდა რქები და ტყავი,
ზმუის ნახირი შენს გასახარად.

ერთგული ძალი ელის ნამუსრვეს.
კუპრის შხეფები ველარ შემურავს
შენს შუბლს და ბეჭებს,
შენს სალამურზე
შვიდი ვარსკვლავი გამწკრივებულა.

დაგიწყვეტია თასმები ძილის.
წრიალებ,
ქედი მოგაქვს ხარულად.
ქვეყანა — შენი სარგო და წილი
ამოზიდულა და დაღარულა.

საით წახვედი, სადა ხარ — მამცნე,
შენკენ წამოვეყვე სამყურას ნამცვრევს,

ბოლოს მოგანო,
შენ რომ იჯექი,
იმ ალვის ხეზე მეც მინდა ავძერე.

მინდა შენსავით გადმოვიხედო.
სამზეოს თვალი მოგავლო ხარბად.
ვიგრძნო სიმაღლე დაშლილ ციხეთა
და გავყვე თეთრი ღრუბლების ფარფატს.

გ. „მარჯული“. ზაპრი მოზვიარი იფიპო.
ნაბა — შენ გიცდის...

ჩაჩოქილია ბნელში მერწყული,
ვერ ზიდა კასრი და სახეს მალავს.
შეციებული და დანერწყვილი,
ნაზამრთალ წყლიდან ამოდის ჭალა.

რეცხავს მიწის გულს და წითელ ძირებს,
მიუკვლეველი ღებება მადანი,
ამოდის წყალი, ნაპრალი მცირე
ყოფნის გაქონოს და გაატანოს.

ახლა ლაფშია შენი ახორი,
შენი ხარო და შენი საღორე,
გატრუნულია თხილის ღობესთან
ღამე, ლანდებით ამოსაყორი.

მიცურავს ხომლი — კანაფის თესლი —
იშლება,

გზა ვინ გაიგნოს მისი.
მიჭირს ადგომა და ბნელში შესვლა,
რემ დამით შენ რომ გიჭირდა, ისე.

გაგროვებ, ვარჩევ თეთრსა და წითელს,
ვარსკვლავთა ჩრდილებს, წყალში
ჩარჩენილს...

ვეცოცხლობ, მჭირდება კიდევ და კიდევ
იმედი ყოფნის და გადარჩენის.

განათებული წისქვილი, რიყე.
ყრუ ნაბიჯები... დახრილი ტოტი...
ცა დართვილული ცის გულში იხვეს
და სიმაღლიდან შენი ხმა მოდის...

„ძილის ქვეყანას მივამურე,
მინდოდა — ტყვეს შევფარებოდი,
მინდოდა — თავი შემენასა.

გაი საბრალო მამაჩემო,
წელში გამწყდარი დამეძებდი,
წვერმოშვებული დამეძებდი,
ხმა არ გაგეცი, ვერ მომაგენ.
ტანზე ჭინჭარი დამეხვია,
შამბი და ჭაცვი დამეხვია,
რას მიპოვიდი, რას მნახავდი.
ყოველ მომავლეს ჩემსიმაღლე,
კედლები თიხით ამოლესეს,
არ ითქმის ჩემი ვეგბანი;
თითო მოსვერი მეკარგება
ნადირის თითო ჩამოვლავს.
ვინც მე დამაგდო სამოწყალოდ,
ვინც საამდღოდ გამიმეტა,
ქვა დასცემს თავქვე ჩამომავალს,
თავპირი ლახტით გაეპობა“.

●
შენ ხარ ზვარაკი, მაგრამ ადრეა,
ძელზე იქავებ რქებს, წყვილად ნაყარს;
სატევეარს ჯერ არ გაუღადრია
შავი კისერი,
ამაყად დგახარ.

მოსწორებული ზრიალებს სუფი, —
მუხლისთავებმა უნდა გაგლისონ
წითელი მიწა და დადგეს გუბე, —
რომ შენი ქედი მოისაკლისონ.

მაგრამ ადრეა, უტეხი, ქუში
იდექი, ზმუილს თავი ანებე,
არ მოიყენო ყვითელი დუქი,
არ გაიკარო ავი ზმანება.

ჯერ უნდა მთვარის მინდვრები მოხნა,
ცალ ყურს ატოკებს საშენო დეკნა,
თივა აბურდუ და ჩალა ცოხნე,
ჯერ უნდა მარტის ბალახი ჯგენო.

შემოცვეთია დამეს კიდენი.
ისიც დაბრუნდა. ეყო, რაც ტანჯეს.
სახრეს დაიქნეს, წინ გაგიდენის,
ენდე ამ ბიჭის გულსა და კანჭებს.

მიწაზე, ცაში ვრთად იარეთ...
ეს ხიდი შენთვის გადეს და ჭედეს
ცეცხლის ხელებმა. ხარ მოზიარე
სისხლით და ცრემლით დაწერილ ბედის.

4. „თეზი“. პირველი გამოცემა.
მდინარე ხინჯლის დამდარი ზარები
ჩამოატარა...

რქა ყარა თესლმა, საფარველს იძრობს:
არ ჭამოს ობმა,
არ იქცეს ნაცრად.
ველარ აკავებს საკანი ვიწრო,
დამბალი ზურგით ბელტები დაძრა.

და გასრიალდა მიწა სოფელი —
უფლის წყალობა, ჩვენთვის ხილული,
ბალახის წვერით ამოქსოვილი,
ამოკემსილი,
გულდაცხრილული.

წყალში ჩაშალა ვერხვმა ძაფები,
ქვესკნელის დევედით შენც დაიძარი;
ფესებში გამჟღარ წვეს ეწაფები —
გახარებული, თეთრი, მღვიძარე.

ქვებს დასდებია დუყი და ლოპრი
და ამღვრევს ნაპირს თიხა ნალევი.
ზე ამომხტარი ყვითელი კობრი
მზეს ეჩვენება, ქრება მალევე.

„ბედნიერებაე, შენ ხე ხარ მეწლე,
შენ მეწყერი ხარ, —
ფესქვეშ მეცლები;
ცოდვა გახსნია, შენ რას არ შეძლებ,
მიგაქვს სიმშვიდე და სარტყლები.

კარზე მომდგარი, შენ ვის არ შეშლი,
ვაშლის ყვავილის რა სიმრავლეა...
სად გორავს შენი მაცთური თესლი,
სიკეთეს შენსას ბნელი აჯლია.

ვაი, ვინც გეძებს და გეტანება...
დაუქერელი შენ ხარ ფრინველი,
აუხდენელი შენ ხარ ზმანება,
სისხლის შემკრავი და გამყინველი“.

ასე ამბობდი იმ ტანჯვის მერე,
ნელდი ჩრდილებით პირს იბურავდი...
ძლივს იხსენებდი დამარხულ ბგერებს,
ძლივს გაარჩიე ძველი სურათი...

ნაშავებულა ნახირი გზაზე.
მოშვებულია ჭიშკარზე დღლეჭი.
ყურჩამოყრილი დგანან ხარები.
ტყის სუნი ასდის ხერხემალს, ჩლიქებს...
მტვერში, აქა-იქ ამოჩრილ ქვებზე,
ისვენებს შავი ნაფხურები...
ერთი ხმა, ერთი მოქნევა შოლტის
და დაიდრება ნახშირგადაკრულ
წითელ მდინარედ. საღამო გრილი.
გახეხილ ქვებზე, ნაძვის ტანივით
მოქნილი, მუქი სრიალებს თევზი
და პირველი დღის შუქი დაყვება
მუზარადივით მორკალულ სრტილებს,
ჩამოქნილ ყბებზე. ეს მზეა თითქმის —
ბრტყელი და ცივი და ცისარტყელას
მუნჯი წრეებით დატყვევებული.
სუნთქავს და წყავის ფოთლებზე მძიმეს
კეცავს ლაყუნებს, პირს აღებს შავად.
შავი ფსკერისკენ გზავნის გუმანი,
დამის ხავერდი ერხება თავზე.

ახლა კი გეტყვი, წითლო ვერძო,
დროა დატოვო ნაბინაჯარი,
ცეცხლის წრე უნდა ზომო და ძერწო,
იჩქარე — ტახტი ვიცდის მთავარი.

რქა ოფლში უნდა ალბო და წურო,
საკუთარ ბულში კვლავაც გაძელი,
მხარი უსწორე დაბლვერილ კუროს,
თვალით უხილავ ცაზე გაწვლილს.

ფერფლი გაცვივა, ამ აღმართს მალე
აივლი, დასწავე საკუთარ ცხედარს.
თუმც ალესილი დატოვე რკალი,
მობრუნებული, ჯერ კიდევ ხედავ:

დარნიდან წყვილი გამოდის თევზი,
დეჭავენ წყვილი და ზანტალ ნთქავენ,
სანთლებად ჩანან უძირო ხეში
და მოზრებევით იწვენენ თავებს.



მზეს მიაჩერდა, სისხლივით მდუღარს.
გახედა ალგებს გზის გაყოლებით...
შავ ნესტოებში, აშვებულ ბუღას,
გაყრია მტვრის და ცეცხლის რგოლები.

ასე ივსება,
ასე ბრუვდება,
აფორთხებული მზეზე ყურძენი.
ნაყოფი მისი ნურც გაცრუვდება,
არ გააკაროთ ფური ურწანი.

დგება წყვილ ჩლიჭზე და იწურება,
დაკიდებს ფერდებს მზით ამოტენილს;
მთვარეზე გრილი იგრძნო ცურები,
ტორავს უშობელს, შიშით მოდენილს.

წვერი აიღო, ძლივს იმართება
ბალახი მისი რქით დანაყილი...
ჯაგებში შენი ლანდი ვარდება
და ისევ მესმის შენი ძახილი.

„ცაში აშვერილი ბუკით გიხმობ.
ცივი, ნაწვიმარი სხეული ღამის
შენთან მაგზავნიდა. შემხედე, მიცან.
შუბლზე განშორების ძარღვი დატოტვილა.
გაბიჯებულ ფეხებთან, უწმინდეს მტკვერში
ცოცავენ სამარის წითელი ხოჭოები.
თვითვეულს თითო ყვავილი ცაცხვის
ფერხთით უსვენია. უფლის სახილველი
შავ-შავი თვალეები ზურგზე ახატიათ.
ხელი დამელალა და ასლა მინდა
მოაწყდე მინდორს შენს წითელ კაბაში,
სახე დამიბნელო ფხვიერი თმებით.
გეძახი და შავი მუცელი ბუკის
ოფლით იცვარება; ნეტავ თუ მოაღწევს
შენამდე ეს ხმა, მთებზე გაწვენილი“.



და ამბობს თესლი: „გზა რადგან მომე,
კიდევ დავიძარ,
გავშალე ტოტნი.
საკუთარ არსის რომ შევძლო წვდომა,
საშოს ვეკრობი და კედლებს ვპოტნი.“

ვიფორთხე შენი უძრავი ნებით,
თუ რამეს ვწუხდი, ლოდინი მდლიდა;

ვეკიდე სასწორს,
წყვილიაღში ვები, —
ამომიყვანე ლუსკუმა წყლად.

სულ ჩემთვის ენთე და ჩემთვის თოვდი.
გული და ღვიძლი შენ ჩამილაგე,
ჩამიდგი სული და როგორც გთხოვდი
უბერებელი მომეც ჯილაგი.

ასე გინდოდა.
მე ვიშვი მწყვამსად.
ნურც დამწდარაყოს სხივი კეთილი,
ვერვინ მოესწროს დაცემას ჩემსას,
ვერავინ მნახოს მე ახვეტილი...

დავბობდი.
მიწას სტკიოდა კერტი,
მაჯაზე ბოლო მეხვია ბაწრის,
ამომიქარგეს ბირკებმა მკერდი,
ხმელი კანჭები ვკლებმა კაწრეს.

ზმულით მომდევ ჯოგის მოთავე.
იგრძენი — გიხმო სიკედელის ბუკმა;
დაუნალავი, დაუკოდავი
მაღე გახდები ღმერთების ლუკმა.

6. მწყალობისა და მათი წინამძღოლის —
თათარი ბიორავის — ავაბა

სად ვნახო მისი სახე ნეტარი,
საით წავიდა თეთრი მხედარი...
თუ ასსოვს... ხომ არ გაწირა, დათმო —
ქვეყანა მისი დანახედარი.

ვინ ხედავს ცაში დაჭიმულ კარავს,
ან მახვილს, წმინდა მესიის ნაქონს,
ვინ მეტყვის — რა ფლეთს,
რა მეხი ზარავს,
წარღვნის გუბეში დაკლაკნილ დრაკონს.

უნდა დავლოცო მისი მარჯვენა —
ავის მომრევი და დამკოდველი,
ვინც სიყვარულში დამახარჯვინა
წლები და ცეცხლთან დამსვა ცოდვილი.

უნდა მივადგე მხსნელსა და მფარველს,
ცხენის ფლოქვებთან დავხარო კეფა, —
გადამირჩინოს ფარა თუ არვე,
თვალის და გულის მაშოროს კლება.

ყელზე მომდგარი დამიცხროს ბრაზი.
მკერივი ტანიდან ვერცხლად წვეთავდეს

დღეები ჩვენი და ვიყოთ ასე, —
მისი შუბის და ხმლის გაცვეთამდე.

„მე მომისაჯეს ლერწმებში ძილი, ქვესავით ძილი თვალგაუხედე,
ხეხავდა ჩვილის უღონო კისერს ამობრუნებულ მთვარის უღელი.

თორმეტი დღე და თორმეტი ღამე მიმაქანებდა ტალღა ვეფრატის,
შენს გარდა კაცმა არ გამიხსენა, შენს გარდა ქვეყნად არვის შეგებრალდი.

მომწყვდიტეს ძუძუს, შავმა ხელებმა დაინაწილეს ჩემი ულუფა,
მე გამაყოლეს მღვრიე მდინარეს, რომ სხვას რგებოდა უფლისწულობა.

მაგრამ დამინდო, არ წაქცეულა კალათი მჩატე და გაფისული,
მორვეის ქაფმა ვერ შემაჩერა მაღალი ღმერთის კართან მისული.

ძველისძველია ჩემი ამბავი, არც გამიგია უფრო მწუხარე,
ყველა სატიკივარს, სატანჯველს ყველას, ვითვლი და თავი ვერ მოეუყარე.

ეკლად დასხმული, მე განვირიდე კაცთა სიავე და კაცთა შხამი
და ვარსკვლავების ზურგზე მეძინა თორმეტი დღე და თორმეტი ღამე“.

* * *

მწყემსო კეთილო, ხანჯალი პოხე,
ეს ყრმა განგებამ შენ ჩაგაბარა.
დღეიდან შენი მართალი ქოხი
უნდა გადქცეს თავშესაფარად.

ბედის ვარსკვლავი აქ ჩამოვარდა,
თოთო ხელები ეძებს გასართობს...
ნურსად გაამხელ.
მწყემსო ცხოვართა,
შენ უნდა ქვეყნის მწყემსი გაზარდო.

შემოაბიჯე. კიდევ ღამდება.
თბილი ნაცარი, გამთბარი ყვერფი.
ჭირში გამტანი,
ფუძის დამდეგი
კვამლივით მიწვა კუთხეში ნერბი.

არ ჩანს მოკეთე და მეზობელი,
უსმენ ბატკნების დაა ჩვილის პეტელს;
სანათის ალზე გამოხმობილი,
ველისებიან ლანდები კედელს...

გზა და ხიფათი — იცი — წინ არი;
ეს ქარდაკრული სკდება ალიზი...
რძეში ნაბანი და მოცინარი,
ბატონიშვილი წვეს საჩალეზე.

უკვირს — ვერ ხედავს მთვარეს
გახლეჩილს,
დაყვება თვალი დირეს გაქონილს...
ღამეა გარეთ და სიმაღლეში
თეთრად ბრუნავენ ზოდიქონი.

ცოტამ გაიგო ის დებადება.
ანგელოსებმა გვირჭვინი დაწნეს.
ბუძგა და ერთი ხელის დადება
ვარსკვლავი იყო პირველი მაცნე.

იმ შუქზე სამი დაიძრა მოგვი.
ცას გაცდენილი ესმათ გალობა.
აუყვანენ აღმართს ბორძიკით, ჩოქვით,
მათი გზა ზენამ დაამწყალობა.



გახარებული წყმუის ნაგაზი,
თეთრი სურნელი ბზეს ესხურება.
მას კი რა მშვიდად ძინავს ბაგაზე, —
თავითი სახედრის ადგას ყურები

ჰალმის რტოსავით, ეს გახლავთ ფარი,
ხოლო მხარმარცხნივ — უფლის მახვილი —
ალზე ლაპლაპებს წყვილი რქა ხარის...
ცოტაა მომსწრე და დამნახველი.

სიბნელე ყლაპავს ჭერის ნახევარს,
ჟამია ლოცვის და წახემსების;
სხვიად ქცეული ყრმის სანახავად,
საგაა მოვლენ სოფლის მწყემსები.



ისინი მოყვნენ ძილის ბადეში.
მათ ნასახლარზე ქარი დაღნავის.
ნახეს ყანები უცხოდ ნათესი,
უცხო სათიბი, უცხო სახნავი.

აღარ ჭირდებათ ოფლი და გარჯა,
ითრევთ მდინარე, ზანტად მედინი,
დაყვინთეს,
ღია თვალეში ჩარჩათ.
მთები ყვითელი და ჯვარედინი.

უხმოდ იტყვიან: „დაეიკარგენით,
ვერ მივწვდეთ აღვირს,
ვერც ცეცხლი ვყაროთ.
მეჭზე გვეტყობა შენი ნარქენი,
თვალახვეულო, შავთეთრა ხარო.

ვის გაპყოლია შენი ხარაჯა
ანდა წყალობა ვის შერგებია,
გაუცვეთელი და მოდარაჯე,
ბნელში რომ ელავს შენი რქებია“...

ისინი გაწვენენ ტკბილ მდინარეში,
ბადაგის როფში გაწვენენ გულადმა;
აღარ ჭირდებათ ცოლი, ფარეში...
დაფარა სუნთქვა ბალახ-ბულახმა.

ნაპირთან ყრია მუხის მორები,
წყალში ნაგდები და დარუმბული...
შურგდაფოთლილი ტყე იშორება
და მისდევს ნაპირს მტრედის ბუმბული —

მათი სულივით სუფთა და მჩატე,
მათი ტანვიით თეთრი და გრძელი
და იზნიქება ვეება ბადე, —
აუღებელი სამეფო ძილის.

7. „ლომი“. ძაბა მზის—ღიდის და
ართაღმართის

გიმწერ და გლოცავ, მწყემსო მთავარო,
უფსკრულის თავზე ეტლი აჭენე...
დამლამებულო,
ღამის მთევარო,
გებარებოდეს ჩვენი გაჩენა.

ამდენი შუქი რომელმა ღვაროს,
უფრო მოწყალე ვისია უბე,
აძოვებ ცაში მიშვებულ ფარას,
თეთრად აჩეჩილს ეწვევი ღრუბელს.

ჩვენო კეთილო ფუძევე და ჭერო.
არ გიწერია დნობა და ცვეთა.
შენა ხარ ალვის ტანიც და ჩეროც, —
ყოველ ღეროში ზიხარ და წვეთავ.

ყვითლად გაშლილი კალო მზად არი,
რკინის უღელში უნდა შევება,
რომ შიშველ მხრებზე გადავატარო
დამცრობა შენი და აღზევება.



ოქროს ფარფლებით სუნთქავ და მძლეობ,
აცოცებულო გუმბათზე, მზეო.

ყველა სულდგმულის პირით ქებულო,
ყველა კუნჭულზე მოშუქებულო,

დაბადებამდე გეყმე, გებარე,
ვარ შენი მსხვერპლი და მაქებარი.

წყვდიადის გულში ვერდასამალი,
დაუფრენელი შენ ხარ მამალი,

ცის დამპეპლავი, შუალამეში
არ მომწყინდება შენი თამაში.

ყალწზე შემდგარი და გაქცეული,
არ დაბერდება შენი სხეული.



თუ არა შენი ცეცხლის ხარები,
რა ძალა გიძლებს, რას ემყარები...

მაღე წამოვა წითელი დღე...
წყვილი სანთელი რქაზე პარპალებს...
საკურთხეველთან ცომიან ხელებს
კაბის კალთაზე იწმენდს ბარბაღე.

დღეა ჩვენი. ჩვენს დღეებს გაცრის.
აჩნია მისი ხუთივე თითი
კვერს, მის გამომცხვარს. სათნო და მკაცრი
დღეა. სანთლის ალივით მშვიდი.

უფრო ახარებს დანახვა დილის,
უფრო მწუხარე ჩანს საღამოთი,
როცა სვეტების ეცემა ჩრდილი
და ღვიძლი მისი დაბლა ჩამოდის.

თხმელის ღობიდან შეთვალულ მტევანს,
უფალო, მაკე თხა ეტატება,
რომ თბილ ჯიქნებში არ იყოს ტევა,
რომ სამწყსოს შენსას პქონდეს მატება...

კვლავაც დაჩეკო, შობო და ზარდო,
დიდი მინდორი თეთრად აცინო,
ერთად ახარო ძეძვი და ვარდი,
ერთად დაატკნო და მიადინო.

ყველა სულიერს ეგ სული უდგას,
მიწის ძარღვებში — შენი ხელია...
აცოცხებ ჭიას,
ფრთებს აძლევ ფუტკარს...
გამხელ, რაც არ გაგიმხელია.

ვლზე მებვევა ცეცხლის ქამანდი,
შენგან ნასროლი, და მახრჩობს, მზეო.
ძალა და აზრი შენი გამანდე,
რომელ ცის თავზე იმღვრევი, მზეო.

აფარდნილ ნათელს ჩარხავ და თესავ,
გვირგვინზე იხვევ ღამესაც, დღესაც...
მაგრამ შენ შენი დაგყვება ჯავრი
და აღარ გესმის შეიღების კვნესა.

8. „ქალწული“. ზამთარში კირი.
წიფლის ტაქვი ველურმა ბანამ
დაგვიბარტოვა

ცივ, დამსკდარ ბაგეებს უშვერს მიწა
ბალახის თესლს,
ბუდიდან რომ იზნევა.
ინახავს — კვლავ აღმოაცენოს,
დამუხლული, თეთრი ძაფებით გაკეროს
თავისივე დარღვეული სხეული.
ისევ დაჟარა კიბორჩხალმა
ყვითელ-ყვითელი, კრიალა კვერცხები,
ბრმად დაფლა ამღვრეულ შლამში,
წაფარა შეჭავშნული მუცელი.
გახობდა მოწყენილი; ვერასოდეს
ნახავს —
აღდაბვეულ მზეზე დაჩეკილ ნაშიერებს.

ამ დროს იცის ქალწულმა გამოჩინა.
მოვა მსუბუქად თავადერილი,
მაჭებზე შროშანას ღილები
და შავი პეპლები ექნება ასხმული...
გაგიცინებს,
მოცხარის გრილ ტოტს დაგისვამს
სახეზე.

არას ეტყვი
შენს წახაყვანად დახრილს...

●
ბოლავს უემური. გერევა თვლემა.
თავევე კიღია ჭრელი ობობა.
დაკბილულ ფოთლებს გაფარებს ლემა
შიშველ ტერფებზე. გემშვიდობება.

ვერცხლად ასხმული, კლდის ვაშლა ტირის,
გაცილებს,
ცრემლი სდის სახვალით...
ვიდრე წყვდიადის ჩაგითრევს ძირი,
ტყე და მინდორი უნდა გალიო.

ხურტკმელი სავსე იგემე ხილად,
ფესით გათლევ თოთო რძიანა...
ამ ტყის ღვიძლია ბებური რცხილა
ფესვებიანა და კორძიანა.

ისიც აქვეა. არ იმალება;
ჩამუქებია თვალეხი მწვანე,
თითებს მოსწყინდა უქმი გალობა, —
ხავსის საწოლზე ამოქნარებს ბანი.

მან იცის — როგორ წრიალებს, ბორგავს
სული — ქვესკნელში გადატუმბული,
აწყდება წვენი ფესვების გორგალს,
რომ გაანედლოს ღერო სუმბულის.

უნდა დაგიხსნა სხივი ობოლი...
სანთელი ვანთო და გავათენო, —
გლოცავ გამჩენის წინ დამსობილი,
მადლო მიწისა, ოქროდ ნადენო.

მუხას რომ უვლის, შენი ძარღვია,
ვერ მოგერევა საუფლო ავთა,
საბანი გრილი გამოარღვიე,
მძინარეს თავი გიგავდეს თავთავს...

ხედავ?! — უღადრავს და უფხაჭნია
ამაყი ტანი ატკრეცილ ფიჭვის;
ფრთხილადა!.. დახანჯლულ მიწას აჩნია
შენი მოსისხლის ეშვი და ნიჩვი.

სავალი შენი შორზე შორია.
გაყვები ელვის დატეხილ ხაზებს...
ბოლოს მოიწყენ კენტად ბორიას
და ამღერდები წუხილის ხმაზე.

●
ჩიტლედვას გაპობია პირი,
თაფლით გაღესილა ფიჭა,
დაკარგულს მისტირის სტივრი,
შენ გეძებს, გამქრალო ბიჭო.

ზაფრანამ გაანათა ერდო,
ნეშოში კაკალი გორავს,
ბროწეულს გაერღვა მკერდი
და ჩლიქიც გაიპო ორად.

გაიხსნა საკანი წაბლის
და წვერი გამოყო რიდით
ნაყოფმა. ჭურები დაფლეს,
მწიფობა უშენოდ მიდის.

იქ, ღამის წიაღში, გაღმა,
რა ხენეშა ისმოდა, რა ხმა,
ფერდი შეუნგრია წიფლიანს
შავად დაფოთლილმა ტახმა.

ვაითუ წააწყდი შემლილს,
ტყის გულში მარტო ხარ... რა დროს...
ვაითუ მოგაჭდოს ეშვი
და შენი მხარ-ბეჭიც ფატროს.

●
ქალწულო, მზის და მთვარის მზიდველო.
შენ აარიდე შხამსა და ლახვარს,
არ მიმიტოვო ყრმა პირტიტველა.
შენი სამეფოს ეწადა ნახვა.

შენ გეწირებით. არ ვართ ჯაბანი.
ჩვენი სხეული — ცისკენ დაძრული —
სისხლდადენილი და დაკაწრული,
იებით მორთე, ვარდით გაბანე.

ჩვენს დამსკადარ ტანზე სორბალი თესე,
ცვარი მოგვავლე და მოგვიარე
და ჩამოწეწილს ცრემლიან კლდეზე,
ხელი შეახე დამბალ სვიარებს.

ქალწულო, ოქროს კარი შეადე;
ნეკერჩხლის ტოტით და შროშანათი
წავვიძებს. ბნელი გახსენ წიაღი,
დაშვავებული გზები ანათე.

9. „სასწორი“. მძინარეთა ძველის ტავეობაში

ჟავისფერი, დონდლო რქები ააღირეს ლოკოკინებმა.
ერთ ღამეში დახუნძლეს
შავქლიავის ვაფიჩხული ტოტები.
იასამნის ბუჩქებზეც ახორხლეს
ჭრელი, კუზიანი ნიჟარები.
გაცივებული თეთრი გვერდი დაუნახეს მკეს
ჭიაყელებმა.
გაწვენენ ნაწვიმარზე,
დაკლაკნეს, გაწელეს რბილი, დაბურცული ტანი,
ლურჯ, წითელ ფესვებად ჩაკიდეს გაპოხილ მიწაში.

გადაიარა ზაფხულის დაღმა, —
გაკრეფილია შენი თალარი.
გვიმრა და ანწლი ძირამდე ჩახმა,
ძირში აჭრილი სტვენს ნაჩალარი.

საუფლო ჯოგი ვედარ მოდენე,
გმაღავს უკუნი გაუღუნელი...
შენი მნატვრელი და მომლოდინე
გლიან ტოტუე შეჭკანა კუნელი.

თვალწინ გამივლებს უჩინარ ხაზებს
დრო — დარჩენილი ნაფუხურებად.
ვიცი, გიყვარდა დათრთვილულ ცაზე
აყირავებულ უღლის ყურება.

გიყვარდა დილის მზესთან თამაში —
დამზრალ ვარსკვლავებს თავზე ვვლები.
გაუთავებელ და ცივ დამეში
გადაჭიმული თრთის სათხვევლები.

დაქანებულა შენი სასწორი,
დანთქმულა. ვისმა ცოდვამ დაძირა.
დამზრალი მსრები ვედარ დასძარი,
ვინ გაგიმეტა შენ გასაწირად.

ვინ იყო შენი ტანის მძარცველი,
ნადირის ლაშებს ვინ შეგაჭიდა...
ბროწუქულს მწიფე ცვივა მარცვალი,
მოგორავს სისხლი შენი მაჯიდან.

შენი ყელიდან, შენი ბეჭიდან
მოგორავს სისხლი და იკლაკნება.
ცივმა ნათელმა შუბლი შეჭკდა;
მოგიწევს უცხო გზების გაგნება.

ვლავს ყბები და ფერდები მახრის,
ყვითლად მქშინავი ვეება მახრის,
წვეს თავწახრილი და საზარელი,
ამილო შიშმა, სახზე შეყრის,

გატრუნულია ბოროტის ბუდე.
გიცდიდა. მალე გაქცევს ნადავლად;
აუღერია ღრიანკალს* კუდი —
არ გიწერია მისი გადავლა.

* ზოდიაქო, რომელშიც ოსირისი იქნა მოკლული.

მოყავთ. ბიჭებმა წუხელ დარჩხეს,
გაკოჭეს, გაკრეს. ეს ის ტახია,
შენი მხარ-თეძო რომ გადახია,
მოყავთ საჯიჯნად და ასაჩხებად.

მოდრიკეს. ქვაბის ხახაში დაკლეს,
სატევერის ღარი დაუყვა კისერს.
აწამეს. მისივ ბეჭებით ნავლეს
მიწას დაასვენეს და დაკლეს ისე.

გაღადრეს. ბევრი არ ალოდინეს.
თევზის ფხასავით აშლილი ქერო
დალაგდა. სიმწრის მიწყდა ხროტინი.
ვეება ტანის გაისმა ხლეჩა.

გათავდა ცის და მიწის ზიარი.
სისხლი — გასული სიცოცხლის წრიდან —
დაკოლტებული და პოხიერი
მუხის ბებერმა ფესვებმა წრიტონ.

აშეგტილ ყურებს, ჩატეხილ კვინისს
შემოვლებია ხაზები მრუდე.
დაბნელებია გული და ტვინი,
პალმის ფორივით გაშლილა კუდი.

გადაქანებულ ალზე გაწელეს, —
დარეცხილია გობები, დერგი...
ჩამოარიგეს, დაინაწილეს,
ძმურად გაიყვეს, შეიდივეს ვრგო.

გამონათებს სხივი მალული...
ბილიკი უხმოდ ჩადის წყაროზე.
გამიშვლებული და მორკალული,
ლურჯი ნეკნების დუმს იარუსი.

შენგენ დაიძრა მაღალი ლანდი
მაღალი ბიჭის — ცრემლით ნავები.
შენ გემებს,
ყველა ჯურღმული ანდე,
მუჭში ჩამდნარი მზე მიაგებე.

ვაითუ აგცდეს,
უქმად იაროს,
სამკვიდრო შენი ვაპ თუ ებნელოს,
წმინდა სათავეს ვერ ეზიაროს,
ძნელად სამწერო და საძებნელო.

გვერდშეჭეპილი შენი საწყაო
გეტყვის — რამდენის ძელები ვასარი.
სისხლში იხრჩობა,
ვერაფრით გაძლა
შენი ჯალაზი არგასასარი.

სანამ შენს თვალებს არ ვუნახივარ,
სანამ საჩემო კიდობანს ვათლი,
თუ შეგიძლია — ასე ნახევარ
გზაზე დამტოვე, მიყავი მაღლი.

შავ მდინარეზე გასდევ ლატანი,
პირსახე ჩემი ალში გამურე...
გადამიყვანე,
თან გამატანე —
იმ ბიჭის აბგა და სალამური.

**10. ზაფხულის მახსენება, როცა წყაროს
თავზე დახარილი გრძელთმინაა ძალეზაა
გაბიტაცის**

მსხვერპლო უთვალავ გესლის და შურის,
ქებზე წაგვეტა პირსახე თასი.
ზოგიერთები (მომიკრავს ყური)
გაქრობას შენსას ყვებიან ასე:

იწურებოდა ზაფხული. მკვლევს
მოსწყურდათ. არვინ ჰყავდათ მზიდავი.
ჭა არსად იყო,
არ ჩანდა ღვლე.
წყაროზე წასვლა თითონ ითავე.

გრილი ჩქერების გესმა ჩქაფანი.
შეჩერდი ცრემლით გაბანილ ეხთან.
ტბას მიაღვექი, ლურჯად ჩაფენილს. —
ნამჯისფერ სხივებს შუაზე ტენდა.

წამოიჩოქე. ხელი ჩაყავი.
დაგძალა თუნემა,
წახვედი რწვეით...
შენგან გამჭრალი და უნახავი,
მომიშვლებული ცა დარჩა ზვეით.

წყლის ქალებს გავდენე,
მოგწყვიტეს რიყეს;
ფსკერზე ტრიალით წაგიდეს სამთა,
წყლის შროშანივით ტან-ფეხი გრიხეს,
ჟერ გაუმხველეს მიგანდეს ზამთარს.

ჯიღეში ისხდნენ, ბევრი გიცადეს,
აქ დაგიგულეს ალბათ აღრევე.
თეთრი მკლავები გამოგიწვიეს,
იგრძენ — ეწადათ შენი ჩათრევა.

თორმეტს ჩაბარდი.
დაგინაწილეს...
მწუსრის ბელტები დაგემსო თავზე.
ფეხების ბადე ვერა საძილეს,
ხარის ფაშვივით ტოკავდა ხავსი.

კლდეს ეფხენებოდა ზვირთების ექო,
იწვლებოდა სიჩუმის ზოლად.
შენ ერთს თორმეტი ლოგინი გეგო,
გელოდებოდა თორმეტი გოგო,
თითოსთან რიგით გიწვედა წოლა.

და თქვი — სიმღერას ვიწვებ თავიდან...
მღვიმის კედლებში რომ არ დავება,
გავჭრი ამ ყინულს,
ამ სვრელს გავიტან
და ამოვზიდავ სულს თავთავებად...

დააკლდი სოფელს.
შესძარ, შეზარე.
საით წახველ და ვის ეახელი.
ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ყრუ და მკვნესარი,
შორით მაშვრალთა ისმის ძახილი.

გეტებენ ფსკერზე წასულს ირიბად. —
ვის კარზე ოხრავ,
სად ეწვალები...
იქნებ თითები გექცა ძირებად,
სუროს ფოთლებად გექცა თვალები.

თავქვე ეშვება დინება ჩქარი,
გნედავ — თავხეზე დგახარ მეტივე...
გეხვევა თმები, გეხლებს ქარი
და მიგაქანებს შენ — თორმეტივე.

ეს თხელი ლანდი, ვიცი შენია, —
სრლიათი ჩაცდა მუხას დაბელილს.
ამ ხრიოკებზე რა დაგრჩენია,
გჭრის ხელისგულებს შავი საბელი.

უკან გაბრუნებს ყინვა, პირქარი...
ცოდვაა, ვინც ამ ზღვაში შეტოპა,



ნაღველი დიდი ვერ გაიქარვა —
ვინც ნახა ბედი და უბედობა.

შავია მთვარე და მზეც შავია,
მოგნატრები ჭერი დატაკი.
უკან მოგდევნე და მოგბლავიან, —
ქვესკნელის წყალზე მიგყავს ხვადაგი.

გვეო, რაც სული ხუთეს, აწვალეს,
ცა დავიწყების, დღეში გაცვალე,
დროა აღზევდე, გამოიდარო,
დატოვო ფუჭი ორმო, საძვალე.

ეს მერე მოხდა. დიდი ხნის მერე.
შენ განვმზადე. — სალამო დადგა.
როგორც ელოდი — დაგიდგა ჯერი,
არად გიღირდა წამება მათგან.

გათვთრებული, წაგართვეს სიყმე.
შენთვის დამორეს, დაჭრეს კედარი...
ზედ გაგაწვინეს. სიკვდილი იხმე.
ბე — მოვლენილი — მამას ედარე.

ადარც ცხადი და ადარც ზმანება.
ჟალათი ურცხვად ხელის შემხები,
წამოგადგება, წაგეტანება,
ეტყვი: ჩემივე სისხლით შემდეგე.

რკინის ეკლებით შუბლშეჭედილო,
იარებოდი ქვიშაზე, შლაშზე,
ახლა რას ხედავ, მწყემსო კეთილო,
აფუთფუთებულ ქვეყანას დამწერ.

არის ღრეობა,
ხელის ფათური...
არის გამცემი ყველა ასაკის.
არის ვაჭარი და მებადური,
არის მეძაგი და ავანაკი.

სხვამ ნახოს, სხვათა თვალებმა ჭვრიტონ
ჭილყავის გუნდი, ჰურს მისეული...
არის მოყვასი და არის ჯგრიდან
გარდამოსხნილი შენი სხეული.

თვით უპოვარო, მხსნელო ღარიბთა,
გულეში შენი ჩანს ნაფესვარი.
აბა, თენდება, გაიხარებდე, —
არის მეზურე და არის მთვსვარი.

11. დაბრუნება მცხეთის მთაზე

იმ იმ გაზაფხულს ვერ გავუძელი,
იმ წყალიდობას ვერ გავუძელი.
დახრამულ გზაზე თურთად და წითლად
თოვდა. სტიკიოდა მიწას მუცელი:

ნიაღვრის ქაფში იწვა ვეშაპი
და დახვეოდა ტანს ოხმეივარი;
ცოცხალი ცოცხლად უნდა ეშობე —
გეძალებოდა სისხლი მყივარი...

გითხარ-დამეცი მეხი მჭექარი,
რქადატოტვილი ელვით დამსერე...
აიღმართე და წრე შეკარი,
გაზაფხულივით იყავ სამზერი.

დანესტილ ჭალას გამოუდარე,
სერზე გაიგდე ჭრელი ბოცვერი...
შემოიფლითე თოვლის სუდარა,
იფქლი ნაზარდი შენ ამოწვერე.

ნერგო სალხინოდ ამონაყარო,
ქვას ვლოცავ შენი ხელის შენახებს.
არ ვინაღვლებდი, ბიჭო მახარე,
შორიდან მაინც რომ დამენახე.

ახალი ქართლი, მოვედ, იცანი,
დასრევებული ნახე მიწანი.
დაუსარჯავი გაზაფხულების
გვირგვინი შუბლზე შემოიწანი...

ზურგაქავებულ ცხენს მოაჯექი,
ველური თაფლით ისევ დათვერი...
გადაუარე,
მუხლით გაჯეგე
ქართლის მინდვრები ნამკათათვარი.

ეს ვიცი — სულ რომ გაქრეს ქვეყანა,
რა სიბნელეშიც არ ჩავექანო,
თან ჩაგიყოლებ, ჩემს თავზე მეტად
დაგიმასსოვრებ, მწვანე ზეგანო.

თმებს ჩამოშლიან თეთრი ძეწნები...
გინატრებ დილით და საღამოთი.
ყველა ყვავილი მე ჩამეწნება,
მეცოდინება — სად რა ამოდის.

იზნიქებიან მათა ზვინები,
სახურავებით შემოხაზული.
ვცივდები.
მაღე მეცოდინება
შენი ამბავი — სად ხარ წასული.

ვიყო შენსავით გაუხარელი,
შენსავით წყალში მეგოს ლოგინი...
ხელისგულებზე მიდევს მარილი,
მინდა შენს ხარებს ავალოკინო.

ყველას დაიტანს ბორბალი ბედის,
მოკვდავის თვალთ დაუნახველი.
ქეიშაზე ბეგრი და ზღვაზე მეტი,
ვინ გააქარვოს შენი ნაღველი:



„სამი კარი აქვს მწუხარებას,
ჩემთვის სამივე ღია არის.
სამი გზა სამად გატოტილა,
სამი მახვილი ილესება,
რომელი ერთი ავირიდო.
გული გადნა და გაიყინა
ლოდებში ბროლი რომ ანათებს,
ჩემი ცრემლების ნაწვეთია,
გაქვავებული, ნაგროვები.
შინ რომ ბრუნდება, დაა ჩემი,
მხარზე შეუდგამს სველი კოკა,
ჩემთვის ცვარიც არ ემეტება.
საჩეჩელს უზის დედაჩემი,
იშლება მატყლი, იწეწება,
თვალეში ჯერ არ გაქრობია
იმედი ჩემი დაბრუნების.
მოტყუებული ჩემი ძალი,
მორღვეულ ღობეს შემოურბენს,
დაიწკმუტუნებს დარცხენილი.
ისე ახლოა ყველაფერი,
იმ შავი დღიდან, გეგონება,
არ გასულიყოს წელიწადიც.
არაფერი მაქვს სამდურავი,
საითაც მინდა — იქეთ წავალ —
სამი კარი აქვს მწუხარებას“...

12. ვარსკვლავი. შანი ხმა,
„ირმის ნახტომიდან“ მოსმენილი

„მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი,
ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“

„მე ჩავიდვარე თვალეში ბინდი,
ხერხემლის ღარში მე სისხლი ვხარზე,

ავარდნილ ალზე გავხედე, ვწმინდე
და მოვაქციე ის ძალა ხარშა
გონაქმრთესა

ვისაც მაღლიდან დავყურებ — მე ვარ.
ხნული გამყავს და ვამწიფებ მარცვალს.
ცისკრის ვარსკვლავი და შწუხრის მზე ვარ.
თვალი მატყუებს და იქნებ არც ვარ...

მე რომ ვეძებდი — ის ალაგია,
ჩემი მთავარი სული იქ არი.
იქ ვსახლობ, საცა თეთრად აგია
ირმის ნახტომი და ნაჩლიქარი.

უსმელ-უჭმელი დავეხეტები...
არ გამიხდია ფეხზე ბანდული.
ჩემი წვივები — თეთრი სვეტები —
მოჩანს საიდან სად აღანდული.

გადაუქანდა ტანი ირიბი, —
დაცხავებული მეცლება ლასტი.
ელავს. მისია ეს ნაპირები, —
რძე ეწურება და ორთქლი დასდის.

ტყე მისიზრება:
შივდევ ნაურმალს...
მომდის სურნელი მოჭრილი შქერის.
აქაც მომაგნო ქვეყნის ხმაურმა;
სოფელი ისევ ტირის და მღერის.

გაუთენარმა ღამემ დამცვარა.
ერთხელ თქვენსავით მიწაზე ვიყავ,
ქარში ნარბენი,
მზეზე დამწვარი,
მე — ამღვრეული წყალი და თიხა.

გასაწირავად ვიყავ შობილი,
გამზადებული ვიყავ ტარიგი.
გასათიშავი,
გასაპობელი
სული და ხორცი ვერ შევარიგე.

შხამი იყო და მასმევა შხამსვე,
ვინც ჩამილაგა თბილი შიგანი,
ვინც უღაბნოში ბრმასავით დამსვა,
გზის მომიზომა სიგრძე, სიგანე.

ძნელია — არსად იდგეს კედელი,
ეძებდე — ვერსად ხედავდე კიდეს,
ეკიდო მხრებით და დაჩვრეტილი
ხელისგულები ვარსკვლავებს ყრიდეს.

და მაინც — ვერვინ ამიგოს წესი,
ვერ მომიშალოს დანაბარები...
სხვა არა მინდა — ჩამავალ მზეზე
ეფინოს, ძოვდეს ჩემი ფარები.

ურჩხულის ხახას სად არ ვემაღე;
ვერ მოვიცილე გაქრობის შიში.
შემჩრჩეს — ეს მუხლი და ხერხემალი,
გადარჩეს — ჩემი მოდგმა და ჯიში“.

რა დაწმენდილი ჩანხარ აქედან,
ვერავინ გეტყვის — შავი მიწა ხარ...
წუხილმა შენმა სად მიმახვდა,
ჩავლილმა სისხლმა სად დაიძახა.

მუდამ ღამესთან ერთად მოგელი,
იხარა ნერგმა, ცაში რომ დარგე;
თვალახვეული და ჩაჩოქილი,
ცაზეა შენი მწუხარე თარგი.

პირალესილი მოდგება მთვარე
და ნახნავებში მკერდით ეფლობა,
სიზმრის და ცხადის უცნაურ ნარევს
მოაქვს სიმშვიდე, უბერებლობა.

ნეტამც სიკვდილი არ ჭაჭანებდეს:
ხე — უნაყოფო, ყანა — მომცდარი...
აბრიალებულ ხვატს არ დანებდეს
წყარო უჩრდილო და ამომწუდარი.

ნამულის ჯავრი სასთუმლად გედო,
ამდენი ძილი ვის არ დალიდა,
ძმაო უმცროსო და ძმაზე მეტო,
რას ინატრებდი იმ სიმალლიდან.

მწვერვალის თავზე გეწევა დილა.
ელავს კალთები თეთრი ტიტანის;
შენი სიმალლე და შენი კბილა
ბიჭი ცეცხლისფერ ხარებს მიდენის...





კ ა ტ ი ე ბ ა

ავტორისაგან

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ მეტად საინტერესო ლექციას დავესწარი ახალგაზრდის ზნეობრივი ჩამოყალიბების თაობაზე. ლექტორი საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი გახლდათ.

ძირითადად ერთ კითხვას ეძღვნებოდა ლექცია: რა მიზეზების გამო ცდება ახალგაზრდა სწორ გზას?

დამამახსოვრდა ბოლო აბზაცი ლექციისა:

„ჰოდა, ჩემო კარგებო, პირველ რიგში ოჯახის უყურადღებობა; აგრეთვე კოლექტივის, სადაც ეს პიროვნება მოღვაწეობს, ინერტულობა. და თავად ამ სუბიექტის, პიროვნების (როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ) უნებისყოფობა. რა თქმა უნდა, თუ საქმე პათოლოგიასთან არა გვაქვს.“

აქ პატივცემულმა ლექტორმა გაიღიმა. და საერთოდ, მინდა ისიც დავამატო, რომ ამ ცნობილ პროფესორს ჰქონდა მეცნიერთათვის ყველა დამახას-

სიათებელი თვისება, რომლებსაც ისინი ლექციის კითხვისას ამჟღავნებენ.

— არა, არა, — გაიჭნია თავი ჩემს გვერდით მჯდომმა მანდილოსანმა, — ალბათ კიდევ არის რაღაც მიზეზი.

— როგორ, ქალბატონო? — დავინტერესდი მე.

მანდილოსანმა შემათვალისწინა და მიხრა:

— თქვენ ჯერ ვერ მიხვდებით, ახალგაზრდა ხართ.

მე კი მგონი, რომ რაღაცას მიგხვდია და თან ერთი ამბავიც გამახსენდა, რომელიც შეიძლება არც მომხდარა, სულაც მოგონილია, მაგრამ რაღაც მსგავსი, ოდნავ მსგავსი მაინც იქნებოდა.

ეს ყველაფერი, პროფესორის სიტყვებით რომ ვთქვათ, გზასაცდენილ ახალგაზრდა ქალს ეხება და ჩვენი ტრადიციის თანახმად პირველი სიტყვა ქალს მივცეთ. ხოლო შემდეგ იმ თანმიმდევრობით ვალაპარაკოთ მთხრობლები, როგორც ჩემამდე მოვიდა ეს ამბავი.

როგორ შევიწყვარე

— რა არის ეს?! — წარბშეკმუხვნილი მამა თავზე წამომდგომოდა, — რა არის, ეს გოგო?!

სკამიდან წამოვიწიე. ანატომიის საკმაოდ სქელი ატლასი მუხლებიდან ჩამისრილდა და იატაკზე დავარდა. ასაღებად დავიხარე. მამა თმაში მწვდა.

— მეორედ არ დაგინახო, ეს რომ აიღო. არ დაგინახო და გაკვეთილებს მიხედვ, შე მაიმუნო.

ოთახიდან გამოვედი.

ღამით მამა მოვიდა ჩემთან. თეთრი კოსტუმი ეცვა.

წამოვდექი. გრძელი, შავი კაბა სულს მიხუთავდა.

— გამომართვი, — მამამ ანატომიის ატლასი გამომიწოდა.

— მე დილით მინდოდა და ვნახე კიდევ.

— ამ ერთხელ გაპატიებ და დროზე აიღე.

— ახლა არ მინდა, — თავი გავაქნე.

— იცოდე, ერთხელ გაპატიებ.

— არა, არა, არა! — ვიყვირე.



— რა მოგივიდა?! — სამივე თავზე
მადგა: დედა, მამა, ბებია.

მხოლოდ „რა მოგივიდა“ მესმოდა.
მამამ შუბლზე ხელი დამადო. მას
ჩვეულებრივად შავი კოსტუმში ეცვა.

— რა მოგივიდა, ჩემო გოგო?
თეთრ ლოვინში გავეხვით და ავხედე.
— ის ხომ არ გეწყინა დღეს დი-
ლით? — გაეღიმა, — კარგი ახლა, მა-
პატიე, ბატონო.

შუბლზე მამას ხელი დაპატარავდა
და ჩემს გაჩინებულ მარჯვენაში მოვიქ-
ციე.

მწვიდად ჩამეძინა.
მამაჩემის ბიბლიოთეკაში ყველაზე
მეტად ძველი, ლამაზად დასურათებულ-
ი ენციკლოპედიების თვალთვრება მი-
ყვარდა. ვამჩნევდი, მიტაცებდა შიშ-
ველ ზანგთა სურათები. ვაქცატურად ას
ხლტილი ფეხები, კუნთები.

ვეგრძობდი, რომ მიყვარდა. ვინ, არ
ვიციდი. მალე ერთს მოვარგე სიყვარ-
ული. იგი ჩემზე ორი წლით უფროსი
იყო და სკოლას ამთავრებდა. ერთხელ
დასვენებაზე წყლის ონკანთან რიგი
დამითმო. გავგეჟდი სიხარულით.

ჩემი თანაკლასელი გოგონები ვაყვებ
ხედებოდნენ. ყველაფერს მიყვებოდნენ.
ამ ასაკში არ იციან დამალვა, ამაყობენ
კიდევ.

მალე სკოლა დაამთავრა და სხვა.
უფრო დიდ ქალაქში წაეიდა სწავლის
გასაგრძელებლად ის ბიჭი.

სტუდენტთა არდადეგები ჩემთვის
ყველაფერი იყო. შეიძლება თვალის არ
მომეკრა, მაგრამ ვიციდი ჩვენს ქალა-
ქში დადიოდა და ესეც მყოფნიდა.

ერთმა ბიჭმა კინოში დამპატიყა. ჟურ-
ნალის დამთავრებისას ხელი მომიახლო-
ვა. ფილმი დაიწყო და მომეხვია. რა
ღასამალია და არ ვიუარე. მაინტერესებ-
და. ბიჭმა მაკოცა.

უცებ მას გაეცინა.
მეწყინა და თავი შევებარუნე.

— გინდა გასწავლო? — შევამჩნიე,
ხმა უკანკალეზდა.

მეც მრცხვენოდა, მაგრამ არ მიბა-
სუხია, რა შექნა, მაინტერესებდა. კი-

დევ მაკოცა. მეც რაღაცას ვცდილობ-
დი. ახლა მეცინება. ჩემზე კი არაა
ბიჭზე.

მეორე დღესაც დამირეკა. შევხვდი.
ისევ კინოში წავედი. შემდეგ კი სტუ-
დენტთა არდადეგები დაიწყო. ვიციდი
ჩამოვიდიდა.

საიდანღაც გაუგია, რომ მიყვარდა.
თუმცა რაღა საიდანღაც, ყველასთან
ვტლკიცინებდი.

ის მეორე ბიჭი, კინოში რომ ვახლდი,
პირეკავდა და მირეკავდა. მე მაშინ არ
მქონია აზრად, ის რომ დაეკარგო, ეს
მინც დამჩრხს-მეთქი, მაგრამ არც ისე
ცივად ველაპარაკებოდი „კინოს ბიჭს“.

ჰოდა, გაუგია, რომ მიყვარდა.

მე უკვე დიდ ქალაქში მეგონა წასუ-
ლი. ის კი გვეთილებს შემდეგ სკო-
ლასთან დამიხვდა.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება, —
მომიახლოვდა.

ჩემთან მყოფი გოგონები ფხუქუნ-
ფხუქუნით გამშორდნენ. მასაც გაე-
ღიმა

ვეცადე მიმებაძა ფილმში ნანახისა
თუ წაკითხულისათვის: ფეხები განზე
გავდგი, ჩანთა წინ დავიჭირე, ტუჩებიც
გავპუტე. იგი ისევ იღიმებოდა.

— გავიაროთ, — შემომთავაზა.

გავყვე. შემიძლია დავფიციო, სიტყ-
ვა არ გამიგია, რასაც ელაპარაკებოდა.

— ჰო და ასე, შენი გულისათვის
დაეჭრი კიდევ ორი დღით.

— ჩემი? — რაღაც ხომ უნდა მეკი-
თხა

თავი დამიქნია:

— კი, კი შენი გულისათვის.

— ჩემი გულისათვის? — ახლა მიე-
ხვდი, რასაც მეუბნებოდა.

— ვა? — გაიკვირვა, — ხომ გითხა-
რი, არა.

ვიღაც ლამაზი ქალი მიესალმა. ძა-
ლიან ვეცადე, მაგრამ მაინც გავხვდე
მიმავალ ქალს.

— რა იყო? — კვლავ გაეღიმა.

გაზრი მოგონილია
აბიძგა

მე იგი უკვე დაკავებული მეგონა.
კაცი არც გაიღიმებდა და არც შემე-
კითხებოდა რამეს.

— ზვალ ხომ თავისუფალი ხარ?
თანხმობის ნიშნად თავი დაუქნა.
შეორე დღეს კვირა იყო.
დილით სახლიდან გამოსულმა ერთი
საათი მაინც ვიბორიალე ქუჩებში.

შევხვდით.

სულელი ვიყავი, ძალიან მინდოდა იმ
დღესვე ცოლობა ეთხოვა. აღრიანი შე-
მოდგომა იდგა. ქალაქგარეთ გავედით.
იგი თითქმის ჩუმად იყო. არც მე ვლა-
პარაკობდი ბევრს.

— ზეგ მივდივარ.

— მერე? — მე პიჯაკიდან მოყვითა-
ლო ფოთოლი მოვაშორე.

— მერე და... ახლა წავიდეთ ჩემთან.

— რა მინდა შენთან? აქ ვიყოთ.

— წამო, წამო... წავიდეთ, — ხელი
შომკიდა.

იმ დღეს მარტო იყო სახლში. მე წიგ-
ნების კარადასთან მივედი. ახლად გამო-
ცემული „საბავშვო ენციკლოპედია“
გადმოვიღე. თითქმის მთელი ტომები
ვადავითვალეიერე. შიშველი ზანგების
სურათები მინდოდა. ვიპოვნე, მაგრამ
ეს სხვა იყო. ეს უფრო დახვეწილი სი-
წიშვლე გახლდათ. ჩემს ძველ ენციკლო-
პედიებში სხვანაირად იგრძნობოდა
კუნთები, ტანი, თითქოს იქ თრთოდნენ.
ახლა ეს დახვეწილი, უმოძრაო სიწიშ-
ვლე უფრო მომეწონა.

მერე მას შევხვედი, ხალათი ჩაეცვა.
კინალამ გამეცინა.

— არისტოკრატი ხარ, — ვუთხარი.

— შენ?

მხრები ავიჩეჩე.

შომეხვია. პირველი კოცნა გამახსენ-
და კინოში. ვერც შევადარებ. ნამდვი-
ლად გვიცდებოდი დიდ ქალაქში გადახ-
ვეწილ ამ ჩვენებურ ბიჭზე.

რაღაც უცნაურად დამიწყო ხვევნა!

— წავალ რა, — ვთხოვე.

— წახვალ არა. მოდი ჩემთან, — დი-
ვანზე ჩამოჯდა.

მეც მივეუახლოვდი. მანიშნა დაჯე-
ქიო. ჩამოვჯექი. მოკლედ იქამდე მივი-

და საქმე, ხელი ვკარი და წაშობებოდი.

— წავალ მე.

— შენ, ვიცი ხარ? — შეტრიალდა
მეკითხებოდა.

— რა გინდა?

— აბა, რას მომყვებოდი სახლში?
მოდი აქ! — თითქმის მიბრძანა.

ცრემლი მომერია.

— წავალ რა...

— არა!.. არსადაც არ წახვალ? სუ-
ლელი ხომ არ გგონივარ?.. თუ გინდა
მერე ჩემზე იცინოთ? — ხმას აუწია.

უცებ გამახსენდა, რომ სულაც არ იყო
საჭირო წასვლის ნებართვა. მივეუახლოვ-
დი კარებს, გავაღე და სახლში წამო-
ვედი.

დილით სკოლაში წასვლამდე დამი-
რეკა.

— ჩანთა დაგჩა, ამოდი და წაიღე.

— შევხვდეთ და მომიტანე.

— მარტო ხარ?

ხმა არ გამოცია.

— აბა მე ამოვალ.

— არა! არა ვარ მარტო, — ბებია-
ჩემი მართლა იყო სახლში.

— ამოვალ. ვიცი, რომ მარტო ხარ.

— არ მინდა ჩანთა.

— მე ზვალ დილით მივდივარ.

— შევხვდეთ, თუ გინდა.

სალამოთი შევხვდით. ფილმი ვნახეთ
და მერე მის ამხანაგთან ავედი. უკრ-
ნალებს ვათვალეიერებდი. მეორე ბიჭი
წამოვდა.

— ახლა მე წავალ და მალე დაგ-
ბრუნდები.

— არ წახვიდეთ... რატომ მიდი-
ხართ? — დავიბენი.

— მე მალე მოვალ, — მამშვიდებდა.
ისე მითხრა.

— მეც მოვდივარ, — სავარძლიდან
წამოვიწიე.

— კაცმა ვითხრა მალე მოვალო, რა
მოგივიდა? — ხელი მომკიდა და დამ-
სვა.

— არა, წავალ. — წამოვდექი.

— მე ზვალ მივდივარ.

მისი ამხანაგი კარებთან აღგა. ხელით
გავწიე და ქუჩაში გამოვედი.



„ხვალ მივედივარ“... ხვალ, ხვალ, ხვალ მიდის. დილით მიდის“.

რატომღაც ხვალინდელი დღის შემეზნდა, თანაც შემეზიზლა.

სახლში მოსულს დედამ უგუნებობა შემამჩნია.

ბებიაშეცხვამაც ახსნა, ვერ იყო კარგად და ქუჩაში არ უნდა გასულიყო.

როგორ მაცნავა

იმ წელს სკოლა დავამთავრე. ვიცოდით, ჩემი თავის ამბავი და არც დამინიჭებია უმაღლესში ჩაბარება. ჩვენი ქალაქის ერთ ლაბორატორიაში დავიწყე მუშაობა.

მისი ამხანაგის სახლიდან რომ წამოვედი, მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. იგი ჩვენს ქალაქში ჩამოდიოდა ხოლმე. ჩემთვის არ დაურეკავს.

მეც არ მინდოდა მარტო ყოფნა და ერთ ბიჭს ვხვდებოდი. მას ვუყვარდი, როგორც შეეძლო ისე, საკმაოდ სიმპათიური ბიჭი იყო და მეტად ზრდილობიანი, რა მექნა, არ შემეძლო მართობა.

სიღამოობით ცეკვებზე დავდიოდით. ცეკვა ძალიან მიყვარდა. სასიამოვნოდ ვიღვლებოდი და მერე, ყველაფერს ვივიწყებდი.

ერთხელ ქუჩაში სეირნობისას თვალი მოვკარი. დავვინახა და ჩვენსკენ წამოვიდა.

— უკაცრავად, — არყის სუნი ასლიოდა — თუ მიცანით?

იმ ზრდილობიან ბიჭს ხელი გამოვლე.

წასვლა დავაპირეთ. მან კი არ ისურვე ჩვენი გაშეება და შეგვაჩერა.

— გამიშვი!

— ჩემთან ერთად წამოხვალ! გავჩუმდი.

ის ზრდილობიანი და სიმპათიური ბიჭი საცოდავად იყურებოდა. უცებ თითქოს გამოფხიზლდა.

— ხელი გაუშვი!

— როგორ?

— გაუშვიო...

— წადი შე...

სადარბაზოში შევიდნენ. მალე გამოვიდა ჩემზე „გაგიყებულნი“ ბიჭი იქიდან და მომიახლოვდა.

— სულ შენი ბრალია! ცრემლები ყელში მომავწვა.

— შენი ბრალია, შენი! აი, ნახავ რას გიზამ! — იგი ყვიროდა.

ვერ მივხვდი, რა იყო ჩემი ბრალი. სულ არ შემეცოდებია. მერე თმაზე გადაისვა ხელი, რალაც უწნოდ დამეჭლანა და მგონი წასვლისას შემავინა კიდეც.

მალე ისიც გამოვიდა სადარბაზოდან.

— რა გინდა მაგ ლაწირაკთან?

— თავი დამანებე, რა, — საოცრად დაღლილი და საცოდავი მომეჩვენა ჩემი ხმა.

შევხედე მას. ყველა ადვილად შეამჩნევდა, რომ არ ვუყვარდი. ჩემთვის ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა. ბედნიერი ვიყავი მის გვერდით ყოფნით.

— ცეკვებზე წავიდეთ.

უარი ვუთხარი. მთელმა ქალაქმა იცოდა ჩვენი ამბავი. ერთი ბეწო ქალაქია და არც არაფერი იმალება.

— წავიდეთ! — გაიმეორა მან.

გაკვივდი. ნელა, წყალში მყოფებივით მოძრაობდნენ წყვილები.

ხელი მომიკიდა და საცეკვაო მოედანზე გამიყვანა.

ვთქვი, ცეკვა ძალიან მიყვარდა. მაგრად მიმიკრა. ისე კარგად არასოდეს მიცემია.

საიდან ან როგორ, არ ვიცი და, დავთვერი. მთვრალივით კი არ ვიყავი, ნამდვილად დავთვერი.

ორკესტრი სხვა მელოდიაზე გადავიდა. გაცილებით ჩქარი ტემპი იყო. ოო, როგორ გამეხარდა. ცეკვა მე დავიწყე. ვერ მარტო ვცეკვავდი, მერე ისიც შევავატრე წრეში. გაკვირვებით მიყურა, მიყურა და ამყვა. არ მახსოვს და ვერც

ბაბრი ზოხოწინელი
კაბიძა



ვერძობდი, სხვები თუ ცეკვავდნენ. გავგიჟდი, ვიქნევდი ხელებს, ვბტუნავდი. არა მგონია უშნოდ გამომსვლოდეს ეს გიჟობა.

დავიღალე, არაქათი გამომელია. ნელა წავედი სკამისაკენ და ჩამოვკეკი ისიც მოვიდა.

— ცოლი შეირთე? — რატომ შევეკითხე ეს სისულელე, არ ვიცო.

მან გამოიღმა და თავი დამიქნია.

— ბავშვებიც მყავს.

— ბავშვები?

— ჰო, შეილებიანი ქალი მოვიყვანე.

— იქნებ შეილიშვილებიანიც?

— ოთხი შეილიშვილი მყავს.

— ალბათ ლამაზები არიან.

— ძალიან. ბებიას გვანან.

— ბებიას? აბა ლამაზი ცოლი გყოლია.

— ცოტას ჩამოგვავს, — ამხედა.

— არ ვარგებულა.

უცებ გავჩუმდით.

სახლამდე მიმაცილა.

— იცი რა, — დაიწყო მიზნედილი ხმით.

ვიცოდი, რაღაც ტყუილს მეტყოდა და ტუჩებზე ხელი მივაფარე. თუმცა

მიზნედილი ხმა შეიძლება ჰქონოდა. მაგარი მთვრალი იყო.

— იქ ვინმეს ხედები? — ველარ მოვითმინე და მაინც ვკითხე.

— ამხანაგები შენ თავს მიჩვენე, ცოლად გამოგადგებო.

მე ცოლი კი არა, მონა ვიქნებოდი მისი. თანახმა ვიყავი ყველაფერზე, ოღონდ მასთან ერთად მეცხოვრა. ახლა ვიცი, ცოლი არავის უნდა მონად და ასეთებს იზიზღებენ კიდეც.

— იტყუები.

— რაში მჭირდება შენი მოტყუება? მხრები ავიჩჩე.

— წავალ, — ხელი გამომიწოდა.

ძალიან მეძინება. ხვალამდე.

ისევ ხვალ. მეძინელა ღამის გასვლა.

მეორე საღამოს რესტორანში დამბატიყა. სახლში ნასვამი დავბრუნდი.

ბედად ვერავინ შემინშნა.

კიდევ შევხვდით. ჩვენს ქალაქში ბევრი არაფერია გასართობი. მასთან ავედი. საკმაო ხანს ვილაპარაკეთ.

— დარჩი ჩემთან.

— არა, არა! — თავი გავაქნიე.

ერთი შებატიყებულა იყო საჭირო.

ამას მიხვდა და კიდეც მთხოვა.

როგორ მაპატიო

დღეები, საათები ნელ-ნელა იწელებოდნენ. ეს დღეები კალიდოსკოპივით იყო: სხვადასხვა ფიგურები, ფერები კი ერთნაირი. რატომღაც ფერების განუსხვავებლობას უფრო ვამჩნევდი.

მისი უკანასკნელი არდადეგები იწყებოდა. ველოდი. წერილი მივიღე. მიზეზის გამოძებნა ყოველთვის შეიძლება და ადვილიცაა. ჯერ ვერ ჩამოვალო, მაშშვიდებდა. მალე, მალე გავა ერთი თვე და მანდ ვიქნებო. ერთი თვის მალე გასვლისა არ ვიცი და ფეხმძიმობის შიში კი შემეპარა. ექიმს გავესინჯე. გადარჩი.

ლაბორატორიაში, სადაც ვმუშაობდი, მეგობარი ვოგონა მყავდა. იგი არც „შენი ჰირიმეს“ მეუბნებოდა და არც მეფიცებოდა. ნდობა შეიძლებოდა. მე

ისეთი რამე დამემართა, შეუძლებელი იყო მხოლოდ ჩემში დაგუბებულყოფილ და მას ვუამბე. ამ ჩემმა მეგობარმა არც აცია, არც აცხელა და დიდ ქალაქში ჩამავიყვანა.

არ ვიცი, იქ რაზე ილაპარაკეს. რომ ჩამოვიდა, მაგ დამპალი რამ შეგაყვარაო.

არ ვფილოსოფოსობ, მაგრამ ყოველდღე სხვადასხვანაირად მიყვარდა იგი და ყოველთვის წინადღის სიყვარულთამაშად მეჩვენებოდა.

ახლა სიყვარულთან ერთად კიდევ რაღაც დავართო. მოვალეობა, ლტოლვა თუ რა, არ ვიცი. მაგრამ ეს რაღაც იყო რომ არ მასვენებდა. თანაც აღარავისთან აღარაფრით არ მიაკავშირებდა.

ერთი თვის შემდეგაც არ ჩამოსულა.



ნაცნობმა დამპატიყა თეატრში. იგი ჩვეულებრივი, ყურადღებებიანი ნაცნობი იყო. ღმერთი, რჯული, მხოლოდ თეატრში ვახლდი. სახლში მობრუნებულს ბებიაში მითხრა, დაგირეკესო.

— ვინ იყო?
— ვინ, არ ვიცი და, ისე კარგი ხმა ჰქონდა.

მას მართლაც კარგი ხმა ჰქონდა. ეს არ მეჩვენებოდა. დილით ადრე გამალვიძის, ტელეფონზე გეძახიანო.

— დილა მშვიდობისა, — ის იყო, — საქმე მაქვს შენთან.

— საქმე? — მასთან ლაპარაკისას ყოველთვის ვიბნეოდი: ახლა სულ ამერდამერია ყველაფერი, — სამსახურში რომ მივიღივარ?

— კარგი, მაშინ სადამოთი შევხვდეთ.

— ამოვიდე შენთან?

— არა, პარკთან მოდი.

სამსახურში რომ მივიდიოდი, მეგობარ გოგონაზე ვიბოლმებოდი. რას ერეოდა ჩემს საქმეში და მერე, რა სიტყვაა დამპალი. დამპალი თუ კარგია, თვითონაა, — ბავშვივით გამომივიდა და გამეღიმა.

— დამპალი, დამპალი, — რაღაც მელოდიას ავყაოლე.

მოკლედ ისე ვიყავი, ლაბორატორია კინალამ ავაფეთქე.

— ჩამოვიდა, ჩა-მო-ვი-და, — ჩუმად ვუთხარი ჩემს მეგობარს.

— აბა თხოვდები?

— აი ევ, არ ვიცი.

— აბა რა გინარია? — გაუკვირდა მას.

— არც ეს ვიცი, — სულელივით ვჩურჩულებდი.

ჩემმა მეგობარმა ხელი ჩაიჭნია.

— დამპალო, — დავეუძახე უცებ — დამპალო!

არც გამემტყუნება, აზრზე არ ვიყავი, რას ვმერებოდი.

— გამომყევი ბალამდე, — ვთხოვე მეგობარს.

თავი გააქნია.

— რა მოგივიდა, გამომყევი.

— არა-მეთქი, და ნუ მთხოვ.

— არ მინდა რა, მარტო მისვლა.

— მე კიდევ სულ არ მინდა მისხვა.

— შენ რა შუაში ხარ?

— ძალიან ლამაზია და თანაც დამპალი, გაიგე?

— შე მართლა დამპალო.

მოვიდა და მაკოცა.

— წადი რა.

ქუჩაში გამოვედი.

„ლამაზია, ლამაზია, ძალიან ლამაზია“.

ახლა ამას ვლიღინებდი. თან მეღიმებოდა. გამვლელებს ალბათ გიყივევონე.

შესასვლელთან მიცდიდა. მეგონა, გავეჩანებოდი და კისერზე ჩამოვეკიდებოდი. უბრალოდ ხელი გავუწოდე.

— წამო კაფეში.

— წერილები მაინც მოგეწერა, თუ არ ჩამოდიოდი.

— საყვედურებს მოეშვი, შენი კირიმი, — სიგარეტი ამოიღო.

კაფე ბლშივე იყო, ღია ცის ქვეშ. მაგიდას მივეუსხედით.

— წერილები მაინც მოგეწერა, — გავიმეორე.

— გეცალა ჩემი წერილებისათვის?

— რაა?

— მოკლედ აი რა. მე ყველაფერი გავიგე. მიამბეს, რომ ბევრს ხვდებოდი ჩემს ჩამოსვლამდე. გუშინწინ თეატრშიც გნახეს.

— მერე რა იყო? თეატრში დამპატიყეს და წავყევი.

— მეც დამყვებოდი თეატრში. სპექტაკლი მთავრდებოდა და ავდიოდი ჩემთან. ასე არ იყო?

— ნუ სულელობ!

— ვსულელობ?.. იცი რა, მე შემიძლია გაპატიო.

— მაპატიო?! რა უნდა მაპატიო?!

მე მონა ვიქნებოდი. ფინია ძალღივით თავზე ხელის გადასმისათვის ყირაზე დავდგებოდი, მას თუ ესიამოვნებოდა.

ზაფხვი იოსონელიძე
პატივისცემა

და სიტყვა პატივბამ, რომელიც ფინიასათვის კულზე ფეხის დაბიჯება იქნებოდა, რაღაც მძიმე მომხსნა.

მე მოვარგე, მოვაქსოვე მას სიყვარული და ახლა ამ სიტყვამ ნაქსოვის ბოლო ხელში მომცა. შემეძლო დამერღვია, წავსულიყავი და გამეტანა ძაფი.

რატომღაც არ წამოვდექი.

— დაარღვიე შე მაიმუნო! — ეს მამაჩემის ხმა იყო. მამა „მაიმუნოს“ ხშირად ხმარობს და ყოველთვის დროულად.

— დაარღვიე, დედიკო, დაარღვიე.

თავს ვუქნევ დედაჩემს.

ბებია ხელით მანიშნებს, მოქაჩივო.

— გითხარი, დამპალია-მეთქი. მიმიშვი მე დავარღვევ, თუ არ შეგიძლია. ჩემი მეგობარი გაეწიე და ძაფის ბო-

ლო ღონივრად მოვქაჩე. ^{გავდროდნი} ბალიდან, ნაქსოვს ვარღვევდი, ^{ფეხებზე} ვლავლებდი ლამაზ მამაკაცს. ^{მისაქსოვს}

ამ სიშისვლეში აღარ იყო ის, რასაც ზანგების სურათებში ვამჩნევდი. კუნთები არ თრთოდნენ, არც უმოძრაოდ იყვნენ, თახთახებდნენ, ხითხითებდნენ და მეც ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა, გამქონდა ზღაპრულად გრძელი და ლამაზი ძაფი, რომელიც ვისაც მინდა შემოძლიათავისუფლად შემოვაქსოვო, მოვარგო. ქუჩაში გამოსულს მეღიმიებოდა.

— ვაპ, ვაპ, ვაპ, — ამხედა ვილაც ბიჭმა.

მიუტრიალდი და თვალი ჩაუყარო. ის სულელიც ჩემსკენ წამოვიდა.

ისე ვიყავი, ყველაფერი მეპატიებოდა.

მე როგორ გავიგე ეს ამბავი

მე რომ აგარაკზე ჩავედი, სექტემბერი იწურებოდა. ჟინჯღლავდა და იქაურობა დაცარიელებული მომეჩვენა. კიდევ კარგი, მატარებელში ბლომად ვიყიდე ჟურნალები. დრო მათი თვალიერებით გამყავდა. ვირებიც მქონდა სავარჯიშოდ წადებული, მაგრამ კარგა მაგარი წვიმა მოდიოდა და ოთახში ვარჯიში კი მაინც და მაინც არ მეპიტანავება.

მესამე დღეს შვებ გამოიხედა და გავვარდი პლაჟზე.

„სოვეტსკი სპორტი“ წავიღე.

ერთ ხანს ხალხს ვუყურებდი, მერე კითხვა დავიწყე. ჩრდილი დამეცა. ავიხედე, ვერ ვიტყვი ანგელოზი იყო-მეთქი, ისე არაუშავდა. გოგო წამომდგომოდა.

— ბოდიში, მეც ვკითხულობდი.

— ამას? — გაზეთზე ვანიშნე.

თავი დამიქნია.

— დაბრძანდით, — ისე ჩავიწიე, ვითომ ადგილი არ იყო.

შევათვალიერე გოგო.

— ასე ნუ მიყურებთ.

— როგორ ასე? — ძალით გავიღიმე.

— ნუ მიყურებთ, თორემ წავალ.

— მე დაგიძახეთ, თუ...

— არა, — გაიღიმა, — არა, არ დაგიძახიათ.

გაზეთის უკანასკნელი გვერდი აინტერესებდა. მოუხიე.

არაფერი მოსაყოლია, როგორ ხდება დაახლოება. საღამოთი შეეხვდით. საკმარისად ვიბოდილაო.

— თქვენ ძალიან ლამაზი თვალები გაქვთ.

— გმადლობთ კომპლიმენტისთვის, — სიტყვა კომპლიმენტს ვერ ვიტან. რაღაც უშნოდ გამოვთქვამ და იმიტომ, მაგრამ ახლა ასე იყო საჭირო.

— ეს კომპლიმენტი არაა — ფაქტია.

— მაგაზეც გმადლობთ.

ჩემს ოთახს მივუახლოვდით, კარი გავაღე.

— შემობრძანდით.

ერთი არ გამპრანჭვია, ისე შემოვიდა.

— მაპატიე, ხომ იცი, მარტო ვარ და, — ცოტახანს გავჩუმდი, — ძალიან ლამაზი თმა გაქვს, — რაიმე ხომ უნდა შემექო.

— დაგილაგო? — ფეხი ფეხზე გადადო.

— დილით დაააგე.

— დილით აქ აღარ ვიქნები.



— მე წავალ, სასმელს მოვიტან, —
წამოვდები.

— დაჯექი... იცი, ყველასთან ერთხანი-
რად დაწყება არ შეიძლება. უბრალოდ
არცაა საინტერესო. მე რომ არ მდო-
მოდა შენთან ყოფნა, არც შემოგყვებო-
დი. და ძალიან გთხოვ სასმელი აღარ
მიხსენო... ნურც ითამაშებ.

— რას ვითამაშებ?
არაფერი მიბასუხა.
ცოტა მოსულელო მომეჩვენა.
ჩამოხნულა. შუქი ავანთე.

— დარჩები?
— კიდევ თუ მკითხავ, წავალ.

— რა შვილი გკითხავდი.

— რა ლამაზი თვალები გაქვს, — გა-
იმეორა ფაქტი.

მივეუახლოვდი და ხელი მოვხვე.

— ისეთი კარგი თვალები გაქვს, მინ-
და ერთი რაღაც გიამბო, — თითქოს
ჩაფიქრდაო, — თვითონაც ლამაზი ბიჭი
ხარ. ეს ალბათ ბევრს უთქვამს.

თავი გავაქნიე. ესეც ასე იყო საჭირო.
დამიწყო მოყოლა როგორ შეიყვარა,
როგორ გაგიყდა.

იქ რომ მივიდა, იმ ბიჭთან ღამე დაე-
რჩიო, იცოცხლე მომეშვა გულზე და
ვაკოცე.

— შენთვის არ უნდა მომეყოლა. —
ხელი მკრა.

უცებ კარგა მაგრა გამარტყა.

— რატომ, რატომ? — კიდევ

პირე კოცნა.

— უკვე გვიანაა და გარეთ ვერ გა-
ვალ, — ნელა ლაპარაკობდა, — აი, ამ
სკამზე გავათევ... არ მომეკარო, რა შე-
ნი ჭირიმე.

სკამზე გადაჯდა.

ნამდვილად მოისულელებდა. ისე,
კოხტა გოგო კი იყო.

— რა იყო, რა გეწყინა? — მივეუახ-
ლოვდი, — ბოდიში რა... გინდა დავი-
ჩოქო?

წამოდგა.

— დავიჩოქო? — გავიმეორე მე.

ნელ-ნელა მუხლებზე დავეშვი. კოხ-
ტა გოგო იყო.

ზემოდან დამხედა და გაიღიმა.

— კარგი, მე დავრჩები, თღონდ შენ-
თვის არ უნდა მომეყოლა.

იმ ღამეს რაც მოხდა, დიდი სიახლე
არაა. მეორე დღეს კი ერთი მშვენიერი
რაღაც მოვიფიქრე:

„აი, ის გოგო თავის თავს „მეს“ ეძა-
ხის. ასევე ვეძახი მეც, ასევე დიდი ხალ-
ხიც. რატომ, კაცო? ის თუ „მეა“ მანინ
„მე-მე“ ან სამჯერ „მე“ ვარ. მოკლედ
ვარ იმაზე მეტი „მე“.

ინებ აპოლონისაზან

ეს ამბავი ლამაზთვალემა ბიჭმა მია-
ბო. მას უკვირდა, როგორ მოახერხა იმ
მოსულელო გოგომ ამის მოგონებაო. ან
სადმე წაიკითხა და მე მატყუილებდაო.

როდესაც ვწერდი, შიგადაშიგ ჩარე-
ვა გადავწყვიტე, რომ ამ ამბისადმი ჩემი
დამოკიდებულება მეგრძნობინებინა
თქვენთვის, ძვირფასო მკითხველო. ალ-
ბათ რაღაც კომენტარებიც უნდა და-
მერთო. მოწოდებები გამომდიოდა:
„მშობლებო, მიხედეთ მოზრდილ ბავ-
შვებსაც. მარტო ასანთთან თამაში არაა
სახიფათო! „ან“ მეგობრებო, ფხუკუნ-

ფხუკუნით ნუ მიატოვებთ ძმაკაცს-“ ან
მშვენიერო და ვნებიანო ქალებო, ნუ ენ-
დობით ლამაზთვალემა ბიჭებს, შეიძლე-
ბა ისინი „მე-მეს“ მსგავსი ტუტუტუციები
აღმოჩნდნენ!“ ან, ან... და ბევრი ასეთი
სისულელე.

იმედია, პატივცემულო მკითხველო,
მომიტყვებთ ამ ხუმრობას. რამეთუ
თქვენც ხელებით, მოწოდებებისათვის
არ დამიწერია ეს ამბავი. და რაც მთა-
ვარია, თითქმის ყველას გვიყვარს, რო-
ცა ვინმეს ვპატიობთ, ან ვინმე გვპატი-
ობს.



სიყვარული ჩუქათაქვეთში

საბურავების წრიპინით მიჰქროდა მანქანა. უკან რჩებოდნენ მწვანეში ჩაძირული სახლები და ბაღები, ჭორფლიანი ბიჭები, ყვავილ-გამოწვდილნი რომ ცდილობდნენ მანქანების შეჩერებას, მოხუცი კაცი, გზის პირას რომ ჩამომჯდარიყო, თიხის ქოთნებითა და დოქებით გარშემორტყმული.

ლენიკომ სათვალე მოიხსნა და მკვახე ბიის ღრღნას შეუდგა.

გია გაღიზიანებული შემოტრიალდა.

— გინდა გადავიჩხვოთ ორივე?! — მშვიდად ჰკითხა გიამ.

- მინდა!
- ლენიკო, იცოდე ერთი ისტერიკაც და...

- ვინ დაიწყო პირველი?
- ამას არა აქვს მნიშვნელობა!
- ჩემთვის აქვს.
- გაიგე, რომ რულზე ვზივარ!
- რულზე კი არა რულთან, უფრო სწორედ, საქესთან.

მანქანა გზის პირას მდგომ კოხტარესტორნის წინ გაჩერდა.

გიამ ძრავა გამორთო და დაბოღმილი გადმოვიდა მანქანიდან. რესტორანი თითქმის ცარიელი დახვდათ.

აივნის მაგიდას მიუსხდნენ. გიამ „მენიუ“ გაუწოდა ლენიკოს.

- არ მინდა!
- აბა დაღრღენი მაგ ბია და დაიმტვრიე კბილები!
- ჩემი კბილებია, მინდა დავიმტვ-

რევ, მინდა არა! — გია ბოღმით მიაჩერდა ოდნავ მოციცქნილ ბიას.

მომტანმა სწრაფად გაშალა მაგიდა. აივანზე პატარა ბიჭი შემოგოგმანდა და პირდაპირ გიას მიაკითხა.

გამხიარულებულმა გიამ მუხლებზე დაისვა და ცხვირზე დაჰკირა თითი.

- ჰი, ჰიი!
- ბავშვმა უეცრად სახეში სთხლიშა გიას და მუხლებიდან ჩამოზობლდა. დარეგტიანებული გია გაღიმებას ცდილობდა.

ლენიკოს არ შეუმჩნევია ეს ინციდენტი. უცნაური სევდა ჩაგუბებოდა თვალეში და გაზაფხულის მინდორს გაჰყურებდა.

სადამოს ბინდი ჩამოწვა გზაზე. ნისლი ხელს უშლიდა გიას მართვაში. მანქანა ფრთხილად მიიწვედა ჩამუქებულ გზაზე. ლენიკო თვლემდა. გიამ ლენიკოს პომადა წაუსვა ფარებს. მანქანა ახლა იასამნისფრად შებოლილ გზაზე მიჰქროდა.

- ნელა ატარე!
- რატომ, ახლა უკვე კარგად მოჩანს.

სოფელში წყნარი დ ციციანთელებიანი ღამე დახვდათ, გაზაფხულის თავბრულდამხვევი სურნელი იდგა.

- ლენიკო, გაიღვიძე, ჩამოვედით.
- სადა ვართ?
- ჩუმათელეთში.
- აქ უნდა გავათენოთ ღამე?



— ხო, ბიცოლაჩემთან.
— უიმე, მოსულელო ბიჭი რომ
ჰყავს?!

— სულ არ არის მოსულელო. —
გიას ხმაში წყენა მოისმა. — უბრა-
ლოდ, ვერ განვითარდა.

— ხოდა, მაგას ვამბობ მე!
— ლენიკო!
— ნუ მიყვირი!
მანქანა ორსართულიანი სახლის
წინ შეჩერდა.

— დათუნა!
— რა კარგი სახელია ჩუმათელებით,
ჩუმათელებით! — წაიმდერა ლენიკომ.

— დათუნა!
— ვინ არის დათუნას რომ უძახის?
— მოისმა გაკვირვებული ლაპარაკი და
კიბეზე მსუქანი ქალი ჩამოკოტრილდა.
— რომელი ხარ?

— ვია ვარ, ანეტი ბიცოლა!
ცრემლმორეულმა ანეტამ კინაღამ
დაახრჩო კოცნით ვია, მერე მომღიმარ
ლენიკოს მოუბრუნდა, ჩააცქერდა და
ყოველმხრივ კმაყოფილმა გოგონას წა-
რმტაკი გარეგნობითა და კეთილი ლი-
მილით, მკერდზე მიიკრა გიას ცოლი.

— იცოცხლეთ, იბედნიერეთ, შვილე-
ბო, მე თქვენი ქორწილის მონაწილე ვერ
გავხდი, მაგრამ... გმადლობთ, ვია, რძა-
ლი რომ ჩამომიყვანე, აქაც ისეთი ამ-
ბები დაგახვედრეთ, რომ... — არ დაა-
მთავრა ანეტამ და სახლისაკენ მიმავალ
გზაზე გაუძღვა ახალგაზრდებს.

— დათუნა, მანო!
მაგრამ დაძახება საჭირო აღარ აღმო-
ჩნდა, კიბეზე ტანადი, კეთილთვალემა
ბიჭი ჩამორბოდა, ხოლო მის უკან მორ-
ცხვად მოძუნძულებდა ელამი და დაბა-
ლი არსება, რომელსაც დათუნა კიბის
ბოლოში დაელოდა.

— დათუნა, ბიჭო, როგორ ხარ?!
მაგრამ დათუნა ძალიან უცნაურად
მოიქცა, ჩვეულებრივი შეძახილისა და
მოხვევის მაგივრად, აზრიანი თვლებით
შეხედა ბიძაშვილს, მერე ლენიკოს, შემ-
დეგ წინ წამოაყენა თავისი ელამი ამზა-
ნავი და თქვა:

— ჩემი მეორე ნახევარი!

— რაა?!
— ხო, შვილო, ცოლი შეირთო და
თმა.

დათუნა მტკიცედ იდგა მანოს გვერ-
დით.

— ახლა არ გამაგიჟოთ!
ლენიკო პირველი გამოერკვა, ინსტი-
ნქტური შიში გადაძლია და ფრთხილად
აკოცა უცნაურ ცოლ-ქმარს.

— დათუნა, გამაცანი შენი მეუღლე!
— მანო! — წაილულღულა გოგომ
და ხელები ზურგსუქან დამალა..

.

გემრიელი ვახშამის შემდეგ, ხის სუ-
რნელოვან აივანზე ჩაი მოიტანეს და
ოდნავ შემთვრალმა ვიამ უფრო მძაფ-
რად დაიწყო ამ უცნაური სიტუაციის
აღქმა. დათუნა მბრძანებლობდა, მაგრამ
ძალიან თავშეკავებულად და პატივის-
ცემით ეპყრობოდა მანოს, რომელმაც
ზედმეტი აღფრთოვანებისაგან ნახევარი
ჭიქა ჩაი მუხლებში ჩაუღვარა ლენიკოს.

მანო ოთახიდან გავიდა. ლენიკო უკან
მიჰყვა და კიბის ძირში იპოვა, გოგო-
ნას ელამი თვალები ცრემლს დაებინდა.

ცოტა ხნის შემდეგ დაწყნარებული
მანო და კაბაგამოცვლილი ლენიკო მა-
გიდას მიუსხდნენ.

ვიამ კინაღამ სიგარეტი შესთავაზა
ცოლს, მაგრამ დროზე გადაიფიქრა.

— წადი, დავით, ბარგი გადმოზიდ!
— მე თვითონ, ანეტა ბიცოლა, მე
თვითონ!

მაგრამ ანეტამ ანიშნა გიას, საქმე
მაქვს შენთანო და გააჩუმა.

მანო და ლენიკო ბაღში გავიდნენ.

— ახლა მაინც მითხარი, ბიცოლა-
ჩემო, რა მოხდა, თორემ ლამისაა ჰქუას
გადავცდე.

— რა მოხდა, შვილო, და გადავწყვი-
ტე, ცოლი შემერთვა დათუნასათვის,
ვიფიქრე, მეც წამეხმარება პატარაზე
და ბიჭსაც გამიხალისებს-თქვა. უბედუ-
რი ოჯახის შვილია ეს მანო. კაბა რომ
კაბაა, ის არა ჰქონდა, როცა მოვიყვა-

ლავა თაბაქაშვილი
სიყვარული ჩუმათელებით

ნეთ, მერე ჩემი ყმაწვილქალობის ყვა-
ვილებიანი კაბა გადაუჭეთე და კინალამ
ვაგიჟდა სიხარულისგან, შენ წარმოიდ-
ვინე, ქორწილიც კი გადაუხადე.

— ახლა კი მართლა გავგიჟდები!

ანეტას ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ბევრმა გამამტყუნა და გამლანძ-
ლა, მაგრამ ერთი დღესასწაული ჩემს
დათუნასაც ეკუთვნოდა ამ ცხოვრები-
დან. დამნაშავედ ვგრძნობ მაგის წინაშე
თავს.

სამი დღე ვერ... ვერ მიფერა მანოს,
შემდეგ კი... მოკლედ, არ შევრცხვით.
თქვენებისათვის არ შემიტყობინებია,
მომერიდა მაინც...

დათუნა ამოვიდა თუ არა აივანზე
გიას უსაყვედურა, ქორწილზე რატომ
არ ჩამოხვედიო.

— არ ვიცოდი, დათუნა, დედა მომი-
კვდეს.

— იცი, რამდენი ხალხი იყო, ყველა
იმდენს იცინოდა, მე მეტი მინდოდა, მა-
რა არა გვყავს აქ მეტი ნაცნობები.

დათუნა გაჩუმდა, შემდეგ მორცხვად
მიმართა გიას:

— გია!

— რა იყო, დათუნა?

— რა და ქორწილის შემდეგ ყველა
დავითს მეძახის და... მე შენგან არ მე-
წყინება, მარა სხვას რომ ეწყინოს?

— რა ეწყინოს, ბიჭო?

— რა და პატივს არა სცემსო თავის
ბიძაშვილსო, დავითი დამიძახე, კარგი?!

გია და ლენიკო საპატიო ოთახში შეა-
ცილეს. გაქათქათებული ზეწრების
სურნელმა და დაღლამ წამსვე ლოგინში
შეაცურებინა სხეული გიას.

— იცი რა მითხრა მანომ?

— რაო? — წაბლეთილი თვალები
გაახილა გიამ.

— უკვე შემიყვარდა და შეეჩეჩე
დავითსო, ძალიან კარგად მეპყრობაო.

— კარგად მოეპყრობა, აბა თავურს
ხომ არ დაარტყამს.

— სულელურად ხუმრობ!

— ლენიკო, მოდი ჩემთან.

— არ მინდა.

— როგორც გინდოდეს, — მოჩვენე-
ბითი გულგრილობით თქვა გიამ, — მერე
რდზე გადაბრუნდა.

კედლის საათმა სამი დარეკა.

მანომ დაიჩოქა და თმა მაგიდაზე გა-
დააენტა. დათუნამ უთო მოიმარჯვა და
ბეჭითად შეუდგა მანოს თმების უთო-
ობას.

— კიდევ, მანო?

— სულ ცოტაც, დავით.

— მე შლაპას დავიხურავ, — თქვა
დათუნამ და დაამატა, — რა გრძელი
თმა გაქვს, მე კი მცვივა.

ქრიალთი გაიღო უზოს ჭიშკარი. წყნა-
რი, მთვარიანი ღამე იყო.

დათუნას ცილინდრი ეხურა თავზე,
მანოს ყვავილებიანი კაბა ეცვა და თით-
ქოს გრძნობდა ყვავილებს ტანზე.

ლენიკომ უცნაური სიზმარი ნახა. თი-
თქოს პატარა კუნძულზე იმყოფებოდა
და მისკენ მოცურავდა ლურჯიალქნი-
ანი გემი. გემზე პრინცის სამოსელში გა-
მორწყობილი დათუნა იდგა.

ლენიკომ გამოიღვიძა, შიშით მიმოი-
ხედა და გიას შეუწვა ლოგინში.

დილით სულ უმიზეზოდ ატყდა ჩხუ-
ბი. როგორც ყოველთვის, უმიზეზოდ
და გიამ უხეშად შეუყვირა ლენიკოს.

უზოდან მანოს ნაზი მოძახილი ისმო-
და — ჭუკი, ჭუკი...

გია წვერს იპარსავდა, ლენიკო ბუზ-
ლუნებდა, შემდეგ სარკესთან მივიდა,
გვერდზე გასწია გია და დიდხანს სადის-
ტური სიამოვნებით ივარცხნიდა თმას.
გია ამაოდ ცდილობდა საკუთარი გამო-
სახულების დანახვას სარკეში, ყველგან
ლენიკოს ფაქიზ კისერს აწყდებოდა. შე-
მდეგ პატარა სარკე აიღო და ფანჯარას-
თან განაგრძო პარსვა.

— ჭუკი, ჭუკი, ჭუკი... — ისმოდა
მანოს მოძახილი.

— „შანელი“ კი არა წყალია ნახევარი.
— აბუზლუნდა ლენიკო.

გიამ ხელი სტაცა ტანჯვით ნაშოვნ
ფლაკონს და ფანჯარაში გადაუძახა.

მანქანა გაპრიალებული დახვდა, უკა-

ნასკნელ წყლის წვეთებს ამშრალეზდ-
ნენ მანო და დათუნა.

გია მიხვდა, რომ მანქანა ქვემოდან
არ იქნებოდა გარეცხილი, მაგრამ აღარ
აწყენინა ბეჯით წყვილს და დიდი მად-
ლობა გადაუხადა.

გარშემო ფრანგული სუნამოს მათრო-
ბელა სურნელი ტრიალებდა.

გატეხილი ფლაკონი იქვე ეგდო, მას
ნეტარებისაგან დაელმებული ძაღლი
დასტრიალებდა და ნაზად ლოკავდა.

დათუნამ დაიქსუტუნა და გოაცებით
თქვა:

— რა კაი სუნია?!

— მოაშორეთ ძაღლი, თორემ დათ-
ვრება, — თქვა გიამ.

— რას იზამს? — იკითხა დათუნამ.

— დათვრება!

— გესმის, მანო, ძაღლი დათვრებაო!
დათუნა აცეკვდა, თან წამღერებით
იცინოდა— ძაღლი დათვრებაო!

დათუნას უცებ გაახსენდა, რომ ის და-
ვითია და სწრაფად მოსხიბა სიცილი.

ლენიკომ ნაძალადევი ღიმილით ჩა-
მოსძახა ფანჯრიდან: — გია, ამოდი
ერთი წუთით!

— დამანებე თავი! — დაიღრინა
გიამ და წამსვე ინანა.

მანო და დათუნა დაუფარავი გოაცე-
ბით მისჩერებოდნენ მას.

ლენიკომ და გიამ საქორწილო საჩუქ-
რები მიართვეს ახლადშეუღლებულებს
და წასვლის თადარიგს შეუღდნენ.

ავარდნილ მტვერში გაჰქრა ჩუმათე-
ლეთი.

უღელტეხილი ისე გადაიარეს, რომ
არც ერთს ხმა არ ამოუღია.

ლენიკო ბიის ღრღნას განაგრძობდა.
გიას სულ უფრო და უფრო სწრაფად
მიჰყავდა მანქანა დახვეულ გზაზე.

თავდასხმა წვიმა დაიწყო. ამაზრზე-
ნად დაიქუხა. გიამ საყინძე ჩაიხსნა და
სისწრაფეს უმატა.

— არ დაკეტო ფანჯარა! — მიძახა
დამფრთხალ ლენიკოს.

ლენიკომ თვალები დახუჭა და ბიის
ღრღნა განაგრძო, წვიმა უმოწყალოდ
სცემდა ორივეს, გალუმბულეები
უცნაურ ქინს აყოლილი საშინელი
სისწრაფით მიჰქროდნენ ფანტასტიუ-
რად ჩამუქებულ გზაზე.

ისევ დაიქუხა ელვამ, ცისფრად გაა-
ნათა ალმაცერად დასერილი სივრცე.

ლენიკოს ბია გაუვარდა ხელიდან.

— გია, არ გინდა, მეშინია!

გიამ ყურადღება არ მიაქცია, გაა-
ფთრებული მართავდა მანქანას,

— სწორია. ასე აჯობებს, უნდა გადა-
ვიჩხვოთ, არაფრის ღირსები არა ვართ,
ნეტა არ მენახა ის მანო და დათუნა,
არც ერთი არა ვართ სასიცოცხლო, გა-
დაჩეხე, გია, გადაჩეხე მანქანა!

მოსახვევიდან საბარგო ავტომობილი
გამოვარდა, გიამ სწრაფად აიღო მარ-
ჯენი, მაგრამ საჭის გასწორება ვერ მოა-
სწრო და მანქანა ხევის ციცაბო დაღ-
მართზე დაეშვა.

გია სასოწარკვეთით ჩაექიდა საჭეს,
მაგრამ უეცრად ცალი ხელი საჭეს მო-
წყვიტა და ლენიკოს გადააფარა. მთელი
ძალით აწვებოდა მუხრუქს, მაგრამ მან-
ქანა მაინც მისრიალებდა ხევისკენ. ერთ-
ადერთი შიში, რომლის შეგრძნებაც
გიამ მოასწრო, ეს იყო შიში — ლენიკოს
პარპრიზმმა სახე არ დაუზიანოსო. ის
აზრი, რომ შეიძლებოდა ორივე დაღუ-
პულიყო, ვერც წარმოედგინა, და მაშინ,
როცა სასოწარკვეთით აწვებოდა მუხ-
რუქს, მხოლოდ ლენიკოზე ფიქრობდა.

გიამ ხეებს შორის გააძვრინა მანქანა
და უეცრად დაღმართმა გაიკავა.

წვიმას გადაეღო. გარშემო საოცარი
სიწყნარე სუფევდა. წყაროს ჩუხჩუხი
და ჩიტების ჰიკიკიკი არღვევდა ამ გა-
რინდებას.

გიამ სიგარეტი გააბოლა და თავი
უღონოდ გადაუვარდა უკან. ლენიკო
გადაიხარა და ხელისგულზე აკოცა
ბიქს.

გია ლენიკოს სიტყვებზე ფიქრობდა.

თამაზ ბიბილაძე

ყ ვ ე ლ ა ღ მ ი ნ დ ა

„ნუ მამბალობ, შვილო, შეწუხებხარა, რამეთუ ბუნებით თანა-აც უოველსა ხულსა მწუხარება განშორებისათვის ხორცთადასა და დატყვევისათვის ჰაერისა და ნათლისა და წარსვლისათვის უცხოებად, სადა-იგი არა ვიცით, თუ ვითარსა იწროებასა მივალთ“.

„სიბრძნე ბალაჰვარისი“

1.

ეს ამბავი ერთ შემოდგომაზე მოხდა, ღვინობისთვიდან ქრისტეშობის თვემდე; ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვება და მეც იმგვარად ვიამბობთ, როგორც იყო და როგორც სოფელი ჰყვება.

ღვინობისთვის პირველ კვირაში საწყალი თაყა მოკვდა, მენახირე თაყა. ჯერ ისევ ჯანზე იყო და აბა იმის სიკვდილს ვინ იფიქრებდა. წინა საღამოსაც ნახირიდან ისე დაბრუნდა, როგორც ბრუნდებოდა ხოლმე — ეზოში თავჩაქინდრული შემოვიდა, შინდის ჯოხი საჩეხში მიაყუდა და პირზე წყალი შეისხა... ვანა არა, ისე მადიანად აღარ უვებშია, როგორც იცოდა ხოლმე, ლობიოს ჯამი მეორედ აღარ გაუვისია და ხელადაშიც ღვინო ჩაარჩინა. ცოტა ადრეც დაწვა, მოიმიზეხა, დილაზე ადრე ვარ ასადგომიო.

თაყას ცოლი თინია ღვთისნიერი ქალი იყო და მთელი სოფელი ნათლიდედს ეძახდა. ნათლიდედა რიქრაქზე ამდგარიყო და ვენახში წასულიყო. უკვე კარგად გათენებულიყო, ეზოში რომ შემოვიდა. ქმარი არცკი გახსენებია, საქმეში ვაერთო და პირველად მაშინ მიხედ-მოიხედა, როცა იმათ ჭიშკარს

მეზობლის ძროხა ზმუილით მოადგა. ჰო, თაყა მენახირე იყო და ამ ძროხას სხვა ძროხა მოჰყვება, მერე კიდევ სხვა და მალე მთელი ზემოუბნის ძროხებმა მენახირეს სახლის წინ მოიყარეს თავი.

მაშინლა იფიქრა თინიამ, რა ძილქუში დაადგა კაცსა, თავის დღეში ეს არ უქნია, რას აბლაღლებს ამ ძროხებსაო. ჯერ ეზოდან დაუძახა: ადე, თაყავ, მზე ამოვიდა, ძროხები გელოდებიან, რას იტყვის სოფელიო; მერე საჩეხში ავიდა, სარკმლიდან გადაიხედა, შინ შევარდა და გაშრა... თაყა ტახტზე გულადმა ეგლო.

თინიას შეეშინდა და საჩეხში გამოვარდა. ეზო გადაიარა და ღობესთან ჩავლილ დედაბერს ხელი დაუქნია.

დედაბერი შეჩერდა. თინია დაეწია და ჩურჩულით უთხრა:

— თაყა მოკვდა...

მიცვალებული განიერ ტახტზე დასვენეს. ნათლიდედს ელდისგან ენა ჩავარდნოდა, ცხედართან მოკუნტულიყო და ისეთი თვალებით იყურებოდა, თითქოს იმას აბრალებდნენ, თაყა რომ ამ ქვეყნიდან წასულიყო... სამღურავე კი ჰკადრა ქმარსა: იმისთანა რა გეწყინა,



უკან აღარ მოიხედე და წახვედიო; ასეთი რა გულს დაგაკლდა, ამ ქვეყანაზე მარტო დამარჩინეთ; არ შეგეშინდეს, მეც მალე წამოვალო. ეს იყო და ეს, მეტი აღარაფერი უთქვამს. მერე ყველაფერი მეზობლებს მიანდო. დედულეთიდან სიყრმის მეგობრები — თედო და კუქნა დაიბარა... თედო სანდო კაცი იყო და ქელეხის თადარიგს ისე გაუძღვებოდა, არც მიცვალებულს დააკლებდა პატივს და ოჯახსაც გაუფრთხილდებოდა. კუქნა თედოს ცოლი იყო, დიდი მოლაპარაკე და მოტირალი ქალი... უთქმელ და გამოკეტილ ოჯახში სიტყვასაც ლაზათი ჰირდებოდა.

ყმაწვილქალობა ობლობაში გაუტარებია ნათლიდელას. მაშინ პატარა გოგო იყო და, აბა რაღა თქმა უნდა, რომ მთელი სოფელი ნათლიდელას კი არა, თინიას ეძახდა. ეს დიდი ხნის წინათ ყოფილა. მაშინ თურმე კოდი პური აბაზი ღირდა, ხორბალიც კალოზე იღებოდა და მარილზეც აღზევანს დადიოდნენ.

ერთხელ იმ სოფელს ხორველა დაერევია. თინიას დედ-მამასაც მაშინ წაუღია თქვენი ჭირი. ჰაიპარად დაუმარხავთ. მერე კი, ჟამს რომ ჩაუვლია და სოფელიც ტყიდან გამოხიზნულა, მიცვალებულებისათვის ოსტატის ხელით გამოთლილი ქვები დაუდვიათ. ქალს ვულ-ხელი აქვს დაკრეფილი და სათნოდ მზირალი შენდობას ითხოვს. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი კაცისთვის კი ქვისმთლელს აქეთ-იქიდან გუთანი და ნაჯახი, ხელეჩო და წალღულა შემოუწყვია. ის ქვები ახლაც ისეა, სოფლის ძველ სასაფლაოზე, ვენახების თავში. მართალია, ცოტა ნიადაგში ჩამარხულან, ცოტა ჭვარიც გადასცვეთიათ, მაგრამ აზრი მაინც გასაგებია, შენდობა ისევ წაიკითხება.

დაობლებული თინია ბიძას წაუყვანია შინა და დიდ ჯალაბს ერთი გოგოც შემატებია. ბიძა დედისძმა ყოფილა. ოჯახში იმ ძმის გარდა კიდევ სამ ძმას უცხოვრია. ოთხ ძმას ოთხი ცოლი ჰყო-

ლია, ოთხ რძალს — ორი გაუთხოვარი მული. დიდდაც ისევე ცოცხალი ყოფნის ფილა, ას წელს მიღწეული ღმერთს ტანთ ქალი. ბაღლებს ხომ თურმე თვლა არ ჰქონდათ და ამოდენა ჯალაბი საძილედაც და სავენაშობადაც ერთ დიდ დარბაზში იყრიდა თავსა.

დარბაზში შუაცეცხლი ენთო, მოჩუქურთმებული ტახტი, სკივრი და ორიოდ, კვამლით გაშვებული სამფეხა სკამი იდგა. თაროებზე თიხის ჯამები, კოკები და ჭინჭილები ელაგა. კაუჭებზე ნივრის და ხაზვის გალა, წიწკების ასხმულა, აკიდო და ყურძნის ჩხა ეკიდა. მიწურ იატაკზე ცხვრის მატყელი და ხარის საქალამნე ტყავები ეყარა. სხენი ჯაგნებით იყო დახუნძლული. თხილსა და კაკალში თავგები ჩარფუზანას უფლიდნენ და შუღამიდან მოყოლებული რიყრაყამდე ერთი ალიაქოთი იდგა... სოფლის ბოლოში კი ოჯახს ჰქონდა ორმოციოდე დღის სახნავ-სათესი მიწა, ზვარი, ტყე, საძოვარი და კაკლიანი. ბაკში ზმუოდნენ ძროხები. დღლეში იცოხნებოდნენ კამეჩები. საკუთარი ფარა მთაში გაეშვათ და ღვინობისთვის ბოლოს დღე-ღღეზე ელოდნენ ცხვრის ჩამოსვლას.

თინია ცქციტი გოგო ყოფილა და ობოლს არა ჰგვანებია: ჩამრგვალებული და ჩათქვირებული. მთვარესავით გაბადრული... (ამას სოფელი ამბობს, მკითხველო) ყურებამდე გაცინებული ბროწეული. თურაშაული ვაშლივით დაბრაწული... ჭიაკოკონობა ღამეს ცოცხის ცხენზე გადაჯდებოდა და კუდიანებთან ბუქნას უფლიდა. (ამასაც სოფელი მოუგონებდა). კალოზე ხარებს დააფრთხობდა და კევრზე მალაყებს გადადიოდა. ხან საყვავეზე დაიყვილებდა, ხან კალოს კენწფროზე ჭანაობდა.

მღვდელს უთქვამს: ჯერ პატარაა, მოეუთმენ, თუ კდემას არ შეიძენს, არ შევიცოდებ და შევაჩვენებო.

ხეზე ჩამოკონწიალებულ გოგოს დი-

თამაზ ბიბილური
ყველაწმინდა



დღეც შეჩვენებულს ეძახდა, ევედრებოდა: ჩამო, გოგო, ემანდ არაფერს ჩამოეგო, ღმერთსა ვთხოვ, ჩამოგადოს მაჭედან და დამასვენოს... მაგრამ გულში ყველაზე მეტად უყვარდა.

შემოდგომის ერთ ცივ ღამეს, როცა გარეთ წვიმდა და მთელი ჯალაბი შუა-ცეცხლს შემოსხდომოდა, დიდდამ და ძალომ ირურჩულეს. მერე ოჯახის უფროსიც გაიხმეს. უფროსმა ბიძამ ძმებს დაუძახა, ძმებმა ცოლებს, რძლებმა მულებს... მერე გარეთ გავიდნენ და მეზობლიანთ დედაკაცი ღობეზე გადმოიყვანეს. მერე საჩხეში იდგნენ და დიდხანს ყაყანებდნენ.

— მართლათ? — იკითხა ძალომ.

— მართლა, მართლა... — დაუდასტურა დედაკაციმა.

— როდის უნახავსო? — დაინტერესდა დიდედა.

— ახოებიდან რო ნახირი ამოუტარებიაო.

— პანტაზე იქნებოდა აჩაჩხულიო! — ჩაილაპარაკა უმცროსმა ბიძამ.

— ვინმე ქალაჩუნა ან საპყარი არ იყოსო. — შეშინდა დიდედა.

— საპყარი რად იქნება, მშრომელია, მენახირეთ.

— მაშ რაღაზე გადავდოთო, — კვერი დაჰკრა ძალომ, — დილაზევე გადადი და აბა, მაგ საქმისა შენ იციო.

ამ დროს თინიას ბიძაშვილი დაირას უკრავდა.

თინიას მკლავები გაეშალა და შუა-ცეცხლის გარშემო ბუქნაში ამოდიოდა.

ნიშნობას გაუვლია. თინია თავის დანიშნულს ახლოსაც არ მიჰკარებია და თურმე ისე დარბოდა გოგო-ბიჭებში თითქოს ეს ამბავი იმას კი არა, ვილაც დიდოელ ლეკს ეხებოდა. ერთი ახმაზი კი მოვიდოდა, გაუცინებდა, ფოჩიან კამფეტებს გადმოუგდებდა. მერე იმ ახმაზს ერთ დედალს მიაართმევდნენ თავისი ნიორწყლით, ერთ ჯამ მწნილს, შოთებს და ნიგოზს. სტუმარი რიდიანად იქცეოდა, ბევრს ვერაფერს გვახლებოდათ. მარტო ერთ ბარკალს აახევ-

და ქათამს, ცოტა ნიგოზს გადაიღებდა და სვამდა... ორ ხელადა ღვიზს და მილითა და სვენებ-სვენებით გამოცლიდა. სუფრაზეც დუმილი იდგა. მერე ახმაზი წამოდგებოდა, საყველაწმინდოსაც დალევდა, ერთი კი იტყოდა „აგა-შენოთო“, ნაბდის ქუდს დაიხურავდა, მოიხედავდა და გაიცილებდა (ეს წასვლის სიცილი იყო). მერე ორღობეს მიეფარებოდა და ღობესთან გავარდნილი ძაღლი კარგა ხანს უყეფდა შინისკენ წასულ სტუმარს... სახლში კი ისევ ჩურჩული ატყდებოდა. დიდედა ჩივილს დაიწყებდა, ერთი მეც დამიძახეთ, მეც მათქმევინეთ ჩემი სიტყვა, გოგო ჩემი გავრდილია და მე აღარ მაგდებთ ძაღლაღო? კაცები უკვე მთვრალეები იყვნენ და ქალები იწყევლებოდნენ, რა ჩაგიძვრათ მაგ მუცლებში, რამდენი ის მოვა, იმდენი თქვენც თუ არ დასკდით არ იქნებაო? ამისთანა გაჭიანურებული არაფერი გვინახავს, ადგეს და გაათაოსო...

ასე გასულა ერთი წელიწადი.

რთვლობასაც ჩაუვლია, ღვინობისთვეც დამღვარა და მოსავალიც დაუბინავებიათ. თელაველი სომხებისაგან თინიასთვის ჩითი და მძივები უყიდიათ, შეუმოსავთ, მოურთავთ და მზითევიც მოუშვადებიათ. ისევ მოსულა ის ახმაზი (საწყალი თაყა, ეხლა რომ კუბოში წევს), ისევ გამოუჩენია დიდი კბილები, თინიას ტოლ-სწორები შემოხვევიან და ცეკვითა და სიმღერით სოფლის პატარა საყდარში წაუყვანიათ. თინია გამჭრიახი გოგო ყოფილა, მაშინ კი მიმხვდარა, საკაიციოდ არ გამომაწყესო, ნეფე ვეშაპისტოლად შოსჩვენებია, შეშინებულა, დაუკრავს ფეხი და საყდრიდან გამოქცეულა.

სადედოფლო საყდრიდან გაიქცაო და... სოფელს ლექსი გამოუთქვამს.

ასე იყო თუ ისე, სადედოფლო ნეფეს მაინც წაუყვანია. სოფელს კარგად უქეიფია. მერე ყველა წასულ-წამოსულა. თაყაც მარტოხელა კაცი ყოფილა, ერთი უებრო და ფიქრში წასული. ჩათქვირებულ გოგოს მაინც შეშინებია,



დრო უხელთია და ისევ შინ გაქცეულა. ნეფე არ გამოჰკიდებია, შემთვრალი ყოფილა, ტახტზე მიწოლილა და ხერი-ნვა ამოუშვია. დედოფალი რომ უკან დაბრუნებულა, დედულეთში ერთი ამბავი ატეხილა. თინია გარეთ გამოუგდიათ და კარიც მაგრად ჩაუკეტიათ. ამბობენ, მარტო დიდება იჭდა და ცხარე ცრემლითა ტიროდაო. დარჩენილა საწყალი გოგო ცისა და მიწის ანაბარა და აცრემლებული დასდგომია გზასა. ცასაც დაუნდვია. არც წვიმა წამოსულა და არც ჭექა-ქუხილი ატეხილა, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე. დამე მთვარიანი ყოფილა და მიწასაც გზა და ბილიკი მიუსწავლუბია. მარტო ტურები ასდევნებიან საქორწინო კაბაში მორთულს (მერე იგონებდა ხოლმე, დამეში ისე ვჩანდი, როგორც თეთრად გადაპენტილი ნუშიო), რაც უფრო აჩქარებულა, ტურებიც აჩქარებულან. უხმოდ შეუღია ჭიშკარი (ამ დროს უკვე ცისკრის ვარსკვლავი ამოდიოდაო), შეუჭრიალებია დარბაზის კარი და იქვე, თავდახრილი გაჩერებულა. თაყა უკვე გამოძინებული ყოფილა, ტახტიდან წამოწეულა, გოგოსთვის გაუღიმიდა და უთქვამს:

— მოხველი?

თინიას თავი დაუქნევია.

— რისა გეშინია? განა შაბკამ?

მერე თაყა დილაადრიანად ამდგარა, შინდის სახრე აუღია და ნახირში წასულა. თინიას თვალი გაუყოლებია და ორღობეში გასულისათვის დაუძახნია:

— მალე მოხვალ?

— დაღამდება და მოვალ!

და ასე, მთელი წუთისოფელი, ალიონისას წავიდოდა, დაღამდებოდა და მოვიდოდა მენახირე თაყა.

თინია დადინჯებულა, უცებ დაქალე-ბულა, ეშმაკეული ერთბაშად გასცლია, სახლიც დაუკამკამებია და კარ-მიდამოც... თვის თავზე, როცა დიდება სწევ-ვიათ, ველარ უცვნია შვილიშვილი. პირ-ჯვარი გადაუსახავს, ზეცისთვის შეუხე-დავს და უთქვამს: ღმერთო, შენი სახე-

ლის ჭირიმი, რამ გამოცვალა ეს გოგო, რა ჯადომ დაამშვიდა და დააცხრობა?

პირველ ხუთ წელიწადს არაფერი.

თინია გოგოცუნა იყო და არც თაყა ნაღვლობდა რამეს.

მერე კი ყველაფერი თავისით მოხდა.

თინიას რვა შვილი ეყოლა. რვიდან ორი ქუთორულში მოუკვდა, ერთი — ყივანახველით, ერთი ალაზანში დაეხრ-ჩო. ოთხი გაუზრდიათ. ოთხივე მართ-ლა ბიჭი ყოფილა, ერთმანეთზე ღონიე-რი, გამრჯე და ალალი. ოთხივე ომში წაუყვანიათ და არც ერთი აღარ დაბრუ-ნებულა. ერთზე კი ამბობდნენ, ვიდაც გავაზელ კაცს უნახავს, მოკითხვაც და-უბარებიაო, მაგრამ ტყუილი გამომდ-გარა.

ასე გადაიარა თინიას ოჯახმა.

უდროო დროს მოკვდა თაყა. ყველა იმას ამბობდა, რალა ახლა მოუნდა მაგ დალოცვილს, შუა შემოდგომაა, რა დროს ქელები იყო, ხალხი საღხინოდ არის გამზადებულიო. ვაზაფხულზე რომ მომკვდარიყო, ახლა იმას იტყოდ-ნენ, რა დროს სიკვდილი იყო, აღარც ღვინო დარჩა ქვევრში და ლობიოც ბა-ზარზეა საყიდელიო. თუ მაინც და მა-ინც ეჩქარებოდა, შემოდგომამდე მოე-ცადა და მერე საცა უნდოდა იქ წასუ-ლიყოო.

სოფელი კეთილია და ეს ფიქრიც სი-კეთით მოსდიოდა.

მენახირემ წუთისოფელი ისე გაატა-რა, ხალხს თვალში არ მოხვედრია. მუ-დამ თავჩარგულსა და ჩაფიქრებულს არც ღღობაზე მიუწევდა გული, არც ქორწილსა და ნათლობაში. თუ ვინმე სოფლის ჭირს წაიღებდა, იმ დროს გა-მოჩნდებოდა, როცა მიცვალბულს სა-მარეში დებდნენ. ქულს მოიხდიდა, მე-რე აიღებდა ერთ პეშე მიწას და უხ-მოდ მიაყრიდა საფლავს.

ნახირს მაშინ აგროვებდა, როცა ჯერ ისევ დილაბნელი იდგა. ნახირს მაშინ ჩამოარიგებდა, როცა უკვე დაბინდღე-

თამაზ გივილური
ყველაწმიდა

ბოდა. ყველასგან მოცილებული, გატყუარებული და ეული თითქოს ყველას დავიწყებოდა.

სოფელი თავისთვის იყო, მენახირე — თავისთვის. კოლექტივის კრებაზე სულ ბოლო სკამზე, კუთხეში მიჯდებოდა. რაც არ უნდა ეხვეწნათ (შემხვეწნი კი არავინ იყო), ერთ სიტყვასაც არ იტყოდა. თუ ათასში ერთხელ, ღმერთი გაწყურებოდა და შინ ცოტა აღრიხანად დაბრუნდებოდა, შუა ეზოში ჩამოჯდებოდა, მეზობლის ბაღს დაუძახებდა, მუხლებზე დაისვამდა და ათამამებდა; ან ხის ნაჭერს აიღებდა, — ქაფქირს, ლანგარას და კოვზსა თლიდა.

ყველა ლხინი ისე ჩივილიდა, არავის ახსოვდა თაყა. დაინიშნებოდნენ, მოიქორწილებდნენ, იღლებობდნენ და მერე და გავიწყდა, ვერ დავაბატიყეთ, სიკვდილსაც დავიწყებია იმისი თავიო.

მაგრამ სიკვდილს არავინ ავიწყებდა და თაყასთვისაც გაითალა ოთხი ფიცარი.

სოფელი დიდი იყო და სიკვდილიანობაც ძველისძველი ამბავი. თუ მიცვალებული ხანდაზმული იყო, იცოცხლე, სოფელი მოილხენდა... ბებრებს იმ სოფელში სიცილით მარხავდნენ. ქელეხში დაფა-ზურნა არ დაიკვროდა, თორემ სიმღერას აღარაფერი აკლდა. თუ ახალგაზრდა დაწყვეტდათ გულსა, ამაშიც ჰქონდა სოფელს თავისი კანონი: ქელეხში მისვლას ითაკილებდა (მეტადრე ახალგაზრდობა) და რა გავამტყუნოთ, მართალიც იყო.

თაყა კარგახანია ხანდაზმულად ითვლებოდა. მაგის ხნისა მეც მოვიყაროო, ჩილაპარაკა თავმჯდომარემ და მარტო ის იკითხა, რამდენი ძროხა უნდათო. ძროხის სათხოვნელად არავინ მოსულიყო და თავმჯდომარე გაკვირდა, მაშ რა გინდათ, რაზე მომადექითო?

მაშინ მორიდებით უთხრეს: სოფელს მენახირე აღარა ჰყავსო.

თავმჯდომარემ მაინც ვერაფერი გაიგო. მერე რა არის, რომ აღარა ჰყავს, თაყა პატიოსანი კაცი იყო, რაც თავი

მახსოვს ერთი ხმა არ ამოუღია, თქვენსავით ხელი სათხოვნელად... ცხუარა ჰქონდა გამოშვებოდა. ბევრი იცოცხლა ამ ქვეყანაზე; ბევრი იშრომა და ეხლა თქვენი ჭირი წაიღო. მაგისთანები კვდებიანო? თან ხომ არ გავყვებით, ეხლა სხვა იყოს მენახირედო.

მენახირეს სიკვდილი ხალხს ჯერ კარგად არც კი გავგო, რომ მთელი სოფლის ნახირმა იმ პატარა ორღობეში მოიყარა თავი. სხვა დროსაც ასე იყო: ყველა თავ-თავის ძროხას გამოავდებდა ეზოდან, ძროხები დაადერებდნენ თავს, მენახირეს ჩაუვლიდნენ და მერე მთელი ნახირი ერთად დაადგებოდა საძოვრებისკენ მიმავალ გზას. ნახირი დღესაც ჩამოდგა, ჯიქურ მიწყდა ჭიშკარს და ძახილი ატეხა. ნახირს თითქოს სიკვდილისა არაფერი სჯეროდა და ეზოში შესვლას ლამობდა. ზმუილზე ხალხმაც მოიყარა თავი. ვიღაცა აივანზე ავიდა და სახლის კარი ყურთამდე გააფრიალა. ვიღაც ბიჭი ცხენზე შესვეს და თავმჯდომარესთან აფრინეს. მერე უცებ, დაბარებულივით წამოვიდა შემოდგომის წვრილი წვიმა.

წვიმამ ხალხი დააფრთხო და ყველანი წვიდ-წამოვიდნენ.

ორღობეში მარტო ნახირი დარჩა, ღობის ძირებში ჩარჩენილ ბალახს დაუწყო წიწკნა და ძქვების პირას გაილურსა წვიმისაგან ბეწვებურძგნული.

უცებ საიდანღაც გიყი გამოჩნდა. ჩვიდმეტროდუ წლის ბიჭი იყო. უპატრონოდ თავმოყრილი ნახირის დანახვაზე სულ გადაირია, მიხვდა, არც ნახირისთვის სცალია ვინმეს და არც ჩემთვისო, წვიმაში ბუქნაობა დაიწყო, აჭიხვინდა, ძროხებს ეცა და ხან ერთს ითრევდა კუდით, ხან მეორეს.

გიყი დაჭირეს და საბძელში დაამწყვდიეს.

გადარეულმა ბიჭმა საბძლის კრამიტი ამოამტვრია, თავი ამოყო, მამალივით დაიყვლა და მიცვალბულის ეზოში გადახტა. იქ ხმა აღარავინ გასცა და უცებ დაწყნარდა. ორღობეში გამოვი-



და. გარინდებული იდგა და წვიმას არაფრად აგდებდა.

მიცვალეხულის ჭიშკართან ისევ აბუხულიყო ნახირი. სახლიდან ტირილის ხმა არ გამოდიოდა და ეზოშიც სიჩუმე იდგა.

გარინდებული გიყი გამოცოცხლდა, ვუბეში შევარდა და დავლური დაუარა, მერე იქვე, ლობეზე სარი მოტეხა, ვადმოხტა და ნახირს ჭიხვინით დაერია, ხან ერთ ძროხას გადააწნა, ხან მეორეს... მერე დაიძახა, „ცხენი მომგვარესო“, ჯოხზე გადაჯდა და ორლობეში „გააქენა“. ნახირი აირია, დაფრთხა, ზოგი ლობეს შეახტა, ზოგი ჭიშკარში შევარდა, ზოგი თავდაღმართში დაეშვა.

გიყი უცებ ისევ დადინჯდა. ძროხები რომ ველარ დაინახა, ტირილი დაიწყო. ჯოხი შუაზე გადატეხა, საბძელში შევარდა და კარი შიგნიდან გადარაზა. კარის ჭუჭყურტანიდან დიდხანს მოჩანდა ბიჭის ბრილა თვალი.

მერე მოვიდნენ ბიძაშვილები და მოგვარენი, მათი შვილები და შვილიშვილები. შუადღის ხანზე ნათლიდედას სიყრმის მეგობრები — დედულეთიდან დაბარებული თედო და კუქნაც გამოჩნდნენ, თედოს ახალთ-ახალი შავი ახალბედა ეცვა, ახალი ნაბდის ქუდი ეხურა, ვერცხლის ძველებური ქამარი ეკმთა და ისე მოდიოდა არც არაფერი უკითხავს, არც არავის მისალმებია. კუქნა ქმარს შორიახლო მოსდევდა. იმასაც შავები ეცვა, თვალებიც შავ ზოსახვევში ჩამალვოდა და ჩაქინდრულმა თავი მაშინლა აიღო, როცა ჭიშკარს გადააბიჯა.

— უბედურო თაყაყ! — დაიკვნესა კუქნამ...

— უბედურო თინიაყ! — ესეც ეზოდან დაიძახა და შინ მერეღა შევიდა.

კუქნას მოთქმამ მთელ სოფელს გადაუარა.

მიცვალეხული უკვე გაეპატიოსნებინათ. სკივრში შენახული ჩოხა ამოელთ, სპილოს ძვლისფერი მასრებით გაეწყობოთ და ამ ჩოხაში გამოწყობილი თაყა ეხლა უფრო მაღალიც ჩანდა და

ახალგაზრდაც. ჩოხის დანახვაზე კუქნას უფრო ამოუჯდა გული და ტირილიც იმგვარად ააწყო, მთელი მეზობლის ქალები აატირა. თედომ კარ-მიღამო შემოიარა. ბელელშიც შეიხედა, მარანშიც. მერე თინიას მიუჯდა გვერდზე და კარგა ხანს ეთათბირა. თინია ყველაფერზე თავს უქნევდა, ბოლოს უთხრა: აბა, ხო იცი, ძმაც შენა ხარ ჩემი და მოკეთეცო, აქაურობა შენი ოჯახივით იგულე, ამ კაცს არაფერი დავაკლოთ, სულეთში რიგინად მივიდეს, ჩვენც იქ არა ვართ წამსვლელებით?

მეზობლის ქერივი მოვიდა. კარებიდანვე დაიძახა: ადე, თაყაყ, შენი ნახირი გეძახის, შენი სადარი ველარავინ იპოვნეს, სოფელსა სჭირდები და ნუ დაიმდურებო!

— ეს რა ყოფილხარ, ეხლა გავიგეთ შენი ფასიო, — დაადევნა კუქნამ.

— კოლექტივში ხალხი არ გავიდა, სხვა ვინ გავიწვეს სამსახურს, ძროხებს ვინღა წაიყვანს ბალახზეო... — მოთქვამდა ქერივი.

— თუ ღმერთი მაღალია, ვაცოცხლოს ჩვენი თაყა და დავგიბრუნოსოო! — ავრძელებდა კუქნა.

წვიმა ისევ წამოვიდა და ხალხიც ისევ დაიშალა.

სალამომდე მესაფლავესაც შეატყობინეს, მეკუბოვეც იშოვეს. თელავის ბაზარზე ძროხაც იყიდეს, ბრინჯიც და პურის ცხობაც დაიწყეს. ღვინო ბევრი ჰქონდათ, საწყალ თაყას შარშანდელიც გადარჩენოდა და ერთი საზრუნავი მოაკლდათ.

ჯერ მზე არ ჩასულიყო, რომ მოგვარეანთ ენამრავალი რძალი მოვიდა და სოფლიდან ამბები მოიტანა:

„მენახირე ვერ იშოვეს და თავმჯდომარე ცოფებდა ჰყრიდაო. ხან ვისზე თქვეს, ხან ვისზეო. ჯერ კოჭლ თადიას დაადგეს თვალი, მაგრამ გადაიფიქრეს, თადიამ ფოსტალიონობაც არ იკადრა და მენახირეობას შევებდავთო? მერე

თამაზ ზიზილაძე
ჟველასწინდა

წავიდნენ და ფილოს მიადგნენო. ჯერ ეძახეს და პასუხი არავენ გასცათ, მერე ეზოში გადავიდნენ და შინ სარკმლიდან გადაიხედესო. ფილო ტახტზე მიწოლილიყო და ეძინა. კარი აბრახუნეს და ძლივს გააღვიძესო. ფილო შეშინებული წამოხტა, ფანჯარას მოადგა, გარეთ გამოიხედა და კარგა ხანს ათვალიერა მოსულებითა... ჯერ თურმე თავი სიზმარში ეგონა, მერე უფრო გამოფხიზლდა, თავმჯდომარე რომ იცნო სარკმელს ეცა და ფარდა ჩამოაფარა... ეს იყო და ეს, რა აღარ უთხრეს, რას არ დაპირდნენ, როგორ არ ეფერეს, როგორ არ დატუქსეს, მილიციელიც მოიყვანეს და თოფი გაასროლინეს, მაგრამ არაფერმა გასჭრა, ფილომ არც კარი გააღო, არც სარკმლის ფარდა გადასწია და ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავენ გაიგოო“.

— ეხლა გაიგეს შენი ყადრი, თაყაავ!

— დაიძახა კუქნამ.

— შენ რო ნახირით ჩამოგვივლიდი, გული გვინათდებოდა, თაყაავ!

—აი, თედოც აქ არის, თედოს მაინც უთხარი ერთი სიტყვა, თაყაავ!

„მერე მოანგარიშეს უთქვამსო, ჭალრიაზე რას იტყვიო, აი, იმაზე, ყურთ რომ არ ესმისო... ჭალრიას ცოლი თურმე სტუმრებს ღიმილით გამოეგება, მიწა დავაყარე იმის ღიმილსა... ყველანი საჩხეში მიუწვევია, ხილი და არაყი გამოუტანია, ტაბლაზე მხიარულება ჩამომდგარა და, ღმერთო, ნუ მიწყენ, ნურც შენ გეწყინება, ნათლიდედ, მისულებს თაყააც დავიწყებიათ და ისიც თუ რაზე მივიდნენო. ჭალრია ხო სიყრუეს არ იგონებს... მართლა ყრუვია... სტუმრების ლაპარაკისა მართლა არაფერი ესმოდა და თურმე ყველაფერზე იცინოდაო. სტუმრებს არაყი დაუღევიათ, ხილიც მიურთმევიათ. ჯერ ჭალრიას სამიწე ცოლს გამოსტყდომიან, ასეა და ასე, ამა და ამ საქმეზე მოველითო... იმასაც ტუჩები მოუპრუწნია, როგორც იცის ზოლმე და უთქვამს, მე რა მესაქმება, კაცი ეგ არი და მაგან უნდა გადაწყვიტოსო. მეო, ზოგ-ზოგე-

ბივითაო, აი, ზოგი ცოლები წინასწარები რო არიანო... არა, გენაცვად, უმაგისოდ ვერაფერს გადაწყვეტო. თითქოს ყოველ კვირა თელავის ბაზარზე არ ეგდოს... მერე ადგნენ თურმე და ჭალრიას ჩასძახეს ყურში, ასეა და ასე, უნდა წამოგყვეო. ჭალრიამ თურმე ცოლს შეხედა, იმან რალაცა ანიშნა. ჭალრიამ გაიღიმა და თავი დაიქნია, ვითომ ნება თქვენია, სადაც მეტყვიო იქ წამოგყვებითო... მერე ცოლისთვის უთქვამს, მითხარი მაინც რაზე მიჭერენო. ამ სიტყვებზე სიცილი დაუწყიათ, შე კაი კაცო, კი არ გიჭერთ, შენი დაწინაურება გვინდაო. ჭალრია ამდგარა, შინ შესულა, ახალი, გრძელსაჩხეხიანი ქუდი დაუხურნია და თავმჯდომარეს წინ გასძლილია. ეზო გადაუვლიათ. ორღობეში გასულან. ის იყო, შარაზეც უნდა გასულიყვენ, რომ იმ ჩვენ ჭალრიას ერთი მიუხედ-მოუხედავს აბა მიყურებენ თუ არაო, დაუქრავს ფეხი და პირდაპირ ტყისკენ აულია გეზით...

თავმჯდომარე გამშრალა. ხმა ვეღარ ამოუღია და იქვე ლოდზე ჩამომსხლარანო. აბა ხო იცით ჭალრიას ეზო, იქიდან მთელი სოფელი მოჩანსო. წვიმა წამოსულა და თავმჯდომარე იგრე მჯდარა, ვითომც არაფერიო. სიტყვა ვერ შეუბედნიათ და თვითონაც ეგრე ზეზეულადა მდგარან წვიმაშიო. ბოლოს მაინც ბრიგადირს გაუბედნია და უთქვამს, ეხლა რა ვქნათო... ერთილა დაგვჩა, ან ის, ან არავენო. შალიკოზე ხომ არ ამბობთ, ყოველ წელიწადს გამოცდებს რო აბარებსო... ხო, სწორედ იმაზეო... შალიკო შინ არ დახვედრიათ, კინოში წასულიყო და ალბათ შუალამემდე არც დაბრუნდებოდაო... კლებიც რალა შორს არისო და ეხლა იქ წასულან... მე მეტი აღარაფერი ვიცი, აბა კინოშიც ხო არ წავევებოდიო...“ — დაასრულა რძალმა.

—შენი კეთილი გული ბევრჯერ გაახსენდებათ, შენ კი სულეთში იქნები, თაყაავ! — დაიკვნესა კუქნამ.

— ყველას ხელის გამმართავო, უთქმელო ძმად თაყაავ!



— შენი მომდურავი ვინა ყოფილა რომ ჩვენ დაგვემდურე, თაყაავ!

— შენ რო სალამოთი ნახირს ჩამატარებდი, ჯიქნები დახეთქვაზე ჰქონდათ, თაყაავ!

— ჩემ ბიჭ უთხარი, უბედური დედაშენიც მალე წამოვა-თქო, თაყაავ!

— არ დაგავიწყდეს, რაც დაგაბარე თაყაავ!

— შე უბედურო, შე მზის ნატრულო თაყაავ!

უკვე მზის ჩასვლის დრო იქნებოდა და კუქნამ მოთქმა შეწყვიტა. მერე ხმა აღარავის ამოუღია. მეზობლებმა თინია ისევ გაამხნევეს და წავიდ-წამოვიდნენ. სათონიდან მოდიოდა ახალი პურის სუნი, მარანში ქვევრი გადაეხადათ და შარშანდელ ღვინოს ჭაშნიკს უსიჩავდნენ. „ეს მიცვალებულის შესანდობარი იყოს“, ამბობდა თედო და სავსე ხაპირში შოთის წვერს ასველებდა. სოფელში ლამდებოდა. სახურავებიდან ამოდიოდა კვამლი. წვიმა წვრილად ცრიდა და ყველაფერს თითქოს სევდის ფერი დაჰკრავდა. სევდიანად მღეროდა ფოსტის წინ ბოძზე მიკრული რადიო. აღმართში ხენეშით ამოდიოდა მანქანა და ისიც თითქოს სევდიანად თუხთუხებდა. სევდიანად გავდნენ ერთმანეთს ეზოები: სახლები — დაბლა-მაღლა. ეზოებზე — სქელი ქვითკირის გალავნები. რკინის მძიმე ჭიშკრები. ჩაეკტილი, მოფარებული ცხოვრება. სოფლის იქით — ვენახები და ხოდაბუნები. სოფლიდან ქალაქისკენ მიმავალი გზა და რკინიგზა. გზებზე — მანქანები და მატარებლები. წასვლა-მოსვლა, მიდგომა-მოდგომა, სადგური და ბაზარი, აქეთუ-რი და იქითური.

შემოდგომის წვიმა კვლავ ჩუმადა ცრიდა.

სოფლის კლუბში სიბნელე იდგა. ეკრანზე მოჩანდა პარიზის ვარეუბანი. მანქანაში კაცი და პატარა ბიჭი ისხდნენ. მანქანა სადღაც სახლთან გაჩერდა და კარებში შევარდნილ ბიჭს კაცმა ღიმილით ხელი დაუქნია. სახლის წინ ორი ქალი გამოჩნდა.

„პარიზში ბრუნდებით მაღამ?“ ქალი მა თავი დაუქნია. „ხომ არ წაიყვანდნენ მუსიე? ქალბატონიც პარიზში მობრძანდება“.

მერე ქალი და კაცი მანქანაში ისხდნენ. ორივენი იღიმებოდნენ და საუბრობდნენ...

კლუბის გამგე სიბნელეში დარბოდა და ხალხს ჩურჩულით ეკითხებოდა, შალიკო ხომ არ დაგინახავთ, თავმჯდომარე ეძებსო. შალიკოსთვის არავის ეცა-ლა და ყველა ბუზღუნებდა, თავი დაგვანებე, აქ სადღაც იჯდაო... შალიკო ძლივს იპოვეს: პირველ რიგში გამოკი-მულიყო, ხან ეკრანს უცქერდა, ხან უკან მჯდომ ბიჭებს გადმოხედავდა და ხმა-მალა ეუბნებოდა, ეხლა ეს ქალი მანქანიდან გადმოვაო.

ეკრანზე პარიზის უბნები მოჩანდა. ქალი და კაცი კვლავ მშვიდად საუბრობდნენ.

შალიკოს უთხრეს, თავმჯდომარე გეძახისო. შალიკო აბუზღუნდა, ვიცი ეხლა სადმე გამგზავნის, ჩემგან რა უნდა, თავის ბიჭი გაგზავნოს სულ კოოპერატივთან რომ გდიაო.

ეკრანს მიღმა ვიღაცა ყრუ ხმით მღეროდა, რომ სიყვარული ამქვეყნად ყველაფერზე ძლიერია, ჩემზე ძლიერიც, შენზე ძლიერიც, ქვეყნიერებაზე ძლიერიც... მერე კაცმა მიმღები ჩართო. რადიო გადმოსცემდა ძველისძველ სიმღერას და ქალს გაეღიმა. „თქვენ იღიმებით, მაღამ, ოდესღაც კი ამ სიმღერის გამო ტიროდნენ“, — თქვა კაცმა. „აღბათ... შეიძლება... ოდესღაც“... — ჩურჩულებდა ქალი. სიმღერა შეწყდა და საკვირაოდ ვასულ პარიზელებს სინოპტიკოსები ბურუსიან ამინდს უწინასწარმეტყველებდნენ. გზის გაღმა-გამოღმა ბურუსი იდგა. გზაზე ეყარა ყვითელი ფოთლები.

— მაგან თავი ბიჭ მიხედოს! — ბუზღუნებდა შალიკო.

მერე ქალი და კაცი კაფეში შევიდ-

თამაზ ზიზილური
აველაწმიდნა

ნენ. სათქმელი თითქოს არაფერი ქონდათ და ერთმანეთს უსიტყვოდ შესცქეროდნენ. ქალს მომხიბლავი ღიმილი უხდებოდა და დაუდევრად ჩამოშლილი თმა. კაცს ეშმაკურად უბრწყინავდა თვალები.

— მაგი ბიჭ ალარა ვკობივარ? — მეზობელს შესჩიოდა შალიკო.

ახლა ზღვა გამოჩნდა. სანაპიროზე ნისლი იდგა. ნისლში ირწყოდნენ ნავეები. ირგვლივ არავინ ჩანდა. მიდიოდა მარტოსული მოხუცი და მოხუცის გარშემო როკავდა ერთგული ძაღლი. მოხუცი შესცქეროდა ძაღლს და ზღვისპირას სუფევდა მიუსაფრობა. ვიღაც კვლავ ყრუ ხმით მღეროდა, რომ სიყვარული ამქვეყნად ყველაფერზე ძლიერია და კვლავ მიჰქროდა მანქანა. „აქ ცხვრობთ, მადამ?“ „ღიახ... აქ ცვხოვრობ“. „მომავალ კვირას დაგელოდებით, მადამ...“ „მომავალ კვირას?“ „მოხვალთ?“, ჰო... ალბათ...“ პარიზიც ნისლში განვეულოყო.

— მაგი ბიჭი დღე და ღამე კოოპერატივთან გდია. — ბუზღუნებდა შალიკო.

მერე მიჰქროდნენ თავაწყვეტილი მანქანები. მერე ისევ ქალი და კაცი რალაქას ჩურჩულით უმხელდნენ ერთმანეთს. ქალს კვლავ დაუდევრად ჩამოშლილი თმები. კაცს კვლავ ეშმაკურად უციონოდა თვალები.

— გეძახისო... მეძახოს რა... — თავის თავს ელაპარაკებოდა შალიკო.

ქალი მატარებელში იჯდა და სადღაც მიდიოდა. ხალხით გაჭედილ ვაგონში ჩამოატარეს ვახშამი. ქალი იჯდა, ტიროდა და ბნელ სარკმელში მოჩანდა მისი ორეული.

* * *

თაყას დამარხვის დღეს მთელმა სოფელმა მენახირეს ეზოსთან მოიყარა თავი. სწორედ იმ დილით შეწყდა წვიმა და მზიანი დარი დადგა. ნათესაობას უხაროდა, კარგ ამინდში ყველაფერი კარგად ჩაივლისო. ორი ძროხა დაკლეს და ერთი ცხვარი. ნათლიდელას ხან რას ეკითხებოდნენ მეზობლები და ხან რას. მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო

და ყველაფერზე თავს დაიქნევდა ხოლმე. როგორც კი კუბოს გამოტანდა ჰირეს, მეზობლიან გიყი ნახსენებ დაამწყვდის, ემანდ არაფერი დაიძახოსო. ხაშლამა და ფლავი იხარშებოდა. შუა დარბაზში, სადაც ცხედარი ესვენა, მარტო თინია იჯდა ქმართან ფეხმორთმული. გვერდით კუქნა მოსჯდომოდა და ორი შავი, მოკრუნჩხული დედაბერი. მხოლოდ შუადღისას, როცა დარბაზის კარი ჩაქეტეს, კუბო შიგნიდან სამჯერ მიაჯახუნეს კარსა და მერე, გაფრიალებული კარიდან ახალგაზრდებმა დიდის ამბით ცხედარი ეზოში გაიტანეს, ჰო, მარტო მაშინლა ამოილო ხმა თინიამ, ხელები გაშალა და ქმარს მიაძახა:

— სად მიხვალ, სადა, კაცო?!

მაშინ, მოგვარის იმ ენამრავალმა რძალმა ღიმილით ჩაილაპარაკა:

— არ იცის, სად მიდის, ამ ცეცხლმოკიდებულმა?..

მიჰქონდათ კუბო. მიდიოდა ხალხი. წვრილფეხობა ერთმანეთს აწყდებოდა და კუბოს ხან წინ გაუსწრებდა, ხან უკან ჩამორჩებოდა. გზა და გზა ხალხი ნელ-ნელა შეთხელდა. ზოგმა სად გადაუხვია, ზოგმა სად. სასაფლაოს აღმართს რომ შეუყვანენ, კუბოს მხოლოდ ქირისუფალი, ათიოდე მოყვარე, ამდენივე ბერიკაცი და წვრილფეხობაღა მისდევდა. გზაში არავის უტირია. საფარებელიც კარგად მოერგო კუბოს, სამარეშიც ხალვთად ჩაეტია და არც ქირისუფალს წამოსცდენია იმგვარი რამე, მერე სოფელი სალაპარაკოდ და საცინლად რომ ვახდის ხოლოდ. მარტო თოკი იყო ცოტათი დამპალი და მესაფლავეს ეშინოდა, არ გაწყდესო. თოკი არ გამწყდარა. მიწა ქვიანი არ იყო და სამარეში ისე უხმოდა წაეიდა, როგორც თოვლის ფანტელები ცვივიან ხოლმე გადახნულ მინდორზე ქრისტეშობისთვის ცივ ღამეში.

ქელეხში ხალხმა ბლომად მოიყარა თავი. ცხრა შესანდობარი დაილია და სუფრაც დათვრა. ზოგმა რა გაიხსენა, ზოგმა რა, აყაყანდნენ.

მარტო აქეთ, ბერიკაციების ტაბლაზე



იღვა სიჩუმე. არც ყმაწვილობიობა გახსენებიათ, არც ჯელობა. ყველა დაფიქრებული იყო. ღვინოს სვამდნენ და დამჭკნარი ლოყები ცოტა შეუწითლდათ. მერე გვიანი შემოდგომის სიცივემაც დაუარათ გამხდარ სხეულში და ეს-ლა შინისკენ ეჭირათ თვალი. ტაბლანზე მეფობდა იღუმალეობა. ტაბლასთან ბერიკაცები იჯდნენ და ქელეხის დღეს ყველას ეშინოდა სიკვდილისა.

2.

გიორგობისთვის მიწურვილის ერთ დამეს ნათლიდედას ვილაცამ მარანი გაუტეხა.

„კარი შეუნგრევი, შემძვრალა, ქვევარი მოუხდია, კარგა მოზრდილი ტიცი გაუესია და ცამ ჩაყლაბა თუ მიწამ ვედარ გავიგე... განა არა, შუალამისას რა-ღაცა ჩახანი ჩამესმა... ფრთხილი ძილი მაქ... ძალღმაც ატეხა წკმუტუნი. რას ვიფიქრებდი თუ ქურდი იყო“ ჩიოდა ნათლიდედა.

მეზობლებმა თავი მოიყარეს. ხელი არავისთვის დაუღვიათ, მაგრამ ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. მარანშიც შეიხედეს, შემტრეული კარიც კარგა ხანს ათვალიერეს, ნაკვალევსაც მიჰყენენ, მაგრამ ორლობეში გავიდნენ თუ არა კვალიც დაიკარგა. ბოლოს ბესომ გაიხმო ნათლიდედა (ბესო ქვეყნიერებაზე ნატარი კაცი იყო და ქურდიც ბევრი ენახა), შინ შევიდნენ, მეზობლების თვალწინ კარი მოხურეს და აჩურჩულდნენ:

— აბა, ნათლიდედ, ჩემთან რა გაქ დასამალი, არ იქნება ეჭვი არავისზე გქონდეს, მითხარი და მემრე მე ვიცო...
 — აბა რა გითხრა, ცხონებული თაყას მზრიდან შენღა დამრჩი, შენ თუ არ გეტყვი, სხვას ვის ვეტყვი, მაგრამ არ გაგიგია? მომპარავმა ერთი ცოდვა ქნა და დამკარგავმა ათასი... რო ვთქვა და მართალი არ გამოდგეს, ხო იცი, სიტყვა აგორებულ ქვასა გავს, წავა და ვიღარ დააბრუნებო.

— მაინც რა იყო, რამ გაგიჩინა ეჭვი?
 — იმისთანა არაფერი, არც სიტყვა უთქვამს, არც ხელი არაფრისთვის ატეხს, მარტო თვალები არ მომეწონა იმი-სიო.

— რად გაგიმეტა, რისი ჯავრი ამიყარა, ნათლიდედ?

— ჯავრი რისა უნდა ჰქონოდა? დამირიყვა.. უკაცოდ დარჩენილი ოჯახის ამბავი არ იციო?

— მაინც ვინ არიო?

— ეგ მე ვიცო.

კარი გააღეს და გარეთ გავიდნენ. მეზობლები არ დაშლილიყვნენ და ცნობისწადილით ელოდნენ. ბესო შინ წავიდა. ნათლიდედამ ყველას ზურგი შეაქცია და ბოსტანში გადავიდა. მეზობლებმა ერთი ხანობა კიდევ იყაყანეს, წამლები წყველეს, დამკარგავი ანუგეშეს, ბოლოს ამოიხბრეს და დაიშალნენ.

ნათლიდედა შინ შევიდა, თავსაფარი მოიხვია, სატუცები ჩაიცვა, კარი გამოიკეტა, ხელში ჯოხი აიღო და სოფელში გავიდა. სოფელს უკვე გავგო ახალი ამბავი: ღობეზე გადმოდგებოდნენ, ჭიშკრიდან ეძახდნენ, დავგვიცადე, გვითხარი რა მოხდაო, ამშვიდებდნენ და ანუგეშებდნენ. ნათლიდედა ზოგს მარტო თავს დაუქნევდა, ზოგს მოუსმენდა და უსიტყვოდ გაეცლებოდა, ზოგს ისევ იმ ანდაზას ეტყოდა, დილას რომ ბესოს უთხრა და თავის გზაზე მიდიოდა.

მთელი სოფელი შემოიარა. კანტორის წინაც იტრიალა, წყაროსთანაც გავიდა. კოპერატივთან თავმოყრილ ბიჭებს გადახედა. საყასბოშიც შეიხედა, სამკედლოსთანაც ჩაიარა და მკედელს მიესალმა. ნალბანდს უთხრა, მალე ჩამოვივლი, რაღაცა უნდა გკითხოო. მერე აღარ ჩაუვლია და ნალბანდი ფიქრობდა, ნეტა რა უნდოდა იმ დედაკაცსაო.

ბინდისას ჯულურას კარზე დაიძახა. არავინ გამოხედა. სახლი ჩაბნელებული იყო და ჰაქანება არა ჩანდა. გულმა არ მოასვენა, კიდევ დაიძახა და სახლში სინათლე აინთო. ჯერ ვილაცის ლან-

თამაზ ზივილური
 ყველაწმინდა

დი დადიოდა. ხან ფანჯარასთან გაივლიდა, ხან დაიკარგებოდა. ბოლოს კარიც აპირილა და ჯულურას ცოლმა გამოიხედა. ლოგინიდან ახლად ამდგარს შალი მოეხვია, სიბნელეს გამოსცქეროდა და კიბეზე ზანტად ჩამოდიოდა.

— რომელი ხარ?

— მე ვარ!

— ნათლიდედ, შენა ხარ? ველარ გიციანი.

— ჯულურას ვეძებ, სიტყვა მაქვს სათქმელი.

— ჯულურა შინ რომ არ გახლავს? ტყეში წავიდა, საზამთროდ შეშას ამზადებს.

— როდის წავიდა?

— წუხელ... მობრძანდი, ნათლიდედ, ჩვენი სახლიცა ნახე.

— სტუმრობისთვის არა მცალია. თუ ჯულურა გამოჩნდეს, უთხარი ჩემთან გადმოვიდეს.

— ღამე მშვიდობისა, ნათლიდედ...

ჯულურა არ მოსულა. ნათლიდელა მამლის ყვილაზე ელოდა და ბოლოს დასაძინებლად მიწვა. ვერ დაიძინა. იწვა და ჯულურაზე ფიქრობდა. ისევ წავიდოდა და გარეთ გავიდა. სოფელს უკვე ეძინა. ჩამიჩუმე არ ისმოდა. ყველა სინათლე ჩამქრალიყო და აღარც საკვამურებიდან ამოდიოდა ბოლი. ნათლიდელა შინ შებრუნდა, ბუხარში ნაკვერცხლები გალელა, ჩამოჭდა და ისევ ჯულურა დაუდგა თვალწინ: ერთი უნდილი ოტროველა, ზანტი, კამეჩივით მოუქნელი, ცოხნია და სიტყვალეჟია...

ჯულურას ჯანის პატრონს ხელიდან ცოტა რამ მიიწვინდა გამოსვლოდა, მაგრამ სოფელიც მომღურავი ჰყავდა და ცოლიც. როცა ხელის გამოღება იყო საჭირო, წელკავი მაშინ აუვარდებოდა. მისი ტოლი ბიჭები რომ სვრელს გაიტანდნენ, ჯულურა ისევ თავში იჩიქნებოდა. არც იმის ვენახს ქონდა ბარაქა, არც იმის ყანას, არც იმის ხელეურს. ცოლადაც ერთი ყვავივით ქალი ეჭდა, გამხმარი, შავი და წარუკა. ქალს ენა უჭრიდა, მაგრამ ხელთუყარი ბრძანდებოდა, თავად არაფრის ვაკეთება არ უნ-

დოდა და ქმარს კი თავს ამადგურებდა. ხუბებოდა, შემომტანი არა...
დექ-მოდექი, ვერა ხედავ, ყველამ ციდან გადმოგვხედა, ჩვენც ავაშენოთ ახალი სახლი, თორემ, ამ შენ გადანაპერს შინ დაგიდგებ, წავალ სიღნაღში და გავთხოვდებიო. ჯულურას ეშინოდა, ცოლს სიღნაღში არ უშვებდა, მაგრამ სახლსაც ვერ იშენებდა.

ნათლიდელამ ის ღამე უძილოდ გაატარა. დილაადრიანად ადგა, სახლი გამოკეტა და სოფლის ბოლოსკენ დაეშვა. მეზობლებმა თვალი გააყოფეს, ნეტა სად მიდისო. მაგრამ ხმა არავის დაუდევნებია. უბნის ბოლოში ბესოს დაუძახა თავისმა რძალმა: მაიმამთილო, ერთი გაიხედე, ნათლიდელა სადგურის გზაზე დაშვებულა, ჰკითხე, საით ებირებო. ბესომ ქული დაიხურა, ნათლიდელას დაეძვენა და ვიდრე დაეწეოდა, ხმა მიაწვდინა:

— სად მიხვალ, სადა, ნათლიდედ!

— ეგ მე ვიციო, — გაიფიქრა ნათლიდელამ.

— სად მიხვალ-მეთქი, დედაკაცო! სიტყვა მიიწვინდა დაარჩინე, რო აღარ გამოჩნდეს, სადღა მოგქებნოთ, სადღა გიპოვნოთ! ან პატრონი არ გინდა, ან ხმის გამცემი, ან დამმარხავი?

— მიპოვნით! დაუმარხავი არ დაერჩები!

— აბა თუ თქვას მიიწვინდა ვისზე აიღო ეჭვი!

— ეგ მე ვიციო...

იმ დღესვე ქალაქში, ბაზარზე დაიჭირა ჯულურა ნათლიდელამ. ჯერ შორიდან მოჰქრა თვალი: ბაზრის კუთხეში გაბოტილიყო, წინ დიდი ტიკი ედგა, გამვლელ-გამომვლელს ეპატიებოდა და ღვინოს ამკობდა. „ჯერ დავაცილიო“, იფიქრა ნათლიდელამ და კედელს მოეფარა. ჯულურა არა ჩქარობდა, ქალაქური ფურნის პური ეყიდა, ნივრისა და წიწყის მწნილი მოემარაგებინა და მადიანად ილუქმებოდა. ღვინო დინჯად ეყიდებოდა და თავდაც დინჯად იდგა.

— გამარჯობა, ჯულურავ!

ჯულურამ ლუქმა გადაყლაპა. მწნილი



ქალღმერთი გაახვია და დახლქვეშ შეგ-
დო. დახლიდან პურის ნამცეცები გა-
დახვეტა. ტიკი შეანჯღრია და კანაფით
თავი შეუკრა.

— როგორა ხარ, როგორ გიკითხო? —
მშვიდად უთხრა ნათლიდემამ.

— კარგადა ვარ... ცუდად რათ უნდა
ვიყო?

— ცუდად შენი მტერი და ღუშმანი
იყოს, — დალოცა ნათლიდემამ და
სთხოვა, ერთი ჭიქა ღვინო დამალევი-
ნეო.

ჯულურამ დაუსხა. ნათლიდემამ მიი-
ხედ-მოიხედა და დალია.

— მისატანებელი რამე გექნებაო, —
იოთხოვა ნათლიდემამ.

— რა უნდა მქონდეს, განა აქ ჭიქა-
ჭიქა ვყიდიო? — იუარა ჯულურამ. მე-
რე გაახსენდა, დახლის ქვემოდან მწწნი-
ლი ამოიღო, პურიც გამოაჩინა და ნათ-
ლიდემას წინ გაუშალა. ნათლიდემამ
ხელი არაფერს ახლო. იდგა და ჯულუ-
რას უცქეროდა.

— რას მიყურებ? — ველარ მოითმი-
ნა ჯულურამ.

ნათლიდემამ მაინც არ გასცა ხმა.

— რას მიყურებ, რო მიყურებ?

არც ახლა უთხრა სიტყვა ნათლიდე-
მამ.

— მიყურე რა... — თქვა ჯულურამ,
ნათლიდემას ზურგი შეაქცია და ღვინის
ჩამოსხმას შეუდგა.

უცებ ძაბრი დახლზე დაავლო, მოტ-
რიალდა და გაბრაზებით თქვა:

— რამდენიც გინდა, იმდენი მიყურე!
ჯულურა უფრო გაბრაზდა. ტიკს ეცა
და თავი მოაკრა. ძაბრი აიღო და ხურ-
ჩინში ჩაავლო. დონჭი შემოიყარა და
მთელი ბაზრის გასაგონად დაიძახა:

— ხო! მიყურე! მიყურე!

მერე ტიკი მოიკიდა და ბაზრიდან გა-
ვიდა.

ნათლიდემამ გაჰყვა.

ავტობუსითაც ერთად იმგზავრეს. ჯულ-
ურა ფეხზე იდგა, ნათლიდემამ კალა-
თებში მოკეცილიყო.

ჯულურამ ავტობუსი ზედ თავის სახ-
ლთან გააჩერებინა. ნათლიდემამ ადგა

და ჩავიდა. ჯულურა გაჩერდა და მობ-
რუნება ვერ გაბედა, ვაი თუ ნათლი-
დემამ ჩამოვიდა და მიყურებდა. სახლი-
დან ცოლი გამოვიდა, ქმარს გადმოხედა
და ისიც აღარ განძრეულა. ჯულურა
გაბრაზდა:

— რა გინდა, დედაკაცო, რას დამდეგ?
ნათლიდემამ ხმა არ გასცა.

ჯულურამ ჭიშკარი შეაღო და სახლის-
კენ წავიდა.

ჭიშკარს ჯულურას ცოლი მოადგა და
ნათლიდემას ღიმილით უთხრა:

— გამარჯობა, ნათლიდემ.

ნათლიდემამ შინისკენ წავიდა. შინ შე-
ვიდა და ცეცხლი აანთო. მერე კოკა
აიღო და წყაროსკენ გასწია. წყაროს-
თან ჯულურა დაინახა. ნათლიდემამ კო-
კა აავსო, მერე შორიახლო დადგა და
ჯულურასთვის თვალი არ მოუშორებია.
ჯულურას მოუსვენრობა დაერია. მიი-
ხედ-მოიხედა, აბა ვინმე ხომ არ გვიყუ-
რებდა და ორღობისკენ წავიდა. ნათლი-
დემამ კოკა შეიდგა მხარზე და გაჰყვა.
მიღიოდა ჯულურა და ზურგსუკან ესმო-
და ნათლიდემას ჩქამი. აჩქარდა ჯულუ-
რა და ნათლიდემამაც მოუმატა ნაბიჯს.
მერე ჯულურამ ფეხი შეანელა, იქნებ
გამისწროს და თავი დამანებოსო, მაგ-
რამ ნათლიდემამაც შეანელა ფეხი. ბო-
ლოს ჯულურა ისევ აჩქარდა. ნათლიდე-
და ფეხ და ფეხ მიჰყვა. გულამოვარდნი-
ლი ჯულურა მოტრიალდა და ქშენით
უთხრა:

— მდიე, რამდენიც გინდა!

ნათლიდემამ კოჭბით ლობიო მოა-
ღულა. ცოტა წაიხემა. ერთი ჭიქა ღვი-
ნოც დალია. ისევ გარეთ გამოვიდა და
ჯულურას სახლის წინ ჩაიარა. ბინდღე-
ბოდა. ქმარი ზვინსა დგამდა, ცოლი ფი-
წლით აწვდიდა თივას. ცხენი აშვებუ-
ლიყო და ზვინს ეტანებოდა. ქალი ცხენს
ფიწლით აფრთხოებდა და შინ ბიჭს გას-
ძახობდა, გამოდი, ცხენს მიხედე, თორემ
მზეს დაგბნელებო. ბიჭი არ გამოდიო-
და. ნათლიდემას დანახვაზე ჯულურა გა-

თამაზ ზვირიანი
ყველაფრინდა



ფიცბდა. ცოლი მიწოდებას ვეღარ აუღიოდა და ქმარს ეჩხუბებოდა, დაცა, რა ელდა გეცა, ნელა დადგი, ხო ხედავ ჯერ არცკი დაღამებულა, ყველაფერი დღესავითა ჩანსო. ჯულურამ ცოლს უთხრა, წყალი დამალევიწიეო და თივის ზეინს ამოეფარა. ცოლმა წყალი გამოუტანა. ჯულურამ დალია, გადაღვლილ მკერდზე ჩამოისხა, უღვაშები გადაიწმინდა და ეგრე, კოკით ხელში, თვალგაშტერებული გაშეშდა.

— რამ გაგაშტერა, კაცო!

— არაფერმა, თავი დამანებე!

— თვალი დაგიდგეს, რაც შენ კაცი არ იყო... — ცოლმა ქოქოლა მიაყარა და კოკა ხელიდან გამოსტაცა. შინ შევიდა და მერე იქიდან ბიჭის ბლავილი მოისმა. მერე საჩეხში სინათლე აინთო. სინათლე ქიშკარს მისწვდა. ქიშკართან ნათლიდღა იდგა. ჯულურამ ფიწალი გადააგდო, ცხენი აუშვა, საბძლისკენ წაიყვანა და საბძლიდან აღარ გამოსულა, სახლიდან ჯულურას ცოლმა გამოიხედა, ნათლიდღა დაინახა, მივიდა და მშვიდად უთხრა:

— საღამო მშვიდობისა, ნათლიდღ...

არც იმ ღამეს სძინებია ნათლიდღდას ხეირიანად. ჯერ სოფლის ხმაურს უსმენდა. ხმაური მიწყდა და ახლა მამლის ყვივლს ელოდა. მამლებმაც იყვივლეს და ახლა შუალამის მატარებლის ჩავლას უცდიდა... ვერ დაიძინა. ბუხარი ისევ შეანთო. მატყლი და საჩეჩელი ამოიღო, ნაბდის ძველაზე ჩამოჯდა და ჩეჩვა დაიწყო. ფთილა ფთილას მიჰყვებოდა, განთიადი ახლოვდებოდა, თვლემა კი მაინც არ მორევია. საჩეჩელი ტახტის ქვეშ შეინახა, ფთილები ზანდუკში დააბინაყა, მუგუზლები მიყარ-მოყარა, ნაკვერცხლებს ნაცარი წააფარა და ოთახში სიბნელე ჩამოდგა. ისევ ლოგინში მოიკუნტა, ისევ ახსენა ღმერთი და პირჯვარი გადაიწერა... არ იქნა და არ დაეძინა. წამოდგა. კარი გამოაღო და აივანზე გავიდა. კავკასიონს მტრედისფერი დაპკრავდა. ქედის წვერები თეთრად ქათათებდნენ. ცაზე მარტო ცისკრის ვარსკვლავი მოჩანდა. ნათლიდღდას გააყრ-

ეოლა. შინ შემობრუნდა და ისევ ლოგინში ჩაწვა. ერთი პირობა აღარც შეეძლო უფიქრია. ეგრე, უფიქრელად მოერია თვლემა...

როცა გაეღვიძა, უკვე გათენებულიყო. სახლი მიალაგ-მოალაგა, ჯოხი აიღო და ისევ სოფელში გავიდა. ნახირი უკვე წასულიყო. კოლექტივის მანქანებს ვენახებში წაეყვანა ხალხი. ნათლიდღამ ცოტა ხანს წყაროსთან იტრიალა, მერე გამობრუნდა და ორლობეს გაუყვა. ჯულურა ვერსად დაინახა.

ორლობეში მალაღ ანწლებთან ჩაჯდა. თავშალი მოიხედა და ათვალიერა. თავშალი უკვე გახუნებულიყო, მიწის ფერი დასდებოდა. გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ორივე მხარე ერთნაირი ფერისა იყო. ისევ მოიხვია და ფოჩები ნიკაპქვეშ გამოინასკვა. წამოდგა და მიიხედ-მიიხედა. ვანა არა, გულმა უგრძნო: ორლობეში ჯულურა გამოჩნდა.

ჯულურას ძხარზე წალდი გაედო და ზანტად მოდიოდა. ნათლიდღდას დანახვებზე შეცბა. უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ვეღარ გაბედა. გზა გალახულივით გამოიარა და ნათლიდღდას წინ ჩამოუარა. მიდიოდა ჯულურა და უკან აღარ იხედებოდა. მიჰყვებოდა ნათლიდღდა და ხმას არა სცემდა.

გადაიარეს სოფელი. გადაიარეს გადახნული ველი. გადაიარეს წარაფი და ტყის გზას დაადგნენ. ჯულურამ უცებ წალდი ბუჩქებში გადაისროლა, მოტრიალდა და დაიღრიალა:

— მდიე, მდიე, რამდენიც გინდა!

ნათლიდღდას ხმა არ გაუცია. იდგა და უცქერდა. ჯულურამ ზურგი შეაქცია. მერე წალდი აიღო და გზა გააგრძელა. ნათლიდღდა მიჰყვებოდა.

ბილიკზე მოფენილ ყვითელ ფოთლებს შრიალი გაჰქონდათ.

— შენ გინდა, ხელი დამაღო... — ბურღულუნებდა ჯულურა.

გაძარცულ ბუჩქზე უსტვენდა პატარა, ნაცრისფერი ჩიტი.

— ვიცი, გინდა...

შემხმარი ზღმარტლებიც ტოტებზე ჩიტებივით დამსხდარიყვნენ.



— ბაზარიო...

ასკილებიდან ქახჭახით ავარდა შაში.

— ღვინო ღვინოსა ჰგავ!

ფულუროდან კოდალამ გამოყო თავი და ისევ მიიმალა.

— რო მიჩვილო, რით დამიმტკიცებ? შორს, ტყის სიღრმეში ვილაცა შეშას ქრიდა და მოწყენილ ტყეს ფრთხილი კაკუნი ედებოდა.

— შარშანდლისა არ იყოს, თავყვი-თელან ბიჭ რითი დაუმტკიცეს?

უფრო შორს თოფი გავარდა. კაკუნი შეწყდა და ბუჩქებს გადაევლო ქედანი.

— ვერაფრით!

ეხლა ნიაგმა გადაუქროლა ტყეს და ჩაწითლებული შვინდები ძირს ჩამოყარა.

— შენ არა ყოფილხარ ბაზარში?

ტყისმჭრელმა ისევ ატეხა კაკუნი და ტყისმჭრელს კოდალაც აპყვა.

— ბაზარში ჩასვლას ვინ დავასწრებ-და, შვინდი ყველაზე ადრე შენ მიგპონ-და ხოლმე.

ბილიკი ორად გაიყო და ჭულურამ წიფლებისკენ გადაუხვია.

ნათლიდელა შეჩერდა.

ჭულურა მოტრიალდა და მშვიდად თქვა:

— ღვინო ღვინოსა ჰგავ... შენზე მეტ-მა საფერავი აღარავინ დაწურა? საფე-რავი ყველა ერთია...

იმ დღიდან ჭულურა დაიკარგა. უკან-სკენლად ბინდისას ნახეს მეზობლებმა, ცოლს კეტით მისდევდა და ილანძლე-ბოდა. ქალი ბოსელში შევარდა და ში-გნიდან კარი გადაუკეტა. ჭულურა კარს ეცა, შეანგრია და შევარდა. ბოსლიდან ჯერ კივილი მოისმა, მერე კაბაშემოხე-ული ქალი გამოვარდა და ახლა საბ-ძელში შევარდა. ჭულურა ფეხ და ფეხ მიპყვა. საბძლის კარი ლასტისა იყო, ეცა. ერთი წიხლით შეანგრია და ახლა საბძლიდან მოისმა ქალის კივილი.

მეზობლები ზანტად მოდიოდნენ, რა გვეჩქარება, ჯერ კარგად დაზილოს და მერე მივეშველებითო. მერე მართლა მიეშველნენ და გავეშებულ ჭულურას შუა ეზოში ვაგადებინეს ხელიდან კაბა-

შემოფლეთილი ცოლი. ის იყო და ეს... შინიდან ნაბადი გამოიტანა და ჩააყლაღა.

ჭულურა და ყაჩაღი? სოფელს სი-ცილად არ ეყო და არც ძებნით დალო-ლა ვინმე. ბრიგადირმა თავმჯდომარეს უთხრა: სადმე ახლო-მახლო იქნება, წი-ნათაც მაგრე იცოდა, უცებ დაიკარგებო-და და მემრე გამოჩნდებოდაო.

ჭულურას ცოლი ძველებურად დადი-ოდა. ხან თელავში იყო, ხან ბოდბეში. ორიოდე დღის მერე ხალხის გასაგონად ქმარს წყევლა დაუწყო, წასულა და ნუ-ღარ მოსულა, რა ხელმარჯვე კაცი ის იყო, იმაზე კარგი ვეღარ ვიშოვოთ... მერე კი ხმა დაყარა, სიღნაღელი კაცი მთხოულობს და არ ვიცი ნებას დავყვე თუ უარი შევეუთვალათ.

ამასობაში კიდევ გავიდა ხანი და შე-მოდგომაც უფრო მიილია.

თინიას საფლავისკენ გახედვა აღარ უნდოდა. ჯერ იფიქრა, რა ხანია აღარ ავსულვარ, საფლავს ბალახი მოედებო-დაო. მერე თქვა, სადღა წავიდე, ბალახი რას დააკლებს, მიწა იყო და მიწად იქ-ცაო. მაინც ვერ მოისვენა, ვერც საქმეს დაუღო გული და ვეღარც ფიქრს გაე-ქცა. სამხრობისას უცებ წამოხტა, თოხი აიღო და სასაფლაოსკენ წავიდა.

საფლავს აწული მოსდებოდა. საიდან განდა ეს ოხერიო, გაიფიქრა ნათლი-დელამ, ან რა ხანი გავიდა, ეგრე მალე რად დაეპატრონა ბედშავ თაყასათო... საფლავის ფერხითი ჩამოჭდა და სული მოითქვა. ცოტა ხანს ფიქრმა სძლია. მე-რე თოხი აიღო. ის იყო ეკლები გადაჭე-ჯგვა, რომ თავზე ვილაცა წამოადგა. აი-ხედა, ჭულურა იცნო, წვერმოშვებული, თმაგაჭაგრული, პირდაუბანელი.

— შუადღე მშვიდობისა, ნათლი-დელ...

ნათლიდელა გაშტერდა:

— მშვიდობა მოგცეს...

ერთმანეთს უცქერდნენ და კარგა ხა-ნობა ხმას არ იღებდნენ.

თამაზ ზივილური
ყველაფრინდა



* * *

— შენ აქ მამიკაღე, მე მალე ამოვალ, — თქვა ნათლიდედამ.

— აქ არ ვიქნები? სად უნდა წავიდე...

— ნელა იმუშავე, დათვივით ნუ ეცემი.

— ნელა ვიმუშავებ. სად მეჩქარება?

— მზეს ხომ ხედავ?

— ხო, ვხედავ.

— ვიდრე მზე აიმ კაკალს გაუსწორდებოდეს, მეც ამოვალ.

ჭულურამ ძველი ნაბადი გადაიძრო და იქვე, ვიღაცის საფლავეზე მიაგდო. მალალი ანწლები და ძურწა ბალახი დაგლიჯა. საფლავე უფრო გამოაჩინა. თოხს ეცა, საფლავის ახლო-მახლოები მოასუფთავა, ზედმეტი ქვა-ღორღი გაზიდა და ხევში გადაყარა. მერე აღარ გაჩერებულა... მუშაობაში დრო ისე გავიდა, მზე კაკლის იქითაც გადაიხარა და არც გაუგია, როგორ წამოადგა თავზე ნათლიდედა.

ჭულურამ წაქცეული ჯვარი ფეხზე დააყენა, დიდი ქვები შემოუწყყო, მიწით დატკეპნა და გაამაგრა. ის იყო, ბინდდებოდა, რომ საქმეს მორჩა და იქვე, საფლავის შორიანხლოს ჩამოჯდა.

— დაილაღე? — ჰკითხა ნათლიდედამ და ტაბლის გასაშლელად მოემზადა.

— რა დამლიდა...

— ჯანი კი მოგდგამს, კუნძივითა ხარ, ჭულურავ...

ნათლიდედამ თეთრი ხელსახოცი გამხმარ ბალახზე გაშალა. ხელსახოცს ოთხივე კუთხით ქვები შემოუწყყო, ქარმა არ ააფრიალოსო. კალათიდან შოთები, გულის ყველი, მრგვალად მოხარშული დედალი, ნივრები და ხახვები ამოიღო. სუფრაზე კაკალიცა და შემოდგომის ფერნაცვალი პამიდვრებიც გამოაჩინა. გვერდზე ხელადა შემოიდგა, ხელადას სიმინდის ფუჩეჩი მოხადა, თიხის ჯამში დაასხა და პირჯვარი გადაისახა:

— ეხლა მოდი და პური გავტეხოთ.

— განა იმიტომა, რომა...

— აქეთ გადმოჟექ, ნუ გცხვენია.

ჭულურა გადმოჯდა. ერთი მიიხედ-

მოიხედა და შოთის წვერს ხელი მდრიდებთ წაატანა.

— ერთი დალიე, მადაზე მოხვალ, — გაამხნევა ნათლიდედამ და ჯამი მიაწოდა.

ჭულურამ დალია და მადაზე მოვიდა. ხმის ამოუღებლად ილუქმებოდა. ჯერ შოთი და ყველი მიირთვა, მერე ბარკალი და მენჯი ააჯალა ქათამს. ზედ ნიორიც დააყოლა და შემერეშილი პამიდორიც. თინამ ისეე გაუვისო ჯამი და გაუცინა კიდეც. ჭულურამ თავი ჩაიღუნა, ჯამი გამოართვა, რალაცის თქმა დააპირა.

— მართლად... აი, საფლავისა არ იყოს... ჩანგრეული რო იყო. რათ უნდა ჩანგრეულიყო? კიდეც იტყვიან, ისაო...

— ვიცოდი, რომ ჩანგრეოდა, — მშვიდად თქვა ნათლიდედამ.

ჭულურამ თვალი თვალში გაუყარა.

— რა იცოდი?

— ეგრე იცის... ჩანგრევა ხოლმე სიმძიმეს ველარ უძლებს და ჩანგრევა.

— მეგრე?

— მეგრა რა... მიწა იყო და მიწად იქცა...

ჭულურა შეშინდა. მიიხედ-მოიხედა. მოიკუნტა და აძაგდაგდა:

— რა ცივად დაუბერა... იქნება თოვლიც მოვიდეს.

— მოვიდეს. თოვლიც უნდა მოვიდეს და ყინეც. ბუნების ადათი ეს არის.

უკვე ბინდი ჩამომდგარიყო და ქვევით, სოფელში სინათლეები ენთებოდა.

უცებ ჭულურამ ბოხობა ქული მოიძრო და მიწაზე დაახეთქა:

— ეშმაკმა შამაცდინა!

ნათლიდედამ ხმა არ გასცა.

— ეშმაკი იყო, მაშ რა იყო?! განა ოჯახში რამე გვაკლდა? არაფერიც არ გვაკლდა! — უფრო გაფიცხდა ჭულურა.

— რა უნდა გაკლდეთ? არაფერიც არ უნდა გაკლდეთ! — ჩაიბუტბუტა ნათლიდედამ.

— კიდეც იტყვიან, ეშმაკი არ არიო!

— ყვიროდა ჭულურა.

— ეშმაკიც არი და ანგელოზიც.

ჭულურა დამშვიდდა და თავი ჩაქინდრა. ნათლიდედამ სიტყვა მიაშველა, აბა,



ჯულურავ, პირში რამე ჩაიტყუე, მარტო სმა არ გამოვადგება, ქათამი ისევ ხელუხლებელია, ეს ნივრები და ხახვებიც შენთვის ამოვიტანე, ამ შეჭირხელულ პამიდორს ხომ აღარაფერი ჯობსო... ჯულურა გამხნევდა, ქათამს მეორე ბარკალიც აახლიჩა, ორივე ფრთაც ზედ მიაყოლა და მეორე შოთიც გადატეხა. ნათლიდემ ნივრის კბილები მიაწოდა. ისევ გაუესო ჯამი. მერე ჯულურა ხელადასაც გადმოსწვდა, გვერდით მოიდგა და წელში გაიმართა, ეხლა თვითონ ივსებდა ჯამს და სადღეგრძელოებსაც თვითონ იგონებდა.

ცაზე ერთი წითელი ვარსკვლავი გამოჩნდა.

ჯამში ღვინო რაკრაკებდა.

— ამათ გაუმარჯოთ. — საფლავებს გადახედა ჯულურამ.

— ღმერთმა აცხონოთ, — მიუხვდა ნათლიდემ.

ცაზე ერთი ვარსკვლავი კიდევ გამოჩნდა. მერე ზედიზედ წამოვიდნენ ურიცხვი ვარსკვლავები.

— ამ ზამთარსაც გაუმარჯოს და იმ გაზაფხულსაც.

— გაუმარჯოს.

ქარმა დაუბერა და ხმელი ბალახი ააშრიალა.

— ბალებ გაუმარჯოთ.

— გაუმარჯოთ. გაუმრავლდნენ მშობლებსა.

ტყეში ტურა აკვილდა. ფარეხში ძაღლები ახმაურდნენ.

— იმას გაუმარჯოს, რომა, კაცი რო კაცსა... ირემმა ირემსაო... მეზობელი რო გაგმართავს... ბალახი გაუწოდაო... ხო, ბალახი გაუწოდაო. გაუმარჯოს!

— დალიე, დალიე, დასარჩენი აღარაფერია...

ვილაცამ ცხენით ჩაიარა. ერთი კი შეჩერდა, სიბნელეში გამოიხედა, მერე ბილიკი გადაიარა და ხვესკენ დაეშვა.

— ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს.

— მადლობელი ვარ ჯულურავ.

წერილი ვარსკვლავები უფრო მეტად მოედვნენ ზეცას და ტაბლას დაადგა მკრთალი, თვალთუხილავი ნათელი.

— ამ ჭიქით მე გამიმარჯოს.

— გაგიმარჯოს, ავაშენოს...

— ამ ჭიქით ყველაწმინდა შეგვეწყობოს...

— შეგვეწიოს...

ჯულურამ უკანასკნელი ჯამი დაცალა და წამოდგომა სცადა. დაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა. ნათლიდემ ტაბლა უცებ წამოხვეტა, თეთრ ბოხჩას თავი მოაკრა, ბოხჩა, ხელადა და ჯამი კალათში ჩაალავა, კალათს თოხის ტარი გაუყარა, მხარზე გაიდო და გზას დაადგა.

ჯულურა ატყდა, შინისკენ ფეხსაც არ გამოვდგამ, აქ დავრჩებოი და იქვე, საფლავის ბორცვთან ჩაჯდა. ნათლიდემა ჯერ ეხვეწა, ადე, წამოდი, რა ბევრი შენ დალიე, განა ქვევრი იყო, ხელადა იყოო... მერე გაბრაზდა, უთხრა, თავში ქვა იხალე, ემანდ იჯექი და იბღავლეო. და უკან აღარც მოუხედავს, სოფლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

ჯულურა მარტო დარჩა. ნათლიდემას ფეხის ხმა მიწყდა. უცებ ჩამოწვა სიჩუმე. საფლავის ჯვრები ლანდებივით აღიმართნენ. ჯულურა შეშინდა. წამოხტა და ხევი ჩასულ ნათლიდემას გამოედევნა.

— ხო, განა მართლა ქვევრი იყო, ხელადა იყო, — ლულულულებდა ჯულურა.

— ღვინოც თავანკარა, ჩემი ხელით გადაღებული.

— ხო, შენ კარგი ღვინო იცი ხოლმე.

ხევი ჩაიარეს და ნაკალოვართან გადაუხვიეს. კოლექტივის ფერმებთან შეჩერდნენ და დაისვენეს.

ჯულურამ ველარ მოითმინა და ალაპარაკდა:

— განა ქურდობით მამივიდა? მე და ქურდობა? აბა გაგივია ჩემზე რამე? ეშმაკმა შამაცდინა!

— რამდენად გაჰყიდე? — ჰკითხა ნათლიდემამ.

— ნუ მეკითხები.

— აღარცა გკითხო?

— შენი ისლა მინდა?

თამაზ ზივილური
ყველაწმინდა

— წყალი დაასხი?

— მაშ რა?

— რატო ხელები არ გაგიხმა...

— რავი, რატო არ გამიხმა? შენთვის ადვილია ლაპარაკი! აბა ჩემ დღეში იყო?

— შენმა მზემ, სირცხვილით პირი გეწვება...

— მეწვება, მაშ არ მეწვება? ერთი ღამე რა არი, ერთი ღამე იგრე არა მძინებია, თავზე არ წამამდგომოდი. წამამადგებოდი და ხმას არ იღებდი. ხმა მაინც ამოგელო! ეგ იყო, რაც იყო, რო ხმას არ იღებდი.

თავ-თავის ფიქრში წავიდნენ.

უცებ ჯულურამ მუშტი შემოირტყა.

— სულ იმის ბრალია, იმან შემატდინა.

— ვინ იმან? ეშმაკმა?

— ეშმაკია, მაშ რა არი? აბა კარგად დააკვირდი, თუ ეშმაკი არ არი. ჩემ დედაკაცზე გეუბნები... აბა კარგად დააკვირდი...

— მეხი იმასაც დეცეს.

— გინდა თუ არაო... გინდა თუ არაო...

— კარგი არაფერი ნახოს მაგისმა თვალბმა.

— უნდა გავაგდო! — დაიყვირა უცებ ჯულურამ.

— ვერ გააგდებ. მარტო დარჩენისა შეგეშინდება.

— რო გათხოვდეს, არა მოკვლავ! — მუშტი მოიღერა ჯულურამ.

— ვერ გათხოვდება... ვის უნდა გაჰყვეს?

— რავი, გავთხოვდებიო...

— არ დაიჯერო... მაგის შემრთველი მარტო შენ იყავი.

გაჩუმდნენ. ნათლიდედა აღარაფერს ამბობდა. მარტო დარჩენა მოუნდა. დაღლილობა მოეძალა. სხეული მოუღუნდა. თითქოს ბურანში გაეხვია. მოენატრა ოჯახის სიბზო, ნაბდისძველა, ღუდღუდა ბუხარი, საჩეჩელი და მატყლის ფთილები, მერე ფიქრში წასვლა, თვლემა და ტკბილი ძილი.

აღარც ჯულურას ქონდა ლაპარაკის

თავი, პირი მიწისკენ მიჰქონდა და ნატრობდა, რომ შიგ გახვეულიყო, როგორც თბილ, მატყლის საბანში.

ნათლიდედას ხმა აღარ გაუცია, წამოდგა და უსიტყვოდ გაეცალა. შორს წასულს ისევე წამოეწია ჯულურას ხმა:

— ნათლიდედა!

— რა იყო?

— მაშ არ გათხოვდება?

ნათლიდედამ არ უპასუხა.

ჯულურა სიბნელეს გაცქეროდა და ეხლა ეს დაადევნა:

— ნათლიდედა!

— ხოო!

— არავის ეტყვი?

— რასა?

— აი, იმასა, მე რომა...

— ვის უნდა ვუთხრა?

— რავი აბა...

— არ ვეტყვი, არავის არ ვეტყვი...

— ე მთვარეც რო აღარ ამოდის...

— გათენებისას ამოვა.

— ე ვარსკვლავებიც რაღასა ბეუტავენ?

— ხო, უნიათოდა ბეუტავენ.

— ე სოფელიც გატრუნულა, ხმას არავინ იღებს.

— საცაა შუალამე წამოვა, ყველას ეძინება.

— მცივა. განა რამე მაწუნებს? მარტო ეგ არი რო სულ მცივა და მცივა...

— ნუ გეშინია...

— განა მეშინია? რისა უნდა მეშინოდეს? მარტო მცივა...

— შინ მიხეალ და გათბები.

— მცივა...

3.

ქრისტეშობის თვის ერთ დილას ნათლიდედა ჩხუბმა გააღვიძა.

რაც თაყა მოკვდა, ძილი ისედაც გამკრთალი ჰქონდა, როდის-როდის, მამლები რომ მესამედ იყივლებდნენ მაშინ თუ მოერეოდა რული და ისიც გაუგებარი სიზმრებით სავსე. წუხელაც ბევრი იწვალა, წარა-მარა ადგებოდა და გარეთ იხედებოდა, აბა გათენებას თუ აპირებსო... სწორედ გათენებისას ჩაეძინა და ეხლა ჩხუბმა გამოაღვიძა.

— კარში გამოდი, ნათლიდედ!
— მეხი თქვენც დაგეცეთ...
— აბა გამოდი, მზე რახანია ამოვიდა, ძვლები გაითბე, ნათლიდედ!

მეზობლები ყოველდღე ჩხუბობდნენ და ნათლიდედას არაფერი გაჰკვირგებია. აღსავლის მხარეს გულმაგარაანთ ღობე იყო, დასავლის მხარეს კირკიტაანთი. გულმაგარაანთაც ორსართულიანი სახლი ედგათ და კირკიტაანთაც. შუაში ნათლიდედას კარ-მიდამო ყოფდათ: ძველებური ფიცრული სახლი. გარშემო — ყურძნის ხეივანი. შუა ეზოში — დიდი კაკალი. კაკლის ძირში — ბრტყელი ლოდი, თაყას საყვარელი ლოდი, ოჯახის ტაბლა და საკარცხული. ნათლიდედას ეზოს აქეთაც ტყრუშული ღობე მისდევდა, იქითაც. ღობეზე ეკიდა დაგლეჯილი ხურჭინი, ძირგამოტეხილი ქოთანი, გაბზარული კოკა, ყურმომძვრალი გოდრულა და დიდი, ჯინურა კალათი.

კაკლის ბერტყევაზე მთელი სოფლის ბაღლობა იყრიდა თავსა.

კაკალი გულმაგარაანთკენაც ცვიოდა და კირკიტაანთკენაც.

ღმერთმა მისცეთო, ფიქრობდა ნათლიდედა და ღობის იქით არასოდეს იხედებოდა.

— კარში გამო-მეთქი, არ გეყურება, ნათლიდედ?!

— აბა გამოიხედე, დაქამეს ერთმანეთი, ქალოო!

— ეზოში ვადმოდი, გულს მაინც გადააყოლებ, თვალს მაინც გაუხარდება.

მეზობლებმა კარგი პატივი სცეს საწყალს თაყას: გულმაგარაანი და კირკიტაანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ:

პური სულ გულმაგარაანთ ქალებმა გამოაცხვეს. ღობიოც იმათ დაარჩიეს. სათონე ფიჩხი გულმაგარაანთ კაცმა ჩამოზიდა ტყიდან საკუთარი ურმითა და კამეჩებით. ჭურჭელიც გულმაგარაანთგან ითხოვეს და სკამებიც იქიდან გადმოზიდეს. დედულეთიდან ვადმოსული მოსამძიმრენიც გულმაგარაანთ რძალმა წაიყვანა და ქათქათა ლოგინში მოასვენა.

მესაფლავე კირკიტაანთ სიძემ ჩამოი-

ყვანა. მეკუბოვეც იმან იშოვა ველისციხეში. ცხეღარი საკუთარი ხელით ვაზობა და ზომაც მეკუბოვესთან თვითონ იტანა. კირკიტაანთ კაცი ღვინის აბოღებაში დაეხმარათ. კირკიტაანთ რძალმა სუფრის გაშლაში შეაშველათ ხელი. კირკიტაანთ ბაღლებმა დამარხვის დღეს წანდილით სავეს ჯამი დაიჭირეს და წინ გაუძღვენენ მგლოვიარე სოფელს.

ნათლიდედას ჩხუბში ჩარევა არ უყვარდა და არც ახლა ცდილა იმის გაგებას ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი.

ღობის მარგილს ჩამოგებულ კოკაზე სიტყვა ეზიანად ილესებოდა და აქეთ-იქითა ეზოებში სეტყუვასავით ცვიოდა.

— რა ყოფაში ხართ, გულმაგარაანო, ვეღარ გაიყავით ნათლიდედას კარ-მიდამო? — დაიძახა ვილაცამ.

ნათლიდედა გაშრა. საჩხეში გამოვიდა და შუა ეზოში, ლოდზე ჩამოჯდა. ჩხუბი უცებ შეწყდა და სიჩუმე ჩამოდგა.

* * *

ძველებური იგავი:

ნაცარქექია დილაადრიანად ჩხუბმა გააღვიძა. ცოლმა დაუტატანა, აბა, ადექი, შე ოხერო, ვადი, ვაიგე მაინც, რაზე ხოცავს ქვეყანა ერთმანეთსო. ნაცარქექია წამოიკაკვა, კრუსუნით მოიხურა საბანი (ზამთარი იყო) და გარეთ გავიდა. შინ რომ მობრუნდა, ცოლმა ჰკითხა? რა იყო, რა აჩხუბებდათო? რა ვიცი, გავედი თუ არა, საბანი წამართვეს და ჩხუბიც შეწყდაო...

* * *

— დილა მშვიდობისა, ნათლიდედ...

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.

— როგორა ბრძანდებით, როგორ ვიკითხოთ?

ნათლიდედამ ხმა არ გასცა.

ბესოს რძალი დაიბნა.

— ნათლიდედ! აბა ერთი ხმა გამეცი.

მე რა დაგიშავე დედაკაცო!

ნათლიდედამ ზურგი შეაქცია.

— ჩემვან არაფერი გეწყინოს, შენი

თამაზ ბიგილური
ჟვილავინდა

ჭირიმე, ნათლიდედ! მე რა შუაში ვარ? მერე რაა რა მე დავიძახე. განა შენ გასაგონად მინდოდა, დედაკაცო! ქალობა გამიხუნდეს, ნათელ-მირონი გამიწყრეს, თუ დედასავით არ მიყვარდე... საღ მიხვალ, ნათლიდედ!

უცებ თითქოს ქვეყნიერება დაცარიელდა. ნათლიდედამ სახლი გამოკეტა. თოხის ტარზე კალათი გადაჰკიდა. მხარზე გაიღო. ჭიშკარი გამოიხურა. ვენახის გზას დაადგა. არც არავინ დაუნახავს, არც არავის მისალმებია. წყაროსთან შეჩერდა და წყალი მოსვა. გზად წამოწეულ შოფერს უარი უთხრა, ფეხითაც ჩავალ ვენახშიო... „რა მიგარბენინებს, ნათლიდედ!“ — მაინც მირბოდა. ორობიდან გადაუხვია, კიდეც არავინ შემხედდესო, არავინ არაფერი დამიძახოსო. ვენახ-ვენახ მიიჩქაროდა. ჩაქეპყილ ღობეებზე გადადიოდა. შემხმარი მაყვლები ებლაუჭებოდნენ, თავშალსა ხდიდნენ და აჩერებდნენ. „რა გეჩქარება, ნათლიდედ!“ მაინცა ჩქარობდა. გაძარცულ ვენახებში შავი გორგალივით მიირწეოდა წეღში მოღუნული, მხარზე თოხგადებული ნათლიდედა.

ფიქრისა ეშინოდა და მთელ დღეს მუხლი არ ჩაუხრია. ვენახი გასხლა და წალამი გარეთ გამოზიდა. ატმის ხმელი ტოტები ვენახის თავში დაწვა. წალამი კონებად შეკრა და იმ კონებით ვენახის ბოლოში ღობე გაამაგრა. დაღამება მაშინდა გაიგო, როცა მომიჯნავემ ბილიკზე ამოიარა და გადმოსახა: „გეყოფა, ნათლიდედ, ზოგი კიდეც ხვალე, ხვალეც ამ თვისააო“. კაცს ხმა არ გასცა. საქმეს თავი მაშინ გაანება, როცა უკვე კარგად ჩამობნელებულიყო. ცეცხლის უნიათო კვამლზე ხელები მოითბო. მერე ცეცხლი ჩააქრო და სოფლისკენ გაიხედა.

ჩაზე უკვე ბუტბადნენ ვარსკვლავები.

სოფლისაკენ გული არ მიუწევდა. იქ ზევით თითქოს ყველა უცხო იყო. შინაურობიდან ყველა სადღაც წასულიყო და ხმის გამცემი აღარავინ დარჩენილიყო. თითქოს არც სახლია ჰქონდა, სადაც ქალობა გაატარა, არც ეზო, სადაც

დილიდან დაღამებამდე მუხლი ჩაუხრიალად ფუსფუსებდა.

ჯერ იფიქრა, აქვე ქოხში დაემოხმე, გათენდება და თოხნას დავიწყებო. მერე მაინც მარტოობისა შეეშინდა. ქოხის კარი გამოიხურა და სმენად იქცა. შორიდან ჩამოდიოდა სოფლის ხმაური. ვენახში სიჩუმე იდგა. ნათლიდედა ეულად დარჩენილიყო, ქვეყნიერებისაგან განდგომილი და მიუსაფარი.

მთვარე არა ჩანდა.

ნათლიდედა ჯერ ვენახებში მიდიოდა. ვენახები მორჩა და გზა დიდ, ცარიელ მინდორზე გავიდა. მინდორის თავში მელამ გადაჰკრა ბილიკი, ერთი კი მოიხედა და ბუჩქებში შევარდა. ცივმა ქარმა დაუბერა და მინდორზე ასისინდა ფუჩქი. უფრო და უფრო ჩამოშავდა და ეხლა ვიწრო გზალა მოჩანდა ბუნდად. ბნელში გახვეული ნათლიდედა თითქოს ღამეს შეუერთდა, ღამეში გაიცრია და ღამედ იქცა. თითქოს ნათლიდედა აღარც მიდიოდა გზაზე და დარჩა მხოლოდ სიბნელე, დარჩა მხოლოდ ნათლიდედას ფიქრი, უსახო, უფერო და თვალთუხილავი.

მთებიდან ღრუბლები წამოვიდნენ. ვარსკვლავები მიიმაღლნენ. ნათლიდედამ მინდორი გადაიარა და ახოებში შევიდა. შორიანლო ჭოტმა შეჰკვილა. რალაცამ გაიფარუნა. რომელიღაც მხეცი ლაწალუწით შეერია ბუჩქნარს. ქარმა ისევ დაუბერა და წვიმის წვეთები გადმოყარა. ნათლიდედას არც ლაწალუწი გაუგია და არც წვიმის წვეთები ჩაუგლიარამედ.

წვიმამ უფრო მოუმატა. ჭოტი გაჩუმდა. ყველამ თავის ბინას შეაფარა თავი და მოლოდინში გაირინდა. ღამეში ეხლა წვიმალა შრიალებდა. წვიმა ასველებდა ნათლიდედას გახუნებულ მოსახვევს, წახრილ ზურგს, პატარა ბოხჩას, კოჭებამდე ჩაწვდენილი თალხი კაბის კალთებს.

მერე ერთი ხანობა გადაიღო. მერე ისევ დაიწყო. მერე ისევ გადაიღო და ბურუსი წამოვიდა. ბურუსიც აჩქარდა,

გზიდან გადაუხვია და ქვემოთ, ღრანტეებში ჩაიკარგა.

ნათლიდელა აღმართს შეუყვავა. თავის ეზოს მიადგა და სახტად დარჩა: სახლში სინათლე ენთო. საჩხებში ავიდა და არი ფრთხილად შეაპურილა, როგორც უდროოდ დროს მოსულმა უცხო სტუმარმა. ბუხართან, ხის სამუფხა სკამებზე თედო და კუქნა ისხდნენ.

სიცივისაგან გაფიხხებული ნათლიდელა უცებ აძავდა. ერთი კი შეხელა დამხვდურებს და იქვე, ბუხრის კედელთან ჩამოჯდა. სითბომ საამოდ დაუარა გამოფიტულ სხეულში, მოთენთა, გულში რალაც ნეტარება ჩაუღვარა, ღიმილი მოჰკვარა.

* * *

მერე ჯარასავით დატრიალდა. ქათმები ადვილად დაიჭირა, ქანდარაზე ეძინათ და ვერაფერი გაიგეს. ერთი მრგვალად მოხარშა, ერთი ტაბაკად შეწვა. კიდობნიდან შოთები ამოიღო. ცოტა შემხმარიყო, მაგრამ ბუხარში გააფიცხეს და თონიდან ახლად მოხდილივით დაბრაწეს. ხახვისა და ნივრის გალა იქვე, ტაბლასთან ჩამოჰკიდა. თიხის ჯამები პამიდვრისა და წიწაკის მწნილით გაავსო. დიდ, თაყას გათლილ ტაბლაზე ქათქათა სუფრა გადააფარა. წითელი ღვინით ჩამოღვენთილი ხელადა შუაში ჩადგა.

ტაბლას შემოუსხდნენ და ღმერთი ახსენეს. აქეთ კუქნა იჯდა, — ღობემჭვრალასავით დალეული, ქაქანა და ენამხიარული, იქით ნათლიდელა — ვაკვირებული და ბედნიერი, შუაში თედო — ნათლიდელას ბალღობის სწორი, დიდულევაში, წითელლოყება, დაბრაწული თედო.

ტაბლაზე ღუმელი იდგა. ნათლიდელა სტუმრებს უთქმელად აწვდიდა კერძებს. ცოტა ხორცი მოიკინეს, ცოტა მწნილი მიატანეს — მადა გაგვეხსნებო, მაგრამ მაინც ვერ გაიმსხნილეს. ვერც სალაპარაკო გაუჩნდათ, ვერც სიტყვას დასდეს იმგვარი ლაზათი, სუფრას რომ შეშვენოდა. თედომ ღვინო დაისხა, ქიქა აიღო და დედაკაცებს გადახედა:

— აბა, ცოტა დავლიოთ კიდევ, ცო...

ქალებმა თავი დაუქნიეს, აბა უამისობა როგორ იქნებო, თავადაც ჭიქები აიღეს და თედოს მოუცადეს, ენახოთ, რას გვეტყვისო.

— თაყას გაუმარჯოს, ღმერთმა აცხონოს — თქვა თედომ.

— ცხონებული იყოს, — დაუდასტურეს ქალებმა და ჯერ შოთის წვერს დააპყურეს ღვინის ცვარი, მერე ჭიქა ბოლომდე გამოცალეს. ღვინოს ნიგოზი მიატანეს. ცივმა საფერავმა მაინც თავისი გაიტანა და ნათლიდელას მიწოდებულ მსუქან დედალზე აღარც კუქნას უთქვამს უარი, აღარც თედოს.

— კრუხი დაისვი? — იკითხა კუქნამ.

— კრუხი რალად მინდა, ვის გავუზარდო წიწილები? — დაიჩვილა ნათლიდელამ.

— შენ დასვი... უკვე დრო არი, დიდმარხვაში დაიჩეკებიან და მოთბება კიდევ.

— წიწილებს შინ ვერ შემოვიყვან, გულს გამიწყალებენ.

— შინ რა უნდათ, დიდმარხვისთვის მოთბება კიდევ...

ქალებს ლაპარაკი თედომ გააწყვეტინა.

— ეს გაუმარჯოს ამ ოჯახს!

— სადღაა ოჯახი, გეთაყვათ... — ჩაილაპარაკა ნათლიდელამ.

საფერავმა უფრო და უფრო თავისი გაიტანა, მადიანად დანაყრდნენ და ენაც ამოიდგეს.

— აი, მე თუ მკითხამთ არა, სიბერე რა მოსავონი იყო? — დაიწყო თედომ.

— სიბერე ეკლის გვირგვინი ყოფილა, — უთხრა ნათლიდელამ.

— აგრე მგონია, გუშინ იყო-მეთქი, ყმაწვილობიჭობაცა და ჯვარისწერაც, — ჩაუბრუნდა თედომ.

— ჯვარი რომელ საყდარში დაიწერე, აღარ კი მახსოვს... — ფიქრში წავიდა კუქნა.

თამაზ გივილიური
პედაგოგი

— ღვთიშობელში, მარიამ ღვთიშობელში.

— თედომ რო წამიყვანა, ქრისტეშობის თვე იყო, როგორც ეხლა, ციოდა, — გაიხსენა კუქნამ.

— ხო, ციოდა, საყდარში რო ვიდექით გაკანკალებდა. — დუღასტურა თედომ.

— განა სიცივის ბრალი იყო, შიშით მაკანკალებდა.

— რა გაშინებდა? — გაიცინა თედომ.

— ხუთმეტრი წლისაც არ ვიყავი ბიჭო...

— არც ეს იყო ურიგო ბიჭი, — შეაქო ნათლიდელამ თედო.

თედომ ჩაიციხა.

სუფრა უფრო გათამამდა.

კიდევ დალიეს და უცებ კუქნამ კისკისი ატეხა. მოხედეს და „რა გაციინებსო“, ჰკითხეს. კუქნა ველარ გაჩერდა, თავი უკან გადაიგდო, ორი კბილი გამოაჩინა და კალთაზე ხელი დაირტყა, აქაო და მიშველეთ რამე, ველარა ვჩერდებიო.

— რამ აგაკრიახა, დედაკაცო? — დატუქსა თედომ.

— თინიას გათხუება გამახსენდა...

— ხო, ეგრე ვეთქვა, — გაელიმა თედოს.

— რა იყო, იმისთანა რა გაგახსენდა — თავადაც გაელიმა ნათლიდელას.

— იმისთანა არაფერი, დაიმორცხვა კუქნამ.

— საყდრიდან რო გავიქეცი? — გაახსენა ნათლიდელამ.

— ხო, რო გაიქეცი და ისევ დაბრუნდი.

— მაშ რა მექნა? ხელი მტაცეს და დამაბრუნეს.

— ეგ რომელი საყდარი იყო?

— აქი ვითხარი, ღვთიშობლისა, ძველ საფლავთან როა, ჩამონგრეული.

— მე მათქმევიინეთ, მეე... — კაკანებდა კუქნა.

— საყდარი მაშინ იყო. ეხლა რალა საყდარია, სამრეკლოც ჩამაინგრა და ჯვარიც ვილაკამ წაიღო.

— მე მათქმევიინეთ, მეე... — იხვეწებოდა კუქნა.

— როცა ცხონებული თაყა, როხანაკულუხში გამოწყობილი გვერდში ამომიდგა, თვალს კი ეამა, მაგრამ მეც ვერ ვხედავდა.

— შეგეშინდებოდა, მაშ რა იქნებოდა? — თქვა კუქნამ და მწუნილი გადიოლო, — მღვდელი ვინ იყო, ერთი გამახსენე...

— ღმერთმა რო არ იცის იმისი თავი და ტანი, მამაო ონოფრე, ღვთის გარეგანი.

— მემრე, მემრე როგორღა იყო, ბარემ ისიცა თქვი, — იცინოდა თედო.

— მემრე რალა უნდა ყოფილიყო? — დაიმორცხვა თინიამ.

— ვთქვა? — გაელიმა კუქნას.

— თქვი, გეთაყვათ, თქვი...

— არა, ვთქვა? — დაიჩემა კუქნამ და თან თვალეში ნაპერწკლები ჩაუდგა.

— მემრე რა იყო, მემრე... — იცინოდა თედო.

— აბა, ეგ ხო თქვენც იცით... მემრე შვილი არ მიჩნდებოდაა.

— რას გაგჩინდებოდა, ერთი ფეხი რო ალთასა გქონდა, მეორე ბალთას, — ჩაერია თედო.

— გათხოვების მემრე აღარა... დავკვიანდი, — გაეცინა ნათლიდელას, — მე რო ჯვარი დამწერეს, იმ წელიწადს არა და მეორე წელიწადს შენ სალდათში წაგიყვანეს.

— ხო... იმ წელიწადს არა, მემრე წამიყვანეს...

— ხოდა, იმას გეუბნებოდით, დიდედამ მღვდელთან წავიდა, რა ვქნათ, მამაო, რას გვიჩვენებს ღმერთით. მღვდელს ეთქვა, ჯერ ის თქვენი გოგო კარგა კაწაწებით ათრიეთ, მემრე მხსვერპლად ერთი დედალი მომგვარეთ და საყდრის ეზოში გაუშვითო.

— ხე, ხე, ხე, ხე, საიდან წამოუვლია! — ჩაურთო თედომ.

— მივიყვანეთ კვერცხისმღებელი დედალი და საყდრის ეზოში გავუშვით... გავუშვით თუ არა, დიაკვნამა დაიჭირა და ანათორაში ამოიფარა.

— მას მერე გეყოლათ შვილი? — იკითხა თედომ.



— მეყოლა, მაშ არ მეყოლა?
 — ხო, რაც ოცისა გახდა, იმის შემდეგ არ გააჩინა ათი შვილი ზედიზედ? — თქვა კუქანამ.
 — ხე, ხე, ხე, ხე, საყდრის ძალას ვინ უვიდოდა? — გაიცინა თედომ.
 სუფრაზე სიჩუმე ჩამოდგა.
 მერე ისევ თედომ იკითხა:
 — შემდეგ აღარ შეგხვდათ ის მღვდელი?
 — აბა ხო არ შევკადრებდით აგრეთ და იგრეთ...
 — ის როგორ იყო, ისა... — უცებ გაახსენდა კუქანას.
 — რაო, რაღა დაგრჩა სათქმელი, გოგო...
 — ისა, ისა თქვი... — და ისევ აკისკისდა კუქანა.
 — შენა თქვი, ვინ დაგიშალა?
 — ლექსი რო გამოგიოთქვა სოფელმა.
 — იმ ლექსში ნახევარი ტყუილ-მართალი იყო და მეც აღარ მახსოვს, შენ რამ დაგამახსოვრა?
 — ხო, მეც აქა-იქა მახსოვს, სად რა დამეკარგა, რა ვიცი, — თვალები აენთო კუქანას და დაიწყო:
 — მე ვარ და თინიაო...
 — ნუ მაიცინებ ქალოო, — შეევედრა თინია.
 — ნეფე საყდარში მოვიდა მეხი დავათბლიშეო — გააგრძელა კუქანამ.
 — დაფა-ზურნა დაუკრეს, ვითომ ვერ ავყეო, — აიტაცა თედომ.
 — ქურანა ცხენი მამგვარეს, ვითომ ვერ შევჯეო.
 — მღვდელი კარს გამოგვეგება წვერი ვაგლიჯეო.
 — ტუჩთან გამოწვდილი ჯვარი თავში დავთბლიშეო.
 — ნეფეს მუჭლუგუნი წავკარ, აბა, წამამყეო.
 — მაყრიონს არ დავუცადე, ქიშკარს ვუყაღეო.
 — ცხენის სიმაღლე ღობეზე გადავალაჯეო...
 — თავი მოვიგიჟიანე, ხალხი დავცოფეო...

— კუქანავ, ნუ მაიცინებ, რამ აგტეხა, ქალოო...
 — ტახტზე სკამი დავდე. სკამზე მუთაქა. მუთაქაზე ბალიში დავჯექი და შევექეო...
 — შენ მაინც რა ენათ გაიკრიფე, ბიჭო, თედო...
 — ერთი მწვადი, ერთი ლანგარი ხაშლამა. ერთი ჯამი ხინკალი.
 — ერთი შოთი. ერთი ლავაში. ერთი ნაზუქი. ერთი ქადა. ერთი ტაბაკა. ერთი ცირკვალად მოხარშული.
 — არა ცხოვრებები ჩემი ცოდვით, კუქანავ...
 — სამი ყანწი გადავკარიო. სამი ჯამი. სამი ჭინჭილა. სამი კულა. სამი ფიალა...
 — საფერავი, რქაწითელი, ბუღმუხრი, მწვანე.
 — რა ყოფაში ხართ, ვინმემ არ გაიგოს თქვენი ჭირიმეთ...
 — მოვასვენეო:
 — ერთი ჯაგანი. ერთი გოგრა. ერთი ხახალი კაკალი. ერთი ხახალი თხილი...
 — ზედ დავაყოლეო:
 — ჩურჩხელა კუნტელა. ჩურჩხელა თხელი. ჩურჩხელა ორპირი. ჩურჩხელა გორგომიჭელა...
 — მოვიწაკლისეო:
 — ჩურჩხელა თხილისა. ჩურჩხელა ნუშისა. ჩურჩხელა ჩამიჩისა...
 — მერე საყველაწმინდო და...
 — დავწექ და დამეძინააა...

* * *

„რა ამბავში ხართ, ნათლიდელ? ამ შულამისას ეს რა დღეობა გაგიმართავთ? სოფელი რას იფიქრებს, ხალხი რას იტყვის? ვანა მართლა რა ხანი გავიდა, რაც ის კაცი მიწას მიიბარეთ... ან იქნებ ის ბიჭები დაგიბრუნდნენ, შენი წასული ბიჭები და სახლი აახშიანეს? ან იქნებ ეს უკანასკნელი დღეა შენი დიდი წუთისოფლისა და ამ მზისქვეშეთში სიცილით გინდა დალიო სული?“

„სოფელი რას იტყვისო? სოფელმა

თამაზ ბიბილაძე
 ახილავს

რაც უნდა ისა თქვას. ჩემდენი ზიდონ და ზურგსუკან მერე დამარახონ. ვიცხოვრეთ და მოვრჩით. ავად თუ კარვად, ეს ღმერთმა იცოდეს. ყველაფერი დასრულდა, ეხლა საყველაწმინდოლა დარჩა, ეხლა წამსვლელ-დამარჩომს გაუმარჯოს. ეხლა ამ ქობიდან სიმღერა გავა თუ ტირილი სულ ერთია. ყველაფერი ცხრა მთას იქით არი. ეს ვინ მოსულან? ხო, მართლა, ჩვენები... კუქნავ, შენ რაღა გაკისკისებს თერამეტი წლის პატარძალივით? შენც მალე წამოხვალ, ღმერთმა დიდი დღე მოგცეს. შენ ისევ აქა ხარ, თედო? რა ვუთხრა თაყას, იმ შენ ავ-კარგიანს, რას დამაბარებ?“

* * *

მოთხრობა საცაა დასრულდება და ისღა დამრჩენია, გითხრათ, როგორ წავიდა ამ სოფლიდან ნათლიდედა. რა დავგვიტოვა — ლოცვა თუ სამღურავი. ის გაგებული ქალი იყო და არც სამღურავს გვეტყოდა, არც ორი ღღის სიტოცხლეს კიდევ შესთხოვდა ღმერთსა. აკი თვითონვე ჩიოდა ხოლმე, — ღმერთო, რა ქვეყნის სალაპარაკო გამხადე, მორჩი და წამიყვანეო...

მანამდე კი სახლის კარი გამოუღია, კარ-მიდამოსთვის გადაუხედავს და ლობესთან მოგროვილი მეზობლები დაუღლანდია. მერე ეზოში ჩამოსულა, ლობესთან ჩაუვლია და მშვიდად უთქვამს:

— ღამე მშვიდობისა, გულმაგარაანო!

— ღამე მშვიდობისა, ნათლიდედე! — უპასუხიათ მეზობლებს.

— ღამე მშვიდობისა, კირკიტაანო!

— მშვიდობა მოგცეს, ნათლიდედე...

— ღამე მშვიდობისა, ხალხნო! მერე მისულა და კაკლის ქვეშ მომჯდარა.

მერე დიდხანს ეძახდნენ თურმე კუქნა და თედო.

ეძახდნენ და ველარაფერი ვაგონებდნენ.

მაგრამ სოფელი სხვა რამესაც უმატებს: როცა ნათლიდედა კაკლის ქვეშ ჩაიკეცა, ჰო, სწორედ იმ დროს ცა ერთი დიდი ვარსკვლავი მოსწყდა. იმავე დროს კაკლის კენწეროებიდან ამოვიდა მთვარე — ყვითელი, ჭორფლიანი, გაბადრული, როგორც ძველებური სამზითვო დაირაო. და უცებ ჩამოწვა სიჩუმე, ვარსკვლავებიდან და ცთომილებიდან წამოსული სიჩუმეო. ხალხი იმასაც გადმოგვემდა — თაყას დამარხვის დროს მთელი სოფლის ნახირი შარაზე გამოვიდა და ბლაღდაო... ჰო, ამგვარადაც ამბობენ, ამგვარადაც ჰყვებიან... სოფელს უყვარს გაზვიადება. იქ ლხინიც სიდიადით იმოსება და ჭირიც.

ყველაზე მართალი კი ის გახლავთ, რომ ნათლიდედას ცხედართან სხვებზე მეტად ჯულღურას უტირია. სახლიდან სასაფლაომდე კუბოსთვის ხელი არ გუშუვია. სასაფლაოზეც ხალხისთვის უთქვამს — უკან დაიხიეთო, ნიჩაბი აუღია, სამარეც თვითონ ამოუესია მიწით და საფლავიც თვითონ მოუსწორებია. ნათლიდედას ის ამბავი არავისთვის უთქვამს, ჯულღურას საიდუმლო საფლავში ჩაუტანია და ხალხს თურმე უკვირდა — ამ ჯულღურას მაინც რა აბღავლებს, საიდან სადაო...

მას მერე სოფელს აღარა ჰყავს ნათლიდედა.



ჩემი ბუჭუბუკი, ჩვენი ტერეზა

7

დრო, მოგეხსენებათ, ისევ გადიოდა — მაგრამ, რაღაცნაირადაა, სხვაფრივ...
ჭერ იყო და, მეორე დღეს, ორს რომ დააქლდა სწორედ ოცი წუთი — არღაღიონ ჭედისა ჰქონდა ზუსტი საათი — მართლა მოვიდა წვიმა. აკაკუნდა სახურავებზე, წვეთები გაკვალული გზით დაუყვნენ ფოთლებს. ოდა-სახლების ქვეშ შეძვრნენ ქათმები, კაკალა მამიღამ ჩაიარა ჭრელი ქოლგით ხელში, ფრთხილად აბიჯებდა გუბებზე. პარალელის განაპირას წისქვილი ახრიალდა, შაშია კუტუბიძემ თავისი დეიდაშვილის — სამსონას სახლს შეაფარა თავი, შემცივნებულმა, პიტნის არაყი გადახუბა და „ჰხა“-ო, როგორც კი დააყოლა, მაშინვე არჯევანიძეების ძაღლმაც დააცემინა და „სიცოცხლეო“, უგულოდ უსურვა შაშიას ყანიდან მობრუნებულმა, თავ-მხრებზე ტომარაგადაფარებულმა სამსონამ, მაგრამ შაშია კუტუბიძეს მადლობა არ უთქვამს, „დავლიო ერთიცო?“ — სამსონას ჰკითხა. „რა ჩემი თქმა გინდაო,“ იმან... მაკრინე ჯაშმა მატყლის წინდები ჩაიცვა და „ბრ“-ო, ნაზად, ქალურად თქვა, იმისმა ახლად შექენილმა ქმარმა ოსიკომ და არღაღიონ ჭედამ თბილად შეიფუთნეს ყელი, ჩვენს ტერეზას კი შუა ეზოში ეძინა და აწვიმდა. მთელი ჰარალეთი სახლებში შეყუყულოყო, კაველაძე იმ თავის სკივრზე თავჩაქინდრული იჯდა, ლუიზა თუშაბრამიშვილზე ფიქრობდა

და ფიქრებში ძალიან ღრმად შეტომა, ტიტვიო და ეფრემა ღლონტები კბილებშუა ისრუტავდნენ ცივ ღვინოს, ქალაქის თავის მოადგილე კაკოია ვაგნიძე და იმისი თანამეგწე ბუხუტი ქვაქარავა ლოტოს თამაშობდნენ ბუხართან და ერთს მარჯვენა ლოყა ასწითლებოდა, მეორეს კი მარცხენა, თითქოს თითო სილა გააწნეს ერთმანეთსო, ბოქალე ტიტვინიძე მოხარულ სიმინდს ჩაფიქრებული მიირთმევდა და თან მაუზერს სწმენდა და სასაცილო კი იქნება მოგახსენოთ, უცაბედად ტაროს ნაცვლად მაუზერს უკბინა-მეთქი, მაგრამ არ მომხდარა ასე და ტყუილი რა საკადრისია — სიცვილზე კი არაა მხოლოდ საქმე. პარმენა დვალს მოსწყინდა ძალიან. ერთხანს ოთახში იწრიალა, დაძინებაც სცადა, არ გამოუვიდა, გულადმა გაიშობა, ჭერს შეაქცერდა, სად მოჭრეს ნეტავი ეს ხეო, გაიფიქრა, ვალად ასხმულ წიწაკებს შეხედა, რა გაათავებს ამასო, ხენეშით, გაივლო გულში, მოსწყინდა, მოკლედ, ძალიან.

— ერთი წავალ და ვნახავ, ჩემო ყვავილო, სტუმარს, თორემ აუგია, — უთბრა ცოლს ოსიკომ.

— მამაჩემმა თქვა, ქმარი საერთოდ გარე-გარე არ უნდა დაიარებოდესო.

— ეჭვიანობ, სულო? — მომზიბეულად დაეკითხა ოსიკო და ხალიანი ლოყა მიუშვირა — ისევ შემოვიდა ხალი მოღამი, — ხომ არა გცივა? ჭირიმე შენი...

— სამოცდაშვიდი, — გამოაცხადა ბუ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „სიკარო“. № 9.

ხუტი ქვაჭარავემ, — გაქვთ, პატივე-
მულო?

- არაა. ლამაზად თქვი, ბუხუტი...
- სამოცდაშვიდი, დაჯკრიფე შინდი.
- ასე. მაინც არაა.
- ოცდაათი...
- არის. თქვი აბა კიდევ...

აწვიმდა პარალელს.
პარმენა დვალმა ქურს თავი მოხდა,
ორშიმო მოიმარჯვა, ათლიტრიანი გაავ-
სო და ფუჩჩიით დაუცო ყელი. მარჯვე-
ნა ხელი ჩასჭიდა და, მარცხნივ გადახ-
რილ-გადაჭიმული, პაპიკოს სახლისაკენ
გაემართა. აივანზე ბუჭუტა იჭდა, მო-
ჯირზე პაწია მუშტები ჩამოედო, მუშტს
ნიკაპით დაყრდნობოდა და, ჩაფიჭრე-
ბული, წვიმას გასცქეროდა. იქვე არდა-
ლიონ ჭედიაც ჩამომჯდარიყო, მობუ-
ხული, შეფუთვნილი, პაპიკოს კი, ფეხ-
ზე მდგარს, ხელები გადაეჯვარედინებო-
ნა გულზე და ღრუბლებს უყურებდა.

— გამარჯობათ თქვენნი! — შესძახა
პარმენამ, — როგორ გიკითხოთ, ბუჭუ-
ტა-ბატონო?

- გამარჯობათ, არა მიშავს, ეგ რაა...
- ღვინოა, თქვენ მოგართვით, შეეს-
ვათ პატარა ერთად!
- რასთან დაკავშირებით? — შეაც-
ქერდა პატარა კაცი.
- როგორ თუ რასთან... — დაიბნა
პარმენა, — ოთხი წლის ღვინოა, ისე კი
არაა ის...

— მერე რა... — თქვა პაპიკომ.
— უჭუჭუ! — დამეანჭა პარმენა, —
დიდი ხანია, აღარ სვამ, ვაჭბატონო?

— მარტო ვიყავი, — ხმადბლა თქვა
პაპიკომ, — მარტო ვიყავ და იმიტომ
ესვამდი...

— როგორ თუ მარტო... ლოთმა ღვი-
ნის ფასი არ იცოდეს, არ გამოვივა ჯერ!..
დავლიოთ, ბუჭუტა-ბატონო, მოვილხი-
ნოთ ჩვენებურად ერთი... ისე, მოსაწყე-
ნია, ბატონო, ტყვილა ჯდომია... წვიმაში
კარგია სმა.

— წვიმაა მოსაწყენი? — გაუკვირდა
პატარა კაცს.

- დიახ.
- პატარა კაცი წამოდგა და თქვა:

— გახედე აბა...
წვიმდა.

— მოსაწყენია? — ჩუმად იკითხა
ბუჭუტამ.

პარმენა დვალმა ჩურჩულით თქვა:
— არა.

- თუ იცი, როგორ მოდის...
- კი. ღრუბლებიდან...
- ღრუბელი როგორ ჩნდება...
- ორთქლდება წყალი.

ჩურჩულებდნენ.
— როგორ.

- მზე აორთქლებს.
- რატომ.
- ცხელია, ბატონო, მზე...
- რატომაა ცხელი...
- არ ვიცი, — თქვა პარმენამ და მი-

მოიხედა.

— მეც სწორედ მანდ ჩამჭრა, —ნაღე-
ლიანად გაიღიმა არდალიონ ჭედიაში.

— თქვენ თუ იცით, — საიდუმლოდ
წასჩურჩულა პარმენა დვალმა.

- რა...
- წვიმა როგორ მოდის... მითხარით
და არავის ვეტყვი.
- არ ვიცი.

— არც მე არ ვიცი, — თქვა პაპიკომ.
— რაღას ვუყურებთ აბა! — ხმას აუ-
წია პარმენა დვალმა.

— ლამაზია, — ჩუმად თქვა პაპიკომ.
— ლამაზია და იმიტომ.

— ჰოო, — ისევ ჩურჩულზე გადავი-
და პარმენა დვალი, — ლამაზია მართ-
ლა.

ჰეე, წვიმდა.
— ჰოპ! — დაიძახა კაკოია გავნიძემ,
— დავამთავრე — ხუთი, ოცდასამი,
ორმოცდათერთმეტი, სემდესიატ, ოთხ-
მოცდაორი... სწორია?

— აბა არა? — აღტაცებული დაეკი-
თხა თავის მხრივ ბუჭუტი ქვაჭარავე.
— ხომ ვთამაშობ კარგად?

- აბა არა? მშვენიერად...
- ლოტოში მოვუგებ ყველას, —
თქვა კაკოია გავნიძემ.
- წავალ რა იქნება, მაკრინე, რა...
ჩემო მშვენიერო, — შეეხვეწა ოსიკო,

— შენ ხომ მაინც უნდა მოისვენო ტაბრევეანზე და წავალ მე, ვნახავ სტუმარს ერთი... თორემ აუგია...

— იმდერე აბა და წადი მერე.

— რა გიმღერო, ჭირიმე შენი... რა შეგეასრულო?

— „შავ-ბნელი რას მოგვერევა“ შე-ასრულე...

— ჰქე-ხე, — განემზადა ოსიკო, — შავ-ბნელი რაას...

— სულ ამ ძმების ბლავილი უნდა ისმოდეს პარალეთში? — იწყინა პარმენა დვალმა, — წვიმას არ გაყურები-ნებენ კაცს...

ჩვენი პარალეთი კი უკვე შრებოდა. ცა მოიწმინდა, მხოლოდ ერთგან, ღრუბლის დიდი, თეთრი ქულა კიფობდა, თვალმოჭუტულნი ასკქეროდნენ. მერე მზემ უფრო იძალა, ორთქლი ასდიოდა პარალეთს, ფოთლები შრებოდა, კრამიტის სუფთა, მტვერჩამორეცხილი სახურავები ჭერ კიდევ გლუვად ბზინავდა მზეზე, მერე ალაგ-ალაგ აბრჭყვიალდა, ორთქლი ასდიოდა არჯევანიძეების ზოში ჭერ კიდევ მძინარ ჩვენს ტერეხსაც. ფანჯრები გამოალო ხალხმა, სიცილი გაისმა საღაც, მზინავეი ლაქები გაიზარდა და ერთიანად აბრჭყვიალდნენ სახურავები, დამძიმებული ბალახიც გაშრა, ამჩატდა, გაიმართა.

— მზე როგორია, — ჩუმად თქვა ბუტუტამ, — ა, როგორია მზე...

— კარგია, — თქვა პარმენამ და ხელები მოიფშენიბა.

— ლოყა მიუშვირე, აბა...

— ასე?

— თვალები დახუჭე... გათბობს?

— კი — სულ ქრუანტელი მივლის ტანში.

პარმენა, თვალდახუჭული, მადლიერად იღიმებოდა.

— ყოველ წელიწადს მზე ჩვენს პლანეტას ექვსას ოც მილიონ მილიარდ კილოვატ-საათ ენერგიას აწვდის, — აღნიშნა არდალიონ ჭედიაძე, — ეს ზუსტად თექვსმეტი ათასჯერ მეტია, ვიდრე მთელ კაცობრიობას სჭირდება.

— აუჰ, არ გამიფუჭა გუნება? —

ხელი აიქნია პარმენა დვალმა, — ვერცხვინა ერთი, რა იცი შენ...

— შავით თეთრზე წერია, ბატონო.

— კი მაგრამ, როგორ შეცდა მაინც მზე ზუსტად თექვსმეტი ათასჯერ? — გამომწვევად დაეკითხა პარმენა, — წიგნების მზე არ გამიგია მე... მზე, აი, ესაა...

— მზესავით ვიკოდეთ ჩვენ-ჩვენი საქმე, არ იქნებოდა ურიგო, — ჩაილაპარაკა პაპიკომ.

— კაცო, მე ჩემდა თავად კი არ მოთქვამს, ვილაცა სულელმა დაწერა ასე, მეცნიერულ-პოპულარულ თემაზე.

— მერე, სიტყვესიტყვით უნდა გაიმეორო? — დაანამუსა პარმენამ.

— აღარ ვიტყვი აწი.

— ოო, ეგრე.

— ოო, ეგრე, — წარმოთქვა კაკოია გავნიძემაც, — არის... დღეს გავიაროთ ქალაქში?

— კი. ხალხს უნდა ვეჩვენოთ ხანდახან, თორემ... ხომ იცი მაგათი ამბავი, არაფერს აყეთებენო, იტყვიან.

— წარმოდგენებზე ხომ გვხედავენ ისე...

— აბა არა?

— მეზარება რაღაც... შეშრეს პატარაზე ჯრ. ანდა, შენ გაიარე და მეც გავახსენდები, ამოილო ახლა ქეა, რაღას უცდი, აბა ჰე, ბუნებრი!

— ორმოცდათვრამეტი!

— აუჰ! ორი მაქვს მაგისტანა.

— ჰიპი...

— თქვი აბა რამე კარგი კიდევ!

— ხუთი!.. ისე, ამბობენ, შაშია კუტუბიძე ყუთიდან შაურიანებს ღუნავსო.

— ეგ თუ ტერეზა...

— ტერეზას რა უნდა ყუთთან...

— აბა შაშიას სადა აქვს გასალენი ღონე...

— არა, ეგ შელამაზებული გამოთქმა — ღუნავსო, რომ იტყვიან, აწაპნას ნიშნავს.

გურამ დოჩანაშვილი
ჩემი ბუმბუა, ჩვენი ტირიზა



— ეგ რაღაა...

— უკანონოდ იღებს შაურიანებს ჭიბაში!

— ქი-იშ-მიში მაქ ჭიბეზეე!!! — გაისმა უცებ ჰარალეთში.

— გამოუღვიძია, — აღნიშნა პარმენამ და უცებ შეეშინდა, — მზე რომ არ იყოს რა იქნებოდა...

— ნუღარ იტყვი, — შემფოთდა არდალიონ ჭედია, — სიბნელე არ მიყვარს.

— მხოლოდ სიბნელე? — გაელიმა პატარა კაცს.

— ვენახი არ დამწიფდებოდა! — დაიყვირა პარმენამ, სხვას რომ არ დაესწრო, — არც სიმიინდი, ხომაა ასე!

— წელს კარგი პირი უჩანს, — თქვა არდალიონ ჭედია, — თითო ჰექტარზე თორმეტ ცენტნერს მაინც ავიღებთ უღანაკარგოთ.

— რისი ამღები ხარ შენ, — აგდებულად შეაკებრდა პარმენა და უცებ სახე გაეხადრა, — ნამდვილად კარგი პირი უჩანს! ვენახს! დავლიოთ ერთიც, რა იქნება, — მხიარულად თქვა და ათლიტრიანს წაატანა ხელი, მაგრამ მაშინვე მოიბუზა.

— მზის მიმართ მადლობის გარდა არაფერი გვეთქმის, — მოწიწებით აღნიშნა არდალიონ ჭედია, — მზე რომ არ იყოს, დავიხოცებოდით ყველა...

— მხოლოდ მზე? — იკითხა ბუჭუტამ.

ჩაფიქრდნენ, ჩუმად იყვნენ... ორი კაცი ერთდროულად ჩაფიქრდა პარალელში! მერე ვინ — ერთ-ერთი პარმენა დვალი გახლდათ, ჩვენი მომლხენი, ჩვენი თამადა. არდალიონ ჭედისაგან ისე ძალიან არ გაგვევირვებია ეს, მაგრამ ახლა მაინც განსაკუთრებულად ჩაფიქრებული ფშვინავდა და პაპიკომ თქვა:

— ჰაერი. ჰაერიც აუცილებელია...

— აუცილებელია, აბა...

პარმენამ ისევ დახუჭა თვალები. მადლიანად ისუნთქავდა ჰაერს.

— გემრიელია? — იკითხა ბუჭუტამ.

— აჰ, გემრიელი.

— და წყალი რომ არ იყოს? — დაეძინა თხა პაპიკომ.

— უჰ, უჰ, მტრისას...

— და მიწა რომ არ იყოს?

— აბა ჰაერში ხომ არ გამოვეციდებოდით...

— არა, არაფერი რომ არ ამოდიდოდეს... რა იქნებოდა...

პარმენას კი აღტაცებამ სწრაფად გადაუარა:

— რა ვიცი მე, რა იქნებოდა... როგორც სხვა, ისე მე...

დედა-ლორი შემოვიდა ეზოში, თავის გოჭებიანად. ღრუტუნით ყნოსავდა ბალახს, ერთი-ორჯერ ქვეშ-ქვეშად ახედა აივანზე შეკრებილ საზოგადოებას. გოჭები ფეხებშუა უსხლტებოდნენ, გამალებულნი სწოვდნენ ძუძუს, დახტოდნენ, მერე კი, რაღაცით გაოცებულნი, სველ, პატარა დრუნჩებს მოლოდინით გაიშვერდნენ და ისევ გაკუნტრუშდებოდნენ მალაღბლახში. ყველანი გოჭებს შესცქეროდნენ, ალბათ, არდალიონ ჭედიაც — ელამი არ იყო, მაგრამ, საით იყურებოდა, ვერასოდეს მიხვდებოდით.

— პატარა რომ ყველაფერი კარგია, ა? — იკითხა პარმენამ, — ახლა, წარმოიდგენს ვინმე, ამათგან რომ ეს დადგება? — ლაფში ამოსერილ დედა-ლორს მიაბჯინა თითი.

— აბა? — დაეთანხმა არდალიონ ჭედია, — საკვირველია სწორედ.

— მერე და მერე რა გვემართება, არაა უცნაური? — მუხლზე ხელი დაირტყა პარმენამ, — ახლა, კაველაძის შემხედვარე, ვინმე იფიქრებს, ისიც რომ ბავშვი იყო, ა?

— ხუჭუჭი თმა მქონდა, — მორცხვად თქვა კაველაძემ. იქვე, აივანზე იღვა.

— აქ ხარ შენც? — შეცბა პარმენა, — რას აყეთებ აქ...

— გიგდებთ ყურს, ბატონო...

— მერე, გამარჯობა არ უნდა გეთქვა?

— ვთქვი, მაგრამ... ვერ გაიგეთ, ბატონო...

— მოდი, ჩემო გოგი, — აღერსია-



ნად უთხრა ბუჭუტამ, — მოდი, ჩამო-
ჭექი აქ... ხუჭუჭი თმა გქონდა?

- კი.
- კიდევ რა გახსოვს, ვოგი...
- დედა მეფერებოდა ძალიან...
- მართლა? — შეაკცერდა ბუჭუტა,
პატარა კაცი.

- კი. ვუყვარდი ძალიან.
ხმლის ღვედს აწვალებდა.
- ახლა სადაა...
- ეპ... — თქვა კაველაძემ.
- დიდი ხანია? — ჩუმად იკითხა
ბუჭუტამ.

— ბავშვი ვიყავი... ახველებდა ძალიან.
ოთახში ნუ შემოიყვანთ, არ გადაედო-
სო... ჩემზე ამბობდა. ისე კი, ნათესა-
ვებს სთხოვდა, მაყურებინეთო და აი-
ვანზე, ფანჯარასთან დამაყენებდნენ ნა-
თესავები და საწოლიდან მიყურებდა
სულ, არ მაცილებდა თვალს.

- დიდხანს იდექი?
- კი. დამჯერი ბავშვი ვყოფილვარ
და წყნარად ვიდექი. შუბლი მინახე
მქონდა მიბჯენილი და ხანდახან ჩემი
სუნთქვისაგან შეოროქლდებოდა და სა-
წლოთი ვწმენდდი.

ბუჭუტამ მაგრად მოისრისა შუბლი,
პაპიკოს შეხედა. კაველაძე თავჩაქინდ-
რული იჯდა, ისევ ღვედს აწვალებდა.

- მოკვტა... — თქვა კაველაძემ.
- პაპიკომ ფრთხილად მოინაცვლა ფე-
ხი, კაველაძეს დასცქეროდა. არდალიონ
ჭედია საღაც განზე იყურებოდა,
მკერდზე ამყად იკაკუნებდა თითებს,
კაველაძემ კი ჩუმად, თავდახრილმა
სთქვა:

— ახლა არავის აღარ ვუყვარვარ.
სულ აღარავის...

კარგახანს სიტყვა არ დასცდენიათ.
მერე ბუჭუტამ მხარზე დაადო ხელი:

- ცდები, გიორგი.
- ეპ, — ხელი ჩაიქნია კაველაძემ.
ისევ თავჩაქინდრული იჯდა, — სულ
რომ გადასაღვრელი ჰქონდეთ ღვინო,
არაფინ მეტყვის, მოდი ჩვენთან, და-
ლიეო. ღვინო არ შიყვარს, მაგრამ...
შაინც... არც არაფერი მახდია და...

და უცებ ბუჭუტა ჩვენს სახელოვან
თამადას მიუბრუნდა:

- ღვინო სჯობია თუ წყალი, პარმენ.
- მამასხარავებთ, ბატონო?
- რომელი სჯობია!
- ღვინო, რა ლაპარაკი უნდა ამას...
- შენთვის კი არა, ისე, საერთოდ...
- მე რამ გამყო სხვასთან... წყალი

ისე მოდის, უბრალოდ, ღვინოს კი რამ-
დენი შრომა უნდა, თუ იცი... მერე,
რაც არ უნდა იყოს, — განავრძო შე-
გულიანებულმა პარმენამ, — ღვინო
ფული ღირს, წყალი — უფასოა... ფა-
სიანს და უფასოს ადარებთ ერთმანეთს,
ბატონო?

— სალამი და გამარჯვება მომიხსენ-
ებია! — ომახიანად შესძახა აივანზე
ამოსულმა, შეფუთვნილმა ოსიკომ.
ცალ ხელში დოქი ეკავა, იღლებში კი
კოხტად გახვეული პურ-მარილი ამოე-
ჩარა.

არავინ გაეპასუხა — ყველანი პატა-
რა კაცს შესცქეროდნენ. იმან გაიარ-
გამოიარა, კაველაძესთან მივიდა, მხარ-
ზე დაადო ხელი და, თვალმოჭუტული,
ალაპარაკდა.

8.

პატარა კაცი, ბუჭუტა ჰყვებოდა, რომ
ყველაფერი, რაც მართლა კარგია, უფა-
სოდა გვაქვს, ესაა ჰაერი... წყალი...
ნიადავი... მზე. ისე მრავლად გვაქვს და
რომ შევეჩვიეთ ამ ჩუმ სიკეთეს და
აღარც გვახსოვს, აგერ, კაველაძემ ისიც
კი თქვა, რომ არაფერი ახადია, ცდება
გიორგი... რომ მზე მხოლოდ მაშინ გვე-
ნატრება, თუკი გვცივა და, ვეძებთ, გა-
თომილ სახეს მივუშვერთ ხოლმე, ხე-
ლებსაც ვიდფენეტ, და რომ გავთბე-
ბით, ეპ, ვიღას გვახსოვს... წყალიც
მრავლად გვაქვს, ეს უფასო სიკეთე, ამ
დალოცვილ პარალეთშიც და ახლო-მახ-
ლოსაც, მდინარედ მოგვდის, წვიმად
ჩამოდის, ჭიდან ვიღებთ და თოვლიც
ხომ დნება... ჰაერი კი, ჰაერი მართლაც
რომ უხვად გვაქვს ბოძებული, ისე უხ-

გურამ დოჩანაშვილი
ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ბარბა

ვად რომ ველარც ვამჩნევთ, ის კი, უხილავი, უძლეველი, სულ სხვადასხვაა, მუდამ იცვლება—სხვაა ჰაერი სისხამი დილით, ქორფა, ხასხასა და გამჟვირვალე, სხვაა ჰაერი შუადღის ხვატში, შედედებული, დაფუებული და მძიმედ მოლივლივე, სხვაა დიდთოვლობისას, ღრმა-ღრმად სასუნთქი, დამატყვევებელი და სულ სხვაა საღამოს, გატრუნული, გამუქებული, გაიისფრებული, ლურჯდება და მერე, შავად რომ იღებება და მძიმდება, ბებრივით ისვენებს და ჩვენც ვისვენებთ, ბალიწზე თავმიდებულვებს, გვიძინავს, და დილით, ჯერ კიდევ მთას ამოფარებული მზის შუქით გაღვიძებულნი, სახედაბუქებულნი, ახალგაზრდა ჰაერით ვსუნთქავთ, მაგრამ ვის გვახსოვს... ბუჭუტა ლაპარაკობდა და ეზოში გროვდებოდა ხალხი, ავერ, ეფრემა და ტიტკო ღლონტები ოდნაეი ბარბაციით შემოვიდნენ ეზოში, ორთავეს დოჭი ეკავა, ტიტკოს ილიიდან პრასის კუდი მოუჩანდა, ბუჭუტა კი ჰყვებოდა, რომ შეუპლემელია არავის უყვარდე, თუკი გაბადია ეს შეჩვეული ბედნიერებანი — ჰაერი... წყალი... ნიადაგი... მზე... ხოლო ეს მიწა, სადაც ჩვენ ვდგავართ, პარალეთია... იცის, იცის, ყველანი რომ ვზრომობთ, ყველანი ვთონხით, ვსლავთ, ვკრეფთ, ვწურავთ, ყველა გენი იცის, ყველანი. ეს ჩვენი მიწა ბარაქიანია, დალოცვილი და, მისი აზრით, ცოტათი გაგვაარსებინა, და სულაც არ უყვირს რომ სწორედ პარალეთში მათფლიოში პირველად გაუჩარეს შემწვარ გოჭს... რა?

— პირში ბოლოკი! — იყვირა პარმენამ.

...და რომ ის, ბუჭუტა, პატარა კაცი, მოვიდა აქ, პარალეთში, რომ ჩვენთან ერთად გაიხედოს, გამოიხედოს, გვესაუბროს და გვისმინოს, და, პარმენამ რომ იცოდეს, ყველაზე მეტად მასთან მოვიდა, რადგან ის, ყველაზე მეტად პარალეთელი, — მერყევია...

— რამ შემარყია, ბატონო... — ეწყინა პარმენას.

— კერაში შეიდი პარასკევი გაქვს. ერთს რომ იტყვი, მეორეს ფაქტობს სამეს აკეთებ, მეოთხე გამოგდის; სხვაზე მალლა დადგომას ცდილობ, კეთილი გული გაქვს.

— კეთილიდან დაგეწყით ბატონო, მლანძღავთ მეგონა...

არა, არ ლანძღავს... მაგრამ შეხედოს თავის ხალხს, ვისაც თამადავს, რომელიც უსმენს, ვინც უცინის, თავის ხალხს შეხედოს კარგად. ყველანი პარალეთელები არიან, მაღლები, დაბლები, საშუალონი, გამხდარნი და ძალიან მსუქანნი, მასავით ტანმორჩილნი...

— ტერეზასავით მაღლები! — შესძახა ტიტკომ.

... არა, ტერეზა მაღალი არაა, უბრალოდ, გრძელია. ავერ ეს, პაპიკო, იდაყვამდე ძლივს მისწვდება, მაგრამ მაინც უფრო მაღალია.

არდალიონ ჭედიამ კი, როგორც ჩანს, ვერაფერი გაიგო სიღრძისა და სიმაღლისა, რადგან საქმიანად აღნიშნა:

— ყველა დროის ყველაზე უფრო მაღალი ადამიანი იყო ამერიკელი რ. უოდლოუ, — ასე აღნიშნა არდალიონ ჭედიამ, — მისი სიმაღლე 2,71 მეტრს და წონა 222,7 კგ უდრიდა.

ბუჭუტა კი პარმენასაკენ გაემართა; ყველანი მის ზურგს ვხედავდით, მხოლოდ კედელს აკრული პარმენა მიჩერებოდა სახეში, შიშისაგან თვალები გაფართოვებოდა. ბუჭუტამ კი საყელოში ხელი ჩააელო, ფეხისწვერებზე აიწია, ახლოს მიუტანა სახე და უთხრა:

— ბუნებისაგან ისწავლეთ, პარმენ. ეს ყოველივე, — და ზურგსუკან გაიშვირა ცერი, — ამოუტნობია. ზოგ-ზოგები კი ვიცით, მაგრამ ბოლომდე, ამომწურავად, არაფერი ვიცით, პარმენ. მზე როგორ დადის, წვიმა რომ მოდის, თოვლი თუ დნება, ზღვა როგორ დელავს...

— კი მაგრამ, — საწყლად თქვა პარმენამ, — მე რა დავაშავე, სხეებსაც უთხარით, სხეებმაც გაიგონ...

ბუჭუტამ თავი შემოაბრუნა. თითქ-



პის მთელი ჰარალეთი მოგროვილიყო, ფუჩჩით დატული დოქები უხერხულად ეკავათ ხელში. მამაკაცებიდან ოთხნი გეკლდნენ — კაკოია გაგნიძე, ჩვენი ტერეზა, ტიტვინიძე-ბოქაული და ერთი მწოლიარე ბერიკაცი, იმას არ იცნობთ თქვენ.

— ჰარალეთელნო, — თქვა ბუჭუტამ და კიბის თავში დადგა, — ამ მთებს შეხედეთ.

მთები, რა გასაკვირია და, ძალიან მაღალი იყო. მწვანედ აგორიზებულ იყვნენ მაღლა, წიფელა, მუხა, ცოტათი ზემოთ ფიჭვები იდგა. მერე ხეები აღარ იყო, გლუვ ტალღებად დაკლაკნილი თხემი ბალახს დაეფარა, მხოლოდ ერთგან გამხმარი, ჩაშავებული ხე გაჩანხულიყო და იქვე მუჭისოდენა, კისერდახრილი ცხენი ბალახსა სძოვდა, ბუჭუტა კი გვეუბნებოდა, რომ ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი — სასწაულია... რომ უხერხულიცაა, ასე უბრალოდ, ასე მარტივად ილაპარაკოს ამ სასწაულზე, მაგრამ სხვა რა დარჩენია — ჩვენთვის გასაგები ენით გვესაუბრება:

— დააკვირდით მათ ქერქს, მათ ფოთლებს, მიწიდან ამოზნექილი ფესვები იხილეთ, უთვალთვალეთ მათ სიმწვანეს, ჩუმ გაყვითლებას, მათი ნაყოფი ფიჭირიანად იგემეთ, თვალი ადევნეთ ხეთა ჩუმ გარდაცვლებას შემოდგომობით, მათ გახვევებს ზამთრის გრძელ დამეგებში, გაზაფხულობით მათი კვირტებად აფეთქება იხილეთ, ზაფხულობით უთვალთვალეთ ფოთოლთა შეუმჩნეველ ზრდას, მათ ბზინვას მზეზე, წვიმისას გლუვად აკრიალებას, და ისიც ნახეთ, ხორბალი როგორ ამოდის, როგორ იკეთებს თავთავს, ქარზე როგორ ბიბინებს, წელამდე ბალახში იარეთ და გველზე დაბიჯებისა ნუ შეგეშინდებათ... მაღლა აიხედეთ, შეხედეთ უწყინარ, ფუმფულა და საავდრო, ელვებითა და ჭექა-ქუხილით დატენილ ღრუბლებს, ლურჯ დამეგებში ფიფქთა ცვენას უყურეთ, თვალი ადევნეთ სიმინდის პაწია მარცვლებიდან ამოსულ ყანას, შემოდგომობით სამ თქვენსიგარძეს, ეს ყოვე-

ლიე — სასწაულია და მამატიეთ, ასე უბრალოდ რომ ვლაპარაკობ... ბუჭუტამ საგან ისწავლეთ წელიწადის დროთა ფერადოვანი ერთგულება, დინჯად, დამარცვლით გაიმეორეთ, ისინი ოთხია — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, ხომ ყველას გახსოვთ? მეტი არაა ჩემი მტერი... ისწავლეთ დღეთაგან მათი ცვალებადი მუდმივობა, ისიც ოთხია — დილა, დღე, საღამო, ღამე... გაიხედეთ ოთხსავე მხარეს, და თუ გწავლიათ, ყველგან შენიშნავთ საინტერესოს. ლამაზსა და ამოუხსნელს; წვეთისაგან ისწავლეთ ის სიჯიუტე, საუკუნეთა განმავლობაში ლოდებს რომ ზურღავს, ველზე დაგდებულ ლოდთაგან შეითვისეთ ამტანობა, ხეებისაგან — იმ მიწისადმი ერთგულება, სადაც რომ იშვნენ... ქარისაგან ისწავლეთ სილაღე, მიწისაგან — ჩუმი გულუხვობა, გველშია კი უნდა შენიშნოთ სილამაზე, და ამ უსაზღვრო, უკიდევანო, ამ სასწაულებრივ სილამაზეში, შენ, შაშია კუტუბიძე, დაგიღერია თავი და ყუთიდან შაურჩანებს ღუნავ — შეგირცხვანამუსი!!

შენ კი, გიორგი ჩემო, ამბობ რომ არაფერი გაბადია, — განაგრძო მცირე ხნის შემდეგ დამშვიდებულმა ბუჭუტამ, — და ყოველივე ამის გარდა ყველაზე დიდი სასწაული ეს მაინც ჩვენ ვართ, ადამიანები. ეფერემ, მოდი ერთი აქ და...

— რა იცი შენ შაურჩანებს ვლუნავ თუ ორშაურჩანებს! — შეჭბრიალა შაშიამ.

— სუ!! — შეუტია ბუჭუტამ და თავი ჩააქინდრინა, — არ მომიყვანო მანდ. პოდა, ეფერემ, გაშალე აბა მკლავი...

— ასე?

— პო, — და შეგვათვალეირა, — თუ იცი, რა მოხდა...

— მე ვიცი, — წამოიძახა არდალიონ ჭელიამ, — ასი ათასზე მეტი კუნთოვა-

გუარამ დოჩანაშვილი
ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ბარბა

ნი ბოჭკო მონაწილეობს ადამიანის მიერ უბრალო მკლავის მოხარში.

— სწორია, — დაეთანხმა ბუჭუტა, — თუმცა გამართული ენით ვერ იყო ნათქვამი. ეს ის ასი ათასზე მეტი ბოჭკოა, რომლებიც ვიციით, თორემ ისე, რაც არ ვიციით, ჰეეე... ეფრემ, თუ არა გცნია, დაიკაპიწე მკლავი, და ყველამ რომ დავინახოს, აგერ, სკამზე ადი, აბა, ისევ მოხარე, ახლა თითები აათამაშე, შეხედეთ ამ მოქნილ, მორჩილ თითებს, ხომ არა გცივა, ეფრემ, აბა ერთი პერანგიც გადაიძვრე თავზე, ყოველნაირი ტანსაცმელი — ბითურობაა, ასე, ხომ არა გცივა, ოო, ყოჩაღ, ღრმად შეისუნთქე, ეფრემ, ღრმად, უფრო ღრმად, ეგრე, პატარა ხანს შეიკავე სუნთქვა, ახლა ამოისუნთქე, — და მოგვიბრუნდა, — იციით, ახლა რა მოხდა? რა ურთულესი, როგორი უდიადესი, და რა მარტივად... პარალელურად, შეხედეთ ამ კაცს, იგი ჩვენია, ჩვენნაირია, შეხედეთ მას, წელსზემოთ შიშველს, დაუკვირდით მის მკერდს, ბეჭებს, ლავიწის ძვალს, მალალ, ძლიერ ყელს, მის სახეს შეხედეთ, სახეზედაც შეხედეთ და დაუკვირდით მის ყურებს, რომლითაც ისმენს, მის თვალებს, რომლებითაც გვხედავს, ცხვირს, რომლითაც ჰაერს ისრუტავს, უხვ, დალოცვილ, უხილავ ჰაერს, შეხეთ, რა ამაყად დგას, ამ დიდებული სხეულის პატრონი, ამ ურთულესი მოწყობილობის მბრძანებელი, როგორ თუ არაფერი გაბადია, გიორგი, აბა, ფეხი მოხარე, ეფრემ, შარვალსაც იხდი? არაუშავს, გაიხადე, გაიხადე, არაფერი გვაქვს დასამალი, ყველანი ერთნაირები ვართ...

ჩვენ დროს გრძელი ტრუსები იყო მოდამი, და საკუთარ თავში ერთბაშად შეყვარებულმა ეფრემამ ტრუსების გრძელი ტოტები დაიკაპიწა.

— აბა, ფეხი მოხარე, ეფრემ, ახლა გაშალე, ჰეე, იციით? როდესმე მიხვდებით? მაჯაზე დაიხედე, ეფრემ, ცისფერ ძარღვებს შეხედე, ოღნავ რომ ფეთქავს, დაიხედე ხელთან, კოჭთან, აგერ, მკერდზედაც გემჩნევა მკრთალად — ეს

შენი სხეულის ცისფერი ბილიკებია, მათში სისხლი მიედინება, ჩვენნი სხეულის მაცოცხლებელი, აბორგენული თელი მდინარე, ჩვენი მუჭისოდენა გულიდან გამომავალი, და ეს მფეთქავი გული გვაცოცხლებს, ჩვენი სხეულის სიბოო, ჩვენი სხეულის მზე, ეს რა გიქნია, ეფრემ, თუმცა, ყოჩაღ, თავი შეაბრუნეთ, ქალებო...

ეფრემა ღლონტი დედიშობილა იდგა სკამზე და სარცხვინო ადგილებს ფართო ხელისგულებით იფარავდა. და ქალებმა პირი რომ იბრუნეს, ყველას მოგვინდა საკუთარი სხეულის ახლებურად ხილვა, მაგრამ ვერა ვებედავდით, ეფრემა ღლონტმა კი რამდენჯერმე ჩაიშუხლა, ხელები გაშალა, ადგილზევე შეხტა, ზელი ღონივრად მოხარა და დიდი კუნთი დაებურცა, მაღიანად სუნთქავდა, თვლებით იხედებოდა, ყურებით გვისმენდა, ნერწყვს ძალუმად ყლაპავდა, ღონივრად აუღ-ჩაუდიოდა მკერდი, და ჩვენც, პარალელურად, ჩუმ-ჩუმად ვათამაშებდით თითებს, დაცქეროდით ჩვენს კანს — ბაც წერტილებსა და მათ შემაერთებელ ხაზებს, მერე ვიხილეთ ოღრო-ჩოღრო ბილიკებად გადასერილი ხელისგულები, კუნთები დაეძაბეთ, კისრები ავიტყაცუნეთ, ვგრძნობდით როგორ გვიცემდა გული, როგორ აგვიდ-ჩავვიდიოდა მკერდი, ვგრძნობდით, რომ ყველაფერს, ყოველივეს თავისი დანიშნულება ჰქონდა, და როცა ერთის შეხედვით თითქოსდა ზედმეტი რამ — წარბი გამახსენდა, პაპიკომ მაშინვე შემომხედა და მითხრა: „ეგ სილამაზისთვისაა...“

— პარალელურად, — შესძახა ბუჭუტამ, — აბა ახლა შუბლზე მიიდეთ ხელი, გესმით რამე? ჰა, არაფერი, არა? მაგის გაგება ისე ძნელია...

— რა კარგად ვყოფილვართ მოწყობილნი, — აღფრთოვანდა პარმენა დეალი, — აღარც მახსოვდა...

— ჯერ სადა ხარ, მე რაც გითხარით, ზღვაში წვეთია, — თქვა ბუჭუტამ, — რამდენი რამ საერთოდ არ მიხსენებია და ახლა იმასაც თუ დავუმატებთ, რომ



ჩვენს სხეულში რა არ ირევა, ათასნაირი ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, სახამებლები, სტაფილოკოკები, ბირთვები და პროტოპლაზმები და...

— ქალი ჩამევიდააა კიბეზე!! — მოისმა უცებ შორიდან, — ქიშიშიში მქონდააა კიბეზე!!

— მოდი და ენდე ამას იქით ქალი ამისთანას! — გაცხარდა კაკალა მამიდა, — არ გაყიდა თხასავით?

— ჩუ... — თქვა ბუჭუტამ და თითი მიიღო ტუჩებზე. — შეხედეთ, ღამდება... საღამოვდებოდა.

საღამოვდებოდა, ამჩატებული ჰაერი დადგა, გაიტრუნა, ჩვენი პარალელი გახვედა — ყველანი მორჩილად, წყნარად, მაინც დაძაბულნი, დაღამებას ველოდით. ხეებზე მიძვრებოდნენ კისერწაწვდილი ქათმები, ჰაერი მძიმდებოდა, მოიხსტრო ნამცეცები გაერია, ნახირი ბრუნდებოდა სოფლად, ყრუ გუგუნით, დაბალ მტკერაში; ჭიშკრები აჭრიალდა, რძე ანჩრიალდა კასრში, პარალელური მარჯვე ქალები ყოჩაღად წველიდნენ ძროხებს, ხბოების გაბმული ბღავილი ისმოდა, თეთრი ღრუბელი გამჟღავნებდა მკვრამ ჯერ მაინც მკრთალად გამოიჩინოდა ჩამავებული მთის თავზე, ლურჯად დაბუქებულ ჰაერში სადღაც სანთელი აკაფდა, პირველი ვარსკვლავიც გამოკრთა ცაზე, სუსტი და თეთრი. მთები იხვედნენ, გვშორდებოდნენ და მუქდებოდნენ, ვიღაცა ვიღაცას ეძახდა სერიდან სერზე, ის ღრუბელიც სიშვედ იქცა და მთა აამალა, დაღამება იყო, სანთლის წეასავით ჩუმი, ოდნავ ტკარცალებდნენ ნაღვლიანი ხმები. ჩვენი თვალი კი, ეს ჭიუტი მაძებარა. ყველგან სინათლის ნამცეცს ეძებდა, ვათვლიერებდით სიბნელით ძალამოცემულ ვარსკვლავებს, მკრთალ ცივს ფანჯრებში, და ჩვენს პატარა მდინარეშიც, ქვაზე გარდამავალ, დამსხვრეულ ზვირთებზე, ნაპირზე ანთებული კოცონის სხივი მტკივნეულად იწელებოდა. უმთვარო ღამე იყო, და კუპრადქცეულ, შედვებული ღრუბლების ნაპარალებში აღავალავ ვარსკვლავები ჭგროდ

ბღვლილებდნენ, შემცივნებულ ეფრემას შიშველ სხეულზე გადაეჯვარებოდნენ ბინა ხელები და თითები ნეკნებში. — ესეა, საბარალოდ ძივძივებდა და ბუჭუტამ თქვა: „მამაკაცებმა მამხალეები გამოიტანეთ და ტყეში წავიდეთ“.

— ჩვენი, ქალები? — იკითხა კაკალა მამიდა.

— არა, — თავი გაიქნია ბუჭუტამ, — ქალები არა, — ქალს რა უნდა ღამით ტყეში. ჩაიცვი, ეფრემ.

არასოდეს მინახავს ღამით ისე განათებული პარალელი. მაღლა აშვერილ ხელებში მამხალეები გვეკავა, გვერდი-გვერდ მივდიოდით, და დარწმული სინათლეები დაპოტინებდნენ მიწაზე, სახლებზე, მძიმედ ტორტმანებდა პარალელი, საცა კი ჩვენ, ბევრნი ერთად, ხელმამხლიანები, ჩავივლიდით. ჩვენს ნაბიჯს დიდი სიმტკიცე ჰქონდა, სათითაოდ გადავდივით ხიდად გადებულ მორზე, ქალაქი უკან მოვიტოვებთ, გადავიარეთ პატარა ბორცვი, სინათლეებზე ჩამწკრივებულებმა, დიდი ველი მხნედ გადავჭერივით და შევჩერდით — აქ ტყე იწყებოდა, იქვე, ჩვენს ფერხთით იკარგებოდა ბილიკი, ტყეში ვეღარ შევძლებდით ასე გაბედულად, გვერდი-გვერდ სიარულს, ბუჭუტას კი არაფერი უთქვამს. მამხალა შეათამაშა და უზარმაზარი, ახტუნავებული ცაცხვის ჩრდილი ისევ თავის ადგილზე რომ დაბარბაცდა, თამამად შევიდა ტყეში. იმას პაპიკო მიჰყვა, მერე კაველაძე, მერე ლლონტები, არდალიონ ჭედია, მალხაზ კაკაბაძე, პაპიკოს ეზოში შეკრებილ მამაკაცთაგან მხოლოდ ბუხუტი ქვაპარავა, შაშია კუტუბიძე და ოსიკო გვაკლდნენ: ერთი ქალაქის თავის მოადგილესთან — კაკოია გავნიძესთან გაიქცა ამბის მისატანად, მეორე გულმოსული იყო, მესამეს ყელის გაციებისა ეშინოდა და, საერთოდაც, ეშინოდა, ჩვენ კი, გაბედული პარალელიები, ცოტათი ფრთხილად კი მივაბიჯებდით, და წინ მიმავალი კაცის ზურგს იმედიანად შევცქეროდით, მხოლოდ ბუჭუტა იყურებოდა

სიბნელეში და მაინც ისე მხნედ, ისე
ლაღად მიდიოდა. ჩვენ მივდიოდით და
დარწმუნულ ალზე სადღაც შორს მკა-
ფიოდ ჩნდებოდა შემქნარი ფოთოლი
და ისევ იძირებოდა ტყის მღუმარე სი-
შავეში, აჩრდილების ტალღა უძლურ
ქარად გადადიოდა გახევებულ ტოტებ-
სა და ფოთლებზე, ტიტკო ღლონტმა
მიწიდან ამოჩრილ ფესვს წამოჰკრა ფე-
ხი და დიდი ჩრდილები გვეძგერა და
გახტა, გვეძგერა და უკუიქცა, გულები
შეგვიქანდა, მაგრამ ბევრნი ვიყავით,
და ხელთ მამხალეები გვეპყრა. ჩვენ —
მივდიოდით...

— რაო, რა თქვა იმ პატარა კაცმა?

— უჰ, უჰ, რაც იმან სისულელეები
იბოდილა, ბატონო, — ხელი ასწია ბუ-
ხუტიმ, — ჰაერი — კაიაო, წყალი —
კიდო უქეთესიო, მზე ცხელიაო და სას-
წაულია პირდაპირ გვიმრა, მუხა და რე-
პანიო, აბა?!

— ჰოჰო, — ჩაიციხა კაკოია გაგნი-
ძემ, — აბა, მზე ცხელიაო?

— კი. როდის დაადო ნეტავ ხელი...

— შენ რა გითხარი, ბუხუტი, —
ახითხითდა კაკოია გაგნიძე, — ახლა სად
არის თუ იცი...

— ტყეში წავიდნენ, ბატონო.

— რაიო?

— ტყეში წავიდნენ და...

— რა უნდა ხალხს ღამით ტყეში! —
გაცხარდა კაკოია გაგნიძე, — შაშვიას
ღამიძახე ერთი...

ჩვენ — მივდიოდით. ჩვენ მივდიო-
დით დაბურულ ტყეში, რომელიც დღი-
სით, გაგზარია, ღამაზია, მაგრამ ახლა,
ამ შუალამით, როცა განზე ვერაფერს
ხედავ და იქიდან კი, იცოცხლე, მრავ-
ლად მოგჩერებია უკან ჩამოტოვებუ-
ლი, მძიმედ ჩაცურებული ამაზრზენი
თვალეები... და პატარა კაცი, ბუქუტა,
მაინცდამაინც მდინარისაკენ დაეშვა,
და სხვა რა გზა გვეჩინდა, გაუბედავად
ჩაუყუყუეთ ბილიყს ავად აშრიალებუ-
ლი მდინარისაკენ, რომელიც დღისით,
რასაკვირველია, ღამაზია, მაგრამ სულ
სხვაა ღამით და, ამასთანავე, სხვა ქვეყ-
ნებში არ ვიცი, რითი აშინებენ ბავშ-

ვებს, ჩვენ კი, საღამოობით, სწორედ
მდინარესა და იქ მცხოვრებ ღამაზს, თქ-
როსტრად თმავაშლილ ქაღალდზე მხრე-
ბობდნენ იღუმალი ჩურჩულით მხრებ-
აწურული პარალელური ბერიკაცები და
ღამაზ ქალს კიდევ რა უშვავს, სხვადა-
სხვა ეე... აღარც ვიცი, ვუწოდო თუ არა
ის საზარელი სახელები, ერთი სიტყ-
ვით, სხვადასხვანაირებზედაც გვიამ-
ბობდნენ და სწორედ ამ მდინარის პი-
რას შევდექით შეტყუებულნი და, კი-
დევ კარგი, ხელში ანთებულნი მამხალე-
ბი რომ გვეჭირა და ამ დროს ბუქუტა-
მაც თქვა:

— გთხოვთ ჩააქროთ მამხალეები.

კი, კი... არსებობენ, როგორ გითხ-
რათ... ეე... მომენტები.

— ჰა! — წერილი ხმით იკითხა ტი-
ტიკო ღლონტმა.

— ჩაეაქროთ, ჩაეაქროთ, — თქვა
ბუქუტამ და უცებ ძალიან განათდა
ფსკერზე კენჭები, მერე კი შიშინი მო-
გვესმა, — აი, ასე.

— რას გვიშლის, ენთოს, — საბრა-
ლობლად ითხოვა ეფრემამ.

პაპიკომ კი ორიოდ ნაბიჯი გადადგა
მდინარისაკენ და იმანაც წყალში ჩაა-
ყოფინა თავის მამხალას თავი.

— სინათლე სრულებითაც არაა სირ-
ცხელი, — ნერვიულად განაცხადა არ-
დალიონ ჭედამ.

მერე კაველაძემ ჩააქრო მამხალა,
ჩვენმა ურიადნიკმა, იმას უმძარახმა სამ-
სონა არჯევანიძემ მიბაძა, მერე მალხაზ
კაკაბაძემ შორიდან ისროლა წყალში
მამხალა ფრიად თეატრალური ექსტით
და ჩვენ, დანარჩენები, მივხვდით, რომ
ისევ სხვისი სინათლის შუქზე სჯობდა
საკუთარი სინათლის მოცილება და საჩ-
ქაროდ მოვიცარიელეთ ხელები, და,
მოგვესვენებათ, ღამით, ტყეში, უსინათ-
ლოდ, ბნელა.

ჰოჰო, რა ბნელია, ბიჭო... კიდევ ეს
მოგუდული ხმაური, ავი მდინარის,
ცისკენ ტოტებაჩაჩხული, სიოზე მკაც-
რად აშრიალებული ხეები, სადღაც
ფიჩხის გატყაყუნება, ამაზრზენი წივი-
ლი ხან შორს, ხან ახლოს, და ყველაზე

საზარელი მინც ის გახლდათ, მრგვა-
ლი თვალები ახლა ზემოდან რომ დაგე-
ცქეროდნენ და ბუჭუტამ თქვა:

— ვისაც არ მოგწონთ, შეგიძლიათ
წაბრძანდეთ.

ჰე! ვინ წავიდოდა... ვინ ოხერი... წა-
ვიდოდით კი არა, ფეხზე დგომაც აღარ
შეგვეძლო, და ჩვენ, პარალელელებმა,
ჩავიმუხლეთ, ერთ წრედ შევიკარით,
და კიდევ კარგი, მხრით რომ ვგრძნობ-
დით ერთმანეთის მხარს, ზოგიერთებმა
ლოყაც კი მივადეთ მეზობელს ლოყა-
ზე და ასე, ჩაცუტულნი, შეყვარებუ-
ლებივით ვიყავით იმ სიბნელეში ჩვენ,
პარალელელები, ერთმანეთზე მოკორა-
ვე ხალხი. ახლა ველარ ვგრძნობდით
ვერც შესანიშნავად მოწყობილ ფეხებს,
ხელებს, სუნთქვასაც აღარ ჰქონდა გე-
მო, რადგან ფრთხილად ვსუნთქავდით,
თვალებიც აღარ გვიხილდა — საოც-
რებანი გვეზმანებოდა, ყურებიც ნეტავ
არა გვექონოდა — საშინელებანი მოგ-
ვესმოდა, წარბის სილამაზისა ხომ ვი-
ლას გვახსოვდა და გული, ერთადერთი
გული გვიცემდა და მთელს შესანიშნა-
ვად აწყობილ სხეულელებზე ერთადერთი
შიში დაბოდიხლდა, ავად შარბიშუ-
რობდა და დრო თითქოს გაიყინა და
აღარც გადიოდა, მაგრამ სიმაართლე —
სიმაართლედ და — მინც გადიოდა.

— ყველანი აქა ხართ? — ჩუმად იკი-
თხა ბუჭუტამ.

— ჰო... ჰო...

— შენც აქ ხარ, არდალიონ?

— აქა ვარ... კი...

— ჭიანჭველებზე რაიმე თუ გსმენია.

— ვიზე? არა, არაფერი.

— გსმენია, — თქვა პაპიკომ.

იმ სიბნელეში ტყუილზე წავასწარით
არდალიონ ჭედისას.

— კი, კი, — თქვა არდალიონმა და
აჩურჩულდა, — დიდ წვიმებამდე ათი
დღით აღრე... თურმე ჯერ ხეებზე აღი-
ჩადიან... მერე მოგროვდებიან სხვადა-
სხვა ტომის ჭიანჭველები... თავკაცები
ერთმანეთს მიუსხდებიან... თავებს მია-
დებენ ერთმანეთს... რაღაცას თათბი-
რობენ... მერე დაეწყობიან მწყობრად...

ჯერ მეომარი ჭიანჭველები მიდიან, მე-
რე მუშები, მერე სხვადასხვანაირები
რა ვიცი... და ბოლოს დაბანაკდებიან
იქ, სადაც წყალდიდობა ვერ მისწვდე-
ბათ...

— რას ამბობ, კაცო... — ჩურჩუ-
ლითვე გაიკვირვა პარმენამ.

— ასეა... თურმე იმათ ხალხიც, ადა-
მიანები მოჰყვებიან და ისინიც მოგე-
ბულში რჩებიან.

— ჰაი გიდი, — ჩუმად შეიცხადა მალ-
ხაზმა, — საკვირველია სწორედ...

— კი მაგრამ, — ხმას აუწია პარმე-
ნამ და, შემკრთალი, ძსეე ჩურჩულზე
გადავიდა, — რა იციან იმათ... ათი დღით
აღრე... წვიმა სად მოვა და სად არა...

— ეგ არ გვიკვირს ჩვენ?

— ახსნით მაგას, არდალიონ? — ჰკი-
თხა ბუჭუტამ.

— აჰ — ვერა... კი შემძლია ვთქვა
ინსტიქტია-მეთქი, მაგრამ ეგ ვერა-
ფერიშვილი ახსნა ვერ იქნება.

— ახლა ყვავებზე გვიამბეთ.

— უჰ — საკვირველია ნამდვილად.

— გვიამბე ჩვენც...

— რა და, ტიტოვო, ყვავი რამეს თუ
დაამზავებს, იმათი წესებით... შეიჭრი-
ბებიან გუნდების წარმომადგენლები და
იმსჯელებენ თავისებურად, რა ვიცი
ჩვენ ყვავების ენა... და თურმე ან სიკვ-
დილს გადაუწყვეტენ, ანდა გაძევებას.

— რას ამბობ... ისე, მხოლოდ თავი-
სი გუნდი რატომ არ სწყვეტს საქმეს,
ვერ მოერევიან თუ რა... რატომ უმ-
ქლავებენ სხვას თავის გლახას და სა-
მარცხვინოს... ერთხელ გაამეღვენებენ,
ორჯერ და შეურცხვებთ სახელი...

— აბა რა ვიცი, პარმენ... ალბათ ის
გაძევებული სხვა გუნდმა რომ არ მი-
იღოს, იმიტომ...

— ხო?.. ეგრე კი.

— თან ყვავი, — ფიქრებში ჩაეფლო
მალხაზ კაკაბაძე, — თან მარტოხელა...

— ფუტკრებზე თუ გსმენიათ რაიმე...

და იმ სიბნელეში პატარა ხნით ყვე-
ლანი გამოეცოცხლდით:

გუგამ დოჩანაშვილი

ჩემი გუგამა, ჩემი ბიძა



— ოჰ, როგორ არა... სკები გვიღვა
ეზომი... ფუტკარი საკვირველია სწო-
რედ... ფუტკარი კი ვიცით...

— პატრონი რომ ცხრა მთას იქით
კვდება, — ჩემად თქვა ეფრემამ, —
შინ ძალი ყმუის.

ისევე შეგვეშინდა.

— რა იცის ძაღლმა... ჰა...

— ახსნით ამას, არდალიონ?

— აჰ — ვერა... ახლა, რომ ვთქვა,
ტანი უგრძობსო, რანაირი ახსნა იქნე-
ბა... მითუმეტეს, თქვეთვის...

— უცნაურია, უცნაური...

— დიდი უცნაური...

მე მგონი, დიდხანს ვისხედით ჩემად.
დრო — გადიოდა.

— ცხოველი გვკობნის ზოგიერთ სა-
კითხში, — პირველად ამოიღო ხმა სამ-
სონა არჩევანიძემ.

— ძალი და ღორი გინდაც ზოგ-
ზოგებში რატომ უნდა მკობდეს მე... —
თქვა ჩაცუქტულმა ეფრემამ და დაჯდა.

— ერთხელ, ორ დღეს არ მომიწია
დაღვევამ, წვეთი ღვინო და არაყი არ
ჩამსვლია პირში, — ძალიან ხმადაბლა
თქვა პარმენამ, — და დაეიხედე ძირს
და რას ვხედავ — ქიანჭველების ბუ-
ღვა... ფაციფუტობენ, გარბიან, გამორ-
ბიან, ეზიდებიან, აგროვებენ რაღაცას
და ასე, ზემოდან რომ დაეცქეროდი, მე,
იმათთან შედარებით დიდი და ღონიე-
რი, უცებ შევკრთი და მაღლა აეიხედე
— ეგება მე და ჩემებურებსაც კიდევ
უფრო დიდი და ღონიერი დაგცქერის-
მეთქი...

— მერე, დაინახე რამე? — დაინტე-
რესდა არდალიონ ჭედია.

— აჰ, არაფერი.

— ისინი თუ გხედავდნენ.

— ვინ, ქიანჭველები?

— ჰო.

— არ ვიცი... ისე, ზოგიერთი კი
ამაღლოდა ფეხზე.

— ჰარალეთელნო!!! — უცებ ისე
დასჭექა ბუჭუტამ, რომ უნებურად ყვე-
ლანი ჩავჯექით და ლოყა სასწრაფოდ
მივადეთ ერთმანეთს ლოყაზე, — ყური
დამიგდეთ...

და ღამით, ტყეში, ერთ წრტელში
რულეებს, ბუჭუტა დიდხანს გველაპა-
რაყა.

იღვა, გვიამბობდა...

ის გვიამბობდა იმ უცნაურ, საოცრად
ტევად, უძირო ჭაზე, რომელსაც სახე-
ლად „ადამიანის მახსოვრობა“ ჰქვია.
ბუჭუტა იღვა წრის შუაგულში და
ხმამალა, ყვირილით გვეუბნებოდა,
რომ ჩვენ ვიცით ათასი ნაცნო-
ბის სახელი, გვარი, ყველას ვანსხვა-
ვებთ, და განა მხოლოდ სახით, არა, სი-
არულზედაც ვცნობთ, რომ კიდევ ვიცით
აუარება ნივთის სახელი, მათი დანიშ-
ნულება, გამოყენება, რომ გვაქვს ათას-
ნაირი დამოყიდებულება ყველასთან,
ყოველივესთან, და მაინც ჰარალეთე-
ლები ვარ. მერე იყო და, შეგვახსენა,
რომ ყველასა გვაქვს ჭკუა, გონება,
ზოგს უხვად, ზოგს შედარებით მცი-
რედ ბოძებული, და იმის ნაცვლად,
რომ ადამიანის გონება, მისი უმდიდრე-
სი, ზღაპრული შესაძლებლობანი გამო-
ვიყენოთ ისე, როგორც საჭიროა, ამის
ნაცვლად ჩვენ, ჰარალეთელებს, დრო,
ჭკუა და ენა იმაზე მივივიდის, რომ
ერთმანეთს გავეციბროთ, ვუთვალთვა-
ლოთ, ერთურთს დავცინოთ, ხელი არ
გავუწოდოთ დასახმარებლად, სანამ ძა-
ლიან არ გაუჭირდება და ლხინისას კი
ურთიერთს ყალბად შევცინოთ და —
თუთ! პარმენა დვალო — შენ გაჩვენე-
ბენ სეირს, თუ არ გამოსწორდები და
ცოტათი უფრო დაკვირვებით არ მი-
მოიხედავ... და ისიც გვითხრა, რომ ზო-
მაზე მეტად ვლაპარაკობთ, რომ თუმცა
სამსონა არჩევანიძესავით ღღენიდაგ
ხმაგაქმენდილნი არ უნდა ვიყოთ, მაგ-
რამ ზედმეტი ლაპარაკი? — აჰ, არა,
არა... გულის მოფხანა, გულის მოფხა-
ნამ კი დამშვიდება იცის, დამშვიდებამ
— გაარხენება, არხენობამ — ჰეე,
არხენობამ დაღუპა ბევრი და ასე რომ,
პარმენა დვალო... არსებობს ერთი კარ-
გი გამოთქმა — ენას კბილი... გასავე-
ბია, ხომ?.. რა თქმა უნდა, ბატონო...



მოკლე პასუხი!.. კი ბატონო... მოკლემეთქი!. კი... ასე. ეგ უმძრახობა კი, სამსონ, ბოლმით აგავსებს, ბოლმით გაგბერავს, და თქვი შენც ხანდახან ორიოდ სიტყვა, ხმა გაავსონ მეზობელს, მაგ დაგუბულმა ბრახმა გიყო, ერთი შვილი ხებრე და რეგვენი რომ გამოგივიდა, მეორე კი თვალმილულული მომღერალი და მალაღმადლოვნად მოსაუბრე — როგორა ჰქვია, არდალიონ? ჰოო, რომანტიკოსი — ბუნებაში ყოველივე წონასწორდება... ნუ გშურთ ნურავისი ნურაფერი, მხოლოდ გონებას დაატანეთ ძალა და გონების სარკმლით — თვალებით დაკვირვებით უთვალთვალეთ ყველაფერს, ყველას, თვალით ყველაფრის შეძენა შეიძლება, აგერ, მდიდარი კაცი ცხოვრობდა ერთი და ეზოში ერთი რამ უცხო ბუჩქი ედგა, მაგრამ ის ბუჩქი იმ კაცის კი არ იყო, მეზობლის ბავშვისა გახლდათ — ისე უყურებდა... და, დაიჭრეთ, რომ ყველაფერი, საცა კი თვალი მიგიწვდებოთ, თქვენია, თქვენი, საჭმელ-სასმელის გარდა, მაგრამ სურსათ-სანოვავე თქვენ არ გაკლიათ და... სწორი ხარ, კაველაძე, ვიცი, რაც გიტრიალებს გუნებაში — შიშველი მკლავი, შიშველი მხარი, ქათქათა ფეხი... მაგრამ ბუნებაში ყოველივე წონასწორდება, სამაგიეროდ თამამი სიზმრები გაქვს და ცხოველი ფანტაზია, და როცა იქნება და შენც რომ გეშველება, როგორაა, არდალიონ? ჰო, ყოველ ალხანას თავისი ჩაღბანა ჰყავსო, ხუმრობით გეუბნები, გოგი, არ გეწყინოს, და შენც რომ დამშვიდდები, კაველაძე, და რომ მოგწყინდება, შენი გაწერთნილი, წანწალს შეჩვეული ოცნება ახლა სხვა ამბებს, სხვა ცას გადასწვდება და რა უნდა იყოს ფიქრსა და ოცნებაზე კარგი, არაფერი, არა, მაგრამ თქვენ, ჰარალეთლებს, ნურას უკაცრაფად — ნადლი გინდათ, არა? ჯიბეში ან ხელში, არა? გულისჯიბეში, ღრმად, ხომ? შეგირცხვით... ანდა ის, ის ნაგავი შაშია კუტუბიძე, ლოთი და შაურიანების ქურდი, ეგ ჯიბგირი ეგ, მამბულარა... მამბულარა არ უნდა იყოს?.. გახდება...

გახდება, არა? სწორი ხარ, პაპიკო, შენთვისაც მოველ... შენ მარტო იყავ, პიკო ჩემო, მარტო იყავ და მხოლოდ შენ არჩეული მზეს მთავარისაგან, შეიღნაირ წვიმას... და როგორ გასძელ, ძალიან მიყვირს — ასე, სხვების შემხედვარემ და საკუთარ თავში შეეჭვებულმა... და სვამდი, არა?.. ძალიან ესვამდი... რას იზამ, ხდება — და თუნდაც ბუხუტი ავიღოთ, თქვენი, ქვაპარავა, კაცია ევე? ყურის ნაცვლად თვალთ ისმენს — იმ ხვითო კაკოია გაგნიძეს მიჩერებია პირში... რანაირი სიარული იცის მაინც, განგან რო ადგამს ფეხს, ძველი შეზღვაურივით — ასეა, ბარბაცებს ხანდახან მიწა... ისე კი, ტრიალებს, არა, არდალიონ? ჰო, ბრუნავს, ბრუნავს... უცნაურია, არა? — ის, რაც ყველაზე მყარად, ყველაფერზე საიმედოდ დგას, თურმე ბრუნავს და ბრუნავს, ჰეე... ანდა ის გლახაკი ტიტეინიძე — მძინვარეა ვითომ... ჰარალეთლენო, ამ ტყეს შეხედეთ... სუუ, ჩუმად ვიყოთ, პატარა ხანს ჩუმად ვიყოთ... აგერ, ე... გესმით, არა... აი კიდევ, კიდევ... და სულ ასეა, დღითა და ღამით, დღისით თუ ღამით მუდამ მოისმის რაღაც იღუმალი, შორეული, რომელსაც მიწვდომა უნდა, რომელიც უნდა გაიზროთ, რომელსაც უნდა დაუდარაჯდეთ, მერე მიავნოთ და მიხვდეთ, ჩასწვდეთ, ახსნათ, და თუნდაც ვერ ახსნათ, მაინც უნდა იპოვნოთ ეს იღუმალი ხმები, მაგრამ ჯერ, უპირველეს ყოვლისა, იღუმალს გაგონება უნდა და რას გაიგებთ, სიცილ-ხარხარსა და სადღეგრძელოებში, ფრთხილად, თორემ, პარმენა დვალო... აი, კიდევ... სულ მუდამ ისმის, ისმის... გესმით, ჰარალეთლენო?

ჰოი, გვესმოდა...
...მაგრამ ყველაფერზე უცნაური ისაა, ხანდახან ქვეყნის მოწესრიგებას რომ აპირებთ, ვის არ გადასწვდებით ლაპარაკში, ვილას არ გაჰკრავთ კბილს. მთელი კაცობრიობის გამოსწორებას

გურამ დონანაშვილი
ჩემი ბაშუბა, ჩემი ტირიზა

აპირებთ ხოლმე, გარდა ერთადერთი ადამიანისა — საკუთარ თავს არ ათვლით იმ ლეგიონში. კეთილი ინებეთ და, უფრო სწორი იქნება, ჯერ საკუთარ თავებს რომ მიხედოთ, ჰარალეთელნო, მაგ თქვენს დიდ, პატარა, ხოტორა, ხუჭუჭა, ჯაგარა, შავტუხა, ქერა, ალისფერ თავებს, — და მერე ინებეთ ქვეყანაზე ფიქრი... ციცი! პა-არმენა დეალო... გულით კეთილებს, გულუბრყვილოებს, მიმნდობებსა და რა ვიცი, კიდევ რა, საიდანა გაქვთ ხანდახან იზოღენა ეშმაკობა და ბოღმა, ვიღაც სხვას თანამოებთ, და რომ იტყვიან, როგორ იტყვიან, მალხაზ-ბატონო?... როლში შევდივართ... და მერე... მერე ველარ გამოვდივართ, ბატონო!.. მერე, კარგია?... არა, რას ბრძანებთ, სულ თეატრი არ გამიგია მე... მხოლოდ საღამოობით, არა?... საღამოობით, დიახ... ჰე, საღამო ისეთია, საღამოობით ყველაფერი შეიძლება... ყური დამიგდეთ! ყველაფერი წონასწორდება, დაიმახსოვრეთ, სუყველაფერი — ან ადრე, ან გვიან, ან... მერე! როდის მერე... სულსწრაფი ხარ, პარმენ, „მერე“ რთულია, დღეს ვერ მოვასწრებთ... შენ რომ იცოდე, როგორი რთული... მერემზე მერე ვილაპარაკოთ, პარმენ... ბატონი ხარ... ეეჰ, რამდენი რამ კიდევ უნდა მეთქვა, მაგრამ... თქვით ბარედამ, ბატონო, აგერ არა ვართ... შეხედეთ, თენდება... მართლაც, თენდება.

და გაბზარული სიბნელე რომ დავინახეთ, ჩვენ, მოკუნტულებს, გული მოგვეცა. მაშინვე მოვაშორეთ ლოყას ლოყა, მხარს მხარი, დამე — ლღვებოდა. ჯერ იყო და, ლურჯად დანამცეცდა ჰაერი, უხმო ზმუილით იწელებოდა დამე, გათხელდა, გაბაცდა, და სიბნელიდან მკვეთრად გამოაბიჯეს ხეებმა, მერე კენწეროზე ფოთლები მოისხეს, და შორს, ტოტებშუა, რალაცა გაწითლდა, აქაფებული ღელეც დავინახეთ და ჩქარა კენჭებიც გამოჩნდა ფსკერზე, ფეხზე წამოვდექით ჩვენ, გულმოცემული ჰარალეთელები, მუხლი გავშალეთ, გავიარ-გამოვიარეთ, ჩიტები ახმაურდნენ,

სად იყვნენ მაინც განაბულნი, და მხეც რომ ამოგორდა და სინათლის სვეტი ტყის სუფთა ნამცეცები აბრწყინდესა ტიტეკო ლლონტმა კეფაზე შემოიქლო ხელისგულები, თავი უკან გადასწია და ე-ე-ეჰხო, მადიანად გაიზმორა. ის ავი მდინარე პატარა ღელედ იქცა, პარმენამ უშიშრად შეაბიჯა შიგ, პეშვებით შეისხა წყალი სახეზე და აფრუტუნდა — რა ქალი, რის ქალი, რომელი ალქაჯი, საღაური ტინკა, ვაგვგონიათ? — უშიშრად იბანდა ცხვირ-პირს, თმაზეც გადაისვა ხელი, გაკოხტაუდა. ეფრემა ლლონტმა ჩაიშხხლა და ადგა, ჩაიშხხლა და ადგა, მერე ძალიან გაიჯგომა და ამაყად მოგვავლო თვალი. „რა იმუშავენებს დღეს, — წყენით თქვა ტიტეკომ, — საქმე მქონდა ყანაში, ქეიფში მაინც გამეტუხა დამე.“ „ჰე, — ჩაიციხა პარმენა დეალომა, — გუშინწინ ამ დროს სუფრაზე ვიჯექით“. „სუფრასთან“, — შეუსწორა არდალიონ ქედამ. „სულურთი არაა, მოგცლია შენც“... სამსონა არჯევანიძე მაინც ყველაზე გაბოროტებული გამოიყურებოდა, ქალამანი წაიძრო, გაბრაზებულმა დაიქნია და იქიდან გამოვარდნილი კენჭი წყარუნით რომ ახტა ქვაზე, მაშინვე პარმენამაც წაიჭირქილა: „რა იღუმალი ხმა იყო, ბიჭო?“ „მეც არ ამიყოლიეს, ხნიერი კაცი?“ — იკითხა მალხაზ კაკაბაძემ და თავში შემოირტყა ხელი, ხოლო არდალიონ ქედამ თქვა: „ტყუილად ავიშენეთ სახლ-კარი? მგლის და ვეფხვის გარდა ვის რა უნდა დამით ტყეში...“ და ბუჭუტას შეხედა, ის კი, უეცრად მობუხული, მოწყენილი, სუყველას თვალს გვარიდებდა, პაპიკოსაც კი, რომელიც თანაგრძნობით შესცქეროდა სახეში. „რას ჩხრიალებდა დამით?“ — აგდებულად დახედა ღელეს ეფრემა ლლონტმა და პარმენას შეაკქერდა. „ჩხრიალებდა თორემ, ეგვეც ოქროს თუმინანები იყო... — ხელი ჩაიქნია პარმენამ, — ახლა მაინც წავიდეთ სახლში“.

ჰოჰო, რა გულით მივაბიჯებდით? „მამხალა დაგრჩა, ტიტეკო!“ — შეუ-

ძახა ეფერებამ. „გადი გადააშენე იქით... ამის მერე მე ის აღარ დამჭირდეს...“

პარმენამ ერთი-ორჯერ ეშმაკურად მიმოიხედა, ჩაეცინა, რალაც აწონ-დაწონა გუნებაში და მერე თავჩაქინდრულ, მწკრივის კუდში სევდიანად მომავალ ბუჭუტას მიუბრუნდა:

— თქვენ ხომ თქვით, არაა კარგი ბევრი ლაპარაკიო...

— ვთქვი.

— მერე, შე ოჯახაშენებულო, თქვენზე-ლა ვინმეს ელაპარაკოს, არც გამიგია მე.

— უკიდურესობაში ჩავარდა, — აღნიშნა არდალიონ ქედამ.

— უჰ, — თქვა ბუჭუტამ.

პატარა იყო, ტანმორჩილი, და ახლა, დღის სინათლეზე, ახლად გათენებულზე, კიდევ უფრო პატარა ჩანდა.

— ჰოდა, ის „მერე“ თუ რაღაცაა თუ უფრო რთულია და მეტი გაქვთ სალაპარაკო, — შეგვეცინა პარმენამ და ბარძახზე დაირტყა ხელი, — დავსახლდეთ ბარედამ ტყეში და ილაპარაკეთ, ბატონო.

მწკრივში აქა-იქ სიცილი გაისმა და მკაყოფილი პარმენა უცებ გადიდკაცდა: — მართლა, სადაური ხარ, ბიჭო, შენ?

ბუჭუტა, თავჩაქინდრული, ხმას არ იღებდა.

— ენა ხომ არ ჩაყლაპე, ბიჭო, შენ... — გაიკვირვა პარმენამ, — მშვენიერი კარვად ლაპარაკობდი ტყეში... თუ ხვალისთვის იზოგავ.

— ხვალ აღარ ვიქნები...

— აუჰ! კვლები თუ...

— არა, დღეს წავალ.

— რა გეჩქარებოდათ, ბატონო, — თვალეზი აუციმციმდა პარმენას, — შეგეწიათ კიდევ ორიოდ სიტყვა...

— რაც ვილაპარაკე, ისიც არამი ყოფილა შენზე, — თქვა ბუჭუტამ, — მაგრამ ჯერ კიდევ გამოვასწორებ.

— აუჰ! რა მჭირს შენი გამოსასწორებელი... ვინაა ეს! — უცებ შეკრთა პარმენა, — არა, ეგ კი არა, აიი ის, სერზე რომ მოჩანს... იქით, იქით, უჰ, უჰ, ტერეზაა მგონი, ბიჭო...

— ისაა, — თქვა პაპიკომ.

— რალაც გაბრაზებულივით გამჩრულება, ისე დგას. ის ვილაა, გვერდით რომ უდგას...

— შაშიაა, კეტუბიძე.

— ბიჭოს, რაშია ნეტავ საქმე...

ახლა ისევ შეგვეშინდა, მაგრამ ეს უკვე სხვანაირი შიში იყო — თვალბილული ძალის. ტერეზა თუ ვინმეზე გაბრაზდებოდა, ემხში შესული, სხვებსაც თითქოსდა თამაშ-თამაშით დაგვრედა ხელს, მაგრამ ჩვენი ნექნებისთვისაც გეკითხათ, რანაირი თამაში იყო ეს... ახლა კი ისე მრისხანედ აბრიალებდა თვალებს, ისეთ უზარმაზარ მუშტებად შეკრა თითები, ყველანი ადვილზე გავექავდით და რომ გამოვერკვიეთ და გასაქცევად გავეშხადეთ, ტერეზამ დიდი ნაბიჯი გადმოდგა, ერთი, მეორე, მესამე, პირდაპირ ბუჭუტასაკენ გაეშურა (ტერეზალა აკლდა საწყალს), თავზე დაადგა ერთი ბეწო კაცს და ამ ბეხლეწმა, ამ საშინელებამ, მუქარით ჰკითხა:

— მე არ ვარ მალალი... აბა?

— არა, — მოგვესმა ხმა, ბუჭუტა აღარ ჩანდა, ტერეზა ეფარებოდა, — მალალი არ ხარ.

— აბა, რა ვარ! აბა...

— უბრალოდ, გრძელი ხარ, — მოგვესმა ისევ.

— ეს რეებს ბედაუს, გიყი ყოფილა, — ჩაილაპარაკა პარმენამ, — ვაი ჩემი ბრალი, თურმე ვის ვუგდებდით ყურს...

— ყველა სულელმა და გიყმა ჩვენში უნდა მოიყაროს თავი?! — იწყინა ტიტიკო დლონტმა.

— შეურაცხყოფაა, ტერეზა, ეგ! — შეჭხრალა ტერეზას ზურგიდან შაშია კეტუბიძე.

— ასეა? — მრისხანედ დაეკითხა ტერეზა პატარა კაცს და უკიდევანო მხრები შეათამაშა.

— სიმართლე კია და... — მოგვესმა.

— რა თქვა, აბა, გესმით, აბა?! —

გურამ დოჩანაშვილი

ჩემი ბუჭუტა, ჩემი ბიჭო



შემოგვხედა გაოცებულმა ტერეზამ, — ახლა, ამას რო დავარტყა ხელი, აბა, ხო გავაცხებებე სულს, და ხო გამაციმბირებენ მაგისტრის და ციმბირი მინდა მე? გადი დაიკარგე იქით, შე გლახა, შენ... — და გაუქვირდა, — აბა?!

სასწაული ხდებოდა — ტერეზა პირველად გაანაწყენეს, და თავზეხელაღებული არ უსწორდებოდა, როგორც ჩანს, იმისმა ტანმორჩილობამ დააბნია, და თვითონვე აპირებდა წასვლას, მაგრამ...

— არსადაც არ წავალ, — მოგვესმა უცებ.

— რაო? — ყურებს არ დაუჭერა ტერეზამ, — არ წავალო? აბა...

— ვთქვი და გავათავე.

— გავათავებ ახლა მე შენ, — დაემტკრა ტერეზა და მხრები აიწურა, — რომ მოგვიდებ ხელს, სულ დაგფშენი, სულ, შე...

— კრუხის პალოვ! — შეაშველა შაშიამ.

— შე კრუხის პალო შენ, რო მოგვიდებ ხელს, სულ ქეებზე დაგიჩქქვავ მაგ თავს, შენ!

— ახლა ვნახავთ, ახლა, — ჩაიხრილა შაშია კუტუბიძემ, — მე ვლუნავ შაურთანებს თუ შენ გავლუნავენ შაურიანივით, ახლა ვნახავთ, აბა ჰე, ტერეზა, ტერეზიკო!

— რო მოგვიდებ ხელს, არა? კვახივით გაგიპობ თავს... აბა!

— გაჩუმდი, ბიჭო! — შეუძახა სამსონამ.

— შენ გაჩუმდი თორემ მამა და ბიძა არ ვიცი მე!

— მართალია ეს კაცი! — დაიყვირა შაშიამ.

— ხოდა, შენ და მამაჩემს რო ჩაგავლებთ ქეჩოში ხელს, ხომ? — სულ ცხვირპირს გარტყემევივით ერთმანეთს, ხომ? — და შენი ცხვირი იმისი გახდება და იმისი კიდე შენი და მამა და ბიძა არ ვიცი მე!

— როგორ ბრძანდებით, ტერეზა-ბატონო? — ფეხი წინ წადგა პარმენა დვალმა, მაგრამ მაშინვე გააწყვეტინეს:

— ჩაიგდე ენა! გაბრაზებულე ვაჟი... — ხოდა, მიდი მერე, რაღას... შეეკადრე შე კაცო, — შეაგულიანა შაშია კუტუბიძემ.

და ტერეზა რომ ჩაფიქრდა, სწორედ მაშინ, იმ დღეს მიგხვდი, რატომ იყო ასეთი ღონიერი, — ფიქრისას კუნთები ეძაბებოდა.

ჰოდა, იფიქრა, იფიქრა და თქვა:

— კაცს რო ჰგავდეს, კიდეც ხო, მაგრამ ამას როგორ გავარტყა ხელი, მერე, ციმბირში რომ გამიშვან, შენ მომიტან მოსაკითხს? აბა?! — თქვა და შებრუნდა, მაგრამ უცებ, ყურებს არ დავეუჭერეთ, მკაფიოდ მოგვესმა:

— შესდექ, ლაჩარო.

ბუჭუჭტას ხმა იყო.

ლაჩაროო, — ტერეზას უთხრეს!

11.

— რაო? რა თქვი? რა თქვა...

— შესდექი, ხეპრევი!

— რაო? — კინალამ გადაიჩია ტერეზა, — რო მოგვიდებ ახლა ერთ ფეხში ხელს და მეორეს მეორეში ახლა, ხომ? — შუაზე გავხლიჩავ, აბა?!

— ყური დამიგდე, — უთხრა ბუჭუტამ, — კარვად დამიგდე ყური — რომ გავისწორდე, ჯერ რაიმე უნდა დააშავო და თუ არ დააშავებ, მაშინ ბოდის მოხბი მამის წინაშე და ყველაფერს გაპატიებ. მამას მოუბოდონე, მე არაფერს გემართლები. ისე მოიქეც, როგორც გიკობდეს...

— იი... — განცვიფრდა ტერეზა, — ბოდის მოგვემე შენ ყურისძირში... — და ხელი შემართა.

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. ესე იგი, ბოდის არ მოხბი, არა?

— იი...

— არა, — არა?

— არა. აბა?!

— მაშინ, თუ ბიჭი ხარ, რაშე დააშავე.

— დავაშავო? — მიმოიხედა ტერეზამ და ყველაზე ახლოს მდგარ კაცს, ესე იგი შაშიას, უცებ ისე დაჰკრა მხარზე ხელი, რომ იქვე მიაწვინა, — აბა!



— ეგ სისულელე იყო, — შეიქმუნა ბუჭუტა, — შაშია შენს მხარესაა, და იმას რომ გაარტყი, აშკარად სისულელეთ მოგვიცდა. სულელობისთვის კი პირადად მე არავის დავსჯი.

— შენი მომხრე ვინაა აბა...

— ჰაპიკოა, აგერ...

— ეგაა? — იკითხა ტერეზამ და სახე დამანჭა, — ფუჰ, მაგას როგორ მოვკიდებ ხელს, ფუჰ, მაგ გლახაკს, ფუჰ...

— ოო, ეს კი ნამდვილად ბოროტება იყო და შეურაცხყოფა, — თქვა ბუჭუტამ, ორიოდ ნაბიჯი გადადგა, შეხტა და ტერეზას უცებ — ბიჭო, რა მოხდა?! — ლოყაზე სტიკიცა.

— იი... — ხელი მიიღო ტერეზამ, — მართლა გამარტყა?

— კი, — უთხრა შაშიამ და ძლიერ აითრია წელი, — ნამდვილად.

— იი, — დაიბნა ტერეზა, — იიე...

— ყური დამიგდეთ, — უთხრა ბუჭუტამ, — კარგად დამიგდეთ ყური. თქვენ შეგიძლიათ დღეღამეში გამომიწვიოთ, და თუმცა ძალიან ზუსტად ვისვრი, მაინც არა მსურს დამბაჩებით შერკინება — ტყვიანა მაინც, შეიძლება რომელიმეს გვიმუხტლოს.

— იი... — აღმოხდა ტერეზას, — ვის გაარტყეს, ა? აბა?!

— და ამიტომ თანაბარი იორადით — ესე იგი ჩვენ-ჩვენი მკლავების წყალობით გავსწორდეთ. გნებაუ?

ისე ლაპარაკობდა, თითქოს ტყვიას ტყვიაში აჭენდა.

— იიე... ხელებით?

— ხელებით, დიას.

— არ გინდა, შეილო ბუჭუტა, — წამოიძახა თვით სამსონა არჯევანიძემ, — მოგკლავს, ნამდვილად მოგკლავს... ჩემს თვალწინაა გაზრდილი და ვიცი, რაც გელის, არ გინდა, შეილო...

— აი, თქვენც კეთილი გული ჰქონიათ, სამსონ. ხოლო ეს — კარგია.

— არ გინდა ბუჭუტა, ბიჭო, — პარმენამაც გამოიღო თავი.

— თუთ, პარმენ... — ღიმილით დაემუქრა ბუჭუტა.

— გაგბუთქავს მართლა შუაზე! — უთხრა ტიტყო ლლონტამ.

— წესიერად ილაპარაკეთ, — მტკიცედ უთხრა ბუჭუტამ და მოიქუცა სიტყვებს შერჩევა უნდა.

— არ გინდა, თუ კაცი ხარ, — გაფრთხილა არდალიონ ჭედიაძე, — დავითი რომ გოლიათს მოერია, შურადელი მაინც ჰქონდა ხელში და რისი იმედი გაქვს შენი!

ბუჭუტამ კი თქვა:

— ყველას ჩვენ-ჩვენი მუღამი გვაქვს.

და ტერეზას მიუბრუნდა:

— აბა, დავიწყით...

ჰოიი, ბიჭო... ჰარალეთში ამბავი მოხდა, მტრისას. ორი ტიტანი — ერთი ძალ-ღონით, მეორე კი თავდაჯერებულობით, ერთმანეთს შეერკინა და ხომ უნდა დამარცხებულყოფილი რომელიღაც, რაც ჩვენთვის, ჰარალეთელთათვის და, რაც მთავარია, ორივესათვის წარმოუდგენელი იყო, და მაინც, ტერეზამ ხალათი რომ გადაიძრო თავზე, ბუჭუტას მტკიცე სიტყვებით ერთხანს შეფიქრიავნებულგებს, ყოველგვარი იმედი გადაგიწყდა — რა დავინახეთ? — ტერეზას ტანი — გორაკები, ბილიკები, ბორცვები, ლურჯად დაძარღვული ნაკადულები, არხები, ღარები, რა ვიცი, რალა არ დავინახეთ და ბუჭუტამ კი ფრთხილად შეიხსნა საათი და პირველივეს, ვინც თვალში მოხვდა, იგი კი სწორედ მე გახლდით, ჩხუბის დამთავრებამდე შენახვა სთხოვა, და ის-ის იყო, პარმენა დეღამაც ნიშანი მისცა, რომ შორიდან შეძახილი გავიგეთ:

— რატომ პაექრობთ! ნუ პაექრობთ!

— გადი, შენი... — ჩაილაპარაკა ტერეზამ და მძლეთამძლე მკლავი მოიქნია.

ქვეყანა რომ დაინგრეს, აქ მაინც არ გავწყვეტ თხოობას: ეს აღელვებული ოკეანის უზარმაზარ, მეცხრე ტალღას ჰგავდა, და მსხვერპლ თავზე რომ გადაუარა, ბუჭუტამ მაინც ამოჰყო თავი და წონასწორობადაკარგულ ტერეზას

გურამ ღონანაშვილი
 ჩიხი ბაზუბა, ჩიხი ტირია



შიგ ყბაში მოკლე წყაპანით — „წყაპა“! — სტიკა. მაგრამ ტერეზას არა გაუგია რა, ისევ შემართა ის თავისი მკლავი და მოუქნია, ბუჭუტამ კი დროზე ჩაყვინთა და ისევ რომ ამოტივტივდა, შიგ ყურში გაუქანა პაწია მუშტი და როგორც ჩანს, ტერეზას ყური მოუწეწეკა, რადგან იმან ისე დაიღრიალა, ყველას დაგვებურძვლა და იმ უშველებელი მუშტების კორიანტელში პატარა კაცს ველარც ვხედავდით, მერე კი, თვით ტერეზაც რომ დაინტერესდა, ნეტავ სადააო, უცებ, აქაო და ვითომც არაფერიო, საღ-სალამათმა ბუჭუტამაც ამოპყო თავი და მხერად გადაქეულ ტერეზას შიგ ცხვირში სდრუზა. აუჰ... გაგიჟდა კაცი! — ახლა მართლაც სეტყვისასავით წამოვიდა ფუთიანი მუშტები და რომ დაბზრიალდნენ, და პარმენა დვალს უცაბედად კინაღამ რომ არ მოხვდა მუშტი, ყველანი ხეებზე ავძევრით და იქიდან ვუმხერდით და იქიდანვე ვისმენდით ტერეზას მკლავების შხუილს და, ტერეზა ისევ რომ შეჩერდა, კვლავ უფნებელი ბუჭუტა დაეინახეთ, რომელმაც ისევ და ისევ ცხვირში სდრუზა.

— შენანიშნავი ტექნიკა აქვს, — შენიშნა ტოტიდან ოსიკომ, — ნამდვილად დახვეწილი ტექნიკაა.

ბუჭუტამ ჩაიციხა და განზე გახტა, იქ კი, სადაც თვალის დახამხამების წინ მისი თავი იყო, უზარმაზარი მუშტი ჩაესო პაერში. ტერეზა საშინელი შესახედი იყო — კბილებდაღრჭენილი, თმაშლილი, გაოფლილი, თვალბვად-მოკარკლული, აქოშინებული — ვაი იმას, ვისაც იმისი მუშტი მოხვდებოდა, მაგრამ ბუჭუტა გამოზომილი, დახვეწილი მოძრობებით იცდენდა დარტყმებს და ტერეზამ ფეხიც რომ მოუქნია, ბუჭუტამ მარჯვედ აიციდინა, ესე არ უნდაო და მოხლი რომ ამოარტყა მუცელში, მერე, ამხტარმა, ცხვირ-პირში თავიც კი ხეთქა.

— უზადო ტექნიკა აქვს, — შენიშნა ტოტიდან ოსიკომ, — უალრესად დახვეწილი ტექნიკაა.

ბუჭუტას ისევ გაუკრთა ქუსტი და მილი სახეზე და ტერეზას გაძახა ლეურებელი მკლავი რომ აიციდინა, წონასწორობადაკარგულს, მოკლედ მოქნეული მუშტი დაახვედრა და ტერეზა მთელი თავისი სიმძიმით წამოვიგო დარტყმას. რომ გაიმართა, ყველამ დავინახეთ, ტუჩი გახეთქილი ჰქონდა. გაკვირვებულმა მოისკვა ხელის ზურგი და სისხლს რომ დახედა, ავად აემღვრა თვალეები, ბუჭუტას საშინელი ძალით მოუქნია, მაგრამ იმან ისევ აიციდინა, რასაკვირველია, და საპასუხოდ რომ გაიქნია ხელი, ტერეზამ ტუჩებზე აიფარა თითები და სწორედ ამ დროს მეორე ხელის პაწია, მკვირივი მუშტი ნეკნებშუა ლურსმანივით ჩაეჭვდა. სუნთქვა შეეკრა და შეჭმუხენილმა ძლივს შეისუნთქა პაერი — ტერეზასაც კი უნდოდა სუნთქვა, მე კი მომცრო, ბრტყელი, სიფრიფანა საათი მეკავა ხელთ და წიქრივი მესმოდა — დრო, დრო გადიოდა.

და სანამ ტერეზა სულს მოითქვამდა, ბუჭუტა მშვიდად იცდიდა, ოსიკომ კი კიდეც ერთხელ აღნიშნა:

— განსაცვიფრებელი ტექნიკა აქვს... ასეთი რაფინირებული ტექნიკის წყალობით ყველაფერს მიადწევ კაცი.

და თუმცა ბუჭუტას ამჯერად წარბიც არ შეუხრია, მაინც, რაღაცნაირად შევამჩნიეთ, რომ გაბრაზდა, ტერეზამ კი, სული რომ მოითქვა, ისევ დააპირა ხელის მოქნევა, მაგრამ გადაიფიქრა და უცებ შეეხვეწა:

— დამარტყმევინე ერთი, რა იქნება...

— მოდი. — უთხრა ბუჭუტამ, — სანამ ერთ-ერთი არ წაიქეცივით, ფეხს არ მოვიცვლი.

— მართლა? — უნდოდ იკითხა ტერეზამ და ენის წვერი გახეთქილ ტუჩზე მსუნაგად მოისკვა, — აბა, მართლა, აბა?!

— კი.

— რისი იმედი გაქვს? — დაეკითხა ტოტიდან ოსიკომ, — სანამუშო ტექნიკას თუ არ გამოიყენებ, რისი იმედით რჩები?

ბუჭუტას კი თავი არ აუწევია, ისე მიუგო:

— ყველას ჩვენ-ჩვენი მულამი გვაქვს.

და დაიწყო. მაგრამ რა დაიწყო—პარალელის ორი ტიტანი — ახლა უკვე ბუჭუტაც ტიტანი იყო ჩვენს თვალში — ორი ძლევამოსილი ადამიანი ერთმანეთს დაეტაკა და ცოტ-ცოტათი კი ინაცვლებდნენ ფეხს, მაგრამ მაინც ადვილზე იდგნენ და მთელი ძალ-ღონით მოჭნეული მუშტების საზარელი ბაგაბუგი გვესმოდა, დაუნდობლად ურტყამდნენ ერთმანეთს სახეში, მკერდზე, მუცელში და ყველაფერზე საოცარი მაინც ის იყო, რომ ბუჭუტა თითქოს გადიდდა, გაიზარდა, თითქმის ტერეზას სიმაღლე ვახდა და არასოდეს მინახავს ასეთი თვალნათლივი ზრდა, ბუჭუტა ჭეშმარიტი მამაკაცით გამაგრდა ადვილზე და რა ტექნიკა, რის ტექნიკა, ჭუნჭური ჩხუბით ცდილობდნენ ერთმანეთის გატეხას, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, თვალდახუჭულნი ჰგვიმდნენ ერთმანეთს და უცებ გადაწყვეტი დარტყმისთვის ორივემ ერთდროულად ძალუმაღ მოიჭნია ხელი და საზარელი რამ ხმა გავიგეთ — რომელიღაცამ დაასწრო და ორივე მცირე ხნით შედგა, იმ სამარისებურ დუმბილში მხოლოდ საათის მოკლე წიკწიკი გაისმა, ტერეზა კი უკან გადაქანდა და მოჭრილ ხესავით დაეცა მოლზე.

წაქცეული, ახლა უფრო გრძელი ჩანდა.

— მოდი აქ, დაეტოლე, პაპიკო, — მშვიდად თქვა ბუჭუტამ, პატარა კაცმა, — რომელი ხართ ახლა უფრო მალალი...

და ტოტებზე განაბულ ხალხს უცებ სამსონა არჩევანიძე გამოეყო — შლეგივით ჩამოხტა ხიდან და ბუჭუტას მივარდა:

— არ მომიკლა, შე წყეულო, შენ... — შეუტია და მერე ტერეზას გულზე დაადო ყური, გაიღიმა, თმაზე ალერსით გადაუსვა ხელი და, დარცხვენით-

მა, თავი ჩაქინდრა, — რა ვქნა, შვილი მაინც...

— დიდ ბოდიშს ვიხდი, — და ბუჭუტამაც თავი ჩალუნა, — რა ვქნა, არც ვაპირებდი ხელის ხლებას, სამსონ...

ტერეზა გულაღმა იწვა და ჩაფიქრებული იყურებოდა ცაში. არაუშავს რა, ჩვეულებრივი დღე იყო. მერე თვალეზი აახამხამა.

ბუჭუტა მშვიდად, ნაღვლიანად დასცქეროდა. ტერეზა კრუსუნით წამოჯდა და ყბაზე მოისვა ხელი.

— კიდევ ხომ არ გნებავთ, ტერეზა? — წყნარად დაეკითხა ბუჭუტა, — გნებავთ?

ხოლო ტერეზამ თქვა: — არა.

— ასეთ დიდებულ სანახაობას, — თქვა უცებ ოსიკო არჩევანიძემ, — არასოდეს გადაეფარება დაეწიყების მტერიანი, მონაცრისფრო ფარდა.

— ყველანი ასე ფიქრობთ, პარალელთელნო? — იკითხა ბუჭუტამ და ხელი აიშვირა — საათი გამომართვა.

— კი, კი... ეგრე ვფიქრობთ... ნამღვილად...

— შევიცრებათ ნამუსი, — ეწყინა ბუჭუტას და პაპიკოს მიუბრუნდა, — ეს რა ხალხში გაქვს საქმე...

დაბნეულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე ბუჭუტამ შუბლი მოისრისა: — რალაც სხვა იყო საქირო, პაპიკო, რალაცა სხვა...

და ისიც ჩუმად დაეთანხმა:

— კი, კი... რალაცა სხვა.

— რისთვის მოვედი და... რითი მივდივარ, — დანაღვლიანდა ბუჭუტა, — ახლა რომ ვუკვირდები, ყბელი გამოვედი და სხვა არაფერი...

— ესენი ვის არ აიყოლიებენ, ბატონო, — მწუხარედ ანუგეშა პაპიკომ.

— ამიტომ იყავი ჩემად?

— ღიახ.

— ისე, რა უნდა მექნა, — ჩაფიქრდა ბუჭუტა, — რთულად მესაუბრა —

გურამ დონაძის
ჩემი გუშუბა, ჩემი ტარიზა



ვერაფერს გაიგებდნენ, ასე ვილაპარაკე და — ყბელი გამოვედი... ეეჰ, ჯანდაბას, — და ჩვენ მოგვემართა, — ერთ წამს მაცალეთ, ორიოდ სიტყვა კიდევ პაქვს თქვენთან...

ჩვენ, გასუსულნი, ტოტებზე ვისხედით, ბუჭუტა კი მინდვრად ბოლოთას სცემდა და ლაპარაკობდა.

ღამწუხრებულმა, ასე მოგვემართა:

— რა არ ვითხარით, რას არ ვაღვწვდი... და რა ვიცოდი, ჰაერს რომ ვატანდი სიტყვებს, და მხოლოდ ის მანუგეშებს, ერთადერთმა კაცმა მაინც რომ გამიგო, თუმცა იმან უჩემოდაც მშვენიერად იცოდა ყველაფერი... რა არ გიამბიეთ, პარალელთა... მე გირჩევდით, როგორ უნდა დაკვირვებოდით ყოველივეს, ბუნებისაგან რეები გესწავლათ; მე დავანახეთ თქვენი სხეული, ისეთი უბრალო, ჩვეულებრივი და ქეშმარიტად გასაოცარი; ჩვენ ვისაუბრეთ წილიწადის დროთა ფერადოვან მუღმივობაზე, ბეგრჯერ ვახსენეთ ჰაერი... წყალი... ნიადაგი... მზე. მე მიგანიშნეთ თქვენს ნაცლოვანებებზეც და ღამით, ტყეში, სადაც სიტყვებს მეტი ფასი აქვთ, მე ღაგანახეთ ადამიანის გონების უსახვრო შესაძლებლობანი, და თითქოს შეფიქრიანდით კიდეც, მაგრამ რომ გათენდა, გული მოგეცათ და შენ კი, პარმენ, მასხრადაც ამიგდე... შენი ქკუთი. და მაინც თქვენს თვალში სწორედ იმან ამამაღლა, ტერგზა რომ გავლახე — ეეჰ, უცნაურია, უცნაური... ნუთუ ჩხუბზე უკეთესად არ ვიცოდი ლაპარაკი? ვაი ჩემი ბრალი... — და თვალი მოგვავლო, — მაგრამ თქვენ, პარალელთებს, — ნაღდი გინდათ... და ფიზიკურად მორევისაც დიდადა ვწამთ... შეგირცხვით ნამუსი! რა არ გიამბიეთ და მხოლოდ ახლა მომჩერებხართ ქეშმარიტი პატივისცემით, ჰეე... მაგრამ ტყუილ-უბრალოდ მაინც არ მისაუბრია — ვინდაც სულ გადამივიწყოთ, და ასეც იქნება, რალაცა მაინც რჩება — ყოველთვის რჩება საღდაც, პატარა, რალაც... ყოველთვის რჩება. ახლა კი წავალ, — და ნაღვლიანად მოგვავლო თვა-

ლო, — ძალიან კი მსურდა იმ მღერეზე საუბარი, მაგრამ ვინმეს ვაღვწვდი ხავ, იქ აღარ დამედგომება, ასე მაქვს წესად...

— როგორ ვალახეთ მაინც, ბატონო? — აღტაცებით დაეკითხა პარმენა.

— მესამედაც ვახსენო არაქართული სიტყვა „მულამი?“ — იკითხა ბუჭუტამ და შეიბუშუნა, — თუ არაა საქირო...

— არა, არა რა საქიროა... — დაიძახა პარმენამ.

— აბა, წავედი, პარალელთა, — ვეითხრა ბუჭუტამ და, ხეებზე ჩამომსხდარნი, დაკვირვებით შეგვათვალვირა, — კარგად იყავი, გიორგი, გულს ნუ გაიტეხ, შენც გეშველება... აბა, პაპიკო, შენი იმედი მაქვს, ნურასოდეს შეეპვდები საკუთარ თავში და ძალიან თუ გავიპირდა, დალიე ხანდახან, მაგის რჭულიც არ იყოს... თუმცა, რა ჭკუას გარიგებ, შენ ჩემზე უკეთ გცოდნია ყველაფერი... აბა, კარგად იყავით, სამსონ, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რა მექნა... კარგად იყავი.

— რამდენი წლის ხარ შენი — გაიძმა უცებ.

მიმოვიხედეთ, ტერგზა იყო.

— ოცდაათზე მეტისა ვარ, რატომ მკითხეთ...

— მერე, მე ოცდაექვსის არ ვარ ჯერ და პატარას მოერიე, ხომ? პატარას, ხომ?

მაგრამ ბუჭუტას ყური აღარ უთხოვებია, ნაღვლიანად განაგრძო:

— კარგად იყავი, პარმენ... მაინც საყვარული კაცი ხარ. აბა, ეს გამოძართვი და საღამოობით, თუ ფხიზლად იქნები, საღამოობით, როცა პირველი ძროხა მთაბლაღებებს სოფელს, ამით შეხედე ცას, ვახედე, გამოიხედე, რა გენაღვლება...

ქოვრიტი იყო.

— კარგად იყავი, ოსიკო-ჩემო, და მაგ მალაღმადროვანი გამოთქმებით მაინც დამაინც ნუ დაიხარჯები...

— ახლა, როგორ არ აღენიშნო, — გააწყვეტინა ოსიკომ, — რომ დროთა უწყალო დაღმა-დინება ვერასოდეს წა-



შლის ამ უმაგალითო შერყინების ამბავს?

— ისე წაშლის, კობტად... — სევდიანად გვაუწყა ბუქუტამ, — ეგეტები წაუშლია? კარგად ბრძანდებოდეთ, არღალიონ, აღარც კი ვიცი, რა ვირჩიოთ, ძველებურად ყოფნა თუ შეცვლა თუ რა ვიცი, თქვენ დამძანით ნამდვილად... კარგად იყავით, პარალელურად... და კიდევ ერთი კაცია თქვენში, ვისთვისაც მოველ... რომელიც არ მიხსენებია...

ყველას ჩვენ-ჩვენი თავი გვეგონა. რა თქმა უნდა, მეც.

— აბა, კარგად, პარალელურად. ეეჰ... და წავიდა.

ცხენით მოვიდა, ფეხით წავიდა. და, თვალს რომ მიეფარა, დახუნძლული ხეებიდან ჩამოვდით.

12.

ჩემი პარალელი...

ჩემი ქალაქი, მიხვეული, მოხვეული, მთებშუა ზედად ჩავარდნილი, თავისთვის იღვა, ვის უშავებდა რამეს. ჯერ იყო და, უბრალო, მომცრო სახლებით იწყებოდა, ეზოებში ვარდი, გეორგინი იღვა, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგი ხასხასა მოლოც ვებიბინებდა ეზოებში, ხეები იღვა მწვანედ გატიყინებული და ჩრდილი ზაფხულში კი იყო და ზამთრობით არ იყო მაგრამ არც გეინდოდა, სახლსუკან ვენახები ვეჭონდა, ვუვლიდით, ვრწყავდით, ჭურები გვეღვა მარანში, ღვინო ორშიმითი სულ ლიკლიკით ამოგვეჭონდა, შეჭამანდს ხის კოვზებით შევექცეოდით, თალიანი ბუბრები გვეღვა სახლებში, ზამთარ-ზაფხულ კვამლი ასდიოდა პარალელს, ნაკვერჩხლებზე ჭყინტ სიმინდს ვწვავდით, კვამლი თვალებში გვხვდებოდა და ცრემლი გვდიოდა, ხოლო დრო, მოგვხსენებთ, გადიოდა.

დრო — გადიოდა. მეორე დღეს შიმით აღარ ვიყავით — გამოვარდება ახლა ეს ჩვენი ტერეზა, იმ ვალახვისა გამო გაგულსებული დაგვერგვა ყვე-

ლას-თქო, ასე ვფიქრობდით, მაგრამ პრჩანდა, ჩვენ კი ჩვენი გვაწუხებდა. ღარი მოვითმინეთ და სულ ფორთხა-ფორთხვით მივეუხლოვდით არცეგანიძეების სახლს, რომ გავვეგო, რაში იყო საქმე, მერე ვენახშიაც გადავიხედეთ და რა დავინახეთ, გავშრიოთ — ტერეზა თოხნიდა.

ბედნიერი სამსონა თავაზიანად გვესალმებოდა მეზობლებს და იქნებოდა კარგ ხასიათზე, აბა რა — ისეთი მუშახელი? — აჰ, არა, არა, არც ვავევიდა... ტერეზა ხანდახან თუ გამოვიდოდა სასყიდელზე ქალაქში და კალათით ხელში, მორცხვად მიიბიჯებდა. ვანსაკუთრებით დაბლებისა ეშინოდა, მალეებისა — უფრო, ხოლო ეპოლეტებიანი, ზმლიან-მალეზერიანი და ჩინ-მენდლებიანი ტიტვინიძე ხომ სულ შიმის ზარსა სცემდა:

— მოდი აქ შენ!

ტერეზა ნაზად, ფეხისწვერებზე შემდგარი მიუახლოვდებოდა.

— რა დღეა დღეს.

— ოთხშაბათი...

— ლაპარაკი!! — ჰქუხდა ტიტვინიძე, — კაველაძე! სად ხარ!!

სადამოობით გამოწყობილნი, თეატრში ვიკრიბებოდით. ჩავგდებდით კაკალა მამილას რკინის ყუთში შაურისას, შეველიოდით პარტერში, ოდესკოლონ „ფანტაზიის“ სუნი იღვა, ფარნები ბეუტავდნენ სცენაზე, კაკალა მამილა, რკინის ყუთით ილიაში, განზე გასწვედა მეთაულზე ჩამოკიდებულ ყვითელი ატლასის ფარდას, აგერ გამოვიდოდა ჩვენი ტიტაყო დლონტი, ინგლისელი გრაფი იყო ვითამე, აიღებდა ხის ხმაღს და გაურკობდა შიგ გულში ჰერცოგს ფრანგთა — თავის ბიძაშვილ ეფრემე დლონტს და მწარედ აჭეოთინდებოდა ესპანელთა ბრინცესა — ვერიყო თიროშვილი...

თეატრი ბევრს გვიყვარდა ძალიან.

ატყობთ, ხომ, ჩქარა რომ გათავდებდა

გარამ დოჩანაშვილი
ჩიხი ბაშუბა, ჩვენი ბირეზა.

ეს ჩვენი ამბავი — ღუნღება, რაღაც-
ნაირად, თხრობა.

ქალაქის თავის მოადგილე კაკოია
ვაგნიძე და იმისი თანაშემწე ბუხუტი
ქვაჭარავა ისევ პირველ რიგში ისხდნენ
და მთელი მტვერი იმათ ეყრებოდათ
თავზე. ხანდახან შაშვას ეღუნებოდნენ
— ცოტათი გააჩერე ეს ტიტყვო, ნამე-
ტანს ყვირისო და ტიტყვო ხმას რომ
ღაუღაბლუბდა, ახლა ქანდარიდან იწ-
ყებოდა ძველი თეატრალის — მალხაზ
კაკაბაძის სამართლიანი მოთხოვნა —
ცოტა ხმამაღლა, არაფერი მესმის,
თეატრია ეს გენაცვალე თუ ბალეტო...

და, თუკი ამას კალაპოტი ჰქვია, ისევ
კალაპოტში ჩადგა ჩვენი პარალეთი.

მაგრამ, ერთი კაცისა არ იყოს, საღ-
ლაც, პატარა, რაღაც, ყოველთვის რჩე-
ვა.

სწვისა რა მოგახსენოთ და, პარმენა
ღვალს ნამდვილად ახსოვდა. აღარ თა-
მადლობდა ზოლმე და საღამოთობით, პირ-
ველი ძროხა რომ მოაბღაველბდა პარა-
ლეთს, ჭოგრიტს აიღებდა და პირველ
ხანებში თვალის ნაცვლად პირზე კი

იყულებდა ხანდახან უცაბედად, მაგრამ
მერტ შეეჩვია და სწორად უხმობდა.
პაპიკოსაც ახსოვდა ალბათ უწინდელ
ბურად მოწყენილი, გვიმრიანში იმაღე-
ბოდა და ლურჯად ამღვრეული თვალე-
ბით იცქირებოდა — მე რა ვიცი, საღ
— ქვეყანა დიდია.

და კიდევ ერთ კაცს ახსოვდა ზუკუ-
ტა. კი უნდა მიხედეთ წესით, ვის —
ვის და მე — აბა ტყუილ-უბრალოდ
მივკალი ამ ამბის აღწერას თავი? ეეჰ,
მომიღუნდა თხრობა, და ასე ნაღვლია-
ნად რომ არ დავცილდეთ ერთმანეთს,
ნება მიბოძეთ, ეს პატარა ამბავი იმ ჰა-
რალეთელის რიხიანი ლექსით დავამ-
თავრო, რომელმაც წერა-კითხვაც კი
არ იცოდა:

ვარი და ვარაღე,
პარი და პარაღე,
პარაღეთი დაილოცოს,
პარაღეთელების მხარე!

13.

ხოლო დრო, მოგეხსენებათ, გადის.



ჩვენი

ქვეყნის

100

წილად გუბაბანიძე

დიდი ხელოვნები

(კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავი)

ქართული თეატრის დიდი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის ცხოვრება და შემოქმედება განუყოფელია ერთმანეთთან დაკავშირებული. ორივე აღსავსეა მძაფრი ქართველებით და ზიგზაგებით, შეუპოვრობითა და მერყეობით, რწმენითა და ეპვიანობით. მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა დიადია, აქ მეთია მწვერვალები, ვიღრე უფსკრულები, ასეთივეა მისი ცხოვრებაც. — აქ მეთია სულიერი აღმაფრენა, ვიღრე მწარე გულისტკივილი.

ეს ცეცხლოვანი ტემპერამენტის („მუსიკალური ტემპერამენტის“ — როგორც ამბობდა ა. ლუნაჩარსკი), დაუშრეტელი ფანტაზიის ადამიანი, რომელსაც ფანტიკურად უყვარდა თეატრი, დგას იმ შემოქმედთა პირველ რიგში, რომლებიც ახალსა და უცნობ გზებზე მიიყვლივენ და ხელოვნების განუყოფელ სამყაროს ქმნიან. მისი სახელი მოიხსენიება კ. სტანისლავსკის, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ეს. შეიერპოლდის, ე. ვახტანგოვის — თეატრალური რეჟისორის ამ ტიტანების — სახელებთან ერთად.

იშვიათად არიან წელოვნებაში ადამიანები, რომლებიც ასე ბედნიერად უხამებენ ერთმანეთს დიდ განათლებას, ადამიანს ლოგიკურ მსჯელობასავე მიდრეკილებას რომ უმუშავენ, და ინტიციას, რომელიც თავისუფალია წინასწარშემუშავებული სქემებისაგან.

კოტე მარჯანიშვილი არასოდეს არ იზღუდავდა თავს და, საერთოდ, ფიქრობდა, რომ შემოქმედებაში ანა მარტო პრინციპების კარ-

ნახით უნდა იმოქმედოს ადამიანმა, არამედ გულის კარნახითაც, ხოლო ეს გული გაუთფნოდა რევოლუციას, განახლებულ საქართველოს („ჩვენ უუყვარვართ ბოლშევიკებს, და ჩვენ ვამაყობთ ამ სიყვარულით, ვინაიდან ჩვენი სფერო — გულის სფერო“).

მან შემოიარა მთელი კულტურული ევროპა, იცნობდა და უნახავს ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის შედეგები. შეისწავლა ყველა ლიტერატურული და თეატრალური მიმდინარეობა, შეიწოვა ყველაფერი ის საუკეთესო, რაც ქართულმა, რუსულმა და ევროპულმა კულტურამ მისცა, მაგრამ როგორც რეჟისორს, მას პირდაპირი წინამორბედი არა ჰყოლია. საესეებით დამოუყოლებელი და თავისებური შემოქმედი იყო. მან გადალახა მრავალი წინააღმდეგობა, ეზიარა მრავალ თეატრალურ მიმდინარეობას, ხარკი გაუღო ესთეტიზმს, რათა შემდეგ ყველაფრის გააზრებისა და გადამუშავების საფუძველზე თვითუარყოფისა და თვითგანმტკიცების შედეგად ქეშმარიტად დიდი რეალისტი რეჟისორი გამხდარიყო. „ასეთი იყო ჩემი ბედური ხელოვნებაში — უნდა მივსულიყავი უკიდურესობამდე, რათა საკუთარი შეცდომები შემეგნო, რომ ხვალ შეკეთებინა სრულიად საწინააღმდეგო იმისა, რასაც გუშინ ვაკეთებდი“.

მისი განსაცვიფრებელი ნიჭი და ფანტაზია თითქოს მუდამ შემართული იყო იმისათვის, რომ ყველგან და ყოველთვის შთაგონება ეპოვნა. იგი იყო მტერი ცალმხრივობის,



ცხოვრების ყოველდღიური პროზის და მიისწრაფოდა პოეტური, ამაღლებული ხელოვნებისაკენ. მისი თეატრი ეს არის ზღვრისაღწევა — მისი თეატრი, სადაც ყველაფერი ელვარებს, დღეს, მრავალფეროვანი და ემოციურია. „ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარულს, შთაბეროს მას მხნეობა“, — მრავალჯერის იმეორებდა იგი.

კოტე მარჯანიშვილს თითქმის უკმარობის ფრქვანა სდევნიდა. არ აკმაყოფილებდა თავისი საუკეთესო სპექტაკლებიც კი, ყოველთვის წინ მიისწრაფოდა, ეძებდა ახალ ხერხებს და საშუალებებს რეჟისურაში. არ ჰყოფნიდა ერთი რომელიმე თეატრი, ძალიან ვიწროდ ეჩვენებოდა ცალკეული თეატრალური ენარის საზღვრები და თავთ ქმნიდა ახალ-ახალ თეატრებს, თავის ძალის სცდოდა ტრაგედიაში, დრამაში, კომედიაში, პანტომიმაში, ოპერაში, ოპერეტაში, მასობრივ სახალხო სანახაობადღესასწაულებში, კინემატოგრაფში.

კ. მარჯანიშვილის ცხოვრება და შემოქმედება მოიცავს პერიოდს, რომელიც იწყება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და მთავრდება ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლებით. ამ ხნის მანძილზე მრავალი ისტორიული მოვლენა მოხდა მის თვალწინ — რუსეთის პირველი რევოლუცია, მსოფლიო ომი, თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები და ბოლოს განახლებული ქვეყნის შექმნა და აღორძინება. რეჟისორის შემოქმედება ორგანოდ უკავშირდებოდა ყოველ ამ ისტორიულ მოვლენას და აღბეჭდილი იყო ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, გამსჭვალული დროის სულისკვეთებით. უფრო მეტიც, იგი ზოგჯერ წინ უსწრებდა მოვლენების განვითარებას და წინასწარ ზედადგა თუ როგორი თეატრალური ხელოვნება იყო საჭირო ახალი, სოციალისტური სამყაროსათვის. „მსოფლიო ომის შემდეგ, უდიდესი რევოლუციის დროს ხელოვნებაც მონუმენტურად გვეჩვენის. არა კმარა მხოლოდ რიტმები თანამედროვეობისა, მომავალშიც უნდა გავიმეოროთ ისინი. როგორი სახით გამოვლინდება ეს? მე არ ვიცი — მასობრივი ზეიმები იქნება ეს — დაუბრუნდება თეატრი საბერძნეთის ოლიმპიური თამაშების მაგვარ სანახაობას, თუ თეატრის დიდი შემოქმედნი — ავტორი, მსახიობი, მხატვარი, მუსიკოსი, რეჟისორი — შეძლებენ იმ პატარა კოლოფშიც კი, რომელსაც ჩვენ თეატრს ვუწოდებთ, ღრმად და ხალისიანად ააღვლენთ მაყურებელი, სცენასთან გააერთიანონ იგი. ვიცი მხოლოდ ერთი რამ — ხელოვნებას დაუღვა დრო, როდესაც იგი ისეთივე დიდი უნდა იყოს, როგორცაა ჩვენი თანამედროვეობა, და, ღმერთმანი, არაფრით არ მკერა, რომ მილიონიანი არმიების შეტაკებათა შემდეგ, ქუჩებში გამართული მანიფესტაციების შემდეგ შესაძლებელი იყოს

თეატრის სენაკებში შეყუჟა და ააწაწინა დრამით ტკბობა. არა, ცხოვრებასა და ხელოვნებისაგან რაღაც დიდს, რისგანაც კაცობრიოს“. ეს სიტყვები მან ზუსტად ნახევარი საუკუნის წინ წარმოთქვა.

ოცდახუთი წელი ემსახურა კ. მარჯანიშვილი რუსულ თეატრს. განსაცვიფრებელია არა მხოლოდ მისი მოღვაწეობის მრავალმხრივობა, არამედ ამ მოღვაწეობის თვალმეუღდამი პოზიციონირება — იგი გადაჭიმულია შვიი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე, ირკუტსკიდან — მოსკოვამდე. და ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე იგი ვაზდა რუსული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და კოლორიტული ფიგურა, იმდროინდელი პროფესიული რეჟისურის ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპული მემკვიდრეობის (აი, იმ დროს გავრცელებული გამოთქმული „რუსეთის რეინპარტი“, „რუსეთის კრეგი“).

ამ ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში შექმდებოდა, კ. მარჯანიშვილის ხელოვნებას არ განეცადა თვისობრივი ხასიათის ცვლილებები, განრიდებოდა ეპოქის ძირითად ესთეტიკურ მიმართულებას და შეენარჩუნებინა შემოქმედების ერთიანი მოდელი. ცნობილი კინორეჟისორი გ. კოზინცევი თაყვის წიგნში „ღრმა ეკრანის“ ეხება მარჯანიშვილის მიერ კიევიზ დადგმულ რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ „ცხვრის წყაროს“ და ო. უაილის რაფინირებულ „სალომეს“ და შენიშნავს, რომ ძალიან ადვილია განსაჯო ადამიანი, როცა ხელოვნების ისტორიული გამოცდილება წინ გიდევს. ხელოვნება არასოდეს არ ვითარდება აღმავალი ხაზით, მით უმეტეს — ერთი ადამიანის შემოქმედებაო.

როგორი უკვე ვთქვით, კ. მარჯანიშვილი მრავალი ენარისა და სტილის სპექტაკლის ქმნიდა, მაგრამ არის ძირითადი მომენტი, რომელიც ყველა მის დადგმას აერთიანებს. ეს არის ის, რაც არსებითაა ყოველი ჭეშმარიტი თეატრალური ხელოვნებისათვის და, აგრეთვე (ეს მთავარია), რაც მის რეჟისორულ ხელოვნებას სრულიად ორიგინალურსა და განსაკუთრებულ სახეს აძლევს.

იგი ამბობდა: ჩემთვის მთავარ როლს ასრულებენ ავტორი და მისი სულისკვეთება, ესააო სცენის მეუღლე. სადაც პირობითობაა საჭირო — შეგქმნით მას. სადაც სიმართლეა საჭირო — რეალისტები ვიქნებითო, „ჩემი საქმეა ვაგხსნა იდეა, შევამსუბუქო მისი ვაგვების სიძნელები, აღვანთო, შთაგონებო აღვესო მსახიობი, ინდივიდუალური განწყობილებები გაგაერთიანო საერთო სიმფონიურ აკორდში“ (დავიმხსოვროთ ეს ფრაზა — „საერთო სიმფონიურ აკორდში“). მას არ შეეძლო განრიდებოდა თეატრალური ფორმის იმ საიხლებებს, რომლებიც ჩვენი საუკუნის პირველ

წლებში ის იყო მკვიდრდებოდა, ორგანულად
ლებულობდა როგორც რეალისტური, ასევე
პირობითი თეატრის ესთეტიკას (ამ პერიოდ-
ში, ეს არის 1907 წელი, იგი ფიქრობდა, რომ
„ახალი მიმდინარეობა“ რეინარდტ-შეიერ-
პოლდისა — საპირობებს ევოლუციას. სტი-
ლიზების მეთოდის ხერხები, რომელსაც ორი-
გინალური სილამაზეც ახასიათებს და თამაში
ნოვატორობაც, ჩიხში მოგმწყვდება თუ არ
მოხა „პირობითი“ ტექნიკის შერწყმა ნატუ-
რალისტურთან), მაგრამ ძირითადი მისთვის
იყო არა ეს ორიგინალობა, არამედ დრამატუ-
ლი პოეტის იდეა („მე არ შემიძლია განზე
გავუდგე ტექნიკის იმ მიღწევებს, რომლებიც
შემათეხულია მოდერნიზაციის ერთობლივი
მოწყობებით, ჩემს თავს უფლებას მიცემ
პირველობა შევუწინააღმდეგო იდეას და არა მო-
ფარებას, ლეკორაციებსა და განათების ეფექ-
ტებს... პოეტი, რეჟისორი და აქტიორი — აი,
რას უნდა ვესწრაფოდეთ...“). ამ კრულის ერთ-
გული დარჩა იგი მთელი თავისი შემოქმედ-
ების მანძილზე, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშ-
ნავს, რომ ზოგჯერ არ ახდენდა პიესის იდეურ
აქცენტის გადაადგილებას, რაც გაპირობე-
ბული იყო დროის სტლიზაციების კარნახით
(ყველა დროში, ყველა ეპოქაში თეატრი იყო
ვაბატონებული კლასის იდეოლოგიის გამო-
ხატული. მოვიდა ახალი კლასი და, რასაცერ-
ვნილა. თეატრი მისი იდეებსა გამოხატველი
უნდა გახდეს“). ასე მოიქცა იგი, მაგალითად,
ლოპე დე ვეგას „ცხვირის წყაროს“ დადგმისას
კიევისა და თბილისში; ჰამსუნის „ცხოვრების
პრეკულებში“, ოდრანის ოპერეტა „მასკოტის“,
შესპირის „ჰამლეტის“, გუცოვის „ურიელ
ავსტრასი“ და ექსპრესიონისტი ავტორების
(ტოლერი, კიხევი და სხვათა) პიესების სცე-
ნური განმარტებების დროსაც. მაგრამ რაი-
მე ძალდატანება პიესის იდეურ საყაროზე,
ხელოვნური შეტანა ახალი, კარდინალურად
განსხვავებული იდეისა, მისთვის იმთავითვე
გამორიცხული იყო. კ. მარჯანიშვილი ღრმად
სწვლდებოდა პიესის მთელ არტიტიკონიკას,
ავტორის მსოფლმხედველობის მიმართულე-
ბას და ამის საფუძველზე ახდენდა მის „მო-
დიფიკაციას“. ამგვარად, იგი წარმოაჩენდა
ხოლომე პიესაში უკვე არსებულ მომენტს,
სიღრმეში ჩაფლულ პლასტს და ახლებურად
აუღვარებდა თითქოსდა უკვე ნაცნობ მოტი-
ვებს. ყოველგვარი პიესის დადგმა შეიძლება
სხვადასხვაგვარად, შეიძლება ისე დადგმა, რომ
იგი სრულიად სხვააზიარად აღიქმებოდეს. რო-
გორ მოვიქცეოი მე ამ შემთხვევაში? (კ. მარ-
ჯანიშვილის მხედველობაში აქვს „ცხვირის წყა-
რი“, რომლის გამო მას ჰკითხეს, როგორ
ამტყუყუდებოდა პიესა საბჭოური ენით—ნ. გ.)
ეს პიესა წმინდა ინდივიდუალისტურადაა და-
წერილი. აქ ყოველივე მეფის პიროვნების,
სხვადასხვა ფეოდალი მფლობელებისა და სხვა-

თა ორგანიზაცია კონცენტრირებული. უპირვე-
ლეს ყოვლისა, მე ყველაფერი ეს ფანქრით
ამოვშლდე პიესიდან და, პირიქით, გაავსოდე
რე და გამოვავლინე ისეთი ადგილები, სადაც
კოლექტივი მოქმედებს... ჩვენ შევძელით ერთ
მთლიანობად შევაჯივრებულნი მასის ჩეხე-
ბა...“

ავტორისეული იდეების თანამედროვე ცხო-
ვრების პრობლემებთან ზუსტი დაკავშირება
მის სპექტაკლებს საზოგადოებრივი და კულ-
ტურული ცხოვრების ცენტრში მოაქცევდნენ
ხოლმე. ეს არის მისი შემოქმედების ერთი
ძირითადი ნიშანი. მაგრამ ეს არის მხოლოდ
საერთისი, მისი თეატრალური ესთეტიკის ერ-
თი მხარე.

როგორი იყო მისი თეატრის იდეალი?
თუმცა თავის შესანიშნავ მემუარებში
კ. მარჯანიშვილი ამბობს, ჩემს სიცოცხლეში
არასოდეს იმის შეასუდისთვისაც არ მიმიღწე-
ვია, რაც თეატრში მუშაობის დროს ოცნებად
დამისახავსო, მაგრამ წარმოადგენა იმ თეატრის
მოდელისა, რომელსაც, ფართო აზრით, ყოვე-
ლისმომცველად შეგვიძლია ვუწოდოთ თეატ-
რი მარჯანიშვილისა, ადვილი შესაძლებელია.
თუ მთლიანად მოვიცავთ მთელს მის შემოქ-
მედებას, თუ გავითვალისწინებთ, არა მხო-
ლოდ ბრწყინვალე გამარჯვებებს, არამედ მარ-
ცხსაც — მაშინ შევძლებთ წარმოგსახოთ ამ
იდეალის სისრულე. მისი სპექტაკლების საერ-
თო ნიშანია ცხოველყოფილური ფორმა, რო-
მელიც გულისხმობს სპექტაკლის ყოველი
კომპონენტის პარმონიულ მთლიანობას. ეს
ფორმა ყოველი შემადგენელი ნაწილის
ფუნქციის ზუსტი გააზრებით უკიდურესად
გამაფრებელია, გამაფრებელია სწორად
თეატრალურად. სპექტაკლის ცენტრში დგას
მსახიობი, რომელიც დამორბეულია ცხოვრე-
ბისეულ ყოფითობას, ყოველდღიურობას,
წვრილმან ენებათა ლეღვას. მისი თამაში ემო-
ციურ ტონუსს შეიცავს, ამაღლებულია, პოე-
ზიის ნათელი სულითა განთებული. მთელი
სპექტაკლი აგებულია შინაგან რიტმზე, გამო-
კვეთილ, სკულპტურულ მიზანსკენებზე და
გამსჭვალულია ოპტიმიზმით, (თეატრალური
ოპტიმიზმითა“ ამბობდა მისი ღიღი მოწვევ
უშანგი ჩხეიძე), და მთელი სცენური ვარემო,
თავისთავად რიტმის შემცველი, განათებულია
ფერებითა და სინათლის რეფლექსით. ყველა-
ფერი ეს მოცემულია არა აჯორდით, არა ერთი
მეორით, არამედ კონტრასტების თამაშით. ეს
კონტრასტი არ არის გარეგანი ნიშანი, მარტო-
ოდენ თეატრალური ხერხი. იგი მარჯანიშვილის
მსოფლმხედვის შემადგენელი ნაწილია. კ. მარ-
ჯანიშვილისათვის კონტრასტი (შეიძლება ვიხ-

ნოდარ შურაბანიძე
დიმი ხელოვანი

მართ — შინაგანი კონფლიქტი) ცხოვრების
•რისა და ამ არის გამოვლენის (ფორმის)
გარდუვალი მომენტია. იგი გასულდგმულბუ-
ლია სპეციფიკური რიტმით — ფერების და-
პირსპირებით და შეუქ-ჩრდილების თაშაშით
გაფორმებაში, ამაღლებულსა და მიწიერის
მონაცვლეობით. სცენური ცხოვრების დინა-
მიზმში. მუსიკა ძირითადი ელემენტია სხვა
კომპონენტთა შორის, იგი არა მარტო გადმო-
გვეცემს სიტუაციის ხასიათს, არამედ თავისი
რიტმით ამძაფრებს სცენურ მოქმედებას,
უფრო მეტიც — ხშირად განსაზღვრავს მსა-
ხიობის სიტყვის ინტონაციას, რიტმულობას,
ერთი მხრივ, და მოძრაობის პლასტიკას და
ქუსტის ვრაფიკას, მეორე მხრივ. ამ თეატრ-
ში ტრავაგული საწყისი არ არის ჩამუქებუ-
ლი, მის გვერდით არსებობს მისი ანტიპოდი—
კომიკური და ამიტომ სპექტაკლის ატმოსფე-
რო არ არის დამთრგუნველი, პირქუში, რაც
იმას არ წინააღმდეგობს, რომ სცენური ტრაველია
შემსრულებულია. მისი ტრაველია სპექ-
ტაკლებიდან აღამიანი გამოდის არა ცხოვრე-
ბაზე ხელაქნეული, მორალურად დათრგუნ-
ვილი, არამედ გამხსნეველი, თავისი სულიე-
რი სამყაროს ძალმოსილებაში დარწმუნებული.

კ. მარჯანიშვილი პოლიფონიური სპექტაკ-
ლების ავტორია, სადაც თვითონვე მოტივი
ვითარდება საერთოსთან შეთანხმებით და
სრულქმნილებას აღწევს სპექტაკლის ფი-
ნალში — „საერთო სიმფონიურ აკორდში“ —
როგორც თვით ამბობდა. ამგვარ თეატრალურ
ხელოვნებას საფუძვლად უდევს სინთეზური
თეატრის იდეა, რომლისკენაც იყო მიმართუ-
ლი მარჯანიშვილის ძიებანი.

მრავალი რამ უნდა გამოეცადა, მრავალი
სტილისტურად განსხვავებული სპექტაკლი
უნდა შეექმნა, რათა თანდათან მისულიყო
თავის სასულიერო ოცნებასთან. მთელი მისი შე-
ხედულებების, მისი შემოქმედებითი ბუნების,
ტემპერამენტის, სცენაზე მოწვეული მრავალი
ორგინალური სიხლის კვინტესენცია სინთე-
ტური თეატრის ეს იდეა. ძნელი იყო გზები,
რომლებიც მან გაიარა. სხვადასხვა პერიოდის
მისი სპექტაკლები დამეტრალურად განსხვავ-
დება თეატრალური ესთეტიკის თვალსაზრის-
ით, მაგრამ თანდათან იხვეწება, კრიტიკალდ-
ბა მისი თეატრი.

მისი პირველი რეჟისორული ნამუშევარი
ა. ჩხეიძის „ძია ვანო“ (ჩხეიძის იგი „დრამა-
ტული სიმფონიების მამამთავარს“ უწოდებ-
და) და უკანასკნელი სპექტაკლი — შიორის
„დონ კარლოსი“ — ერთმანეთს დამორებულ-
ნი ოცდათორმეტი წლით (1901-1933 წ.) და
ასევე სპექტაკლით — არის ერთი უზარმა-
ზარი პანოს ორი მხარე და ამ პანოზე გამოსა-
ხულია მრავალფეროვანი და უტრელი სამყა-
რო, აღსაყვად აღამიანური ვნებებით, ვმართ-
ბით, ტრაველი გზებით, კომედიური ხალო-

სიანობით, პლასტიკით. ამ სამყაროში აღამი-
ანები ცხოვრობენ, იტანჯებიან, ეკლენობენ,
იღუპებიან, მხიარულებენ, ერთმანეთს მსგავს
არის ცხოვრება — შექმნილი ერთი აღამი-
ანის გენიის მიერ. ევოლუციის რთული პრო-
ცესი, რომელიც მან ვანვლო, თანაბრად და
უწყვეტად არ მიმდინარებდა. თუ ამ ევო-
ლუციის რაღაც გარკვეულ ციკლბად წარმო-
ვიდგენთ, შეგვიწინათ წინააღმდეგობასა და
უკიდურესობას არა მხოლოდ გარკვეული
ციკლებს შორის, არამედ თვით ერთი ციკლის
ფარგლებშიც კი.

პირველ ხანებში იგი ვატაელები იყო,
როგორც თვით ამბობს, „უკიდურესი რეა-
ლიზმით, რაც თითქმის ნატურალიზმამდე მი-
დიოდა“. ამ პერიოდის სპექტაკლებში (მა-
შორის ყველაზე ბრწყინვალეა გორკის „მოა-
გარაკენი“, როგის რუსულ თეატრში 1904 წ.)
ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა სპექ-
ტაკლის ანსამბლურობაზე, ყოფითი დეტალები,
ცხოვრებისეული სიმართლის ზუსტ გა-
მოსახვაზე, ბუნებრივ ტონებზე, სინამდვილის
შესაბამისი განწყობილების შექმნაზე. მისი
სპექტაკლები საყვად იყო ცხოვრების კონკრე-
ტული ხმებით და ფერებით, ისინი გამოირ-
ჩეოდნენ მსახიობთა გულწრფელი თამაშით,
სადაც პირველ რიგში ყოფის სიმართლე იდ-
გა. მაგრამ მარჯანიშვილი არ დარჩენილა ამ
პასუხური ხელოვნების ტყვეობაში. იგი განსა-
ცივრებულად გრძნობდა არა მხოლოდ პიესის
იდურ მიმართულებას, არამედ საზოგადოე-
ბის განწყობილებების ცვლას და შინაგან კონფ-
ლიქტებს, რაც შლიდა ამ საზოგადოებას. ამ
თვალსაზრისით გორკის „მოავარაკენი“ ზუს-
ტად შეესატყვისებდა რუსეთის პირველი რე-
ვოლუციის კვირამოდის მთელ ატმოსფეროს,
ინტელიგენციის სულიერ გაორებას, მის შიშს,
დაბნეულობას, ერთი მხრივ, და მის იმედებს,
სიხლისადმი ლტოლვას, მეორე მხრივ.

მაღე მარჯანიშვილი „უკიდურესი რეალიზ-
მიდან“ ნახტომს აკეთებდა უკიდურეს ირეა-
ლიზმისაკენ. სცენიდან ვაქრა ყოფითი დეტა-
ლები, ადგილისა და დროის შესატყვისი დე-
კორაციები, ისინი შეეცალა უადრესად პირო-
ბითმა გაფორმებამ (ლ. ანდრეევის „აღამი-
ანის ცხოვრება“ 1907 წ.), განყენებულმა სი-
ხეებმა, პირქუშმა ატმოსფერომ. თუმცა თა-
ვად კ. მარჯანიშვილი თავისი ცხოველყოფე-
ლი და ნათელი ოპტიმიზმით, რაც მისი ბუნ-
ება იყო, შორს იდგა მისტოციზმისაგან, მა-
გრამ რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულ-
მა დებრესიამ, ზურგალური ძალების რწმენამ,
ეკუმპა, უპერსპექტივობამ მის ფსიქოლოგიაზე
და ესთეტიკაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინ-
ა. „მე მინდოდა ჩემს ირგვლივ ყველაფრისა-
თვის მგარძნობადი სული მიმენიჭებინა. რეა-
ლური სახეები ითქვიფებოდნენ. ყველგან რა-
ღაც სიმბოლო იგრძნობოდა, ცხოვრებას რა-



ლაც, სხვა, გაჯერება. აქედან — შორს დეკორაციები, შორს უხეშად ნაგრძნობი ცხოვრება. სცენაზე ნაჩვენები უნდა იყვნენ არა ადამიანები, არამედ განუყენებელი სახეები. აი, რა ზნებოდა ჩემს სულში და რის გადაცემა მინდოდა თეატრში“.

თითქოს განჯარდა სპექტაკლის მატერიალური გარსი, რეალობა, სამყაროს მთლიანობა. ადამიანი მარტოღობით აღმოჩნდა ბნელი უსურსის პირის და ახლა რეჟისორის მთავარი მიზანი გახდა ამ ადამიანის გაორებული ბუნების ფსიქოლოგიური მოტივების ჩვენება. ადამიანს მატერიალური საყრდენი გამოეცალა და კ. მარჯანიშვილი ფიქრობდა, რომ ამ საყრდენს პოვნა მუსიკაში იყო შესაძლებელი, ხოლო მისი მეშვეობით თვით ამ გაორებული, მისტიციზმის ბურუსში გახვეული ადამიანის არსებობის გამართლება. ობიექტური დრამა შეცვალა სუბიექტურმა, ტრაგედია — მონოდრამამ. ცხოვრების კონკრეტული ნიშნების გაქრობის შემდეგ ასევე გაქრა კონკრეტული საზოგადოება, ერთი ადამიანის განწყობის მეშვეობით (ლ. ანდრეევის „შავი ნიღბები“) უნდა გადმოეცემულიყო გარეგანი სამყარო. ეს ინდივიდუალიზმი, რომელიც რეალური სინამდვილის ცენტრში კი არ დგას, არამედ ფანტასმაგორულ, გამოწვან, ირეალურ სამყაროში — (იგი არსებობს როგორც მისტიკის მიცემული ადამიანის სულის მედიტაციები) კიდევ უფრო ხაზგასმული მისი გამსაჯურებულობით, არა ცოცხალი სახეებით, არამედ ნიღბებით — რეაქციის მიერ სრულიად დებრესირებული საზოგადოების განწყობას გამოხატავდა. „მე მინდოდა ყველაფერი ამეყოს რაღაც საშინელი საიდუმლოებებით, მე ვოცნებობდი მსახიობების სახით მჭონდა არა მათი მატერიალური სხეული, არამედ რაღაც ასტრალური გამოხატულება“. ამ სპექტაკლს „პიროსის გამარჯვება“ უწოდა შემდეგ კ. მარჯანიშვილმა და თავის „მემუარებში“ საკუთარი თავი შერისხა იმის გამო, რომ კიდევ უფრო ვზრწნიდიო ისედაც შემცროს სულს, სიხარულის ნაცვლად შიშს ვუწერავდიო მას. არარეალურ სამყაროს ასევე არარეალური ელფერი ჰქონდა. ფერადოვნების ნაცვლად მხოლოდ სინათლე და ჩრდილი (ო. დიმიტის „ნიღ“), ხოლო შემდეგ ეს არარეალური სამყაროს არარეალური საგნებიც გაქრა და მისი ადგილი დაიჭირა შავმა მუღმა (პაუპტმანის „სლოუი და იაუ“) და მასზე გამოსახულმა კონტურებმა. ამ ახალმა იდეამ მას უბიძგა კიდევ ერთი ნაბიჯი გაეკეთებინა სცენური გამომახველობის მიგბათა მიმართულებით. მკაცრმა, ნეიტრალურმა ფონმა განმაჭრთობით გამოაჩინა მსახიობის ფიგურა, წინუწელოვანი გახდა მსახიობის ყველა ფესტი და მოძრაობა. კ. მარჯანიშვილი ახლა გატაცებით მუშაობს პლასტიკურ გამომსახვე-

ლობაზე. მისთვის აშკარაა: სრული მხატვრული ილუზიის შესაქმნელად საკმარისი არ არის მხოლოდ სახისა და თვალების გამომეტყველება, გრძნობიერი ხმა — აუცილებელია პარტონიულად განვითარებული მსახიობი, რომელიც თავის სხეულს ისევე სრულყოფილად ფლობს, როგორც ხმას — მსახიობის სხეულის მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს ფსიქოლოგიურ განწყობილებას, კონფლიქტით შორის ზოგჯერ პარადოქსს წარმოშობს („და მაშინ პირველად გონებაში გამოიღვა აზრმა სინთეზური მსახიობის შესახებ, ერთნაირად რომ ფლობს სიტყვას, ხმას და სხეულს“). ამ აღმოჩენის შემდეგ იგი კიდევ უფრო წინ მიდის, ახლა გადადის მიზანსაძენების, დაგვფებების სკულპტურულ გამომახველობაზე. ასე თანდათან, ზოგჯერ მიზანდასახულად, ზოგჯერ ინტუიციურად იგი ამღიდრებს თავის თეატრალურ პალიტრას. მიხვდა, რომ რაღაც ახალი აღმოჩენის პირისპირ იდგა. („ჩემთვის... ეს იყო ის ეტაპი, რომელიც გზას მიკაფავდა იმ იდეებისადმი, რომლებთანაც უფრო გვიან მივედი“). ყველაფერი ეს, რაც კ. მარჯანიშვილმა გააკეთა, იყო საწყისი მისი თეატრისა; მისი რეჟისორული ხელწერა თანდათანობით იქნდა განუმეორებელ სახეს, მაგრამ ყველაფერი ის, რაც აქამდე მოიბოვა ქერ კიდევ საესებით არ იყო უპრობირებელი, არ იყო მოყვანილი ერთ უმთავრეს ნიშნამდე — სინთეზამდე („ჩვერ კიდევ არ ვიყავი დაუფლებელი თეატრის სინთეზს“).

კ. მარჯანიშვილის შემოქმედება უნდა აღიქვით ერთიანი პროცესის სახით და ერთმანეთისგან რადიკალურად არ განეიჯნოთ „უკიდურესი რეალიზმი“ და მისი ანტიპოდი — იმპრესიონიზმი თუ სიმბოლიზმი. რაკინდ პარადოქსალურად უნდა გვეჩვენოს ეს, ნათელია, რომ რეჟისორი ყველა მიმდინარეობიდან იმანეტურად „იღებს“ ყოველივე იმ საუკეთესოს, რაც მას აახლოებს სინთეზურ თეატრთან. მაგრამ ყველაზე ადვილია ეს პროცესი („აღებისა“) ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს არსებობდეს რაღაც ცალკეული საფეხურები, განცალკევებული ფენომენები, რომელთა მექანიკური შეერთების შედეგად რეჟისორი თავის დამოუკიდებელ სახეს აყალიბებს. ეს არის რთული დიალექტიკური პროცესი, რომელიც ბუნებრივად შეიცავს თავის თავში „მოხსნისა“ და „შეხების“ კატეგორიებს. მარტივად ეს პროცესი ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: კ. მარჯანიშვილმა თავისი შემოქმედებიდან, როგორც ფხიზელმა ანალიტიკოსმა, „შეარჩია“ სხვადასხვა ელემენტი — ა. ჩხოვეის, მ. გორკის, ა. ოსტროვსკის რეალისტური პიეზების დადგმის შედეგად შემუშავებული რეალიზმი, ყოფითი ნიშარტლის, ეპო-

ნოდარ გურაბანიძე
დიდი ხელოვანი

ქისა და ხასიათების შესატყვისი ღვთაებების რეალობა; მისტიკური ჩაღრმავებულობა, სუბიექტურ განწყობილებათა ფსიქოლოგიაში, სიმბოლური განყენებულობა და მასთან დაკავშირებული პირობითობა, პლასტიკა და ზეზუნებრივი ტონი — და მათი შეერთება შექმნა ახალ რეალობა. ამგვარი წარმოდგენა შეგვიქმნის ყალბ ილუზიას და შინაგან კავშირს დაუკარგავს მისი შემოქმედების ევოლუციას. სინთეზური თეატრის იდეამდე იგი მრავლის ერთად ქცევის ორგანული გზით მივიდა. ეს ერთი მრავალფეროვანი, მრავალწახანოვანია, სწორედ მრავლის შემცველი. კ. მარჯანიშვილის ფრაზა — ჩვენ ილუზიური მთხრობელები ვართ — გულისხმობს ახალ თეატრალურ სინამდვილეს, რომელიც საფუძველს პოულობს ცხოვრების რეალობაში, ეპოქის პრობლემებში, საზოგადოების განწყობილებებში და მალდდება პოეტური წარმოსახვით, მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობის მინიჭებით. ამგვარად, სინამდვილე წარმოგვიდგება სახეცულოდ, მისი უმთავრესი, პოეტური სულით. იგი განსაკუთრებულად გრძნობდა თავისი შემოქმედების მზალყოფნას აფეთქებისათვის, თვისობრივად ახალი ნახტომისათვის და ეს მოხდა მაშინ, როცა იგი სამხატვრო თეატრის რეჟისორი იყო, და დამოუკიდებლად დადგა კ. ჰამსუნის „ცხოვრების ბრწყინებში“.

აი, ყველაზე პოეტური და გულშიაღწევდომი მისი სიტყვები „მეზარალებიდან“: „მე ვგრძნობდი, როგორ იღვიძებდა სულში ჩემი სამშობლოს მზე, როგორი სიმშავით ამოძრავდა ჩემს ძარღვებში სისხლი, ქართული სისხლი!“

მადლობა დიდ რუსეთს, მან მომცა ვაგების უნარი, მან შემაძლენდა ჩაქვრდომოდ ადამიანის სულის საიდუმლოებას; ეს გააყვითა დოსტოვესკიმ! მან, რუსეთმა, მასწავლა მე ცხოვრებისადმი ცქერა შეგინიდან, ჩემი სულის სიღრმეიდან; ეს გააყვითა ერუბელმა მან მასწავლა მე ჩემს მკერდში დაუცხრომელი კენესატრიოლის მოსმენა. ეს გააყვითა სკრიპინმა. მადლობა მას, ჩემს მეორე სამშობლოს, მადლობა მშვენიერ რუსეთს. მან არც ერთი წუთითაც არ შეანელა ჩემი კახური სისხლი, დედაჩემის სისხლი. მისმა საუცხოო სუსხიანმა ღრუბრმა არ ჩაჰკლეს ჩემში მოგონებანი ჩემი მთების მხურვალე ქვებზე. მისმა მომბიძველმა თეთრმა ლაქებმა ვერ გათქვიფეს სამხრეთული ხავერდისებური, წყრილა ვარსკვლავებით უხვად მოფენილი მუქი ცის სისქე. მისმა მშველმა გულყეთილობამ ერთი წუთითაც არ შეანელა მშობლიური რიტმები, ქართული ტემპერამენტი, ფანტაზიის თავაწყვეტილი აღმაფრენა, — ეს მომცა მე ჩემმა პატარა, ჩემმა საყვარელმა საქართველომ.

ქუშმარტიად რომ, რაც აქამდე შემეძენია, მთელი ჩემი სცენური შემოქმედება, იყო რუ-

სული, რუსეთისაგან მიღებული, მაგრამ მისი კეთილმადღერი აღზრდა მთავრდებოდა და მე გამოვდიოდი დამოუკიდებელ გზაზე. ჩემი მთავარი ტად, რომ „ცხოვრების ბრწყინებში“ ეს იყო ჩემი პირველი ქართული სპექტაკლი...“

მართლაც, ეს იყო სპექტაკლი, სადაც პირველად ასეთის ძალით გამოვლინდა მარჯანიშვილის ცხოველყოფილი ოპტიმიზმი, მისი სამხრეთული ტემპერამენტი, რიტმულობა, მუსიკალობა, პოეტური ბუნება, სიცოცხლის სიყვარული. სპექტაკლი საესე იყო თვალისმომხილელი ფერებით, და ამ ფერების „ღრამატურგით“, სინათლის თამაშით, თამაში მიზანსცენებით, პოეტური მეტყველებით: ამ სპექტაკლთან დაკავშირებით ითქვა ფრაზა, რომელიც, შემდგომ, მარჯანიშვილის მრავალი სპექტაკლის დევიზად შეიძლება გამომდგარიყო — ეს არის თეატრის „სრული რეთეატრალიზაცია“ (სამხრისპირად დეთეატრალიზაცია), „ხელთეატრის დიდი დღესასწაული“. და ეს გააყვით ჰამსუნის ამ პეისაში, სადაც მძაფრად, ფსიქოლოგიური სიზუსტითაა გადმოცემული ყველასაგან მიტოვებული და მივიწყებული გმირი ქალის სულიერი ტანჯვა და დრამატიზმი. ამ ქალის არსებაში მან დაინახა სიცოცხლის წყურვილი, სიყვარულის მწველი ფენიანობა და ყველაფერი გაიანათა კაშკაშა ფერებით. საერთო ტონი იყო ზეაწეული, განსაკუთრებული, ირგვლივ ყველაფერი თამაშობდა, იყო მსუბუქი, მიმზიდველი, „მოლიმარი“, ეგზოტიკური — ენოზომ უჩვეულო ნორმების პეიზაჟისა და ნერვოზული ინტერიერებისათვის, სადაც ჭარბობს ნაცარისფერი, მუქი ფერები ფიორღებისა. ამგვარ გარემოში მსახიობები ვერ ილბარაკებდნენ ჩვეულებრივად თუ არა მკვეთრად, ლამაზად, გამოუმსახველად. გარემო და მუსიკა აიძულებდა მსახიობებს დაერღვიათ ყოველდღიური სიმართლე, რიტმით აევისო მოქმედება. სპექტაკლში ოთახების ილუზია შექმნილი იყო ყოველი სინათლით განათებული ნაირფერი ფარდებით და ეს ფერი რეფლექსს იძლეოდა ყოველ საგანში და ძლიერდებოდა ქსოვილის ტრანსპონირებით და ცოცხალი ყვავილებით. აქ: ცხადია, მიზანსცენების სულ სხვა პრინციპები იყო საჭირო — ხაზგასმულად პლასტიკური, კომპოზიციური.

ეს სპექტაკლი კ. მარჯანიშვილის შემოქმედების ნიშანსვეტია, ერთგვარი ზღურბლია, რომლის იქით იწყება სრულიად გარკვეული, მიზანდასახული თეატრის შექმნა — არა სპექტაკლების, არამედ სწორედ თეატრის. ყველაფერი ის, რაც ძვირფასი, ახლობელი, განუყოფელი და მისეული იყო, უნდა გადაზრდილიყო, ჩამოყალიბებულიყო როგორც დამოუკიდებელი ხელოვნება, უნდა განცალკევებოდა ძველ თეატრს და მიეღო ორიგინალური სახე. სწორედ ამ მიზნით მან შექმნა „თავისუფალი თეატრი“ —



გრანდიოზული თავისი ჩანაფიქრით, სითამამით, ფერადობით და უჩვეულობით, სადაც თავს მოუყრიდა, ზორს შეასახამდა ყველა იმ იღვას, რაც თვითველს იმ სპექტაკლში სპონტანურად არსებობდა. ეს იყო არა სინთეზური მსახიობის თეატრი მხოლოდ, არამედ სინთეზური თავისი არსით, იღვით. აქ ერთმანეთის გვერდით უნდა ეარსებნა დრამატული ხელოვნების, სანახაობის მრავალ ქანრს: ტრაგედიას, კომედიას, ოპერას, ოპერეტას, პანტომიმას, ბალეტს და ა. შ. ე. მარჯანიშვილი გრძნობდა, რომ ამ ქანრების მხოლოდ თანაარსებობის შედეგად შესაძლებელი იყო სინთეზური თეატრის შექმნა, მაგრამ ეს იქნებოდა მეტაფორულ შევსებულ თეატრი. თავი და თავი ის იყო, რომ სინთეზურობის იღვას უნდა განემსჭვალა ამ ქანრის ყოველი სპექტაკლი, ანუ თვით სპექტაკლი დაფუძნებული უნდა ყოფილიყო მრავალის ერთიანობაზე. ამ ესთეტიკურ პრინციპზე შექმნილი სპექტაკლები კი განსაზღვრავდნენ თეატრის შემოქმედების პროფილს. მას განზრახული ჰქონდა თეატრი გადაექცია მთელი რუსული თეატრის შემოქმედებით ლაბორატორიად (მთელი თეატრალური რუსეთის შემკრები უნდა მას ა. თაბროვს), დაფუძნებული თავისუფალ მხატვართა თანამეგობრობაზე, სადაც ყოველი შემოქმედი გამოავლენდა თავის შემოქმედებით შესაძლებლობას, თავის ნოვატორულ მისწრაფებებს (უეჭველად ნოვატორულს). მას სურდა თეატრალური ხელოვნება დაეხსნა მეშინი მყურებლის გემოვნებისაგან, თეატრი გამოეყვანა იმდროინდელი საზოგადოების მიერ შექმნილი ჩიხიდან. მართალია, ეს ესთეტიკური ამბოხი მან ბოლომდე ვერ მიიყვანა, მაგრამ დრმა კვლი ვააკო რუსეთის თეატრალურ სინამდვილეში. ამ თეატრში დადგმული სპექტაკლები ერთდროულად თავს უყრის მარჯანიშვილის ყველა აღნიშნულ ძიებებს და აღებს კიდევ ახალი თეატრალური სამყაროს კარებს. გენიალური მუსორგსკის ოპერა „სოროჩინის ბაზრობა“ (პირველად დადგმული ამ თეატრში) და სრულიად ახლებურად გააზრებულ ოფენბახის ოპერეტა „შვენიერი ელეზა“ ამ მრავალგვარობის სინთეზი იყო (თუმცა ერთგვარი ეკლექტიზმით აღბეჭდილი). განსაცვიფრებელია ერთი რამ — „სოროჩინის ბაზრობაში“ გაშლილი იყო მრავალფერადი და ქრული საყარო — სამხრეთ უკრაინის ნათელი, კამკამა დღეების ის დღესასწაული, რომელიც ასე აქვს ნაგრობი ნ. გოგოლს. აქ თითქოს ყველაფერი თვალისმომკრეოდ ირეოდა. უკრაინული ყოფის დეტალები — ფერადფერადი ნაჭარკები, მძიებები, ფარდავები, ქრული თავსაღრები, ათასნაირი ტურქული — დოჭები, კახები, ანათებდნენ მზესუმზირის დიდი თავთავები, მზით გახურებული თივის ზეინები; დიდი, ზორზომა ხარები, გა

ქათათებული ქოხები. ეს ხომ ჩვეულებრივი ყოფითი დეტალები — „უქიდურისი რეალობი“ ან უფრო ზუსტად, ნატურალიზმი?! მაგრამ, კარბად, დაუშურებლად წარმოდგენილი ყოფა დიდი ფლამანდელი ოსტატების საკადრისი ძალოსილებით და ჰედონიზმით სუნთქავდა. ეს მოძალებული ყოფითობა — პოეტური ფერადონებით განათებული „სუნთქავდა“, ცოცხლობდა მუსიკის, ვოკალისა და პლასტიკის შერწყმით. მასობრივ სცენებში ხალხი განწყვეტილვ იცვლიდა ადვალს, ფერებისა და პლასტიკური სხეულების უჩვეულ დინამიზმს ქმნიდა. ყველაფერს ამას კი მივნილან ომბორი ანათებდა. ცხელია, გარეგნულად სპექტაკლი თითქოს რჩებოდა ყოფითობის სფეროში, მაგრამ ამავე დროს არსით, ბუნებით იყო განსაუფრებული. „ცხოვრების უკეთესი სურათი ევროპის არც ერთ სცენაზე არ მიიხავს. აქ ყველაფერი მშვენივრადაა შეგუებული სპოვრებასთან, თითოეული პერსონაჟის ხასიათთან და ფსიქოლოგიასთან“ თქვა ემილ ვერპარნმა. ამ უმდიდრესი პალიტრის გვერდით, ოფენბახის „შვენიერი ელეზა“ — ერთ-ერთი უპირველესი სპექტაკლი საერთოდ საოპერეტო ქანრში და ე. მარჯანიშვილის იღვებით შთავონებული პანტომიმა „პოერეტას საბურველი“, „ყვითელი კოფთა“... უთუოდ, ეს დღესასწაულებრივი, მოზიემ ხელოვნება ჰქონდა მხედრობაში ა. ლუნაჩარსკის, როცა აფასებდა ე. მარჯანიშვილის მოღვაწეობას რევოლუციური რუსეთის სცენაზე. „მარჯანიშვილის სხე ამ ფონზე ძალიან მკვეთრად გამოისახა. იმ დროს, როცა სხეები ეძიებდნენ უაღრესად დახვეწილი ფორმებისა და ნოყანების თეტრს, ეძიებდნენ ზედმიწევნით ნატურალიზმის ახალ ფორმებში, მარჯანიშვილმა თავის სამხრეთულ ქართულ ტემპერამენტთან ერთად მოიტანა, უპირველეს ყოვლისა, სიახლე, ნათელი ფერები, რეალობა და როკორე რევისორი უცებ გამოიკეთა, უცებ შექმნა საკუთარი მე, რომელიც სრულიად არ შეესაბამებოდა მაშინდელი ძიების ყველა მხარეს და თავისი საზიემ განწყობილებით, რეალულად არ მინდა იმის მტკიცება, რომ ჩვენ პოეზიის, ფერწერის, თეატრის ფონიდან. მე სულაც არ მინდა იმის მტკიცება, რომ ჩვენ ხელოვნებაში არ გვეყვდნენ კონსტანტინე ალექსანდრეს ძის აზროვნების მონათესავე შემოქმედნი. ეკვატრეშუა, გვეყვდნენ ხელოვნების სხვა სფეროებშიც, უმთავრესად კი სამხრეთელები, წინააზიის ქვეყნების მკვიდრნი, რომლებიც არცთუ იშვიათად ავლენდნენ ასეთივე მხატვრულ და მუსიკალურ ტემპერამენტს“.

რევოლუციამ, რომელიც ე. მარჯანიშვილის

ნოდარ გურბანიძე
ლიდი ხელოვნანი

მთელი შინაგანი არსის, მისი თეატრალური ტემპერამენტის თანახმივრი იყო, უმნიშვნელოვანესა როლი შეასრულა მისი შემოქმედებას განვითარებაში, შეიტანა მის სპექტაკლებში რომანტიკულ-გამირთული, ღრმად მოქალაქეობრივი, პათოსი. კ. მარჯანიშვილი ვახდა ავტორი პირველ რევოლუციური სპექტაკლისა «ცხვრის წყარო», კიევი, 1919 წ.), რომელიც თეატრის ანალებში შევიდა «ლევინდარული სპექტაკლის» სახელწოდებით. აქ პირველად გამოჩნდა ხალხი, რომელიც ბრძოლით იცავს თავის უფლებებს, ებრძვის ტირანის, აპარცებებს მას და გამარჯვებას ზემოებს. ერთიანი, მოქალაქეობრივი აზრით შეკავშირებული ესპანელი გლეხების ბრძოლა, მათი ენთუზიაზმი, გმირობა, თავგანწირვა ზუსტად შეესაბამებოდა იმდროინდელ განწყობილებას. სპექტაკლის ორი პლანი — ხალხის ესპანეთი — მხიარული, ცოცხალი, მჩქვფარე, უშუალო და ამაყი, ერთი მხრივ, და ვაქცევებული, მართონეტული, ყალბი, ეფემერული ესპანეთი მონარქიისა, მეორე მხრივ, გამოხატავდა უმძაფრეს კონფლიქტს, რევოლუციურ კონფლიქტს, რომელიც ანგრევს, უაყროფს ძველ სამყაროს და იწყებს ახალი სამყაროს შენებას მის ნანგრევებზე. ეს კონფლიქტი პლასტიკურად იყო განხორციელებული სცენურ მოქმედებასა და ვაგორებებში. ხალხის და მისი შეილების ლაურენსის, ფრონდოზის, მენგოს მოქმედება იყო ალღა, თავისუფალი, «მუსიკალური», ხოლო სამეფო კარის მსახურთა მოქმედება სტილიზებული, შებოკილი, კონტრულული. სცენაზეც ასევე «ორი» ესპანეთი იყო გამოსახული — მცხუნვარე, ფერადოვანი და რიტმული პეიზაჟი (მწველი მოყვითალო-მოწითალო კოლორიტი, თითქოსდა ცეცხლის ენებით ალოკილი ქონგურები, ფონზე კი მწვანეში ჩაფლული წითელ-კრამტიანი საზღვები) და ლურჯ-მომავა-მონაც-რისიფრო გამაში შესრულებული მთავრ ფარღა, რომელიც ფარავდა მეორე სცენას — ამა ქვეყნის ძლერათა სამფლობელის. ს. იუტკევიჩის თქმით, ამ ორ, სტილისტურად სხვადასხვანაირად გამოსახულ სამყაროს ხელოვნურობის ნატამალიც არ ეცხო. «თავისი ნიჭისა და ინტელიციის წყალობით მან სწორად იპოვა ის ზღვარი, თეატრალური პირობითობის ის დერიტა, რომელიც თუემც თავისი არსით გროტესკული იყო, ზუსტად გამოხატავდა რევისორის სატირულ გამინუნლობას», «კიევიმ იხილა «ფუნენტე ოვეზუნა» და სოლოვოვის ძველი თეატრის დარბაზში შეიჭრა ქარიშხალი» (ი. ერენბურგი), «ეს იყო თეატრის აყვავება, შეუძლებელი რევოლუციამდე, უცხოური თეატრების უდიდეს მიღწევებზე აღმატებული. ხელოვნების აღმავლობაში აისახა ახალი ეპოქის ცხოვრების აღმავლობა. მარჯანიშვილმა რევოლუციური გზების სპექტაკლი შექმნა» (გ. კოზინევი). აქამდე უჩვეულო ენთუზიაზმი

ეგრეთებდა სცენასა და აუდიტორიის ურთი-
ბული მაცურებელი «ინტერნაციონალის» სიმ-
ღერთ იშლებოდა ხოლო წითელ-მწვანე-
თეატრიდან პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ
რევიტარადიწი წინააღმდეგ საბრძოლვე-
ლად. ასეთ ფაქტს თეატრის ისტორია არ იც-
ნაბს. ამ სპექტაკლმა უდიდესი როლი შეას-
რულა საქოთა თეატრის ისტორიაში, ეს იყო
ხელოვაების პირველი რევოლუციური ნიმუში,
სადაც ბელუარე ეპოქის სულსკვეთება გა-
მოხატა, ამავე დროს «ფუნენტე ოვეზუნა»
თვით კ. მარჯანიშვილის შემოქმედების ერთ-
ერთი მწვერვალია, რომელიც ასრთივად ნა-
თელყოფს რევისორის იდეურ სიმწიფეს, მის
რევოლუციურ ტენდენციას, რაც შემოქმედის
შინაგანი თავისუფლების ბუნებრივი გამოვლ-
ნა იყო, რევოლუციის ტალღამ აიტაცა მარჯა-
ნიშვილი და ამ სიმალიდან მან მთელი სამყა-
რო დაიწვია. ეს არის მთავარი მის რევისო-
რულ მოღვაწეობაში.

უდიდესი გამოცდილებით დაბრძენებული
დაბრუნდა (1922 წ.) გვი რევოლუციური რუ-
სეთიდან საქართველოში, სადაც ვასული ათუ-
კუნის მიწურულთა თავისი სასცენო მოღვაწეო-
ბა დაიწყო როგორც მსახიობმა.

ვანუზომელია მისი დამსახურება მშობლალ-
რი სცენის წინაშე. ჩამორჩენილი, თითქმის
აგონიით შეპყრობული ქართული თეატრი ერ-
აბდაშიად აიყვანა ევროპულ დონეზე — და მხო-
ლოდ ერთი ათეული წლის მუშაობის შემდგ
საყოველთაო სახელი მოუხვევა.

მისმა რეფორმატულმა მოღვაწეობამ მთლა-
ნად მოიკცა თეატრის ყოველი კომპონენტი.

კონკრეტულად მაინც რაში გამოხატა კ. მარ-
ჯანიშვილის ისტორიული მისია?

უპირველესად, მან საესეებით გამოამხუტრა
ქართველი ხალხის თავანკარა თეატრალობა,
მზა მიღრეკილება რომანტიკული სანახაობი-
სადში, ისტორიის ქარცეხებში გამოვლილი და
გამოწრთობილი პოეტური სული.

მისი პირველივე ნაბიჯი მრავლისაღმთქმელო
იყო. 1922 წლის 25 ნოემბერს წარმოადგენილი
«ცხვრის წყარო» ქართული თეატრის ისტ-
ორიამ შევიდა, როგორც მისი ალორისების,
გაწახლების უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ეს
პიესა მას საშუალებას აძლევდა ქართული
თეატრი უზიარებინა რევოლუციურ-რომან-
ტიკული სულისკვეთებისათვის და, ამავე დროს,
შექმნა სიმფონიური წყობის სპექტაკლი, რა-
თა ერთაწაწად ეჩვენებინა ქართველი მსახიო-
ბის ბუნებრივი ნიჭიერება — მისი პლასტი-
კურობა. მუსიკალობა და ტემპერამენტი.
სპექტაკლი, რომლის გაახრებაში მას არსებო-
თი ხასიათის ცვლილება არ შეუტანია, თეატ-
რალობის თვალსაზრისით მაინც განსხვავებუ-
ლი იყო. აქ უფრო გამამაფრებული იყო ფერე-
ბი, ერთი ტონით ამაღლებული მისი საერთო
ფლერადობა, რომანტიკულ პათოსს ბუნებრივი



პლასტიკა და ტემპერამენტი უფრო ცხოველ-
ყოფილს და ადგილებს ხდიდა. მისი საუ-
კეთესო სექტატალებში ბევრი რამ იყო პო-
ეტრი, რომანტიკული და ყოველთვის იგრანო-
ზოდა სწრაფვა გმირული თეატრისაკენ“
(უ. ჩხეიძე).

შემდგომ, რა ქანრისა და მიმართულებების პიე-
საც არ უნდა დაედვა კ. მარჯანიშვილის, რა
ბრწყინვალე თეატრალური ფორმაც არ უნდა
მიენიჭებინა მისთვის, სექტატალის საუფუკე-
ლო, მისი მხატვრულობის ექვივალენტი მხო-
ლოდ და მხოლოდ მსახიობის მართალი გრძნო-
ბა იყო. ძნელია უფრო პირობითი-პოეტური
ფორმის წარმოდგენა, ვიდრე ეს იყო მის
„ურთულ აკოსტაში“ — მაგრამ, აქ სცენური
სიმართლე არასდროს ვადალიოდა ყალბ ნატი-
ონებში, „პოეტური“ განწყობებულობაში.

მკვიტრ, დიდი ინდივიდუალური ნიჭი და-
ყრდნობილი ქართული თეატრი მან კოლექტიუ-
რა შემოქმედების ერთიანობას, საერთო „ზე-
მოყანას“ დაუშორებია. და თუმცა მანვე აღ-
ზარდა უდიდესი ნიჭის მსახიობები, ანსამბ-
ლურობის, სცენური ხელოვნების ყოველი შე-
მდგენელი ნაწილის ზუსტი „ჩასმის“ პრინ-
ციპი მისთვის შეურყეველი იყო. რასაკვირვე-
ლია, იმის თქმა, რომ ქართული თეატრი მანამ-
დე არ იცნობდა ანსამბლურ სექტატალებს, არ
იქნება სწორი, მაგრამ „ანსამბლი“ არ ნიშნავს
ყველა ელემენტის მარტოოდენ „შეხმატებულე-
ბას“. იგი უფრო ფართოდ ესმოდა მარჯანი-
შვილს. მისთვის ეს იყო ესთეტიკური კატეგო-
რია — შემოკლები პიესის ერთი მთლიანი ფი-
ლოსოფიური და ზნეობრივი აზრის (ხოლო ეს
აზრი — უშუალოდ თანამედროვე საზოგადო-
ებრივი ცხოვრების თანამიერები და გამოხატ-
ველი). ამის გარეშე იგი ესთეტიკ იქნებოდა
მხოლოდ. რასაკვირველია, მარჯანიშვილი დიდი
ნიჭის, ფანტაზიის და ინტუიციის რეჟისორი
იყო. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ად-
ვილი ეჭირა ცოცხალ იმპროვიზაციას, მაგრამ
ყოველთვის ზედავდა და ითვალისწინებდა სე-
ზოლოდ მიზანს, რომელიც მის შინაგან სამყა-
როში მომწიფების შემდეგ აღარ ემორჩილე-
ბოდა ეფემერულ შთაბეჭდლებას. მან უჩვეუ-
ლოდ გაზარდა ქართული თეატრის მნიშვნე-
ლობა, აზიარა რუსეთისა და ევროპის თეატრალ-
ური კულტურის მიღწევები — დაერვა ახალი
თეატრალური ფორმები, აამლა სცენური
ტექნიკის ყველა ელემენტი, საზოგადოებრივი
აზროვნების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად
აქცია იგი. ცხადია, კ. მარჯანიშვილი სრულიად
დაცო არ ახდენდა მის მიერ რუსულ თეატრში
შექმნილი ფორმებისა და თეატრალური ხერ-
ხების მექანიკურ „მყნობას“ ქართულ ნიადაგ-
ზე. იგი, უპირველესად, ქმნიდა ეროვნულ,
ქართულ თეატრს „ თავისი ეროვნული ტემპე-
რამენტიით, თავისი ეროვნული რიტმით, ეროვ-
ნული ესტილთ და ექსპრესიით“ (უ. ჩხეიძე),

— თეატრს, ღრმად დაკავშირებულს ხალხის
ტრადიციებთან და თანამედროვეს ერთსა-
იმვე დროს. ამ თეატრის არსი იყო ინტერ-
ციონალიზმა, ჰუმანიზმი, რევილუციური ოპ-
ტიმიზმი.

კ. მარჯანიშვილი დაძლია ძველი სცენის
მთელი რუტინა, პროვინციალიზმი, ეგზოტრიკე-
რობა, ეთნოგრაფიული კარჩაყეტილობა. „მარ-
ჯანიშვილიმა განავითარა არა უბრალოდ ქართუ-
ლი ეროვნული თეატრი, არამედ რევილუციო-
ური პროლეტარული ქართული თეატრი და ამ
თეატრს მიანიჭა ყველაზე მახვილი ფორმები.
იგი რუსეთისა და საერთაშორისო მხატვრულ
დრამატურგიაში ეძებს იმ პიესებს, რომლებიც
პასუხობენ ჩვენს თანამედროვეობას, რომლებიც
ჩვენი ეპოქის თანამიერნი არიან. იგი
მისწრაფვის თანამედროვე დრამატურგები იმ-
გვარად წარმოგვიდგინოს, რომ პატარა თეატრ-
რალური სექტორი ვალაქციოს ტრიბუნად,
რომელიც უპასუხებს ჩვენს დროში გაშლილ
მოვლენებს და ხელს უწყობს ამ მოვლენე-
ბის შემდგომ განვითარებას“ (ა. ლენინარსკი).

სამართლიანად აღნიშნავს დ. ანთაძე, რომ
ქართული თეატრის აღორძინება განაპირობა
სამამ ძირითადმა ფაქტორმა — განახლებული
საქართველოს რევილუციურმა ვითარებამ,
კ. მარჯანიშვილის გენიამ და ნიჭიერმა ახალ-
გაზრდობამ. ის ენთუზიაზმი, გაქანება, მასშტა-
ბის გრძობა, რომელმაც მთელი ქართველი
ხალხი მოიკვია, კ. მარჯანიშვილის შთაგონებამ
ახალ წყაროდ იქცა. მისი ყოველსმომცველი
შემოქმედებითი ბუნება ასეთ აღმავლობას
ელოდა. საუკეთესო სექტატალებში ცხოვრე-
ბის მოვლენებში აისახა გუნდობა და მძაფრად,
მძაფრად, მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ას-
პექტი. მაგრამ ეს აზრი, იდეა პოეტურად
გულწრფელი და ამაღლებული იყო ამავე დროს.
„დიდი იდეები ფრთებს ახამენ სცენას
ბრწყინვალე და ხალხიანი ფურებით“. მისი
„პამლეტი“ და „ურიელ აკოსტა“, „პოლი-
ჩენი ვცოცხლობთ!“ და „ყვარყვარე თუთაბე-
რი“, „ბეატრიჩე ჩენი“ და „კვალ გულში“ ამ
აზრის ნათელი დადასტურებაა.

„აზრების, გრძნობების ახალი შერწყმა, სხვა-
დასხვა თაობის მსახიობთა ასეთი ერთიანობა
ქართული თეატრისათვის აქამდე უცნობი იყო.
ქართული თეატრში პირველად აქედრდა მთლი-
ანი სექტატალი, სადაც აქტიორული ანსამბლი,
დეკორაცია, მუსიკა, ვანათება — ყველაფერი
დამორჩილებული იყო ერთ აზრს, ერთიან ნე-
ბას, რომელიც ნაწარმოების იდეას ხსნიდა.
მარჯანიშვილიმა თეატრში შემოიტანა ახალი
შინაარსი, ჩვენი სცენა გახდა საღელსასწაულოდ
მორთული, ბევრი მუსიკის ხმებით, ათამაში

ნოზარ გუარაბანიძე
დირიჟორი

ათასგვარი ფერით, ყოველმა დეტალმა შეიძინა დიდი მნიშვნელობა, ცხოველყოფილობა. სიცოცხლის სიხარული შეიტანა მარჯანიშვილმა ქართულ თეატრში“ (ვ. ანჯაფარიძე).

ახლა განსაკუთრებული სიხალღით ჩანს კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის ყოველი ასპექტი. ფაქტურად მან შექმნა ახალი სამსახიობო და სარეჟისორო მიმართულება, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ კარტე მარჯანიშვილის სკოლა. მან აღზარდა რეჟისორების, მხატვრების, დრამატურგების, კომპოზიტორების მთელი თაობა, რომლებმაც შემდგომ ქართული თეატრის განვითარების სიმამფრე იტვირთეს.

კ. მარჯანიშვილმა დაძლია არა მარტო ძველი თეატრის ესთეტიკურ-მხატვრული შეზღუდულობა, არამედ საზოგადოების ვარკვეული ნაწილის ნაციონალისტური ტენდენციები, ტრადიციის ბრმა თაყვანისცემა და ბოლოს იმათი უნდობლობა და სკეპსისი, რომელთა აზრით, ქართული თეატრის ბედი ტრაგიკული იყო.

„ცხვრის წყაროს“ დადგმით მან არა მარტო თეატრის შინაარსი, არამედ მისი ფორმის რეფორმა მოახდინა. ეს ძირითადი კონსტრუქციული იდეა წარმართავდა მთელ მის შემდგომ მუშაობას. თეატრალური ხელოვნება, კ. მარჯანიშვილის აზრით, უნდა რაზმადღის მაცურებელს, აგრეთიანებდეს პროგრესული იდეის გარშემო. მაგრამ ეს იდეა წარმოადგენილი უნდა იქნას „არტიტული ნერვით“ — როგორც თვით ამბობდა. ამისათვის მან მიზნად დაისახა ახალი ტიპის ქართველი მსახიობის აღზრდა. სინთეზური თეატრის მოდელი, რომელიც მისი განუშორებელი ოცნება იყო — ხელახლა იღვამს სულს. დასაყრდენი მან იპოვა ახალგაზრდა მსახიობებში, რომლებიც ადრე შეუცნობლად გრძნობდნენ პროტესტს ძველი თეატრის მიმართ, და მხოლოდ ლიდერს ვლოდნენ, რათა მის ირგვლივ დარაზმულიყვნენ.

თავისი საყვარელი ფორმულა — თეატრის სიხარული უნდა მოქმედდეს მაცურებლისათვის, — მან გაამდიდრა ახალი აზრით. პირველ რიგში, თვით მსახიობი უნდა განიცდიდეს თეატრალურ, არტიტულ სიხარულს, რომელიც შემდეგ გადაიქცემა მაცურებელთა დარაზნს. სწორედ ამ შემოქმედებითი სიხარულით იყო განმსჭვალული ყოველი მისი სპექტაკლი.

მან შეძლო შექმნა სინთეზური თეატრი. მის მიერ აღწერილი ერთი და იგივე მსახიობები თამაშობდნენ ტრაგედიას („ცხვრის წყარო“, „ჰამლეტი“, „ურიელ აკოსტა“) ყოფიის და სატირულ კომედიას („მზის დაბნელება საქართველოში“, „დუხერტიკა“, „კაკალ გულში“, „ყვარყვარე თუთაბერი), პანტომიმას („მზეთამაზე“), ოპერეტას („მასკოტა“). ამ ქანრობივე მრავალმხრივობის შესაბამისი იყო სტილისტური მრავალფეროვნება და ორიგინალობა. პერიოდული „ცხვრის წყაროს“ შემდეგ

სიენაზე ძველი თბილისის ყოფა გაიკვირდა („მზის დაბნელება საქართველოში“), რეჟისორი სიმამფრით, ფერებით, კონტრასტული კომპოზიკური დეტალების პარმონით, რაც აქამდე უცხო იყო ძველი თეატრის ყოფით-კომიკური სპექტაკლებისათვის, სადაც ჩვენი კორიფეები მონაწილეობდნენ. სოციალური მოტივები მან წარმოსახა სწორედ ამ „ვადარეულ“ თბილისურ ფონზე — ხმაურთან და ხალისით სავსე ვიწრო ქუჩებში თუ ბაზარში, სადაც პრელი ხალხი მოქმედებდა, გაყვიროდა, ვაჭრობდა, თაღლითობდა, ოინაზობდა, თვალთმაქცობდა. ეს ქანრული პიესა მან აავსო ტოვრების ხმებით, სიცოცხლის დინამიზმით და ამით ვაზარდა მისი მხატვრული და სოციალური მნიშვნელობა.

კლასიკური პიესების ვააზრებისას იგი ყოველთვის წინ ერთ ძირითად მოტივს წამოსწევდა ხოლმე. ბრწყინვალე სპექტაკლები „ჰამლეტი“ და „ურიელ აკოსტა“ მკიდრად დაუახლოვა თანამედროვეობის მღელვარე პრობლემებს. ჰამლეტი ეს იყო გამოხატველი, არა მარტო რენესანსულ სამყაროში წამოჭრილი უმძაფრესი კონფლიქტების, არამედ ჩვენს სინამდვილეში მიმდინარე ბრძოლის პროცესისაც, სადაც ერთმანეთის პირისპირ იდგა ახალი და ძველი სოციალური თუ საზოგადოებრივი მოტივები. კ. მარჯანიშვილის ჰამლეტი იყო წმინდა, აძლეულებელი სულის ჰამლეტი, რომელიც იდგა ძველი და ახალი ეპოქის მიჯნაზე. იგი კარგად ხედდადა ძველი დროის ყველა უსამართლობას, ლესპოტიზმს, სულსშემზოვრულ ამომსვეროს და მზად იყო მის წინააღმდეგ ამხედრებულყოფი. მაგრამ მისი ტრაგიკი იმში მდგომარეობდა, რომ ნათლად ვერ წარმოედგინა ახალი სამყაროს მთელი არსი, ვინაიდან თვით ეს სამყარო, ჭერ კიდევ არ იყო „ფორმირებული“.

კ. მარჯანიშვილი მიმართავდა ჰამლეტის როლის შემსრულებელს — უშ. ჩხვიძელს — უბირველესად რე მინდა, რომ შენი ჰამლეტი იყოს ადამიანი.

არ შეიძლება არ ვერწმუნოთ მის სიმართლეს და სიწმინდესო. სპექტაკლისა და მთავარი გმირის ამგვარი ვააზრების შედეგად უღრესი რელიეფურობით გამოიყვანა — მეორე, ბნელი სამყარო, სამყარო კლავდიუსისა, რომელიც განასახიერებს ბოროტების მთელ კომპლექსს — მიმართულს ჰამლეტის წინააღმდეგ. ამ ბნელი და ნათელი სამყაროს მიჯნაზე იყო თითქოსდა ჩვენი თანამედროვე ჰამლეტი, ინტელიგენტი, რომელიც „ყოფნა-არყოფნის“ მწვავე საკითხებს ჩაუფიქრებია, და ამ უმთავრესი საკითხის საიდუმლოს ახსნას ცდილობს არა მხოლოდ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ კონფლიქტებში, არამედ საკუთარ არსებშიაც. ამგვარად, ჰამლეტი ერთდროულად გამოხატავდა ისტორიულ და პიროვნულ კონფლიქტს, მას



ამ კონფლიქტის შეცნობის, მისი გაზრების
ძალა შესწევდა. ორი დაპირისპირებული სამყა-
რო თვალნათლივ იყო წარმოდგენილი სცენა-
ზე — კლავდიუსის ირგვლივ ტრიალებდნენ
ფეხი, „მუტატორული“ ადამიანები, მლიქვნე-
ლები, კარიერისტები, ჯამუშები — ხოლო
ჰამლეტის სამყაროს განასხივრებდა კეთილ-
შობილი, ლამაზი, პოეტურად ძლიერი სულის
ადამიანი — ოფელია (ვ. ანჯაფარიძე).

ეს ტრაგიკული სპექტაკლი ოპტიმისტური
სულისცეფთებით, ჯანსაღი მსოფლშეგარებით
იყო გამსჭვალული და მყურებელი ჰამლეტის
სახით ხედავდა განახლებული ქვეყნის მოქალა-
ქეს, რომელიც ისტორიული კონფლიქტის
მსხვერპლი გახდა.

ასევე მძაფრად იყო გააზრებული კ. მარჯანი-
შვილის მეორე კლასიკური სპექტაკლი „უბრელ
აოსტა“, სადაც რაბინების გამძვინვარებულ
რელიგიურ ფანატიზმს მან განსაკუთრებული
სიკბადით დაუპირისპირა ურთიელისა და ივდი-
თის ანტირელიგიური, თავისუფლებისმოყვარე,
პუმანისტური სული. განსაკუთრებული მას-
შტებით იყო წარმოდგენილი ეს კონფლიქტი.
რაბინების სახით არა მარტო რელიგიური ფა-
ნატიზმი იყო გამოიშვლებული, არამედ ის ძა-
ლები, რომლებიც სოციალურად თრგუნავს
ხალხთა მასებს, ნათელი ვენებისა და ნათელი
სიკოტელის საწყისებს ძირშივე ახშობს. ხო-
ლო ურთიელ და ივდიითი ფაქტიურად გამო-
დიოდნენ არა მხოლოდ რელიგიური ფანატიზ-
მის წინააღმდეგ მებრძოლნი, არამედ ხალხის
ჯანსაღი სულის მატარებელი იდეალური გმი-
რები, რომლებიც ისწრაფვიან ყოველგვარი
ბნელი ძალებისაგან (სოციალური, რელიგიუ-
რი, პოლიტიკური, საზოგადოებრივი) დაიხსნან
ხალხი.

მთელი ეს ტრაგიკული კონფლიქტი დიდი
პლასტიკური სიკბადით იქნა წარმოდგენილი.
სტილიზებული (როგორც მსახიობთა შესრუ-
ლება, ასევე მხატვარ პ. ოცებლის გაფორმება),
პირობითი მანერა, აბსოლუტურად თავისუფა-
ლი ყალბი პათოსისაგან, პოეტური სულისცე-
ფებით იყო აღსავსე.

მსახიობთა მოძრაობა, მეტყველება, მიხან-
სცენები, სკულპტურული ჩაფხები ლამაზი და
შეამბეჭდავი იყო არა თვითმიზნურად, არა-
მედ თავისი მეტაფორულ გამომსახველობით,
აზრის პლასტიკური ანალოგის სიზუსტით.

„უბრელ აოსტა“ მისი ყველაზე ლამაზა-
რული და პოეტური სპექტაკლია, სადაც უბრელ
რესად ქუჩის სამუშაოებებით, დიდი თესტა
ლური ეფექტია მიღწეული.

კ. მარჯანიშვილი გრძნობდა, რომ თეატრის
სამი ძირითადი კომპონენტისგან (მსახიობი,
მყურებელი, ავტორი) სავრთო განვითარებას
ჩამორჩა ერთი მნიშვნელოვანი დრამატურგია. თეატრში
მოვიდა ახალი, რევოლუციური და რომან-
ტიკული ერთობაშია ალსავე მყურებელი,
რომელიც აქ ეძებდა სულიერ საზრდოს, თავი-
სი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამოშმატ-
ველ იდებებს; თეატრში აღიზარდა ახალ სას-
ცენო ტექნიკას დაუფლებული სინთეზური მსა-
ხიობი. ეს პროცესი ვითარდებოდა თანამედ-
როვე ეროვნული დრამატურგიის ვარშე, ძი-
რითადში ქართული და დასავლეთის კლასიკურ
ნაწარმოებთა საფუძველზე. ქართული თეატრი
მზად იყო ყველაზე რთული დრამატურგიული
ნაწარმოების სრულყოფილი დადგმისათვის
(შენაწილად რეჟისურა, ვაჟვრთნილი დასი,
ნიჭიერი მხატვრები და კომპოზიტორები) და
მით უფრო შეეცაველ დგებოდა თანამედროვე
ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებების სცენუ-
რი განხორციელების პრობლემა ამ მიმართუ-
ლებით კ. მარჯანიშვილმა დიდი შემოქმედებ-
ით ინიციატივა და აქტიურობა გამოიჩინა. მი-
სი უშუალო ზელშეწყობით საფუძველი ჩაეყა-
რა და განვითარდა ახალგაზრდა ქართული
დრამატურგია (პ. კაკაბაძის „ლისაბონის ტუ-
სალები“ და „ყვარყვარ თუთაბერი“ — კლასი-
კურად სრულქმნილი კომედია; შ. დადიანის
„კაკალ გულში“, კ. კალაძის „როგორ“ და
„ხატიკე“, ა. ქუთათელის, დ. შენგელაის პიე-
სები), და თეატრის ეროვნული ფორმა ახალი
შინაარსით აივსო.

ამ დაუცხრობელი შემოქმედის, რომელიც დაუ-
შტრებლად ვასცემდა თავის უხვ ტალანტს,
სიყვდილმა მოუსწრო სრული შემოქმედებითი
აღმავლობის დროს. როგორც მწერალი ლევ
ნიკელინი ამბობს, მას შეეძლო თავისი ცხოვ-
რება დასრულებდინა წყნარად, უშფოთვლად,
ნებნისმიერი დიდი თეატრის მთავარი რეჟისო-
რის სავარძელში მოწვევებულს, მაგრამ მისი
ბოზოქარი ბუნება მარადიული შემოქმედებითი
წვისათვის იყო მოწოდებული და მთელი თავი-
სი სიკოტელის მანძილზე, შეწენებული სოლნე-
სის დარად, ავებდა ცაში იტყორცნილ ჯადოს-
ნურ კოსმებს.



გუგამ გუგარნითელი

ახალი პორიზონტი თუ ძველი?

ლადო ავალიანმა დაასრულა თავისი მრავალი წლის მუშაობა რომანზე „ახალი პორიზონტი“. ამ რომანის სამივე ტომში 1971 წელს ერთ წიგნად გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“. თუმცა, მუშაობა დაასრულაო რომ ვამბობ, ეს იქნებ არც იყოს სულ სწორი და ავტორი შეიძლება კიდევ მოუბრუნდეს ამ მისთვის უაღრესად მნიშვნელოვან ნაწარმოებს. ლადო ავალიანი მოთხრობებისა და ნოველების ავტორიც ვახლავთ, მაგრამ დღემდე მისი შემოქმედების მთავარი ნაყოფი მაინც „ახალი პორიზონტი“ და, ვინ იცის, ეგებ კიდევ განავრძოს მასზე მუშაობა, რომ შეძლებისდაგვარად უფრო სრული, მთლიანი, მხატვრულად საინტერესო სახე მისცეს. მით უმეტეს, რომ ამ რომანს, ჩემი აზრით, არსებითი ხასიათის ხარვეზებიცა და შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი, თუმცა შესამჩნევი ლაესუსებიც საკმაოდ მრავლად დაჰყვა.

ჯერ მაინც ის აღვნიშნოთ, იმით დავიწყოთ, რაც კარგია ამ რომანში, რა წვლილიც შეაქვს მას თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში.

ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თანამედროვე ქართული პროზა, მიუხედავად იმ სიახლეებისა, რაც მას ახასიათებს, თემატურად ბევრწილად ერთფეროვანია. მისი ყურადღება, ისევე როგორც ადრეც, ძირითადად ქართული სოფლისაგენა მიმართული. იმას ნურავენ დამწამებს, თითქოს ამით ქართულ მწერლობას სოფლის სიყვარული მინდა გაუწუნელო. ახალი ყოფა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე ერთი უბნის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. იგი თანაბრადა დამახასიათებელი სოფლისათვისაც და ქალაქისათვისაც, გლეხობისათვისაც და მუშებისა თუ ინტელიგენციისათვისაც. ის პროცესება, რაც ახლა სოფლად ხდება, მართლაც, დიდად საინტერესოა და ქართულ

ლიტერატურას მართებს მათი მხატვრულად გააზრება და წარმოსახვა. ჩვენი თანამედროვე კოლმეურნე გლეხი თავისი მსოფლმხედველობითა და ინტელექტით, სულიერი წყობითა და ინტერესებით, ცხოვრების წესითა თუ მოთხოვნილებით დიდად განსხვავდება მართო ტევოლუციამდელი კი არა, ოციანი და ოცდაათიანი წლების გლეხისაგანაც და ამას თავისი მხატვრული განსახიერება სჭირდება. ასე რომ, ქართული მწერლობის ყურადღება თანამედროვე სოფლის ცხოვრებისადმი სწორედაც გამართლებულია.

ამასთანავე, ჩვენ იმის მოწამენიცა ვართ, რომ საბჭოთა ინტელიგენციის, განსაკუთრებით ტექნიკური ინტელიგენციის, ჩვენი წარმოების მუშაებისა და მუშების ცხოვრება დიდი რომანტიკითა და მიღწევებითაა სავსე. ჩვენი მუშების, ინჟინრების, მეცნიერების, შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრების წარმოსახვა, მათი ხასიათის, სულიერი სამყაროს განვითარებული მხატვრული გახსნა ასევე მნიშვნელოვანი საქმეა საბჭოთა ლიტერატურისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ ქართული პროზა, და თავს უფლებას მიეცემ განცაცხადო, საერთოდ საბჭოთა პროზა, ჯერ კიდევ ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე.

ეს მართო ჩემი შთაბეჭდილება არ ვახლავთ. რუსული და სხვა მომე ერების სალიტერატურო კრიტიკაც ზნირად გამოთქვამს საყვედურს მწერლობის მისამართით ამ მართლაც დასანანი ნაკლის გამო. მით უმეტეს ეს საყვედური ეთქმის ქართულ საბჭოთა პროზას.

სწორედ ამ არსებითი ხასიათის ნაკლის გამო იყო, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ გულისტკივლით გამოთქვა ნაკუთარი უკმარობის გრძნობა. მისი სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობაზე, შემდეგ



საქართველოს
წიგნების
კავშირები

კი დაბეჭდილი „ლიტერატურული საქართველო“ ფურცლებზე (4. II. 1972) ქართული პროზის ჩამორჩენით შემფრთხილებული კაცის ხმა-ზალა ნათქვამი საყვედურია, საყვედურია იმის გამო, რომ ერთ-ერთი მთავარი თემა მეტად დემერტალადაა გახსნილი ჩვენი ერთგულ მწერლობაში.

ამ უკანასკნელ შეიდ-რვა წელიწადში — წერს ე. ლორთქიფანიძე — საქართველოში ბევრი კარგი წიგნი დაიბეჭდა, ბევრი კარგი რომანი და მოთხრობა, მაგრამ ვინმემ რომ არ დაიზაროს და ამ წიგნების მიხედვით შეადგინოს ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომისა და ცხოვრების რუკა, — სურათი მეტისმეტად არასრული, არანამდვილე იქნება. ამ რუკას ძალიან დაკლებდა ჩვენი ერის ერთი დიდი ნაწილი, ურომლისოდაც ქართველი ხალხის აწმყუ და მომავალი არ წარმოიდგინება. უფრო მეტიც, — დაკლებდა სწორედ ის ნაწილი, ჩვენი ცხოვრების მთავარ მამოძრავებელ ძალას რომ წარმოადგენს, მე ვლამპარაკობ საქართველოს მუშათა კლასზე.

მართლაცდა, სამწუხაროდ, საყვედებით უნდა გავიზიაროთ ამ მწარე სიტყვების სიმართლე.

მწერალი ქართული პროზის ამ ჩამორჩენის ერთ მიზეზთაგანს სწორად ზედავს ლიტერატურული ტრადიციების უქონლობაში. ქართული სოფლის თემზე ჩვენ მდიდარი კლასიკური მწერლობის გარდა, მყარი ტრადიციები თვით სბპთთა ლიტერატურაშიც ვაგვაჩნია. ამის დასადასტურებლად იმავე კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და ლეო ტიაჩინის „გვიადი ბიგვა“ იქმარებდა.

ამასთანავე წერტილის ავტორი გულწრფელად შენიშნავს: „ჩვენ იმთავითვე აჩემებული გვექონდა, საქართველო სოფლური ქვეყანაა, ამიტომ მხატვრული მწერლობის მთავარი გმირი სოფლის კაცი უნდა იყოს“.

ამას ახლა სხვა ასპექტიც დაემატა. უკანასკნელ ხანს მომრავლდნენ იმ აზრის მატარებელნი, ვისაც ღრმად სჭერა, რომ ეროვნულ სულსა და ხასიათს სოფელი ინახავს და ამიტომ მთელა თუ არა, ძირითადი ყურადღება მისკენ უნდა იყოს მიმართული. თავს უფლებას მივიცემ ეს თვალსაზრისი ფრიად საექვოდ მივიჩნო და იმ აზრს ვადგე, რომ ეროვნულ სულსა და ხასიათს მთელი ერი ინახავს (ან, უნდა ინახავდეს) და დღეს პასუხისმგებლობა ერთიანად ეკისრება გლეხობასაც, მუშათა კლასსაც და ინტელიგენციასაც. აქ ამბზე სიტყვას არ გავავარქვლავ, რადგან პრობლემა იმდენად სერიოზულია და მტკივნეულიც, სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს, ამიტომ ახლა შეიძლება შორს შეგვიტყუოს საუბარში და წერილის კონკრეტული მიზანდასახულება დაჩრდილოს.

ღიბს, იმას მოგახსენებდით, რომ ლიტერატურული ტრადიციების უქონლობა, ან მეტისმე-

ტი რომ არ გამოვიდეს, მოდი ასე ვთქვათ, სრულსტე და უფერულობა მართლაც ხელს უშლის ქართულ მწერლობას იმ მნიშვნელოვან საქმეში, რასაც მუშათა კლასის ცხოვრების წარმოსახვა, ან კონსტანტინე ლორთქიფანიძის მხატვრული თქმა რომ მოვიშველიოთ, საქართველოს მწერალური რუკის შევსება ჰქვია.

ჩამორჩენის ერთ-ერთი, და შეიძლება გადამწყვეტი, მიზეზი იმაშიც უნდა ვეძებოთ, რომ ჩვენი ცხოვრების ეს მხარე ერთობ რთული და სპეციფიკურია. იმისათვის, რომ წარმოებისა და შეცნიერების მუშაობა, ეთქვათ, კომპლექსური რაიკეტების, ან სხვა ტექნიკური საოცრებების შემქმნელთა შესახებ მხატვრული ნაწარმოები დაწერო, სულაც არ არის საკმარისი ის დილექტანტური ცოდნა, რასაც პრესის საშუალებით ვიძენთ. ამისათვის გაიცლებით მეტი სიღრმეების წვდომაა საჭირო. მართალია, მწერლის მიზანს სულაც არ წარმოადგენს წარმოების პროცესის დეტალურად და შეუშვლადარად გადმოცემა, მას იქ მოშუადე ადამიანების სულიერი სამყაროს გასახს უნდა აინტერესდეს (ამბზე ქვემოთ კიდე ვგვეჩნება კონკრეტულად საუბარი), მაგრამ ეს შეუძლებელია მათი საქმიანობის, ყოველდღიური შრომის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე, რაც თავისთავად გავლენას ახდენს მათ მსოფლმხედველობაზე, მსოფლმშეგრძნებაზე, ხასიათსა და სულზე. ამიტომაც ასე დაბეჭით უჩრევენ მწერლებს უფრო ახლოს იღვენ ხალხის ცხოვრებასთან, იქ ეძებონ თემები და სახეები თავისი შემოქმედებისათვის.

არა მგონია, მაგალითად, მიტჩელ უილსონივით უსათუოდ ფიზიკიდან უნდა მივიღოთ კაცი მწერლობაში, რომ შექლოს თანამედროვე ტექნიკური ინტელიგენციის ცხოვრების მხატვრულად საინტერესოდ ასახვა. ეს არც თუ სწორი საშუალება იქნებოდა მწერლობის შესავსებლად. პირიქით, სწორედ მწერლები უნდა იჭრებოდნენ მათი თანამედროვე ცხოვრების განსაკუთრებით საინტერესო მხარეებში, სადაც ყველზე უკეთ შეიძლება ახალი ადამიანის ფორმირების დაკვირვება. გავიხსენოთ ერთი მაგალითი ამისა: ლეონიდ ლეონოვმა თავის რომანში „რუსული ტყე“ დიდი მხატვრული სიძლიერითაც ასახა თანამედროვე ინტელიგენციის, სავრთოდ საზოგადოებრივი ცხოვრება და, ამასთანავე, მეტად საკომპროტო მეცნიერული და მოქალაქეობრივი საკითხებიც დააყენა. ასევე შეიძლება ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროებშიც ჩაწვდომა, თუკი მწერლები ერთგულად მიუყვებიან დროის მოწოდებას. ის მწერალი, ვინც იოლ გზას არ ეძებს თავის შემოქმედებით ცხოვრებაში, კიდეც აღწევს მიზანს.

იმისათვის, რომ თანამედროვე ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოისახოს,

გურამ ჰვირფიძე
აბალი ჰორიზონტი თუ ძველი?



ქართულ პარზიკოსებს მართებთ უფრო ბე-
ჯითად და გულმოდგინედ ჩეადონ გაარღვიონ
ამ ქანრის ვიწრო თემატური მარჩობის, უფრო
ფართოდ შეხედონ ცხოვრებას, უფრო ღრმად
ჩაუყვირდნენ თანამედროვე საზოგადოებრივი
განვითარების პროცესებს.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში
მწერალთა დიდმა ნაწილმა სამართლიანად აღი-
მალა ხმა იმ ტენდენციის წინააღმდეგ, როცა
ლიტერატურას ვიწრო პროფილის დაკვეთებს
აძლევდნენ, როცა კატეგორიულად მოითხოვდ-
ნენ მხატვრული ნაწარმოები დაწერილიყო სხვა-
დასხვა პროფესიების ადამიანთა ცხოვრებაზე.
ასეთი ვიწრო უწყვეტრივი თვალსაზრისით მხა-
ტვრული ლიტერატურის შეფასება და მსგავსი
დაკვეთები, ეკვს გარეშეა, მიზანშეუწონელია,
მისი აუღა კარგს არაფერს მოუტანდა მწერ-
ლობას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მწე-
რლობას არ მოეთხოვება ჩვენი საზოგადოებრი-
ვი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მხარე თა-
ნაზრად აინტერესებდეს და აღვლვებდეს.

სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა კონსტან-
ტინე ლორთქიფანიძეს ასე ხმაამალა ეს სამარ-
თლიანი სიტყვები: „ქართული მწერლობა, ჩემი
აზრით, ვერ იქნება ქართული ხალხის დიდი
და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ცხოვრე-
ბის გამოშახტველი, მისი სულიერი წინამძღო-
ლი, სანამ მუშათა კლასის ცხოვრების თემა იმა-
ვე ადვილს არ დაიჭერს ქართული მწერლების
წიგნებში, რა ადვილიც ამ უმეებს საქართვე-
ლოს ცხოვრებაში უჭირავთ“.

ასეთი ვითარებისა და განწყობილების დროს
ახალი, თანაც სქელტანიანი, რამდენიმეტომიანი
რომანის გამოჩენა მუშათა კლასზე, ქართული
მეშახტეების ცხოვრებაზე უფროდ მოიქცეეს
ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველის
ყურადღებას. ლადო ავალიანის „ახალი პორი-
ზონტის“ გამარჯვებითა თუ მარცხით გამოწვეუ-
ლი გრძნობა, ბუნებრივია, გამაფრებელი იქნე-
ბა იმით, რომ ეს რომანი თავისი თემატიკით მე-
ტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული
მწერლობისათვის. და რაკი ასეა, მისი ღირსებე-
ბი მეტად გავაზარებას, ხოლო ნაკლი კი მეტად
გაგანაწყენებს.

მარტო მნიშვნელოვანი და საინტერესო თემა-
ტიკა ვერ გამართლებს რომანის არსებობას.
უფრო მეტიც, მნიშვნელოვანი თემა კიდევ უფ-
რო მეტად ითხოვს მხატვრულად ძლიერ, შთამ-
ბეჭდავად გაღაწყვეტას, სხვაგვარად სწორედაც სა-
წინააღმდეგო შედეგს ვიღებთ, — ხდება თემის
დისკრედიტირება. საბჭოთა ლიტერატურამ და-
დი ხანია განვლო ის პერიოდი, როცა თემის
გამო ერთგვარ შეღვათებს აძლევდნენ მხატვ-
რულად სუსტ, უინტერესო ნაწარმოებებს. და
თუმცა ამისი გამოშახილი დღესაც გვაქვს, ეს
კარგს არაფერს ლაპარაკობს ჩვენს სალიტერა-
ტურო კრიტიკაზე.

ლადო ავალიანის „ახალი პორიზონტი“ არ
განეკუთვნება ზემოთ მინიშნებულ „შახ-
მანებს, მიუხედავად იმისა რომ, ჩვენს წიგნში
საერთო უკმარობის გრძნობა დაგვიჩნება მისი
წაკითხვის შემდეგ. არ განეკუთვნება იმიტომ,
რომ თუმცა ბევრი ცარიელი, ზერელე, გულ-
უბრყული ადგილია ამ ურცელ ეპიურ ტილო-
ზე, მაინც ჩვენ აქ ვხვდებით ერთ-ორ საინტერე-
სო სახეს, რამდენიმე ზომიერად და გემოვნებით
დაწერილ ეპიზოდს, სადაც თითქმის უკვალოდ
ქრება ის ფუჭი მრავალსიტყვაობა, რაც ასერი-
ვად ენებს რომანს.

მართალია, გაციანდრებულ თრბობაში ერთგვა-
რად იცრბებდა და ფერმკრთალდება ხნერი მე-
შახტის ნიყო არაბიძის და ახალგაზრდა ქალი-
შვილის თამარელას მხატვრული სახეები, მაგ-
რამ შედარებით საინტერესო რომანში მაინც ამ
ორი გმირის ცხოვრება და ხასიათია.

ნიყო არაბიძის სახით მწერალმა მკითხველს
უჩვენა ის რომანტიკული და წრფელი სიყვარუ-
ლი თავისი მძიმე, ვაქცაქური პროფესიისა, რაც
მეშახტეებს ახასიათებთ და ურბომისოდაც
უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა მიწის ქვეშ
მათი თავდადებული შრომა. სწორედ ნიყო არა-
ბიძე გვარწმუნებს სხვებზე უკეთ, რომ მეშახტე-
ები რალაც განსაკუთრებული ფიზიკური ძალის
და, რაც მთავარია, სულიერი წყობის ხალხია,
ვისაც ესმის თავისი შრომის მნიშვნელობა და
ემაყუება კიდევ საკუთარი პროფესია. ნიყო არა-
ბიძისათვის წარმოდგენილია სხვა საქმიანობა,
ისიც კი წარმოდგენილია, რომ შეიძლება მის-
მა შთამომავლობამ უღალატოს ამ საგვარეულო
პროფესიას. ამიტომ თან უხარია მის შვილს
შახტის მოქანდაკის ნიჭი რომ აღმოაჩნდება და
თან შიშის იპყრობს, ვაითუ ამან ნამდვილ გზას
ააციდნოსო. ნამდვილი გზა კი მისთვის მხოლოდ
შახტისკენ მიდის.

ნიყო არაბიძე მართლა მეშახტეა, თავისი პრო-
ფესიული ცოდნითა თუ გამოცდილებითაც და
თავისი სულიერი სიმტკიცითაც. სწორედ ნიყოს-
თანა ხალხს ადულიბებს მეშახტეთა კოლეტიკეს
ერთ მთლიან ორგანიზმად, როცა სხვისი გაჭირ-
ვება გულთან საკუთარვით მიაქვთ, როცა მთა-
ვარ საზრუნავად ადამიანს თავისი ბრიგადის,
უბნის, შახტის ბედი გაუხლია და არა საკუთარი
წარჩინება. მართალია, აქაც არიან ვიწრო, ეგო-
ისტური გრძნობებით შეყარობილი ადამიანები,
ამას ჩვენ ვხვდავთ რომანში, მაგრამ ისინი, ჯერ
ერთი, არ განსაზღვრავენ მეშახტეთა ბუნებას,
მეორეც, ღიდხანს ვერცა ძლებენ შახტებში,
რადგან იმ მძიმე პირობებში ყველაზე ნაკლებ
დაედიომებთ მეთავისხეებს.

ნიყო არაბიძის სახე იმითაც იგებს, რომ იგი
ნათელია, უშუალოდ ცხოვრებიდანაა აღებული.
მწერალმა იცის, ვის აცნობს მკითხველს, იცის
მისი გმირი როგორ ცხოვრობს, რას საქმიანობს,
რას ფიჭრობს, იცის მისი ცხოვრების მიზანიცა



და წესიც. ამ გმირთან დაკავშირებულ ეპიზოდებში ავტორი უფრო უშუალოა და მართალი, უფრო ახერხებს დამაჯერებელი გახადოს მის მიერვე შეთხზული ამბავი, რადგან ამას ცხოვრების სიმართლე უდევს საფუძვლად. ნიკო არამბძის სახით ჩვენს წინ მტკიცედ ცოცხალი ადამიანი მოქმედებს, სწორედ მოქმედებს და არა მსჯელობს, რაც ზმირად ემართებათ ამ რომანის სხვა გმირებს. ნიკო არამბძეს ჩვენ ვხვდავთ სახლშიც, თავისი მეგობრებისა და მეზობლების წრეშიც, შვილთან ურთიერთობაშიც, მაგრამ განსაკუთრებით უშუალოა და საინტერესოა იგი იმ ეპიზოდებში, სადა ჩანს მისი დამოკიდებულება მემსახრის შრომისადმი. ჩვენ ამას ყველაფერს საკმაოდ აშკარად ვხვდავთ და ამიტომ ავტორისეული სწორხაზოვანი დახასიათებები თავისი გმირისა უთუოდ ზედმეტია. მაგრამ იმდენად მოძალბებული აქვს მწერალს საკუთარი გმირების დახასიათების სურვილი, რომ იქაც კი, სადაც უფრო მხატვრული ხერხებით აღწევს ამას, თავს ვერ იკავებს და მაინც საკმაოდ მშრალად, პირდაპირ გვესაუბრება მათ შესახებ. ისევე ნიკოსავე სახეს ვნებს, მკითხველს ამ გმირთან უშუალო კონტაქტის გრძნობას უკარგავს, როცა მწერალი აი ასე გვიხსნისათვის მას:

„რაც ომი დაიწყო შახტი და ის ადამიანები, რომლებიც ახლა იქ მუშაობდნენ, კიდევ უფრო შეუყვარდა ნიკოს. თავისი უბნის მემსახრეებზე ხომ ისე ზრუნავდა და უფრთხილდებოდა, ბევრი მამა ვერ დაიტრახებდა შვილებისა და ოჯახის წევრებისადმი ესოდენ ყურადღებას და გულისხმობრებას. მართალია, ნიკო წინანდებურად სიმკაცრეს ვერ იშლიდა, მაგრამ როცა საამისო ღრო და ხაჭირობა იყო, ადრე რომ არა სჩვეოდა, ახლა, წარმოიდგინეთ, წამაქვებულ, გამამხნეებელ სიტყვასაც არ იშურებდა. მუშაობდა, ვინმეს უჭირდა, ან გამოუტყდებოდა, გამო შიშობდა, უშაღ ჩაერეოდა, დაეზარებოდა, თავისი მავალითაც გაამხნეებდა და დაუმტკიცებდა, რომ საშიში და დაუძლეველი არაფერია, თუ იცი როდის და როგორ შეება სანამ გავიკირდებოდეს, ზოგ რამეზე მანამ უნდა იფიქრო, როცა გავიკირდება, მაშინ კი არ უნდა დაიბნეო.“

ნიკოსი იმიტომ კი არ სჯეროდათ, რომ ამას ყველაფერს დამაჯერებლად იტყვოდა ზოლმე, არამედ იმიტომ, რაც უთქვამს, ბევრჯერ გამართლებულა. მის სიტყვას მუდამ ის ძვირფასი სარჩული ველო, რომელსაც გამოცდილება ჰქვია“ (გვ. 349).

ჩვენ ასეთი ნიკო უკვე ვნახეთ, ვნახეთ როცა პირველად ჩაიყვანა ქალები შახტში, ვნახეთ როცა ახალ უბანზე დაიწყო მუშაობა, ვნახეთ როცა რამდენჯერმე განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა შახტში. ამიტომ ავტორის აშკარად აშკარა ჩადგომა ჩვენსა და მის გმირს შორის,

ეს სწორხაზოვანება და შეუფარავი უბრალოდ ზედმეტია.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო არამბძის ლაზე ცოცხალი და დამაჯერებელი სახეა ამ რომანში, მისი საქციელი და მეტყველება არფთო იშვიათად ნაძალადევი, ხელოვნურ შეთხვეტილებას ახდენს. კარგია ის ეპიზოდები, სადაც ნიკო გადაწყვეტს ძველი უბნებიდან სამაგრების გამოტანას. შახტებში ხის მასალის შემოხიდე და გვიანდა და ამან შეიძლება მუშაობა შეაფერხოს. ნიკოს თავგანწირვა გასაგებია, ფსიქოლოგიურად მართალია, როცა იგი აიყოლებს თავის უბნის მუშებს ამ ძნელ, სარისკო საქმეზე. მაგრამ როცა ნიკო არამბძე საკუთარ უბანში თავისი უბნის მემსახრეებს ხეებს მოაპრევიენტს სამაგრების დასამზადებლად, ეს უკვე აშკარად უხერხოდ მოგონილი რამაა. მემსახრეებს თავისი საქმეც ჰყოფნით და მათ სადა სცალიდა ხის მასალის დასამზადებლად. ეს სხვის ევალება. და თუ მაინც მოიცალეს ამისათვის, ნიკო არამბძე რაღა თავის ნალოლიავებ კარმიდამოს მიაყენა, როცა ტყვე იქვეა, კიდევ უფრო ახლო შახტთან. მწერალმა ამ გაქინტურებული ეპიზოდით გადაწყვიტა ეგრძობინებინა ჩვენთვის, თუ რა თავდადებულა საზოგადო საქმეზე ნიკო არამბძე, როცა ასე სიყვარულით (ამ სიყვარულზე ზმირად და ბევრს გველაპარაკებოდა ავტორი) მოვიღო ხეებსაც კი არ იშურებს, მაგრამ სხვა ეფექტი კი მივიღეთ.

მწერალს ზოგჯერ ღალატობს ზომიერების გრძნობა და ნიკოს საქციელი მხატვრულად ნაკლებად აქვს მოტივირებული, ან მეტისმეტად მალაფარდოვანად აღსაბრალებს თავის გმირს, მაგრამ მთლიანად ეს სახე უფთოდ გამთირჩევა რომანში.

„ახალი ჰორიზონტის“ ერთ-ერთი მთავარი გმირია თამარელაც. თუმცა ნიკო არამბძის სხვისთან შედარებით იგი ბევრად ნაკლებ მთავარ ქლიფებას ახდენს. ჩვენთვის ერთი რამ აშკარაა — მწერალი დიდი მონდომებით გვიხატავს ამ ახალგაზრდა ქალის სახეს. მან ჯერ თავისი ადამიანური ბუნებით, ნათელი და ღრმა გრძნობებით, სინაზითა და სილამობით უნდა მიიქციოს მკითხველის ყურადღება, მერე კი, განსაცდელის ეაშს — თავისი შეუღრრეკელი ნებისყოფითა და თავგანწირვით. ასეთია მწერლის მიზანდასახულება.

თამარელას სასწავლებლად უნდა თბილისში წასვლა. იმდენად მტიციეა მისი გადაწყვეტილება, თავისი საყვარელი ადამიანის შატბია არამბძის მამასაც კი გააწვილებს. ნიკო არამბძეს აშკარად მოსწონდა ეს სადნო და ლამაზი ქალიშვილი, გულთ უნდოდა მისი რძალი

ზურაბ გვირგვინიანი

ახალი კორიურონტი თუ ძველი

გამბარაიყო და შატბისთან ერთად შატბში ემუშავა, არაბიძეების კვალს დასდგომოდა. კიდევ ჩამოუგდო ამაზე საჯარო, მაგრამ მათი მალამბარდოვანი პაექრობა პროფესიების მნიშვნელობაზე (გვ. 61-63) მაინც იმით დამთავრდა, რომ თამარელამ „დაბარა თავი, დანაშაუდისათვის წაიჭრა ხელა, — მე სხვა გზით მივდივარ!“

„ის დღე იყო და ის წუთი, ნიკოს თამარელასაკენ გული აღარ მობრუნებია. რარგ ერთდებოდა ნიკო, მაგრამ... შავმა კატამ მაინც გაიარინა. თამარელამაც პროწველას უყავილის მივგვრად იმ დღიდან ნიკოსათვის შავი კატის სახე მიიღო, და ასეც იხსენიებდა ხოლმე ძველი მემშატე, როცა თამარელაზე შინაურობაში ანახდად სიტყვა ჩამოვარდებოდა“ (გვ. 63).

აქ ვერც ნიკო არაბიძეს მოვეუწონებთ ასე უდიდეს გულის აყრას თამარელაზე და ვერც ავტორს — კანკელისტყვაობას, როცა ხელისთუ კალმის ერთი მოსმით უღანაშაული ქალიშვილი პროწველას ყვავილიდან შავ კატად აქცია მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ახლა ის არის, რომ ამ ეპიზოდთან ნათლად ჩანს თუ რა გულით სწადია თამარელას სწავლის გაგრძელება. ამიტომ, თითქოს მოულოდნელია ჩვენთვის, რომ თამარელა, ვისშიც სულ სხვა ოცნების მატარებელ ახალგაზრდას ვხვდებით, უდიდეს განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებს და ქალბავშვში პირველი განაცხადებს სურვილს ფრონტზე წასული მემშატეები შეცვალოს.

მწერალი გვიხსნის, რომ ეს პატრიოტული გრძობით და მოქალაქეობრივი შეგნებით ნაკარნახევი ნაბიჯია. თამარელა უყოყმანოდ აღიღებს ხელს თავის აღრინდელ მიზანზე, რადგან დღეს, ომის მძიმე დღეებში შატბში შრომას მოქალაქეობრივი მოვალეობა უქარნახებს და, გარდა ამისა, მას წრფელი გულით უნდა დაეკავოს მემშატეთა რიგებში თავისი საყვარელი ადამიანის შატბას აღვილი, ვინც ახლა ხალხათის მზარაში იხდის ვალს სამშობლოს წინაშე.

ამის შემდეგ თამარელა თავდადებით შრომობს შატბში და თავისი საქმიანობით, წესიერებით იქცევს ყურადღებას. მთელ რიგ ეპიზოდებში, განსაკუთრებით იმ იშვიათი გამოწვლასის დროს, როცა იგი უშუალო და ბუნებრივად, თამარელა კიდევ ახდენს შთაბეჭდილებას მკითხველზე.

ლადო ავალიანს სურს თამარელათი გაგვიხსნას სამშობლო ახალგაზრდას მალალი სულიერ თვისებები. უდავოდ კეთილშობილური მიზანდასახულებაა. მაგრამ ამისათვის სულაც არ არის საჭირო მწერალმა ზომიერების გრძობა დაჯიჯიგოს და ეცადოს ყოველმხრივ გამოარჩიოს თავისი საყვარელი გმირი მის ირგვლივ

მყოფთაგან, მით უმეტეს, იმ მეთოდით, რასაც ავტორი მიმართავს ასეთ ეპიზოდებში. სხეულებს ყველას წაართმევს სალად აზროვნების უნარსაც, სიცილის ჩადენის წადილსაც, კეთილშობილებასაც, გმირს კი უყოყმანოდ მიაღებებს გადაწყვეტილებას და იოლადაც ჩაადენინებს სამაგალითო საქციელს.

ასეთია თამარელა პირველი გაცნობისთანავე. ჩვენ მას აღიღებულ იმდინარის ნაპირზე ვხვდებით. მხოლოდ თამარელა ვაბედავს მძვინვარე სტიქიას შებედოს ხეზე მართოდ დარჩენილი და ხიფათში ჩაეარდნილი ბავშვის გადასარჩენად. თავს უფლებას მიეცემს ეს ეპიზოდს უფრო ავტორისეული სიტყვებით გადმოვცე, რომ მკითხველისათვის გასაგები იყოს მწერლის სტილი, მისი წერის მანერა.

როცა აღიღებულ იმდინარის პირას თავმოყრილია ქალებმა თამარელას შიშის მიზნით გაიგეს, ბავშვი არ დაიღუპოსო, „ისე შეიცხადეს, ისეთი ვიწვიში ატებეს, თითქოს თვითონ ჰქონდათ საშველად საქმე. თამარელამ კი იფიქრა — რა ღმერთი გამიწყრა, რომ გავიხილე, ბავშვს, სხვა თუ არაფერი, მართო მათი კვირვა გადარევესო. ბუერი აცხრო და აშოშინა ისინი, მაგრამ ვერაფერი ვააწყო, ბოლოს ისიც ურჩია, შორს მაინც წადით და იქ იკივლეთ, იქნებ ხალხმა დროზე შეიტყოსო“. (გვ. 30).

იმევე ვერაფერზე, სულ რამდენიმე ფრაზის მეორე ირკვევა, რომ კვირვით ხალხს მოხიზმა არაფერი საჭირო იყო, თამარელა იქვე „იმდინარის ნაპირის ვასწვრივ ჩამწყრივებულ ხალხს მუდარის გამოშატეველ მზერას აპყრობდა დროდადრო...“ „ამ სანახაობამ, ცალკე ნაპირის სიახლოვესაც ტალღების გამაღვებით სრბოლამ, ტლამუნამა და იღუმალმა ხმაურმა თამარელა მწარედ დააფიქრა“. ამ ვიწვიში და კვირვში, ხალხის აურზაურში აღიღებულ იმდინარის „იღუმალ ხმაურზე“ ლაპარაკი უკეთეს შემთხვევაში დაუკვირებლობაა, უარეს შემთხვევაში კი — ბოზობრობა.

იმდინარის პირას ჩამწყრივებული ხალხიდან რაკილა ვერავენ შებედა, მას მერეც კი, რაც „მუდარის გამოშატეველ მზერას აპყრობდა“, ისევე თამარელამ გადაწყვიტა თავი გაეწვირა.

„თამარელას სხეულები უფრო გაუძალიანდნენ, ვაბედულად მიესივნენ, არ გავიწყებოთ, ჩასწილდნენ ყურებში, მაგრამ თამარელამ ერთხელაც ისე გაიბრძოლა, ქალები დარწმუნდნენ — მისი დაქერა ახლა კაცებსაც ვაუჭირდებოდათ. თამარელას ერთ სიტყვაც არ დასცდენია. მან მხოლოდ თვალს გადაავლო შეშინებულ დიასახლისებს და, ქალებმაც უშალ ამოკითხეს თამარელას მზერაში — არა გრცხვენითო... თქვენ ვერაფრით შევლით ბავშვს, სხვასაც ხელს უშლით, აბა ერთი რომელიმე თქვენთაგანის იყოს ის ბავშვი, ან თქვენ თვითონ იყოთ



იმ დღეში... და პირველი ნაბიჯი ანგარიშში უცემლად შედგა მღვრიე წყალში.

თავგანწირული გოგონასათვის ქალების შიში ახლა გაუგებარი იყო (გვ. 3).

ამ პირველი შეხვედრის მერეც თამარელა არა ერთხელ დაგვიმტკიცებს, რომ იგი განსაკუთრებულად პიროვნებაა. აი, თამარელა პირველადაა შახტში, პირველად აიღო ნიჩაბი ხელში ნახშირის რეშტაკზე დასატირთად. „სანგრევის ამ დაქანებულ იატაკზე შეუჩვეველისათვის ადვილი არ იყო ღვაწა, დატვირთული ნიჩბის მოქნილის დროს წონასწორობის შენარჩუნება. რიგის განმარტების შემდეგ თამარელამ სამუშაოს სწრაფად აუღო ალლო და, ეტყობოდა, ამ საქმეს მალე, ალბათ, ისე დაეუფლებოდა, მერე სხვებიც ისწავლიდნენ მისგან დატვირთვის ხელოვნებას“ (გვ. 272). მართლაც, რა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ პიროვნება უნდა იყო ქალი, რომ პირველად ჩახვიდე შახტში, პირველად მოკიდო ხელი ნიჩაბს და უკვე გეტყობოდეს, რომ მალე ამ საქმეს სხვები შენგან ისწავლიან.

კიდევ ერთი ეპიზოდი: ცვლის დამთავრების ხანს უეცრად ბიგებს კენესა აუტყდა და შეიძლება მუშებს სანგრევი თავზე ჩამოქცეოდათ. მითაც გაქცევით უშველეს თავს. „ის იყო, დამფრთხალ ბრივადან თავის ბრივადირიანად სანგრევიდან შვედობით უნდა გაეღწიათ, რომ ამ დროს ისე ჩავსმათ, თითქოს ვიღაც ხმაიანდა გულამოსკენით ტიროდა, შველს ითხოვდა. ამან ყველა გააოცა და ერთი წამით ადგილზე გაშვდნენ. თამარელამ კი დაინახა თუ არა, ბიგები შეჩერდნენ, მსწრაფლ მოიფიქრა და ახლა მისმა ხმაიანდალმა სიცილმა შესძრა სანგრევი. გაქცეულმა შემხატებებმა ჯერ იფიქრეს, — ვიღაც ვაგიჟდაო, მაგრამ მოესმათ თუ არა, — სად მიხვალთ, რომ მიხვალთ, თქვე გაგახებო, მე აქ მტოვებთო, — სირცხვილიანაჲმმა ბიგებმა უმაღლ ზურგი შეაქციეს განსაუღელეს და თამარელას მიაშურეს. მათ შესახებდავდ თამარელა უკვე შესდგომოდა სანგრევის, ჩამოსაქცეულ ვამხადებული ქერის გადააგრებას“ (გვ. 703).

ასე გადაარჩინა თამარელამ შახტის ის უბანი დანგრევის, ჯერ შესტრია შემხატებებს, ამით შეაჩერა, მერე კი უეცრად სიცილი დააყარა და შეარტყინა. თამარელა რომ არ ყოფილიყო, დამფრთხალი ბრივადან თავის ბრივადირიანად ამოსული ბიგები უკვე შახტიდან, გაუმარტებელი ქერის ჩამოწებოდა და დიდი უხედავრება დატრიალდებოდა. როგორც ვხედავთ, საკმაოდ უცნაური მეთოდით მოახერხა თამარელამ შახტის გადარჩენა. ყველაფერი ეს იქნება მართლაც სასწუმუნო ყოფილიყო ჩვენთვის, რომ ავტორის ასე მარტივად არ ეთქვა და უფრო დაბეჭთებით მოეთხრო, გაეხსნა ეს ეპიზოდი. ეტყობა, ავტორი იმ წულის ღრმად იყო

დასწუმუნებული, რომ უეცარი ზემოქმედების საუკეთესო ხერხს მიაგნო თამარელამ. მერე კი, ალბათ, ცოტა უკვი შეეპარა, მეტისმეტად ჩნდებოდა არ ვაგაზვიადე თამარელას დაეკაცობაო და დამაჯერებლობისათვის „ფსიქოლოგიურ ანალიზს“ მიმართა, რითაც სულ გააფუტა საქმე.

თურმე ნუ იტყვით, თამარელას თავიდან სანგრევის გადარჩენა არ ჰქონია მიზნად, „ბიგის ქვეა რომ გაისმა და ბიგებიც დაფრთხნენ, ისე შეშინდა, ფეხის გადადგმა ვეღარ შეძლო. კინკალმაც აიტანა და მახლობელ ბიგს რომ ან ჩახებებოდა, უშველად წაიქცეოდა. ერთი წამით შეიძლება გულიც კი შეუღონდა... ისე მოეჩვენა, თითქო თვალში ვეღარ იხედებოდა, ეგონა, ყველა ნათურა ჩაქრაო. მაგრამ მეორე წუთში ისევ გადაეშალა თვალწინ ყველაფერი... ერთადერთი, რაც მოახერხა ამ ვასკირში — ხმაიანდა შესტრია გაქცეულებს. განსაკუთრებით წუთებში თამარელა მათ არც კი გახსენებიათ. თამარელამ დაინახა თუ არა, მის ხმაიანდალ მოთქმით ტირილზე ბიგები შეჩერდნენ, მოიფიქრა და სიცილი დააყარა. ისე შეარტყინა ისინი, გარეთ აღარ გაეხედებოდათ და აღარც გაუხედაით“ (გვ. 704).

თამარელას ამ განცდებმა კიდევ უფრო გაართულა საქმე და სრულიად დაუჭერებელი გახდა ეს ეპიზოდი. თურმე დღიან ნებისყოფამ, სულიერმა სიმტკიცემ, მაღალმა მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძობამ კი არა, შიშმა გადაადგმევინა თამარელას ეს თავგანწირული ნაბიჯი. რაინაირად უნდა ვერწმუნოთ ჩვენს ავტორს, რომ შახტში ცოცხლად დამარხვის შიშით თავზარდაცემული, მუხამოკვეთილი ქალი, ვინც ტირილით ითხოვს შველს, მშველელის დაშავისთანვე ხმაიანდა უდარდელად იციინის და თითქოს აქ არაფერიო, ბიგებს ამფრებებს. ეს ფსიქოლოგიურად არამცთუ უზუსტო, ყალბი ადგილია. საერთოდ უნდა ითქვას, ლაღო ავლიანს საკმაოდ ხშირად ლალატობს ფსიქოლოგიური ანალიზის უნარი. რომანის კითხვის დროს ხშირად ვხედავთ, რომ გმირები არ შეიძლება ამა თუ იმ სიტუაციაში ასე იქცეოდნენ, ასე ფიქრობდნენ, ასე განიხილდნენ, ასე გრძობდნენ, რომ ეს ყველაფერი ხელოვნურადაა შეთხზული. ამის კიდევ ერთ მაგალითად აქ ისევ თამარელასთან დაკავშირებულ ადგილს მოვიტან რომანიდან, რაკილა ახლა ამ გმირზე გვაქვს საუბარი, თუმცა გზად აგზა გვარწმუნებენ ამაში.

თამარელა პირველად ჩავიდა შახტში და იმდენად მიძიმე იყო იქ, იმ „ჭურღმულეებში“ გატარებული რვა საათი, რომ როცა კვლავ იხილა ნაწილობი გარემო, ცის ლევაარდი, „შთების

პურამ ვეპარწიეთლი

ახალი პორტოგონტი თუ ძველი?

დღაღიღული მწვანე პირამიდები", ასე ეგონა, ყველაფერი ეს „მხოლოდ სიზმარში ეხილოს ოდესღაც“. „მზის სხივები გაფერილ ოქროსფერად ავარაყებდნენ ირგვლივ მიდამოს, და ეს ხზივების ოქრო ადამიანსაც თითქოს სულის წირომეღმე სწევდებოდა, ნათელს ჰქვენდა, რა-რიც ბნელიც უნდა ყოფილიყო იქაურობა. თამარელას სულშიაც ახლა, როგორც დიდებულ, გაჩირალდნებულ დარბაზში, ისეთი სინათლე და სახეიმი განწყობილება სუფევდა. ერთი წა-მით, ყველაფერმა, რაც ამ რამდენიმე საათის განმავლობაში მოხდა, საკვირველი სისწრაფით გაიქროლეს მის ხსოვნაში. თამარელას გაც-ვირდა კიდევ, ყოველი წვრილმანიც კი ასეთი სიზუსტით რომ აღბეჭდილიყო მის გონებაში. ეს მოგონება, როგორც სტიქიასთან ბრძოლაში გამარჯვებულს, ისე ამხნევებდა და ათამამებდა ახლა ისედაც საკმაოდ გათამამებულ, თუმცა გაერჯუნულად მინდვრის ყვავილივით მორცხვად თავდახრილ გოგონას". (გვ. 304).

იქნებ ამ და ამდაგვარმა მძალადგარდოვანმა, „ლაშაზმა“ ფრაზამ ვინმე გულბურჯავილი მკი-თხველი კიდევ მოხიბლოს, მაგრამ აბა დავუკ-ვირდეთ, შეიძლება თუ არა, რომ შახტიდან ამოსული ქალი, ვინც პირველად ეზიარა მეშახტის მძიმე შრომას, ამაყი და კმაყოფილი, თუმცა დაღლილი და დაქანტული, ერთიანად გამუ-რული და ერთგვარად შემკრთალიც თავისი ახალი, მძიმე პროფესიით „გარეგნულად მინდვ-რის ყვავილივით მორცხვად თავდახრილ გო-გონას“ ჰვადღეს და მის სულშიც „როგორც დიდებულ, გაჩირალდნებულ დარბაზში, ისეთი სინათლე და სახეიმი განწყობილება სუფევ-დეს“?

ეს უნებლიე ფრაზა არ ვახლავთ, ლადო ავა-ლიანს უყვარს, მოსწონს ასე წერა. აი მავა-ლთაოდ, რანაირად ვაღმოგვეცმს იგი იმ განწყ-ობილებას, რაც ძველ მეშახტეს, ბრიგადირს, ვინც ათეული წლების მანძილზე ყოველ დღე ჩადის და შრომობს შახტში, ეუფლება სანჯ-რეში შესვლისას:

„სანჯრეში რომ შევიდნენ, გერასიმემ გაბრ-წყინებულ თვალებით ისე იწყა აქეთ-იქით ცქერა და ნათურის შუჭზე იქაურობის თვა-ლიერება, თითქოს სანჯრევი კი არა, ახალ სახლში მიღებული ბინაო“ (გვ. 325).

ჩვენთვის გასაგებია, რომ მეშახტეებს ძა-ლიანად ეამაყებოდა თავისი ვეჯაკეტური პროფე-სია და დიდად კმაყოფილიც არიან თავისი ბე-დით, მაგრამ განა შეიძლება დაიჭეროს კაცმა, რომ შახტში ჩასვლის დროს მათ გაბრწყინ-ებული თვალები და ისეთი განწყობილება აქვთ, თითქოს ახალ ბინაში შედიანო?

ეგონებ, თავად მწერალი ნაკლებად უსვამს თავის თავს ასეთ კითხვებს, წინააღმდეგ შემ-თხვევაში უთუოდ არ გაუქიარებოდა იმ დასკე-ნის გამოტანა, რომ მხატვრულ ნაწარმოებში

ფრაზას სილამაზეს ჯერ აზრის, მოქმედების, ვიკანობის, განცდის სიმატოლე აძლევს და უკე-რე უკვე მისი ძლერაობა.

ლადო ავალიანს სურს შექმნას თამარელას მომხიბლავი პორტრეტი. მისი გმირი მორცხ-ვიც უნდა იყოს და თამამიც, ნაზიც და ძლიე-რიც, ლამაზიც და თანაც აზრიანი გამომეტყვე-ლებისაც, გულწიელიც და მკაცრიც, მოსიყვარ-რულეც და საქიროების შემთხვევაში შურის-მაძიებელიც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აი ვი სქემა თავიდანვე შემუშავებული ჰქონდა ავტორს და მერე ცოტა დაუღვევრად მოკეთდა საკუთარივე სქემის განსხვავებას, მხატვრულ ხორცშესხმას. იმ თვისებების გმი-რი, როგორც თამარელა, უთუოდ საინტე-რესო იქნებოდა, რომ მწერლის კარგ ჩანა-ფიქრს მეტი მხატვრული დამაჯერებლობაც დაჰყოლოდა. სამწუხაროდ, თამარელას ზოგ-ჯერ სრულიად გასაგებ სიტუაციებშიც კი ერთ-გვარად ყალბ პოზაში აყენებს ავტორი, „მინდ-ვრის თავდახრილი ყვავილისა“ არ იყოს, ზო-ლი ზოგჯერ კი იგი უფრო შორს მიდის და ყალბ სიტუაციებსაც უქმნის მას, სადაც საერ-თოდ ამ გმირისაგან უკვე აღარაფერი რჩება და სულ სხვა თამარელა წარმოგვიდგება.

ასეთია ის ეპიზოდი, სადაც თამარელას ბუ-ზალაქე შემოაკვდება. თავი დავანებოთ იმას, რომ, რამდენიც არ უნდა ავგინხნას ავტორმა, მაინც გაუგებარია, როგორ წაჰყვა გვიან დამით თამარელა სახლში ბუზალაქეს, კაცს, ვისი ბო-როტი სულიც მისთვის ასე ყოველმხრივ და სა-ფუძქლიანადაც ცნობილი. როგორც ჩანს, ავ-ტორმა კი დაუჭყრებელი ნაბიჯი თამარელას იმიტომ გადაადგმევინა, რომ თავისი გმირის ძლიერი ხასიათი და შეუბღალავი პატიოსნება კიდევ ერთხელ, ახლა სხვა კუთხით, სხვა სი-ტუაციაში გაემტკიცებინა. ეს გაუჩიანურებული (გვ. 832-850), ოცგვერდიანი იაფფასიანი ნარე-ვი ევსტერნისა და ყალბი პათეტიკით საესე ფრაზებისა ბევრად აუფერულებს თამარელას ისედაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ფერმკრთალ სახეს.

თავიდან მართო ის კი არ არის გაუგებარი, თუ როგორ გაჰყვა თამარელა სახლში ბუზა-ლაქეს, არამედ ისიც — თუ ბუზალაქეს, ამ „ნომენკლატურულ მუშაკს“, შახტის უფროსს, ბნელსა და ბოროტ, მაგრამ აღზვევებულ კაცს, ვისაც არასოდეს არ გაუმღავენებია (თუნდაც მხოლოდ მეითხველისათვის) თავისი სიმპათია თამარელასადმი, მით უმეტეს — ვნება, მეტიც, ვინც გამოავლდა შახტიდან თვითონ თამარელაც, მისი საყვარელი ადამიანის შატბიას მამაც და ბევრი სხვა მშობრული და კეთილშობილი ადა-მინიცი, რატომ მოგპობიანა ახლა, ამ შუალამისას თავისი ახალგაზრდა მტრის შეტყუება სახლში. მერე ყველაფერი გასაგები ხდება. თურმე ომი-სათვის, რომ ვანუცხადოს: „ამაღამ აქ დამი-



ტოვებ შენს ქალწულობას". თან დაუსაბუთოს კიდევ ამის გარდაუვალობა, — იგი ხელმძღვანელია, დიდი საქმე ახარია, — და სთხოვს თამარულას ამით "შემიმსუბუქეთო ეს ჭოჯოხეთური სიმძიმის ტვირთი". ამაზე, ერთადერთი „ლოგიური პასუხი“ არსებობს და თამარულასაც, რა თქმა უნდა, არ უჭირს მისი მოძებნა: „რატომ უნდა ვახდეს ჩემი ქალწულობა თქვენი მსხვერპლი. მარტო ჩემისათვის, რომ თქვენთვის ეს დიდი თანამდებობა მოუციათ?“ მარტო ასეთი „ლოგიური პაექრობის“ მომსწრეი როლი ვართ თუ ეპიზოდში, მე მოვახსენეთ, რომ აქ ამას უნახევბა იაფფასიანი ვესტერნიც. და აი ისიც:

ბუზალაძემ „ქარებამდე მისვლა არ აცალა, ზურგიდან დააცხრა, ილიებს ქვეშ მარჯვედ შეუტრებული მკლავები შემოხვია, მერე ორივე ხელით მის მკერდას წაებოტინა, მაგრამ თამარულამ მოასწრო და მეკრდზე ისე აიფარა ხელისგულები, გეგონებდათ ზედ რკინის ხუფები ჩამოუცვიათო. ბუზალაძემ ვააგებულ გოგოს ვერახვებით მეკრდზე ხელები ვერ შეამშვენიდა...

როდესაც ლეონტიმ საწოლზე გადაიხობილ და ზედ მუხლებით მიბჯინის ვადლობრუნება დაუპირა, სასოწარკვეთლმა და იმედდაკარგულმა თამარულამ სხვა რომ ველარაფერი მოახერხა ლოგინს მოებლაუტა. ბუზალაძეს ამ ხნის განმავლობაში მისთვის ერთი წამითაც არ უშვია ხელი, და ახლა, რაკი ვადლობრუნება ვერ მოუხერხა, ცვლავ ასწია ასე გაძალიანებული გოგო. თამარულამ ნახევარი ლოგინი საბანბალიშიანად თან აიტაცა და უეცრად იქ, სადაც ერთი წუთის წინ ბალიში იყო, თერთ, ქათმათა ზეწრაგადაფარებულ ლეინზე თვალის მოკრა შეე ლაქას და უმალ მიხვდა, რომ ის რევოლვერი იყო. ლეონტი მკლავებში წელმომწყვდეულ გოგოს ზურგს მარცხენა ლოყით ჩახუტებოდა და ცხადია, არაფერი შეუნიშნავს. თამარულა ერთი ლონივრად და უეცრად გადაიქანა წინ, ლეონტის უნებლიეთ ცალი ხელი გაეშვა. თამარულა მეკრდით დაეცა თუ არა საბანბალიშიანად ლოგინზე, უმალ ეცა რევოლვერის, სწრაფადვე შებრუნდა და ახლა პირსპირ აღმონინდა ვნებაშლილ და ჭკუადაკარგულ ბუზალაძესთან“. აქ კი მივადექით კულმინაციას. „თამარულამ ნაგანის ლულა ყელში მიამბჯინა ბუზალაძეს და, ვიდრე ის ასეთი მოქლოდნლობით რეტლასხმული რამეს მოიფიქრებდა, თამარულამ მუცელზე მიბჯინილი ტერფით ლონივრად გასტყორცნა მოპირდაპირე კედლსკენ. ბუზალაძე დარბებით საგულდაგულად დაჰმანულ ფანჯრის ძირს ჩაიკეტა.

მარჯვენა ხელში რევოლვერმომარკვებულმა თამარულამ მარცხენა ხელით ტანსაცმელი და თმა შეისწორა, მერე უცუსელით როიალთან მი-

ვიდა, მრგვალ საქმზე ჩამოჯდა და რამდენჯერმე ღრმად მოითქვა სული“ (გვ. 84—3).

აქ დროებით წყდება ეესტერნას გმირებისთვის ჩვეული სიტუაციებისა და ილოტების დემონსტრირება, რომელთაცან განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მუცელში მიბჯინილი ტერფით მოპირდაპირე კედლისკენ ვატყორცნა მოძალიდისა, და იწყება ბოროტმოქმედის განსამართლების ვაიანურებელი სცენა, სადაც თამარულა დიდი პათოსით ასრულებს ბრალმდებლის როლს. აგი რევოლვერით ხელში სულ პუნქტებად ჩაოთყვალიბებს ბუზალაძეს ბრალდებებს და იმდენ ბანალურ შეგონებებს გვთავაზობს, რომ მითინების ჟღარ გვეცემა. ბოლოს, ამის საკომპენსაციოდ, ისევ ეესტერნული ფინალი. ბუზალაძე ლაპარაკის სალერდელ აშლილ თამარულას რევოლვერის წართმევას დაუბიბებს და განგმირული დაეცემა ძირს. თუმცა თამარულა წამით გონს დაკარგავს, მერე საკმოდ გამოცდილი მკვლელოვით საზრიაანად და მშვიდად ირჭება, ყველა საქრო თადარიგს დატყერს. ფანჯრის დარბას სწორედ ლამის ნათურის წინ ვაალებს, რომ ამით მეზობლების ყურადღება არ დაუტყვიანდს მსხვერპლს, საბენდეროდ, არც ჩინთა ავიწყდება თავისი, დიდი სიფრთხილით ვაპოლის სახლიდან, კარის ღრიტოში იხედება, რომ არავის ვადაუყაროს, საღგურზე ჩუმად ვადის, მერე იქ ისე დაშვებული ვსაუბრება ბეწანბუს, თითქმის არაფერი ვადაბლობოდეს თავს და როცა აღობი ვარანტირებულია, შინ გემრიელად იძინებს. თამარულა რომ ასე დღეს იქიეოდეს, უთუოდ ვიფიქრებდით, რომ ყველაფერი ეს მან თანამედროვე საზღვარგარეთული იაფფასიანი დეტექტიური ფილმებიდან ისწავლა, მაგრამ ომის წლებში მას ამისი საშუალება არა ჰქონდა. ამიტომ, რჩება ერთადერთი ახსნა: — მთელი ეს ღირსებები მწერალმა მიაწერა მას. და ცული საშასტრიც ვაუწია, საკმოდ დაამახანვა სახე.

„ახალ პორიზონტში“ ყველაზე უფეთესი მიხეც ის არის, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მეშახტეების პროფესიულ ცხოვრებასთან. საკმარისია მოქმედება სადმე სხვაგან იქნას ვადატანლი, რომ იყარგება ის დამაქვრებლობა, რაც რომანის საუკეთესო ადგილებს შეტანალება ვაჩინია, საკმარისია გმირები სხვა ვარემოზი, სხვა სიტუაციამო აღმოჩნდნენ, რომ ვარვავენ თავიანთ სახეს და რალაც უცნაურად იქიევიან. ჩვენ უნაე დავინახეთ, რა დავმართა თამარულას, როგორც კი თავის ვარემოს მოწყდა, ამის დამადატრებელი ვაგალითების მოტანა კიდევ დაეკვირდება, როცა შატბიას, მეგისა და სულიკოს შესახებ გვექნება საუბარი.

ავტორს რომანი მრავალპლანიან ნაწარმოებად

გუარამ ვეარდფითელი
ახალი პორიზონტი თუ კვლი?



ჩაუფერია, მაგრამ ყველზე სერიოზულად მიიწე იმ საკითხებს მოჰკიდებთ, რაც უშუალოდ მეშახტეების ცხოვრებას ეხება. როგორც ჩანს, ლადო ავლიანმა კეთილსინდისიერად შეისწავლა ის გარემო, სადაც მის გმირებს უბედვართ ცხოვრება, საკუთარი თვლით ნახა ყველაფერი ის, რის შესახებაც გვიყვება. მართალია, გაჰიანურებულია, მაგრამ მაინც დამაჯერებელია და ამდენად საინტერესოა ის ეპიზოდი, როცა ქალები პირველად ჩადიან შახტში. ავტორი ამ პირველნათობას მეტრამეტად დაწვრილებით ავლიწერს, რაც ძალზედ მოსაწყენს გახდის ამ ეპიზოდს, რომ იქვე ჩვენ მოწამენი არ ვხდებოდეთ ქალების წრფელი განცდებისა. მწერალი გვიჩვენებს ქალების გამებნაობას, მონდომებას, სიჭიფტსაც, როცა მათთვის სრულიად უცხო და მძიმე საქმეს უნდა მოჰკიდონ ხელი, მაგრამ ამასთანვე იმასაც ვხედავთ, თუ როგორ აკრთობთ და აშინებთ ახალბედებს ყველაფერი, რაც კი ამ პირველად ხილულ ქვესკნელში დახვდება.

მკითხველისათვის უთუოდ საინტერესო უნდა იყოს, როცა მწერალი შახტებსა და იქ მომუშავეთა შრომას ავლიწერს. ქართულ მწერალთაგან ლადო ავლიანისთან კვალიფიციურ მეგზურს სხვას ვერ ვიპოვით, ვინც ასე კარგად ვაგვიანონდა ჩვენთვის ბერძნულად უცხო გარემოს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საქმით ავტორი ისეა გართული, ზოგჯერ ავიწყდება ზომიერების გრძნობა და მეტრამეტად დაწვრილებით ავლიწერს შახტებსაც და იქაურ შრომის პრაქტიკასაც, რაც უკვე ნაყლებ ვასაგებიცაა და ნაკლებ საინტერესოც.

ჩვენთვის ვასაგებია, როცა ავტორი გვიხსნის, რომ მონგრეულ ნახშირს ნიჩხებით რეშობენ უკრან, ეს შედარებაც ნათელია: „დაცურებული ნახშირი ხრიალით ხრიალს მოედინებოდა რკინის ფართო ლარში, ერთი შეხედვით შვირუ გვეგონებოდა“. მაგრამ მომდევნო ფრაზა გუთვებარია და ზედმეტად დეტალიზაციის ნიშნულია: „სანგრევის ბოლოში ნახშირი იყრებოდა მომხვეტ კონვეიერზე. კონვეიერი სწორი კუთხით უერთდებოდა რეშტაკს და თარახულად გასდევდა სანგრევის ქვედა ნაპირს, შურომდე. აქ ნახშირი იყრებოდა შუროს ლარში და ქუხილთ მიჰქროდა ქვევით, მეთხუთმეტედან მეასე პორიონტისაკენ, კოლაზე“ (გვ. 271).

ავტორი ხშირად ასევე ვრცლად, დაწვრილებით და უსარგებლოდ ავლიწერს თავისი გმირების შრომასაც. ასე, მაგალითად, შახტისა საქმიანობას შახტში იმდენად დეტალურად ვაღმარევეყმს, რომ არც ამის თქმას მოიხწევს ზედმეტად: „თუ იგი შეიტყობდა, რომ სარტყელი ჭერს მჭიდროდ არ ეჯვროდა, უმალ სოლებით მარჯვედ ვასქვევდა მას. სოლს აასოდეს სარტყელის შუაგულში არ მოაქცევდა,

რათა ფენის დაწოლისაგან ყუაფიცარი ან გუპობილიყო“ (გვ. 121).

ასე მეშახტეებს უნდა ასწავლონ ცოდნად ვაქედონ სოლი, მკითხველს იმისი ცოდნაც უნდა, რომ სანგრევის ჭერს ვამაგრება უნდა. როგორ, რა მეთოდით, რა საშუალებით — ეს უკვე ისეთი დეტალიზაცია, რომელიც თუ რაიმე სპეციალური ფუნქცია არ აქვს რათ მხატვრულ ნაწარმოებში, თუ სწორედ ამის გამო რაღაც არ ხდება რომანში, არავითარი ვამართლება არა აქვთ.

ასე სავლდავლოდ რომ ავლიწერს შახტის საქმიანობას რამდენიმე ვერტზე, ლადო ავლიანი ბოლოს უტყრად დაძენს: „შახტის ხიზლადა, ქვეცნობიერად იზიდავდა მეშახტის თავგანწირული შრომა“ (გვ. 122). ეს უკვე მეორე უკიდურესობაა. ასეთი ნატურალიზმი რაც უკვე ქვეცნობიერების სფეროში ვადავარდა, მართლაც ვასაკერია. ან კი, რა ქვეცნობიერ მიზიდულებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა შახტის შესანიშნავად აქვს ვაცნობიერებული მეშახტის შრომა და წინა ვერტებზე სწორედ ამასი ვეარწმუნებდა ავტორი ასე მოსაწყენად.

ეს ყველაფერი იმიტომაც ხდება, რომ ამ საკმაოდ დიდი მოცულობის რომანში ავტორი უფრო მეტად თავად მოგვითბრობს თავისი გმირების ცხოვრებაზე, ფიქრებზე, ვანცდებზე, ხასიათზე, ნაცულად იმისა, ყველაფერი ეს ზირითადად მოვლენებისა და მოქმედების ვანვითარებაში ვავვიხსნას, ვვიჩვენოს. თანამედროვე მკითხველისათვის ძნელი უნდა იყოს ასეთი ვაკვიანურებული თბრობის მოსმენა, მით უფრო, როცა ხშირად მწერალი სწორხაზოვანად, ზოგჯერ პირდაპირ ვაზუთის ქრონიკის ენით გვისაუბრება. თუნდაც ასე: „ცენტრალური შახტის უბანში, კომბინატის წინ თავი მოეყარათ მეორე ცვლაში მიმაველ მეშახტეებს, მომსახურე პერსონალს, ახლო-მახლო მეტოვრებთ, დიასახლეებს, მოზარდებს. რადიოთი ვაღმოცემული ვანცხადების მოსმენის შემდეგ, შეკრებილთ პირველი სიტყვით მიმართა შახტის პარტოკავინიციის მდივანმა ცნობილაქემ, შემდეგ ვამოვიდნენ სტანანოველი მეშახტეები, ახალგაზრდები, ხნიერები“ (გვ. 200).

ზოგ ადგოლას კი აღარც ქრონიკის ენა და სავრთოდ ვაუგებარია რა სტილს უნდა მივაკუთვნოთ, მაგალითად, ასეთი ფრაზები:

„...რაიკომის მდივანი ერთ-ერთი შახტის უფროსს უსაყვედურებდა — ამასწინათ ვამართულ საწარმო-სამეურნეო თბობიზე მუშაობის ახლებერთა ვარდაქმნისათვის დასახულ ღონისძიებათა სუსტად შესრულებით უნდა აახსნას თქვენი წარუმატებლობა. შახტის უფროსი, ეტყობოდა, სხვადასხვა მიზეზით ცდილობდა თავის ვამართლებას. რაიკომის მდივანმა ვადაპრით მოახსენა, რომ დასახულ ღონისძიებათა



შესრულება მხოლოდ იმ გზით იყო შესაძლებელი, როგორც ეს უკვე ითქვათ“ (გვ. 18).
სწორხაზოვანი სტილი რომანში მარტო ავტორისეული ტექსტისათვის როდია დამახასიათებელი, ასევე მეტყველებენ ხშირად გმირებიც. აი, როგორ ლაპარაკობს შინაურულ ვარემიში, მეზობლებსა და მეგობრებთან ამ რომანის საუფეთესო გმირი ნიკო არაბიძე:

„ჩემსავით ეგეც მოსწრება იმ ხანას, ვილაც ვადამთიელი წუნჯალი, წოვიანოვი რომ გეწოვდა სისხლს... ვმეუბნობდი ვათენებიდან დაღამებამდე, ჩვენი ხალხი საფლავებით გათხრილ სანგრევებში. ტრაქის ალზე, ყოველ წუთს აფეთქების, ჩამონგრევის და დაღუპვის მოლოდინში. ვღებულობდი რაღაცა გროშებს...“

ხშირი იყო გაფიცვები, რაც შეგვეძლო, ვიბრეოდი ადამიანური პირობების, ადამიანური ცხოვრების მოპოვებისათვის. ახლა კი... უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა, ორდენები, სამოთხ ათას მანეთამდე ზელფასი, მექანიზებული საშაბტო სამუშაოები, მოწყობილი ბინა სამოთხ სართულიან სახლში, ბინაში რადიო და ტელევიზორი, ცალკე კლუბი, ბიბლიოთეკა, ავარჯიკი, ყოველი თვის ბოლოს პრემია, წლის ბოლოს — ფულადი ჭილდო ნაშახურობის მიხედვით, კულტურული დასვენება, შრომა — სახელისა და დიდების საქმე, ცხოვრება — ბედნიერი! რომელ ჩვენგანს დაუისპირებოდა ასეთი რამე რევილუციამდე!“ (გვ. 87).

თუ მეშახტე ნიკო არაბიძე ამდაგვარად ელაპარაკება თავის აზრობებს, რა გასაკვირია, რომ რაიკომის მდივანი, თუნდაც უბრალო საუბრის დროს, ასეთი ფრაზებით მეტყველებდა: „ნამდვილ დიპლომს მაშინ მიიღებ, როცა ცხოვრებას გაეცნობი და ხალხს შეისწავლი თუ ამ საქმეში როდისმე დაგვირდებ. არ მომეოიოდო, სიაროვნებით დაგეხმარებო“ (გვ. 171). ან კიდევ: „სწავლა კაცს, მგონია, ხელს არ უნდა უშლიდეს მომავალზე, დიდ ამბებზედაც იფიქროს და თავის ოცნებას საფუძველი მოუშალოს! ჰოდა, თქვენც იოცნებეთ!“ (გვ. 171).

ჩვენ ნიკოსა და რაიკომის მდივნის ბეგლარის სიბრძნე კი არ გვაკვირვებს, არაფერს არაჩვეულებრივს ისინი არ ამბობენ, არამედ მხოლოდ ის, რომ უჩვეულოდ, მაღალფარდოვნად და პათეტიკურად მეტყველებენ ჩვეულებრივი საუბრის დროს და ასე პოზიტიურად ნათქვამი მართალიც შეიძლება საეჭვო ვახდეს.

მწერალიც და მისი გმირებიც რომ ზოგჯერ, და საქმოდ ზშირადაც, იოლად წყვეტენ ბოულ პრობლემებს და ზერეულდ. ცუდი პროპაგანდისტური მსჯელობენ მნიშვნელოვან საკითხებზე, ამის კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან. დღეს ყველამ კარგად ვიცით, სამამულო ომის მონაწილეებშიც, მომსწრეებშიც და ახალგაზრდებშიც, რა ვანსაცდელი გადაიტანა საბჭოთა ხალხმა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ

ბრძოლაში, რა ძვირად დაუჯდა ჩვენს სამშობლოს ეს ისტორიული გამარჯვება, რა ღუნებოდა ურბელი მსხვერპლი დასკირდა მასს. კარგად ვიცით, თუ რა მძიმე იყო სიტუაცია ომის პირველ წლებში, როცა სულ რამდენიმე კვირისა და თვის მანძილზე გერმანული დივიზიები ლენინგრადს, მოსკოვს, სტალინგრადსა და კევასისს მიადგნენ. ახლა, როცა სამამულო ომის თემაზე ამდენი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებია დაწერილი, სადაც ტეშმარიტად დიდი მხატვრული სიმართლითაა წარმოსახული ჩვენი ცხოვრების ეს უსასტიკესი წლები, სადაც ღრმად, დამაჯერებლადაა გახსნილი საბჭოთა ხალხის განსაცვიფრებელი სულიერი სიმბუნვის, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების მასაზრდოებელი სოციალური, პოლიტიკური, მორალური, ეროვნული თუ სხვა წყაროები, ასეთი ზერეულ საუბარი მეგობრების ნიკო არაბიძის და გონტასი ომის პირველ თვეებში, უბრალოდ ყურსა გვეჭრის და გმირების, მათთან ერთად მწერლის გულწრფელობაშიც საკმაოდ საფუძვლიანად გვაეკუვებს:

„ნიკო, ხედავ რამხელა ფრონტიცა, კაცი ვინების თვლითაც ვერ გასწვდება და ჩვენი წითელი არმია ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწყებს მოულოდნელად შემოსულ მტერს, ბეგრგან რიგიანად მოუწყაი კიდევ მაგრამ... ეს როგორ გეხსის? რამდენიმე ადგილას მტრის გარბ ძალზე ფრონტი რომ გაურღვევია?“

— შე კაცო, ბრძოლაა — დაუფიქრებლად და თითქოს მწყურალადც წამოიძახა ნიკომ, — რა ვააღმასებულ მტერთან გვაქვს საქმე, ვერა ხედავ?! ცხვრის ფარა ხომ არ იყო, რომ ერთი დაკვრით გადაგვერეკა! სადაც შეგატყობთ, რომ საჭიროა, კიდევ უუგანებო! მაშ როგორ ვინდა?“ (გვ. 379).

„ახალ პორიზონტში“ მეშახტეთა ცხოვრება ომის წლებშია წარმოსახული, მოქმედება ომამდე ორიოდ დღით ადრე იწყება და მისი დამთავრებიდან ცოტა ხნის მერე წყდება. ბუნებრივია, მწერალი გვერდს ვერ აუღლიდა ამ მნიშვნელოვან გარემოებას და მოვალე იყო ეჩვენებინა, რომ ქართველი მეშახტეების შრომა სწორედ ამ დიდი მიზნით, მტერზე გამარჯვების მიზნით იყო შთაფრთხილი, რადგან მთელი საბჭოთა ხალხი იმ წლებში მამულოშვილური სულისკვეთებით იყო ვასწავლული და სხვანაირად რომანში ისტორიული სიმაართე დაიღვეოდა. ლადო ავლიანი შეეცადა ასეც მოქცეულიყო, მაგრამ, ჩემი აზრით, მან ვერ შეძლო „ახალ პორიზონტში“ სათანადო დატვირთვა მიეცა ამ სულისკვეთებისათვის. ჭერ ერთი, იმის გამო, რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ,

ზურაბ გვირგვინი

ახალი პორიზონტი თუ ძველი?

ავტორისა და მის გმირებსაც ცოტა იოლად ესახებათ ფაშისტური გერმანიის ძლიერ იმპერიალისთან საბჭოთა ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, მეორეც, იმით, რომ მწერალი ძალიან გაიტაცა სასხვათაშორისო ამბებმა, რომელთაც დიდი ადგილი დაუთმო რომანში და ამან გაანელა ის დამაბულობა, რითაც მთლიანად უნდა იყოს გამსჭვალული ომის წლებზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები.

„ახალ ჰორიზონტში“ არის ადგილები, სადაც ქართული მშრომელების პატრიოტული სული კარგად ჩანს. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ის ეპიზოდები, როცა ქალები ომში წასულ მამაკაცების ადგილს იკავებენ შახტებში, ან კიდევ, როცა ხნიერი კოლმეურნე რაიკომის მდივანთან მიდის და შვილებთან ფრონტზე გაგზავნას სთხოვს. მაგრამ რამდენიმე ეპიზოდს საქმეს ვერ უშველის, ეს განსწობილება მთლიანად უნდა გასდევდეს რომანს.

ზოგჯერ კი ომთან დაკავშირებული ეპიზოდები იმდენად დაუდევრად თუ უცოდინრად არის დაწერილი, არ შეიძლება მკითხველის გაოცება არ გამოიწვიოს. ასეთია გერმანელი პარაშუტისტების გადმოსხმასთან დაკავშირებული ეპიზოდები.

გერმანელებმა სამი პარაშუტისტი გადმოსვეს. ერთი მათგანი ბატალიონის მებრძოლებს ჩავარდნიათ ხელში, მაგრამ როგორ, რა გზით ეს კი აღარ ვიცით. სამაგიეროდ ორი დანარჩენის დაჭერას მწერალი დაწვრილებით აგვიწერს და ესეც სასვებით სამარისა დასკვნის გამოსატანად.

კოლმეურნე რაფიელ ვარდოსანიძეს რომ გაუგია პარაშუტისტები გადმოსხესო, წაუყვანია შვილიშვილი ავთანდილი და წასულა მათ შესაპყრობად. დიდხანს უღლიათ ღამე ტყეში. ერთგან ტოტების მტვრევის ხმაზე ყურადღება გაუმახვილებიათ და შეუნიშნათ უცხო კაცი ხეზე მიძვრებოდა. ამის შემდეგ სიტყვა მწერალს მივცეთ:

„რაფიელს ავთანდილისათვის უთქვია — აღიხეებ, ჩაველ ფეხში ხელი და ჩამოწიე, იქნებ როგორმე ძირს ჩამოათრიოო. ავთანდილიც ასეულა ხეზე, სწვდომია ჩემქაში და დაუქანია. იმდენი ქაჩა, რომ ჩემქა ქვევ ერთ ფეხზე წააძრო, შემდეგ მეორეზე. თან ხელით ანიშებდა — ჩამოდიო. კაცი არ ჩამოსულა. პირიქით, უფრო ზევიც აცოცებულა. რაფიელს დაუძახნია შვილიშვილისათვის, — კარგი, ჩამოდი, ახლა სხვანიად ვცადოთ მაგის ჩამოგდებაო. აქამდე რომ მიზანში ამოღებულნი ჰყავდა, გამოსულა საფარიდან და აუტეხია თოვის საყეტის ჩხაკენი, თან ომახიანადაც შეუძახნია — ჩამოდი თუ არა, გავათავებო. იმ კაცს ახლა კი შეშინებია და ხიდან ჩამოსულა. სახელდახელოდ ვაჩხრეკისას რაფიელს მისთვის ჩიბებში უნახავს რევოლვერები. ორივე ხელის მაგაზე

კი სამ-სამი პაწაწინა ძვირფასი ოქროს სათა, იმ კაცს ხელი უნდაშენებია, ჩემქები მაინც დამიბრუნეო, მაგრამ რაფიელს ახრეხეხეხე უთქვია, — თუ გაქცევა დააპყრო, უნდაშენებელი ისე ადვილად ვერ გამქცევიაო“ (გვ. 707).

ასეთნაირად რომ კომედიაში დაიპირონ შეიარაღებული პარაშუტისტი, შეიძლება ბევრიც ვიცინოთ, მაგრამ აქ, სადაც მწერალი სრულ სერიოზულობით გვიყვება მთელ ამ ისტორიას სატირლად უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე საციინლად.

მესამე პარაშუტისტი ჯერ კიდევ ვერ შეეპყროთ, მაგრამ მოსახლეობა მაინცაღამაინც არ ღელავდა, რადგან „იკოდნენ, ბატალიონის უფროსი დაფიცებული იყო, მოვკვდები და ვიპოვებო“ (გვ. 710). ფიცს კი დიდი ძალა აქვს, ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ სწორედ ბატალიონის უფროსი შეიპყრობს მესამე პარაშუტისტს. ეს ეპიზოდიც მწერალს უნებლიედ საკმაოდ კომიკური გამოუვლია.

დილადრიან ბარდლა-ბიძინა და გზად შეხვედრილი კოლმეურნე გლეხი „ხუმრობა-ბაასით“ დინჯად მიდიან შარავზაზე. „ამ ხუმრობა-ბაასში უცებ ისეთი ყვირილი შემოესმით თურმე, რომ მოხუც კოლმეურნეს თოხი ცივად გვეარდნია ხელიდან. მათ ზურგს უკან ვილაცის სამჯერ რაც ძალა და ღონე ჰქონია, უყვირია — ხელები მაღლა! მოხუცმა როგორც იყო მოახერხა ხელების მაღლა აწევა, ბარდლას კი ერთი დინჯად მიუხედა უკან, მაგრამ არც შეგართალა, არც შეუგანებულა. როდესაც ხელმეორედ შეუძრავს იქაურობა ყვირილით მათს ზურგს უკან, შორიახლოს მომავალ ავტომატ მომარჯვებულ კაცს, ბარდლას ცალი ხელი დაუდევრად აუწევია, მეორე კი ჯიბიდან ახლაც არ ამოუღია. ავტომატიანი კაცი — გამანადგურებელი ბატალიონის უფროსი ყოფილა. ის თურმე ჯერ ათი კაცისაგან შემდგარ რაზმს მოჰყვებოდა, მერე უთქვამს თქვენ ქედის აქეთა მხარეს იარეთ, მე კი იქით გადავალ და ქედის ბოლოში ისევ მოვიყაროთ თავიო. ქედის გადმომბა გადმოსვლისთანავე ბატალიონის უფროსს თვალი მოუქრავს ასე ადრიაანდ მიმავალი ორი უცნობისათვის. დადევნებია. ერთი მათგანის აქეთ-იქით ფეხილად ცქერას დაუთქვებია და უთქვია — თუ იქნება, ეს იქნება მესამე პარაშუტისტიო (ის რომ ბარდლა იყო, ვერც ზურგიდან უცვნია, ვერც შემდეგ როცა მოხუცდნია) და ასე „ხელები მაღლა“-ს ყვირილით ყანებამდე ჩასულან. ამასობაში ხალხიც გამოჩენილა. ადრიაანდ ყანისაკენ თუ ბაზრისაკენ მიმავალი კოლმეურნეები შემოხვედრიოა. ბატალიონის მებრძოლები კი არსად ჩანდნენ. უფროსის ყვირილი მათ ყურამდე უთუოდ ვერ აღწევდა. მაშინ კი ავტომატის ორი-სამი ჯერით შეუქრებია იქაურობა ბატალიონის უფროსს. ბარდლა-ბიძინას გამოავალი ვერ უპო-



ვია, თუმცა ჭერ კიდევ ისე ღინჯად მიამი-
 ჯებდა თურმე, გაოცდებოდით. მაგრამ ბატა-
 ლიონის მებრძოლებიც რომ გამოჩნდნენ, მა-
 შინ კი ერთად დაუკარგავს ფერის და გადარ-
 ჩენის იმედიც. ბატალიონის მებრძოლები ჯი-
 ქურ სევმიან, გაუჩხრეკიათ და როცა ორი რე-
 ვოლვერი უპოვნიათ მისთვის, ყველა დარწმუნ-
 ნებულა რომ ჩვენებური ბარდლა-ბიძინა ყო-
 ფილა თურმე ის მესამე პარაშუტისტი“. (გვ.
 727-8).

პარაშუტისტების დევნისა და შეპყრობის ამ
 ორ ეპიზოდს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა,
 რომ თუ პირველ შემთხვევაში მტერი აღმოჩნ-
 და კომიკურ მდგომარეობაში, აქ კომედიურ
 გმირს ბატალიონის უფროსი წააგებს, ვინც ღინ-
 ჯად მიმავალ პარაშუტისტს „ხელეები მალას“
 ყვირილით ყანებამდე სდია, თანაც რაც ძალი
 და ღონე ჰქონდა იტყუებოდა, ეგება ქედს გა-
 დაღმა მყოფ მებრძოლებს ხმა მიეწვედინოო.

იმედნად არასერიოზულია ეს ეპიზოდები,
 რომ მათზე სერიოზული მსჯელობა უზრუნველია
 და ისლა დამარჩენია მათი დამაგვირგვინებელი
 სურათიც მოვახსენო მკითხველს.

მწერალი ვვიხსნის, „ასეთ შემთხვევაში ომის
 მკაცრი კანონი რაიმე შეღავათს არ ითვალის-
 წინებსო“ (გვ. 729). და ბარდლა-ბიძინას მეორე
 დღესვე დახურეტას მიუსჯიან. განაჩენი სისრუ-
 ლეში იმ მალღობზე უნდა მოიყვანონ, სადაც
 პარაშუტისტები დაეშვნენ. ბატალიონის უფ-
 როსი ექიმს უბრძანებს, სიკვდილისიჯილს პულ-
 სი გაუსიწყოს. ექიმი რამდენჯერაც მიუახლოფ-
 დება ბარდლას, იმდენჯერვე უკან გამოპრუნ-
 დება. მერე კი „გამოხადდა უფროსთან იგო
 და რაღაც ვედრებით და ყოყმანით მოახსენა—
 რად გინდათ ჩემს ცოდვაში ჩადგეთ, ამ სიკვ-
 დილის წინ რომ აიღოს ქვა, მიხლმისს და გა-
 მაგოროს, ამისთვის სასჯელს ხომ არ მოემატე-
 ბათ“. (გვ. 732). ბატალიონის უფროსმა ექიმს
 თავი ანება, როგორც ჩანს, დამაჯერებლად
 ჩაესმა მისი სიტყვები. მაგრამ საოცრებები
 ამით არ მთავრდება.

„რამდენიმე თოფის ძალტყმა გრიაღმა ხალ-
 ხი მაინც შეაერთო. ეს იყო და ეს. ბარდლა კი
 თითქოს გაოცდაო — მზე რომ იყო და უცებ
 ჩამოხნულდა, თოფის ხმაც რომ მოწმენდილ
 ცაზე ქუხილივით გაისმა. შეტრატმანებულმა
 მარჯვენა ხელი მარცხენის მიშველიებით, მძი-
 მელ ასწია, თვალბზე რომ მოესვა, ეგონა და-
 ბუქული მაქვსო. რა იცოდა, რომ თვალეში ახ-
 ლა ჩვეულებრივზე უფრო ფართოდ გახელილი
 ჰქონდა“ (გვ. 733).

რამდენად უნაწერი და ჭიუტი უნდა იყო
 კაცი, რომ არამც და არამც მარცხენა ხელი არ
 მოისვა თვალზე, ამის ნაცვლად მარცხენა ხე-
 ლით დაჭრილი მარჯვენა მძიმედ ასწიო და
 მინცადამაინც მარჯვენა ხელით მოიმოქმედო
 ეს.

მართალია, საკუთარი თვალით ნანახს თუ
 უშუალოდ განცდილს სხვა ფასი და მნიშვნე-
 ლობა აქვს მწერლისათვის, მაგრამ სხვა შემთხვე-
 ვევაშიც არსებობს გამოსავალი. „ახალ ზონტში“
 ომთან დაკავშირებული ამბები ისე
 გულუბრყვილოდაა მოთხრობილი, თითქოს მის
 ავტორს არც არაფერი წაუთხოვას ამ თემაზე.

ლადო ავალიანის რომანი „ახალი ჰორიზონ-
 ტი“ სამი ტომისაგან შედგება. ეს ტომები ბევ-
 რი რამით გვანან ერთმანეთს, განსაკუთრებით
 — მრავალსიტყვაობით. მაგრამ მათ შორის
 პრინციპული განსხვავებაა. მესამე ტომში,
 თურმე, საოცარი მოულოდნელობები გველის.
 პირველი ორი ტომის მანძილზე (ეს მანძილი
 კი საკმაოდ გრძელია, შეიძლება მეტი გვერდით
 განიზომება). ჩვენ უკვე თითქოს საფუძვლია-
 ნად გავიცანით გმირები, ვიცით მათი ხასიათი,
 საქმისადმი დამოკიდებულება, გავიგეთ მათი
 ავ-კარგი. და, უეცრად, მესამე ტომში ყველა-
 ფერი თავდაყირა დგება, ვინც კეთილი და გუ-
 ლისხმიერი გვეგონა, ბოროტი აღმოჩნდება,
 ვისდამიც გულაყრილი ვიყავით მათი უზნეო
 საქციელის გამო, ახლა გულბილი დამოკიდე-
 ბულებით უნდა გავიმსჯელოთ, რადგან კაცთ-
 მოყვარეობის გრძობა სწორედ მათ აღმოჩინ-
 დება. სხვებს კიდევ ათასი ფაფურაკი დაატყ-
 დებათ თავს და სულ აეწეწებათ ცხოვრება.
 რას იზამ, როგორც ჩანს, ცხოვრებაშიც და
 ლიტერატურულ ნაწარმოებშიც ბევრი რომ მო-
 ულოდნელი შეიძლება მოხდეს, ამაში ვერ გა-
 მოვედრავებით ავტორს. მაგრამ ის კი შეგვძლია
 ვუსაყვედუროთ, რომ როცა მის რომანში ასე
 ყველაფერი შეტრიალდება, კეთილი უნდა ინე-
 ბოს და კიდევ აუხსნას მკითხველს რა მოხდა
 და რატომ მოხდა. მითუმეტეს, ლადო ავალიანს
 ეს თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა, მკითხვე-
 ლისათვის ახსნა მას საკმაოდ პირდაპირი მნიშ-
 ვნელობით ესმის და სხვა შემთხვევებში ხში-
 რად სწორედ ავტორისეული გაჭიანურებული
 მსჯელობით განმარტავს იმას, რაც ისედაც ნა-
 თელია.

პირველი ორი ტომის მანძილზე რაიკომას
 მდივანი ბეგლარი საქმიანი, მშრომელი, გუ-
 ლისხმიერი ადამიანია და ხალხის ხელმძღვანე-
 ლის ნიჭიც აშკარად გააჩნია. ამაში ჩვენ ბევრ-
 ჯერ ვრწმუნდებით. ერთხელ ბეგლარი მოდი-
 დებულს წყლით დახინაფულ ხილს წაადგება.
 კოლმუერნები მკორეოდენი ბჭობის მერე
 მოახსენებენ, აღდგენას ერთი დღე დასჭირდე-
 ბათ. ბეგლარი გადაწყვეტს ერთ საათში აღად-
 გინოს ხილი. თვითონ მწერალი იმდენ რამეს
 ჩამოთვლის, რისი გავრცელებაც მოუხდათ ხილის
 შესაკეთებლად, ამას ერთი დღეც არ ეყოფო-
 და, მაგრამ ბეგლარის გადაწყვეტილებისამებრ

გურამ გვირგვინიანი
 ახალი ჰორიზონტი თუ ძვლინი

ზუსტად ერთ საათში, მართლაც, ყველაფერი მზად იქნება. ჩვენ ახლა ეს შეუსაბამობა არ გვინტერესებს, ხიდის შეკეთების ეპიზოდი იმისათვის გავიხსენეთ, რომ აქ მწერალი მიგვანიშნებს ბეგლარის თავმდაბლობასაც (იგი სხვებზე არანაკლებ მუშაობს ფიზიკურად), ორგანიზატორულ ნიჭსაც (ისე დარაზმა და ანთო ხალხი, შეუძლებელი შეაძლებინა). ამ დროს ბეგლარის „იერში ვერც აღტაცებას და გაღაპრებულ თავმომწონობას ამოკითხავდით, ვერც შედიდურობას, რაც შეიძლება აღძვრა სხვაში ამ წარმატებას“ (გვ. 169). „ყველა (და მათ შორის მკითხველიც გ. გ.) ცხადდ ხედავდა, რის შემძლეა ერთობა და სწორედ წარმართული ძალა“ (გვ. 168). სხვაგან ბეგლარი დიდი გულისხმიერებით ეკიდება უბრალო მეშახტეს გერასიმეს, ტაქტიკით და მზრუნველობით როგორც იქნება დაარწმუნებს, რომ მას ახლა ზღვის ნაპირას დასვენება სჭირდება (გვ. 176-81). რაიკომის მდივანს ხშირად ეხედავთ შახტშიც, სადაც მარტო სამუშაოთა დასათვლიერებლად კი არ ჩადის, თვითონაც მეშახტეებთან ერთად შრომობს: აფეთქებს, ბურღავს, სამაგრ ბიგებს ღვამს. „რას იფიქრებდა თამარულა, თუ ის რაიკომის მდივანი იქნებოდა. რაიკომის მდივანს შემოსვლა სანგრეუტში თამარულას ვერ წარმოედგინა საზეიმო ვითარების და თანაც ტრესტის თუ არა, შახტის უფროსის მიხედვით, პარტკომის მდივანის, მთავარი ინჟინრის თუ სხვათა თანხლების გარეშე“ (გვ. 331). ბეგლარი კი თავმდაბალი მდივანია, არ უყვარს ზარ-ზეიმი და ამაღა, უბრალოდ ჩადის შახტში და იქ სხვებზე მეტ შრომასაც ასრულებს, თანაც დარბევებშიც უხედავ აძლევს მეშახტეებს, დიდ მზრუნველობას იჩენს მათადმი. ჩვენს მიერწვეთ იმას, რომ რაიკომის მდივანი გარდა ყველა სხვა სიკეთისა, თავაზიანიცაა, დიდსა და პატარას პატივისცემით ეკიდება, მეგობრულად ესაუბრება, უყმეზი და შეუბრალებელი მხოლოდ იმათთვისაა, ვისაც სინდის-ნაშენი არა აქვს სუფთა.

მესამე ტომში მთელი ჩვენა ეს წარმოდგენები ბეგლარზე თავდაყირა დგება. მშრომელებს უკმაყოფილოდ ექცევა, საქმოსნებს მფარველობს, ნიკო არაბიძეს, ვისაც ასე კარგად იცნობდა და აფასებდა, იოლად გაიშვებებს. იგი ენის მიმტანებს აყვება, არც კი შეიძლება საქმეში გრყვევას, ისე მოახსენებენ ამ პატიოსან და გამრჯე კაცს უბნის უფროსობიდან. მართალია, მერე, როცა სრულიად შემთხვევით, თავისთავად გამოქვლიანდება ნიკოს უდანაშაულობა, რაიკომის მდივანი ვასცემს ვანკარგულებას ისევე აღადგინონ ძველი მეშახტე თავის ადგილას, მაგრამ სულ მალე საბოლოოდ გასწირავს მას და არაფერს იღონებს იმისათვის, რომ ხნიერი, ამავდარი კაცი უდანაშაულოდ საპატიპროში არ მიხვდეს. დავუშვათ, ვს მის ძალას აღემა-

ტებოდა, რაიმე განცდები ხომ მაინც უნდა გამოიწვიოდა ამ აღმამუფთებელი უსამართლობის გამო. ადრე თუ ყველას, მათ შორის თამარულასაც, ვახიანად ექცეოდა, ახლა ასე მიშროვდა: „სასადღატატაბედ მუშაობის საათებში?“ (გვ. 828). როცა თამარულა არ მოერიდება და პირში მიახლის ყველა უბედურებას, რაც შახტში ხდება, ბეგლარი იძულებულია მოუხსინოს, რადგან „მარტო არ იყო, ხალხი ეხვია, ხალხს კი სხვაგვარად თვალს როგორ აუხვევდა, ასე ძალიან რომ არ „დაინტერესებულყო“ ბუზალაძის უკანონობით, ხომ იფიქრებდნენ, ესეც იმის მფარველი ყოფილაო“ (გვ. 829). ბეგლარი მეორე დღეს ბუზალაძეს კი ტყავს გააძრობს, მაგრამ თამარულას შახტთან განთავისუფლების ნებასაც მისცემს. ბეგლარმა კარგად იცის, რომ შახტის უფროსი ბუზალაძე კუდი ხელმძღვანელია, მშრომელებს ღვენის, გაიძევებს მფარველობს, თან ქურდიცაა, ყველაფერს შინ ეზიდება, შახტისისათვის დიდი გაჭირვებით ნაშთს ხის მასალასაც საკუთარ სახლს მოახმარს, და მაინც მფარველობს მას. მართალია, ზოგჯერ კი შეუტეებს ხოლმე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვერ იშვებებს. თამარულა ბუზალაძეს შეეწირა, ნიკოც მისი მსხვერპლი გახდა. უფროსმა ინჟინერმა ხიდაშელმა აღიმაღლა ხმა ბუზალაძის უკანონობის წინააღმდეგ და რაიკომის მდივანმა ახლაც წესიერი კაცო გაიშვია, სამსახურიდანაც გააძევა და ჭავჭავიძე მოუხსნა, რომ ამით დასაჯოს და ფრონტზე გაისტუმროს. რატომღაც რაიკომის მდივანს დიდ სასჯელად მიანიჭა, კაცმა რომ თავისი მამულიშვილური ვალი მოიხადოს. ერთი სიტყვით, იმ რაიკომის მდივიდან, ვისაც ადრე ასე გულმოდგინედ გვაყვებოდა მწერალი, მესამე ტომში აღარაფერი დარჩა. გმირის ასეთი მეტამორფოზა სრულიად გაუგებარია, მითუმეტეს, როცა არც ავტორი ცდილობს რაიმე ახსნა მოუძებნოს ამას.

სამაგიეროდ, ბევენ-ბუ, ვისაც უწევს, ბნელ კაცად ვიცნობდით, ვინც ზნედაცვლილი მარტობა-ბიძინას თანამზრახველი და ბელშემწყობი იყო, უეცრად ყველაზე დიდ ქომაგად დაუდგება თამარულას და ასე თავგამოდებით იბრძვის სამართლიანობისათვის, შეუძლებელია ამან ვაკვირვება არ გამოიწვიოს.

ყველა უბედურება მესამე ტომში იმით დაგვირგვინდება, რომ ნიკო არაბიძეს მოღალატეობას დასწამებენ. ცოლ-ქმარი ამ ამბავს სტიოკურად შეხვდებიან. ნიკოს მეუღლე „სამათო ყოველთვის სტოვებდა ლამაზისა და სიმპათიურის შთაბეჭდილებას, მაგრამ ამ წუთში (დაპატიმრებისას, გ. გ.) ის მეტი იყო ლამაზებზედაც და სიმპათიურებზედაც“ (გვ. 822). იგი, მართალია, ცოტა თეატრალურად, მაგრამ მაინც თავს იკლავს პროტესტის ნიშნად, ხოლო ნი-



ყო, თუმცა უკვე გატეხილი და დაზიანებულია, მოეწყობა სიმართლის აღდგენას.

რამ გამოიწვია მესამე ტომში ამდენი უბედურება, ასეთი ძირფესვიანი შეცვლა გვირგვინის ბედისა და, რაც მთავარია ხასიათისა; როგორც მოგახსენეთ, ავტორს არც ახსნილი აქვს და არც მინიშნებული. ამიტომ, თავს უფლებას მივცემ, ჩემი ვარაუდი გამოთქვა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ლადო ავლიანი „ახალი ჰორიზონტი“ თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე წერდა. პირველი ორი ტომი მან ორმოცდაათიანი წლების დასასრულს გამოაქვეყნა და უნდა ვევარაუდოთ იმ დროს წერდა, როცა საქმითა ლიტერატურაში ევრეთწოდებული „შემლამაზებლური“ ტენდენცია იყო ფეხმოკიდებული. მართლაც, აქ ყველაფერი ახარებს თვალსაყ და გულსაყ. შემსახტებებს არავითარი დარღვი არ აწუხებთ, მშვენივრად ცხოვრობენ, როიალდებითა და ბროლებით ავთ საესე ოჯახი, ისე აცვიათ და ახერაეთ, რომ ჭალაქელ სულიოსა და მეგნისაც კი უკვირთ, თუ რაიმე სინძელ წამოიჭრება მათ წინაშე, ყველაფერს იოლად აგვარებენ, ყველაფერი ბედნიერად მთავრდება. რომანის მესამე ტომი კი მაშინ იწერებოდა, როცა „შემლამაზებლობას“ სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა და ლადო ავლიანიც, ეტყობა, სხვა ცდუნებამ შეიპყრო, ახლა ახალ ტენდენციას აყოლობს, სხვა უკიდურესობაში გადავარდა და რაც პირველ ორ ტომს მაშობლებელი პათოსი დააკლო, ყველაფრის ანაზღაურება მესამეში მოინდომა. ალბათ, ამაზე გამოიწვია, რომ ბევრწილად განსხვავებული გამოვივლიდა ერთი რომანის სხვადასხვა ტომებში. თუმცა თავისი ამ მარცხით ერთი კარგი გაკეთილი კი მოგვცა იმისა, რომ მოდის აყოლა არასოდეს რგებდა მწერლობას და ყველაზე უტყუარი ორიენტირი მაინც ცხოვრების სიმართლავა.

„ლადო ავლიანის რომანი „ახალი ჰორიზონტი“ ძველი მეშახტის ნიკო არაბიძის ოჯახის, ზელოვანის ნიჭით დაჯილდოებული ვაჟის — შატბია არაბიძისა და მისი სატრფოს — თამარელას ცხოვრების ისტორიაა“ — ვკითხულობთ ანოტაციაში, წიგნს რომ უძღვის წინ. ჩვენ კი შატბიას შესახებ ჯერ თითქმის არაფერი გვითქვამს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მართლაც რომანის ერთ მთავარ გმირად არის ჩაფიქრებული.

შატბია არაბიძეს ჩვენ სულ ერთი-ორი დღის მანძილზე ვხედავთ, რომანის დასაწყისში და ბოლოში. მოქმედება ძირითადად მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე ვითარდება, რადგან მთელი ხუთი წლის მანძილზე, ვიდრე აქ შახტებში ამდენი ამბები დატრიალდა, შატბია ჯერ ფრონტზეა, მერე კი, როგორც ირკვევა, ტყვედ ჩავარდება, ტყვეობაში ევროპის ქვეყნებს შემოვიღის და, წარმოიდგინეთ, საფუძვე-

ლიანად შეისწავლის ზელოვანებს, და კიდევ ბრწყინვალედ დაუფლება უცხო ენებსაც. თუ სიტყვით, უკეთეს განათლებას მიბრუნებულ ვიდრე მისთვის საოცნებო სამხატვრო აკადემიაში. ეს ყველაფერი წინასწარ ყოფილა გამოიზნული და ბევრი რამ, რაც რომანის დასაწყისში ჩვენთვის აუხსნელი იყო, მხოლოდ ბოლო ნაწილში ხდება გასაგებია. მაგალითად, სერიოზული და საინტერესო (ეს მხოლოდ თავად ავტორის რწმენით) მსჯელობა ზელოვანებზე (ამ საკითხს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით), ან კიდევ გაუთავებელი საუბარი და-ძმას, მეგისა და სულიოს შორის ინგლისურ ენაზე, თურმე, ეს ინგლისური დიალოგები იმდენად ხასიათების მისანიშნებლად არ ყოფილა მოშველებული, რამდენადაც იმისათვის, რომ შატბიამ სასაიმოვნოდ განაცვიფროს და-ძმა. როცა რომანის ბოლოს მეგეი და სულიყო კვლავ მიმართავენ თავის მხსნელ ინგლისურს საკუთარი აზრებისა თუ შთაბეჭდილებების დასაფარავად, შატბია სუფთა ლონდონური ინგლისურით ჩაერება საუბარში. მწერლის აზრით, ამაზე უღიღესი ფეფატი უნდა მოხდინოს და-ძმამეც და მკითხველმეც. და-ძმისა რა მოგახსენოთ და ჩემზე, როგორც ერთ-ერთ მკითხველზე, უნდა გამოგტყდეს, ეს დიდ ეფექტს ვერ ახდენს, რადგან იმდენი საოცრებები ხდება ამ რომანში, ტყვეობაში მიღებული ეს განსწავლულობა შატბიასი მაინცადამაინც აღარ მაკვირვებს.

მიუხედავად იმისა, რომ შატბია დროის თვალსაზრისით დიდხანს არ არის ჩვენი მხედველობის არეში, მასზე მაინც ბევრი რამ აქვს ნათქვამი ავტორს, რადგან სწორედ პირველი და ბოლო ნაწილები ამ რომანისა, სადაც ეს გმირია ყურადღების ცენტრში, საქმაოდ ვრცელდება.

ლადო ავლიანს შატბიაც ყოველი სიკეთით შემკულ გმირად ყავს წარმოდგენილი. წყალობილობა, რითაც იწყებს რომანი და ასე გაჭიანურებულია მის შესახებ თხრობა, მარტო თამარელას გმირობის წარმოსაჩენად არა სჭირდება ავტორს. აქ შატბიას ვაუკაცობაც მთელი სისრულით უნდა დაეინახოთ.

ჩვენ, ზემოთ, როცა თამარელას გმირობაზე ვლახაკობდით, საუბარი აქ შევწყვიტეთ, როცა მან „პირველი ნაბიჯი ანგარიშმოუცემლად შედგა მღვრიე წყალში“. ამის შემდეგ, „თამარელა, თითქოს უხილავ მეტოქეს ეჯიბრებო, განსაკუთრებით ცდილობდა, რადაც უნდა დაეწონადა, ამ ლღვის ხემდე მიეღწეა (რომელზედაც გადასარჩენი ბავშვი იყო გ. გ.), რაც ერთის შეხედვით სხვას შეუძლებლად ეჩვენებოდა, თვითონაც დარწმუნებულიყო და სხვაე დაერწმუნებინა, რომ შეუძლებელი არაფერია

გუარამ გვირგვინი

ახალი კორიუნიტი თუ ძველი?

რწმენით და გამბედაობით აღუქრვილი ადამიანისათვის" (გვ. 38). ამ ღრმააზროვან ფიქრებში თამარელამ კიდევ მიაღწია ლეღვის ხეს, ამით თავის თავსაც და სხვასაც დაუმტყიცა ის, რისი დამტყიცებაც ეწადა. მისი მისია ამით კიდევ ამოიწურა. თამარელას რომ ბავშვი გადაერჩინა, შატბიასათვის ასპარეზი აღარ დარჩებოდა. ამის შემდეგ შატბიას გმირობის ჯერი დადვა.

თამარელა რომ ამ განსაღვლელში იყო, ამ დროს შატბია და მისი ამხანაგები ჯერ მხოლოდ შატბიდან ამოვიდნენ. და მანაც შატბიას ხედა წილად (ან, უფრო სწორედ, ავტორმა არგუნა წილად) თამარელასა და ბავშვის გადარჩენა. ან კი სხვა როგორ შეეცდებოდა, როცა შატბიდან მდინრისავე სირბილით მიმავალ „გზადაგზა ვინც კი ხედებოდა, ყველა წყალღობაზე და კაკოს ბიჭზე ლაპარაკობდა. ზოგიერთებმა კაკო, მართალია, გაამხნევეს, ერთმანეთში კი მწუხარებით გაიძახოდნენ — ძალიან საეჭიოა კაკო წიგნიბიძემ თავისი ბიჭი ცოცხალი იხილოს, წყალი იმ ხეს აქამდე ხეთჯერ მოთხრიდაო..." (გვ. 23). როგორც აშკარად ჩანს, ამ ხალხს, მდინარიდან რომ აქეთ მოდიოდნენ და „გზადაგზა ხედებოდნენ" მშველელებს, არამითურ არ უცდიათ ბავშვის გადარჩენა, იმდენი ყურადღება, ან თუნდაც ცნობის-მოყვარეობაც კი არ გამოუჩენიათ, ენახათ რითი დამთავრდებოდა ყველაფერი ეს. ჰოდა, ბურთიც და მოედანიც, ანუ „ახვარხვალეებულაქაფებელი" მდინარეცა და განწირული გოგობიჭის ბედიც ახლა შატბიას დარჩა თავისი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად.

შატბიამ, ვისაც „მეშახტეთა ოჯახში ყველა ჩინებულად იცნობდა და საყვარელ სტუმრად თვლიდა" (გვ. 21), „ამხანაგები ვადაკარბებულნი ყურადღებით ეპყრობოდნენ" (გვ. 20), „სწრაფად წაიძრო რეზინის ჩექმები და ფეხსახვევი, გაიხადა ბრეზენტის პიჯაკიც, ბავშვებს ერთი ძიძგილი და ცილობა შეეჭმნათ შატბიას ტანსაცმლის დასაკეთებლად" (გვ. 22). თუ მანაც დაინტერესდით, რატომ შეეჭმნათ „ძიძგილი", ამ ცნობისმოყვარეობასაც იქვე გვიკმაყოფილებს ავტორი: „მისი ქუდის, პიჯაკის, ჩექმების ტარება ბავშვებისათვის ღიძი სისახელი იყო" თურმე (გვ. 22).

აი, ასეთად დაინახეთ პირველად შატბია. უკვე ვიცით, რომ იგი სასახელი, გამორჩეული კაცია, მაგრამ ამას დემონსტრირება უნდა და მწერალიც გულმოდგინედ ეკიდება საქმეს.

„შატბია ფრთხილად, მაგრამ მარჯვედ ჩასრიალდა ლოდის შვეულ ნაპირზე და მის ირგვლივ ადუღებულევიც ახვარხვალეებულაქაფებულ წყალში ჩაეშვა... როცა წყალში იღლივბამდე შევიდა და ტანი აუშრატდა, კობტად გაწვა და მარჯვედ იწყო ტალღების კვეთა...

...ნაპირიდან მოთვალთვალეთა გაოცებას და

სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხალხი, დღითუ პატარა, ისე იყო მოზობლულე მისე სიგარდით და მოსაზრებულობით, ბევრე მამწეწეწე ღრმეში კიდევ ნატრობდა ახლა შატბიას არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობას. შორიდან მისი ვარჯა ლამაზი საცქერო იყო და ხალხიც ისე ერთობოდა, როგორც სანახაობით..." (გვ. 37-8).

შატბიამ ჯერ ბავშვი გამოიყვანა სამშვიდობოს. ბავშვის დედამ, „მაიამ ნაპირზე ვასკლა არც კი აცალა, შატბიას შეგებების ადგილზევე გადაეხვია და გამბედავული კოცნით შუბლს და ლოყები აუჭრელა" (გვ. 40).

შატბია მარტო ვეჯაკურო ბუნების კი არ არის, დახვეწილი, ფაიზი გრძნობების პატრონიცაა. ესეც აქვე ჩანს, ამავე ეპიზოდში:

„ეს აღტაცება და ალიაქოთი რომ ცოტა მიწენდა, შატბიამ უმაღ იხელთა დრო და თამარელასავე იწყო კტერა. მართალია, შატბია სიტყვით არ შეპირებია, მაგრამ ისე შეხედა წელან, თითქო ეუბნებოდა — „შენც მალე გამოგიყვანო", ახლა კი გუნებაში ნატრობდა — „ნეტავი ვინმე იფიქროს მისი გამოყვანაო!... ერთი შეხედვით ეს უცნაური და ჭაბუკისათვის არაბუნებრივი წადილი შატბიას მოწიწებას უფრო ნიშნავდა, ვიდრე თამარელასადმი გულგრილობას. მას ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ჩაეგლო ხელი ქალიშვილისათვის..." (გვ. 40).

თავდაცვ კარგად ევარძობა, ციტატები შტად უხვად მომაქვს რომანიდან, მაგრამ მკითხველმა უნდა მიახტოს ეს, რადგან, ჩემი აზრით, სხვა უკეთესი საშუალებების გამოძებნა ლაღო ავალიანის წერის მანერის გადმოსაცემად უზარალოდ შეუძლებელია. ვისაც „ახალი პირიზონტი" არ წაუკითხავს, შეიძლება ეგონოს, რომ ეს ნიმუშები ზეაწეული, გაპარანჯული, მიაშიტი თხრობისა სპეციალურად ამოჯექვე წიგნიდან. სამწუხაროდ, მთელი რომანი ასეა დაწერილი.

და მანაც, განსაკუთრებით გამოირჩევა ამ თვალსაზრისით რომანის პირველი ნაწილი, სადაც ორასზე მეტე გვერდზე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ წყალღობა, მეგისა და სულკოს სტუმრობა და ქეიფია აღწერილი. ამხელა და თანაც ბევრწილად ნაკლებსიმტყელი შესავალი ნაწილი რომანისა, ძნელად რომ კიდევ საღმე სხვა ნაწარმოებში დაიძებნოს. ეს რაღაც სისიყვარულო ინტრიგები შატბიასა, თამარელასა და მეგის შორის, რასაც ამდენი ადგილი აქვს. დათმობილი, სრულიად ზედმეტად რომანში, რადგან შემდეგ არავითარ ვაგრტელებას არ მოყვებს. თანაც, ჩემი აზრით, არ შეიძლება სერიოზულად დაინტერესდეს მკითხველი ამ „ურთიერთლაიციით", რასაც მწერალი ასეთი ფრთხილად მოგვითხრობს და მოგვითხრობს:

„შატბიას მან (მეგამ, გ. გ.) ერთი იმ მომზიბი.



ლავი ცბიერებით გაუღიმა, რაც, შეუძლებელია, ვაჟმა გულგრილად მიიღოს და უეცარი წამოწივლებით მინც არ უპასუხოს" (გვ. 71).

როცა მეგობრები შეხვდნენ, უმალ გადაწყვიტა, ისეთი რამ ემღერა, რაც უპირველეს ყოვლისა, მას მოეწონებოდა. ახლა მეგობრის ეს იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი... მეგობრები მოხდენილად დაუკრა თავი სტუმრებს, სწრაფად წამოდგა... თეთრთი ხის მოჯირის ოდნავ, ფრთხილად მიეყრდნო, ცალი ხელი მკერდზე ნახლად მიისვენა, მეორე კი მაღლარის ვახს მოსჭირდა.

...მეგობრები ყელაზიდილი, ოდნავ უკან თავდააწივლი მღეროდა ვატყეებით. ხან სახეს შეაბრუნებდა ხოლმე აქეთ-იქით, თავსაც ვაიქნევდა, დროდადრო წარბსაც მარჯვედ შეატოკებდა, და ამას ყველაფერს, ისე ბუნებრივად, ნამდვილი ხელოვანის ზომიერებით აკეთებდა, რომ სიმღერით ტყვედქმნილი მსმენელი არ შეიძლება არ მოეხიზლა მისი სახის მოძრაობასაც და ამ სახეზე, მკერდზე ვახსის ფოთლების ჩრდილთა და ნათელ ლაქათა თამაშს.

შაბტია გვიან მიხვდა, მეგობრები მისთვის მღეროდა. ვაჟი გაიცილებული უსმენდა, რა განცდით, რა სიყვარულით მღეროდა ყმაწვილი ქალი, რამდენი სინაზე, სილამაზე, აღმაფრენა იყო ამ სიმღერაში, ამ გამჟღავნებულ ბგერებში. მეგობრები, როგორც დაიწყა — მინორულად, ისევე დაამთავრა სიმღერა... არც ერთხელ პაერის ცივად გამკვეთი ბგერა არ ამოსული მისი ნახლად მოღვრებული ყელიდან" (გვ. 93).

— თუ ისტრეგებით და იტყუებდით... შემიძლია, ჩემი პიჯაკი... — ყოყმანით შესთავაზა შაბტიამ, რადგან დარწმუნებული იყო, ქალიშვილი უცხო ვაჟის სამოსს არ წაიკარებდა. — მეგრე, — უმალ შესცინა მეგობრები, — მე დამთბეს და თქვენ შევცოდეთ! — მეგობრები ახლა შაბტიას მხერქას გასაქანს არ აძლევდნენ.

მეგობრები ასე ცქერა შაბტიასათვის უფრო ძვირფასი და მწველი იყო, ვიდრე პიჯაკის სითბო...

შაბტიას კითხვა აღარ გაუმეორებია, ქალს ბოდიშის მოხდით ხელი შეაშეგებინა, უმალ მოხდენილად გადაიძრა პიჯაკი და ისე ფრთხილად მოასხა მხრებზე მეგობრები, რომ მან ჯერ საამო სითბო იგრძნო, შემდეგ ქსოვილის შეხება.

მეგობრები მაღლიერის თვალით გადახედა ქაბუქს. კვლავ გაუყარა მკლავში ხელი და, სულიერად იმით კმაყოფილმა, რომ პიჯაკის დათმობა მას არ მოუხდა, შაბტიამ, იმით გახარებულმა, რომ მისი პიჯაკი მეგობრებს ესხა მხრებზე, მეგობრები საამოდ ჩამთარძა, შაბტიას ყურადღებით ნასიამოვნებმა, ისევე უდარდელად განაგრძეს გზა" (გვ. 101-2).

ოი, ამდაგვარი ლამაზი და გაუთავებელი ფრთხილ მოთხრობილი სიყვარული, პირველი

შეხვედრისთანავე რომ იფეთქებს "უტყუარა და კენარი გოგონას" მეგობრები და გამოსაქანდაკებულად მხოლოდ როდენისათვის, მინიშნებითაა ცხადი არა, ვასამეტებულ (ეს ვადაწყვეტილება დამამ ერთად მიიღო) შაბტიას შორის, უეცრად ისე მთავრდება, რომ შარშანდელი თვლივით არც მეგობრებს ახსოვს, არც შაბტიას და არც თვითონ მწერალს.

მე ასე მგონია, და ღრმადაც ვარ დარწმუნებული, რომ მთელი ეს სიუჟეტური ხაზი, მეგობრები და სულიერად დაეკვირვებული, სულ ზედმეტია რომანში. და თუ რაიმე გამართლებანი შეიძლება მოეძებნოს მას, მხოლოდ იმდენად და იმ დროით, რამდენადაც შაბტიას მოწოდების გასახსნელად შეიძლება დაჭირდეს მწერალს. შაბტიას შინაგანი მოწოდება კი ძვირფასაა. ბუნებრივი ნიჭი შაბტიას მოსვენებას არ აძლევს და თუმცა ოჯახის ტრადიცია მას შაბტიასკენ მოუწოდებს, მისი სული მაინც ხელოვნებას ელტვის. უთუოდ საინტერესო პრობლემაა, თუ როგორ იკავფავს გზას ხალასი ნიჭი შემართარი ხელოვნებისაკენ, რა ძლიერია მოწოდების ძალა. მაგრამ სჭირდება ეს შაბტიას ნიჭს გზის გაკაფვა? თურმე არა სჭირდება, რადგან შაბტია ფეხის აღდგომისთანავე დასრულებული შემოქმედია.

საოკარია, მაგრამ აღდგომის ავლიანი შემხატებების ცხოვრებაზე ბევრად უფრო დამაყრებლად მსჯელობს, ვიდრე ხელოვნებაზე. მწერლის ზომიერებას მოკლებული, ზეამბატებული სტილი თხრობისა ყველაზე მეტად სწორედ იქ იჩენს თავს, ხანდახნ მხატვრობაზეა ლაპარაკი. შაბტია რომანში ყოველმხრივ გამორჩეული, სრულყოფილი პიროვნებაა. იგი ასეთად წარმოგვიდგინა ავტორმა და რაღა ხელოვნებაში დააკლდება რამეს. არავითარი ნახატგრო აკადემია რომ მას არ სჭირდება, ეს თავიდანვე ნათელია ჩვენთვის, რომანის დასასრულს კი საბოლოოდ ვრწმუნდებით ამაში. სწორედ ამ სასწავლებლის სტუდენტს სულიერად და მეგობრებზე, მეშატებების ქალაქში სტუმრად ჩამოსულებს, შაბტიას ნამუშევრების დანახვისთანავე აოცრებით "ერთსა და იმავე დროს ადამიანის ნაკეთების და სულიერი მდგომარეობის გადმოკვების უნარი" (გვ. 66). პირველივე ბიუსტის აღტაცებული მეგობრები წამოიძახებს: "ეგ ბიუსტი ვიციკა, უკუოდან შემოსის!" (გვ. 65). თანდათან სულ უფრო მატულობს და-ძმის განცდიერება: "შაბტია, ნეტავი ვიცოდებ, გესმის და გრძნობ თუ არა, უკვე რა დიდი ხარ ხელოვნებაში!" (გვ. 72). მეგრე კი მწერალი მარტო ემოციურ დამოკიდებულებას აღარ სჭერდება და გვიხსნის, გვისაბუთებს შაბტიას ხელოვნების სილიაქს:

გურამ გვირგვინი
ახალი პორტრონტი თუ ძველი?

„მეგობ დანახვის უმალ იცნო თამარელა და ნატურის გვერდით უმალ მკაფიოდ დაუდგა თვალწინ შატბიას ნახვალავიც. ახლა მეგობ ერთსა და იმავე დროს ჰერეტდა ორ თამარელას— ხელოვნებასა და ცხოვრებაში. მეგი უმალ დარწმუნდა, რომ ხეში გამოკვეთილი თამარელა იყო არა ზუსტის ასლი, არამედ შატბიას თვალით დანახული ქალწული, რომელსაც შეიძლება ზოგი რამ აკლდა ნატურის ღირსებათაგან, მაგრამ უფრო ამაღლებული კი ჩანდა ხაზგასმული პირობითობისა და პროპორციების ოდნური გაზვიადების წყალობით.“ (გვ. 77).

მართალია, აქაც და ერთი-ორგან სხვა აღწერასაც, როცა ავტორი უფრო იტანება, რომ მეტისმეტი მოუვიდა, დამაჯერებლობისათვის ამდაგვარ ფრაზებსაც ჩაურთავს ხილმე: „შატბიას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა, მისი ნაწარმოებები რომ სრულყოფილებას მოყვარულთ დასრულებულ ქმნილებად ჩაეთვალათ.“ (გვ. 77). მაგრამ ეს არსებითად საქმეს არ შეეხება, რადგან, ჯერ ერთი, თავისი მომხილავი გმირის სიყვარულით მთვრალ ავტორს ასეთი გამოფხიზლებების მომენტები იშვიათად დაუდგება ხოლმე, მეორეც კიდევ, როცა უკმაყოფირობისა და უკმაყოფირობის ხელოვანს იმას მიაწერს, რასაც როდენმა, ნიკოლაიმ, პიკასომ თუ მატისმა ძლიერ მიაღწიეს თავისი შემოქმედების ზენიტში, მერე კიდევაც რომ ბევრი ილაპარაკო მის განუწყველებლობაზე და ალღოს როზე, ეს აღარ შეგვიცვლის ჩვენს წარმოდგენას.

ზემოთ მოტანილი ციტატი მანც პირველ შთაბეჭდილებას ვადმოგვეცემს და იქნებ მწერალი აქ არაფერ შეაშინა, მისმა ახალგაზრდა გმირებმა ვერ მოზომეს, ეს არცთუ ვასაკვირი იქნებოდა. მაგრამ ამას ვერა ვხედავთ რომანში. პირიქით, როცა სულიკო სერიოზულად ფიქრობს ამხელა ხელოვანი ხელში ჩაიგდოს, ამის რეალურ საშუალებად შატბიას დამოყვრება ესახება და კიდევ ზღაფთაობის საქმის მოსაგვარებლად, ზემოთგამოთქმული იქვი უნდა გავგიქარწყულებდეს. მითუმეტეს, კარგა ხნის შემდეგ სულიკო კვლავ სპეციალურად ჩამოიღის მეშახტეთა ქალაქში ფრონტზე დაკარგული შატბიას ნამუშევრების, ბოდიშს ეიბრი, შედევრების სანახავად და როგორმე მისათვისებლადაც. სულიკო ახლა კიდევ უფრო მეტ ღირსებებს აღმოაჩენს მათში:

„სულიკომ ქანდაკებები გრძელ სასადილო მავიდაზე გამწვრივა და დიდხანს, თითქმის მთელი ნახევარი დღე მათ ტრფიალში იყო. ზოგ მათგანს მინც განსაკუთრებული გულმოდგინებით ჩაჰკირკიტებდა. ხან ერთ მხარეს შებარუნებდა, ხან მეორე მხარეს, ვანათებას უცვლიდა. ამ ქანდაკებებში სულიკოს ხიბლავდა რაღაც გამოუცნობი სიღრმე, რითაც გამოირჩეოდა შატბიას თითქმის ყველა ნამუშევარი. მის ქანდაკებებს ძალას ანიჭებდა შინაგანი სი-

მართლე და ეს გვაჯერებდა, რომ იგი არ უნებლებელყოფდა გარეგან მსგავსებასაც. არც ერთი მათგანისათვის არ შეიძებოდა, რეალურად უნებლად ეჭვრა. ისინი თვითონ აღმარებულნი იყვნენ ში გარკვეულ ემოციებს და შეუმჩნეველად მყარდებოდა რაღაც უცნაური, ინტიმური კონტაქტი უსულიკო საგანთან. საკვირველი ისიც იყო, რომ ამგვარ აღქმას სულაც არ უშლიდა ხელს მნახველს ის გარემოება, რომ ფორმის მხრივ ეს ნამუშევრები არ იყო კლასიკურად დახვეწილი, მაგრამ არც პრიმიტიულს შთაბეჭდილებას სტოვებდა. ფორმის კლასიკური სრულყოფილების სამავიროდ იყო დიდი ალღოთი ნაკარნახევი მხატვრული სისადავე. ეს გარემოებაც საიდუმლოდ რჩებოდა სულიკოსათვის... რაზედაც ცნობილი ოსტატები თავს იმტერებენ და წლობით, ოფლს ღვრიან, შატბიას ასე ძალდაუტანებლად, სადად და მარჯვედ აქვს მიღწეული ქანდაკების ცალკეული ნაკეთების ვადმოცემისას“ (გვ. 772).

ამის შემდეგ უკვე სხვა, სათავგადასავლო ხასიათის საოცრებები იწყება: შატბიას ქვეში გამოკვეთილი „მოხუცის თავი“ სულიკო მითვისებს, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა შატბია ტყვეობიდან დაბრუნდება, დაადგამს თუ არა ინგლისის მუზეუმებიდან მომავალი თბილისში ფეხს, აეროდრომიდან პირდაპირ სამხატვრო გალერეაში გაემგზავრება (მხატვით, ჯერ საპარტიკომპარტიკო შეივლის), სწორედ იმ დროს იქ სულიკო დიასამიძის სახელით გამოფენილია მისი „მოხუცის თავი“, სწორედ იმ დღეს საჯაროდ იხილავენ გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწარმოებებს, სულიკო მარჯვედ შეატრიალებს საქმეს, შატბიას მოსარჩლელ გამოიღებს თავს, ნამდვილი შემოქმედის ეინაობას ვაამქვანებს, შატბია თვემდაბლურად გამოიპარება საჯარო პაექრობიდან. ეს სენსაცია დიდ აურზაურს გამოიწვევს, ქანდაკებით მოხიბლულებს იმ წუთში შატბიას „ნახვა ალბათ მილიონდაც ჭლირდათ“ (გვ. 929). მერე დიდად ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი ელდარი ასე შეაფასებს შატბიას „მოხუცის თავს“:

— ეს რომ სადმე მიწაში ჩამარხული ქალაქის ნანგრევებში ეპოვნათ, ძველ ეგვიპტურ პორტრეტებზე დაბლა არ დაყენებდნენ“ (გვ. 937).

ელდარს არც გალერეის დირექტორი და ხელოვნებათმცოდნე ჩამორჩება:

— დიხ... მომწონსო რომ ვითხრათ, ცოტა იქნება... ასე ჩემო კარგო, ზოგი სახელოვანიც ვერ ამთავრებს თავის შემოქმედებას, თქვენ კი დასაწყისშივე ამდენი ვაგვიბედათ... რა თქმა უნდა, ბევრი ვერ გაიგებს, უფრო მეტს შეშურდება, მაგრამ ნუ შეგვიწინდებთ!.. თქვენ ჯერ შეიტლება ვატის ხელა აყობ, მაგრამ მალე ალბათ გიჭივით აყობი ტანს ხელოვნებაში“ (გვ. 937).



აქ მარტო კატისა და ჭიქის ამბავია გაუგებარი, ალბათ შატბიას საყოველთაო აღიარებისა და სახელის მონვევის თვალსაზრისით მამართა მწერალმა ამ შედარებას, თორემ ჩვენს წინ რომ უკვე დღეებუდა და დასრულებული შემოქმედია, ეს ცხადვე ცხადია.

ამს ყველაფერს კიდევ იტანდა კაცი, რა ვუყოთ მერე, ასეთი ბედნიერი დამთხვევებით რომ არის საესე რომანის ფინალი, მაგრამ გაუთავებელი ბრტყელ-ბრტყელი ლაბარაკი საერთოდ ხელოვნებაზე, ეგვიპტურიდან მოყოლებული ფიროსმანამდე, და კაიბამქმდე, თუ შემოქმედის ზედრზე, საქმოსნები რომ ჩაგრავენ დღეს ნიქებებს, ეს კი უკვე მეტისმეტია. ბევრი რომ ამ ტირადებში მართალია ნათქვამი, თუმცა კიდევ უფრო მეტი აქ ბანალური მსჯელობაა, სწორად ავტორის ვულისწყურავი გასაგებია, მაგრამ ასე პირდაპირ, შეუფარავად, ყოველგვარი მხატვრობის გარეშე, ტრაქტიკისა თუ მოხსენების ერთი გაუთავებელი ლაბარაკი ხან თავად მწერლისა და ხანაც მისი გმირებისა, რომანის ღირსებას, ჩემი აზრით, დიდად ვნებს. აქ უკვე არავითარი ციტატის მოტანა აღარ შეიძლება. თუ ვინმე დეკლავდება ჩემს ნათქვამში, თავად ვადაშალოს რომანის ბოლო ნაწილის ნებისმიერი გვერდი და, ვფიქრობ, დარწმუნდება, რომ ამ მართლაც გაუთავებლად შეიძლება წერა.

მწერალმა კიდევ დაგვიწოდო ჩვენ, თორემ თავის გმირებს რომ აყოლრდა, ჭერაც დაუშთავრებელი ეწებოდა რომანი და, ვინ იცის, საერთოდ დამთავრებდა თუ არა. ჩემი მარტო ხელოვნებაზე და მის ისტორიაზე ასე მთელი ტონები შეიძლო დავუწერა. სხვა საშუალებაც ბევრი ქონდა, მაგრამ ბოროტად არ გამოიყენა. მაგალითად, მისმა გმირებმა შატბიამ, მეგამ და სულთომ გორაკზე მხოლოდ რამდენიმე ხის შესახებ ისაუბრეს ღრმავაზროვნად, ავტორმა კი სიტყვა აღარ გააგრძელებინა და მოკლედ გვამწერო, სხვა ზეგბილ ასევე სიყვარულით შეათვალერეს, იმათაც სცეს პატივი თავიანთი ყურადღებითო (გვ. 105). ახა ერთი წუთით წარმოადგინეთ, მწერალი მართლაც რომ აყოლოდა თავის გმირებს და საშუალება მიეცა მათთვის თავისი ყურადღებით პატივიც მათ ყოველი ხისათვის, სად წაგვიყვანდა ეს? ან კიდევ, წოდების ტყეში „სულთომ ცნობისმოყვარეობით ათვალერებდა ყოველ ხეს და ნატრობდა, დრო რომ იყოს, თვითეულ მათგანს ორ-ორჯერ მაინც დავებატავდიო“ (გვ. 149). ავტორის რომ სულთომისათვის ნატრა აესრულებინა და დრო მიეცა ახლაც ხომ მასთან ერთად იქ, წოდების ტყეში ვიქნებოდით.

რომანის პირველ ნაწილში ლადო ავალიანი

ასე მოკლილად და იოლად რომ მოგვითხრობს ამბებს, კიდევ გასაგებია, იქ ყველაფერს გაგად და ბედნიერად არის, მაგრამ მერე ხომ გმირებს თავს ათასი უბედურება დაატყდათ. მწერალი არც აქ ცდილობს უფრო ღრმად ჩიხედოს თავისი გმირების სულში და მათი ფიქრების, განცდების, ვარდაბდენილთან დამოკლებულების თანაზიარი ვაგვხადოს. იძულებული ვართ ისევ ისე, მხოლოდ გარეგნული, ზერელე შთაბეჭდილებებით დაკმაყოფილდეთ. ამ ზერელობამ კი იქამდე მიიყვანა შატბია, რომ ტყეებშიდან დაეკრუნებულ ქაჩისკაცს კი არა გავს, არამედ — ტურისტული მოგზაურობით ნასიამოვნებ ახალგაზრდას.

„ახალ ჰორიზონტს“ საინტერესო, აქტუალური, ქართულ ლიტერატურაში ნაკლებად გახსნილი თემა აქვს. ესაა მუშაბტეთა ცხოვრება. და ეს თემა ბევრად მოიგებს, თუ რომანი განიტვიტრება უამრავი ზედმეტი ამბებისაგან და მწერალი უფრო სადად გვეტყვის სათქმელს, გარეგნულ სამკაულებს (მაღალფარდოვანებს, მით უმეტეს გულბურკეილოს) შეეშვება და შეცდებდა უფრო ღრმად ვაგვიხსნას გმირების შინაგანი სამყარო. არც ის იქნება ურიგო, თუ თავის დადებით გმირებს თავიდანვე მაინც არ შეაყენებს კვარცხლბეკზე. ახლა კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის რომანის დასაწყისში მოგარდნილმა წყალმა მარტო ქალბატონი კი არა, თვითონ რომანიც დატბორა და ერთადერთი საშველი მისი ამოშრობაა.

ერთ-ერთი ჩემი საყვედური მწერლის მრავლსიტყვაობა შეგებოდა. ცოდა გატეხილო გოზს და მეც საქმარისზე მეტად გამოგტეხილა სიტყვა. რას იზამ, არც ისე იოლი ყოფილა მოკლედ თქმა. ამას გარდა, მწერლებს ისედაც ბევრი არაფერი სჯერათ კრიტიკული შენიშვნებისა. მით უმეტეს, მარტო შთაბეჭდილება და აზრი თუ დამოთქვი ნაწარმოებზე, მაშინვე გიკეთინებენ, ვაუსაბუთებელიაო. მეც შევეცადე გრძელ-გრძელი ციტატებით და არანაკლებ გრძელ-გრძელი საკუთარი ფრაზებით დამესაბუთებინა ნათქვამი, თუმცა, რა გამოვა აქედან, ეშვამკა იცის. ზოგი ჩვენი მწერალი თავისი სიკეთითა და ბრძოლის (თუ ჩხუბის) უნარიით ძალიან ჩამოგავს იმათ, ვისზედაც ასე მწყობრად მსჯელობს ლადო ავალიანი თავისი რომანის ბოლოს, მხატვართა დისპუტთან დაკავშირებით. ასე რომ, ვანსასჯლად ისევ მკითხველს უნდა მივმართოთ. ღმერთმა ქნას, ძალიანაც ვცდებოდე ამ „ახალ ჰორიზონტს“ მართლაც ამ მხატვრული დონის ნაწარმოებში იყოს, რაც ქართულ ლიტერატურას და ქართულ მკითხველს დღეს ასერიგად სჭირდება.

წიგნი გაუჩინდაშვილი

ბერძნული „ბალავარიანის“ ერთი მოსკოვური ხელნაწერის გამო

საერთოდ „ბალავარიანის“ და კერძოდ მისი ბერძნული ვერსიის წარმომავლობის შესახებ დიდი ხანია დავობენ სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები. წინამდებარე წერილში ჩვენ მოკლედ შევეხებით მხოლოდ ბერძნული „ბალავარიანის“ წარმომავლობის საკითხს.

კერძოდ ბერძნულ და საერთოდ დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში „ბალავარიანი“ გამოჩნდა მეთერთმეტე საუკუნეში და ამ დროიდან მოკიდებული დღემდე, ვერ გადაწყვეტილა საკითხი — ქართული „სიბრძნე ბალავარისა“, არის ბერძნული „ეკარლამისა და იოსაფის ცხოვრების“ პირველი წყარო, თუ პირიქით — ბერძნული „ეკარლამისა და იოსაფის ცხოვრებიდანა“ გადმოკეთებული ქართული „სიბრძნე ბალავარისა“, თუ კიდევ სულ სხვა: არაფერია აქვთ საერთო ამ სასულიერო რომანის ამ ორ ვერსიას პირველად-მეორადობის თვალსაზრისით — არც ბერძნული მომდინარეობის ქართულიდან და არც ქართული — ბერძნულიდან.

ამ საკითხით დაინტერესებული მეცნიერები ძირითადად ორ ბანაკად არიან გაყოფილი: ერთნი თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ რომანის ბერძნულად მთარგმნელია ექვთიმე იბერიელი. მეორენი კი არანაკლები მონდომებით ცდილობენ, უარყონ ექვთიმე იბერიელის ღვაწლი და ბერძნული „ბალავარიანის“ შემქმნელის საბატო ტიტული იოანე დამასკელს მიაწერონ. დავა ამ საკითხის ირგვლივ ფაქტურად მას შემდეგ იწყება, რაც, მეთერთმეტე საუკუნეში, ხელნაწერთა ლემბზე პირველად გაჩნდა მინაწერები თხზულების შემქმნელის ვინაობის თაობაზე და 1042-44 წლებს შორის გიორგი მთაწმინდელმა „ექვთიმეს ცხოვრებაში“ აღნიშნა ექვთიმეს ის ღვაწლიც, რომ მან ქართულიდან ბერძნულად მთარგმნა „ბალავარი“...

იმის სასარგებლოდ, რომ ქართული „სიბრძ-

ნე ბალავარისა“ არის ბერძნული „ეკარლამისა და იოსაფის ცხოვრების“ პირველი წყარო და ამდენად მისი ავტორია ექვთიმე იბერიელი, მეტყველებენ შემდეგი ფაქტები:

1. ჯერ კიდევ XI საუკუნეშივე ექვთიმე ათონელის თანამედროვე და თანამოსაქმე გიორგი ათონელი „ექვთიმეს ცხოვრებაში“ აღნიშნავდა, რომ მან, ექვთიმემ „ბალავარი და აბუკურა და სხუანიცა რაოდენნიმე წერილინი ქართლისაგან მთარგმნა ბერძულად“. („ათონის კრებული“, 1901, თბილისი, გვ. 4). გელათის მონასტრის ხელნაწერ № 20-ში საუბარია ექვთიმეს მიერ მთარგმნილ ნაწარმოებებზე და მეტყვე ადგილზე დასახელებულია „ბალავარიანი“. მართალია, აქ საუბარია იმაზე, რომ, თითქოს, ექვთიმემ „ბალავარი“ ბერძნულიდან მთარგმნა ქართულად, მაგრამ, როგორც დამატებულად ამტკიცებს კონწელი კვეცილიძე თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, ეს უბრალოდ, გაუგებრობის ნივთავზეა აღმოცენებული. საერთოდ ის ფაქტი კი, რომ გელათის ხელნაწერსაც მაინცა ექვთიმე იბერიელი „ბალავარიანის“ მთარგმნელად, მაინც იმათ სასარგებლოდ მეტყველებს (თუ ვაითვალისწინებთ სხვა ფაქტორებს), ვინც ბერძნული „ბალავარიანის“ ქართულიდან წარმომავლობის თეორიას იცავს.

2. სამ უძველეს ხელნაწერში — ორ ბერძნულსა და ერთ ლათინურში, რომანის ბერძნულად გადამკეთებლად დასახელებულია ექვთიმე იბერიელი, იგივე მთაწმინდელი ანუ ათონელი. დიდად ანგარიშგასაწყევია ის ფაქტიც, რომ ის ხელნაწერები, რომლებიც ამ არასახელებენ ბერძნული ვერსიის ავტორს, ან ახსენებენ მხოლოდ ვინმე იოანეს, ანდა იოანე დამასკელის, შედარებით გვიანდელი არიან და ერთგვარად შერყევილინიც კი ჩანან.

3. სიმონ ყაუხჩიშვილმა და შალვა ნუცუბი-



ქემ ბერძნულ ტექსტში აღმოაჩინეს რამოდენიმე სახეშეცვლილი ლექსიკური ერთეული. რამდენადაც გამოწვევები შეიქმნა მხოლოდ და მხოლოდ ქართული დაპარაფრაზებულ სიტყვების არასწორად გახსნა შეიძლება ჩაითვალოს.

4. ვარდა ამისა, მრავალი დიდად ავტორიტეტული მეცნიერი, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, თავგამოდებით, მრავალი საბუთის მოხმობით ამტკიცებს, რომ ამ რომანის ბერძნული ვერსია ქართულიდან უნდა მომდინარეობდეს.

3 მოსახრების საწინააღმდეგავ საზღვარგარეთის მეცნიერთა ერთი ჯგუფი ნაკლებად სარწმუნოა, შეიძლება ითქვას, ტენდენციური მოსაზრებებითაც კი ცდილობს დაამტკიცოს, რომ არ შეიძლება ბერძნული „ვარლამისა და იოასაფის ცხოვრება“ მომდინარეობდეს ქართულიდან და ამდენად მისი ავტორი იყოს ქართველი კაცი, კერძოდ - ექვთიმე (იბერელი). ამ მეცნიერთა საჯაროისი პასუხი გაცა შალვა ნუცუბიძემ თავის წიგნში: «К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф»».

და ჩვენ, ისევე, როგორც მათ ტენდენციურ საბუთებს, არც მათ გამამბათილებელ არგუმენტებს აქ აღარ წარმოვადგენთ.

მეცნიერები, რომლებიც იცავენ იოანე დამასკელის ავტორობის საკითხს, რა თქმა უნდა, ანგარიშს უწყევენ ხელნაწერთა ლემებში (თუმცა გვიან მაგრამ მაინც) მის მოხსენიებას და იმასაც, რომ ჩვენს რომანში მრავლად ჩანს იოანე დამასკელის სხვა ნაწარმოებებში დადასტურებული ფრაზები, გამოთქმები და წინადადებები, მაგრამ მათი მოსაზრებების წინააღმდეგ სხვა ფაქტორებთან ერთად მეტყველებს ისიც, რომ იოანე დამასკელი მე-7 საუკუნის მოღვაწეა, ბერძნულ და სავარაუდოდ ევროპულ ლიტერატურაში კი „ბალავარიანის“ კვალიც არსად ჩანს XI საუკუნემდე (ექვთიმე იბერიელის ეპოქამდე). რაც შეეხება გვიანდელ ხელნაწერებში იოანე დამასკელის მოხსენების ფაქტს, ამაზე დამაყრებელი პასუხი გაცემულია სიმონ ყაუხჩიშვილისაგან მის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“. ის კი, რომ „ვარლამისა და იოასაფის ცხოვრებაში“ ჩანს იოანე დამასკელის ცნობილი ნაწარმოებებიდან ამოღებული ადგილები, იგივე ფაქტით უნდა აიხსნას, რომლითაც იხსენება ამავე რომანში სხვა საღმრთო წიგნებიდან ამოღებული ადგილები არსებობა.

იმ მეცნიერებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ექვთიმე ათონელის ავტორობას და აძენენ ბერძნული „ვარლამისა და იოასაფის ცხოვრების“ ქართული „სიბრძნე ბალავარიანისა“ მომდინარეობის თეორიას, ერთ-ერთი, ნამდვილად სამართლიან, ყველაზე ძლიერ საბუთად მოაქვთ ის ფაქტი, რომ როგორც ის ყაუხ-

ჩიშვილი აღნიშნავს: „ჩვენს ხელთ არსებული ქართული ტექსტი 4-5-ჯერ უფრო ვიწრო ვიდრე ბერძნული“. („ნათობი, 1956 წ. № 8, გვ. 177). მართალია, ამ დროის ქრისტიანულ მწერლობაში ფართოდ იყო გამოყენებული გადაკეთება-გავერცობის მეთოდი, ე. წ. მეტაფრასტიკა, როდესაც რამე ნაწარმოებს ასეზღუნენ სხვადასხვა შესაბამის მასალით, ტვირთავდნენ ქრისტიანულ-თეოლოგიური წიგნებიდან მოტანილი ციტატებით, გამონათქვამებით და მთელი აბზაცებით, რათა მისათვის მიეცათ რაც შეიძლება მეტი ქრისტიანული ხასიათი (ეს მით უმეტეს ევირებოდა „ბალავარიანს“, რადგანაც იგი არაქრისტიანული წარმომავლობისაა, და კიდევ აზის მას ამისი უდავო კვალი), მაგრამ ის ფაქტი, რაც ამ ორი ვერსიის მოცულობის შედარებისას იჩენს თავს, მაინც ყველაზე მეტად ანგარიშგასაწიფი კედელია, რომელიც დვას „სიბრძნე ბალავარიანისა“ და ბერძნული „ვარლამისა და იოასაფის ცხოვრებას“ შორის.

ქართული „ბალავარიანის“ ახალი, ვრცელი რედაქციის აღმოჩენა საქმოდ შეაჩუჩა და დაადამოა ეს კედელი, მაგრამ მოცულობითი განსხვავება ქართულ და ბერძნულ ვერსიას შორის მინც დიდია.

სიმონ ყაუხჩიშვილი „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბერძნული და ქართული „ბალავარიანის“ ურთიერთმიმართების საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს მათი ტექსტების გულდასმითმა, სიტყვა-სიტყვითმა შედარება-შეპირისპირებამ, მაგრამ, დაისმის კითხვა: რომელ ერთს შეეძარბოთ ქართული ტექსტი დღისათვის ცნობილ ბერძნულ „ბალავარიანის“ 146 ხელნაწერიდან? იქნებ გამოცემულ ტექსტს?

მაგრამ მასში ხომ მხოლოდ რამოდენიმე ხელნაწერია გამოყენებული. იქნებ მოიძებნებოდეს ისეთი ხელნაწერიც, რომელიც შედარებით მოკლე იქნება, ვიდრე გამოცემაში გამოყენებული ხელნაწერები? ამისი მოძებნა, რა თქმა უნდა, ძნელია, ძნელია განიხილო 146 ხელნაწერი, რომელთაგან თითოეული ოთხას-ორმოცდაათზე მეტ გვერდისაგან უსდგება, მაგრამ ჩვენ განვიხილეთ „ბალავარიანის“ სამი ბერძნული ხელნაწერი და ერთმა მათგანმა ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ თვალსაზრისით.

ჩვენს მიერ განხილულ ხელნაწერთაგან ერთი დაეცუა იერუსალიმის აღმოსავლურ წიგნთა ბიბლიოთეკაში, დანარჩენი ორი კი მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და თავის დროზე „აპოკალიფსა“ არსენ სუხანოვის მიერ ათონის იბუკთა მონასტრიდან.

ერთა მოსკოვერი და იერუსალიმური ხელ-

ნოზარ ზაზინიშვილი
ბერძნული „ბალავარიანის“ ირთი მოსკოვური ხელნაწერის გამო



წაწერი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირეოდენ განსხვავებებს და იმ ფაქტს, რომ იერუსალიმური ხელნაწერი დეფექტურია — აქლია მრავალი გვერდი სხვადასხვა ადგილას, ემთხვევა გამოცემულ ტექსტს, მეორე მოსკოვურმა ხელნაწერმა კი საკმაო განსხვავება გვინყენა. სიმრავლის გამო ამ განსხვავებათა აქწარმოვლება, რა თქმა უნდა, ძნელია, მოვიტანთ მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს იმის შესახებ, თუ რა სურათი იშლება ამ ხელნაწერის ორ სხვა ხელნაწერთან და მიწეს გამოცემასთან შედარებისას.

ხელნაწერა წარმოადგენს პერგამენტის 473 გვერდიან წიგნს, რომლის სიგრძეა: 20,025 სმ, ხოლო სიგანე: — 15,5 სმ. ნაწერია ერთი, ლამაზი და გარკვეული ზელოთ, ჩვეულებისამებრ გვხვდება მრავალი შემოკლება და საუცხოო გემოვნებით გამოყენილი ლიგატურა. ეს ხელნაწერი არაა გამოყენებული დღემდე არსებულ გამოცემებში, და, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვლადიმირ არქიმანდრიტის აღწერას, რაც მხოლოდ სათაურის, ზომისა და დასაწყისის ჩვენებით ამოიწურება და მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ვანყოფილების კარტოთეკის მონაცემებს, იგი დღემდე შეუსწავილად ითვლება.

მიწეს გამოცემასთან შედარებისას ამ ხელნაწერში ჩვენ შევნიშნეთ 1726 სხვადასხვა სახის განსხვავება. 1016-ჯერ ეს ხელნაწერი სრულდამოუკიდებლობას იჩენს, არ ეთანხმება არც მიწეს გამოცემას და არც ჩვენს მიერ განხილულ ორ სხვა ხელნაწერს. 235-ჯერ იგი მისდევს მხოლოდ მეორე მოსკოვურ ხელნაწერს და განსხვავდება მასთან ერთად მიწეს გამოცემისა და იერუსალიმური ხელნაწერისაგან. 122-ჯერ მისდევს იერუსალიმურ ხელნაწერს და მასთან ერთად განსხვავდება მიწეს გამოცემისა და მეორე მოსკოვური ხელნაწერისაგან. ხოლო 353-ჯერ ემთხვევა ორივე ხელნაწერს და მათთან ერთად განსხვავდება მიწეს გამოცემისაგან.

ამ განსხვავებათაგან ჩვენი ყურადღება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებით იმ მოვლენამ მიიქცია, რომ შეგვხვდა ოცდაათამდე

დე ისეთი ადგილი, როდესაც ორივე ხელნაწერისა და მიწეს გამოცემისაგან ერთნაირი რით ამ ხელნაწერში არ დასტურდება სავსაოდ ერთეული წინადადებები, აბზაცები და თვით გვერდებიც კი. ვარდა ამისა, გვაქვს ორმოცდაათამდე შემთხვევა, როდესაც შეეუშუღია ერთეული წინადადება, ანდა საერთოდ არ დასტურდება ზოგი, შედარებით მოკლე წინადადება, რაც ძირითადად, საღმრთო წიგნებიდან მოტანილი ადგილების არარსებობაში გამოიხატება.

რა შეგვიძლია ვიფიქროთ ამ მონაცემების შემდეგ?

1. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ აზრს, რომ „ბალავარიანს“, თითქოს დაეკვებო, არა თუ მართო თარგმანისას, არამედ გადაწერისასაც კი თანდათანობით ზრდიან საღმრთო წიგნებიდან მოხმობილი ციტატებით, ფრაზებითა და ლამაზი გამოწვევებით.

2. ეს ხელნაწერი XI საუკუნისა ჩანს და წინ უნდა უსწრებდეს ყველა იმ ხელნაწერს, რომლებიც მასზე ერთეულია. მასში მთლიანად ჯერ კიდევ არაა ჩართული ის თეოლოგიური მასალა, რამაც შემდეგ ასე დამტკიცოთა და განავრცო ჩვენი რომანის ბერძნული ვერსია.

3. შედარებით მოკლე ბერძნული ხელნაწერის აღმოჩენის ფაქტი ცოტად მაინც ასუსტებს იმ წინააღმდეგობას, რაც ხელს უშლის მკვლევარებს, დაამტკიცონ, რომ „ვარლამისა და იოასაფის ცხოვრება“ შექმნილია ქართული „სიბრძნე ბალავარიანის“ გათვალისწინებით ეგვიპტე იბერიელის მიერ.

4. ის ფაქტი, რომ ამ ხელნაწერის, თუ შეიძლება ითქვას შეეუშუღა, ძირითადად საღმრთო წიგნებიდან მოხმობილი ადგილების არსებობის ხარჯზე ხდება, გვაფიქრებინებს: ბერძნული „ვარლამისა და იოასაფის ცხოვრებისა“ და ქართული „სიბრძნე ბალავარიანის“ ტექსტოლოგიური შედარებისას უცილობლად უნდა გამოირიცხოს ბერძნულ ტექსტში დადასტურებული ის ადგილები, რომლებიც ასე თუ ისე ემთხვევიან რომელიმე ცნობილ საღმრთო წიგნის ამა თუ იმ ადგილს.



უფრო ხმამაღლა

იგდევნებიან სიმღერა, გულში ლექსი ჩაგრ-
ჩენიან — ეს სილამაზის ბრაღია. მასზე ძლიერ-
რი დამპყრობელი ვანა გაჩენილა?

ლექსის მოყოლას ჰგავს სურათის აღწერა, მაგრამ მისგან მოგვირღო ფიქრებს, განცდას, სიხარულს სად დაემალეები. ალბათ ასეთი აღგვორიაც იყო ნაველისხმევი — სურათის წარწერას უნდა გამოეხატა კიდევ საიუბი-
ლო გამოფენის მიზანი — ახვეწონ ტრადი-
ციული „ხელსაქმე“, რომელსაც ასორმოცდა-
ათზე მეტი ახალგაზრდა მხატვარი შექიდეზია. მათ წინ მიუძღვით ჟ. ხუციშვილი. მისი ფერ-
ტილო ნათელი, ლაკონური და უბრალოა, მაგ-
რამ საოცრად მეტყველი, ეროვნული და
შეკრული. ოსტატი ფერებს დინჯი მთხრობე-
ლივით ალაგებს, მათ უხამებს ხაზებს, საგ-
ნებს, ადამიანებს და ყვითლითა და ოქროს-
ფერით აზრობრივ მახვილს აძლევს ნაწარ-
მოების ძირითად მოტივს. დედას ძველქარ-
თული სამოსი აშშვენებს, ფეხმორთხმით ზის, მაგრამ არქაული იერა როდი დაჰკრავს, მლო-
ცველივით გაშლილ ხელეზში თითისტარი ტრიალებს, სხივივით ეღვრება თითებში ძა-
ფრ და იქვე გოგონას მუხლებზე მზისფერ გორგალად ეხვევა.

ზღაპრულად ლამაზი ჭრელი წინდები აც-
ვია დედას. მისი წყნარი თვალეები მშვიდად
გინშვრთ და სათნოებით გაესებთ. მხარმარჯე-
ნივ სიფრფხანა თავსაფრიაანი გოგონა უზის,
მას შეუქიას თუ შეარქმევს მნახველი, რადგან
მთელი მისი არსება ანათებს. გოგონას უკან
რამდენიმე მქსოველი მოსჩანს. ტახტის თავ-
თან სახატესთან სანთელი ანთია. ეს არის და
ეს, მაგრამ ერთი კერძო მომენტი იძლევა
ქართული ოჯახის, თბილი კერის, სიფაქიზის,

სილამაზისა და შრომისმოყვარეობის ხატო-
ვან, განზოგადოებულ იერ-სახეს. კომპოზი-
ციურად ქართული ფრესკის კვალობაზე არის
უკუფენილი ფერტილო და ტრადიციული
ხელსაქმე.

თვალმგრძნობიარე მხილველი სჭირდება
ყოველ თანამედროვე მხატვარს. თუმცა პოეტ-
თან შედარებით მხატვარი ბედნიერია და
უმთარგმნელოდაც გაესაუბრება უცხოს, მაგ-
რამ ეროვნულ საწყისს თუ ასცდა მისი ხელი,
ყველასათვის დამუხუნდება სურათი.

ხელოვნების ამ დედააზრს ემყარება ჩვენი
ეროვნული პოლიტიკა და ამიტომ ახალგაზრ-
და ქართველ მხატვართა რესპუბლიკური გა-
მოფენა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50
წლისთავს ეძღვნება, დასტურია იმ ჭაჭურე
რეაქციის უწყვეტი დინებისა, რომელსაც ფო-
რმით ეროვნული, შინაარსით კი სოციალის-
ტური ხელოვნება ჰქვია.

„დრო, დრო აღნიშნე!“ — ვალაკტიონის ეს
მოწოდება მარტო პოეტებისათვის როდი არის
საქალდეზული.

მხატვრობაში კოსმოსის თემაკი შეიძლება
ისტორიულად ჩაეთვალათ ბიბლიის წყალო-
ბით, მაგრამ მისი ეპოქალური გამოხატვა-
დაწყვეტა უკვე თანამედროვე ელერადობას
აძლევს ამ თემას. აქ მთავარი როდია დეტა-
ლები, თ. ლლონტის მონუმენტური ჰედერო-
ბა „ადამიანი კოსმოსში“ თავისუფალია ხო-
მალდისა და სკაფანდრისაგან. ეს არის სიერ-
ცეში მონაეარდე, ჩიტვით მსუბუქი ჰაბუკი.

„1918 წელი“ — ე. კოსტანოვის ეს პორტ-
რეტული კომპოზიცია სახეთა ფსიქოლოგიუ-
რი დასტურებით, იმდროინდელი ქუდეზითა
და ტყვიების ემბლეზური ამოკედვით ერთბა-

შად გვიხსნის სიტუაციას, მომენტს და ბრძოლის წყურვილით, სიამაყით აღავსებს მნახველს.

წილეულს გამოემიღობა „მერანის“ სალონში პერსონალური გამოფენა მოაწყო ახალგაზრდა ფერმწერმა ვ. კანდელაკმა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. თანატოლთა გვერდით კი უფრო გამოიყვება მისი ინდივიდუალური წერის მანერა და ნიჭი. დიდ ტილოს „მოსავლის დღესასწაულს“ და თბილისის კოლორიტით გათბარი „ჰორწილს“, „მღვწეებს“ ესტყვიბოდნენ პორტრეტში „ქალიშვილი შვედში“, „ქალიშვილი თავთავით“ და „ნანა“. ამ სამი სურათის შედარებისას ნათლად ჩანს, თუ რაოდენ გულმოდგინებით არჩევს ფონს მხატვარი, როგორ ფლობს ფერთა ენასა და საერთო განწყობას უხამებს კომპოზიციას. მას არც ოსტატობა ღალატობს და, თუ გულმოდგინედ იმუშავებს, საინტერესო ნაწარმოებებსაც შექმნის.

თავისი კუთხე ჰქონდა გ. სიფროშვილსაც. ორიგინალური იყო მისი „შავ-თეთრი გრაფიკა“ „შემოდგომა“, „ახალი ამბავი“, „მონადირე“ და „ვახაფხული“. მათში მხატვარი ავლენდა ნახატის საინტერესოდ აგების უნარს, ერთ ხაზში გამოყვანილი ფიგურები ცოცხალი, მოძრა და მეტყველი იყო, მაგრამ არანაკლები წარმატებით გაართვა თავი გ. სიფროშვილმა ფერმწერსაც. ფართო ტილო „სალამო“ და ორი პორტრეტი „გოგონა წითელი ბავთებით“ და „ქალიშვილი“ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ბ. სირბილაძეს უკვე იცნობს ჩვენი საზოგადოება. მისი ფუნჯი დაძაბულ სიტუაციებს არჩევს, ცდილობს ფილოსოფიური განსჯა მიანიჭოს ყოველ მოვლენას. ფერტილო „მეგობრები“ ლურჯი და თეთრი ფერებით აგვიწერს ადამიანის შინაგან ჭილღს. თითქოს ჩანჩოხე წევს ჩაფიქრებული მამაკაცი, რომელსაც მაცდურად წამოსჯდომია მიიშენი. ირგვლივ კი მხოლოდ სილურჯე მეფობს. დრამატულ განწყობას, დაძაბულობას ქმნის სურათი „გუთნისდედა“. ქვეტიქსტი ახლავს ფერტილოს „ძალი ორი ლეკვით“.

ჭეისა და თიხის ოსტატებმაც მიიქციეს დამთვლიერებელთა ყურადღება. გულუბრყვილო დიმილის მომგვრელია ვ. ხურბუმელის წითელი და შავი ბუთხუხა ბავშვები; ლირიული და ხშივრია რ. ნაროშვილის „ფიქრია“, კარგად დაფერეს სკულპტურული პორტრეტები და კობახიძემ და ი. თვარაძემ, ამით თავიანთ ნაწარმოებებს ფერწერული ძეგრადობა მიანიჭეს. დეკორატიული სტილიზაციით გამოირჩევა ჯ. თუმურაშვილის ნაშრომები.

ძუნწად, მაგრამ გემოვნებით იყო წარმოადგენილი გამოფენაზე ბროლისა და კერამიკული ნაკეთობანი. მათ შორის კი აღსანიშნავია ორიგინალურა კერამიკული გამოირჩეოდა. ფეხმართბმული შიშველი ქართველი ბახუსი ჯამით ხელში ღოჭის მოვალეობას ასრულებს, ხოლო თავდაყირა დადგმული ქიქებს შემთვრალთა გაბერილი ლოყები და მიღუღული თვალები ამშვენებს.

ძალზე პოეტური და ემოციურია გ. შეყილაძის ფუნჯი. ჯადოსნურ სამყაროში გადაყვარით თითქოს მის „ფანტაზიას“. თოვლის ქვეყანაში, თეთრ და ცისფერ საუფლოში საღდაც თეთრ ბილყს თეთრი გოგონა მიუყვება. ქარვისფრად, მზით ავსილი, ანთია „შუადღე“ და რამდენად ელეგორია „ნატურმორტი“ ტრეტში გახლართული სახეებით, იისფერებითა და ჩრდილებით სავსე. გ. შეყილაძის ხელწერა იმდენად ლაღი და სრულყოფილია, რომ მნახველი აღარც ფიქრობს მხატვრის ოსტატობაზე, წერის მანერაზე. სურათის სახეები, შინაარსი ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტებით სამუდამოდ რჩება. მის ფერებს თითქოს მელოდია, მუსიკაც ახლავს.

ეფექტური ფერებით, დინამიკით და ხატვის მაღალი კულტურით თვალშიმტაცია ვ. გული-საშვილის ილუსტრაციები მ. ხონელის „ამირან დარეჯანიანისათვის“, მაგრამ მას თითქოს ქართული ელფერი აკლია.

ახალგაზრდა გრაფიკოსთა შორის ვრჩევიან ვ. ჟორჯოლიანი, წ. წულაძე, ზ. დვისაძე, გ. ლლონტი, ნ. ხალიშვილი, ნ. ნიფარაძე, ლ. შენგელია, რომლებმაც სხვადასხვა წიგნების ორიგინალური დასურათება, ენარული სცენები თუ პენსაჟები შემოგვთავაზეს.

საიუბილეო გამოფენაზე ლინოგრაფიურის, გუამით თუ ფანქრით შესრულებული ნაწარმოებების ავტორები, მულოაგისა და ქედურობის ოსტატები თემატურად მრავალფეროვან ნაწარმოებებს გვთავაზობდნენ. 365 მამუ-შეგრიდან ჩვენ მხოლოდ ნაწილზე გესაუბრეთ, თუმცა ყოველ მათვანს ჰქონდა თავისი ღირსება. თ. წულაიას „მშობლიური მთები“, ლ. კვასხვაძის „შემოდგომა, ო. ჩხაიძის „თეხუბი“, თ. ლობინაძის „კვიცი“ და ნ. აბრამიშვილის დეკორაციის ესკიზები საინტერესო კამათის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგნადაც იქცნენ.

პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, ლინოგრაფიურა და მაღალ ხაოიანი ხალიჩები თუ გობელენები ამკობდა კედლებს. დეკორით, ლაკონური ფერადობებითა და ჩუქურთ-

მოვანი მოხატულობით მნახველს იზიდავდა თ. წიქვაძის „შავი მამალი“ და ა. ჩერნიშოვას „სალამო“, ზვიად მეფურ იერს მატებდა ლ. ნარსიას ქამარ-სამაჯურსა და ბეჭედდიადემას ლითონის ნატიფ ნაქარგში მომწყვდეული ყვითლად მოკიაფე თვლები.

გამოფენის ტონის მიმცემად მაინც ფერ-მწერები და გრაფიკოსები აღიარეს. თუმცა უმრავლესობამ მაღალმოქალაქეობრივი, პო-ლიტიკური თემისადმი გულგრილობა გამო-ამელაგნა და უფრო კამერულ-ქანრული მო-მენტებით იყვნენ შემოფარგლულნი.

ერთი რამაც არის საგულისხმო — ფანტა-ზიის სითამამე, ახალგაზრდული ვენებანი, ვატა-ცების სიჭარბე არ იგრძნობოდა გამოფენაზე. მხატვრის ყალამს სჭირდება რომანტიკული დატვირთვა (და არა გადატვირთვა), პეროიკუ-ლი წიადსვლები. აკი იაკობ ნიკოლაძე ასე

გადმოგვცემს როდენის ერთ ბრძნულ შეგო-ნებას: „ბუნება მღერის. (...) იგივე იმღერე, მაგრამ უფრო ხმამაღლა“.

ხმამაღლა!

„ხმამაღალი“ შეიძლება იყოს სილამაზე, ან შინაგანი დრამატიზმი, მტკივნეული ისტორიუ-ლი მომენტი, ანდა ჰუმორი.

ღიახ, ჩვენი ახალგაზრდა მხატვრების უმ-რავლესობა ბუნებით ნიშნომადღებელი, ხელ-გაწაფული ოსტატები არიან, მაგრამ მათ მეტი არტისტიზმი სჭირდებათ; საკუთარი სტილის, თემის მიგნება მაშინ არის გამართლებული თუკი შემოქმედის ფუნჯი დამთვალეიერებელთა განწყობას, გრძნობებს, იდეებს ესიტყვება. მარმარილოში, ქვაში, ლითონში უნდა დაიბა-დოს ამაღლებული სახე, სურათმა უნდა გა-დაგვიშალოს ისეთი სიუჟეტი, რომ საზოგა-დოებას წინსვლისაკენ უბიძგოს.



თამაზ ჭილაძე

კ ე ნ ჯ ი

„ბენდიერების კარი გარედან რომ იღებოდეს, შევალბდით და შევეცვივდებოდით შიგ. მაგრამ, სამწუხაროდ, შიგნიდან იღება. ამიტომ ვერაფერს გააწყობ“.

პირამორი

ფრანც კაფკას საფლავის ყორზე, ძველი აღმოსავლური ჩვეულების მიხედვით, კენჭები აწყვიტა: სილას აფთარი ადვილად თხრიდა და ყოველი გამწვლევი ვალდებული იყო საფლავზე ერთი კვა მიინც დაედო. კაფკა სიცოცხლეშივე დაგლიჯა აფთარზე უარესმა მხეცმა — გულგრილობამ. მას შეუძლია მშვიდად ეძინოს, ამ შემთხვევაში სიყვდილი საიმედო თავშესაფარია.

ის იყო პრალის პოეტი. მართლაც, მისი შემოქმედების გაგება გავიჭირდება თუ პრალას არ ნახავ, არ შეენჩვევი მის უცნაურ, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს, ძველ, გარინდებულ ეკლესიებს, ქვის მაღალ კედლებს, ძველისძველ, უსიამოლო, ზარმაც საათებს, რომლებიც თითქოს რამდენიმე საუკუნის წინანდელ დროს აჩვენებენ, თუ არ მოისმენ შუაღამისას უცერად შემოკრულ ზარს, სიზმარში ჩაძირული ქალაქის ამოკენსას რომ ჰგავს.

ამ ქვეყანაზე ბევრია ტურისტებისთვის მეტად მიმზიდველი ქალაქი: თავისი ტაძრებით, მუზეუმებით, მოედნებით, ქანდაკებებით, სადრეწებით და არის იგივე ქალაქები პოეტებისათვის — გაუცნაურებულნი მათი გამაფრებელი წარმოსახვებით. არსებობს დოსტოევსკის პეტერბურგი, ვერდენის პარიზი, ჯოისის დუბლინი, ასევე არსებობს კაფკას პრალიც, პოეტის მიერ შექმნილი მოდელი, ბურჟუაზიული ყოფის გაყინული ქალაქი — ლაზიონთი. აქ აღამიანები შეყუთულები არიან დახუთულ შენობებში, როგორც ტყვეები — სატყროთო ვავონში. ფრანც კაფკას არ შეეძ-

ლო ობიექტური ყოფილიყო, ამისთვის სიმტკიცე არ ყოფნიდა, თან იმასაც გრძნობდა, რომ ზოგჯერ ობიექტურობა იგივეა, რაც გულგრილობა. მის ბრძოლის თავი აშკარად არ ჰქონდა, მაგრამ საიდან პოულობდა ენერჯიას, რომ ეწერა — აი, ეს არის საკვირველი.

მისი ფოტოსურათიდან ახალგაზრდა, გამხდარი კაცი შემოგვეყურებს, შემკრთალი, სევდიანი ღიმილით, თითქოს, კედელზე მილურსმული, ცდილობს ტყვილი არავინ შეამჩნიოს. არიან მწერლები რომლებიც ჭრილობებით ეკვლეცობენ და საქვეყნოდ ამხუერებენ, მაგრამ არიან ისეთებიც, ჭრილობებს რომ მაღავენ, ოღონდ ზოგჯერ რომელიმე ფრანსას ან სიტყვაში მოულოდნელად ვაბრწყინდება სისხლის წვეთი, რომელშიაც ისევე თავისუფლად შეიმძება ჩაიძიროს მკითხველის უზარმაზარი გულცივობა, როგორც ოქანეში — რკინის გემი.

ის გამუდმებით მისწრაფოდა ხალხისკენ, მაგრამ მის წინ ჯებირივით იყო აღმართული შიში, ოღონდ ბოლოფიფრი კი არა, არამედ წარმოდგენილი, როგორც ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი ფენომენი. მას ძალიან ეცოდებოდა ადამიანი და ესეც უშლიდა ხელს მისუღიყო მასთან ახლოს, რადგან კაცს შებრალებდა კი არა, გაგება და მხარში ამოდგომა ჰქონდა. ამას თვითონაც გრძნობდა, რადგან ამბობდა: „რეცეპტის გამოწერა ადვილია, საერთო ენის გამოჩახვა კი ძნელია“ სწორედ ამიტომ, რომ მისი მოთხრობებიდან თუ დღიურის ფურცლებიდან მოისმის საკუთარი

უსაზღვრო და ამავე დროს უმწეო სიბრალე-
ლით ერთდროულად გულაჩუყებული და გა-
ლიზიანებული კაცის ხმა. მე თქვენ მიყვარ-
ლით, — ამბობს თითქოს ის, — მაგრამ თქვენ
არ გვირდებოდით ჩემი სიყვარული. მე ვი ვი-
ტანჯებოდი მაშინ, როცა თქვენ, ბაზარში გა-
მოტანილ ქოთნებივით, ჯოხს ვიკაენებდნენ
და თქვენც ერთსადამიამვე ხმას ვამოსცემდით:
კმაყოფილსა და ბრძევულ თანხმობას. ვიტან-
ჯებოდი მაშინ, როდესაც კანცელარიებსა და
სასამართლოების დერეფნებში დგომით ჩამო-
ქანიტლნი ელოდებოდით სამართალს და კი-
დეუ უფრო ვიტანჯებოდი, რადგან გწამდათ,
რომ სამართალი არსებობს. გეძინათ, ვამდით,
სვამდით, ცხოვრობდით დერეფნებში, ნაგვის
ყუთების გვერდით, რომლებშიაც თქვენი
თხოვნები და საჩივრები ეყარა დაფხრევილი.

ვიტანჯებოდი მაშინ, როდესაც თქვენივე მსგა-
ვისნი, თქვენი სახელით ვანდიდებულნი და გა-
ზულუქებულნი, უკვე აღარ კადრულობდნენ
თქვენს გვერდით ღვთისა და, პაწაწინა მეფე-
ვნივით გულუვარდიანნი, სათხოვნელად გაწე-
ვნილ ხელეებზე გაფურთხებდნენ. ასე ვიტან-
ჯებოდი მე, თქვენ კი არ გესმოდათ. ამიტომ
დამანებეთ თავი, ნება მომეცით ვიყარო სი-
მარტოვე, სიბნელე, რომელშიაც ქრება ხორცი
და სიჩუმე, რომელშიაც ცოცხლდება სული.
ამ გალიზიანებაში მისი სიტყვა და ხატი
თითქმის ამოუხსნელ იეროგლიფად აქცია.
გაჩნდა საზღვარი, რომელიც ალბათ თვითონ
არ უნდოდა, ბზარი, ნაპრაღი, უფსკრული
სამყაროსა და მის საკუთარ არსებას შორის.
ფრანც კაფკას შემოქმედებაში ვერ იპოვ-
ნით ფერებს, შეიძლება იმიტომ, რომ აქ პერი
ნაკლებია. ის არის ძუნწი, მაგრამ საოცრად
მეტყველი გრაფიკოსი. არსებობს რაღაც საერ-
თო კაფკასა და მზურერეს შორის. ხმებიც
გაგუდულია და დაშვლი, თითქოს ჭკვესკენლი-
დან მოისმოდეს. ლაპარაკობენ მოკლე, დაწყ-
ვეტილი ფრაზებით (პატიმრები სეირნობის
დროს) ამავე გამოცანის პირობას ჰგავს,
რომელიც შენ უნდა ამოხსნა და გააგრძელო.
დილოგი, ერთი შეხედვით, აბსურდის ბურე-

სითაა მოცული, მაგრამ თუ კარგად დააყრ-
ღები, ეს სწორედ ის ძაფია, რომელიც კაბი-
რინთიდან გამოვიყვანს. სიტუაცია თქვენივე
აბსურდულია, მაგრამ მის ფსკერზე ნამდვილი
ტრაგედიის ცრემლი კიაფობს.

მის შემოქმედებაში დარღვეულია სამყაროს
კლასიკური აღნაგობა, მზე საერთოდ არ არის.
სამყაროს ცენტრია ტანჯული, მოაზროვნე
წერტილი, რომლისკენაც მიისწრაფვიან ვეება
საგნები და საცაა გასრესენ.

სული ეხუთება.
მარტოა.

თაბაშირის ანგელოსები სატანის ტყილი
ლიმილით მიაცილებენ ირაციონალური სამ-
ყაროს ჩაბნელებულ ტრანენებში და მაინც მი-
სი გონება საკვირველი სიტხალით აღბეჭდავს
ყოველ პაწაწინა დეტალს, რომელიც ისეთივე
ზუსტია, როგორც სკოლაში შერქმეული ზედ-
მეტი სახელი.

აზროვნებს.
არ შეუძლია, რომ არ იაზროვნოს. სანამ
აზროვნებს, არსებობს, მაგრამ რადგან არსე-
ბობს, იტანჯება.

თან დასდევს დანაშაულის მუღმივი გრძნო-
ბა.

ჩვენ თვითონ ვქმნით კერპებს და მერე
თვითონვე გვეშინია მათი.


„ვანა შეიძლება აღამიანი საერთოდ დამნა-
შავე იყოს?“ — კითხულობს ის და, როგორც
ხედავთ, ეს უფრო სიზიფეს ამოკენესაა, ვიდ-
რე გამწარებული კაცის აჯანყება.

ცრემლსა და სისხლში დამბალი ძაფებით
ქსოვს იმედის პაწაწინა ტილოს, რომელიც
უფრო სევდიან ფოთოლს ან ყვავილსა ჰგავს,
ვიდრე ამოების ნაცრისფერ ზღვაში გამოსა-
დევ იალქნს.

თუკი არ იცი, რისი იმედი გაქვს, სჯობს
სრულებითაც არ გქონდეს იგი...

მისი ცხოვრება და შემოქმედება, მისივე
სიტყვები რომ გამოვიყენოთ, მოგვაგონებს
ლილ დატოვებულ კარს: „ასე ღიაა ხოლმე
კარი იმ ბინაში, სადაც დიდი უბედურება
მოხდა“.





თამაზ კინეპი

ღმერთებთან ბრძოლა

ადამიანის ფიქრის ერთი საქებური თვისება — მოვლენათა მიზეზის ძიებაა, როცა ადამიანის ფიქრი კითხულობს: რადუ რისთვის, საიდან და როგორ? ეს ნიშანია ადამიანის კეთილგონიერებისა, სწორედ ამისთანა ფიქრების ბრალია კაცობრიობის წინსვლა.

გაბა-ფხაველა

რას წარმოადგენს ღედამიწა? რა ადგილი უჭირავს მას სამყაროში? როგორ გაჩნდა იგი? აი კითხვები, რომელთა პასუხს ადამიანი ძველ-თავანვე ეძებდა.

ბაბილონელთა წარმოდგენით უზენაეს ღმერთს — მარდუქს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა ურჩხულ თიამათთან, რომლის დამარცხების შემდეგ მან რატომღაც გადაწყვიტა სამყაროს შექმნა. თავდაპირველად მარდუქმა ზღვაში შექმნა ქალაქი ერთღუ და ესაგილი, წყლის ზედაპირზე მოათავსა ღერწმის ჰილოფი; მერე შექმნა მიწა და ჰილოფთან დაყარა; დარგო ხეები, აგურის ყალიბებიც კი გააკეთა და ააშენა სახლები, რომლებშიც ცოცხალი არსებები მოათავსა; ბოლოს კი საყუთარი ხელებით შექმნა ადამიანი.

ფარაონთა ეგვიპტეში ქურუმები ამტკიცებდნენ, რომ ღედამიწა მხარეთმცხე წამოწოლილი ადამიანია, რომელზეც ხელ-ფეხითაა დაყრდნობილი ზეცის ჭალღმერთი. ამ უკანასკნელის სხეულზე ორი ნაეი მოძრაობს, ერთზე ამომავალი მზეა მოთავსებული, მეორეზე — ჩამავალი. მზის ღმერთის ეგვიპტურ ჰიმნში კი ნათქვამია:

„ურიცხვია ის, რაც შენ შექმენს
შენ მარტოდ მარტომ შექმენს ღედამიწა
ისეთი,

როგორც შენს გულს სურდა,
ადამიანებით, ჯოგებით და ყოველი

ცხოველით,
შექმენს ყველაფერი, რაც მიწაზე საყუთარი
ფეხით დადის.

ყველაფერი, რაც ჰაერში საყუთარი ფრთებით
დაფრინავს“.

ინდოელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ღედამიწა წარმოადგენდა ვეებერთელა ვაკეს, გარშემორტყმულს რძისა და ნექტარის შვიდი ოყენით. ამ ვაკეზე აღმართული იყო შვიდი მთა, შუაში კი უზარმაზარი კლდე. მთვარეს დროგამოშვებით ყლაპავდა ვეება გველეშაპი, რაც იწვევდა მთვარის დაბნელებას. ასეა ნათქვამი ჰურანაში: ასეთივე გულღბრყვილო წარმოდგენებია გაღმოცემულ შასტრაში.

სამყაროს შექმნის შესახებ უძველესი თქმულება შემონახულია ინდურ წმინდა წიგნში „მანუს კანონები“. უძველესი ინდური ჰიმნები — ვედები, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნეში იქნა მთლიანად შეგროვილი. ეპვეარეშეა, რომ ისინი გაცილებით ადრე იქნებოდა დაწერილი. ამ ჰიმნებში აღწერილია მითები სამყაროს შექმნაზე და განვითარებაზე „უპირველესი და ერთადერთი მიზეზის“ ნებით. ამ „მიზეზმა“ დასაწყისში „განზრახ შექმნა წყალი, რომელზეც თვით დაცურავდა ბრამის სახით



მოკლებული. ბრამა შექმნა ხმელეთი და მიწა დასახლა მცენარეები, ცხოველები, ფრინველები და ადამიანი“. სამყარო ნადგურდებოდა მოფლერი ხანძრისაგან ყოველ მანვანტარის ბოლოს. გამოღვიძებული ბრამა ხედავდა მხოლოდ წყალს და კვლავ ქმნიდა ყველაფერს თავიდან.

ძველი აღმოსავლეთის კოსმოგონური თქმულებები ათივსენ ეგვიპტელებმა, საიდანაც იგი საბერძნეთში გავრცელდა. ძველი ბერძნული მითები სამყაროს შექმნის შესახებ მოცემულია ჰიმნებში, რომლებსაც მითურსავე ფრაციელ პოეტს ორფოსს აწერენ. ეს ჰიმნები მოხსენებულია პლატონის ცნობილ დიალოგში, რომელსაც ეწოდება „ტიმოისი, ანუ ატლანტიდის შესახებ“. ორფოსის ჰიმნების მიხედვით სამყარო იქმნებოდა, ინგრეოდა და კვლავ განახლდებოდა; დიდი კატასტროფების განმეორება განისაზღვრებოდა „დიადი წელიწადის“ ხანგრძლივობით, რომელიც ორფოსის მიხედვით 120 ათას წელს უდრიდა, სხვათა აზრით კი — 300 ათას ან 360 ათას წელს.

პლატონი თავის დიალოგში ეყრდნობა ეგვიპტელთა შეხედულებებს და წერს, რომ ადამიანთა მოღვაწის არ შეეძლო ბედნიერებისა და სიმშვიდის მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნა. ადამიანთა ცოდვები და ბიჭიერება ბოლოს და ბოლოს აუტანელი ხდებოდა ღმერთისათვის და ისიც ეცებოდა და წარღვნით ანადგურებდა კაცობრიობას. შემდგომ ადამიანთა სიკოცხლე კვლავ აღორძინდებოდა და რაღაც პერიოდის განმავლობაში ქვეყნად ნეტარება სუფევდა, მაგრამ ისევ ცოდვები და ბიჭიერება იბუდებდა მათში და ყველაფერი კვლავ ნადგურდებოდა.

ინდურ შეხედულებებს სამყაროს შექმნისა და პერიოდული წარღვნების შესახებ შევსებით ძველი არაბეთის დამწერლობით ძეგლებშიც, სტრაბონის ნაწარმოებებიდან ირკვევა, რომ ძველი აღმოსავლეთის შეხედულებები სამყაროს შექმნის შესახებ გავრცელებული ყოფილა დრუიდებშიც — ძველი გალების ქურუმთა შორისაც. მსოფლიო წარღვნა ხშირადან ნახსენებია სახარებაში, აგრეთვე ამერიკის ინდელთა თქმულებებშიც.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე, დედამიწაზე არსებულ სახელმწიფოებს შორის ყველაზე განვითარებული ქვეყნები იყო ბაბილონი, ეგვიპტე და ჩინეთი. განსხვავებით სხვა, მეომარი ხალხებისგან, რომლებიც ომში მოპოვებული ნადავლით ცხოვრობდნენ, ბაბილონელები, ეგვიპტელები და ჩინელები მიწათმოქმედებას მისდევდნენ, რაც დაკავშირებული იყო ნილოსის, ტიგროსის, ეფრატისა და ხუანხეს აღილებასთან. წყალდიდობის დროს ეს მდინარეები ნაპირებზე ნა-

ყოფიერ შლამს სტოვებდნენ, რაც ძალზე ხელსაყრელი იყო მიწათმოქმედებისთვის. ამიტომ მდინარეების აღილებას მოსახლეობა სულმთავრად თქმულად ელოდა, დაგვიანების შემთხვევაში მსხვერპლსაც კი სწირავდნენ. მდინარეების აღილებას ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ, აგრეთვე თავიანთი „სურვილის“ მიხედვით დღეს ღამედ „აქცევდნენ“ (მზის დაბნელება) და ხალხში გავლენას იმტოვებდნენ. წინასწარმეტყველება კი დაკავშირებული იყო ასტრონომიულ ცოდნაზე, რომელსაც ძველად ასტროლოგიას უწოდებდნენ. რელიგიის მსახურთ ეშინოდათ ვავლნის დაკარგვისა და თავიანთ ცოდნას საიდუმლოდ ინახავდნენ, ყველაფერს ღმერთს მიაწერდნენ.

გადიოდა დრო და სახელმწიფოთა განვითარებას საეპრო ურთიერთობის გაღრმავება მისდევდა. ძველი საბერძნეთის, ფინიკიის და სხვა სახელმწიფოთა ხომალდები სერავდნენ ხმელთაშუა, ეგეოსის, შავ ზღვებს. ზოგი გაბედული ვაჭარი-მეზღაფერი ოკეანეებშიც კი იჭრებოდა ღრმად, ინდოეთისკენ, აფრიკისკენ. მეზღვაურებმა თანდათან ისწავლეს ორიენტირება ვარსკვლავების მდებარეობის მიხედვით. ასტრონომიული ცოდნა გასცდა ტაძართა კედლებს.

პირაკლიტე ეფესელი წერდა, რომ „სამყარო იყო, არის და იქნება მარადული ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად აღდგება და კანონზომიერად ქრება“, ხოლო არისტარქ სამოსელმა პირველმა განაცხადა, რომ დედამიწა მზის ვარშემო მოძრაობს და ამავე დროს ბრუნავს საკუთარი ღერძის ირგვლივ. არისტარქი მასხრად აიგდეს და სამშობლოდან გააქვევს. დემოკრიტეს აზრით ვარსკვლავები შორეული მზეები იყო.

პირველი მატერიალისტური მოძღვრებანი წარმოიშვა VII-VI საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მიღეთში, ძველ საბერძნეთში. ამ პერიოდში აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სამი დიდი მოაზროვე — თალესი, ანაქსიმანდრე და ანაქსიმენი.

თალესი იყო ვაჭარი. იგი ბევრს მოგზაურობდა და კარგად იცნობდა ბაბილონისა და ეგვიპტის მეცნიერთა მიღწევებს. მან გამოიყენა ეგვიპტისა და ფინიკიაში შესწავლილი ასტრონომიული ცნობები მზის დაბნელების ციკლოზრობის შესახებ და 585 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე საბერძნეთში იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება, რითაც სახელი გაითქვა. თალესი ეჭირობდა, რომ ყველაფერი ვაითქვა. თალესი ნოტიო პირველნიეთიერებიდან ან წყლიდან; დედამიწაც მოთავსებული იყო წყალზე.

თამაზ კიკნაძე
ღმერთებთან ბრძოლა

მისი აზრით დედამიწას ჰქონდა წყალზე მოტივტივე ბრტყელი ბირთვის ფორმა. თალესს მიაჩნდა, რომ სამყარო სავსე იყო ღმერთებით, ყველაფერს გააჩენდა სული და მავალითად ასახვლებდა მაგნიტისა და ქარვის მიერ სხვა სხეულის ამოძრავების თვისებებს, თალესის აზრით ყველაზე ახლოს დედამიწასთან ვარსკვლავები იყო, ხოლო ყველაზე შორს — მზე.

თალესის მოწაფემ, ანაქსიმანდრემ პირველმა შეადგინა დედამიწის რუკა და ცის გლობუსის მსგავსი რამ. იგი ამტკიცებდა, რომ დედამიწას ბურთის კი არა, ცილინდრის ფორმა აქვსო და მას ყოველი მხრიდან აკრავს ცის სფერო; სამყაროს წარმოშობის პროცესში დედამიწის ზედათი ვაჩნდა ჰაერისა და წყლის ვარსები, ჰაერის ვარსს კი ცეცხლის ვარსი შემოეხვია. ანაქსიმანდრე იმასაც ამტკიცებდა, რომ ადამიანი ვაჩნდა თევზის შიგნით, შედგომ გამოვიდა თევზიდან და ხმელეთზე ამოსვლისას ფორმა შეიცვალა.

ანაქსიმენის აზრით ყველაფერი ჰაერიდან ვაჩნდა.

ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეების პოეტი-ფილოსოფოსი ქსენოფანი აცხადებდა, რომ „სამყარო მუღმივია და მისი მოსპობა შეუძლებელია“.

ანაქსაგორემ კი წამოაყენა მოსაზრება, რომ მზე ჩვეულებრივი სხეულია, მასში არავითარი ზემუდებრივი არ არსებობს და შედგება გავრავლებული მასისაგან, რომელიც დედამიწაზე არსებულ ნივთიერებათა ანალოგიურია. ამის გამო სულიერ მამათა სისამართლომ მას სიკვდილით დასჯის ვაჩენი ვამოუტანა, რომელიც შემდეგ სამშობლოდან გაქევიებით შეუცვალეს.

ასევე დაამართა არისტოტელესაც, რომელსაც სამოცი წლის ასაკში უღმერთობა დასწამეს და მოწინავე იდეებისათვის სამშობლოდან გააქევეს. იგი ქადაგებდა სამყაროს მუღმივობას და ამით უარყოფდა სამყაროს შექმნას ღმერთის მიერ.

ბტოლემეოსმა წამოაყენა სამყაროს ე. წ. გეოცენტრული სისტემა, რომლის მიხედვითაც დედამიწა უძრავი იყო და სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა. ბტოლემეოსის მიერ შემუშავებული სამყაროს გეოცენტრული სისტემა ვარგად ევთებოდა რელიგიას და არ ეწინააღმდეგებოდა მას; ამავე დროს დიდ დახმარებას უწევდა იმდროინდელ ზღვაოსნებს, მოგზაურებს, მზის, მთვარის და პლანეტების მდებარეობის ვაკრევევაში და ამიტომ დიდი ხნით ვაბატონდა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში.

ძველი მსოფლიოს მეცნიერთა შრომები ძირითადად თავმოყრილი იყო ეგვიპტის მაშინდელ დედაქალაქ ალექსანდრიაში. იქ, მუხათა ტაძარში მუსეონში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ სხვადასხვა მხრიდან მოსული მეც-

ნიერები, რომელთა ვანკარგულევაში ალექსანდრიის უზარმაზარი ბიბლიოთეკაში აქ ბიბლიოთეკის ვრანდიოზულობაში იხილავდნენ, რომ მისი სარჩევი 120 ტომს შეიცავდა, ხელნაწერთა რაოდენობა კი ნახევარ მილიონს აღემატებოდა.

48 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ალექსანდრიაში იულუს კეისრის ლეგიონები შეიკრნენ. ბრძოლის დროს ვაჩენილმა ხანძარმა შთანთქა ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი. ამის შემდეგ თვალის ჩინებით უფროხილდებოდნენ ვადარჩენილ ხელნაწერებს. ვაქვია სამი საუკუნე და ჩვენი წელთაღრიცხვის 341 წელს ევლავ ვანადგურდა ბიბლიოთეკა, აქვრად მშვილდობიან დროს, ქრისტიანი პატრიარქის — თეოფილეს ბრძანებით ლეთისმოსავი შეესივნენ ბიბლიოთეკას და საუკუნეთა ვანმავლობაში დაგროვილი მეცნიერული ცოდნა, პოეტთა ქმნილებები, სათუთად შემონახული პაპირუსები, ცეცხლს მისცეს, ქრისტიანული რელიგია ანადგურებდა ყველაფერ პროგრესულს, ამხვრევდა კულტურის ძეგლებს, წვადა მოწინავე ადამიანებს. „ქრისტეს შემდეგ ჩვენ არ ვვირდება მეცნიერება“-ო, ქადაგებდნენ „წმინდა მამები“.

„ღმერთთა არაფრისგან შექმნა ყველაფერი“ — ასეთი იყო ბიბლიის ძირითადი დებულება. ღმერთთა ექვს დღეში შექმნა ყველაფერი: ცა, დედამიწა, ვარსკვლავები, მცენარეები, ფრინველები, ცხოველები და ადამიანები, მეშვიდე დღეს კი დაისვენა „ამდენი ვაფით დაღლილმა“. თითო სიტყვა ადამიანი ძველებრათუ ენაზე წითელ თიხას ნიშნავს, საიდანაც ვითომცდა ღმერთთა ადამიანი ვამოქმრწა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლული ლეთისმეტყველი ვინმე ჯონ ლაიტფუტი სამყაროს შექმნის თარიღსაც კი ასახელებდა: 4004 წელი ქრისტემდე, 23 ოქტომბერი, დღის ცხრა საათი! რა ცრუ მტკიცებაა. ამის უარსყოფად სიცი კი ვმარა, რომ ეგვიპტის მესამე დინასტიის ფარაონის, ჯოსერის პირამიდა 4600 წლის წინათაა ავაებული.

შუა საუკუნეებში მოსკოვის სახელმწიფოში ვავრცელდა ბერის, ვინმე კონსტანტინე-ლის „თეორია“, რომლის მიხედვით სამყარო უზარმაზარი სკივრისმგავარი სხეული იყო. სკივრის ზედა ნაწილი — ცის თაღში, ანგელოზებს მოძრაობაში მოყავდათ მნათობები და ექვე მოთავსებული ცისტრნებიდან დედამიწაზე წყალს დვრიდნენ წვიმისა თუ თოვლის სახით. სკივრის გუმბათში ანუ ცათა სასუფეველში ვანსივენდდნენ ქრისტე და უცოდველ ადამიანთა სულები. სკივრის ქვედა ნაწილში კი ჯოჯობეთი იყო, რომლის კარები ატლანტის ოკეანის ფსკერზე იმყოფებოდა.

ქრისტიანობას არც მუსულმანური რელიგია ჩამორჩებდა. არაბი მასული, რომელიც თავის



თავს „ლაშქმ-არ-რასულს“ ანუ „ღვთის მოციქულის თანამგზავრს უწოდებდა, დაწერა წიგნი „მურთუ-გედ დაბრახაბი“, რომელშიც აღწერს სამყაროს შექმნის ისტორიას დასაწყისიდან ხალიფ მოთხი-ბილაძის მეფობამდე, როცა პიჯრის 336 წელს, ჭიშვილი-ელ-ალუაღის თვეში დაიწერა ეს წიგნი. მისში ნათქვამია, რომ დედამიწა არის დიდი ფრინველი, რომლის თავი შედგება მქეა და მედინასაგან; მარჯვენა ფრთა არის სპარსეთი და ინდოეთი, მარცხენა — გოგის ქვეყანა, ხოლო კუდი — აფრიკა. დედამიწამ გადბრტანა რამდენიმე წარდგნა და იგი განახლდება ყოველი 70 ათასი ხაზარუამის შემდეგ.

VII საუკუნეში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე არაბები შეიჭრნენ. 691 წელს მათ ალექსანდრიაც დაიპყრეს. არაბთა ბელადმა ომაიმმა ბრძანა ბიბლიოთეკის გადაარჩენილი ხელნაწერების დაწერა. „თუ ამ წიგნებში იგივე წერია, რაც ყურანში, ზედმეტია, ხოლო თუ ყურანს ეწინააღმდეგებინა — მკენა. ამიტომ ორივე შემთხვევაში უნდა დაიწვას“. — უთქვამს უეივ ბაბაროსს.

ძველი შრომები გაქრა, მაგრამ არა უკვალოდ. დაიწვა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგის, ერთოსტენეს მრავალტომიანი „გეოგრაფიკი“. მისი შრომებიდან ზოგმა ცნობამ ჩვენამდე მოაღწია მეორე დიდი მეცნიერის — ბტოლომეოსის საშუალებით. მისგან ვიგებთ, რომ ერთოსტენე გამოჩენილი ბერძენი მეცნიერი ყოფილა. იგი სწავლობდა ასტრონომიას, ფილოსოფიას, მათემატიკას და პოეტობდა კიდევ. ამიტომ ვიღაც თანამედროვეს მისთვის „პეტა“ შეუტყვევია. ეს კი მის ნიშნავდა, რომ მრავალ მეცნიერებით ვატაცებული ერთოსტენე პირველი ვერასოდეს გახდებოდა და ყოველთვის ღჭნებოდა „ბეტა“, ე. ი. მეორე, ლათინური ანბანის მეორე ასოს მსგავსად. თურმე ერთოსტენეს ყველაზე მეტად დედამიწა აინტერესებდა. იგი ბევრს კითხულობდა პაპარუსებზე შემონახულ წიგნებს, რომლებშიც აღწერილი იყო ძველ კართაგენელთა, ეგვიპტელთა, ბერძენთა, ფინიკელთა შორეული მოგზაურობანი. მისთვის ნაცნობი იყო ძველი ინდური მანუსკრიპტები და ძველ ეგვიპტელთა თქმულებები. იგი ორმად შეისწავლიდა არისტოტელეს, ანაქსიმანდრეს, თალესის და სხვათა შრომებს. მან იცოდა როგორი შეზღუდულებები არსებობდა დედამიწის წარმოშობისა და ფორმის შესახებ. მის მოღვაწეობაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მან პირველმა გაზომა დედამიწის სიდიდე, მაგრამ ამაზე შემდეგ.

გადიოდა დრო, ზღვაოსნობა ვითარდებოდა. მოგზაურობენ და ვაჭრები სულ უფრო შორს იჭრებოდნენ და მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდა ძველ შეზღუდულებები სამყაროს რაობის შესახებ, რასაც რელიგია სთავაზობდა. IX-X

საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მეცნიერული აზრი გაქრა, ყველაფერი შეზღუდულმა გვიამ მოიცვა. დაიწყო წყაროსნული „ქრისტიანული კეთილი“ გასანთავისუფლებლად, რომელიც ეთოშდა პალესტინაში იყო. სინამდვილეში კი ეს მხოლოდ მიზეზი იყო არაბეთის და აღმოსავლეთის მდიდარი ქალაქების გასაძარცვად. მაგრამ ამ ლაშქრობათა შედეგად ევროპაში გაჩნდა არაბ მეცნიერთა შრომები და როგორც არ უნდა პარადოქსალური იყოს — ამის შემდეგ გაიწიო ევროპამ არისტოტელეს, არქიმედეს, პტოლემეოსის შრომები. არაბების მიერ თარგმანი მეცნიერული ნაშრომები ძველ ბერძენულიდან ლათინურ ენაზე ითარგმნებოდა და XI-XIII საუკუნეებში სწრაფად მიუდო ევროპას. მაგრამ რელიგია გააფთრებით ენარქოდა ძველ ბერძენ მეცნიერთა წარმოდგენების გაერცყელებას. ვინც კი ვაზნდავდა მათი წიგნების შესწავლას, ევრეტკოსად აცხადებდნენ და სდევნიდნენ. ამასობაში კი ევროპაში ფუხს იკიდებდა კაპიტალიზმი, რომელიც ნელ-ნელა ცვლიდა ფეოდალურ საზოგადოებას და მას კოლონიები და გასაღების ბაზრები სჭირდებოდა. ვაჭრობა სწრაფ ტემპით ვითარდებოდა. ამ პერიოდში პირველ ადგილზე გამოვიდა იტალია. მისი ქალაქების: ვენეციის, გენუის, ფლორენციის და სხვათა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, აგრეთვე დიდმა სავაჭრო ფლოტმა, განაპირობეს ამ ქვეყნის სავაჭრო ვაჭრობის სწრაფი აღმავლობა. იტალიელი ვაჭრები ძირითადად აღმოსავლეთით, არაბეთის ქვეყნებისკენ მიიღებოდნენ, ხოლო ფლორენციელი ვაჭარი მარტო პოლო უფრო შორს, აზიაში, ჩინეთისკენ ვაჭურა და რამდენიმე წელი დაყო ჩინეთის იმპერატორის კარზე. მოგზაურობას და ვაჭრობას უფრო ზუსტი რუკები და ხელსაწყობები სჭირდებოდა, ვიდრე მანამდე არსებობდა. შორეული მოგზაურობები ამტკიცებდა ძველ ბერძენ მეცნიერთა შეზღუდულებებს დედამიწის ბურთისებური ფორმის შესახებ და ინტერესიც მათი შრომების მიმართ განუზრვლად იზრდებოდა.

* ქრისტიანული რელიგია ამ პერიოდში ისე ძლიერი იყო, როგორც არასდროს. მისი მესვეურნი გრძნობდნენ, რომ მეცნიერება თანდათან სულ უფრო და უფრო მედგრაღ უტევდა ღმერთს და გადაწყვიტეს არისტოტელეს სწავლების „შეღამაზება“ ბიბლიური წარმოდგენებით. ამ დიდი მეცნიერის შეზღუდულებათა გადაკეთებაზე განსაკუთრებით თავგამოდებით იმუშავა კათოლიკური ეკლესიის პერმა თომა აქვინელმა. XIII-XIV საუკუნეებში წარმოიშვა მიმდინარეობა, რომელიც ცდილობდა მეც-

თამაზ კიკნაძე
ღმერთმთან ბრძოლა



ნიერების „შემორიგებას“ კრისტიანულ რელიგიასთან. ამ მიმდინარეობას შემდგომ სქოლასტიკა უწოდეს. სქოლასტიკი დამუშავების შემდეგ ასე წარმოადგენდნენ არისტოტელეს სამყაროს იერს: დედამიწა ბურთია და სამყაროს ცენტრში მდებარეობს. მის წიაღში ჯოჯობეთია ცოდვილთათვის. დედამიწის ირგვლივ ბრუნვენ სფეროები, რომლებიც მოძრაობაში აწველობენ მისკვეთს. ამ სფეროებზე — ზეცაზე მიმაგრებულია მნათობები. ცთომილთა სფეროების შემდეგ განლაგებულია უმოძრაო ვარსკვლავთა სფერო, მის მიღმა კი მოთავსებულია პირველადი ძრავა. უფრო შორს მოთავსებულია ცხონებულია საცხოვრებელი — ემპირეა. ესაა ღმერთისა და მიხი მსახურების სამყოფელი.

შუა საუკუნის მოგზაურები იყენებდნენ ციურ მნათობთა მოძრაობის არაბულ ტაბულებს, მაგრამ განვითარებული ზღვაოსნობა უკვე იმითაც ვეღარ კმაყოფილდებოდა. საჭირო იყო მათი ვადასინჯვა და შესწორება. ამ პერიოდისთვის ასტრონომია სწრაფი ნაბიჯებით ვითარდებოდა. არაბული ტაბულები შეიცვალა ე. წ. ალფონსოს ტაბულებით, რომლებიც შეადგინეს 1252 წელს კასტილის მეფის ალფონსოს ბრძანებით. უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდნენ ასტრონომებს — პურბახის და რეგიომონტანის ტაბულები. ისინი კარგად ეხმარებოდნენ მეზღვაურებს გზის გაგნებაში და დიდი როლი ითამაშეს XV საუკუნეში ვასკოდა გამას, კოლუმბისა და მაგელანის დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებში. უკანასკნელს მოგზაურობამ დედამიწის გარშემო საბოლოოდ გაფარტა ეკვები დედამიწის ფორმის შესახებ.

X-XV საუკუნეებში შუა აზიაში გამოჩენილი მეცნიერები მოღვაწეობდნენ. ტაჯიკი ბირუნი აბურაჩანის გამოკვლევები ფართოდაა ცნობილი. იგი გატაცებული იყო ასტრონომიით, მათემატიკით, მინერალოგიით, გეოგრაფიით და ფილოსოფიით. მის მიერ დედამიწის ზომების განმსაზღვრელი მეთოდები დიდი შენაძენი იყო შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ასტრონომიისა და გეოგრაფიისათვის. მანვე გამოთქვა აზრი დედამიწის მზის ირგვლივ მოძრაობის შესახებ. ბირუნი დაუღალავად ებრძოდა რელიგიურ ცრურწმენებს ბუნების მოვლენათა ახსნის საქმეში და ამტკიცებდა მეცნიერული ცოდნის ჭეშმარიტებას.

XV საუკუნის გამოჩენილი უზბეკი ასტრონომის, ულუგბეკის სახელი ფართოდაა ცნობილი. მისი ვარსკვლავთა მდებარეობის ტაბულები ისეთი დიდი სიზუსტით გამოირჩეოდა, რომ საუკუნეების შემდეგ მრავალ მეცნიერს აღძრა ეჭვი მათ ჭეშმარიტებაში და თვით ულუგბეკის არსებობაც კი ეპის ქვეშ დააყენეს. არქეოლოგებმა სამარყანდის მახლობლად გათხარეს უზარმაზარი ასტრონომიული ობ-

სერვატორიის ნაშთები, რითაც დამტკიცდა ამ დიდი მეცნიერის არსებობაც და სწრაფი ნაბიჯები.

XV საუკუნეს წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება, მან დაბადა ისეთი ბუმბერაზი ადამიანები, როგორც იყო ლეონარდო და ვინჩი, კოპერნიკი, ჯორდანო ბრუნო, გალილეო გალილეი, იოჰან კეპლერი და სხვ.

ლეონარდო და ვინჩი უარყოფდა არისტოტელეს სფეროების არსებობას. იგი ამტკიცებდა, რომ დედამიწა არ არის სამყაროს ცენტრში და რომ მას ბრუნვითი მოძრაობა ახასიათებს. შუა საუკუნეების გამოჩენილი მეცნიერი ნიკოლოზ კუზანელი კი ამბობდა, რომ დედამიწა მოძრაობს და სამყაროს არ შეიძლება ჰქონდეს ცენტრი, რადგან იგი უსასრულოა.

ასე თუ იხე, შუა საუკუნეების ზოგიერთი მეცნიერი ახლის იყო ჭეშმარიტებასთან, მაგრამ მათი შეხედულებები თმეტა კი პტოლემეოსის გეოცენტრული სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული, კონკრეტულად არაფერ ცდილა მეცნიერულად დავსაბუთებინა სამყაროს აგებულების ამ სისტემის მცდარობა.

მე-18 საუკუნე ვაფადა მის შემდეგ, რაც არისტარქ სამოსელი სამშობლოდან გააძევეს და მასხრად ავღებული მეცნიერის შეხედულებებმა ახალი ძალით შეუტია სარწმუნოებას.

1473 წელს პოლონეთის ქალაქ ტორუნში დაიბადა ნიკოლოზ კოპერნიკი, რომელსაც წილად ხვდა მეცნიერების ჭეშმარიტ გზაზე გამოყვანა. ქველ ბერქენ მეცნიერთა შრომებზე და საკუთარ შეხედულებებზე დაყრდნობით კოპერნიკმა შემდეგი დასკვნები გამოიტანა: „ცის თალის ხილული დედამიწის ბრუნვა, აგრეთვე დღისა და ღამის ცვლაც გამოწვეულია დედამიწის ბრუნვით საკუთარი ღერძის ირგვლივ. მზის ხილული წლიური ვადაადგილება ვარსკვლავების მიმართ არის დედამიწის მზის გარშემო მოძრაობის შედეგი. ყველა პლანეტა, მათ შორის დედამიწაც, მოძრაობს მზის ირგვლივ წრიულ ორბიტაზე“.

თავისი შეხედულებების გამო კოპერნიკი ახადებდა: იმისათვის, რომ არ იფიქრონ, თითქოს მე მხოლოდ მტკიცებებს ვაერცვლებ, დე, შეადარონ ჩემი ახსნა ფაქტებს; მაშინ დარწმუნდებიან, რომ იგი კარგად უთანხმდება მათ.

კოპერნიკის მოძღვრებამ ააფორიაქა სამღვდელთა. ლუთერმა სასტიკად გააღმქრა მეცნიერის წინააღმდეგ: „ლაპარაკობენ ვიღაც ახალ ასტროლოგზე, რომელიც ამტკიცებს, რომ დედამიწა მოძრაობს, ხოლო ცა და მზე უძრავია. ახლა, ვისაც კი სურს თავის თავი ქვეინად მოკვარვენოს, ცდილობს გამოიგონოს რაღაც განსაკუთრებული. აი, ეს სულელიც ცდილობს ყრამალა დააყენოს ასტრონომია“.

კოპერნიკი არ შეუშინდა ასეთ დაცინევებს და მეგობართა რჩევით 1543 წელს გამოსცა თავისი შრომა „ციურ სფეროთა მოძრაობის



შესახებ". რამდენიმე დღის შემდეგ დიდი მეცნიერი გარდაიცვალა. პტოლემეოსის გეოცენტრული სისტემა კი შეიცვალა კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემით, რომლის მიხედვითაც მზემ თავისი ადგილი დაიკავა სამყაროში, მართალია კოპერნიკის ახრით მზე უძრავი იყო და პლანეტები მის ირგვლივ მოძრაობდნენ, მაგრამ ეს შეხედულება თავისთავად პროგრესული იყო იმ პერიოდისთვის.

კოპერნიკის იდეები განავითარა იტალიელმა ჯორდანო ბრუნომ. იგი მონასტერში იზრდებოდა და სასულიერო პირი უნდა გამოსულიყო, მაგრამ როცა კოპერნიკის მოძღვრებას გაეცნო, მიატოვა მონასტერი და დიდი პოლონი მთაწარის მიმდებარე ვახადა. ეს ის პერიოდი იყო, როცა იტალიაში ინკვიზიტორთა კოცონები ზეცას სწვდებოდა. ინკვიზიტორებმა დევნა დაუწყეს ბრუნოს და იგი იძულებული გახდა შეეცალოს გამგზავრებულყო. „სულიერმა მამებმა“ არც იქ მოასვენეს მღვდლვარე სული მქონე მეცნიერი, შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს. ჯორდანომ შესძლო ციხიდან გაქცევა და საფრანგეთში გადაიხვეწა, სადაც მას რამდენიმე ხანს საფრანგეთის მეფე, ჰენრიხ მესამე და მისი დედა, მწრომობით იტალიელი ეკატერინე მედიჩი მფარველობდნენ. ბრუნომ მოკლე ხანში დიდი პოპულარობა მოიპოვა. იგი ლექციებს კითხულობდა ტულუზის უნივერსიტეტში და მალე სორბონის უნივერსიტეტის პროფესორობაც შესთავაზეს, მაგრამ მეცნიერმა ამ საპატიო თანამდებობაზე უარი განაცხადა, რადგან უნივერსიტეტის პროფესორები ვალდებულნი იყვნენ სისტემატურად დასწავლობდნენ საეკლესიო წიგნებს. ამის გამო ურთიერთობა ბრუნოსა და ეკლესიას შორის აქაც გამწვავდა. ბრუნოს აღარ დაედგომებოდა საფრანგეთში და ჯერ გერმანიაში, შემდეგ კი ინგლისში გადაიხვეწა. ლონდონში ჯორდანო ბრუნომ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი თხზულება „სამყაროს უსასრულობის შესახებ“, რომლის ძირითადი თეზისები შემდეგში გამოიხატებოდა:

„დედამიწის აქვს ბურთთან მიახლოებულ ფორმა, იგი შეწყველია პოლუსთან და ბრუნავს მზის ირგვლივ.“

მზე ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო. დედამიწის ღერძი დაწეულია ორბიტის სიბრტყესკენ.

უძრავი ვარსკვლავები იგივე მზეები არიან, და მათ ირგვლივაც ბრუნავენ პლანეტები. სამყაროები და მათი სისტემები იცვლებიან, მათ აქვთ დასაწყისი და დასასრული.

ბრუნონ ლექციები მივნიტებით იზიდავდა ახალგაზრდობას, მაგრამ უფროსი თაობის პროფესორებმა პირი შეკრეს და მიიღწიეს მისი ლექციების აკრძალვას.

მრავალი თავგადასავლებისა და ქვეყნიდან

ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ ჯორდანო ბრუნო მშობლიურ იტალიას დაუბრუნდა და აღუთქვს რომ ხელს არ ახლებდნენ, მაგრამ 1592 წელს იგი შეიპყრეს.

„ეკავასიის ყველა მყინვარსაც კი არ ძალუძს ჩემი გულის ცეცხლის განვლება!“ — განუცხადა დიდმა მოაზროვნემ ინკვიზიტორებს, რომლებმაც მას „უსისხლო სიკვდილი“ ანუ ცეცხლზე დაწვა მიუსაჯეს. ამ საშიშნელი განაჩენის გამოტანისას მან ასე მიმართა შეკრებულ სამსჯავროს: „თქვენ უფრო დიდი შიშით გამოგაქვთ განაჩენი, ვიდრე მე ვისმენ მას.“

1600 წლის 16 თებერვალს რომში, ყვავილების მოედანზე დიდი კოცონი გიზგიზებდა, რომლის შემოში აღმართულ ბოძზე მიჯაჭვული ბრუნოს სძლედა აუტანელ ტკივილს და დეცინკით ვადმოპყურებდა ბნელეთისა და უცილობის ბრმა მოციქულებს. მათ გაიმარჯვეს, დაწვეს ბრუნო, მაგრამ ვერაფერი დააკლეს მეცნიერულ იდეებს, რომელთა უარყოფის დიდმა იტალიელმა მოაზროვნემ ცოცხლად დაწვა ამჯობინა.

დრომ დაამტკიცა ჯორდანო ბრუნოს შეხედულებათა სისწორე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული ჩოქონავი და ქეშმარიტი მსოფლმხედველობის ჩაოყვანილობა სამყაროს რაობის შესახებ. ბრუნოს აუტოდაფედან 289 წლის გასკლის შემდეგ იმ ადგილზე, სადაც იგი ჩაიფერვლა, მადლიერმა იტალიელებმა ძეგლი აუგეს, რომელსაც აწერია: „ჯორდანო ბრუნოს საუწყნიდან, რომელიც მან განჭვრიტა იმ ადგილს, სადაც კოცონი აინთო.“

აქ შეიძლება გავიხსენოთ უ. პაკსტონის სიტყვები: „იდეები საქვეყნოდ სჭეშენ ქვემეხებზე უფრო ხმამალა, აზრები არმიგზე ძლიერია, პრინციპებმა უფრო მეტი გამარჯვებები მოიპოვა, ვიდრე ცხენოსანმა ჯარებმა და სამარაბმა ეტლებმა.“ კოპერნიკისა და ბრუნოს იდეები უფრო მეტი ძალით უტევდნენ რელიგიას. გალილეო გალილემ პირველი ტელესკოპი გამოკრდა და მთვარეზე მთების სიმარლებებიც კი ვახომა. ამავე ტელესკოპის საშუალებით მან მზეზე ლაქები შეამჩნია და მათი მოძრაობის მიხედვით დაასკვნა, რომ მზე ბრუნავს საკუთარი ღერძის ირგვლივ. გალილეი ანეითარებდა კოპერნიკისა და ჯორდანო ბრუნოს იდეებს, ავსებდა მათ საკუთარი დაკვირვებებით. ვერც ციხემ, ვერც განუწყვეტელად დევნამ ვერ გატანა მეცნიერის სული, მხოლოდ ფიზიკურად დაავადომა იგი. 1632 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „დილოგი ორი უმთავრე-

თამაზ აკანაძე
 ლმირთმბთან ბრძოლა

სი — პტოლემეოსი და კოპერნიკის — სამყაროს სისტემების შესახებ" რომელშიც იგი კოპერნიკის შეხედულებებს იცავდა. ამ წიგნის გამო რომის პაპის, ურბან VIII ბრძანებით დაედამყოფებული გალილეი სასამართლოს წინაშე წააყენეს და აიძულეს უარი ეთქვა თავის შეხედულებებზე. სიციცხლის უკანასკნელ წლებში დაბრმავებული მეცნიერი ინკვიზიციის კონტროლის ქვეშ განაგრძობდა შესანიშნავ გამოკვლევებს ფიზიკაში.

გამოჩენილმა გერმანელმა ასტრონომმა იოჰან კეპლერმა აღმოაჩინა პლანეტების მოძრაობის კანონები და ნათელი ვახადა კოპერნიკის პელიოცენტრული სისტემა. ეკლესია არც ამ მეცნიერს აძლევდა თავისუფალი ცხოვრებისა და მუშაობის საშუალებას. იგი იძულებული იყო პრალაში გადასახლებულიყო და ნახევრად-მშვიერს ემუშავა თავის დიდ აღმოჩენებზე გამოჩენილ ჩებ ასტრონომ ტიხო ბრაგესთან ერთად.

რელიგია ცეცხლით ებრძოდა მოწინავე მეცნიერებს. ვინ იცის, რამდენი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი შეიწირა. მან შუა საუკუნეების სქელკედლება სისხლით მორწყულ საკანებში. „დედამიწა რომ მრგვალი იყოს, ჩვენს საწინააღმდეგო მხარეს მცხოვრები ადამიანები როგორ ივლიან თავდაყირა, ოკეანეებიდან და ზღვებიდან კი წყალი გადაიღვრებოდაო. ადამიანებს და ცხოველებს, რომელთაც მოძრაობის უნარი შესწევთ, აქეთ კიდურები და კუნთები; დედამიწას არა აქვს არც კიდურები და არც კუნთები, მაშასადამე მოძრაობაც არ შეუძლიაო“. — ასეთი სულელური არგუმენტები მოყვადათ ეკლესიის მსახურებს. ძა-

ლიან კარგად აქვს ნათქვამი ანატოლუქოვსკის „უვიცობა სწორედ იმიტომაა ასე, რადგან იგი ასაზრდოებს ცრურწმენებს... უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანებიც კი უნებლიეთ დამნაშავეები ხდებიან. რელიგიის ისტორია ამის ატრაკტულ მაგალითს იძლევა“.

დღეს ყველამ იცის ისავე ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი. ნიუტონმა განიხილა მთვარის ბრუნვა დედამიწის ირგვლივ და დამტკიცა, რომ მისი მოძრაობა გამოწვეულია დედამიწის მიზიდულობით. მან დამტკიცა, რომ სიმძიმის ძალა არის ის ძალა, რომელიც აიძულებს მთვარეს იბრუნოს დედამიწის ირგვლივ. ესაა მსოფლიო მიზიდულობის კანონის კერძო შემთხვევა. მზე იზიდავს პლანეტებს, ეს უკანასკნელნი კი თავის მხრივ იზიდავენ მზეს. დედამიწა იზიდავს მთვარეს, მთვარე — დედამიწას და ა. შ. ნიუტონმა დაასკვნა, რომ მასათა შორის მიზიდულობის ძალა არსებობს, რომელიც პირდაპირ პროპორციულია მასების ნამრავლისა და უკუპროპორციულია მათ შორის მანძილის კვადრატისა. დედამიწაც იზიდავს თავის ცენტრისკენ მის ზედაპირზე ვანლაგებულ სხეულებს: ოკეანეებს, ზღვებს. შენობებს, ადამიანებს და სხვ. ქვევითო, რომ ვამბობთ, იგტლისხმება მიმართულება ჩვენგან დედამიწის ცენტრისაკენ. თუ დედამიწას სფეროდ მივიჩნევთ, ეს მიმართულება რადიუსს დაემთხვევა. ასევე იქნება ჩვენს საწინააღმდეგოდ მყოფი ადამიანებისათვისაც, ანუ როგორც მათ უწოდებენ — ანტიპოდებისთვისაც. ამიტომაც, რომ ისინი თავდაყირა არ დადიან და ოკეანეებიდანაც წყალი არ აღვრება.



ოთარ ღორთქიჯანიძე

ღია ნერილი „ცისკრის“ რედაქციას

(პროფ. ბ. აფაქიძის „პასუხის“ გამო)

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის XV პარაგრაფის შესახებ ჩემი რეცენზიის („ცისკარი“, 1971, № 10) პასუხად გამოქვეყნდა პროფ. ა. აფაქიძის წერილი „ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის საკითხები“ („ცისკარი“, 1972, № 5). თითქოს შეიძლება და პოლემიკა ამჯერად ამით დამთავრებულიყო: ერთსა და იმავე საკითხებზე გამოითქვა ორი განსხვავებული შეხედულება და ამიერიდან მომავალი კვლევა-ძიება უჩვენებდა თუ რომელს მათგანია უფრო მართებული. ასეა ხოლმე ყოველი მეცნიერული პაექრობის დროს პროფ. ა. აფაქიძის საპასუხო წერილში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს მე არაობიერად და დამამხინჯებლად გაფორმებული ავტორის მოსაზრებები და მეცნიერული დებულებები, თურმე „აქრძალული ილეთებით“, შეგნებულად დამამხინჯებია სიმართლედ და შეცდომაში შემყვანია „ცისკრის“ მკითხველი, „ვლამ სარკეში წარმომადგენია „ნარკვევები“; ჩემს „განზრახულობათა მისაღწევად“ უხვად გამომიყენებია „შეუფერებელი ბერბები, ეპითეტები“ და თურმე ჩემს „ლექსიკურ ფონდში ყველაფერი ეს რჩება, ალბათ, სამუდამოდ!“ და ა. შ. და ა. შ.

ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებებია, რადგან არსად ისე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არ მკლავდება მეცნიერის პიროვნება, როგორც პოლემიკისას... და თუ მე მართლა მეცნიერებისათვის შეუფერებელი წესებით ვცაღე პაექრობის წარმართვა, მაშინ, ბუნებრივია, მმართველს „დაზარალებულის“ წინაშე საჯაროდ ბოდიშის მოხდა და მართლაც ღირსი ვარ გაიკიბვისა. მაგრამ, და ამას ვაცხადებ სრული შეგნებითა და პასუხისმგებლობით, საქმე სრულეობითაც ისე არაა, როგორც ეს პროფ. ა. აფაქიძის საპასუხო წერილშია წარმოდგენილი. ამაში

ადვილად დარწმუნდება პირუთენელი მკითხველი თუ „რეცენზიასა“. და „პასუხს“ ერთმანეთს შეუღარებს. მე კი იძულებული ვარ განმმარტო და ვუჩვენო პროფ. ა. აფაქიძის „პასუხის“ ნამდვილი არსი და მიზანი.

პროფ. ა. აფაქიძის წერილში პირველსავე სტრიქონებიდან მე მბრალდება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის მთლიანად, მთელი წიგნის უარყოფითად შეფასება (იხ. აგრეთვე გვ. 157-158). ჩემი რეცენზია იწყება ასე: „გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რედაქციის I წიგნი. საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის გამოცემა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი ისტორიულ მეცნიერებაში...“ უფრო ქვემოთ კი (გვ. 145, I სვ., სტრ. 16 და შემდეგ) განმმარტავ: „ნარკვევების I ტომში წარმოდგენილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნემდე. ჩვენი ისტორიის ამ ადრეული ეტაპის ამსახველი წიგნი ავტორთა კოლექტივის შემოქმედების ნაყოფია და ეს სრულიად ბუნებრივია: მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე მხოლოდ ერთი ავტორი ვერ იტვირთავს ასეთი რთული ამოცანის შესრულებას. ამიტომ ვერც მე ვავებდავ მთელი წიგნის შეფასებას და მხოლოდ იმ ზოგიერთი საკითხის შესახებ მოგახსენებთ ჩემს შობამუდღობას, რომელშიც ჩემი მეცნიერული ინტერესები გამო უფრო ჩახედული ვარ. ესაა წიგნის XV თავი — „ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა“. „რეცენზიაშიც“ წიგნის სხვა ნაწილებს ერთი სიტყვიც კი არ შევუბოვიარ, და მაინც პროფ. ა. აფაქიძემ უფლება მისცა თავს ჩემთვის დაებრალდებინა „...მთელი წიგნის ხელაღებით ნეგატიური შეფასება“ (გვ. 140, ხაზგასმაც ა. აფაქიძისა).

სამწუხაროდ, ასეთი დაუსაბუთებელი ბრალ-



ღებები საკმაოდ მრავალადაა ა. აფაქიძის „პასუხში“. შემძლეა სრული პასუხისმგებლობით განეცხადო, რომ პროფ. ა. აფაქიძის საკმაოდ ვრცელ „პასუხში“ ჩემს არც ერთ შენიშვნაზე არაა პირდაპირი პასუხი, სამაგიეროდ უხვადაა გამოყენებული სალანძღავი ეპითეტების მდიდარი არსენალი. მე ველარ შევაწყენ მკითხველს ჩემი „შენიშვნების“ გამოვრებით და „პასუხის“ არგუმენტაციის დაწვრილებით ვაჩვენებ. პირუთენელი მკითხველი ადვილად დაინახავდა თუ რა მეთოდითაა დაწერილი „პასუხი“: ჯერ რეცენზენტის ვაიციცხვა საკმაოდ მშვევე ეპითეტებით, შემდეგ აჩაფრის მთქმელი ვრცელი და ურთიერთსაწინააღმდეგო წინადადებები. ამა თუ სიამუნ ნახეთ მეცნიერულ არგუმენტაციას — ფაქტების აღწერებითა და წერილობითი წყაროებისა თუ არქეოლოგიური ძეგლების სათანადო ანალიზით. თითქმის ყველგან მბრალდება ავტორის მოსაზრებათა დამახინჯება, არაობიექტურობა და ა. შ. და ა. შ.

მე არა მაქვს საშუალება ყველა დეტალის განმარტებისა. ამიტომ პროფ. ა. აფაქიძის „პასუხის“ მეთოდის საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიტან.

1. სარეცენზიო წიგნის არსებით ნაკლად მივიჩნევ (და ახლაც ამავე აზრისა ვახლავარ), რომ ნიეთიერ კულტურის ძეგლები „მხატვრულ-კულტურული თვალსაზრისით ყოველთვის სწორად არაა შეფასებული. მხატვრული ხელოვნობის დარგების დახასიათებისას გვხვდებიან მხოლოდ დეკლარაციული განცხადებები...“ და ა. შ. (დოქტორ. შტრ. რეცენზია“, გვ. 177 და შემდ.). კერძოდ, მე უმართებულოდ მიმჩნეო ვანის ოქროს სამკაულების აქემენიდური ხელოვნების წრისადმი მიეუთენება. პროფ. ა. აფაქიძე საპასუხო წერილში ბრალსა მდებს „კონტრაქტადან წინადადებების ამოგლეჯაში“ და ამ გზით „ნარკვევების“ ელამ სარკემი წარმოადგენაში“ და ა. შ. (გვ. 144). მაგრამ რატომ, რისთვის? ჩაიკითხეთ „პასუხის“ 144-ე გვერდი, შეადარეთ იგი „რეცენზიის“ 147-148-ე გვერდებს, და თუ გაივებით რის თქმა სურს ავტორს? მოტანილია ციტატი „ნარკვევებიდან“ (გვ. 686): „საერთო იერით ვანის მდიდრული სამარხის ოქროს ნიეთები ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წრეს მიეუთენება და ძვ. წ. VI-V სს. თარიღდება, მაგრამ აღმოჩენილ მასალაში ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე ჩანს...“ მართალია, რომ მე ეს ციტატი მხოლოდ „მაგრამ“ სიტყვამდე ვაციტირებ. ვანა შეიცვალა ამით რაიმე? პროფ. ა. აფაქიძე ამას მიძიმ დაწვრილად მითვლის და წერს „ამ „ოპერაციის“ რეცენზენტმა მოაყოლა მიძიმ ბრალდება, თითქმის ვანის მდიდრული სამარხების ოქროს ნიეთები ა. წ. აქემენიდური ხელოვნების წრეს მიეუთენებ...“ (გვ. 144, სვ. I, სტრ. 20-23). ვაშ გამოიღოს, რომ პროფ. ა. აფაქიძის მე და-

ვებრალე ვანის ოქროს ნიეთების აქემენიდური ხელოვნების წრისადმი მიეუთენება, თუ არაა სხვა აზრისა? ამასთან თურმე „...რა თქმა უნდა, ამ ბრალდებაში სიმართლას ნათამალიც არ არის“ (ხაზგასმაც ა. აფაქიძისა — იქვე, სტრ. 30-31). კი მაგრამ რას ნიშნავს ზემოთმოტანილი ციტატი „ნარკვევებიდან“ (გვ. 686), რომელსაც პროფ. ა. აფაქიძე ორჯინის აციტირებს „პასუხში“ (გვ. 144): „საერთო იერით ვანის მდიდრული სამარხის ოქროს ნიეთები ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წრეს მიეუთენება...“

ეს ხომ პროფ. ა. აფაქიძის სიტყვებია! კლდე მტეი იქვე პროფ. ა. აფაქიძე აღნიშნავს ვანის ოქროს ნიეთების დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთაც „სიახლეს“ უწოდებენ (საინტერესოა რასთან შედარებით?) და დასძენს — „წინასწარ შესწავლისას შემჩნეული ეს სიახლენი იმას უნდა გვისხინდნენ, თუ რად ვუწოდებთ ზემოთ ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წრის ნიეთები „ვანის მდიდრულ სამარხულ მასალას“. ესეც გაუგებარია: აღნიშნული ადგილობრივი დამახასიათებელი ელემენტები და ნიეთები მანც ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წრეს მიეუთენება! პროფ. ა. აფაქიძე „პასუხში“ წერს: „...ნარკვევების“ 686-ე გვერდზე მე საუბარი მაქვს ვანის 1961 წლის მდიდრული სამარხის ინვენტარზე; რეცენზენტი კი კორიანტელს აყენებს 1969 წელს აღმოჩენილი სამარხის ვარშემო. სხვადასხვა სამარხებზე, სხვადასხვა ნიეთებზე და სხვადასხვა საკითხებზე ვწერთ ჩვენ. იმის ვანსა თუ რა ჰქეია ამას, მკითხველისათვის მიიჩნევიან, (გვ. 144). იმისათვის, რომ მკითხველს „განსჯა“ გაუადვილდეს, სწორედ ამიტომ იძულებული ვარ კომენტარი ვაუკეთო ზემოაღმოტანილ ციტატა, თუმცა ისედაც კარვად ჩანს ავტორის ცდა.

ჯერ ფორმალური თვალსაზრისით: 1969 წლის სამარხი 686-ე გვერდზე მართლაც არაა ნახსენები (ისევე როგორც 1961 წელს აღმოჩენილი), მაგრამ ზემოაღნიშნულ საკითხებზე საუბარი ხომ 685-ე გვერდზე იყება და იქვე ნახსენებია: „ვანში 1961 და 1969 წწ. გათხრული სამარხები...“ ასევე საუბარი ვანის ოქროს ნიეთებზე მთავრდება 687-ე გვერდზე: „...ყველაფერი ეს აღიერებს ინტერესს ვანის 1961 და 1969 წწ. მდიდრული სამარხებისადმი“. შეგიძლიათ ვადაშლოთ აგრეთვე „ნარკვევების“ 780-781-ე გვერდები, სადაც სავანგებოდ 1969 წ. ვანის სამარხებზეა საუბარი: „ასეთია ვანის აღრეანტიკური ხანის ოქრომზიდლობის ძეგლები უმნიშვნელოვანესი დაწვრილი, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქმის საზოგადოდ აქემენიდურ იერს ატარებს, მაგრამ ძალიან საყურადღებო ადგილობრივ ელემენტებს შეიცავს“. ასე, რომ „ნარკვევებში“ საუბარია 1969 წ. ვანში აღმოჩენილი სამარხის ოქროს ნიეთებზეც და მე „კორიანტელი“ უსაფუძვლოდ არ ამიტეხია.



ახლა არსებითად შევხედოთ ამ საკითხს: ეთქვით ვირწმუნოთ, რომ პროფ. ა. აფაქიძე ვანის ოქროს სამკაულებზე საუბრისას მხოლოდ 1961 წლის სამარხის ინვენტარზე წერდა თუ გულისხმობდა. („პასუხი“, გვ. 144). მაგრამ ვანის 1961 და 1969 წლის სამარხების ოქროს ნივთები თავისი მხატვრულ-სტილისტური და ტიპოლოგიური წარმომავლობით არსებითად ხომ არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? ძირითადი კომპონენტები) დიადემა, სხივანა სასაფეთქლები და საყურები, კვირულებურთე-ლიანი თუ მინიატურული ვარდულით შემკული სხვა საყურები, ცხოველ და ფრინველსახოვანი საკიდებით შედგენილი ყელსაბამები, არწივების პერალიციური გამოსახულებანი, ცვარათი ვაოკეანილი რომები და პირამიდებით შემკული სამკაულები და სხვ.), რომლებიც განსაზღვრავენ ძვ. წ. V-IV სს. კოლხური ოქრომკვდლობის მხატვრულ-სტილისტურსა და ტიპოლოგიურ მოდელს, ხომ ორივე სამარხის ინვენტარის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია. მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის (ფორმალური თუ არსებითი თვალსაზრისით) საფუძველზე, განა ჰქონდა უფლება პროფ. ა. აფაქიძეს ეთქვა: „სხვადასხვა სამარხებზე, სხვადასხვა ნივთებზე და სხვადასხვა საკითხებზე ვწერთ ჩვენ“. და ყოველივე ამის შემდეგ დებარდებინა ჩემთვის ცდა „ნარკვევების“ ელამ სარკვეში წარმოდგენისა? ეს ყველაფერი პროფ. ა. აფაქიძეს იმისათვის დასჭირდა, რომ უპასუხოდ დაეტოვებინა ჩემი მთავარი შენიშვნა: „არაა მეტ-ნაკლებად ჯეროვანი დახასიათებული ქართული ოქრომკვდლობის (და საერთოდ, მხატვრული ხელოსნობის) არც ერთი ნიმუში, არაა ნაჩვენები მხატვრულ-ტიპოლოგიური ნიშნები, განვითარების ხაზი და ა. შ. შესაბამისად არც ისაა ნათქვამი, სახელდობრ, რა მიანიჭა ავტორს „აქემენიდური წრის და ელინისტურ-რომაული ხელოვნების ძლიერი გავლენის“ მათწყებლად („არეცენზია“, გვ. 147).

„პასუხში“ ვრცელი მსჯელობაა გაპართული ძვ. წ. აქემენიდური ხელოვნების რაობის შესახებ. (გვ. 145-146), თუმცა არც ისე ადვილი გასაგებია, რის თქმა უნდა ავტორს. მაგრამ ერთი რამ კი საკვებით უშვარა: მე მბრალდება ტერმინ „აქემენიდურის“ ხელოვნებით უარყოფა. პროფ. ა. აფაქიძე წერს: „ესკისის“ მკითხველი ნახავდა, თუ რაიმე ხმალამოვებული ბრძოლის რეცენზენტო გამოთქმას „ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წარს ნივთები“ და საერთოდ — „აქემენიდურს“. უცნაურია! ნამდვილად უცნაურია იმტომ, რომ ეს ტერმინი, როგორც ცნობილია, ჩემი შიგონილი არ ირის — საძვეყნოდ გავრცელებულია...“ (გვ. 145). მართლაც უცნაურია! ეს მოუვა აზრად „ხმალამოვებული“ ებრძოლოს საერთოდ გამოთქმას „აქემენიდური“? განა მე სადმე წამომცდენია,

რომ „აქემენიდური“ ხელოვნება არ ეარსებებოდა ბობს (შდრ. „არეცენზია“, გვ. 148-149)? მხოლოდ იმის წინააღმდეგი ვარ, რომ ძვ. წ. VI-IV საუკუნეების უაღრესად თავისთავადსა და ორიგინალურ კოლხურ კულტურას „აქემენიდური“ ეუწოდოთ. „არეცენზიაში“ ხომ გარკვევითაა ნათქვამი: „ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კულტურისა და ხელოვნების სიდიადე ისაა, რომ მან ამ დროს, აქემენიდურ სამყაროსთან და ძველ ბერძნულ ცივილიზაციასთან ურთიერთობის ხანაში შეინარჩუნა თავისი სახე, ადგილობრივ ნიადაგზე გადამემუშავა იმდროინდელ მსოფლიოში გავრცელებული მხატვრული ფორმები და ორგანულად დაუკავშირა საუკუნეების მანილზე შემუშავებულ საკუთარ ტრადიციებს. ამის შედეგად შეიქმნა მეტად თავისებური და განუმეორებელი მხატვრული სტილი, რომელიც არც აქემენიდურია, არც აღმოსავლურ-ბერძნული“ და ა. შ., არამედ კოლხურია და თავს იჩენს როგორც ოქრომკვდლობაში, ასევე მეთუნეობაში და ნივთიერი კულტურის სხვა ძველში... და სწორედ ამან წივარ მხოვა ჯეროვანი ასახვა განსაზღვრული მხატვრული „არეცენზია“, გვ. 149). ასეთი იყო ჩემი შენიშვნა. „პასუხში“ კი დამბრალდა ტერმინ „აქემენიდურის“ წინააღმდეგ „ხმალამოვებული ბრძოლა“. ხომ მართლა უცნაურია?!

იქვე „პასუხში“ (გვ. 146) ვრცელი ციტატებია სხვადასხვა სპეციალური ნაშრომებიდან მოტანილი იმის საილუსტრაციოდ, რომ აქემენიდური ხელოვნების შექმნაში სხვადასხვა ხალხები მონაწილეობდნენ (თითქოს მე ამას უარყოფდებოდა შდრ. „არეცენზია“, გვ. 148, სვ. 11). მაგრამ პროფ. ა. აფაქიძე, რატომღაც იმევე ნაშრომებიდან აღარ მოიტანა „დასაგები“, რომლებშიც აქემენიდური ხელოვნების არსია განმარტებულია. მაგ. მის მიერვე დასახელებულ შედარებით ყველაზე ახალ „ქრებულში“ «История Иранского государства и культуры» (მოსკოვი, 1971), რომელშიც გამოქვეყნებულია ვ. ლუთონინის საგანგებო სტატია „ძველი ირანის ხელოვნება“, ხაზგასმითაა ნათქვამი (გვ. 109): «И вместе с тем для всех исследователей ясно, что ахеменидское искусство и архитектура — совсем не сумма заимствований, совсем не простой набор цитат. Заимствования теряют свои первоначальные качества. Впечатление эклектики поверхностно — оно опровергается самими памятниками. Парадокс искусства Ахеменидов в том и состоит, что детали того или иного образа — все или почти все — известны из прошлых эпох и различных стран, а сам целостный образ отли-

ოთარ ლორთქიფანიძე
ლია წიბრილი „ცისარის“ რამდამისა

ლებრივ, ქვათლითა პირველი წყება ჩასმულა კლდეში ამოკვეთილ სავანგებო ფოსოებში; მომდევნო რიგები კი ერთმანეთთან უწყვეტად არის გადაბმული და ა. შ... ხოლო უფრო ქვემოთ (გვ. 715) გარკვევით წერია: „მის გამო, რომ ყველაზე ადრე აღწერილი ხუროთმოძღვრული ძეგლები მცხეთაში, სახელდობრ, არმაზციხეში იყო აღმოჩენილი, გათხრილი და შესწავლილი მას „არმაზციხე I“-ს უწოდებენ“. ე. ი. ხომ ამჟამად საკვებია, რომ პროფ. ა. აფაქიძის საქალაქო მშენებლობის ადრინდელი საფუძვრი რომელსაც ძვ. წ. VI-III საუკუნეებით ათარიღებს („ნარკვევები“, გვ. 714, 715; „პასუხი“, გვ. 147, I სვ., 24-25 სტრიქონები), გაიკვებულა აქვს „არმაზციხე I-თან“ და სრულიად ბუნებრივია, რომ მასაც VI-III საუკუნეებით ათარიღებს. ამიტომ მითითება რაღაც „კორექტურულ შეცდომაზე“ სწორი არაა. ეს კარგად ჩანს ზემოთმოტანილი ციტატის მომდევნო ფრაზიდანაც: „არმაზციხე I“ გულისხმობს ძვ. წ. VI-III საუკუნეების კლდეში ჩასმულ ქვათლითა საძირკვლებზე ამოყვანილ უღელბაზო, მაგრამ უწყვეტებით ერთმანეთთან გადაბმულ ქვათლითა წყობას, რომლის ზედა ნაწილს აღიზიანების კედელი შეადგენს. არმაზციხე I გულისხმობს არა მარტო მშენებლობის ხელოვნების განსაზღვრულ წესს, არამედ გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთსაც. ესაა ანტიკური ხანის საქართველოს საქალაქო მშენებლობის ადრინდელი საფუძველი — ძვ. წ. VI-III საუკუნეები“. ყველაფერი ნათელია, მაგრამ მაინც უნდა ვიკითხო: ეთქვას, მოტანილი ნაწილის პირველ სტრიქონში (გვ. 715, მე-12 სტრიქონი) მართლაც კორექტურული შეცდომაა ძვ. წ. VI-III (თუმცა ის წინათქმული სლოგიური დასკვნაა), მაინც უკანასკნელ სტრიქონში (გვ. 715, მე-18 სტრიქონი) რომელია კორექტურული შეცდომა: რომ „არმაზციხე I“ ესაა ანტიკური ხანის საქართველოს მშენებლობის ადრინდელი საფუძველი, თუ „VI-III საუკუნეები“, რომელიც ამ ადრინდელი საფუძვრის თარიღადაა დასახელებული? აი, ასეთია საქმის ვითარება და პროფესორმა ა. აფაქიძემ ამჟამად შეცდომის უსტიყვად აღიარების ნაცვლად, ბრალად დამდო „უსაქცელობაში“, უსაფუძვლოდ „ხელის მობრუნებასა“ და „დიდი აურზაურის ატეხაში“. ამ (და სხვა უსასრულო) დაუმსახურებელ ლანძღვასა და გაყიცივას მე როგორმე გადავიტან (მეცნიერებაც ხომ მოითხოვს მსხვერპლს!). მთავარი ახლა ისაა, რომ პროფ. ა. აფაქიძესაც არ მივაჩნია მკვთებულად „არმაზციხე I“-ის ძეგლების ძვ. წ. VI-III საუკუნეებით დათარიღება: იგი კვლავ დაუბრუნდა ადრინდელ აზრს ამ ძეგლების

ძვ. წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ შესახებ. სხვა საკითხია, რომ ეს თარიღები მიმაჩნია დამტკიცებულად. იმიტომ პროფ. ა. აფაქიძის ადრინდელ ნაშრომებშიც არაა იგი დამაჩვენებლად არგუმენტირებული. ამას გარდა, ყოველად შეუწყინარებელია, რომ პროფ. ა. აფაქიძემ დღემდე (25 წლის მანძილზე) არ გამოაქვეყნა „არმაზციხე I“-ის რიგის ძეგლების გათხრის მეცნიერულ-დოკუმენტური ანგარიში. ამის გამოა, რომ ვერაფერს ვამბობთ ნაგებობებსა და შესატყვისი კულტურული ფენების სტრატეგრაფიებზე, ე. ი. არქეოლოგიების ერთი რომ ეთქვას, ე. წ. აბსოლუტური ქრონოლოგიის ფშთავრეს დასაყრდენზე. ეს მე შევინშნე „რეცენზიაში“ და, უნდა გამოვტყუე, საქმად მოულოდნელად და უცნაური პასუხი მივიღე: „ვერ მოხებრხა „არმაზციხე I“-ს თარიღის დახუსტება უმთავრესად იმის გამო, რომ აკად. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ (1947) არმაზციხეშიც ისევე, როგორც „დიდ მცხეთაში“, არქეოლოგიური გათხრები აღარ ვებრძელებულა“ (გვ. 147).

არმაზციხეზე გათხრების „აღარ ვებრძელებულა“ მიზეზების საკითხი ცილდება ჩვენი პაექრობის საფანს, მაგრამ რადგან პროფ. ა. აფაქიძემ დასვა ეს საკითხი და, აქვე უნდა ეთქვა — არასწორი ინფორმაციით, იძულებული ვარ, ჩვენს საზოგადოებას, რომელიც აგრე დაინტერესებულია საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიებით, განუუმარტო საქმის ნამდვილი ვითარება.

დაიწყეთ იქიდან, რომ არაა მართალი პროფ. ა. აფაქიძე, როდესაც ასე საკაროდ აცხადებს, თითქოს 1947 წლის შემდეგ „არმაზციხეშიც ისევე, როგორც „დიდ მცხეთაში“ არქეოლოგიური გათხრები აღარ ვებრძელებულა. კარგადაა ცნობილი, რომ არქეოლოგიური გათხრები მცხეთაში გრძელდებოდა 1948 წელსაც. შემდეგ, 1951 წელს მცხეთის საღვთოთან აღმოჩნდა და ითხრებოდა აბ. წ. I-II სს. შესანიშნავი აკლდამა. 1952 წელს დაიწყო და მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა არქეოლოგიური გათხრები „დიდი მცხეთის“ სხვადასხვა უბნებში (სარკინე, წიწმური) და ამ გათხრებს ხელმძღვანელობდა თვით პროფ. ა. აფაქიძე შემდეგ ხანებშიც, მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები მცხეთაში: 1957 წლიდან სამთავროს ველზე (პროფ. ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით), არმაზისხევის მიდამოებში (გ. ლომთათიძე, ნ. უგრელიძე). 1963-1967 წწ. აღმოჩნდა და ითხრებოდა მცხეთა-ქალაქის კარბზე და სხვა ნაგებობანი. კიდევ მეტი! 1961-1962 წლებში არ-

მოთარ ლორთქიფანიძე

ლია წიბრილი „ცინარის“ რედაქციის

ქელოგოური გათხრები წარმოებდა არმაზციხის მახლობლად მთა-ქართლში. ინიციატორი და საერთო ხელმძღვანელი ამ სამუშაოებისა იყო განსვენებული აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, ხოლო მისი მოადგილეობა და სხვად სამუშაოების წარმართვა დაკლებული ჰქონდა თვით პროფ. ა. აფაქიძეს. დაბოლოს, პროფ. ა. აფაქიძემ არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა არმაზციხეზე (მაგნიტში) 1967 წელსაც! ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი და მაინც რატომღაც პროფ. ა. აფაქიძე ასე საქაროდ ირწმუნება, რომ თითქოს 1947 წლიდან „დიდ მცხეთაში გათხრები აღარ გაგრძელვლა“ და ამიტომაც „ვერ მოხერხდა არმაზციხე I“-ის თარიღის დაზუსტება“. ვსაიუკარი შოლო ისაა, თუ ყოველივე კარგად ცნობილი ფაქტებისა და რაც მოაგარია, საკუთარი ნაშრომების ასე საქაროდ და მთურადღებლად დამალვა თუ უარყოფა რისთვის დასჯიდა პროფ. ა. აფაქიძეს, რომელიც აგრე თამამად და საქაროდ მივიჩინებს მე „სიმართლის შეგნებულად დამახინჯებასა და „ცისკრის“ შეიხვედლის შეცდომამი შეყვანას“. კიდევ ვითხოვლობთ: რატომ და რისთვის? იმიტომ ხომ არა, რომ ახლა ყველამათვის კარგადაა ცნობილი, რომ პროფ. ა. აფაქიძემ წამოიწყო და შემდეგ მიატოვა ეს გათხრები ხარკინესა და წიწმამურში ისე, რომ მეცნიერულ-დოკუმენტური ანგარიში არ გამოუქვეყნებია (სამაგიეროდ მეცნიერულ საზოგადოებას უხვად მიაწოდა საკუთარი მოსაზრებანი და შეხედულებანი, რომელთა კრიტიკის ცდას როგორც ხედავთ, ავტორისაგან ხვდება მწვევე ლანძღვა და კიცხვა ყოველნაირი ხერხებით). პროფ. ა. აფაქიძის ზემოთმოტანილი არასწორი განცხადება, იქნებ იმით აიხსნება, რომ მას სურს ხბგას გადაბარალოს მთელი პასუხისმგებლობა მისა, რომ არმაზციხესა და „დიდი მცხეთის“ სხვა უბნებზე გათხრები სათანადოდ რომ ვერ განხორციელდა. ესეც გაუგებარია! პროფ. ა. აფაქიძე კარგა ხანია არქეოლოგიურ სამუშაოთა ხელმძღვანელია და ვეჭვობ, გასჭირბოდა „დიდი მცხეთაში“ და პირველ რიგში არმაზციხეზე ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიების აუცილებლობის დასაბუთება და მისი განხორციელება. რაღა შორს წავიდეთ — ისიც ხომ ცნობილია, რომ მხოლოდ ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკად. გ. მელიქიშვილის დაუხინებით მოთხოვნით განაახლა ა. აფაქიძემ არქეოლოგიური სამუშაოები არმაზციხეზე (მაგნიტში) 1967 წელს, მაგრამ ერთი სტრატეგიული არ გამოაქვეყნა ჩატარებული სამუშაოს შესახებ და არც ყოველწლიური არქეოლოგიური ხანგარნიშო სესიისათვის მოუხსენებია მუშაობის შედეგები (არ ვიცი, შემთხვევითია თუ არა, რომ ინსტიტუტის ექსპედიციების 1967 წელს ჩატარებული გათხრების მოკლე ანგარიშები საერთოდ არ გამოაქვეყნებულა, თუცა იგი ჩვეუ-

ლებრივ ყოველწლიურად იბეჭდებოდა პროფ. ა. აფაქიძის რედაქციითა და ხელმძღვანელობით!).

ასეთა საკითხის ნამდვილი ვითარება.

4. „რეცენზიაში“ (§ 4, გვ. 150) მე დაუსაბუთებლად მივიჩნიე პროფ. ა. აფაქიძის „ნარკვევებში“ (I, გვ. 716) და აგრეთვე მის სხვა ნაშრომებში არაერთგზის გამოთქმული დებულება: „ძვ. წ. III საუკუნიდან საქართველოს საქალაქო ხუროთმოძღვრებაში დიდი გარდატეხა ჩანს. ვრცელდება ქვითკარი, რომელიც ამერიიდან დამახასიათებელია საქალაქო მშენებლობისათვის საერთოდ“. ესაა ძალიან დიდი შეცდომა და ამგვარი მტკიცებისათვის არ არსებობს არავითარი საფუძველი. პროფ. ა. აფაქიძის მიერ „პასუხში“ (გვ. 150) მოტანილი მკვლელობით, რომ ვანში „დღეობაში ამ დროს ზოგან რიყის ქვეშის მოზაიკური წყობისათვის გამოიყენება“, ზემოთმოტანილი მტკიცებისათვის არ გამოდგება! კარგადაა ცნობილი, რომ კირანი ხსნარს ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში იცნობდნენ (მაგ. კრეტაზე) და საქართველოშიც გვხვდება უკვე ძვ. წ. VIII-VII სს. (ხოვლე), კირიანი ხსნარის გამოყენება იატაკის დაგებისა და კიდევ კედლების შესაღესად ვანში რომა დადასტურებულა, ჩვეულებრივი ამბავი აუო მთელს ელენისტურ სამყაროში, მაგრამ არსად მშენებლობის ახალ საფეხურად არ მიუჩნევიათ, იმიტომ რომ იგი მაშინ არ გამოიყენებოდა კედლების მშენებლობაში. დღეობის გამოყენება სამშენებლო მასალად მიჩნეულია ერთი უდიდესი მნიშვნელობის ტექნიკურ პროგრესად კაცობრიობის ისტორიაში და მის ფართოდ გამოყენებას I საუკუნიდან აღნიშნავენ. თუ პროფ. ა. აფაქიძემ მართლაც დადასტურა უფრო ადრინდელ ხანაში „დღეობის გამოყენება ნაგებობათა მშენებლობისათვის“ „დიდი მცხეთაში“ („პასუხი“, გვ. 150), მაშინ ამას სათანადოდ მეცნიერული არგუმენტაციითა და დოკუმენტაციით ჰქირდებოდა გამოაქვეყნება!

ქართლში ვითომდა ძვ. წ. III საუკუნიდან დღეობის გავრცელების სახუთად პროფ. ა. აფაქიძემ მოიშველია ლეონტი მროველის ცნობა, რომლის თანახმად ქვითკარით მშენებლობა სპარსთა მეფის ერისთავს ვინმე არდამს მიეწერება. ბუნებრივია, ეს არგუმენტაცია ასეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად ყოველად შეუწყნარებლად მივიჩნიე. ამასთან, შევეცადე ისიც მეჩვენებინა, რომ ლეონტი მროველის ცნობების მიხედვით, არდამი ძვ. წ. III საუკუნეზე, სულ ცოტა, რამდენიმე საუკუნით ადრე უბოვრობდა (დაწვრა „რეცენზია“, გვ. 150). ეს პროფ. ა. აფაქიძისათვის, ახლა მაინც, ცხადი და თვალსაჩინო ვახდა, მაგრამ შეცდომის აღიარების ნაცვლად, ისევე მე დამბარადა ავტორის აზრების ვითომდა დამახინჯებულად გადმოცემა. პროფ. ა. აფაქიძე წერს: „ისეთი

შთაბეჭდილება შეიძლება „ციცკარის“ მკითხველს დარჩეს, რომ მე თითქოს არღამ ვთვლი ძვ. წ. III ს. მოღვაწედ. სხვაგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს რეცენზენტის მიერ დასმული კითხვიდან: „რატოა ეს ყოვლისშემძლე არღამი ძვ. წ. III საუკუნის მოღვაწე?“ („ციცკარი“, 10, გვ. 150). „ციცკარის“ მკითხველს შეუძლია „ნარკვევების“ 716-717 გვერდები ნახოს (მე მხოლოდ ამ ორ გვერდზე ვახსენებ არღამს) და დარწმუნდეს, რომ საისტორიო წყაროების აზრს ვადმოვეცმ, მაგრამ თვითონ არღამი არ მიმიჩნევია ძვ. წ. III ს. მოღვაწედ და საერთოდ არაფერი მაქვს ნათქვამი იმის შესახებ, თუ როდის მოღვაწეობდა იგი“. გამოდის რომ ესეც ჩემი მონახონია, არა? მაშინ ვნახოთ მართლაც „ნარკვევების“ პირველი წიგნის 716-717-ე გვერდები. აი, რა წერია იქ: „ძვ. წ. III საუკუნიდან საქართველოს საქალაქო ხუროთმოძღვრებაში დიდი გარდატეხა ჩანს. ვრცელდება ჭკვითირი, რომელიც ამიერიდან დამახასიათებელია საქალაქო მშენებლობისათვის საჭრთოდ. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვითაც დღეობის შემოღება ამ ხანისათვის ივარაუდება. ქართლის ცხოვრება“ მეფე არღამის მოღვაწეობის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ არღამმა მოზულდა მეცეთა ჭკვითკროთი...“ ასეა 716-ე გვერდზე. ახლა ვნახოთ 717-ე გვერდი: „უკანასკნელი ხანების არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ ჭკვითკროთის, დღეობის ე. ი. კროთის ხნარის ფართოდ გამოყენებას უკვე ძვ. წ. III საუკუნეში“, დამოუკიდებლად იმისა, არღამს მიეწერება თუ არა დამახატურება ამ სიახლეში.“ განა ზემოთხიანილი ორი ციტატიდან, ნათლად არ ჩანს, რომ არღამი ძვ. წ. III ს-ს მოღვაწეა მიჩნეული? მაგრამ იქნებ რაიმე ამ ციტატებში კორექტურული შეცდომის შედეგია? არავითარი! ზუსტად ასევე, ამავე სიტყვებითაა იგივე აზრი ვადმოცემული ა. აფაქიძის წიგნში „ქალაქები“ (გვ. 23-24). შეგძლიათ ნახოთ აგრეთვე ა. აფაქიძის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნიც: *«Города древней Грузии»* (თბილისი, 1968), გვ. 35: «...сырец постепенно вытеснялся известковым раствором. Это становится все более характерным для строительного искусства городов Картли с III в. до н. э. К этому времени предполагается применение извести в Картли и по грузинским историческим источникам, Леонти Мровели при описании деятельности Ардама отмечает, что последний впервые возвел вокруг Мхета крепостную стену на известковом растворе...»

და მაინც პროფ. ა. აფაქიძე უფლებას აძ-

ლევს თავს ასე საჯაროდ განაცხადოს: „მე უბრალოდ წყაროების აზრს ვადმოვეცმ, მაგრამ თვითონ არღამი არ მიმიჩნევია ძვ. წ. III ს. მოღვაწედ“. რაი სიტუცამ მოიტანა, ისიც უნდა ითქვას, რომ არც საისტორიო წყაროს (და არა წყაროების!) აზრითაა არღამი ძვ. წ. III ს-ს მოღვაწე. ლეონტი მროველის ცნობებში არღამი ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის (ძვ. წ. III ს. 70-იანი წლები) და ალექსანდრე მაკედონელის წინა ხანის მოღვაწეა წარმოდგენილი; კიდევ მეტი, იგი თითქოს ნაბუქოლინოსორ მეფის მიერ იერუსალიმის აღებამდე (ე. ი. ძვ. წ. 597-586 წწ.), ცხოვრობდა! 5. ახლა „პასუხის“ მეთოდის სხვა ნიმუში: გვ. 151-ე. მე მბრალდება უსაფუძვლოდ „ვანგაშის ატეხა“ ა. აფაქიძის მიერ ორჯინის ხმარებული გამოთქმის „ფაზისელი ფასიანეს“ გამო. საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს ეს „ვანგაში“ მხოლოდ გამოთქმა „ფასიანეს“ გამო იყოს. შესაბამისად „პასუხში“ მოტანილია ციტატები სხვადასხვა ნაშრომებიდან, სადაც არიანესთან ბერძნულ ტექსტში მოხსენებული „ფასიანე თვის“, ქართულად უბრალოდ „ფასიანედ“ არის ვადმოცემული. იძულებული ვარ განვმარტო, რომ ბერძნული „ფასიანე“ თვით ნიშნავს „ფასისელს“, ხოლო „ფაზისელი“ ფასიანე „ისეთივე უხერხული (გზობლად რომ ეთქვა), გამოთქმა, როგორც იქნებოდა: „თბილისელი თბილელი“, „ქუთაისელი ქუთათელი“, „რუსთაველი რუსთველი“, „ურბნისელი ურბნელი“ და ა. შ. ამ ელემენტარული ქეშმარიტების აღიარების ნაცვლად პროფ. ა. აფაქიძე სრული სერიოზულობით კითხულობს: „ჩერ ისიც საკითხავია, რეცენზენტგივთ უყოყმანოდ გაიზიარებენ თუ არა ელინისტები ახალ (?-ო. ლ.) ინტერპრეტაციას“ (გვ. 152). დაახლოებით ისეთივე პასუხი მივიღე სხვა კონკრეტულ შენიშვნაზე, კერძოდ, რომ ათენის მეტრონში მდგარი რეას ქანდაკების ავტორის შესახებ, ა. აფაქიძემ „არა თუ უბრალოდ გაიმეორა, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა არიანეს შეცდომა და ავტორიტოსის ამ ქანდაკებას „ფილიასის ცნობილი ნახელავი“ უწოდა („რეცენზია“, გვ. 154) ამ აშკარა ლაფუსის აღიარების ნაცვლად, პროფ. ა. აფაქიძემ შენიშვნისათვის ჩერ გამკლავ: „სრულად ზედმეტია პასუხი რეცენზენტის ცდაზე თავისი განსწავლულობა ბერძნული ხელოვნების ისტორიაში უჩვენოს „ციცკარის“ მკითხველს“ („პასუხი“, გვ. 152). ამის შემდეგ, კი მკითხველს აღუწყა, რომ აქ თითქოს დიდ, როულ სადისკუსიო პრობლემათან გვაქვს საქმის: „საქმის ვითარება არც ისე მარტივად არის, როგორც ო. ლორთქიფანიძის წარმოდგენია, მაგრამ ამაზე სხვა დროს“ უნდა

ოთარ ლორთქიფანიძე

ლია წარმლი „ცისკარის“ რედაქციას

1 ევცე აშკარა შეცდომაა (იხ. დაწვრ. „რეცენზია“, გვ. 150 და სკოლიო № 15).

მოგახსენოთ, რომ იმის ცოდნას, რომ ათენის მეტრონომში მდგარი რეას ქანდაკება აგორაკრიოსის ნახელავი იყო და არა ფიდიასისა, ერთი განსწავლულობა¹ ან სჭირდება: ეს საყოველთაოდაა ცნობილი.

6. არა ნაკლებ დამახასიათებელია „პასუხის“ მეთოდის საილუსტრაციოდ კიდევ ერთი მაგალითი. მე შეენიშნე („რეცენზია“, გვ. 154-155). „მინდა ვიკითხო, რა საფუძველი აქვს ვარაუდს, რომ „ბერძენებმა, რომელთაც ჰქონდათ სარწმუნო ცნობები კოლხური ძვირფასი მატყლის შესახებ (ო. ლ.) მოაწყეს საშვარობა მატყლის უსაღებლად კოლხეთიდან საბერძენეთში ან რაც უფრო მოსალოდნელია (?!—ო. ლ.) ნაზმატყლიანი ცხვრების წასახსამად ლეგენდარული (? —ო. ლ.) ჭვეყნიდან საბერძენეთში?“ ხომ ბუნებრივია, რომ ავტორის საპასუხოდ თუნდაც რაიმე არგუმენტი მოეტანა ამ დებულების სასარგებლოდ. მაგრამ საქმე ისაა, რომ, ალბათ, პროფ. ა. აფაქიძეც დარწმუნდა, რომ ძნელია ახლა რაიმე რეალური საბუთის მოტანა იმის სასარგებლოდ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ბერძენებს „**ჰქონდათ სარწმუნო ცნობები კოლხური ძვირფასი მატყლის შესახებ**“. ან კიდევ, რომ „არგონავტიკის“ რომელიმე ვერსიის საფუძველზე შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, თითქოს არგონავტებმა „**ნაზმატყლიანი ცხვრების წასახსამად**“ ილაშქრეს კოლხეთში. ასეთ ვითარებაში, წამოყენებული დებულების სრული უსაფუძვლობის თუნდაც უსიტყვო აღიარების ნაცვლად, მე ამ შენიშვნისათვის დამბრალდა აკად. ივ. ჯავახიშვილის და აკად. სიმ. ჯანაშიას უპატივცემულობა, პროფ. ლ. რჩეულიშვილის მიმართ „უმაღურობა“ და ა. შ. (იხ. „პასუხი“, გვ. 152-153). რატომ? რისთვის? თურმე იმიტომ, რომ აკად. სიმ. ჯანაშია „მსგავს შეხედულებას გამოთქვამდა“ („პასუხი“, გვ. 153). როგორ გეკადრებათ! რატომ ბრალდება აკად. სიმ. ჯანაშიას ასეთი რამ? აი რას წერდა განსვენებული ისტორიკოსი საშუალო სკოლისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში („საქართველოს ისტორია“, 1946, გვ. 51), რომელსაც პროფ. ა. აფაქიძე იმოწმებს: „ოქროს ხეობის ლეგენდა **შესაძლებელია** მიუთითებდეს **აგრეთვე** აფგილობრივ ცხვარზე, რომელსაც კარგი მატყლი ჰქონდა“. განა აქვს რაიმე „მსგავსი“ აკად. სიმ. ჯანაშიას ამ მოსაზრებას პროფ. ა. აფაქიძის წემომთმობილ მტკიცებასთან? ან ესეც არ იყოს, თუ დღეს, ახალაღმოჩენა და გამოკვლევათა საფუძველზე აღარ გათიზარებთ ზოგიერთ დებულებას, განა ეს დიდი მტკიცების ხსოვნის უპატივცემულობაა? ან კიდევ, თუ ან-

ტიკური კულტურის ისტორიის საკითხებზე მე არ ვაგიზიარებ მეცხვარეობის გამოჩენილ საეცილისტის პროფ. მ. რჩეულიშვილის ზოგიერთ მოსაზრებას, ამისთვის „უმაღურობა“ უნდა დამბრალდეს? მაგრამ მთავარი კი ისაა, რომ წემომთმობილი მოსაზრება არც პროფ. მ. რჩეულიშვილის გამოუთქვამს, მის წიგნში «К истории овцеводства в Грузии», საეციალური ლიტერატურის განხილვის დროს უბრალოდ მოტანილია ციტატა ვინმე ბომის 1878 წელს გამოცემული ნაშრომიდან: «В 1100 году до н. э. Язон, сын короля Иолкусы в Кесалии предпринял поездку на корабле «Арго» в Колхиду, сегоднешнюю Мегрелию и Абхазию, чтобы, как там говорится в предании, получить золотое руно барана. Если лишить это сказание своего поэтического обрамления то увидим, что дело обстояло, очевидно, следующим образом: кесалинцы (sic! — о. л.), которые имели сведения о ценной шерсти Колхиды, предприняли поездку туда, чтобы заполучить драгоценную шерсть для своей страны, или, что вернее, заполучить носителей шерсти».

აი ეს საეცილო, „მეცნიერული“ ნასიბრძინი გადმოაქართულა პროფ. ა. აფაქიძემ და მეცხოველეობის „დარგის საეცილისტების“ ვარაუდად გამოაცხადა, ხოლო მე მისი კრიტიკისათვის ივ. ჯავახიშვილის, სიმ. ჯანაშიას, მ. რჩეულიშვილის მიმართ „უპატივცემულობა“ და „უმაღურობა“ დამაბრალა.

7. „პასუხის“ მეტი დამაჯერებლობისა და ჩემთვის სახელის გატეხვის მიზნით პროფ. ა. აფაქიძემ კიდევ ერთი „მეთოდი“ გამოიყენა: შეეცადა ჩემს სხვა ნაშრომებში მოქცეულ დომებში. როგორ მიაღწია საწაფელს, ამის მკითხველი დაინახავდა: იპოვა ორი შემთხვევა, როდესაც მე აღრე სხვა აზრისა ვიყავი (მგ. ვანის 1961 წ., აღმოჩენილი სამარხისა და აგრეთვე ჭვევრსამარხების თარიღის შესახებ), ახლა კი სხვა აზრისა გახლავართ. მე რე და ეს განა დანაშაულია: ეს ხომ მეცნიერების ყველა დარგში ასეა — ახალ აღმოჩენებთან ერთად იცვლება ზოგიერთი საკითხზე ჩვენი წარმოდგენები. და თუ ახლა წემომთმობილ საკითხებზე საგანგებო კვლევის შედეგად განსხვავებული მოსაზრება გამიჩნდა და იგი გამოვაქვეყნე, განა არ მქონდა მე ამის უფლება? პროფ. ა. აფაქიძემ ერთი, მისივე აღიარებით კორექტორული შეცდომაც „აღმოაჩინა“, როდესაც ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი, ძვ. წ. (უნდა იყოს ახ. წ.) VI ს. მოღვაწედ მომიხსენებია. ერთი ამჟამა კალმის ლაფსუსიკ აღმომაჩნდა: სოხუმის სტელასთან დაკავშირებით (იხ. „პასუხი“, გვ. 151). მიწერია: „ძალზე დიდი რელიეფი და აგრეთვე ის გარემოება, რომ სოხუმის სტელას არ აქვს გვერდითი პი-

¹) ეს პროფ. ა. აფაქიძის შექმნილი ნახა თუნდაც მ. ბერძენიშვილის წიგნში „ქალაქ ფაზიონის ისტორიისათვის“ გვ. 139-141.



ლიასტრები, გამოირიცხავენ სტელის დათარიღებას ძვ. წ. IV ს. დასაწყისზე უფრო ადრინდელი ხანით» (ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი», გვ. 100). მთელი კონტექსტიდან კარგად ჩანს, რომ აქ „ადრინდელის“ ნაცვლად უნდა ყოფილიყო „გვიანდელი“ და საესვებით გასაგებია შემდგომი დასკვნაც, რატომ ვათარიღებ სტელას ძვ. წ. 430-420 წწ. ეს ძალიან ადვილი შესაძლებელია მთელი მსჯელობით და პროფ. ა. აფაქიძე ადვილად დარწმუნდებოდა ამაში, რომ ამავე წიგნის რუსული რეზიუმე ენაბა, სადაც უკვე სწორად წერია: «...отсутствии боевого архитектурного оформления исключают ее датировку периодом позднее начала IV в. до н. э.» გვ. 167)¹.

მაგრამ იკითხავთ ალბათ, რისთვის დასკირდა პროფ. ა. აფაქიძეს ამის შესახებ საუბარი. როგორც ჩანს, იმისათვის, რომ უპასუხოდ დეტალები ჩემი მთავარი შენიშვნა, სოხუმის სტელასთან დაკავშირებით „რეცენზიაში“ გამოთქმული: „ნარკვევებში“ (I, გვ. 725) პროფ. ა. აფაქიძე აღწერს სტელაზე გამოსახულ სამფიგურიან კომპოზიციას) თმეცა ის, რომ მისი სიმბოლოები შინაარსისა და დანიშნულების შესახებ არაფერია თქმული და შემდეგ აღნიშნავს: „...ასეთი რელიეფური კომპოზიცია საფლავის ქვებზე საკმაოდ ვავრცელებული იყო ბერძნულ სამყაროში ძვ. წ. V ს. ბოლოს და, ბუნებრივია, სოხუმის მარმარილოს სტელასაც ამ ხანას მიაკუთვნებენ“. მე შევნიშნე, რომ ამ პატარა წინადადებაში რამდენიმე უზუსტობაა. კერძოდ, რომ არ შეიძლება კომპოზიციის მიხედვით ძვ. წ. V-IV ს. ბერძნული სტელების დათარიღება. დათარიღება ხდება სტელების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა და გამოსახულებათა მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე! ეს ახლა სარწმუნო ვახდა ა. აფაქიძისათვის, ამიტომ იძულებული შეიქმნა ეთქვა: „პროფ. ო. ლორთქიფანიძე საქმეს ისე ხატავს, თითქოს მე სტელას კომპოზიციის მიხედვით ვათარიღებდე. ეს არ არის მართალი“. განა ზემოთმოხანილი ციტირებულ (შდრ. გამოთქმა „ბუნებრივი“) არ ჩანს, რომ ა. აფაქიძის დათარიღების მთავარ კომპონენტად სწორედ კომპოზიციას მიიჩნევს? მაგრამ ამას დავანებოთ ახლა თავი. იქვე ხომ სხვა შენიშვნაც მქონდა: „სოხუმის სტელის ანალოგიური კომპოზიცია, ავტორს რომ V ს. ბოლოსთვის „საკმაოდ ვავრცელებულად“ შეიჩინა, ცნობილი

იყო მხოლოდ ძვ. წ. IV ს. (ე. წ. თრასიკული და არქისტრატეს საფლავის ქვები) და „რეცენზია“, გვ. 152). ბუნებრივი შენიშვნის პასუხად პროფ. ა. აფაქიძეს „საკმაოდ ვავრცელებულ“ სტელათაგან თუნდაც ერთი, დაესახელებინა, რომელიც ძვ. წ. V ს. ბოლოს განეკუთვნება. ასეთი მაგალითი, როგორც ჩანს, არც მან იცის. ამიტომ საკუთარი შეცდომის აღიარების ნაცვლად ჩემს ნაშრომებში „იოვია“ იგი და განაცხადა: „თუ შევიხსენებთ, რომ რეცენზენტის საპეცილურ ნაშრომში კომპოზიციაც კი არ არის სწორად აღწერილი, კომპონენტებიც ვახდებდა ასეთი „რეცენზიის“ „კვლევის“ და „ანალიზის“ ფასი“ („პასუხი“, გვ. 151). მაგრამ რა შუაშია აქ ჩემი „საპეცილური ნაშრომი?“ ჩვენ ხომ ახლა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის XV პარაგრაფს ვიხილავთ. იქნებ ჩემს სხვა ნაშრომებში კიდევ უფრო მძიმე შეცდომებია (თუმც, როგორც ნახეთ, პროფ. ა. აფაქიძემ ისინი ვერ აღმოაჩინა, თორემ მათ გამოშვებულებას არ მოერიდებოდა) და ამიტომ რა? მე არ მაქვს უფლება სხვათა ნაშრომების მიმართ შენიშვნების გამოთქმისა და რეცენზიის წერისა? საკითხის ასე დაყენება ხომ პირველ რიგში თვით პროფ. ა. აფაქიძისათვისა არაბელსაყრელი. რატომ ავიწყდება მის ის მძიმე შეცდომები (ზოგჯერ საკმაოდ კუროზულიც), რომელიც მრავლად გვხვდება მის ნაშრომებში? ჯერ კიდევ ყველას ახსოვს, მთელი საუკუნით რომ შეეშალა ა. აფაქიძეს ისეთი ცნობილი რომაული მოღვაწეების სივრცის ხანა, როგორცაა პომპეუსი და ვესპასიანი იმპერატორი და შემდეგ ამ შეცდომაზე ავგო მცხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების ქრონოლოგია! ან კიდევ, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტების აღვლობრივი მინაბაზზე მოცემული ქალღმერთ ნიკეს გამოსახულება არმაზულ წარწერად რომ მიიჩნია და „პიტაბზად“ წაიკითხა, ან თუნდაც ამავე „ნარკვევებში“ ბერძნული ლეთაბა პანის გამოსახულებას „მხეცთელი მუსიკოსი“ რომ უწოდა და სხვ. მაგრამ განა ვინმეს აქვს უფლება ამ შეცდომების გამო აუკრძალოს პროფ. ა. აფაქიძეს მეცნიერულ დისკუსიებში მონაწილეობა? რა თქმა უნდა, არა!

B. მე ვუსაყვედურე ა. აფაქიძეს რიგი ავ-

¹ იხ. ა. აფაქიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თურნ. „ბოლშევიკი“, 1945, № 6, გვ. 76 და 84.

² ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები, ს. ბორიდან, საქართველოს სახ. მეცნიერების მოამბე, XII B. 1944, გვ. 443, 447.

ოთარ ლორთქიფანიძე
ლია წერილი „ცისკარის“ რედაქციას

1) ზუსტად ასევეა სოხუმის სტელის შესახებ ჩემს რუსულ სტატიაში, რომელიც გამოაქვეყნა საკავშირო ეურნალმა „სოვეტსკაია არხოლოგიაში“ (1964, № 1) და ინგლისურ სტატიაშიც. რომელიც პოლონეთში (ტურნალი „არქეოლოგია“, XIX, 1967) დაიბეჭდა.

ტორების მოუხსენებლობა და მით კოლექცი-
 აღური ეთიკის ნორმების დარღვევა. თან ისიც
 განვმარტებ, რომ ამ რიგის ხარვეზებზე ყუ-
 რადღებამს იმითომ ვამახვილებთ, რომ «ნარ-
 კვევებში» ქართული საისტორიო მეცნიერების
 დონე უნდა იყოს წარმოდგენილი, ამიტომ ზო-
 გიერთი ნაშრომის მოუხსენებლობა, რბილად
 რომ ვთქვათ, უცნაურად გამოიყურება («რე-
 კენზია», გვ. 157). სხვა ავტორის შორის და-
 სახელებული იყო მარგ. ლორთქიფანიძე.
 პროფ. ა. აფაქიძე პასუხში ჭერ აღნიშნავს:
 «ციცრული» მკითხველთათვის არ უნდა დამე-
 ლაო. ლორთქიფანიძე, რომ «ნარკვევების»
 755-ე გვერდზე მითითებულია მარგ. ლორთ-
 ქიფანიძის 3 წიგნი». ეს სწორია, მაგრამ ეს
 წიგნები, როგორც იტყვიან, «უმისაპართოდ» —
 სამივე ერთადაა დასახელებული, გვერდების
 ჩვენების გარეშე და ამასთან მ. მაქსიმოვას
 ნაშრომებთან შესადარებლად! (იხ. სქოლიო
 № 2 755-ე გვერდზე). ჩემი შენიშვნა კი სრუ-
 ლიად კონკრეტულ საკითხებთანაა დაკავშირე-
 ბული — კერძოდ, «ნარკვევების» 741-ე გვერ-
 დზე საუბარია მინის მრავალწახნაგა საბეჭდა-
 ვებზე და პროფ. მ. მაქსიმოვას 1941 წ. გა-
 მოცემულ ნაშრომთან ერთად დამოწმებულია
 ა. აფაქიძის წიგნი, რომელშიც ფაქტურად მ.
 მაქსიმოვას მოსაზრებაა გამოვრებული, მაგ-
 რამე არაა მითითებული მარგ. ლორთქიფანიძის
 სპეციალური გამოკვლევა ამავთუ საკითხზე,
 რომელიც უახლესი აღმოჩენების საფუძველ-
 ზეა დაწერილი. სრულებითაც არა აქვს გამარ-
 თლება იმას, რომ იმ ნაწილს, სადაც ეს ნაშ-
 რომი უნდა ყოფილიყო მოხსენებული ჰქვია
 «ტიქათომშედება» და არა «გლობიტია» («აბა-
 ნუხი», გვ. 157). ეს მრავალწახნაგა საბეჭდა-
 ვები, მარგ. ლორთქიფანიძის კვლევის საგანი
 რომ იყო, ისეთივე ლურჯი მინისაგანაა ჩა-
 მოსხმული, როგორც ის ძველებზე, პირველად
 რომ მ. მაქსიმოვამ შეისწავლა. მარგ. ლორთქი-
 ფანიძის ეს ნაშრომი სწორედ ძველ საქართ-
 ველოში მინის წარმოების ისტორიის თვალ-
 ხაზრისათვისაა საინტერესო. რადგან აქ ავტორ-
 მა დამაჩვენებლად უჩვენა, რომ ძვ. წ. V-VI
 სს. ძველ საქართველოში იმდენად კარგად
 იყენებდნენ დაუფლებულნი საბეჭდავების ჩამოს-
 ხმის ტექნიკას, რომ სერაულად ამზა-
 დებდნენ ლურჯი მინის საბეჭდავებს...¹ ასე,
 რომ მარგ. ლორთქიფანიძის ამ ნაშრომის მო-
 უხსენებლობა საკამათო კი არა, მო-
 საბაღი შეებელია!

მე შევნიშნე აგრეთვე, რომ იგივე ავტორი
 ასევე უგულებელყოფილია «ნარკვევების» 706,

¹ მარგ. ლორთქიფანიძე. გვიანაქემინდელ-
 რი ხანის მკერვაზიული საბეჭდავების იბერუ-
 ლი პირები, საქ. მეც. აკად. სახ. მეცნ. გან-
 ყოფილების «მოამბე», 1963, № 6, გვ. 157.

754 და 755-ე გვერდებზე. კერძოდ, მაგ. 754-
 გვერდზე ვანის, სოხუმის, საძვეურის და წინ-
 წყაროს მიღობულ სამარხებში აღმოჩენილი
 საბეჭდავების თარიღება საუბარი და დასახე-
 ლებულობა პროფ. მ. მაქსიმოვას ნაშრომი:
 «Геммы из некрополя Мхета—Самтавро»,
 გვ. 231—232. მაგრამ აქ სიტყვაც კი არაა
 ვანის, სოხუმის, საძვეურისა და წინწყაროს
 გლობიტურ ძველებზე ნათქვამი. სამაგიე-
 რად, დასახელებული გლობიტური ძველების
 ყოველმხრივი ანალიზი (ტიპოლოგიური და
 მხატვრულ-სტილისტური) და დათარიღება —
 წარმომავლობის განსაზღვრა წარმოდგენილია
 მარგ. ლორთქიფანიძის წიგნში «საქართველოს
 სახელმწიფოს მუზეუმის გემები», ტ. III
 (1961 წ.) და ეს საგანგებო ნაშრომიც არაა
 სათანადო ადგილას დასახელებული, თუნდაც
 პროფ. მ. მაქსიმოვას არასპეციალური გამოკ-
 ლევის გვერდით (იხ. გვ. 754, სქოლიო № 1).
 რა გამართლება აქვს ამას?!

საესებით სწორია, რომ პირველად გლობიტ-
 კის გამოჩენილმა სპეციალისტმა პროფ. მ.
 მაქსიმოვამ გამოთქვა მოსაზრება ანტიკური
 ხანის მცხეთაში გლობიტურ სახელოსნოთა
 არსებობის შესახებ. მაგრამ ეს მოსაზრება მ-
 შინ დაუფძნებელი იყო მხოლოდ ორიოდ სა-
 ნებეჭდავზე! ეს დებულება შემდგომ განავითარ-
 რა მ. მაქსიმოვას მოწაფემ მარგ. ლორთქიფ-
 ნიძემ, რომელმაც ახალი აღმოჩენებისა და
 უკვე საკმაოდ მრავალფეროვანი მასალის ყო-
 ველმხრივი ანალიზის საფუძველზე ცხადყო
 მხატვრული ხელოსნობის ამ დარგის დაწინაუ-
 რება ძველ საქართველოში. მარგ. ლორთქიფ-
 ნიძემ განსაზღვრა ძველი ქართული გლობიტის
 დამახასიათებელი თვისებები და მისი განსხვავ-
 ება ბერძნულ-რომაულისაგან. ეს ერთ-ერთი
 ყველაზე უფრო თვალსაჩინო მიღწევაა ძველი
 საქართველოს მხატვრული კულტურის ისტო-
 რიის შესწავლის საქმეში... რაც კარგადაა
 ცნობილი სპეციალისტებისათვის, და არა
 მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში! პროფ. ა. აფაქი-
 ძემ არ ჩათვალა საჭიროდ, რატომღაც, ამის
 აღნიშვნა. კიდევ მეტი, «პასუხში» საოცარი
 ცილისწამების უფლებაც კი მისცა თავს.
 აი რას წერს იგი: «ნარკვევების» საქარო გან-
 ხილისთან მოვახსენებ რეცენზენტს მარგ. ლორ-
 თქიფანიძის ზოგიერთი ნაშრომის მიუთითებ-
 ლობის ფრად არსებითი მიზეზი (ახლა ამაზე
 არაფერს ვიტყვოდი, რომ რეცენზენტს ყუ-
 რადღეო ჩემი ზეპირი პასუხი და «ციცრის»
 ფურცლებზე არ გაემეორებინა ეს ბრალდება).
 მარგ. ლორთქიფანიძე იმეორებს პროფ. მ.
 მაქსიმოვას მოსაზრებებს მცხეთაში გლობიტ-

¹ М. И. Максимова, Геммы из некро-
 поля Мхеты—Самтавро, საქართველოს სახ.
 მუზეუმის მოამბე, XVI-B, 1950, გვ. 226.

კური სახელწოდება არსებობის შესახებ; ზუსტად გადმოსცემს იმის დასკვნებს, თითქმის სიტყვა-სიტყვითა აქვს ვაღმოქართულებული ამ მეცნიერის შეხედულებანი ე. წ. რომაულ საქორწინებულთა შესახებ და სხვ. მაგრამ არ უთითებს მ. მაქსიმოვას ნაშრომებს. ისე გამოდის, თითქოს ყველაფერი ეს მარგ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის და არა მ. მაქსიმოვას («საქ. მუზ. გემები», II, გვ. 8, 14 და სხვ.) ეს საშუალო გაუგებრობად მივიჩნიე და განსწავლეთ არ ჩავთვალე ამ საკითხზე «ნარკვევებში» შეჩერება» (გვ. 157). და აი ამას წერს, ასე საჩაროდ მეცნიერი-კაცი ჯერ ერთი, რა არგუმენტიც ეს: მარგ. ლორთქიფანიძემ მ. მაქსიმოვას ნაშრომები არ მიუთითაო და ამიტომ არ ვახსენებო მას. პროფ. ა. აფაქიძემ «ნარკვევებში» რომ არ მოიხსენია 5—6 ავტორის ნაშრომი (იხ. «რეცენზია», გვ. 157), მამ ადარეკ ა. აფაქიძე უნდა ახსენონ მომავალმა მკვლევარებმა? მაგრამ კიდევ უფრო საოცარია ის, რომ ზემოთმოტანილი ა. აფაქიძისეული განცხადება თავიდან ბოლომდე გაუგონარი ცილისწამებაა. მე, სწორედ რომ ყურად ეღე ა. აფაქიძის ყოვლად დაუსაბუთებელი განცხადება საჩაროდ ვანილივზე და ამიტომ «რეცენზიაში» საგანგებოდ აღვნიშნე და ახლაც ხმაძალა ვიმეორებ: რომ მარგ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის «მრავალფეროვანი მასალით დასაბუთება გლობტიური ძველებას ადგილობრივ დამზადებისა (რა თქმა უნდა, პროფ. მ. მაქსიმოვას ლეაქისა და დამსახურების სათანადო აღნიშვნა-დამოწმებით)». პროფ. ა. აფაქიძეს თავი რომ შეეწუხებინა და მარგ. ლორთქიფანიძის ჩემს მიერ დამოწმებულ ნაშრომებში ჩაეხედა, დაინახავდა, რომ წიგნში «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები» (ტ. I, გვ. 4) საკმაოდ გარკვევით წერია: «პროფ. მ. მაქსიმოვას თავის ნაშრომში — «Геммы из некрополя Мхеты Самтавра» — გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მცხეთაში, ანტიკურ ეპოქაში, ქვის საქრელი სახელწოდებით არსებობდა, სადაც უძველესების გარდა ადგილობრივ ოსტატებსაც უმუშავებიათ. ვფიქრობთ, რომ გემები №№ 26—31 ამ უკანასკნელი ჯგუფის ოსტატების ნახელებად უნდა მივიჩნიოთ». შოლოდ ესეც კი საქმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ა. აფაქიძეს არა თუ არ გაემეორებინა, არამედ საჩაროდ ბოდიში მოეხადა ზეპირი ცილისწამებულური განცხადებისათვის. ახლა გადაშალეთ იმავე წიგნის II ტომი, რომელსაც ა. აფაქიძე

ახებებს — გვ. 28. «ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად ჩვენ შემდეგს ვასკვნით: 1. არმაზისხევის სამაროვანში აღმოჩენილი გლობტიური ძველები ერთი მსწრის რომელიც ჩვენ მიერ ადგილობრივად არის მიჩნეული, აქვე მოპოვებული მთლიანად ქვის სახეობად მომზადებული აქატი, მცხეთის ახლად აღმოჩენილ აკლდამაში მოპოვებული დაუმთავრებელი ინტალიო და სამთავროში მოპოვებული მასალები ადასტურებს მოსაზრებას, რომ მცხეთაში ახ. წ. პირველ საუკუნეებში, ხოლო, ჩვენი აზრით, უკვე დანამდვილებით ახ. წ. I საუკუნეში ქვის საქრელი სახელწოდება სახელწოდებები არსებობდა». აქ სიტყვასთან «ადასტურებს მოსაზრებას» სქოლიოში მითითებულია მ. მაქსიმოვას არაერთგზის დასახელებული ნაშრომი «Геммы» გვ. 226 (იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, «საქართველოს სახ. მუზეუმის გემები», II, გვ. 28, სქოლიო № 3).

ასევეა მარგ. ლორთქიფანიძის წიგნის III ტომშიც (გვ. 9—10), და მიუხედავად ამისა, ა. აფაქიძე ასე საჩაროდ და მოუტიდებლად აცხადებს, თითქოს მარგ. ლორთქიფანიძე «არ უთითებს მ. მაქსიმოვას ნაშრომებს. ისე გამოდის, თითქოს ყველაფერი ეს მარგ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნოდეს და არა მ. მაქსიმოვას». პირდაპირი საოცარია: ა. აფაქიძემ თავის «პასუხის» 23-ე პუნქტში (გვ. 157) გულწრფელი სინანულისა და მობოდიშების ნაცვლად — ი. გავომიძის, თ. ჩიქოვანის, კ. მაჩაბლის, ვ. ლევაყას და სხვ. ნაშრომების მოუხსენებლობაზე საერთოდ არაფერი თქვა, თ. მიქელაძის ნაშრომის არსენება წიგნის ხელთ არ ქონას დააბრალა, მარგ. ლორთქიფანიძეს საოცარი ცილი დასწამა, ხოლო ჩემს შენიშვნას «უანდი» და «შეთხუელი ბრალდება» უწოდა და, როგორც ჩანს, ამით კმაყოფილმა «პასუხის» ეს ნაწილი აფორიზმით დაასრულა — «ლადრობა არა ხელს არს კაცთა პატიოსანთა!» მართლაც რომ!

მე ყარჯად მესმის, რომ კრიტიკა და ისიც მძაფრი კრიტიკა არავისთვის არაა სასიამოვნო. ამას ვგრძნობდი მაშინაც, როდესაც ზეპირი საჩაროდ ვახსენებდი მიმდინარეობდა და მაშინაც, «რეცენზიის» გამოქვეყნება რომ გადაე-

რთარ ლორთქიფანიძე
ლია ჭარბილი «ცისარის» რედაქციის

წყობილად, მაგრამ ჩვეთვალე, რომ არ მქვს უფლება დავმალო ის უამრავი ხარვეზი და ფაქტობრივი შეცდომები, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის XV პარაგრაფს რომ აღმოაჩინდა. ახლაც უნდა გავიმეორო „რეცენზიაში“ ხაზგასმით თქმული (გვ. 157): „თუ დღეს თავს უფლება მივეცი ასე საჯაროდ, განსასჯელად გამომეტანა სარეცენზიო წიგნის (უფრო სწორად, მისი ერთი ნაწილის) ავტორი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წიგნი საისტორიო-სამეცნიერო ლიტერატურისათვის სარეკორდო ტირაჟითაა გამოსული (20 000), ამასთან, წინასწარი ხელმოწერით გავრცელებული... ამჟამად შეცდომები ახლავი უნდა იქნეს ფიქსირებული, ვიდრე

ღრმად დაიშკვრიდებოდნენ ადგილს და ამასთან, არა მარტო სპეციალურ სამეცნიერო რაატურაში, არამედ საზოგადოების ფართო წრეებში...“

თუ პროფ. ა. აფაქიძე ჩემს შენიშვნებს არ იზიარებს, მაშინ მას თავისი დებულებები მეცნიერული არგუმენტაციით უნდა დაეცვა და არა უსაფუძვლო ბრალდებებითა და სალანძღავი ეპითეტებით: განაწყენების გამოხატვის ფორმასაც ხომ აქვს რაღაც საზღვრები?! საინტერესოა: თუ პროფ. ა. აფაქიძეს „პასუხის“ წერისას სხვა რამ არ აწუხებდა, ნუთუ იმან მაინც არ დააფიქრა, რომ მისი პაექრობის მეთოდები ადვილსაცნობი გახდებოდა და ძალიან იოლად გამომქდავდებოდა?





შუაგზა ბათიანობი

„ქართული რეჟისორები“

უმდიდრესი და უძველესი ქართული თეატრალური კულტურა წლების განმავლობაში ელოდა თავის ღირსეული მემკვიდრეობის, საქმის ღირსეულ მცოდნეთ, რომლებიც შეცნობილი სინკრეტითა და პროფესიული სიყვარულით გააანალიზებდნენ გაქვებულს, თავის ადგილს მიუჩინებდნენ ყველაფერს.

ამ მხრივ ვერ კიდევ ზღვა სამუშაოა ჩასატარებელი, თავის მემკვიდრეობის ელის წარსული-სა თუ თანამედროვეობის მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენები, ამ დღე საქმეში გარკვეული როლის შესრულება აქისრია საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, რომელიც ამ უკანასკნელ ხუთი წლის მანძილზე მსისტემატურად სცემს თეატრალურ ლიტერატურას, მართალია, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იცემა ის ხარვეზი, რაც წლების განმავლობაში გავაჩნდა. გამოვიდა ბევრი კარგი, საინტერესო ნაშრომი, რომლებიც ქართული თეატრის ისტორიას, თუ თანამედროვეობას შეისწავლიან.

თეატრალური საზოგადოების მიერ დაცვეთით გამოსულ წიგნებთან თეატრმცოდნეობითი ლიტერატურის შენაქანად ითვლება ვასილ კიკნაძის „ქართველი რეჟისორები“ (წიგნი მეორე).

ამ რამდენიმე წლის წინათ ქართველმა მკვლევარმა მიიღო ვასილ კიკნაძის „ქართველი რეჟისორების“ პირველი წიგნი და იგი უმაღლესად მეტად საჭირო, საყურადღებო ნაშრომად. ამას აქვს თავისი მიზეზები — ვ. კიკნაძემ ხელი მოჰკიდა მეტად რთულსა და შრომატევად საქმეს, მიზნად დაისახა გააანალიზოს ქართველ რეჟისორთა მთელი რიგი თაობების მოღვაწეობა, მკითხველს აჩვენოს თუ როგორ პირობებში მუშაობდნენ ისინი, რა პრობლემები ამოჭრაქვებლათ შემოქმედებაში, როგორ იბრძოდ-

ნენ მშობლიური კულტურის განვითარებისათვის. რა წვლილი შეჰქონდათ მასში. დღეს ცოტა ძნელიც კია მთელი სისრულით წარმოიდგინოთ, თუ რამდენად კეთილშობილური და დასაფასებელი მისია იყისრა თეატრმცოდნე. ამის გაგება იოლია მისთვის, ვინც კარგად იცის თეატრის სპეციფიკა, იცის, რომ მსახიობისა და მითუმეტეს, რეჟისორის ნაღვაწი კვლევა იმ წუთში, როგორც კი სპექტაკლი ჩამოდის სცენიდან, მის შემონაქმედს ვერ აღადგენ ვერაფრით, გარდა იმისა, რაც დაწერილია მასზე, რაც მის თანამედროვეს აღუმეჭლია. ამიტომ სრული სიმართლეა ვ. კიკნაძის განცხადება, რომ „ქართველი რეჟისორების“ ეს წიგნი და მისი პირველი ნაწილი არსებითად მასალა ქართული რეჟისურის ისტორიისათვის“. მართალია, ამ განცხადებას თავმოდრეკილ მოკრძალებაც ახლავს, რადგან ეს წიგნი სცილდება მასალის შეგროვების ფარგლებს და თეატრის ისტორიის ღირებულებას იმენს, რადგან თეატრის სახეს, მის ისტორიას ქმნიან სპექტაკლები; როლები, ის პრობლემები, რომლებიც უწინარეს ყოვლისა, რეჟისორებს აფიქრებთ. რეჟისორთა ბიოგრაფია, მათი შემოქმედებითი ცხოვრება კი განუყოფელია თეატრის ცხოვრებისაგან, ყველაფერი ეს ქმნის თეატრის ისტორიას.

ამ წიგნის დიდი ღირებულება მდგომარეობს იმაშიც, რომ „ჩვენი თეატრმცოდნეები“ ამჟამად ძირითადად ორი რეჟისორის — კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის შესახებ სწერენ. რასაკვირველია, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ისტორიული სიმართლე და ეროვნული კულტურის ინტერესები მოითხოვს ყველა დანარჩენ რეჟისორს თავისი ადგილი მიუჩინოთ“ (ვ. კიკნაძე).



ღიახ, არწივების ფრთებქვეშ მათი გამოზრდილინიც უნდა სჩანდნენ, მათი ნახელავიც უნდა ვნახოთ, რათა კიდევ უფრო ნათლად შევაფასოთ წინაპართა ღვაწლი.

პირველ წიგნში ვ. კიკნაძემ გააანალიზა თანამედროვეობისა თუ წარსულის გამოჩენილ რევისორთა ნაღვაწი, მოგვცა მათი შემოქმედების სრულყოფილი დახასიათება. მასში განხილულია ე. მარჯანიშვილის, ს. აბმეტელის, დალექსიძის, ვ. ყუშიტაშვილის, და სხვათა შემოქმედება.

მეორე წიგნში გრძელდება ეს კეთილშობილური საქმე, მაგრამ ვიდრე ცალკეულ რევისორთა პორტრეტებს წავიკითხავდეთ, ვ. კიკნაძე გვათავაზობს წინასიტყვაობას, რომელშიც ზოგადად მიმოხილულია იმ ქართველ რევისორთა შემოქმედება, წლების მანძილზე რომ ემსახურებოდნენ ქართულ თეატრს; ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებიათ მის სისახელოდ რევოლუციამდე თუ რევოლუციის შემდეგ. წინათქმში ზოგადად მიმოხილულია პირველი ქართველი რევისორი ქალის ნ. გამრეკელი-თორელის, გ. როსტას, ვ. აბაშიძის ვ. ნინიძის, გ. გამრეკელის, შ. ინასარიძის, ს. ცომაიას, ნ. გოძაშვილის, გრ. და ალ. მიქელაძეების, ო. ალექსიშვილის, გ. აბრამიშვილის და სხვათა შემოქმედება.

ხოლო შემდეგ, წიგნის ძირითად ნაწილში განხილულია ქართული თეატრის იმ მოღვაწეთა შემოქმედება, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს მისი განვითარების საქმეში. აქ არიან სრულიად სხვადასხვა თაობის, ხელწერის, ინტერესების რევისორები — დ. ანთაძე, აკ. ანდრონიკაშვილი, შ. აღსაბაძე, ვ. გარიკი, აკ. დვალისშვილი, აკ. ვასაძე, ალ. თაყაიშვილი, მიხ. თუმანიშვილი, ლ. იოსელიანი, გ. ლორთქიფანიძე, ე. პატარიძე, გ. ყურული, გ. სულიაშვილი, ვ. ტაბლიაშვილი, აკ. ფლავა, პ. ფრანგიშვილი, მიხ. ქორელი, ვალ. შალიკაშვილი, არჩ. ჩხარტიშვილი და ს. ქელიძე. ოცი ქართველი რევისორის შემოქმედება და ცხოვრება განხილული ამ ერთ წიგნში. და როგორ შეიძლება ეს წიგნი არ ვიგულოთ ქართული თეატრის იმ მონაკვეთის ერთგვარ ისტორიად, რომლის რევისორებზეც ვ. კიკნაძე წერს. ყოველი რევისორის შემოქმედება ხომ უახლოვს კონტრეტში იყო იმ ქალაქისა თუ რაიონის თეატრთან, სადაც მოღვაწეობდა იგი. იქნებოდა ეს თბილისი თუ ქუთაისი, ბათუმი თუ სოხუმი, ფოთი თუ მახარაძე და ყველაფერი ეს ქმნის მთლიანი ქართული თეატრის ისტორიას, ქმნის მის ნამდვილ სახეს.

წიგნის ფხიზელი თვალთ გადაკითხვისას შეიძინევა თეატრმცოდნის დიდი მიღწევა — ყოველ რევისორში იგი ეძებს ინდივიდუალურს,

თვითმყოფადს, რითაც ესა თუ ესა ^{საინტერესო} ხელჩაგრებს, რაც მას მოჰქონდა ამ დიდ ტაძარში. ყოველი მათგანის შემოქმედებითი ინდივიდუალობის დანახვა კი, განსაკუთრებით ვარდასულებისა, არც ისე იოლი საქმე ვახლავთ, თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ ქართული თეატრის რეპერტუარი არ იმყოფოდა ამის საშუალებას, განსაკუთრებით კი რევოლუციამდელი ქართული თეატრისა.


ვ. კიკნაძე რევისორთა შემოქმედებას განიხილავს ისტორიზმის პრინციპით, იგი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ყოველი ნაწარმოების შეფასებისას დავიწყებული არ უნდა იქნას ისტორიზმის პრინციპი, შემფასებელმა უნდა გაითვალისწინოს ის ეტაპი ანა თუ იმ ერის ცხოვრებაში, როცა ესა თუ ის ნაწარმოები შეიქმნა. ეს სავესები სწორი და მისაღები კრიტერიუმია, რადგან ყოველი ქმნილება დროსთან აქტიურ კავშირში ჰპოვებს სიციცხლისუნარიანობას, იგი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც აღნიშნავს თავისი დროის სოციალურ-ეკონომიურ თუ კულტურულ პროცესებს.

გზადგება ვ. კიკნაძე განიხილავს ქართულ თეატრში მოღვაწე მსახიობთა შემოქმედებას, რადგან ყოველი რევისორის მუშაობის აეკარგი სწორედ მსახიობში ჰპოვებს გამოხატულებას; არ არსებობს რევისორი კარგი სპექტაკლის გარეშე, ისე როგორც, არ არსებობს კარგი როლი, რომელიც რევისორულად არ არის გააზრებული. ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა თეატრმცოდნის მოსაზრება, როცა იგი აფასებს შ. აღსაბაძის როლსა და მნიშვნელობას რუსთაველის თეატრში დადგმულ „ოტელოს“ წარმატებაში.

ამ წიგნს კიდევ ერთი თვისება გააჩნია. იგი ქართული თეატრის ისტორიულ პროცესებს არ განიხილავს მშრალად, გულცივი მეგობრის თვლით, გვესაუბრება ცხადად, საინტერესოდ. ავტორი ბევრ რევისორთან მეგობრობდა, თავად ყოფილა ბევრი შემოქმედებითი გამარჯვებისა თუ მარცხის მოწმე და მონაწილე. ყოველივე ამის მოგონება კი წიგნს საინტერესო საკითხავს ხდის.

შეიძლებოდა გამოგვეთქვა ზოგიერთი შენიშვნაც, აღგვენიშნა რამდენიმე ზოგადი თუ კონკრეტული ხასიათის ნაკლი, მაგრამ ეს ვერაფერს აკლებს ამ უთუოდ მნიშვნელოვან შრომას. ამ წიგნით ვ. კიკნაძემ ამავე დასლო არა მხოლოდ ქართულ თეატრმცოდნეობას, არამედ ქართული თეატრის ისტორიას საერთოდ. მოჰაიალს აღუნუსხა და გადასცა თანამედროვეთა პროფესიული, ღრმა სიყვარულია გამობარი შემოქმედებითი პორტრეტები.





მსჯილან

ა შ შ

ნორმან კანინის სხალი შურნალი

ამერიკული შურნალის „სატერდვი რევიუს“ მთავარმა რედაქტორმა ნორმან კანინმა პიატოვა თავისი შურნალი. ამ ნაბიჯს უფილი რედაქტორი მკითხველისათვის მიცემულ ინტერვიუში იმით ხსნიდა, რომ უფელკვირული შეიწყვიდა ლიტერატორთა ჯგუფმა, რომელსაც „სატერდვი რევიუს“ ახალი რედაქტორი ჯ. ვერანის ხელმძღვანელობს. ახალ რედაქტორს სურს მთლიანად შეცვალოს შურნალი, ეს ცვლილებები კი, კანინის თქმით, მთლიანად გამორიცხავს მისეულ პრინციპებს შურნალის როლის შესახებ. კანინი აგრეთვე კატეგორიულად ეწინააღმდეგება „სატერდვი რევიუს“ ახლანდელ მფლობელთა მცდელობას — გამოიყენონ შურნალი კომერციული მიზნით, რაც უგულებელყოფს ხელისმომწერთა ინტერესებს. „სატერდვი რევიუს“ ოთხ ცალკეულ უფელკვირულ გამოცემად დანაწილდება და მიქმდებება კულტურის, განათლების, ხელოვნებისა და სოციოლოგიის საკითხებს.

ამას წინათ ნორმან კანინმა ღია წერილით მიმართა ამერიკული უფელკვირულის „ნიუ-იორკ რევიუს ოფ ბუქსის“ მკითხველებს. აი, რას წერდა იგი: „შე და ჩემმა კოლეგებ-

მა გადავწყვიტეთ ახალი ორკვირულის — „უორდ რევიუს“ გამოცემა. „სატერდვი რევიუსი“ წახველის შემდეგ ჩემი ოცნება გახლდათ გამომეცა ისეთი შურნალი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მკითხველებისა და რედაქტორების საკუთრება იქნებოდა; მსგავსი რამ ჩვენში ჯერ არ მომხდარა: შურნალ-გაზეთები ხომ ერთადერთი საქონელია, რაც მომხმარებელს თავის თვითღირებულებაზე იაფად მიესყიდება და რადგან შურნალ-გაზეთების გამოცემა გარეშე დაბანდებაზეა დამოკიდებული, კონტროლსაც გარეშე პირები ეწევიან, ისინი, ვინც ფულს იხდიან. ჩვენც სწორედ ამას გავურბოდით და ვიმედოვნებდით საქმის რაოდენობის ხელისმომწერი გვეყოლოდა, არც შევმცდარვართ. გამომხმარებებთა რიცხვმა ჩვენს წინადადებებზე უფელგვარ მოლოდინს გადააქარბა. როგორი იქნება ჩვენი შურნალი? იგი ძირითადად კულტურის საკითხებს მიქმდებება.

მ ვ ვ ვ ტ ე

იუსუფ აშ-შარინის სხალი წიგნი

არაბული პრესა იუსუფა, რომ გამოვიდა ცნობილი ეგვიპტელი ნოველისტის იუსუფ აშ-შარინის მოთხრობების ახალი კრებული „სიტაკო სულიას“. იუსუფ აშ-შარინის მოთხრობები ორ მოციანად

წლების მერე ნახევრიდან იბეჭდება და მკითხველთა მოწონებით სარგებლობს. მწერლის უფილი ახალი კრებული ცხარე პოლემიკას იწვევს, ამის მიზეზი კი ისაა, რომ მწერალი ძირითადად ეგვიპტური სინამდვილის საპირბოროტო პრობლემებს ეხება და ხშირად უჩვეულო მხატვრულ ფორმასაც მიმართავს. მწერლის უკანასკნელისწინა მოთხრობების კრებულს სახელმწიფო წამხალისებელი პრემია მიენიჭა.

პ ო ლ ო ნ ე თ ი

სცენარე და პარანეტი

ამ რამდენიმე წლის წინათ რეისორმა ანჭეი ვაილამ კრავოვის თეატრის სცენაზე დადგა სტანისლავის პიესის პიესა „ქორწილი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს დრამატული ნაწარმოები ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაიწერა, იგი ღრმად რჩება პოლონური დრამატურგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემქმნელად. რომელმაც რამდენიმე ათწლეულით გაუსწრო თავის ეპოქას, როგორც შინაარსით, ისევე ფორმითაც.

ვისიანსკიმ ფართოდ გამოიყენა პოლონური ხალხური თოქინების თეატრის ტრადიციები; ნაწარმოებში რეალური მითოლოგიური ცვლის, ხოლო ცხოვრების ეულს ფანტასტიური. პიესას საფუძვლად ნამდვილი ამბავი დაედო —

ვისპიანსკის მეგობარი პოეტის, ლიუცია ნოდელის, ქორწინება გლეხის გოგონაზე. ვისპიანსკი ხალხური საზეიმო რიტუალის ელვარების გარდა ინტელიგენციისა და ხალხის ურთიერთ დახლოების პროცესის აღწერის შესაძლებლობამაც მიიზიდა. იგი ასახავს კონფლიქტს პოლონურ შლიახტსა და გლეხობას შორის.

ამჯერად ანჭი ვაილამ პიესა ეკრანზე გადაიტანა. ფერად ფიჩზე აისახა პოლონური სოფლის სილამაზე და პოეტურობა. ნაჩვენებია ორი სამყაროს ჭიდილი.

„ფილმში, — აღნიშნავს „პოლსკოე ოპოზრენიეს“ რეცენზენტი რომან შიდლოვსკი, — არის სიმართლე ეპოქაზე, არის ვისპიანსკი და მისი პოეზია“.

რ უ მ ი ნ ე თ ი

„რადგან მათ ერთმანეთი უშვარბი“

ასეა დასათაურებული ახალი რუმინული ფილმი,

რომლის რეჟისორია მიხაი იაკობი. ნაწარმოები რთულ ადამიანურ ურთიერთობებზე მოგვითხრობს და მაყურებლის შეუნელებელ ინტერესს იწვევს.

ფილმის გმირები მძიმე ცხოვრებისეული სიტუაციების მიუხედავად არ ღალატობენ მოვალეობის გრძობას, რაც უურნალ „ფლაკერის“ რეცენზენტის თქმით, მათი მაღალი ზნეობის მაუწყებელია. „ეს ერთ-ერთი პირველი ფილმთაგანია თანამედროვე თემატიკაზე, ეთიკის საკითხებს რომ ეძღვნება“, — აღნიშნავს წერილის ავტორი იულიან ჭორჭეკუ.

ს ე ნ ე ბ ა ლ ი

იუნუსა სმი — პირველი მხატვარი ქალი

ახლგაზრდა სენეგალელი ქალის იუნუსა სეის სახელი ფართო საზოგადოებისათვის მაშინ გახდა ცნობილი, როცა მან მთავარი

როლი განასახიერა სემენ უსმანის ფილმში „სენეგალი“^{სენეგალი}. ამას წინააღმდეგობას სემი ხელახლა ააღაპარა ეურნალ-გაზეთები, მაგრამ ამჯერად როგორც მსახიობმა კი არა, არამედ როგორც მხატვარმა. სენეგალის დედაქალაქ დაკარაში მოიწყო მისი ნახატების გამოფენა.

იუნუსა სეი ნახატისთვის იყენებს უჩვეულო მასალას — ზღვის ნიჟარებს. თუმცა მას ფერწერაში კლასიკური განათლება არ მიუღია, მაგრამ მხატვარი ქალის პირველ ნაბიჯებს დიდ ხელოვნებაში სპეციალისტები ძალზე ორიგინალურად და საინტერესოდ მიიჩნევენ. „საზოგადოებრიობის ინტერესი ამ გამოფენისადმი, — აღნიშნავს უურნალ „უიონ აფრიკის“ კორესპონდენტი, — იმანაც განაპირობა, რომ იუნუსა სეი პირველი სენეგალელი მხატვარი ქალია“.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჟ. ტიქარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი ნაავტორობაზე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ. შგ. მღვიმის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადეცა ასაწყობად 16/VIII-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IX-72 წ., ქალაქის ზომა 70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5 შეკვეთა 2785. უე02018. ტირაჟი 26800.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ქვირუასრ ქვითხეალებო!

დაიწყო ხელმოწერა შურნალ „ცისკარზე“ 1973 წლისათვის. ხელმოწერა მიიღება შეუზღუდავად. შურნალზე ხელმოწერა საშუალო სემესტრს, რადგან საცალო ვაჭრობისათვის განკუთვნილი რაოდენობა „ცისკარის“ ტირაჟისა განსაზღვრულია.

1973 წელს შურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდება:
ვაჟა ამირაჯიბი — დათა თუთაშვილი (რომანი, მეორე წიგნი)
ოთარ ჩხიძე — გორიანი (რომანი)
გიორგი ბელაშვილი — გვიზარავეს მრავალი მერი (რომანი)

დასაბუთად გათვალისწინებულია აგრეთვე ცნობილი ქართველი პოეტებისა და მწერლების ახალი ნაწარმოებები.

კრიტიკისა და კუბლიცისტიკის განყოფილებაში გამოქვეყნდება სინთეზური წერილები, სტატიები და რეცენზიები როგორც საბოთა, ისე საზღვარგარეთის თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ და სინთეზურ საკითხებზე.

შურნალის განყოფილება „ჭაუნიკი“ გააგრძელებს დაგეგმულ ავტორთა პირველი ნაწარმოებების ჯეჭვას.

კვლავაც დიდი ადგილი დაეთმოა მეცნიერებას, ტექნიკას, სპორტს, იუმორს, აგრეთვე უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკას.

3360 60 333.

0142/176


საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236